პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



№№ 4

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტე-
რატურო და სამეცნიერო ჟურნალი

ტფილისი 1924 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორები: { მ. კაზიანი
ვ. გაზტაძე

გამომცემლი: { საქართველოს პოლიტგანათ-
ლების მთავარ-მართველობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსაჯვრული ლიტერატურა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

გალაკტიონ ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯონ რიდი

ბავშვები ყიდდენ პაპიროსებს
ზოგი მათგანი ცინიკურად გაიძახოდა:
„რასპუტინის პაპიროსები“.
რაღაც არაჩვეულებრივი
სიგრძისა და ზომის პაპიროსები,
წიგნები გრიშკა რასპუტინის
შესახებ:
Про Гришку,
Про Сашку,
Про царя Николашку“.
ყიდდენ არშინობით კერენკებს.
სასადილოში
სტუდენტები იგონებდენ დროს,
როცა უკეთესი იყო ცხოვრება.
მკვლელობა
პურის $^1/_8$ გირვანქისათვის,
რეკისორი გარდინი.
ფუტურისტების გაზეთები.
ლედა
კინოებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეიკქელი... -
კერენსკის მოწოდება და კონსტიტუციონალ-
გადატრიალება პეტროგრადში.
მზადება მოსკოვში, —
აჰა, საცაა—
და ერთხელ, დილით—
ჯერ არ არის გათენებული
ქუჩაზე მოძრაობაა.
იუნკრები, თეთრი გვარდია,
წითელი დროშა,
დაჭრილნი მიჰყავთ
უნივერსიტეტის კლინიკაში.
ავტომობილები დაჭრილებით.
წაქცეული ხე ტვერის ბულვარში..
წაქცეული ცხენი ტვერის ბულვარში.
ტყვიისმფრქვეველი დიდ სამრეკლოზე.
ცეცხლი ედება
უზარმაზარ სახლებს ბულვარზე.
სახლები იწვიან ყოველმხრივ,
ყოველმხრივ...
ლეგენდა ერთ სახლზე.
მოსკოვი ღამით განათებულია.
განუწყვეტელი კანანადები.
საშინელი შიმშილი,
და მე ვინტოვკით.
კრემლში გამაგრება:
პური, რომელიც მიქონდათ კრემლში.
შემთხვევა გნეზდნიკოვის ქუჩაზე.
ხმები „ხიტროველების“ გამოსვლის შესახებ.
კანანადა ცხრება.
სისხლის კვირის აპოთეოზი:
მკვდები უპატრონო.
ჯარისკაცი თამბაქოთი, მახორკით.
გიმნაზიელები,
სტუდენტები.
გაჩეჩქვილი თავი,
რომლის ცნობა შეუძლებელია.
უეცარი ცნობა: ტირილი.
წარწერა ერთ სახლის კედელზე:
აქ იპოვეს ტყვიით მოკლული
5 წლის ოქროს თმიანი გოგონა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლონელები.
ბუნტი და ცირკში ჯარისკაცები.
იყვენ აგრეთვე
პარტიული ჯარისკაცები
ღმიზნოდ შოხეტიალე ბავშვები
უკმაყოფილო ელემენტები.
სასულიერო წოდების რისხვა.
გლეხები სოფლიდან.
ახალგაზრდობა:
სტუდენტები.
დელეგატები
და სხვ. და სხვ.
პორტრეტები:
ირაკლი წერეთელის
კერენსკის,
როძიანკოსი
ჩხეიძის
ჩერნოვის,
კერენსკის გამოსვლა პატარა თეატრში.
სახელმწიფო თათბირი.
სანახაობა დიდი თეატრის ბალთან,
ჩერნოვი და როძიანკო.
ამბავი კორნილოვის, ინციდენტი.
არაჩვეულებრივი ამბების მოლოდინი.
კერენსკის ტრიუმფი.
მიტინგები პუშკინის ძეგლთან;
ქურდების მიტინგი სოლომანსკის ცირკში.
ანდრეი ბელის ლოდინი მიტინგზე
მიტინგი ყრუებისა და მუნჯების:
მიტინგომანია.
ხმა კორნილოვის გამოსვლის შესახებ.
კერენსკის მოწოდება.
სამოსუდები.
ლედა კამენსკისა.
შალიაპინი „ბორის ბოდუნოვში".
სმირნოვა.
გელცერი, პრიმა-ბალერინა.
ყველაფერი რიგზეა.
მაგრამ ამ დროს
ფრონტი იშლება...
მატარებლები იმ ხანების...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადამწვარი სახლები:
ჩალეწილი მაღაზიები
გამოძახილი: ქალის ხელი.
„როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები".
„წვეთები გადაღებული წვიმისა"...
პეტერბურგისკენ!
შემთხვევა მატარებელში:
ღამით პეტროგრადის სადგურზე.
პლაკატი;
მთელი ძალა-უფლება
დამფუძნებელ კრებას.
ლატიშელი პოეტი.
ორი მეგობარი.
თოვლიანი ამიდები.
ქიმერები ნევასთან.
უდაბური პეტერბურგი:
სმოლნი
„თორმეტი" ალექსანდრ ბლოკის
„რამდენიმე დღე პეტროგრადში" ჩემი.
დაიწყო ასე:
ლრუბლისებური ლმერთი
ნგრევათა,
სასტიკი ლმერთი.
წმინდათ წასაწყმედ გადარევათა
დიდი რუსეთი,
ალ-დემონებად
ქცევა დასწრების,
ანგელოზები,
ყველა ტაძრების
და მონასტრების
ქაოსები.
გინებით მეტყველი
რუსული წმინდანის
ეშმაკი ბაგე.
ბაგევ, დაიცა...
სარწმუნოება
გახდა სატანის...
სარწმუნოება
ისე დაეცა...
ყურებს დაიცავ...
ლოცვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატრიარხის ტიხონის
თითქო ბუკია
იერიხონის,
ჰგავს გინებას;
ლიმდამცინავი
სახით იგულოს.
ეკლესია
დგას და წირავს,
საბრეკლო
ოხრავს სამოციქულოს,
ზარი
მთავარ-დიაკვნობს,
ყვითელი მღვდელი
გაოცებულია,
ბერი
გაშავებულია.
მსხვერპლით
ალარ მოდიან.
შემოვლებული
დროთა ხავსებით
ხატი
პილატეს დაემსგავსება.
მისი ასეთი
ცოდვით დამწვარი
ჯოჯოხეთიდან
მიმოდის ჯვარი.
მისთვის
ჯოჯოხეთური
საბოთხე შენდება.
და შეიძლება
როს გათენდება
ედემის მსგავსი გრძნოს
ჯოჯოხეთი.
გაჩუმებული
ციცაბო ციდან
ნელი ღრუბლები
ყვავილებს ცრიდენ
და
გზის ნათელი
იყო
სიმწვავით გადანათელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დღე ყოველი.
არ არის ტევა.
არის სიცივე
და ღამეთ თევა.
ცხარე პროტესტი
ცამდე ავიდა.
ყოველი სახლის
სახურავიდან
გრიალებს ქარი
ეს მწარე დღეა.
ამ ფეერიულ
სიოცნებეში
დეპეშა,
დეპეშა.
დეპეშა,
რევოლიუცია,
რევოლიუცია.
ამბავი,
პეტროგრადიდან.
კრემლი იდუმალ
იწყებს მზადებას.
მოსკოვი შფოთავს—
რომ გაუთენებს
საკადრის დღეებს
კაცობრიობას
და
თვითეული
ფიქრობდა მაშინ:
აჰა,
საცაა!
აიწყვეტს რაში.
ხანდახან
ყველაფერი განისაზღვრება
ათი დღით.
არასდროს არ დამავიწყდება
ამიდთა სინოტიე.
სითბო ყინვის
ტალახიანი ჰაერი,
ჭაობიანი,
მგმობი ნათელის
ტირის თვალები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი
მთვარის ფერია.
მთვარის ამოსვლა
და დაბნელება,
ავსება მთვარის.
ახალი მთვარე,
სიკვდილით,
ყოფნით
დაბადებით —
ოცდება უცებ
კანონადებით.
ნათელი ჩრდილი
მწარე დღეების
ფარავს ვარსკვლავებს.
დღემ სიზმრებამდე
გადაამეტა
შელამებული
დილების ლანდი
შუადღე —
მსგავსი შუალამისა
და თვითეული
ფიქრობდა მაშინ
აჰა...
საცაა...
აიწყვეტს რაში.
ეკითხნა ვისმეს
მაშინ საათი —
ვუპასუხებდი:
მარადისობა!
7 საათი
ედარებოდა
7 საუკუნეს.
ხვალ —
არ არსებობდა
ხვალ-ზევით
ვინ იცის!!
ისინი
მოდიან ფრონტიდან
მათი დღეები
ორშაბათები
სამშაბათებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივის.
ის არ მოელის
ბედნიერ დარებს,
სიბნელეში კი
თეთრად ელავენ
ფანტასტიური
კრემლის კბილები
როდესაც ატყდა
ტკივილები
შეურიგებელი;
ღამის წუხილი,
ჭექა-ქუხილი.
ეს იყო მოვარდნილ დღეთა
რკინებად კვეთა —
როდესაც სეტყვაა.
წვიმა და ქარი.
როცა ღრუბელი
ფარავს მიდამოს
და გაცივებულს
ახურავს სამოსს—
აკაკანდება
ტყვიისმფრქვეველი.
მახსოვს
ეს იყო
ნისლიანი ღამით
განთიადის წინ.
თოფებს
აავადმყოფებს,
დულილი.
თვითეული
ცეცხლის ოქროდან
გააფთრებული
ტყვია მოქროდა
გაქვავებული
ქარიკით,
ქვეყნის ამღვრეული
გულის გასაგმირად.
თვითეული
წვეთი სისხლისა
უერთდებოდა
ერთი მეორეს —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ შეექმნა
ტბა
ქალაქის გახელილი
თვალი.
კრემლიდან
გადმოსკდა სისხლის წყარო
და იქცა მდინარედ,
რომლის ნაპირებიდან
გადასასვლელად
ფონს ვერვინ იპოვიდა.
თოვლიანი მიწა
ზანზარებდა.
სართულები ყეფდენ
როგორც ძაღლები.
ინგრეოდენ სახლები.
მათ ნაცვლად დადგა
იდუმალ შიშად
ლრე,
ფლატე,
ქვიშა,
მთა,
სადაც შემდეგ
დადგეს სვეტები
უმაღლესი,
კლდე
რისგან შემდეგ
გამოკვეთეს
უდიდესი ქანდაკებები.
ჰგავს ტვერის ქუჩის
უსახელობა
ნგრეულ ხეობას —
სადაც არაა
ბილიკი არსად,
ფანჯრების შიშვები
ილეწებოდა
როგორც უხილავი ტყე —
ფეერიული პლაკატების
გალავნებით;
ცაზე მიდიოდენ
ელვიანი ბილიკები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავარდნილ ცეცხლისა.
ცვივოდენ
მაღლიდან ნაპერწკლები
როგორც ყვავილთა ფენობა.
ალი
ვენახივით იგრიხებოდა
ღამე
ჩამოწოლილიყო
ყურძნის მტევნებივით
საიდანაც ხიტროვრინოკი
სწურავდა არაყს.
ხანდახან ღამე იდგა
როგორც ფანტასტიური
ხე
ცეცხლიან ზტოებით.
ძველი
რუსეთი იმ ღამეს ეგდო
როგორც ხის კუნძი, ჯირკი,
ტყეში —
რომელსაც სცემდენ ნაჯახს.
ცეცხლის ფურცლები და ფოთლები
წიგნებივით ეყარა ველად.
და გარს ეხვია
ღეღელი
ყვითელ ხავსივით.
ადამიანები ალზე მოძრაობდენ
ცოცხალი ფესვებივით,
მოსკოვი გუგუნებდა
როგორც მუხა—
და პირიდან აფრქვევდა ტყვიებს
როგორც რკოებს.
ვერხვივით სწორი იხრებოდა
კრემლის კოშკები
და გარს ეხვია სასახლენი,
როგორც ბუჩქნარი.
ჭინჭარივით ისუსხებოდა
ღამე —
რომელიც ეხლა დაჯდა
სადგურთან
და სწევს ყალიონს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცებ გაჩნდა დემონი
და ცეცხლს ფიჩხს უმატებს.
იაევ ავარდა ალი
როგორც ოქროს თაეთავები.
როგორც შემოდგომის ჩალა ყვითელი.
ნაცარი ცვივა
როგორც ქატო და ფქვილი.
მხოლოდ არსად არ არის პური,
არც შაქარი—
შაქრისყინულივით
გაფენილია თოვლი.
არ არის თაფლი—
მოსკოვის განაპირა ქუჩების
ტალახიანი თოვლეუყვაპია.
გაფითრებული
როგორც წმინდა სანთელი
დადის ადამიანი
და ხელით დააქვს $^1/_8$ ვირეანქა პური
კრემლი კი ზუზუნებს
როგორც სკა.
მარილივით მწუთხე თვალებით
მისჩერებიან ბავშები სანთლებს.
მათ ენატრებათ ნაღები,
ყველი და ერბოწასმული
პური.
ქონი, სიმსუქნე მოაკლდა
ბურჟუას.
სანატრი გახდა
ცხენის ხორცი.
გაჭრა დრო როდესაც არსებობდა
რედერერები.
თუ არ დაგიშლია—
სადილად გთხოვთ მიირთვათ
ტყვიისმფრქეველის ტყვია.
ვახშმად—ვინტოვკების.
ის სდგას და ფიქრობს:
შენ ეხლა მამაკაცი არახარ
არც დედაკაცი:
შენი ცოლი ეხლა
შენი ქმარია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საწყალო ბურჟუა
შენ არ ხარ მამა
შენი შვილების,
შენ ვერც დედობას გაუწევ მათ
მაგრამ სულ სხვაა
შენი ნათესავი —
შენი დიდედა.
შენი სიმამრი
შენი რძალი,
შენი სიდედრი,
მამინაცვალი და მამამთილი
დედამთილი, ცოლის და.
შენი ძმისწული
თეთრგვარდიაშია,
შენი დისწული,
ემიგრანტია.
შენი შვილიშვილი
საცოლოსთან ერთად
გარბის საზღვრეთით.
მოსკოვში ეხლა ცოტა-ღაა
შენი ნაცნობი
ო, ჭეშმარიტად ხარ საცოდავი.
სახლიდან გაიქცა მოსამსახურე
სახლიდან გაიქცა ძიძა.
არ გეკარება
ერთად-ერთი მეგობარი
ღენერალ ლეიტენანტი —
იგი ტახტქვეშ იმალება.
ხანდახან
თუ მოვა სტუმარი —
ირიბად იცქირება განჯინისაკენ
კითხვითი ნიშნად გადაქცეული
ცარიელია ის განჯინა
თუ არა?
ო, როგორ გიცქერს
მეზობელ სახლიდან
გახარებული მტერი —
გუშინდამ ფანჯრიდან
შენს ოთახში
შემოძვრა ქურდი —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტანისამოსი და სკივრები
გადაალაგა.
ბრიყვი, სულელი კერენსკი —
ამბობს ბურჟუა
მთელი სტუდენტობა
შეგირდები —
ფრონტზეა.
არავინ არ არის ეხლა
ეაჭარი,
არავინ არ არის ეხლა
მდიდარი;
ყველა ღარიბია,
ყველა ლამაზია.
მოლაშქრე ჯარისკაცი დამჯდარა,
და იწყობს მახორკას.
შუშა გარბის და ყვირის:
შეიარაღდით.
იარაღისკენ.
მოსკოვმა ისევ მოისხა ჯავშანი,
მოზიდა შვილდი
და სტყორცნა ისარი კრემლს.
ზოგიერთს ხელთ ჰქონდა შუბი
ზოგი წმენდდა თოფს;
ზოგი ხმალს.
ხმლის ტარი—
არ ერთჯერ დატრიალებულა
ხმლის პირი
არა ერთხელ აელვარებულა,
დიდი ხანია
არ ჩასულა იგი ქარქაშში:
ჯერ კარპატები—
მერე მოსკოვი.
შენც, თოფის ლულავ,
გახვეულო სულ მუდამ ბოლში
განუწყვეტელად რახრახებენ
შენი ტუჩები.—
. . . . . ,
ბულვარზე
უზარმაზაოს სახლს
ცეცხლი ეკიდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო მუჭა ხალხის
თავზესაფარი.
ბრძოლაა
სასტიკი და თანაბარი
გამოჰყავთ ტყვეები
რომელთაც
არავინ გამოისყიდის—
სისხლით და რკინით.
ხრიალებს გრუზოვიკის ჯაჭვი
როგორც ბორკილი
ტყვეებით დახორგილი.
მოდის გრუზოვიკი
წითელი ბაირაღით.
გრუზოვიკს თავს ესხმიან.
ტყვეები გაქცევას ახერხებენ
ისმის თოფის სროლა,
ხმა: „გამოდგომა, მდევარი".
რამდენიმე ტყვე
მოკლული დაეცა
თხრილში.
ერთი მათგანი გაჩეჩქვილი
თავის სარქველით
ეგდო პირაღმა
წამწამები და წარბები
თოფისწამლის ბოლით
ჰქონდა გატრუსული
საფეთქელი
გადაბეთქილი.
თეალის გუგა
ღია დარჩენოდა.
ნესტოდან დიოდა სისხლი.
ღრძილები ჩამტვრეული
ჰქონდა.
მეორე მათგანს
ენა გადმოეგდო
სრულიად შავი.
იგი ეგდო
ყელგამოჭრილი
დაცემის დროს
ქვას მიარტყა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეფა.

. . . . . .

კლინიკაში
მიაქვთ უპატრონოდ დახოცილი
ხალხი.
კლინიკა აივსო
დახოცილი ჯარისკაცებით.
რუხი ფარაჯის გულს აშვენებს
ერთად ერთი გამოსაცნობი:
მახორკის ფხვნილი.
არც პასპორტი აქვს,
არც იცი ვინ არის.
გიმნაზიელების ცხედრები —
და უბრალოდ
სხეულის ნაწილები:
მარჯვენა ხელი,
მარცხენა ხელნი.
გაშავებული ფრჩხილებით,
გაშეშებული თითებით.
უეცრად შემოდიან ქალები
ასობით გაფენილ მკვდრებში
ეძებენ შვილებს, ეძებენ მამებს,
ისინი ტირიან გულგამგმირავი
ტირილით,
საცა უბრალო ხალით
გულს ახლო
იცნობენ მათ,
ძვალგადამტვრეულებს,
ტვინ-დანთხეულთ,
სახეგადაშლილთ...

. . . . . .

კანონადა კი ისევ იზრდება
როგორც სიმსივნე.
ტყვიის მფრქვეველთა
სწუხს კივილი
როგორც ტკივილი.
სისხლის ძიებით სავსე
უცნობი
ცარცით სწერს უცნობ
სახლის კედელზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აქ ვიპოვეთ ჩვენ სწრაფი ტყვიით
გულგანგმირული
5 წლის ბავშვი, ოქროსთმიანი
გოგონა“.
და კანანადის
კვლავ იზრდება
ჭიაკოკონა.
. . . . . .
კრემლში გამაგრებულთათვის
ავტომობილს
მიჰქონდა პური
ესროლა ვიღაცამ,
მოჰკლა შოფერი.
ავტომობილი
გაჩერდა გზაზე.
სდგას იქ, სდგას...
ვინ გაბედავს მიახლოებას?
იარა, წყლული. —
გულგატეხილი,
სულ ნალრძობი,
ნასიცხარ მუწუკივით
განაპირა უბნებს
მოედო ყვავილი,
ღარიბთა უბნებში
დადის სახადი.
ბავშვებს მუნი სჭამს
რკინისგზის სადგურზე
ჭირიანი ხალხი დადის;
არ არის წამალი,
მათთვის.
რაც შეეხება ბეჭედს
აქ არის ერთი მძლავრი ბეჭედი
რევოლიუციის.
ამ ბეჭდით თუ გინდა
მსოფლიო შეჭედე.
სდგას ერთი გრანდიოზული
სკამი,
რომელსაც მართლაც მოტეხილი აქვს
სამი ფეხი
და ზედ ძლიესა ზის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ ისევ ძველი
რუსეთი.
ქვეშ დახეული
ხალიჩა უგია
წინ დამტვრეული ჯამი უდგას
ქაშით.
აქეთ ცარიელი სკივრი
სავსე სატკივრით.
ამ სიცივეში საწყალს არ აქვს
ქვეშსაგები.
მისთვის ბალიში არ არსებობს
და არც საბანი.
მხოლოდ თოვლია მისი ბუმბული
ქარში, თოვლქყაპში ამოწუმპული:
სანთელი დიდი ხანია გაუქრო ქარმა.
შიდის.
ზურგზე ჰკიდია ტომარა,
ხელში ცარიელი დოქი,
ქამრის მაგიერ თოკი.
წელზე ჰკიდია ქვაბი
და გატეხილი ტაშტი
წარსული დროის ნაშთი.
ხელში უჭირავს ჯოხი
თავზე ახურავს გობი —
ანუ კალათა.
ამნაირმა გზამ
გააჯალათა
ვიღაცა
რომელიც რომანებს
ღვარავს ჩაფებით,
უზარმაზარი ბოქლომი
დაადო რუსეთს
მონობამ
გასაღები ხალხმა იპოვა.
უმძიმესი ურდულით
გამოუხურა რუსეთს კარები
მისი სკიპტრა ეხლაც მიყუდებულია
რომელიღაც მუზეუმში. —
ხალხმა ამოიღო კვესი,
მონახა აბედი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაჰკრა კვესს.
მაშინ როდესაც
პირსახოცით მხარზე
და ხელში სავარცხელით
წყაროსკენ მიიმღეროდა
ფეოდალობა

დახეული ფეხსაცმელი,
სველი წინდები.
მოდი და ცრემლად
ნუ დადინდები.
მაზარას არ აქვს
ცალი სახელო.
კაცი რუხია და უსახელო.
ჯიბესთან ნახვრეტი.
არც ფოლაქია და არც ღილები.
მხოლოდ ერთი დუგმა.
ასეთ ფარაჯაზე
წითელი სირმა.
ცხვირსახოცის მაგივრობას
სწევს ისევ ის ცალი სახელო,
კარგა ხანია
პირს არ მიკარებია
სამართებელი,
თმას—მაკრატელი.
გონებას—ნათელი.
ცუდი ამბავია.
რა გასაკვირველია
რომ ის იგინება.
სადგურები
ჰგავს აწიოკებულ ჩიტის ბუდეს.
ბნელ და ცივ სარდაფებში
სადაც არა იპოვება რა
ვირთაგვებით
ყნოსავენ ჰაერს ქურდები.
დადიან შიშველი ბლარტები.
პეტერბურგისკენ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტერბურგისკენ.
ქარში და წვიმაში
მივანგრევდი
ფანტასტიურ მგზავრებს
პეტერბურგისკენ.
მინებ ჩალეწილი
მატარებელი
საქათმესა ჰგავს
არ არის ტევა.
თევზის და ჩექმების
სუნით სავსე
მატარებელი
მიდის თოვლში,
როგორც დაღლილი ჯოჯოტ
და ბაყაყივით
აბრიალებს თვალებს
ღამის სიბნელეში —
ფარფარა პეპლებივით
შემოდის თოვლი
ფანჯრებიდან.
ბავშები ხრავენ
ჭიიან და მატლებიან
პურის ქერქს.
პარაზიტები იერიშით მოდიან.
პურის ნამცეცივით
ირევიან იატაკზე.
აი მართლა ძაღლური სიცოცხლე
იძახის მოხუცი ქალი.
და წყევლის ქალაქებს,
მისთვის უცხო მოედნებს,
უცნაურ სახლებს და სარაიებს
და ქარხნებს,
სადაც გრდემლით ანგრევენ რკინას
კოშკებს—რომლის კედლები
ეხლა ნანგრევებად ქცეულან.
მატარებლის კიბეზე
ჩამოკიდებულა ხალხი
მატარებლის ბანი და სართულები
დაფენილი რუხი მაზარებით.
და ქარი ჰქრის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭერამდე ჭერეხივით ჭყრია რუსი
მატარებელს არ აქვს კარები
ფანჯარა
დაიტანჯა,
ჩამოტყდა.
ცხვირწითელი კაცი, უსულო საგანივით
დგას როგორც ფილაქანი.
ან და ფიცარი —
ეუბნებიან:
ან დავიძრები ან დაიძარი;
თაროებიდან
ცვივა ნაგავი.
ფანტასტიური ხროვა
ხრიალებს, ახველებს,
კვამლით იღვრჩება.
ფერფლის, ნაცარის
ფერი აქვს ყველაფერს.
იყოს რაც არის.
ფანჯრიდან სჩანს
თოვლიანი მინდვრები
როგორც სასაფლაო
როგორც თეთრი კუბოები.
როგორც მგლოვიარე ეზო
უკალოო
და უგუთნო.
აიღე ორთითა-ორკაპი.
და ანიავე ეს თოვლი.
ახალი ნიჩაბი
აზიდავს ამოდენა თოვლს.
ახალი ხერხი გადახერხავს
ნაძვს ამოდენას.
ახალი ჩაქუჩი
გაალვიძებს ასე მძინარე
ქოხებს.
აქ საჭიროა კიდევ ბურღი
და მხოლოდ ბურღი.
ჩემს წინ სდგას კაცი.
სახე
დაჭმუჭვნილი კალენკორია
რომელსაც სცემდა წვიმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე ამ ყინვაში დგას
ჩითის პერანგის ამარა.
და ის ისე კმაყოფილია
თითქო ხავერდი ეცვას...
კანკალებს
და მაინც კმაყოფილია.
მაინც ჯიბეში აქვს
ფული: ოქრო და ვერცხლი.
მესამე:
თითფერის სახით
სპილენძის ხელებით
ნატყვიარი შუბლით
დაკალული თვალებით
სდგას ფოლადივით.
გიორგის კავალერი,
ყოფილი;
მისი დიდება
წინანდელი ჯვარია
მისი სიმდიდრე.
მხოლოდ გამოხედვაა,
მოგონებები
ძველი მამაცობის
ძველი მხნეობის.
როდესაც
ომი იყო დიდი
და შესაზარი. —
გიორგის კავალერი
იხსნის ჯვარს —
რომელმაც არა ერთხელ
შეახედა სიკვდილს
თვალებში,
და ამბობს:
ამასთან ერთად
ვწირავ მე მას
ძალას და ლონეს
ამიერიდან.
ტიალ მინდორში,
მატარებელი მიდის
ახალგაზრდა ქალს ჯარისკაცი
ართობს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჯაროდ
აძლევს მას საჩუქრად
ვერცხლისფერ ბეჭედს.
კარგად ვერ ვარჩევ:
მუქარაა თუ საჩუქარი.
მიდის მატარებელი;
მათხოვარი
ხმამაღლა ლაპარაკობს
რომელიღაც დღესასწაულზე
კალუგის გუბერნიაში.
ქადაგებს მამაშვილობას
და სამაგიერო ზეციერ სიხარულს.
ყურს უგდებენ ქალები
მოწიწებით და პირჯვარის წერით.
ხანდახან
გაისმის სიმღერა
უფრო კი წყევლა
და გინება
რუსული ტონით,
თითქო ყველა უგვაროა
უნათესავო,
არვის ჰქონია უზრუნველი
ძილი,
ბავშური სიცილი,
პირველი ნახვა
ნაზი ქორწილის.
არ ისმის სიმღერის სიტყვები
ისმის ელეგია.
უბოლოო ღამე ცას შელეკია
მესმის რულში
მატარებლის
რა-რა-რა-რა-რა-რა-რა.
არა რა ბედს
არარარა, არარა.
ძველი გული
ერთხელ გაიბზარა-რა
არარარა, არარა...
შეკრებულება
რაღაცას დავობს,
რაღაცას ჩხუბობს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საშინელი ვიწროობაა.
აწვებიან ერთმანეთს
თითქო სამსახურისთვის
გულმოდგინეობა იყოს.
შეუბრალებლად.
დაიწით—გაისმის ხმა —
ბავში იჭყლიტება.
არავინაც არ დაიწევს
გზა არსად არის.
მისდევენ ვერსებს ვერსები
რელსებს რელსები
ეალერსება
ღამემ უსაზღვრო
გაშალა სილრმე —
. . . . . .
ფიქრობ
ამბობს ვილაცა:
ქვეყანა კიდევ უფრო დაიმშევა,
უფრო გაძლიერდება სიმწარე.
დაეკარგება სინდისს ფასი.
ღვთიური ყველაფერი დაიკარგება,
დაინგრევა ყოველივე წმინდა
საქვეყნო წყევლათ.
მაშინ
როცა ბრწყინვალე ფრინველი,
მზე ამოვა და დაინახავს
განადგურებას.
როცა მაღალი და დიდი
მზე ამოვა.
გამოჩენილი
ეხლა ვინ არის?
ძველი —
რომელია?
წყნარი —
თქვენს შორის არის ვინმე?
მშვიდი —
ეხლა მხოლოდ ცხვრები არიან.
როგორც სჩანს ეხლა ყველა
მხნე და მამაცია.
ყველა თავისებურად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძლიერია.
უსუსურიც კი
ლონიერია.
ნეტავი
იყოს სადმე ასეთი გამბედავი.
როგორც ეს რუსის კაცი
მეტად მართალი —
წინად კი თითქო იყო მხდალი
და უბედური.
მაგრამ დასძახეს
მძლავრი და სასტიკი:
აღსდეგ.
რუსეთი დაიძრა
მომთმენი, ზარმაცი რუსეთი.
დამნაშავე რუსეთი.
ავადმყოფი, ცოცხალ-მკვდარი
რუსეთი დგება.
ჩემს ახლო
დგას ჯარისკაცი
უფერული,
გამხდარი
პაჭუა ცხვირით.
როდესაც რამეს ეკითხებიან
ბლუდ უპასუხებს —
სჩანს — ენა ჩლიგია.
საერთოდ
მუნჯივითა დგას.
მე ვაკვირდები:
მას არ აქვს
ცალი თვალი —
ის ცალი თვალიც
ბრუკიანია,
ელამი.
იგი პირ-ნაყვავილარია
წარბები
მუდამ შეჭმუხვნილი აქვს.
უცებ მისი ფარაჯიდან
ზედ გულთან
წითელი ვარდივით
იშლება სისხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სისხლი“ ვამბობ მე
„სისხლი“ ამხანაგო...
მან გულზე დაიხედა
და მოინდომა
მატარებლიდან გადავარდნა.
ის არ გაუშვეს...
ეუბნებოდენ:
შენ ალბად
დაჭრილი ხარ,
გულთან.
უხსნიან ფარაჯას...
მას! უბეში უპოვეს
ულამაზესი ქალის ხელი
მაჯაში გადაჭრილი.
თითებზე ოქროს ბეჭდებით.
ბრილიანტებით...
„მკვლელი... ავაზაკი!
სიკვდილი მაგას“.
ასწიეს, სცემეს
მიასიკვდილეს
და გადისროლეს.
წვერმოპარსული
სპარსელი —
მსგავსი მის გვერდით მდგომ
ოსმალელის
ბალღის ენერგიით
სდგას.
თავისუფალი ზავით
გერმანელი ტყვე,
ამ მატარებლით პეტერბურგ'ში
მიემგზავრება;
მას ცისფერი თვალები აქვს.
სწევს სიგარას.
შეუმჩნევლად სიგარიდან
ცეცხლი მოსდებია
ოსმალელის ქუდს,
ქუდიდან ტანთსაცმელს...
დამწვარის სუნია...
რალაცა იწვის.
ოსმალელს

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მატარებელში მოედო ცეცხლი
და რომ ამ ცეცხლით
გადაიწვას
მთელი ახია
მოჰკიდეს მას ხელი
და გადისროლეს მატარებლიდან.
მიდის მატარებელი.
ტყიანი ველიდან
თოვლიან მინდვრებზე
ვაკე ადგილებზე,
გადადის ღრმა ხევებზე,
უვლის ციცაბო გზებით,
ღრანტეებს.
ვიწრო ხეობიდან.
განიერ სოფელზე
გრძელი გზით.
დანგრეული სადგურები.
ფრთამომტვრეული წისქვილები.
მოსჩანს ოქროსფერი გუმბათები
ეკლესიების.
ტყვიისფერი ცა ნათლდება.
ნათლდებიან ხის კენწეროები.
ფეოდალური სასახლის სადლაცა,
უძველესი კედლები
ისევ დარჩენილა.
მჭრელი და ბასრი ზარის ხმა
არყევს ჰაერს.
სხვილი ქალი
ჰყიდის მზისუმზირას.
სადგურიდან
ტანით შუათანა
მოგვდევს სატანა
წვრილმანი საქმე:
სახურავებიდან
გადმოცვენილან
მძინარე ჯარისკაცები
და დამსხვრეულან.
მატარებელი
ისევ მიდის...
უეცრად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ გაჩერდა...
მაბლობელი ტყიდან
გამოდის ყაჩაღების
მთელი ბრბო
ასტეხეს სროლა...
დაიწყეს ძარცვა
წინა ხაზიდან.
მიაქვთ
ქერენკები,
საათები ოქროსი,
ბეჭდები,
ფართლები.
ისინი
ძარცვავდენ მატარებელს
მთელი საათის
განმავლობაში.
უეცრად გვერდიდან
გამოვარდა
შეიარაღებული რაზმი.
ყაჩაღებმა ეს დაინახეს
მიატოვეს ძარცვა.
ჩასაფრდენ ტყეში.
ისმოდა სროლის ხმა
ცარიელ ჰაერში;
მაგრამ ტალახიანი ცა —
გამოიდარებს. —
დიდიხნის,
ძველი,
გაღარიბებული და ტკბილი
მოხუცი
ილიმება ამ აზრის გაფიქრებისას
ცივი,
გაყინული ცხენოსანი
თოფით მხარზე მიეშურება გზაზე.
უთუოდ აჩენს
ახალ ცეცხლებს
და ბარიკადებს.
ხარბი, გაუმაძღარი თვალები
გამოხატავს საშინელ შიმშილს,
გლეხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედიდურათ აზის
პურით სავსე ტომარას,
და მას უცქერიან
მწყურვალე თვალებით.
მაგრამ აჰა გაისმის
ხმა-მაღალი,
ხრიწინიანი,
უიმედო კივილი
მატარებლის.
აი პიტერიც!
გაფითრებული
მთვრალივით, რეტდასხმული,
შეჩვეული უსიხარულო
მორჩილებას,
დარღვეული და მძინარე
ჩერდება იგი
როგორც გიდრა
სადგურის წინ...
გადაწყდა სადავო საკითხები.
გადადიან მგზავრები
ჯგუფდებიან სადგურის ბაქანზე.
სადაც მათ კიდევ ხვდება
სხვა ათასი
მოფუსფუსე, მოხეტიალე.
სალამო ხანია.
პეტერბურგია.
„ათი დღე,
რამაც შესძრა კაცობრიობა“
განვლილია.
მაგრამ ჯერ ისევ სჩანს
უზარმაზარი
პლაკატი
„მთელი ძალა-უფლება
დამფუძნებელ კრებას“.
ო, რა თქმა უნდა
მე არ მელოდენ,
როცა სისწრაფით
ვეშურებოდი საქართველოდან.
ის მოდიოდა
ნიუორკიდან —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნამდვილი ჯონი.
ჩვენ შევხვდით—
როცა იგრძნეს ბორკილი -
და ნგრევის დრონი.
როცა მასსები
გადავარდნენ
ცხარე ბრძოლაში.
ჩვენ ერთად ვიყავით.
გარეკეს ბურუსი
ჩვენ ერთად ვიყავით.
აშენებდენ ბარიკადებს
ჩვენ ერთად ვიყავით.
უფრო წინად კი
ჩვენ დავესწარით
რევოლიუციის მსხვერპლთა
დასაფლავებას.
ყველაფერი დასრულდა.
და აი:
გამჭვირვალე პეიზაჟზე
რალაც უცხო ამბავი
იწვევს ნისლიან
შებინდებულ მირაჟს
მწუხარებისას.
წითელი მოედანი.
სადაც განისვენებს
ჯონ რიდი —
პოეტი რევოლიუციის,
დელეგატი
III ინტერნაციონალის. —
პიროვნება,
რომელთან ერთად განვიცადე
რევოლიუცია...
მთელი სიმწარე მოვლენების
და მთელი სიტკბო
რომ ეს სტიქია
უჩემოდ არ ჩატარებულა...
ო, რა თამამად
ცეცხლისკენ ვვლიდი—
. . . . . .
ჯონ რიდი
პოეტი რევოლიუციის...
დელეგატი
ინტერნაციონალის.

7 ივლისი.

პოლიკარპ კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი დაფები

მისტერია სამ მოქმედებათ

მოქმედნი პირნი:

პირველი ძმა
მეორე ძმა
მესამე ძმა
მეოთხე ძმა
პირველი ქალი
მეორე ქალი
მესამე ქალი
მეოთხე ქალი

მოქმედება პირველი

(უდაბურ ტყეში სდგას სასახლე. სასახლის ძველი კედლები შემოსილია ხავსით და დაბალ მცენარეულობით. სცენის უდიდესი ნაწილი უკავია აივანს, რომლიდანაც ოთხი კარია სასახლეში შესასვლელი. ისმის სიტყვა „ალიონია". გაიღება კარები და თითო კარიდან თითო შეიარაღებული ვაჟკაცი გამოდის).

პირველი ძმა

ალიონია შევისხით იარაღი, არ ვლალატობთ ფიცს.

მეორე ძმა

მივდივართ საძებრად.

მესამე ძმა

მე წუხელის მეხმა გამაღვიძა, მერე ძილი გამიტყდა.

მეოთხე ძმა

მე სულაც არ მიძინია. ეჰ,—ყოველ დილას ალიონზე გამოვდივართ ოთხი ძმა ამ სასახლიდან და მივდივართ საძებრად ცალკ-ცალკე, ქვეყნის ოთხ მხარეს, მაგრამ საღამოს ყოველთვის ხელცარიელები ვბრუნდებით სასახლეში.

პირველი ძმა

ჩვენი მამა იყო ჯადოქარი. ის სთესდა სოფელში ავ ზნეს და კიდეც ექიმობდა. მას კლანჭებში ეჭირა სოფელი. მასთან მოჰყავდათ საექიმოთ შეშლილები და შეყვარებულები. ერთ დღეს გაზაფხულის მდინარესავით ადგა სოფელი, მოიყარა სიბრაზის დორბლი და მოგვიკლა მამა. ჩვენ კი პატარები გასაზრდელად აგვიყვანა სოფელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ძმა

ჩვენს სოფელში იყო ძველი დაფები. მაღალი ზნეობა ეწერა დაფებზე.

მესამე ძმა

ჩვენ გულმოდგინეთ წავიკითხეთ კანონები ძველ დაფებზე.

მეოთხე ძმა

ვისწავლეთ ყველაფერი რაც ძველ დაფებზე ეწერა.

პირველი ძმა

წამოვიზარდეთ, შეუდექით ნამუსიან ცხოვრებას.

მეორე ძმა

მაგრამ სოფელი უზნეო იყო.

მესამე ძმა

ჩვენ სიყვარულის ანთებით მივდიოდით ~~გაჭირვებულთა~~ საშველებლად, მაგრამ დაცინვა გველობებოდა წინ და ბავშვის კუბოს გვაწოდებდა ყველა სიწმინდის დასამარხავად.

მეოთხე ძმა

ადამიანებს დარაჯობდნენ გალესილი ხანჯლები, ითესებოდა ღვარძლი, მშვიდათ იზრდებოდა მხოლოდ ღვდლების მუცლები.

პირველი ძმა

სიყვარულის ალით მოდებულმა რა მივიღეთ ქალწულებისაგან.

მეორე ძმა

გადმოგდებული ენა!

მესამე ძმა

ეს იყო პასუხი!..

მეოთხე ძმა

მაგრამ ვიცოდით, რომ არსებობს ცხოვრება შორეული, სადაც ხეებს ალმასის კაკლები გამოაქვთ ნაყოფებათ და ჩიტები ფირუზებს სდებენ ბუდეებში მზისუნახავის შუშაბანდზე.

პირველი ძმა

ვიცოდით: ტყეში ამოდიან და პატარა ცეცხლის ენებივით ელავენ ისეთი ყვავილები, რომელთ წინაშე სჭკნება მუხა... (მნიშვნელოვანათ) აგრეთვე ყვავიან ტყის ქალები...

მეორე ძმა

ჯადოქარ მამის სისხლი აინძრა ჩვენს ძარღვებში!

მესამე ძმა

მოვინდომეთ თავისულება.

მეოთხე ძმა

ჩვენი ცხოვრება.

პირველი ძმა

წამოვედით.

მეორე ძმა

ვიარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ძმა

ვნახეთ სასახლე ტყეში.

მეოთხე ძმა

ყოველ დილას გამოვდივართ სასახლიდან ოთხი ძმა და მივდივართ ცალ-ცალკე ქვეყნის ოთხ მხარეს.

პირველი ძმა

ჩვენი იარაღი სადაცაა ლესვით მოილევა

მეორე ძმა

მოილევა რკინა და გული მოლოდინით.

მესამე ძმა

წუხელის მთელი ქვეყნის ღამე იდვა ჩემს შუბლზე.

მეოთხე ძმა

ყოველ დღე დავდივართ, ვარღვევთ გვირაბებს. ჩვენი მხედველობა წურ-ბელასავით სწოვს ტყის ყველა კუნჭულებს, მაგრამ ტყის ქალის ლანდსაც ვერ მოეკიდა... სალამოს ვხედავდით რა წამება იყო დღის გზები.

მეორე ძმა

სადამდე ვეძიოთ—ვკითხულობდი, ჩემი კითხვა იყო როგორც მეხი უდაბნოში.

პირველი ძმა

ტანიდან ეკლებს ვიღებთ და ვწვებით.

მესამე ძმა

სადამდე!

(ისმის გრგვინვა).

მეოთხე ძმა

ავდარია.

პირველი ძმა

ვინ ამოსწვა ტყის ქალის კვალი.

მეორე ძმა

ამ ტყეში არის მხოლოდ ცარიელი სასახლე.

მესამე ძმა

დრო მიდის. გავიდეთ. მუხლები არ ისვენებენ.

(ისმის გრგვინვა და წვიმის შხაპი).

მეოთხე ძმა

დიდი წვიმის შხეილია. დავჯდეთ.

(მეორე ძმა და მესამე ძმა აპირობენ დაჯდომას).

პირველი ძმა

ტყის ქალები!

მეორე ძმა

საღ?

პირველი ძმა

ტყეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ძმა

ქარია.

პირველი ძმა

სულერთია.—წავიდეთ! (ეხება ხელით ძმებს) წავიდეთ!

მეოთხე ძმა

მაშ ისევ ძიებაა?..

პირველი ძმა

ჩვენი მოპოება ძიებაა!

მეორე ძმა (მესამე ძმას)

შენ წახვალ ჩრდილოეთით, მე სამხრეთით.

პირველი ძმა

ჩქარა!

(ყველანი გაიფანტებიან.
იმავე წუთში შემოდის ოთხი ტყის ქალი.
ისინი ღიმილით აძლევენ ერთმანეთს სალამს.
მიმოიხედავენ).

პირველი ქალი (მწუხარეთ)

ისევ ჩვენი სასახლე!

მეორე ქალი

როგორი იყო ეს ღამე?

მესამე ქალი

მოყოლად არ ღირს!

მეოთხე ქალი

მოყოლად არ ღირს!

(ისინი შეჯგუფდებიან და მოსჩანან სხვა და სხვაფერ ყვავილებისგან შეკრულ დაიგულად. დუმილია).

პირველი ქალი

ყოველ სალამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, გამოვდივართ ამ სასახლიდან ოთხი ქალი და მივდივართ ცალ-ცალკე ქვეყნის ოთხ მხარეს და, თუმცა არცერთ ღამეს არ გამოუცილებია ჩვენთვის რომელიმე წყვილი თვალით დილამდე, მაგრამ სალამოს რომ არ წავიდეთ, არ შეგვიძლია.

მეორე ქალი

ჩვენი დედა იყო ალი. ის დადიოდა მზის ქვეშ და თავის გულმკერდით ეჯიბრებოდა მზის მხურვალე სხივებს. მისი ლოყები ებრძოდა ბუზებს და თეძოები თელავდა ჭინჭრებს და ეკლებს... ამ ბრძოლაში ის დამახინჯდა, მაგრამ მას მაინც გააჩნდა ჯადო, რომლის წყალობით ის შოულობდა აუარებელ ქმრებს. ერთხელ ის შეეფეთა წმიდა ჯვარს და ცეცხლით დაიწვა. უპატრონოთ დავრჩით ჩვენ და ავიზარდერ ჩვენს ბუდეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ქალი

ჯადოთ დაგვრჩა სილამაზე.

მეოთხე ქალი

ვუვლით სილამაზეს. — ეს ჩვენი ძალაა.

პირველი ქალი

და სანახავად არ ვეკარებით მზეს, რომელიც ოუჯავს ქალის სახეს.

მეორე ქალი

ვემალებით ბუზებს და პეპლებს, რომელნიც ზუზუნებენ ლურჯი ცის ქვეშ და ეძებენ სისხლიან ლოყებს.

მესამე ქალი

დავდივართ ღამით. ჩვენი გზა ბრმაა. — არც ერთხელ არ დაგვდევნებია ვნებიანი თვალები.

მეოთხე ქალი

ხან და ხან მომელანდება ცალი თვალი... მაგრამ ის შავი ყვავილია, რომლის წვენი ამახინჯებს ქალწულის სახეს.

პირველი ქალი

როგორ უქმად ვემალებით მზეს!

მეოთხე ქალი

წუბელის არც ერთ თქვენგანს არ უნახავს კარგი ნიშანი?

მეორე ქალი

დასავლეთისკენ მივყვებოდი მნათობებს. მე ძლიერ ვმორცხვობდი, თუმცა ჩემთვის ცოტა სინათლეს იმეტებდნენ მნათობები. იყო უდაბური ტყე და მეტი არაფერი, არაფერი! ბოლოს ვინატრე, ხეს მაინც ჩადგომოდა ძარღვები და ზემომხვეოდა.

მესამე ქალი

აღმოსავლეთით შემეყარა მთვარე, ის მიყურებდა მკაფიოთ როგორც აკიელებულის თვალი. მაგრამ ბრმა ფოთლებიდან არ მიცქეროდენ თვალნი — ღმერთები. ვიმალებოდი, ვეძებდი... ბრმა უდაბურება. მე ვისროდი ქვებს, რადგან ისინი არ იყვნენ გულნი.

მეოთხე ქალი

ჩრდილოეთი იყო ავდრიანი. ჩემს ნაბიჯებს ხეები წვიმიან ტოტებს ურტყამდა. მე ვეძიე ღმერთი. ვეძიე კბილით და ფეხის თითებით ვნების ცეცხლიანი შემოხედვა. იელვა. ელვამ სისხლი ამიტოკა, თავი დავხარე და მოლოდინით ყველა ძარღვები დაგროვდა გულში. იგრიალა მეხმა, მაგრამ ის ხეზე დაეცა. აინთო ხე, მაგრამ ხეში არ იყო სისხლი. დაიწვა ხე. მაგრამ გული არ იყო ხეში!

მეორე ქალი

ასეა და ასე იქნება.

(ისმის გრგვინვა. ღრუბლებისგან ბინდდება)

პირველი ქალი

ასე არ იქნება. ერთხელ წავალთ დღით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ქალი

დაგვრუჯავს მზე.

მესამე ქალი

დააკოპებს სახეს ბუზები.

მეოთხე ქალი

მაგრამ მოვნახავთ ლონიერ მკერდს.

მეორე ქალი

მეც ვფიქრობ.

პირველი ქალი

ჩვენ ამ სასახლეში ამოვედით პატარა ბუდიდან, მაგრამ ეს სასახლეც მოზრდილ ბუდეთ გადავაქციეთ. კმარა ბუდეში ჯდომა. ჩვენ გვინდა ცხოვრება!

მეორე ქალი

ჩვენი სახეები მზის ქვეშ გავაჩეროთ მსხვერპლად, მხოლოდ ცხოვრება მოვიპოვოთ.

მესამე ქალი

წავიდეთ!

მეორე ქალი

არა, არა! სილამაზის გარეთ ჩვენ არც ვარსებობთ! ჩვენი სამყაროა ბინდი და ჩვენი ფრენაა: დამალვა. თუ არის სადმე სიყვარული, ყველა ბუჩქები გადაშალოს და ამოიწვას თვალი უძილობით.—მოგძებნონ.

მესამე ქალი

ისევ ძველი ამბავი წამოიწყე!

(ისმის გრგვინვა. ძლიერ ბინდდება)

მეოთხე ქალი

ჩემს ძარღვებში ჩუმად იღვიძებს დედის სისხლი.

პირველი ქალი

იღვიძებს დედის სისხლი. ძლივს ვაკავებთ ტანს. არ გავარდეს მზის ცხელ ველებში!

მეორე ქალი

ხედავთ მზეს ოთხ-კეცი დრუბელი ახვევია. ჰაერში მოჰქუხს წვიმა და ბუზებს მიდენის. წავიდეთ. ამ ბინდიან დღით მაინც წავიდეთ! ეგებ რომელიმე კლდეზე დაგვხვდეს მოკიაფე თვალები!

პირველი ქალი

თავდახრილია შროშანები. ნიშანია ხანგრძლივი ავდრის.

მეორე ქალი

რაწამს ასწევენ თავს შროშანები გამოვბრუნდეთ.

(ისინი აშვებულად გრძნობენ თავს და სიცილით აბრაზებენ ამინდს).

მესამე ქალი

(ამინდს აჯავრებს)

მოვდივართ!

(იწყებენ წასვლას მარცხნიდან. მარჯვნიდან ისმის ძმების ხმა)



პირველი ძმის ხმა

ცას ხუთ წყება ლრუბელი ახვევია. ბნელდება. საბრძანებელი!

მეორე ძმის ხმა

წარღვნა მოდის. ვის ვნახავთ!

მესამე ძმის ხმა

ვინც წავა შეხვდება ნიაღვარს და მეხს.

(ამოდიან მარჯვნიდან ძმები იმ დროს, როდესაც ქალები მარცხენა კიბეზე ჩადიან. ძმები უკანასკნელებს თვალს მოჰკრავენ)

პირველი ძმა

ტყის ქალები!

ყველა ძმები

ტყის ქალები!

(გარბიან ყველანი, მალე ცალკ-ცალკე შემოჰყავს თითო ძმას თითო ქალი. ქალები სავსეა შინაგანი სიხარულის სირცხვილით. კაცებს გამარჯვების ბრწყინვალე გამომეტყველებით მაგრად უპყრიათ ხელში ქალები)

პირველი ძმა

ეს არის ჩვენ-ჩვენი ბედი. ვისაც რა შეგვხვდა ბედია ჩვენი.

(დასცქერიან კაცები თავიანთ ბედს ბავშური აღტაცებით).

პირველი ძმა

ცხვირი ისეთია როგორც ლამაზი ჩიტის ნისკარტი. თვალები სანთლებია.

მეორე ძმა

ცხვირი სანთლის სალამურია. ტუჩები ჰკივიან სიწითლით, მაგრამ ყველაზე საკვირველი ფეხის ფრჩხილები აქვს (დაუსობს ხელს ფეხის თითებზე) ჰა, ჰა, ჰა! რა ვარდისფერი ფრჩხილებია, რა პატარეებია, ჰა, ჰა!

მესამე ძმა

შემობეჯდე. აი!.. ხა, ხა! რა მორცხვია! რა ოქროს ფერი თმა აქვს, წარბები! ამის წარბები წურბელებივით სრიალებენ.

მეოთხე ძმა

ისრებივით აქვს ფეხები. ისრებია ამის ხელები. თითები პატარა ისრებია.. და მთლად ამის ტანი არის როგორც ისარი. გაუშვა ხელი—როგორც შვილდიდან ისე გასხლტება. შეჰხედეთ!

მესამე ძმა (მეორეს ქალზე)

რა ტანია!

მეოთხე ძმა (მესამე ძმას)

ჰხედავ ჩემს ქალს!

მესამე ძმა

რა მშვენიერია! (ეს უთითებს თავის ქალზე) შედარებით ულამაზობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ძმა

ბრმა ხარ!

მესამე ძმა

რეგვენო, განა ამჩნევ რა დიდებაა შენს გვერდით!

მეოთხე ძმა

შენს გვერდით სდგას ქალი როგორც კომკი კანდელით. მე უნდა ვიდგე შენს ადგილას, მე უნდა ვიდგე! ო, არ მოუხედავდი არც მდინარეებს და არც მთიდან მოხეთქილ ლოდებს!.. (გატაცებით) გადამიდექით!

(ქალიც მეოთხე ძმისკენ მოიწევს მესამე ძმიდან)

პირველი ძმა (მეოთხეს)

არა! შენ გყავს შენი ქალი. აქ დამყარდეს რიგიანობა. წესრიგს ვერ გადააბიჯებ.

მეოთხე ძმა

მართალია ტყეში კი ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენ ტყის ნადირები არა ვართ. ჩვენს სოფელში იყო ძველი დაფები, რომელზედაც კანონები ეწერა, ჩვენ ვძსწავლეთ და გვახსოვს ის კანონები. რა კი ეწყობა აქ ჩვენი ცხოვრება, მოეწყობა წმინდა დაფების მაღალ ზნეობის მიხედვით. — სამართლიანად. (გაიწევა წინ და თავთავიანთ ქალებთან დააყენებს მესამე და მეოთხე ძმას) აქ გაქვავდით!

(როდესაც უკან დაიხევს შეჩერდება პირველ ძმის გვერდით ქალთან)

პირველი ძმა

ეს ჩემი ქალია!

მეორე ძმა

(დაიხევს მეორე ქალისკენ და თან აცქერდება გულის ტკივილით პირველ ქალს)

მე უყურებ ჯადო-ტაძარს! ჩემი გული ხარივით რეკავს. რეკავს წამებით. მაგ ქალის თვალები იღება როგორც ორი რგვალი ღამე... მე უნდა უდგე გვერდით. მე—და არა შენ!

პირველი ძმა

(სამაგიეროდ უცქერის მეორე ძმის ქალს).

ო, შენ ეს გირჩევნია. ცივი ქვისათვის ხავსია ყველაზედ საყვარელი. აჰა მიიღე. ის კი ჩემია. (მეორე ქალს, რომლისკენაც მიიწევს) ჩვენ შორის იქნება გრიგალის ღონიერი დატაკება და ყვავილების ჩუმი ბაასიც...

მესამე ძმა

(ენერგიულად აკავებს მეორე ძმას ადგილიდან დაძრულს)

შეჩერდი!

მეოთხე ძმა

უხნეო!

მესამე ძმა

ჩვენ ვიცით როგორ მოგეპყრათ! ჩვენ გვახსოვს რაც კანონები ეწერა ძველ დაფებზე.

მეოთხე ძმა

(ჩაერევა და თავთავის ადგილას დასწვეს პირველ ძმას, მეორე ძმას და ქალებს)

ეს ქალებიც—სჩანს ჯერ პატარა მხეცუნები არიან—გავასწორებთ!

მესამე ძმა

ჩვენ ტყეში თხის ჯოგათ არ უნდა გადავიქცეთ.

მეოთხე ძმა

დავამყარებთ კანონს. (დაიხევს უკან და დადგება მესამე ძმის ქალთან).

მესამე ძმა

რკინისებურ კანონს ზნეობის დასამკვიდრებლად რაც ეწერა დაფებზე.

პირველი ძმა

(მეოთხე ძმას)

აქ არ არის შენი ადგილი!

მეოთხე ძმა

(ეხება ხელით მესამე ძმის ქალს)

ო, დავბრუვდი ბედნიერებით!..

მეორე ძმა

(მრისხანეთ მეოთხე ძმისაკენ)

მაღალი ზნეობა!

მეოთხე ძმა

მე აქედან არ დავიძვრები.

მესამე ძმა

(მოიწევს მეოთხე ძმის ქალისკენ).

შენმა თვალებმა ჩანგალი გამოდვა ჩემს გულს.

პირველი ძმა და მეორე ძმა (იშიშვლებენ ხანჯლებს)

კანონი!

(თუ თავის ადგილას დააბრუნებენ მეოთხე ძმას და მესამე ძმას. თვითონ გაუხვევენ ერთმანეთის ქალებისაკენ).

მესამე ძმა

სად გაუხვიეთ! განა მარტო ჩემზე ავლებთ კანონის სალტეს!

პირველი ძმა

(მიუშვერს ხანჯალს)

აი, ძალა.

მესამე ძმა და მეოთხე ძმა

(იშიშვლებენ ხანჯლებს, მივარდებიან პირველ ძმას).

აი, შენი ბედი! (აიძულებენ პირველ ძმას დაბრუნდეს თავის ბედთან. მეორე ძმაც იძულებით დაიხევს მეორე ქალთან).

მეოთხე ძმა

ხსოვნაშია ჩაბეჭდილი დაფები.

(ყველანი ულერებენ ერთმანეთს ხანჯლებს, და

ყველანი ემორჩილებიან რკინას, მხოლოდ ქალებში ღვიძებს სითამამე.

პირველი ძმა

ხედავთ როგორი დაუცხრომლობით ატორტმანდენ ქალები.

მეორე ძმა

ეს მხეცუნიები... მხოლოდ ერთია მათ შორის

(მოღერებულ ხანჯლების წინაშე დადუმდება. ქალებში ღვივდება დაუდგრომლობა)

ყველა ძმები (ბრძანებით)

ქალებს მაგრად ჩასჭიდეთ ხელი.

პირველი ძმა

ნამუსის ბინა კედლებშია.

მეორე ძმა (მესამე ძმას და მეოთხე ძმას)

შედით თქვენს ოთახებში!

მესამე ძმა (პირველ ძმას და მეორე ძმას).

თქვენ შედით ოთახებში!

(ძმები მიდიან ოთახებისკენ. მაგრამ კარებთან წააწყდებიან ქალების სასტიკ წინააღმდეგობას)

პირველი ძმა (ებრძვის ქალს).

ეს მართლაც ტყის ქალია!

მეორე ძმა (ებრძვის ქალს)

ეს რა დაუდეგარია!

მესამე ძმა (უგრეხს ხელებს ქალს)

ქალი უნდა ემორჩილებოდეს კაცს.

მეოთხე ძმა (მოუჭერს ხელებს თავ-კისერზე ქალს)

ასეთია კანონი. ეს არის დაფებზე. არის კანონი.

ყველა ძმები (თან ემუქრებიან ერთმანეთს ხანჯლებით).

დაემორჩილეთ, ჩასჭიდეთ რკინის ხელები.

(ყველანი შეამწყვდევენ ქალებს ოთახებში)

ყველა ძმები (კარებთან, უკანასკნელ ნებით)

დაემორჩილეთ კანონებს. დაიპყრეთ მხეცნი. მოთრგუნეთ ქალები.

(კაცებიც შედიან ოთახებში. კარები იხურება. დუმილია. გაისმის ცემა-ტყეპანი და ქალების ზმუილი. გაიღება კარები და ერთი წუთით გამოჩნდებიან ქალები წამებული სახეებით).

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეოთხე

(პირველი ძმა მესამე ძმის კარებთან ჩამოუშვებს მხარიდან ეკლის უზარმაზარ ტვირთს და შეუდგება დაწლას. შემოდის მეორე ძმა, მოაქვს აუარებელი ყვავილები [illegible] მეოთხე ძმის კარებთან).

პირველი ძმა

შენ მაქ რა გაშალე?

მეორე ძმა

ყვავილები.

პირველი ძმა

რათა!

მეორე ძმა

მისი ფეხები გაიცლიან... და პატარა, წიწველი ფეხები მოსწოვენ ყვავილებს.

პირველი ძმა

ურიგოს ლაპარაკობ.

მეორე ძმა

პირველად შენს ბედზე დამწყდა გული მაგრამ... შემდეგ შემიყვარდა ქალი, რომელიც ამ კარებიდან გამოდი.

პირველი ძმა

როგორ! შენ რძალი შეიყვარე? მრღვეველად ევლინები ძმურ ყოფას!

მეორე ძმა

იყავი ჩემი მეგობარი, ჩემი მესაიდუმლე.

პირველი ძმა

არ შეიძლება. ვეტყვი ყველას. ყველა ძმებს.

(შლის ეკალს).

მეორე ძმა

შენ რალა მოგიტანია. მაქ რას შლი!

პირველი ძმა

ეს ეკალია.

მეორე ძმა

ეს მტრობის ნიშანია.

პირველი ძმა

პირიქით. მე სიყვარულმა მაკრეფია ეკალი. შენსავით ბოროში ნუ ვგონიავარ. — ქალი, რომელიც ამ კარებიდან გამოდის გადმოხედვით წწვავს. მე ვკბენ, სადაც ატყვია მისი ფინიანი კვალი. მე ეკალს ვშლი მის ნაბიჯებისთვის, რომ უძილო ღამის სასტუმალად დავიდვა სისხლით გაწითლებული ეკლები.

მეორე ძმა

ჰოო, საშინელება!

პირველი ძმა

ვერ გამიგე!

მეორე ძმა

ვხედავ რა გველად სრიალობ ძმის კარებთან. ვხედავ და უნდა ვიყვირო: პატიოსანო ძმებო გველს თავი გაუჩეჩქვით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი ძმა

მერე, სათნოება, ადამიანი და სიბრალული?

მეორე ძმა

აქ დაზოგვა არ შეიძლება.

პირველი ძმა

განა შენი მრუში ხელები არ შლიდენ ამ ყვავილებს! განა შენმა გახრწნილმა გულმა მატლებათ არ დაჰყარა ესენი! მე დაუძახებ ძმებს, ვეტყვი აქ გაგრისხონ.

მეორე ძმა

ოო, შენ მამუნჯებ. ჩვენი ყოფის დაცვის საშუალებას მართმევ. ოო, ეს აუტანელია. შენ მტერი ხარ როგორც ის... (ქშენით) ვინც გველივით ხრავს და შხამავს ჩემს არსებობას.

პირველი ძმა

შავ განზრაახვებს მიმხელ და ენასაც მჭრი. შენზე ვიძიებ შურს... როგორც მასზე, ვინც სიცოცხლეს მართმევს და სჯიჯგნის.

(ბრაზით დაკაკლულ თვალებით შედიან ძმები თავიანთ ოთახებში. გამოდის მესამე ქალი და მეოთხე ქალი. მესამე ქალი ანთებით უცქერის ეკლებს, და დადის ზედ და ურტყამს ფეხს).

მეოთხე ქალი (გაიარს ვარდებზე)

მე დავდივარ ვარდებზე, მაგრამ ცრემლებით ვდუღრაავ ჩემს გზას.

მესამე ქალი

აუტანელია!

მეოთხე ქალი

გეტყვი ჩემს საიდუმლოს.

მესამე ქალი

მითხარი, ო, მითხარი რამე!

მეოთხე ქალი

ჩემი კაცის ხელები რკინის სალტეა. გადმომიყრის ყვავილებს საყვარელი... მაგრამ საყვარლის მუხლებზე კანონით თითქო თოკით დაუბამთ მეორე ქალი. მე მინდა დავდუღრო ის ქალი ან მოვიხრჩო თავი.

მესამე ქალი

ორგულო. ყოფის მოლალატევ. დასაც არ ინდობს შენი შხამი!

მეოთხე ქალი

ო, ვერ გამიგე!

მესამე ქალი

გასაგები ჩემი სიყვარულია. შენსავით ვარდებზე არ მიდგას ფეხი. შემჯაჭვა ყოფამ. მთელი ტანით ვიწევი საყვარლისკენ და ჯაჭვებში ირეჯგვება გული. საყვარლის თვალები წურბლებივით სწოვენ ჩემს სხეულს. ის შესვრის ეკლებს. მე სისხლის თაიგულად უბრუნებ. მას საბელივით მოხვევია კისერზე პირველი და. ო, მე მინდა გადავიქცე დანათ. გადაეჭრა საბელი და კანონის სახრჩობელიდან ჩამოვხსნა სიყვარული.

მეოთხე ქალი

შენი სიყვარული ეკალი და სისხლია, შენ ბოროტი ხარ. შენზე ადრე ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებად შავი ყვავილები იქნებიან. ისინი გამოიღებენ შხამს, რომლითაც დავდულრავ მტერს.

მესამე ქალი

შენ ბუზი ხარ. ყვავილები ეძიე. უმწვავეს შხამს მე მოვნახავ და დავწვავ ქალს, რომელიც საყვარელს მართმევს.

(ქალები შედიან თავ-თავის ოთახებში. შემოდის მესამე ძმა. შემოაქვს ლოდი და დასდებს პირველი ძმის კარებთან. ღრმად ითქვამს სულს. შემოდის მეოთხე ძმა, მოაქვს ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც ააყუდებს მეორე ძმის კარებთან.

მეოთხე ძმა

შენ გინდა ლოდით ამორაგვო ძმის კარები? არ შეიძლება. ჩვენ გვაქვს კანონი. ძველი დაკვებიდან ხსოვნაში ჩაბეჭდილი კანონი.

მესამე ძმა

გაიგე ჩემი დუღილი. ამ კარებიდან გამოდის ქალი. მისი აშოლტილი ტანის სიგრძეზე ვნების სიმივით დაჭიმულა ძარღვი. როგორც ალხში ავარდნილი გველი იკლაქნება ის, როდესაც მე დამინახავს. მე ვდებ მის კარებთან ლოდს. ალმოდებულ ძარღვებით შემოეკვრება იგი ცივ ლოდს, მე კი შორიდან უყურებ და ვძრწი რადგან ლოდი არა ვარ.

მეოთხე ძმა

ცოდვა აგდუღებია. გახელებულხარ. შენს მოსათრგუნად ჩვენ მოვიტანთ შხვერთებს და შოლტებს.

(გაასწორებს ჩონჩხს მეორე ძმის კარზე).

მესამე ძმა

ეს რა სიკვდილი აგიმართავს ძმის კარზე,—შენ გინდა შეშალო ძმა?

მეოთხე ძმა

ჩემი სიყვარული სიკვდილივით ულმობელია. მძიმეთ დააწვა ძმა, ოთახი, კანონი ჩვენ შორის გაბმულ გრძნობას და წამებამ ცარცივით გამოახმო ჩვენი სახეები. არ არის ხსნა და უშიშრად უყურებთ სიკვდილს. იქ ჩონჩხების ტყეში არ ჩამოდის სიყვარული ქარცეცხლით და კანონი ხანჯლებით.

მესამე ძმა

გაგშოლტავთ ძმები! ოჯახურ ყოფის მრღვეველისთვის, ხნეობის შემლახველისთვის ულმობელია ჩვენი კანონი. შენ ძარღვებში გიდგას შხამი, მაგრამ ჩვენ ხანჯლებით დაგიხსნით ძარღვებს. მე ვეძახი ძმებს.

მეოთხე ძმა

ისინი დაინახავენ შენი მხარით ამოტანილ ლოდს!

მესამე ძმა

საზიზღარი!

(ბრაზით შედიან ძმები ოთახებში. გამოდიან პირველი ქალი და მეორე ქალი.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქალი

(შემკრთალი)

რად ატუზულა შენს კარებზე სიკვდილი!

მეორე ქალი

გაგანდობ. ჩემი სიყვარული მეოთხე ძმასთანაა. მაგრამ ჩვენ შორის აიმარ-
თენ მაღალი დაფები და თიკრებს ყვავებივით მიაქვთ გულის ნაგლეჯები.. ეს სი-
კვდილი საყვარლის თვალებიდან მოდის.

პირველი ქალი

სიყვარულს შენ სიკვდილის ძვლებში ხვევ—ეს უზნეობაა. მე ვიცი რა
არის სიყვარული. მან ჩემი სუნთქვა გადააქცია ცხენის ფრუტუნათ! და არ არის
ძილი, როდესაც საყვარლის გვერდით ცოლად ვხედავ მესამე ქალს. საყვარელი
სისხლს მიხურებს და მე ვასკდები ცივ ლოდებს და არ არის ძილი. არ იქნება
მოსვენება, სანამ მესამე ქალს არ მოვდულრავ სახეს.

მეორე ქალი

მე ავაცდენ განსაცდელს მესამე ქალს. სულ სხვაა მეოთხე ქალი, ის ჩემს
საყვარელს მხუთავად აწევს.

(იღება ოთხივე კარები. ქალები შესწყვეტენ
ლაპარაკს და შედიან ოთახებში, ოთხივე კა-
რებიდან გამოდიან ძმები. ისინი შეიარაღე-
ბული არიან. ხელში უჭირავთ ამოწეული ხან-
ჯლები).

პირველი ძმა

თქვენც დაგილესიათ ხანჯლები.

მეორე ძმა

გიწვეტებიათ ისრები.

მესამე ძმა

როგორ მოკუმული გაქვთ ტუჩები.

მეოთხე ძმა

თქვენს თვალებში სისხლის წყურვილი ელავს წვეთად.

მეორე ძმა

უნდა მოვკლათ ნადირი.

მესამე ძმა

ნადირი...

(ეხება ხანჯლის წვერით პირველ ძმას)

მეოთხე ძმა

(მესამე ძმას)

დასწიე ხანჯალი! ვიცი რაც გიძევს გულში.

მეორე ძმა

გულში არის წყურვილი

(ეხება ხანჯლის წვერით მეოთხე ძმას).

პირველი ძმა

(მეორე ძმას)

დასწიე ხანჯალი! ვიცი გველი გიძევს გულში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ძმა

წავიდეთ იქ, ტყეში. მოვკლათ ნადირი.

(ეხება ხანჯლით მეორე ძმას)

მესამე ძმა

(მეოთხე ძმას)

დაუშვი ხანჯალი!

პირველი ძმა

ჩააგეთ ყველამ ხანჯლები.

მეორე ძმა

ერთ ძმას წყურია ძმის სისხლი.

(ყველა ძმები უთითებენ ერთმანეთზე)

იმას!

პირველი ძმა

ჩააგეთ ხანჯლები!

(ძმები ჩააგებენ ხანჯლებს. შორდებიან ერთმანეთს. მოიხედავენ, დაჭიმავენ შვილდებს და დაუმიზნებენ ერთმანეთს ისრებს).

მეორე ძმა

მიზანი მაღალია.

ყველა ძმები

(ერიდებიან დამიზნებულ ისრებს).

დაუშვით ძირს შვილდები!
დასწიეთ ძირს!
ისრები!

(ყელანი ძირს დასწევენ შვილდ-ისრებს).

პირველი ძმა

წადით ცალ ცალკე.

მეორე ძმა

მე თქვენთან წამოვალ. რადგან იქ, ტყეში, იქნება ერთი საზიზღარი ნადირი.

მესამე ძმა

მე არ მოვშორდები იმ ნადირს.

მეოთხე ძმა

მეც არ მოვშორდები.

(მიდიან ყველანი. ოთხივ კარები გაიღება. გამოდიან ქალები თიხის სარწყულეებით).

პირველი ქალი (მესამე ქალს)

გახსოვს, ყვავილებიდან ვაგროვებდით ნამს და ვთაეაზობდით ერთმანეთს პირის დასაბანათ!

მესამე ქალი

მახსოვს. იმიტომ მოვაგროვე შენთვის ნამი.

მეორე ქალი (მეოთხე ქალს).

შენთვის ყვავილების ნამი მოვაგროვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ქალი

მეც. აი!

ყველა ქალები

(ჩაჰხედავენ ერთმანეთს სარკეში).

იქ შხამია!

პირველი ქალი

შხამი, რომელიც ცეცხლივით დაწვავს ქალის სახეს.

მეორე ქალი

შხამი, რომელიც ქერქს გადააკრავს სახეს.

მესამე ქალი

ეს არის ცეცხლის სითხე.

მეოთხე ქალი

მოსძოვს სახიდან სილამაზეს.

პირველი ქალი (მესამე ქალს).

შენ უნდა დაგბანო პირი ამ საღამოს.

მესამე ქალი

შენ უნდა დაიბანო პირი ჩემს მიერ გამზადებულ ნამით.

მეორე ქალი (მეოთხე ქალს)

მე შენი სახისთვის დავამზადე ეს ნამი.

მეოთხე ქალი

მეც დაგიმზადე სამაგიეროო.

(ისმის იარაღის ჩხარუნი და გმინვა. ქალები წაიწევიან და იცქირებიან საიდანაც ხმა ისმის).

პირველი ქალი

ო, ის არა სჩანს!

მეორე ქალი

სჩანს მხოლოდ მტვერი მეტი არაფერი.

მესამე ქალი

ალბად ისინი იბრძვიან.

მეოთხე ქალი

ო, გააფთრებული ბრძოლაა.

(ქალები გადახედავენ ერთმანეთს).

პირველი ქალი (მესამე ქალს)

შენ დაგბან მე მაგ ლამაზ სახეს.

მესამე ქალი

ვნახოდ ვისი სახე უფრო სუფთად დაიბანება.

მეორე ქალი(მეოთხე ქალს).

ნუ მიგეჩქარება სანამ არ იგემებ ჩემგან გრილ ნამს.

მეოთხე ქალი

მე არ გავდგამ ნაბიჯს აქედან, სანამ შენს სახეს არ დავშხეფავ ჩემი სარწყულიდან ამოღებულ შხამით.

(მოისმის შორიდან ბარბარეს ჩხარუნი და გმინვა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქალი

პატიოსანი მტრები ერთმანეთს არ ემალებიან.

მესამე ქალი

მართალია!

მეორე ქალი

მართალია!

მეოთხე ქალი

მართალია!

პირველი ქალი

ვნახოთ ვისი შხამი იქნება უფრო მწვავე, ჩემი თუ თქვენი!

(გამარჯვებულ მტარვალთა საშინელ სიცილით იცინიან დები და მიდიან თავ-თავის სარწყულებთან).

(ფ ა რ დ ა)

მოქმედება მესამე

(ნანგრევი ტაძარი. ისპოლინური დაკოჭილი მცენარეები. აქა იქ [illegible] ბოსტნეულის და ხავსიან დაფების ნაშთია. ღამდება. ისმის სიტყვა „მოვალწიეთ“. გამოდის [illegible] ძმა. მათი მხედველობა ჩაეჭიდებია ნანგრევებს).

პირველი ძმა

ჩვენს სოფელში იყო დაფები და ზედ კანონები ეწერა.

მეორე ძმა

როდესაც მოვშორდი სოფელს ჩვენ მოგვქონდა ის დაფები ხსოვნაში ჩაჭედილი.

ესამე ძმა

გულით დაგვქონდა. ჩვენი სახის ყოველი ხაზი იმ დაფების წარწერა იყო.

მეოთხე ძმა

ასე მივდიოდით ჩვენ თავისუფალ ცხოვრებისაკენ.

პირველი ძმა

დიდხანს ვიცხოვრეთ ტყეში და გამრუდდა გონება.

მესამე ძმა

ერთმანეთს შუბლები დაუხვრიტეთ ისრებით.

პირველი ძმა

სად არის ჩვენი ხანჯლები?

მეორე ძმა

ხანჯლებმა დაგვიფლითა მკერდები.

მესამე ძმა

გაძლენ სისხლით და გაცვინდენ ხელებიდან.

მეოთხე ძმა

სისხლისაგან დაცლილებმა ვიცანით ძმების თვალები.

(მათი მზედველობა ისევ ჩაეჭიდება ნანგრევებს).

პირველი ძმა

ჩვენს სოფელში იყო დაფები და აქაც არის.

მეორე ძმა

წაიკითხეთ ყველამ დაფები.

(ანთებენ კვარებს, მივლენ ნანგრევების შესავალში და ძირს კითხულობენ)

პირველი ძმა (ამოიკითხავს)

როდესაც ბრძოლაში გაწყდა მცხოვრებლები და ერთი არ დარჩა დამცველი ამ წმინდა დაფების, მაშინ შემოვიდა მტერი რკინის ურდოებით და შვიდ ღამეს აგრიალა ცეცხლი ზღვასავით. მტერი წავიდა. დარჩა უდაბნო და კანონების ძველი დაფები.

მეორე ძმა

ასე იცავდენ გმირები თავის წმიდათა წმიდას.

მესამე ძმა

ჩვენ გამოვიქეცით სოფლიდან, რომ უფრო წმინდა [illegible] ცხოვრება მაღალი ზნეობა, მოვშორებოდით გახრწნილ მცხოვრებლებს [illegible] ჩვენთვის თავისუფლად. საკუთრად მოგვეწყო ცხოვრება.

მეოთხე ძმა

მოგვქონდა ხსოვნაში ჩაჭედილი დაფები.

პირველი ძმა

მაგრამ ხსოვნაში შეიშალა ბეჭდები და ჩვენ მივადექით უფსკრულს პირის პირ.

მეორე ძმა

დავიართ ამ ნანგრევებს და ისევ ავაყენებთ ხსოვნაში დაფებს.

(ისინი ანთებულ კვარებით დადიან სვეტებ შორის და კითხულობენ დაფებზე).

მეორე ძმა

თქვენ კითხულობთ?

მესამე ძმა

ვკითხულობ.

(კანკალით დადიან და კითხულობენ).

პირველი ძმა

ჩვენ ყოველთვის ასე ვფიქრობდით.

(მოისმის ქალების კივილი შორიდან).

მესამე ძმა

ასე იდგა დაფები ჩვენს ხსოვნაშიც.

მეოთხე ძმა

იგივეა აქაც.

(მიდიან სხვა და სხვა დაფებთან და კანკალით შორდებიან).

პირველი ძმა

ასეთია ზნეობა და უნდა იქნას დაცული ბოლომდე.

მესამე ძმა

დახურულ კარებში ჩუმად ხანჯალს ვინ ლესავდა?

მეოთხე ძმა

ამისთვის ღირსი ხარ სიკვდილის.

პირველი ძმა

შენ ძმის მოკვლა გინდოდა, რომ რძალი დაგესაკუთრებია.

მეორე ძმა

ვინ ღალატობდა ოჯახს, ყოფას?

მესამე ძმა

ოო, იარაღი! ეს დაჭრილი მკლავი კიდევ დაემსახურება დაფებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ძმა

ჩვენ ხანჯლებმა დაგვიფლითა მკერდები, მაგრამ გულამდე ვერ მიაღწია.

მეორე ძმა

რკინა ისევ მოინახება.

მეოთხე ძმა

შენი დაჭრილი მკერდიდან ცოდვით სავსე გული არსად გაიქცევა.

პირველი ძმა

ძველი დაფები ისევ რკინას მაძებნიებს, მაგრამ ჭრილობამ დამასუსტა.

მეორე ძმა

ტკივილებმა შვილდივით მომლუნა... მაგრამ დაჭრილ-დასახიჩრებულნო, თქვენდამი სიბრალულიც შევიდა გულში!

მესამე ძმა

კანონი უნდა იყოს სიყვარულზე ძლიერი.

მეოთხე ძმა

სისწორეა.

მეორე ძმა

ამ სისწორით უფსკრულში ვიჩეხებით.

პირველი ძმა

ეს ასეა. გმირის ნაბიჯების წინაშე სიკვდილი ამართულია კალამივით.

მეორე ძმა

რაა ყოფა, რომელიც ყოფნას სპობს.

მესამე ძმა

არ შეიძლება სხვა ფიქრი, როდესაც შენს წინაშე გაშლილია კანონების დაფები.

მეოთხე ძმა

მაინც მებრალებით...

პირველი ძმა

ჩემი ხელები ვერ სწევენ რკინას.

მეორე ძმა

ო, ეს ხელი ვერ შეატრიალებს ხანჯალს თქვენს დაჭრილ გულებში!..

მესამე ძმა

არ არის ძალა.

მეოთხე ძმა

ბნელდება თვალებში...

(ისინი ნანგრევებიდან გამოდიან ბარბაცით ხელებიდან გასცვივდებათ სანთლები და წაიქცევიან სიბნელეში. ახლო ისმის ქალების კივილი.)

პირველი ძმა

მისი ხმა. ხმა კივილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ძმა

კლდეს ხვრეტს მისი კივილი.

მესამე ძმა

რად მოდიან ისინი გრიალით, რად მოიხეთქენ გულს!

(შემოდის ოთხი ქალი შემზარავი კივილით)

მეოთხე ძმა

ჩვენ ყველანი აქ ვართ! ვის უკივით ასე შეზარებულად!

(ქალები შეკრთებიან, დაიხევენ და გაშეშდებიან.)

პირველი ძმა

ძლივს გაგარჩიე, როგორ ბნელა!

მეორე ძმა

რად ავარდნილხარ და ჰკივი ქარივით!

პირველი ქალი

ჩვენ მივიღეთ წამება!

მეორე ქალი

ყველაფერი გავიღეთ მსხვერპლად. მთელი სილამაზე მივეცით!

მესამე ქალი

მივეცით ჩვენი სახე და შემთხვევით ცოდან რომ მოვიდეს ღიმილი, არა გვაქვს ბინა დაეიყენოთ...

მეოთხე ქალი

სახის მაგიერ დახსნილ ხორცის ნაფლეთებია და ტკივილები, წვა!

პირველი ძმა

რად მიატოვეთ სასახლე ტყეში!

მეორე ძმა

ჩვენ დავიგვიანეთ?

მესამე ძმა

და თქვენ დაგვიწყეთ ძებნა.

პირველი ქალი.

ჩვენ შევიშალეთ!

პირველი ძმა

როგორ მოშორებით იკლაკნებით!

ქალები (ქვითინით)

ჩვენ შევიშალეთ!

მეორე ძმა

შეშინდით? ჩვენ გაბოროტებულნი ვეშვებოდით სასახლის ციბეებიდან და გველებივით დავსისინებდით ერთმანეთს. თქვენ ეს დაინახეთ? შემდეგ დიდხანს გესმოდათ ხანჯლების ჩხარუნი? მოლოდინი მრისხანე იყო... როდესაც დაღამდა თქვენ დაგესიზმრათ სისხლით მოტბარული მინდორი და ზედ გაწყობილი ცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლრები? ძლიერ შეშინდით? ჩვენ სისხლში ვწევართ, მართალია, [illegible] ცხედრები არა ვართ!

პირველი ქალი

რას ამბობენ ესენი!

მესამე ძმა

შენი შეკითხვა გავიგონე. შენი ხმა ხანჯლის წკრიალზე სუფთაა, კანონზე უფრო ძლიერია.

მეორე ქალი

ვინა ხართ! ვინ გადაგველობა!

მეოთხე ძმა

ეს შენი ხმაა? ეს შენა ხარ! მოდი, შენი ხელი დამედება გულზე კანონის დაფასავით. შენი ხელის ყოველი თითი იქნება ჩემი სამართლის გზა!

მესამე ქალი

რად დავასვით აქ ნაბიჯები!

პირველი ძმა

შენც აქა ხარ! ო, მომეკარე! ამიჩეხეს ტანი,—გადარჩა გული, როგორც ტაძრის ნანგრევებში დაფა. მომეხვიე, შენი სახის ყოველი ხაზი დაისმება ჩემს გულზე როგორც დაფაზე კანონები.

მეოთხე ქალი

ოო, დავიწვი! აქ არ არიან, არ არიან! არა!

მეორე ძმა

აქა ვარ! მე ისა ვარ ვის დანახვაზე სუნთქვა გილრმავდებოდა.

მეოთხე ქალი

ის არა ხარ! ის ელვასავით სწრაფია, ჩემი კივილი მას მეხების საწყაულად გადააქცევდა.

პირველი ქალი

მასთან რომ მოვსულიყავი ასეთი ზარით... ო, ნეტავ სადმე შემხვედროდა!

მეორე ქალი

ის არა ხარ! ჩემს მოწოდებაზე ის წამოვიდოდა როგორც კლდიდან მოხეთქილი ლოდი! შესძრავდა მთებს, წააქცევდა მაღალ ხეებს და ხელებში ამიტაცებდა ტკივილების მოსაშუშებლად.

მესამე ქალი

აქ არიან ჩვენებრ წამებულნი, შეშლილები და უსუსურები. სად არის გმირი!

პირველი ძმა

მე ვარ ის.., მე მინდა ავვარდე გრიგალივით. მაგრამ ძარღვები დამბულია ხანჯლის წვეტებზე. მესმის შენი ხმა. კანონზე ძლიერია სიყვარული და მოვიწევ მოურიდებლად. გულიდან ამოიშალა დაფების წარწერები. ეხლა სიყვარული თვი-

თონ სწერს კანონს. მაგრამ ძარღვები და კუნთები დამბულია ხანჯლის წვეტებზე.

მეორე ძმა

მე მინდა ავვარდე როგორც სურნელი ღვინის, მაგრამ ჩემი ჭრილობიდან სისხლი მაჭარივით გადმოდულს. სიყვარულმა ყველაფერი ამოშალა და ჩემს გულზე, როგორც დაფაზე მოლესილ კბილებით სწერს თავის ამბებს... მაგრამ სახსრები შეკრულია რკინის ბრჭყალებით.

მეოთხე ქალი

მართალია მის თავზე ლოდივით დევს დაფები. ო, დაფებმა საშინლად მოგვდვა ბრჭყალები. სახეები დაგვაგლიჯა. მძიმეა ძველი დაფები, მაგრამ? ასე არ წააქცევდა მას. ის არა ხარ!

პირველი ქალი

ის საყვარელია. ლონიერია ქვასავით, მოძრავია ქარივით და ვუყვარვარ მე.

მეორე ქალი

შენ სხვა ხარ!

მესამე ქალი

თქვენ ხართ დაჭრილი ბაყაყები!

მეოთხე ქალი

წელგატეხილი გველები!

პირველი ქალი

ო, ჩვენ გვაკივლებს სიმწვავე დაგლეჯილ სახეების!

მეორე ქალი

არ არის ძალა!

მესამე ქალი

არ შეგვიძლია შეჩერება!

(ქალები მიდიან. ძმები გმინვით წამოდგებიან).

ძ მ ე ბ ი

აქა ვართ!

პირველი ძმა

მოიტანეთ სინათლე, დაგვინახეთ!

მეორე ძმა

მობრუნდით!

მესამე ძმა

ბნელა!

მეოთხე ძმა

ო, როგორ ბნელა!

მეორე ძმა

ვერ გვცნობენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ძმა

ვერ გვხედავენ!

მეოთხე ძმა

ცეცხლი! (ისმის ქალების გაბმული კივილი).

მეორე ძმა

ნეტავ იყოს ცეცხლი, რომ ღრუბლებამდე გაანათოს!

მესამე ძმა

შენ გეძახი!

მეოთხე ძმა

ააგრიალეთ ცეცხლით დიდი ხეები!

(კივილი თანდათან შორს ისმის).

ძმები (აჩენენ ცეცხლს. ცეცხლი ედება მაღალ ხეებს. ქალების კივილი ახლოვდება).

პირველი ძმა

შენ მოდიხარ.

მეორე ძმა

საყვარელო!

(ცეცხლის სინათლეზე გამოჩნდებიან მახინჯი ქალები).

მესამე ძმა

ტყის ჯოჯოები!

ძმები (შემკრთალი)

ჯოჯოები!

(უკან დაიხევენ).

ქალები

ჩვენ ვეწამეთ!

პირველი ქალი

ძლივს გიცანი. გამეხმაურე საყვარელო!

მეორე ქალი

წამებამ ამოსწვა ჩემში მერყეობა. მე მოვდივარ შენთან, რომელიც მიყვარხარ. მაგრამ ძლივს გიცანი. რამ დაგაჭკნო ასე!

მესამე ქალი

გადავაბიჯებ კანოხებს და მოვალ შენთან. განვიცდი იმდენ ტკივილებს! მაგრამ...

მესამე ძმა

შორს დაიწიე!

მეოთხე ქალი

სად არის ცეცხლი შენს თვალებში!

მეოთხე ძმა

აი ცეცხლი. კარგ მუგუზლებს ამოვარჩევ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი ძმა

დაიკარგეთ!

მესამე ძმა

ნაკვერჩხლებს გესვრით.

მეოთხე ძმა

ცეცხლ მოდებულ ხეებს დაგიშენთ თუ არ წახვალთ!

პირველი ძმა

ჩვენ ვეძახოდით ქალებს. საყვარლებს, რომლებიც ტყის სასახლეში ცხოვრობენ.

პირველი ქალი

ჩვენ ვართ ის ქალები.

მეორე ქალი

ჩვენ ტყის სასახლეში ვცხოვრობდით!

მეორე ძმა

სიცრუე!

პირველი ძმა

ჩვენ ვიყავით სასახლეში, სადაც კანონი დაამყარეთ თქვენ. კანონი იყო თქვენს სახეებზე და ჩვენს სახეებზე. ის იყო ჩვენი ბედნიერების აკრძალვა, ჩვენი სურვილების უარყოფა და მონობა. კანონი იყო თქვენს სახეებზე და ჩვენს სახეებზე. ერთ დღეს ათამაშდა სისხლი. ხელები მოიკრუნჩხა და ვეფხის კლანჭებივით ეცა კანონებს. კანონი იყო სახეებზე და ჩვენ ამოვწვით... აი ასე... აი შეხედეთ!..

მეორე ძმა

თქვენი სიტყვები საშინელია უფრო ვიდრე თქვენი სახეები!

მესამე ძმა

ჯოჯოებო, ეს საშინელი ზღაპარია, ჯოჯოებო!

მეოთხე ძმა

ნუ იძახით! ჩაიხშეთ ხმა, თქვენი დაცინვა საშინელია!

(ესვრის ნაკვერჩხლებს).

პირველი ქალი.

საყვარელო რამ დაასრისა მიწას შენი მუხლები! ნუ თუ შენ იყავი ჭია!

მეორე ქალი

რად ჩაიბეჭდე ხსოვნაში მძიმე, ძველი დაფები.

მესამე ქალი

ო, როგორ იკლაკნები!

პირველი ძმა

თქვენი ხმები წამლავს ყველაფერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ძმა

ო, ვადადით საფრთხობელებო!

(ესვრის ნაკვერჩხლებს)

ძმები

(მუგუზლებს ესვრიან ქალებს),

ჯოჯოებო, შხამებო!

პირველი ქალი.

ჩვენ მივდივართ დასრესილ კუნთებიდან, გაცივებულ გულებიდან.

მეორე ქალი

გაურბივართ ნაკვერჩხლებს.

მესამე ქალი

მივდივართ დამწვარი სახეებით!

მეოთხე ქალი

მივდივართ შორს ძველი დაფების ქვეშ დამარხულებისაგან.

(ქალები მოშორებით დგებიან).

მეოთხე ქალი

სად მივდივართ ჩვენ!

პირველი ქალი

ჩვენი დედა იყო ალი. ის თელავდა თეძოებით ეკლებს, ჭინჭრებით იგრილებდა ის ძუძუებს ლოყებს და ებრჭოდა მზეს. ის დამახინჯდა, მაგრამ ველებში და ტყეებში აუარებელ საყვარლებს შოულობდა... და ველებზე მისდევდნენ მას საყვარლები როგორც მოზვრები მოღერებულ რქებით.

მეორე ქალი

მივდივართ!

მესამე ქალი

მივდივართ დაგლეჯილი სახეებით!

(ყივილით მიდიან ქალები).

პირველი ძმა

როგორ გარბიან!

მეორე ძმა

იცანით ხმები!

ძ მ ე ბ ი

ისინი მართალია!

პირველი ძმა

ძმებო როგორ გაზვიადდა ცეცხლი.

(ცეცხლი გადადის ნანგრევებზე).

მეორე ძმა

ცეცხლი ედება ძველ ტყეებს, ძველ დაფებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესამე ძმა

ცეცხლი ედება ძველ დაფებს.

მეორე ძმა

არ გადავარჩინოთ!

მეოთხე ძმა

ოო! არ გადავარჩინოთ.

მეორე ძმა

წავიდეთ!

მესამე ძმა

საით წავიდეთ!

მეოთხე ძმა

წავიდეთ სოფელში.

პირველი ძმა

ჩვენ ვართ კოჭლები და სახიჩრები, მაგრამ ვიცით რა ვაკეთოთ სოფელში

მეორე ძმა

იქ არის ძველი დაფები. ზედ კანონები სწერია.

მესამე ძმა

ჩვენ დავწვავთ დაფებს!

მეოთხე ძმა

ის დაფები გადმოტანილია ყოველ ადამიანის სახეზე.

პირველი ძმა

ულმობელ ჩანგლებით ამოვიღებთ სახეებიდან.

მეორე ძმა

ჩვენ დავწვავთ ძველ დაფებს და გავარღვევთ გზას თავისუფალ ცხოვრებისაკენ.

(ფარდა)

მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი

ევროპის ედემში

რასპუტინი რომ იერუსალიმს გაემგზავრა, კვაჭი კვაჭანტირაძემ ცხადად იგრძნო და გაიგო თავის დაობლება და ეულობა.

კვაჭის თითქოს გამოეცალა დედაბოძი და საძირკველი, თითქოს მარჯვენა მოსწყდა და საცხოვრებელი წყარო გაუშრა. ის დაემსგავსა ნაპირზე გადმოგდებულ თევზს, ფრთა-მოტეხილ არწივს, ძუძუ-მწოვარა ბავშვს, რომელსაც დედამ უკვე ხელი გაუშვა და თავიც დაანება.

— აჰ, რა მემართება აი?—ჰკითხა' კვაჭიმ თავის თავს. —ფული ბრეული მაქვს და ნაცნობ-მფარველი. მართლა გრიშკა ხომ არ მაცხოვრებდა! თუ მტრებმა გაიღვიძეს და მიჯიკავეს, აქინე არ არიან მეფე-დედოფალი და ათასი წარჩინებული და დიდებულნი, რომელნიც გუშინ-ღამ ჩემს ღიმილს ეძებდენ და კუდივით დამდევდენ!

კვაჭი ასეთის ფიქრებით იმშვიდებდა გულს, მაგრამ უხილავი შიში მაინც არ შორდებოდა და გულს ულრღნიდა.

სადგურიდან რომ დაბრუნდა, სახლში არავინ დაუხვდა გარდა აგენტის ხაინშტეინისა.

— ამბავი?

— ცუდი ამბავი, ძალიან ცუდი ამბავი! ბანკები ისევ ონკალის შევსებას თხოულობენ, იმუქრებიან, აქციებს გაგიყიდითო. იმოდენა აქციები რომ ბირჟაზე გაიტანონ, უარესად დაეცემა ფასი და ხვალ ხელმეორედ დაგვჭირდება ონკალის შევსება.

— გაჰყიდეთ „ანგლოროსის“ აქციები და შეიტანეთ ბანკებში, მეტი გზა არ არის.

— შედეგი იგივე იქნება. აქციების ფასი დაიწევს.

— მაშ რა ვქნათ? ამოდენა ნალდი ფული სად ვიშოვო?

— აქციების პორტფელი მანუსს ან გინზბურგს დაუგირავეთ.

კვაჭიმ და ხაინშტეინმა მთელი დღე იტრიალეს ბანკებში, ბირჟაზე და ფულიან ხალხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვაჭი გაჰყვა თავის მრჩეველს ხაინშტეინს, რომელმაც იგი გინზბურგის მიერ ნაჩვენები გზით წაიყვანა.

ზოგი აქციები დააგირავა, ზოგი გაჰყიდა, ზოგი გამოისყიდა, ზოგიც იყიდა, ბოლოს მაინც ფული შემოაკლდა, მაინც იხრჩობოდა, მაინც ვერ გამოსტოპა იმ ჭაობიდან და სამშვიდობოს ვერ გამოვიდა.

გაყიდულ აქციებს მეორე დღიდანვე ფასი ემატებოდა, ნაყიდ აქციებს—უფრო აკლდებოდა.

დღე-დღეს მისდევდა, წაგება-წაგებას. კვაჭი უფრო და უფრო იხლართებოდა უჩინარ ქსელში, რომელიც ბოლოს ხილულ გაკოტრებად გადაიქცა.

უკანასკნელ დღეებში კვაჭის უფრო და უფრო ხშირად ესმოდა:

— განსხვავება შეავსეთ... შემოიხადეთ... გადაიტანეთ...

კვაჭიც უაზროდ და უმიზნოდ ფართხალობდა გაკოტრების ბადეში და თუთიყუშივით იმეორებდა:

— გაჰყიდეთ!.. დააგირავეთ!.. იყიდეთ!.. გამოისყიდეთ!.. შეიტანეთ!.. გამოიტანეთ!..

ბოლოს თვალები გაახილა, ყველაფერი დაინახა, და გაიგო; გაიგო და დაიღრიალა:

— მიშველეთ! ვიღუპები! დამეხმარეთ!

მაგრამ გვიანღა იყო. დახმარების მაგიერ ყოველის მხრით უარესად დააყარეს და დააჭირეს.

კვაჭი ჯერ ელენეს ეცა, მერე ტანიას, მაგრამ „არკადიაში“ მომხდარ საქვეყნო სირცხვილისა და წმიდა გრიგოლის წასვლის შემდეგ ორივენი უცხოეთში გაპარულიყვნენ. გინზბურგმა და მანუსმაც ციცი წყალი გადაასხეს, სხვებმაც ზურგი შეაქციეს.

კვაჭიმ რამდენჯერმე კიდევ გაიფართხალა, რამდენჯერმე გაიქნია ხელ-ფეხი და გარდაიცვალა.

კვაჭი საქმის კაცი, კვაჭი ფინანსისტი და ბირჟის მფლობელი გახდილ და განაწილებულ იქმნა გინზბურგის, მანუსის და იმათ აგენტების მიერ.

იმავ დღეს კვაჭის თავს წაადგენ მისი ამხანაგები:

— ჰამე? გაკოტრდი? ათი თუმანი გიშველის?

— სედრაკ მიშველე!

— წა, დეიკარგე!

— ვა, მილიონები წყალში გადაგიყრია, ეხლა სედრაკამ როგორ უნდა გიშველოს?—უსაყვედურა ჩხუბიშვილმა.

ჩიკინჯილაძეც ჩაერია:

— აგია, აფხანიკებს, რომ აფერს დაუჯერებ, გვითხარი რა ვქნათ აწი?

— საქმე გართულდა.—სთქვა დინჯად ბესომ და კვაჭის გაზეთები გადაუშალა.—ა, წეიკითხე.

წაიკითხეს:

„რუსსკოე დელო“ ცეცხლს აფრქვევდა იმის გამო, რომ მართლმადიდე-

ბელთა უუდიდესი ტაძარის აშენება მიანდვეს ვილაც ველურ კოეკასიელს K-ს, რომელმაც ეს საქმე ურიებს გადასცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გაზეთი ირწმუნებოდა, ვითომ კ. კ-ძემ „ყაბლბ-ბასბოსტეთ“ შეჰყო თავი მეფის სასახლეში, ვითომ კვაჭის აზნაურობაც კი საეჭვო იყო, ხოლო თავადობა კვაჭიმ და „ერთმა წმიდა მოხუცმა“ მეფეს მზაკვრულის ტყუილით დასცინცლეს.

მესამე გაზეთმა გამოაცხადა კვაჭის გაკოტრება, დაახლოებით ასწერა მისი ბიოგრაფია და მუქარაც დაუმატა: ამ დღეებში ამ ყმაწვილს სრულს ვინაობას, სახელს, გვარსა და თავგადასავალს გამოვაცხადებთო.

კვაჭი აინთო, გაფითრა, გაწითლდა და გამწარდა. ის გაზეთები ნაკუწ-ნაკუწად აქცია, მერე სავარძელზე დაეცა და ამოიკვნესა:

— გათავდა!.. მორჩა!.. ყოლიფერი დეიწვა და დეიქცა!

ყველანი დიდხანს სდუმდნენ.

მიბნედილი კვაჭი თვალდახუჭული იწვა და გაფითრებული შუბლს ისრესდა. მერე უცებ წამოვარდა, გასწორდა, „გაშტიკინდა“, თვალებით ცეცხლს ჭყრიდა, ხმაში ფოლადი და რკინა ისმოდა:

— აჰ, ყოლიფერი მაი ტყუილია! კვაჭი კვაჭანტირაძე ასთე ადვილად არ დეილუპება. სედრაკ!

— ჰამე!

— წა ეხლავე და ათიოდე „გრანიცის“ პასპორტი მოამზადე. ერთი პასპორტი თავადი ბაგრატიონ მუხრან-ბატონის სახელზე იყოს; მეორე—ბუხარიის ემირის მემკვიდრისა; მესამე—პრინც კაჯარისა; მეოთხე თავად ტრუბეცკოისა; მეხუთე გრაფ ტიშკევიჩისა და მეექვსე — ბარონ ტიზენჰაუზენისა. შენც მეიგონე კიდო რამდენიმე აზნოურის გვარი. ხვალ დილით ყოლიფერი მზათ უნდა იყოს, გაიგე?

— ჰამე? გაეიგე, ნაშ!

— აბა, გასწი! სერიოჟა! გაბო! წადით ეხლავე იმ გაზეთების რედაქციებში და ყოველი კაცი გააჩუმეთ, ზოგი მუქარით, ზოგიც ფულით. უთხარით: „კაცი თლა ჩამოშორდა აქოურობას და პალესტინაში წეევიდა რასპუტინთან თქვა; თავი დაანებეთ, გაჩუმდით თქვა თვარა, თუ არ დეიშლით და კიდო რაცხას დაჩხაბნით, დაბრუნდება და ყოველ კაცს დედას გიტირებს თქვა! დედას გიტირებს თქვა! წეიყვანეთ სამიოდე ყოჩაღი ბიჭი და, თუ საჭირო შეიქნა, თლა დოუმტვრიეთ იქოურობა და იქნობამდის სტყიპეთ, სანამ დეიღლებოდეთ. აბა, გატრიალდით! გეიგეთ ყოლიფერი?

— ეა, მაგაზე ადვილი რალა იქნება! შენ სხვას ნურაფერს მომთხოვ, თორემ ჩხუბი ჩხუბიშვილის საქმეა.

— მაშ წადით. ბესო! აბა, დატრიალდი. იშოვე ვინცხა მდიდარი კაცი და ხვალვე ყოლიფერი გაყიდე. რა სთქვი? ტანიასია ყოველიფერიო?.. ეიცი, მარა რა დროს ტანიაა, ლამის კაცი დეეიწვა!კი, კი, ვეჯიც, ცხენებიც, ავტომობილიც... ყოლიფერი, ყოლიფერი. დეემზადე შორი გზისთვის... წასვლა არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააგებიოთ. აბა, დატრიალდი. მე სილიბისტროსას წავალ... ეასილ, ჩამაცვი ჩქარა! დოუძახე „ბერლიეს“ ჩქარა!

სამ დღეში კვაჭიმ ყველა საქმეები „გააიმასქნა“ და ვარშავის მატარებლის კუპეში ჩაჯდა.

ბუხარის ხალათში იყო გახვეული, თავზე ჩალმა ჰქონდა, ფეხებზე ძვირფასი ქოშები ეცვა. მეზობელ კუპეში ჰყავდა მხლებელნი—სედრაკა, ჰავლაბრიანი, ბესო შიქია და კამერდინერი ვასილ ხირავა.

კვაჭის ჯიბეში ედო ბუხარის პრინცის აბდულ რაჰმანის პასპორტი, ხოლო პორტფელში—სხვადასხვა ეროვნების თავადთა, ბარონთა და პრინცთა კიდევ ხუთიოდე პასპორტი.

სედრაკას, ვასილს და ბესოსაც ასეთივე პასპორტები ჰქონდათ მომარაგებული, ხარისხით და წოდებით უფრო მცირედი, როგორც შეეფერებოდათ დიდებულის მხლებლებს, ადიუტანტებს, მდივნებს და კამერდინერებს.

ჩიკინჯილაძე და ჩხუბიშვილი სხვა გზით წავიდნენ.

ვარშავის სადგურს რომ მიადგნენ, ვაგონში ერთი ბრწყინვალე ოფიცერი ამოვიდა და სედრაკას თავაზიანად ჰკითხა:

— თქვენ ბრძანდებით მათი მაღალბრწყინვალების ბუხარის პრინცის მდივანი? მოახსენეთ პატივცემულ პრინცს, რომ მათი ნახვა ჰსურს გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტს.

დაფეთებული ჰავლაბრიანი კვაჭის კუპეში შეეარდა:

— დავილუპეთ... დაგვიჭირეს... გაიგეს...

კვაჭი არ შეშინებულა, მხოლოდ შუბლი შეიჭმუხნა და ჩაფიქრდა.

— ნუ გედირევით, „გაშტიკინდით“. მე რუსული არ ვიცი; სედრაკ, შენ ჩემი მდივანი და თარჯიმანი ხარ; შენ, ბესო, ჩემი ექიმი ხარ. ყოჩაღათ იყავით, აქ რაცხა ამბავია. ფრთხილად, ქართულის მცოდნეს არ წავაწყდეთ. აბა სთხოვე, მობრძანდეს თითონ სავარძელზე გაწვა და ქარვის ყალიონი გააბოლა.

ადიუტანტმა მოხდენილი სალამი მისცა:

— მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მათი აღმატებულება, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი სალამს გიძღვნით და გთხოვთ პატივი დასდოთ მათ და სადილად ეწვიოთ.

ყველას გულს მოეშვათ. სედრაკამ ადიუტანტის თხოვნა და სალამი კვაჭის ქართულად გადაუთარგმნა.

კვაჭიმ ოდნავ ჩაიღიმა:

— აკი გითხარით აქინე რაცხა ამბავიათქვა. მადლობა გოდუხადე და მოახსენე, რომ ჩემმა ექიმმა—აი ბესო ჩემი ექიმია—ვაგონიდან გასვლა ამიკრძალა, რადგან ავათა ვარ.

სედრაკამ გადუთარგმნა, ბესომ კვერი დაუკრა:

ადიუტანტმა სინანული გამოსთქვა ემირის მემკვიდრის ავადმყოფობის გამო და შეატყობინა, რომ სადგურის ბაქანზე მათს უუბრწყინვალესობას სხვილფეხა მოხელენი უცდიან.

— სთხოვეთ მობრძანდნენ.

ბატებივით მოჰყვნენ ერთმანეთს გუბერნატორი, პოლიციმეისტერი, ქალაქის მაგისტრი და მრავალი სხვა წარჩინებული მოხელენი, [illegible] და თავმოდრეკით წარუდგნენ კვაჭის და მიულოცეს მშვიდობიანი [illegible] ერთმანეთი მოიკითხეს, აათვალ-ჩაათვალიერეს, ერთმანეთს გაულიმეს, ამბავი გამოჰკითხეს, თან თავს უკრავდნენ და იკუზებოდნენ.

კვაჭიმ ყველას მოჰფინა თვისი მადლი, ყველას დაურიგა თბილი ღიმილი და უსიტყვო დაპირება მფარველობისა და დახმარებისა: თავის მდივანს იმ მოხელეთა გვარები და ორდენები ჩააწერინა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ოდესმე, როცა პრინცი დაბრუნდებოდა უცხოეთიდან, ის მოხელენი თავიანთ ორდენების სიას ალბათ ბუხარის ორდენებით შეივსებდნენ.

მერე ისევ თავის ქნევით და ღიმილით ვაგონიდან ბატებივით გაიკრიფნენ, ხოლო ბუხარის პრინცი და მისი მხლებელნი სიცილით იხოცებოდნენ.

— რა ამბავია აი, როგორ გაიგეს აქინე ჩემი მგზავრობა?—იკითხა კვაჭიმ.

— ჰამე? ობერ-კონდუქტორს მე უთხარი, რომ ჩვენთვის მეტი პატივი დაედო, იმანაც ალბათ სხვა ვინმეს უთხრა, იმ სხვა ვინმემ დეპეშით შეატყობინა მთელ „ლინიას“.

— აჰ, მაი მეტად სახიფათოა. აქინე რამე კვანტი არ მოგვდონ. გზა უნდა აეარიოთ, თვარა...

ჩუმათ კრაკოვის მატარებელზე გადასხდნენ და ავსტრიისკენ ჩაუხვიეს.

ვატტოვიცს რომ მიუახლოვდნენ, ჟანდარმმა მგზავრებს პასპორტები ჩამოართვა გასასინჯად და უცხოეთში გასვლის ნებართვის მისაცემად.

ვატტოვიცში ორი ჟანდარმი შემოვიდა ვაგონში. კვაჭი კუპეს კარებიდან ჰხედავდა, რომ ჟანდარმები ყოველ მგზავრს გვარსა და სახელს ეკითხებოდნენ, მერე პასპორტების დასტიდან იმის გასინჯულ პასპორტს ამოარჩევდნენ და ჩაბარებდნენ.

ბოლოს იმის კუპეშიც შემოვიდნენ.

— თქვენი გვარი და სახელი?

კვაჭის მეხი დაეცა და ცივმა ოფლმა დაასხა. აირია, გაფითრდა, გაწითლდა და ცახცახმა აიტანა, უცებ მოაგონდა, რომ ერთი საათის წინ ბესომ კვაჭის ექვსი პასპორტიდან ერთი პასპორტი ამოიღო, რომელიც ხელს მოხვდა და გაუსინჯავად ჩააბარა იმ ჟანდარმს.

— ჩემი გვარი? — ელვის სისწრაფით გაიფიქრა კვაჭიმ. — რა ვიცი, რომელი პასპორტი ჩააბარა? ჩავუთათრულო? იქნება ბარონი ტიზენჰაუზენის პასპორტი მისცა. ჩავუქართულო? იქნება თავადი ტრუბეცკოის პასპორტი აქვთ ხელში?

— თქვენი გვარი და სახელი? — ხელმეორედ ჰხითხა ჟანდარმმა.

კვაჭი ოფლში იწურებოდა და თვალებს უაზროდ ჰბლიტავდა, თან ბესოს მოლოდინში კარებისკენ იცქირებოდა. ჟანდარმი იქვით შესცქეროდა.

— თქვენი გვარი და სახელი მეთქი! რა ამბავია, რა დაგემართათ, ხომ არ დამუნჯდით?

რაო, ხომ არ დამუნჯდითო?! რა თქმა უნდა, კვაჭი დამუნჯდა! დიაღ ინ ჟანდარმმა კარგად გაიგო და გამოიცნო: კვაჭი მუნჯია, დაბადებითვე მუნჯია!

კვაჭის გულს მოეშვა, გაიღიმა და აყმუვდა:

— მმმ... მმმ... მმმ... — წკმუტუნებდა კვაჭი, თან [illegible] ნიშნად მუნჯობისა პირზე ხელს იდებდა და პასპორტებს ეტანებოდა. ჟანდარმებმაც გაიღიმეს.

— ჰო, მუნჯი ყოფილა.—სთქვა ერთმა და პასპორტების დასტა გაუშვირა:— აბა, თქვენვე მოსძებნეთ თქვენი პასპორტი.

კვაჭიმ აქექა პასპორტების ბროვა.

ძლივს! მადლობა ღმერთსა! — წამოიძახა გულში და ერთი პასპორტი ჟანდარმებს გაუწოდა.

— თავადი ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ მუხრანსკი! — ხმამაღლა წაიკითხა ჟანდარმმა და გაიღიმა, დადნა და გალხვა.

სწორედ ამ დროს კუპეში სედრაკამ და ბესომ შემოიხედეს.

— გამცემენ ეს ოხრები, უეჭველად გამცემენ! — გაიფიქრა კვაჭიმ და უმალ ორივეს მივარდა, თავისი პასპორტი მიაჩეჩა, თან ფეხებს აბარტყუნებდა, ხელებს მუნჯურად იქნევდა და ჰმუოდა: —

— მმმ!... ბმმ!.. მმმ...

ორივემ თვალები დააჭყიტეს და პირები დააღეს:

— ვაააა, დამუნჯებულაااა?! — გაიკვირვა სედრაკამ.

გახარებული კვაჭი ისე მძლავრად იქნევდა თავს, რომ კინაღამ კისრის ძარღვები დაიწყვეტა: ჰო, ჰო! დავმუნჯდი, დავმუნჯდიო!

სედრაკამ ბესოს თვალი ჩაუკრა;

— დამუნჯებულა, რაღა!

— საბრალო თავადი, ჩაურთო ერთმა ჟანდარმმა. — ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ლამაზი და მუნჯი!

— მერე რა გვარი აქვს! — დაუმატა მეორემ. — ბაგ-რა-ტიონ მუხრან-სკი ირაკლი გიორ-გი-ე-ვიჩ!

— მაშ! მაშ! დაბადებიდანვე მუნჯია. ამიტომ მიგვყავს განთქმულ ექიმთან ვენაში.

ჟანდარმებმა სედრაკას და ბესოსაც პასპორტები ჩააბარეს და გავიდნენ. უმალ სამივემ კარები ჩაიკეტეს.

— რა ამბავია? რა მოხდა?

— ეშმაკმა წაიღოს ბესოს თავი და ტანი, აი ამბავია!

და ყველაფერი უამბო.

— ჰა-ჰა-ჰა!.. ჰო-ჰო-ჰო! ასტყდნენ სედრაკა და ბესო.

— რას იცინით, ყაზილარებო! — გასწყრა კვაჭი. — კილამ დეეიფსე და დეეილუპე ქაკალი ქაცი!

მერე მოაგონდა თავის დამუნჯების ამბავი და თვითონვე გამხიარულდა.

გაიარეს კრაკოვი. დილით ვენაში ჩავიდნენ. საუკეთესო სასტუმროში ოთხი ოთახი დაიქირავეს და ქალაქის სანახაობად დაემზადნენ.

შემოვიდნენ სასტუმროს პატრონი, მოურავი და შეტრ-დოტელი დიდი „ფიურსტის“ ბაგრატიონის მოსაკითხად და პატივსაცემად. მერე ყოვლად აუცილებელმა, ყველაფრის მცოდნემ და ყველგან მყოფმა [illegible] ურიამაც შემოჰყო თავი.

— თავადს ვახლავართ... გიდი ვარ... ოცი წელიწადია ვენაში ვცხოვრობ... ყველაფერს გიჩვენებთ... დღეში ათი კრონა ეღირება.

გავიდნენ და დაათვალიერეს ქალაქი.

ხუთი დღე იარეს. გიდი კვაჭის ისტორიულ-ხელოვნურ ძეგლებისაკენ ეწეოდა, უნდოდა ეჩვენებინა მუზეუმები, უნივერსიტეტი, პარლამენტი, სან-სტეფანეს ტაძარი, ჰოფბურგ-თეატრი, ბირჟა, საშხატვრო აკადემია, რატუშა, სასახლე და ათასი სხვა საჩვენებელი, მაგრამ კვაჭი ისე დაიღალა და დაიშრიტა მარტო ერთი მუზეუმის დათვალიერებით, რომ მაშინვე თავის ტკივილი მოიმიზეზა და ყველაფერი მომავლისათვის გადასდო, გარდა უზარმაზარი რინგშტრასესი და პრატერისა, სადაც დღეს აღამებდა და ღამეს ათენებდა. ეს უზარმაზარი ქუჩები, ხეივნები, ბაღები, მოედნები, ინგლისური ჭალა, ვივარიუმი, სამხეცეთი, ათასნაირი რესტორანები, ყავახანები, ლუდხანები, ღვინის სარდაფები, ბალაგანები, მარიონეტის თეატრები, კარუსელი და უთვალავი სხვა გასართობი მუდმივ სავსე იყო ხალხით და ქალებით,— განთქმული; ვენური ქალებით: ყველანი თითქოს განგებ იყვნენ შერჩეულნი: მაღალნი, თვალადნი, ჯიშიანნი; ოქროს თმიანნი, ფირუზ-თვალებიანნი, ფაფუკნი, ფუნჩულიანი და თეთრნი ვითარცა ჩამავალი მზისაგან ოდნავ შეწითლებული მყინვარი.

ამ ცოცხალმა ზამგახებმა უმალ გზა დაუბნიეს კვაჭის, ძილი დაუფრთხეს, მადა დაუკარგეს, დავრთრები აურიეს და ისე აუფორიაქეს სული და გული, რომ რამდენიმე კოხტად გამონასკული კომბინაციაც კი დაივიწყა და გადასდო იმ საბაბით, რომ ის მალე პარიზში ჩავიდოდა და ამ საქმეებს იქაც „გააიმასქნებდა“.

კვაჭი რამდენიმე დღეში დათვრა, დაითენთა და მიილია თეთრი ტომის მოუქნელი, უხეში და მძლავრი სიყვარულით; სამაგიეროთ იმ თეთრ ქალებსაც აჩვენა და აგემინა სიცხე შავი ზღვის სისხლისა, სიფიცხე ჯმუხა ბიჭისა, სიმწვავე გიშრის ულვაშებისა, ჟინი მარილიანის, ქორულ თვალებისა და აღვირაწყვეტილი ენებიანობა მზისა და ჟამისაგან გაკაჟებულ ქართულ ძარღვისა.

სედრაკამ და ბესომ თეთრ ალქაჯების ბადეში გადავარდნილი კვაჭიკო ძლივს გამოჰგლიჯეს იმ ქალებს და პარიზისკენ მოიტაცეს.

ორიან-ექსპრესი გრიგალივით მიჰქრის ანკარა სალცჰახისა, ინნის და დუნაის ნაპირებზე.

— კვაჭი, ზალცბურგში მივედით. ბედეკერის წიგნში ძალიან აქებენ ამ ძველ ქალაქს. გავიდეთ, ვნახოთ.

— აჰ, ძველის ნახვა მეზარება, მკვდარს მაგონებს.

— კვაჭი მიუნჰენში ავედით. ბავარიის დედაქალაქია. მეტად სუფთა და კოხტა ყოფილა. თურმე საქვეყნო მუზეუმია შენობებისა და ხელოვნებისა. ბევრი

რამ ყოფილა სანახავი: ბერძნული პროპილეი, ზიგესტოური, ვაგნერის თეატრი, ოდეონი, გლიპტოტეკა და...

— და ლუდი, მიუნჰენის შავი ლუდი. აჰა, ბესო, ჭიქა ოქროდე ბოთლი. ჩქარა! დანარჩენი ეშმაკებმა წეიღონ!

— კვაჭი, სტრასბურგში მივედით. აიხედე, აგერ ის ტაძარი მთელ ქვეყანაზე განთქმული ყოფილა.

— აჰ, მაგიზა არც კი ღირს წამოდგომა.— და განაგრძო სინჯვა ტიტველი ქალების ალბომებისა, რომელნიც ვენაში და მიუნჰენში იყიდა.

საღამოს ათ საათზე ბესომ უთხრა:

— სწორედ ნახევარი საათის შემდეგ პარიზში ჩავალთ, გეიხედე, მოსჩანს კიდეეაც.

კვაჭი გველნაკბენივით წამოვარდა და ფანჯარას ეცა.

შორს, წყვდიადში, ცის ტატნობი თვალუწვდენელ მანძილზე წითლად იყო შეღებილი, თითქოს დედამიწის ზღურბლი იწოდა და იმ ხანძარის ანარეკლი ზეცაში მოსჩანდა.

გააფთრებული რკინის ფრინველი აღარ ისვენებდა და ქშენით, დგრიალითა და წიეილით იმ ხანძარისკენ მიჰქროდა. ბოლოს ქალაქში შეეარდა, კიდეე კარგა ხანს ირბინა და ოხვრით და კვნესით აღმოსავლეთის სადგურს მიადგა.

მაშინვე გაჩნდა ყველგან მყოფი ბერდიჩეველი ურია:

— ოცი წელიწადია რაც პარიზში ეცხოვრობ. ყველაფერი ხუთი თითივით მაქვს შესწავლილი. ექვსი ენა ვიცი. დღეში ოცი ფრანკი და ჭამა-სმა.

ოთხივენი ავტომობილში ჩასხდნენ და სტრასბურგის ბულვარით საუკეთესო სასტუმროში გასწიეს. კვაჭის ბრძანებით ავტომობილი ნელა მისცურავდა ხით დაგებულ ქუჩებზე.

— დიდ ბულვარზე გავედით.— აჩვენებდა მსოფლიო ქალაქს გიდი.— ეს არის ბულვარი სენ-დენი... ეს — ბონნუა... ეს — პუასონიერი... აი განთქმული მონმარტრი... ეხლა შევედით იტალიელების ბულვარზე... აი სახელოვანი ოპერა და ოპერის ავენიუ... ეს კაპუცინების ბულვარია... აი მადლენის შესანიშნავი ტაძარიც...

კვაჭის ყრუდ მოესმოდა გიდის მოყრილი სეტყვა, აღსავსე უცხო და გაუგებარი სიტყვებით. მას არაფერი ესმოდა გიდის ლაპარაკისა, რადგან შთაბეჭდილებამ უმალ სძლია გონებას და დაახშო იგი.

კვაჭი და მისი ამხანაგები უცებ ჩაცვივდნენ მსოფლიოს დედაქალაქის გულში და უმალ დაიბნენ, აირიენენ და გამოშტერდნენ.

იმ უზარმაზარ ბულვარების ნაპირებზე აღმართულიყო ორი კედელი შვიდრვა სართულიანის გაჩაღებულ შენობისა. ამ კალაპოტში ორი თვალუწვდენელი ხალხის მდინარე მიდიოდა ზევით და ქვეით. ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა თითქმის შეუძლებელი იყო. იგი გატენილი იყო ახდილი და დახურული ეტლებით, ორსართულიანი ავტობუსებით, ტრამვაებით, ავტომობილებით და მრავალნაირ შარეტით. ჯვარედინებზე პოლისმენები იდგნენ და პატარა

ჯოხებით ჰბრძანებლობდნენ: კარგი მერაბვით იმ მდინარეს ხან ერთ ქუჩაზე შეაჩერებდნენ და მეორე კალაპოტში გადუგდებდნენ, ხან ხუთი წუთით მეორეს შეაგუბებდნენ და პირველ ქუჩას დასცლიდნენ. შიგნით [illegible] მორთულ-მოკაზმული ხალხით სავსე უთვალავი ყავახანები ცეკვაში იწოდნენ. თვალსა სჭრიდა ათასნაირი ჰაეროვანი რეკლამა: ცაში ასვან და ათასგან ელავდნენ წითელი, ყვითელი, ცისფერი და მწვანე ელექტრონის წარწერები. ქალაქის იდუმალი ხმაურობა-გრგვინვა, დუდუნი, ზანზარი, სუნთქვა, ობვრა და კვნესა კვაჭის ჰბორკავდა, ნერვებს ულიტინებდა და გონებას უბნევდა.

— ა, ბესო, მეიგონე აწი შენი სამტრედია და ქუთაისიც. — ჩაილიმა კვაჭიმ.

— სამტრედიას ქე სჯობია, მარა ქუთაისს რავა შეედრება! — ჩაიხუმრა ბესო შიქიამ.

— ვაა, ჰავლაბარია?! — ჩაიხითხითა სედრაკამ.

ჩაუხვიეს მაღლენს და გავიდნენ თანხმობის უზარმაზარ მოედანზე, გადასცდეს იგი, შეეღიენენ ხუთ რიგად ჩაწკრივებულსა და დაბურულ ელისეს ხეივნებს და ვარსკვლავების მოედანზე მიადგნენ საუკეთოვო სასტუმროს „ელისეს“, სადაც ბელეტაჟში შვიდი ისეთი ოთახი დაიქირავეს, როგორიც შეეფერებოდა დიდი რუსეთის დიდ თავადს, ბუხარის ემირს, ბარონს და იმის მხლებლებს.

* * *

კვაჭი, ბესო, სედრაკა და ყორანაშვილი, რომელნიც წინადღით ლათინურ უბანში იპოვეს, ეიფელის კოშკის კენწეროზე სდგანან.

სამასი მეტრის სიმაღლიანი რკინის კოშკი თითქოს გუგუნებს, ზანზარებს და ქანაობს-

ოთხივეს ოდნავ თავბრუ ეხვევათ.

მათ ფეხქვეშ გადაჭიმულია პარიზი — ქვეყნის თვალი, მზეთუნახავი დედაქალაქი, პირველი პირველთა შორის, შუაგული მსოფლიოსი და მზეთა მზე ყოველთა კუთხეთა და ხალხთა ქვეყნისათა.

პარიზის ზღურბლთა გადაღმა ყოველივე მიმართულებით, სადამდინაც თვალი მისწვდება, მოსჩანან უთვალავი დიდი და პატარა ქალაქები, დაბები და სოფლები, რომელნიც ქვეყნის გულს ელტვიან და გარს ეხვევიან, თითქოს იმ მზეთუნახავს თავს ევლებიან, სდარაჯობენ და ემსახურებიან.

მარნის გორაკების თავზე დილის ბურუსიდან უუზარმაზარი წითელი ბურთი ამოგორდა და ვარდის ფერად შეჰღება პარიზის ირგვლივ ჩამწკრივებული მწვანე გორაკები.

დილის ნისლი ლეჩაქივით ჩაწოლილა და წაჰხურებია იმ თვალუწვდენელ სივრცის ნაოჭებს, გორაკების კალთებს, ქალაქების და სენის ხეობას.

პარიზი ნელნელა ნისლოვან ლეჩაქს იხდის, თანდათან იღვიძებს, იხლაზნება, იზმორება და დილის ღიმილით იღიმება.

იგი ბურუსი, ღამის ნაორთქლი და ნასუნთქი იმ მზექალაქისა, თანდათან გორაკებზე აიკრიფა, დასავლეთისკენ ჩაუხვია და სენ-ჟერმენ-არჟანტელის მიდამოებში და სენის ქვემო ხვეულებში ჩაწვა.

და იმ ოთხი ქართველის თვალში გაიშალა და გაიფურჩნა იგი მზეთამზე: დავარცხნილი და დაბანილი, კეკლუცი და სპეტაკი, ფეოფილანი და სიცილიანი, კაშკაშა და ბრწყინავი, უსაზღვრო და თვალუწვდენელი, ᲣᲘᲓᲘᲚᲘᲡᲘ ᲥᲐᲑᲣᲓᲐᲠᲘ და ტაძარი, სანატრიონი და სიზმარეთი ყოველთა სულიერთა, მეცნიერთა და ხელოვანთა ამ ქვეყნისათა.

იდგნენ ოთხნი ქართველნი სამასი მეტრის სიმაღლეზე:

იდგნენ და თრთოდნენ ესოდენი სიმაღლით და მშვენიერებით.

შორს, მეტად შორს, სამხრეთით და აღმოსავლეთით ორი ანკარა მდინარე მოიკლაკნებოდა,—მარნა და სენა; ორივენი პარიზის განაპირას, შარანტონთან ერთმანეთს ერთოდნენ და ეხუტებოდნენ, მერე ის ერთიანი მდინარე პარიზს შუაზე გადასჭრიდა, ისევ სამხრეთით დაბრუნდებოდა, მერე სენ-კლუსთან და ბულონთან ისევ ჩრდილოეთით იზამდა პირს, სენ-დენისთან კვლავ სამხრეთით წამოვიდოდა, სენ-ჟერმენთან ისევ რკალს მოჰხაზავდა, კიდევ ჩრდილოეთით შეუბრუნდებოდა, ერთხელ კიდევ მოიგრიხებოდა და დასავლეთით ნისლოვან სენ-ჟერმენის უზარმაზარ ტყეში იკარგებოდა.

მდინარეზე ზევით და ქვევით გემების და ნავების ჭარავნები დასცურავდნენ, და იმ სიმაღლიდან ისე მოსჩანდა, თითქოს გრძელსა და დაკლაკნულ სარკეზე ბუზები და ჭიები დასცოცავდენო.

იგი სარკე-მდინარე ორმოციოდე რკინის და ქვის ხიდ-სარტყელით იყო გადაჭედილი და ოციოდე მწვანე კუნძულით იყო გაპობილი და გაწყვეტილი.

იმ ქვეყნის თვალს გარშემო სამ რიგად ედგნენ ორმოცამდე დარაჯი და გუშაგი, ნახევრად მიწაში ჩამძვრალნი, რკინის და ფოლადის აბჯარით და ათასი ზარბაზნით შეჭედილნი. მათ შორის მრისხანედ, მუქარით და შუბლ-შეჭმუხვნით გასცქეროდნენ გერმანელთა ქვეყანას შარანტონი, ვენსენი, მონ-ვალერიენი და სენდენი.

იმ კეკლუცს ყოველი მხრიდან ათიოდე რკინის გზა გრძელ ისრებივით შიგ გულში ჰქონდა ჩარჭობილი, ხოლო გარშემო რამდენიმე ქამარი ჰქონდა შემორტყმული: ასეთივე რკინის გზების, ზარბაზნების, ბულვარების განიერი და ლრმა თხრილისა, და მაღალი, სქელი, ნათალი ქვის გალავნისა.

რამდენიმე ათეული მატარებელი, ორთქლით და ბოლით მსუნთქავი, შავი გველებივით იკლაკნებოდნენ და სხვადასხვა მიმართულებით მისცურავდნენ.

ესოდენი დაბა-ქალაქები, უთვალავი შენობები, გზები და არხები თითქოს განგებ დასერილი, დახატული და მოქარგული იყო თვალუწვდენელ მწვანე ხალიჩაზე.

პარიზის ფილტვები-ტყეები, ბაღები და ჭალები ჯერ კიდევ დილის ოხშივარით სუნთქავდნენ.

აღმოსავლეთით გადაჭიმულიყო ვენსენის დიდი ტყე ტბებით; სამხრეთით მედონის, სენ-კლუს, სევრისა და ვერსალისა; ხოლო დასავლეთით — ბულონის და სენ-ჟერმენისა.

შიგ პარიზში მწვანე სითხესავით დაღვრილიყვნენ ტიუილერიის, ლიუქსემ-

ბურგის, ბოტანიკურის, მონსოს, ტროკადეროს, მონსურის, ელისეს /და მრავალი სხვა ბაღები, ჭალები და ხეივნები.

ინვალიდების სასახლის ოქროს გუმბათი ცეცხლივით ციმციმებდა.

შენობების ზღვიდან ძალუმად აღმართულიყვნენ და გაჭიმულიყვნენ პანთეონი, იესოს გულის ახალი ტაძარი, პარიზის ღვთისმშობელი, სენ-ჟერმენი დეპრე, სენ-სიუპლისი, მადლენი, ლუვრი, პალე-როიალი, დიდი ოპერა, სორბონა, ბირჟა, ტროკადერო, კოშკები, სასახლეები, მუზეუმები და მრავალი სხვა თვალსაჩინო ძველი და ახალი შენობები.

იმ სიმაღლეზე მკაფიოდ მოისმოდა გაღვიძებულ საარაკო ქალაქის დრტვინვა, გუგუნი, ქშენა, ხანზარი და სუთქვა.

კვაჭი კვაჭანტირაძე არ ჰგრძნობდა საერთოდ ბუნების შვენებას, რომელიც არ ხვდებოდა იმის სულსა და გულს: იგი არასოდეს აღელვებულა, არ მოხიბლულა, არ დამტკბარა არც ცამდის აყუდულ მთებით, არც თვალ-უწვდენელ ზღვით, არც ბარის აჭრელებული პეიზაჟით, მაგრამ ეხლა, სამასი მეტრის სიმაღლიდან რომ დასცქეროდა თავის ფეხქვეშ გადაწოლილ პირი-მზე პარიზს, მან ღრმად იგრძნო თავბრუ დამხვევი სიტკბოება და შვენება მსოფლიო ქალაქისა, რომელიც ვინ იცის ვის, როდის და როგორ მოექარგა ესოდენა ქვით, რკინით, ორთქლით და ბოლით.

კვაჭის არც სმენა ჰქონდა. იგი ორს ნოტას ერთმანეთისგან ვერ არჩევდა, ამიტომ მუსიკა არ უყვარდა, არც მისი ესმოდა რამე, მაგრამ ეხლა, სამასი მეტრის სიმაღლეზე იგი მოჰხიბლა, დაათრო და ზეცაში აიტაცა ამ ქალაქის იდუმალმა გუგუნმა, ბუტბუტმა და ფშვინვამ.

ამავ დროს დილის ნიავმა ბელვილის მაღლობებიდან აიტანა ეიფელის კოშკზე ქვანახშირის და ნავთის სუნი, რომელიც კვაჭის უუნაზეს სასუნებლად მოჰხვდა ცხვირში.

დიდხანს იდგნენ გაჩუმებულნი, მეტის აღტაცებით დატვირთულნი და უჩვეულის გრძნობით მოჭარბებულნი. მხოლოდ ყორანაშვილი ხანგამოშვებით გაიშვერდა აქეთ-იქით თითს და ახალ-ახალ საგანძურებს უჩვენებდა:

— თქვენი სასტუმროს წინ რომ უუზარმაზარი კამარა აღმართულა, მის გარშემო თორმეტი ქუჩა-ხეივანი იყრის თავს მნათობის სხივებივით, ამიტომ დაარქვეს მაგ ალაგს ვარსკვლავის მოედანი-ეტუალი... აგერ ელისეს სასახლე, პრეზიდენტის სამყოფელი... აი ბურბონთა სასახლე, ეხლანდელი პარლამენტი... აი ჩვენ ფეხქვეშ რომ მოსჩანს, სამხედრო აკადემია გახლავთ... აგერ დიდი და მცირე სასახლენი ხელოვნებისა და მრეწველობისა.

აი პარიზი ჰგავს ცოცხალს მზეთუნახავს, ფრანგს ტიტველ დედაკაცს, რომელიც სენის ნაპირებზე, საქვეყნოდ გადაწოლილა და ამიზაა რომე ყოველი კაცი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მორბის აქინე მაის სანახავად, თვარა სხვა რა მოარბენიებს აქინე გაკოტრებულს ღვანკითელსა და სამტრედიელ კუდაბზიკა აზნოურებს?—განმარტა კვაჭიმ.

სედრაკა არ დასთანხმდა:

— ვაა, მარტო მილიონერების ხომ არ ცხოვრებენ პარიზში! ერთი აქაური

ბანკი ან „ტორგოვი დომი" მთელ საქართველოს სამჯერ იყიდის და გაჰყიდის. საცა თაფლია, ბუზიც იქ ეტანება, თორემ მარტო ლამაზი ქალებისთვის ვინ გიჟი ჩამოვა ამერიკიდან, იაპონიიდან ან თფილისიდან. [illegible] ქალი, თორემ ლამაზი ქალები ყველგან თავსაყრელია.

— იმიზა ბოდიან აქინე ყოველი ყვექნიდან ლამაზი ქალები, რომე პარიზში ბრევლი ფულია. — წაიჩურჩულა ჩუმმა ბესომ.

— ლონდონს და ნიუ-იორკს პარიზზე მეტი ფული აქვთ, ჩაერია ყორანაშვილი, მაგრამ ლამაზი ქალებიც, ფულიანი და უფულო ხალხიც უფრო პარიზს ეტანებიან. თქვენი რა მოგახსენოთ, მე კი ვერც ასი ათასი მზეთუნახავი ჩამომიყვანდა ამ სიშორეზე.

— მაგ რეიზა ეტანება მთელი ქვეყანა ამ ქალაქს? — ჰკითხა კვაჭიმ.

— ლამაზი ქალები მხოლოდ ერთი კუთხეა პარიზისა. ჩემის დაკვირვებით, უნდა გითხრათ, პარიზში ლამაზ ქალებს გაცილებით სჭარბობენ ლამაზი მამაკაცები. ამასვე ამბობენ აქაური ქალებიც. პარიზს მეორე, მესამე მეხუთე, და მეათე კუთხეც აქვს. ეხლა რომ აგიხსნათ, სიტყვა მეტად გამიგრძელდება. გარდა ამისა, გაგებით გაიგებთ, მაგრამ გრძნობით ჯერ ვერ იგრძნობთ. ჯერ-ჯერობით იცხოვრეთ და ყველაფერს დააკვირდით, მერე თითონ მიხვდებით და იგრძნობთ იმის ჯადოს, თილისმას, და დარწმუნდებით, რომ მართლა ყველას ორი სამშობლო ჰქონია: ჯერ თავისი საკუთარი და მეორე—საფრანგეთი.

მანქანით ჩამოვიდნენ კოშკის მეორე სართულზე, სადაც გამართული იყო რესტორანები; ისაუზმეს და წავიდნენ ლუვრის დასათვალიერებლად.

ალექსანდრეს ხიდზე რომ შესდგნენ, კვაჭიმ დაკვირვებით გასინჯა მისი საუცხოვო მოკაზმულობა: ძეგლები, ბოძები, მარმარილო, ოქროს ვარაყი, ნაჭედი რკინა, ბრინჯაო, და ამხანაგებს მიუბრუნდა:

— მთელს საქართველოში ამის ბადალს ვერაფერს იპოვნით.

— ქუთაისის თეთრი ხიდი მაგონდება, ჰა-ჰა!

— ასეთი ხიდი არც ევროპაში მოიპოვება, არც რუსეთში.

თანხმობის უზარმაზარმა რეაკუთხიანმა მოედანმა კვაჭი ერთხელ კიდევ მოიყვანა აღტაცებაში. იმის რვა კუთხეს ამშვენებდა საფრანგეთის რვა დიდი ქალაქის ძეგლი. სტრასბურგის ძეგლს გლოვის ნიშნად შავი ჰქონდა შემოხვეული. მოედანის შუაში ორი საუცხოვო აუზი იყო გაკეთებული. იქვე აღმართულიყო ოცდაათი ადლის სიმაღლე ქვის სვეტი—ლუქსორის ობელისკი, ნაპოლეონისაგან ეგვიპტედან გადმოტანილი.

— ამ მოედანზე დიდი რევოლიუციის დროის გილიოტინა იდგა,—მისცა ცნობა ყორანაშვილმა.—აქ მოსჭრეს თავი ლუი მეფეს და ვინ იცის კიდევ რამდენ ათასს.

კვაჭი ჟრუანტელმა აიტანა და საჩქაროდ გაბრუნდა.

გაიარეს ძველი, მეფეების ბაღი—ტიუილერი, ტრიუმფის კამარა და შევიდნენ ლუვრში.

ჯერ ქვემო სართულში ქანდაკებას ჩაუარეს. დარბაზს დარბაზი მისდევდა, ეპოქა ეპოქას, ქვეყნის ერთი კულტურა — მეორეს. კვაჭი ყორანაშვილს ყურს

ალარ უგდებდა. უთვალავ ქანდაკებათაგან შიშველ ქალებს არჩევდა, ხვევებს კანოვას ნათალს ამჯობინებდა, იმის ტიტელებს ყოველი მხრიდან უვლიდა, აკვირდებოდა და თანდათან იტენებოდა გატაცებით და თაყვანცემით.

როცა ელინურ დარბაზში შევიდნენ და დაათვალიერეს ღვთაებრივი სკოპასი, მირონი, პრაქსიტელი, როცა იხილეს ზეციური აფროდიტები და ვენერები — მილოსელი, ჩაკუნტული, უფეხონი, უხელონი და უთვალონი, მეტის მღელვარებისაგან გატენილმა კვაჭიმ წამოიძახა:

— ნეტა რომელ ხელს გოუკეთებია აი მშვენიერი ქალები! ბესო, ერთი შეხე მაი უთავო და უხელო ჩაკუნტულ ვენერას. დაადე ხელი თეძოზე და გაიგე, ცოცხალია მაი თუ მარმარილოა?.. რაო, ხელის ხლება არ შეიძლებაო? კაი მარა... ღმერთო მიშველე, რავა გააკეთა ვინცხა გლახა ქვის მთლელმა ბერძენმა ისთე, რომე მაი ქვას ცოცხალ ხორცის სუნი და სითბო ასდის! ბესო, წა გენაცვა, გეიგე, რავა გაჰყიდიან აი ამ ვენერას, მილოსს კაი რამე ყოფილა, — ალბათ ვინცხა პოლონელის ან რუსის თავადი მილოსსკის ცოლი იქნებოდა; თუ, ათას ფრანკზე მეტი არ დაგიფასეს, ვიყიდი და ჩემს ბინაზე კიბესთან დავდგამ მოტეხილ ხელებსაც გავაკეთებინებ, ერთ ხელში ყვავილებს ან ყანწს ჩოვუდებ, მეორეში ელექტრონის ლამპას დავაჭერიებ. მე შენ გეტყვი, ვერ დაამშვენებს კვაჭანტირაძის სასახლეს?!

მერე მიჰყვნენ იმ უზარმაზარ შენობას და სამი საათი ქუდმოგლეჯილნი, გაშტერებულნი და თვალდაბრეცილნი დარბოდნენ. მხოლოდ ყორანაშვილი იყო გულმშვიდად, რადგან ყველაფერი ათჯერ ჰქონდა ნახულ და მიხელებული. დაირბინეს გალლერეები აპოლონის, ჰორლოჟი, ყვავილებისა და ძველი ტიულერი.

აპოლონის დარბაზში ერთს შუშაბანდიან ყუთს კვაჭი მუსუსივით მიეკრა და ალარ ჰშორდება: თვალები აენთო და დაებრიცა, გული აუკანკალდა და მთელი სხეული აუძაგძაგდა. იმ ყუთში ეწყო მტრედის კვერცხის ოდენა რამოდენიმე თეთრი ბრილიანტი, ნაპოლეონის მახვილი — ისიც მთლად ბრილიანტებით მორთული, და მრავალი სხვა განძეულობა. იგი ყუთი ისე იწოდა და ლაპლაპებდა, როგორც კვაჭის თვალები იმ წუთში. კვაჭიმ მაშინვე მიიხედ-მოიხედა. ერთი დარაჯი არხეინად დასეირნობდა დარბაზში. აიშალა და აცქმუტუნდა კვაჭი. ჯერ ყორანაშვილს ჩააციედა, მერე იმ დარაჯს ჩაუმტვრია:

— კომბიენ კუტ სეტ შოზ, სილ ვუ პლე (რამდენი ღირებია ეს ნივთი)?

— სე პა მესსიე; ონ დი კარანტ უ სენკანტ მიიონ (არ ვიცი, ბატონო; ამბობენ ორმოცი ან ორმოცდა ათი მილიონი).

ძლივს მოსწყდა კვაჭი იმ განძეულობას. მას შემდეგ დაბნეული, დარეტიანებული და ჩაფიქრებული დადიოდა, თითქოს იმის თავში ეშმაკებმა დაიბუდესო, თითქოს იქ რაღაც აზრი მწიფდებოდა, იკვანძებოდა და იხლართებოდაო.

— აი შედევრები, დარჩეული ნიმუშები მსოფლიო მხატვრობისა. განაგრძობდა ყორანაშვილი.—დავიწყოთ იტალიურ რენესანსიდან.. აი კორეჯიო... ეს ტიციანია.. ეს არის პერუჯიო... აი ნაზი, რომანტიული ბოტიჩელიც... აჰა ღვთაებრივი ლეონარდო დევინჩის ჯიოკონდა..

— აია ჯიოკონდა?—გაიკვირვა კვაჭიმ.—აი იყო შარშან რომე მეიპარეს?.. იმე, თლა სულელი ყოფილა მაის ქურდი! რა ლირს აი სურათი?

— უფასოა, არ გაჭყიდიან, ხოლო მცოდნენი ერთ [illegible] აფასებენ. მილოსელი ვენერაც ამდენივე ეღირება.

— იმე, რამდენი სულელი ყოფილა ქვეყანაზე! ათ მანეთს არ მივცემ მაგაში. შეხედე ბესო, შეხედე რავა დოუბრეცია თვალები! აჰ, თლა სულელები ყოფილან, თვარა ვინ ტუტუცი მისცემს ვინცხა კაროუნას სურათში თუნდ ას მანეთს? ნიძლავს დავდებ, რომე ას მანეთად დღესვე ამაზე ლამაზს ხუთ ცოცხალ ქალს ვიშოვი, მაგ „კარტიჩკაში" რავა მივცემ მეტს!

— ვაა, ერთი ნახეთ რალა, აქ რა ამბავი ყოფილა!—გააწყვეტინა კვაჭის სედრაკამ მეორე დარბაზის კარებიდან.

შეუხვიეს ფრანგული მხატვრობის დარბაზში, სადაც ტიტველი ქალები უხვად იყვნენ კედლებზე გაბნეული.

— როზა ბონნერი... პრუდომი... დელაკრუა... ვატტო... მეისონიე— განაგრძობდა ყორანაშვილი. მაგრამ მას ყურს აღარ უგდებდნენ, რადგან სამივენი შემოეხვივნენ კუთხეში მიწოლილ ენგრის შიშველ მხევალს, უსისხლოს, უძვლოს, ფამფალას, ფაფუკს და ცომ-ცომას.

— ვაა, ერთი ამის გავას შეხედე, და!—სცქმუტავდა სველ თვალა სედრაკა.

— ქალიც აი ყოფილა და სურათიც, ასეთი ცოცხალი ქალიც ათასი მანეთი ღირს და სურათიც.

— ცოცხლისა რა მოგახსენოთ, ხოლო ათას მანეთად ამ სურათის ასლს გააკეთებენ. აი მხატვარიც აქვე გახლავთ.

იქვე სამი მხატვარი მუშაობდა, ასლებს იღებდნენ.

ჰკითხეს ერთ-ერთს, მორიგდნენ, მისამართი მისცეს და გზა განაგრძეს.

— აი ესპანური მხატვრობა... მურილლიო.. ველასკეზი... გოია... ეს ინგლისური სკოლა გახლავთ: რეინოლდსი... რესკინი.,. აი ფლამანურ-ჰოლანდიური: ვან-დეიკი.. რიუსდალი... რუბენსი.., აი გენიალური რემბრანდიც...

სედრაკა აანთეს და აახურეს რუბენსის დედაკაცებმა: ჩასუქებულნი, ჩაქონებულნი, მონუმენტალურნი, წითურნი და თეთრნი, ვითარცა ოდნავ ღვინო-ნარევი რძე.

კვაჭის ქანცი გამოელია, თვალებს ჰბლიტავდა და ფეხებს ძლივს მიათრევდა.

— დაახლოვებით მესამედი მოვიარეთ. დანარჩენსაც ეხლავე თვალი გადავავლოთ. მერე, თუ გნებავთ ცოტაოდენი მაინც დაიხსომოთ, ორი კვირა მაინც უნდა იაროთ.—ურჩია ყორანაშვილმა.

— აჰ, აჰ, აჰ!—ჩაიქნია ხელი კვაჭიმ. მაი სად შემიძლია, ამისთვის კი არ ჩამოვსულვართ აქინე. წევიდეთ, კმარა.

გავიდნენ. რამოდენიმე ეზო გაიარეს, მოედანი გადასჭრეს და იქიდან გაჰხედეს ,ერთ ვერსზე გაჭიმულ ნათალი ქვის ლუკრს, რომელიც გარდი-გარდმო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრილი იყო ქუჩებით; იმის ეზოებში და ალაყაფის კარებებში ომნიბუსები და და ავტობუსები დადიოდნენ.

— ნეტა გამაგებია, გასცვლის თუ არა ფრანცია საქართველოს კაი შენობას ყოლიფერი სიმდიდრით, აქინე რომ ალაგია? — თითქმის თავისთავს ჰკითხა კვაჭიმ.

ავტო დაიქირავეს და გარშემო მოუარეს შატლეს და ბერნარის თეატრებს, სენ-ეაკის კოშკს, ქალაქის საბჭოს, პარიზის ღვთის მშობელს და იქიდან ლათინურ უბანში გავიდნენ.

— აი სორბონნა... აი საფრანგეთის კოლლეჟი... სენჟერმენის წიგნთსაცავი... აი განთქმული პანთეონიც. იმის წინ რომ ბრინჯაოს ძეგლი სდგას, საფრანგეთის სახელოვან მოქანდაკე როდენის ნამუშევარია. იგი გამოჰხატავს ადამიანს, რომელიც აზროვნებს.

ბრინჯაოს ბუმბერაზი ადამიანი იჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო, ნიკაპი მუშტზე დაებჯინა და ფიქრობდა; ფიქრობდა ისე მძლავრად, ისეთის ენერგიითა და ნებისყოფით, რომ ფეხის ძარცვებიც კი დაჭიმული ჰქონდა, თითქოს ფიქრი იმ ძარღვებსაც აწვეებოდა, ძალას ატანდა და იშველიებდა.

კვაჭი დააცქერდა ბრინჯაოს ადამიანს, მერე სთქვა:

— რაცხა დიდ კომბინაციას აიმასქნებს აი კაცი. ნეტა მაჩვენა აგი, კაი ამხანაგი გამეგიდოდა.

— აი ლიუქსენბურგის და კლიუნის მუზეუმებიც, ვნახოთ.

— აჰ, დეგიღალე, კმარა! აწი შევიდეთ კარგ რესტორანში და ვისადილოთ.

დიუვალთან შევიდნენ. კვაჭიმ იტაცა:

— რაა აი! არ ვარგა, რაცლა სტუდენტების სასადილოს ჰგავს. აქინე უკეთესი აფერია?

ყორანაშვილმა არ იცოდა კარგი და ცუდი რესტორანების, არაფერი ესმოდა, რადგან თვითონ, ისიც ზოგჯერ, ერთ ფრანკიან სასადილოში იკვებებოდა.

— აბა მაშ ჩვენს ოტელში წევიდეთ... რაი გრცხვენიათ? ტანისამოსი არ გაქვთ? აბა მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ხვალ გვნახეთ.

და ავტოთი წავიდნენ, ხოლო მადა-მოსული ყორანაშვილი თავის მანსარდში დაბრუნდა.

* * *

მეგობრებმა რედინგოტები ჩაიცვეს, ბკერდზე თითო ხრიზანტემა მიიკრეს და სასადილოში ჩავიდნენ.

სასტუმროს პატრონი და მოურავი მაშინვე ახალ სთუმრებს ეახლნენ, მოწიწებით მოიკითხეს და შთაბეჭდილებანი გამოჰკითხეს.

წყნარი, მშვიდობიანი, ჩურჩულიანი და მშრალი რესტორანი იყო არც ქეიფი, არც სადღეგრძელო, არც სიმღერა.

საუზმე რომ გაათავეს, გუშინდელი გიდი შაცმანი კარებში გაუხვდათ. სამივენი ტყვედ ჩაიგდო და ავტოთი მოიტაცა.

— ა ლონ შან, სილ ვუ პლე!

დაჰყვნენ გრანდ-არმეის ხეივანს, გადასჭრეს ბულონის ჭალა-ბაღი და გაეიდნენ ლონშანის სადოღეზე, რომელიც უკვე ხალხით იყო სავსე. მერე რამდენი და როგორის ხალხით! კვაჭის ანგარიშით ოცი ათასი სული ეტეოდა. აქ იყო პარიზის ნამდვილი „ბომონდი“ და „ტუ პარი“ (რჩეული, მთელი პარიზი). თვალუწვდენელი მიდორი ცოცხალი ყვავილების გირლიანდით იყო შემოვლებული; იქაურობა აკუნწულ ფუტკარივით ბზუოდა და ფუსფუსებდა. კვაჭის ხარბმა თვალმა ორიოდე საათში ვერ მოასწრო ქალთა ულვაი ზღვის დაშრეტა. სამაგიეროთ, როცა დოღი გათავდა, ვიდმა შაცმანმა ხერხი ასწავლა: ბულონის ჭალა-ბაღში გზის ნაპირას დიდი კაფე-რესტორანი იდგა, არმენოვილად წოდებული. „ბომონდს“ იმ გზაზე უნდა გაევლო, ხოლო მოქეიფე პარიზს იმ კაფეში უნდა შეესვენებინა „აპერეტივის“ (მცირე დასალევის) მისართმევად, ეოთმანეთის საჩვენებლად და სანახავად.

კვაჭიმ ჯერ საჯდომი ჯიშიანი ცხენი იყიდა, რომელმაც იმ დღეს ლელო გაიტანა, მერე იმ რესტორანს მიაშურა. დასხდნენ ნაყინვი მოითხოვეს და გაეთავებლად ისვეს მალამო აფხანებულ გულზე. და ასვეს ტკბილი წყალი თავიანთ ხარბსა და წყურვილიან თვალებს.

მართლა მთელმა პარიზმა მათ თვალწინ გაისეირნა, რამდენიმე ათასმა ცხენოსანმა, ავტომ, ფიაკრმა, ლანდომ, კარეტამ და კებმა წინ გაუარეს კვაჭის, რომელიც იმ რჩეულთა შორის რჩეულებს ჩაციებით ჰსინჯავდა და აცქერდებოდა, ხოლო მეტად ლამაზსა და კარგად მოყვანილ ქალებს თვალებით ტანისამოსსაც ჰხდიდა, თან ისე კოხტად და მარდად ხმარობდა მონოკლს, რომ იმის მასწავლებელს—კარის მინისტრს ბარონ ფრედერიქსსაც შეჰშურდებოდა.

შაცმანი გზა-კვალს უკვლევდა:

— აი პრეზიდენტი პუანკარე... ესენი ელჩები არიან: რუსეთისა—იზვოლსკი, გერმანიისა... ინგლისისა... აი მინისტრები და ნამინისტრალნი სარრიენი... ბაიო... კლემანსო... აი მილიონერები — შოშარი... როტშილდი... გირში... დიუვალი... აი მეფე ფოლადისა... მეფე სახლებისა... მეფე ბანკებისა... აი ცხენით მოდის გენერალი ჰალიფე. ხომ გაგიგიათ ჰალიფეს შალვარი? ამ კაცმა პარიზში დახვრიტა რამდენიმე ათასი კომუნარი... აი ჰერცოგი... თავადი... მარკიზი... ბარონი... გრაფი... აგერ ხელოვანნი და ჟურნალისტები: სტენლეი... მარსელ პრევო... ქალმეტი... სარა ბერნარი... როქანი... ლოზანი...

თან მოკლედ მათს თავგადასავალს და ინტიმურ ამბებს მოუთხრობდა. მერე იმ ხალხსაც მოუბრუნდა, რომელიც იმ რესტორანში შემოვიდა:

— აი ეს ქალები ცოცხალი მოდელები არიან. მოდების მაღაზიები უფასოდ აცმევენ, ყველგან ჰგზავნიან და ასეთის ხერხით აჩვენებენ ქვეყანას ახალ მოდას და თავიანთ ნამუშევარს... აი ბარონ გრევეს საყვარელი... ეს კონდეს საყვარელია... ეს კიდევ...

და ათიოდე ხანშესული დედაკაცი აჩვენა და ამდენივე მილიონერი დაასახელა.

— როგორ, — გაიკვირვა კვაჭიმ, — ასეთი ხნიერი დედაკაცები? ახალგაზრდები ვეღარ იშოვეს?

— ჰა, ჰა! — გაიღიმა შაცმანმა. — გეტყობათ ახალგაზრდობა და გამოუცდელობა. პარიზის დემი-მონდი არ მიიღებს ახალგაზრდა ქარაფუცას, გამოუცდელს, გაუხედნავსა და უსწავლელს. ასეთი ახალგაზრდა [illegible] ქარაფშუტა, აღტაცებული, ეკლუცი, დაუდგრომელი, კისკასიანი და [illegible] თავისს ხელობას სტუდენტების ყავახანებში იწყებს. ამ მხრივ პარიზი ორ ქვეყნად არის გაყოფილი: სენის გაღმა და გამოღმა, ლათინური უბანი და მონმარტრი. ახალგაზრდა ქალი გაღმა იწყებს და გამოღმა ათავებს; იქ ინათლება, აქ კი ჰასაკში შედის და ფესვებს იკეთებს; იქ ხნავს და სთესავს, აქ კი იმკის; გაღმა იგი ქალია, გამოღმა კი დედაკაცია; გაღმა მას სტუდენტები სიყვარულს ასწავლიან, გამოღმა კი იგი თვითონ გამოდის ოსტატად და პროფესორად; ლათინურ უბანში ქალის სიყვარული მორცხვად ილიმება, კისკისებს, ზოგჯერ ნაზად იცრემლება და გულის ღიტინსა და ცელქობას მი'ადევს, ხოლო მონმარტრში დედაკაცი მძლავრის ხმით იცინის და ხარხარებს; მისი დარდი ჰღმუის, მისი სიყვარული ყმუის, მისი ვნება ბღავის! გაღმელთა ალერსი ნიავია. გამოღმელთა-გრიგალია; იქაურთა ვნება ალია, აქაურთა ნაკვერჩხალია; ეკლუც ქარაქუცებს ვარდის და მის სუნი ასდით, მონმარტრის დედაკაცებსა და მილიონერების საყვარლებს — წნილისა და... და კამამბერის ან როკფორის ყველისა, ან კიდევ... რაო, როკფორის ყველი ჯერ არ გინახავთ? გარსონ! მოიტა ორი როკფორი და ორი დამბებული კამამბერი... ჰო, იმას მოგახსენებდით. ვის აქვს მილიონები? მოხუცებს. მაშასადამე რჩეული დედაკაცებიც იმათია. ქალს კოხტა ტუჩებისა და ლამაზი თვალების გარდა უნდა ჰქონდეს ჭკუა და ხასიათი. ჩემისთანა ხანშესულ ადამიანს არ უყვარს პრანჭია, ქარაფშუტა, კისკისა, ანცი, კაპრიზიანი, ცრემლიანი და ყბედი კაჭკაჭი: ჩვენ გვირჩევნია დინჯი, წყნარი, ნაცადი, ბებერი, ანგარიშიანი და ბრძენი ყორანი. დიალ, ამას მოგახსენებთ მე, ბერდიჩეველი ურია, უკვე დამქავებული შაცმანი, რომელმაც ნახეტარი საუკუნე იბეტიალა ამ ქვეყნად და ყველაფერი ნახა, გაიგო, გამოსცადა და შეიგნო. ერთი მტკაველი მიწა არ დამრჩა უნახავი. ცხრა ენა ვიცი, ცხრა ხელობა მაქვს გამოცდილი... აი კამამბერი და როკფორიც მოიტანეს. აბა იგემეთ და უსუნეთ... ამის სუნი ასჯერ სჯობია უბიგანს და ლორიგანს... მიირთვით, ნუ იეჭმუხვნებით. როცა შეეჩვევით, ჯიბეშიც კი აღარ გამოილევთ. ხომ ასდის ამ ყველს დედაკაცის სუნი?! ასდის, განა!.. აგრე.. იმას მოგახსენებდით: ცხრა ხელობა მაქვს მეთქი. ჯერ მესაათე ვიყავი, მერე ოქრომჭედელი, მერე რევოლიუციონერი. ნუ გიკვირთ, ესეც ხელობაა, მეტად სახიფათო და უმადური; ოცდაათი წლის წინად ამერიკაში გავიპარე ციმბირიდან. ბოსტონში ნაგავისა და ჩვრების გამოსაყენებელი ქარხანა მქონდა, კლონდაიკში ოქროს ვეძებდი, ვირგინიაში ბამბის პლანტატორობა დავიწყე, კუბაში შაქარს ვაკეთებდი, გრელანდიაში თევზს ვიჭერდი, ალიასკაში ვნადირობდი, პრეტორიაში ალმასებს ვთხრიდი, ზანზიბარში სპილოს ძვლით ვვაჭრობდი, ცეილონზე ზღვის ძირში მარგალიტებს ვკრეფდი. ათიოდე სხვა საქმეც მქონდა. ხუთჯერ მილიონერი გავხდი, ათჯერ გავკოტრდი, ხოლო

ეხლა... ეხლა თქვენისთანა პატიოსან ხალხს კუდში დავდევ და ასე ვმოუღლობ ჩემის ოჯახისთვის ერთ ლუკმა პურს.

კიდევ დიდხანს უვდებდნენ ყურს გაოცებული და [illegible] კვაჭი და მისი ამხანაგები მობუტ შაცმანს, რომელსაც მართლა ყველაფერი ეხმარა, გაეგონა და გამოეცადა.

ისევ ჩასხდნენ ავტომობილში და მოირბინეს პარიზის ზოგი მიდამო: სევრი, სენ-კლუ, კურბევუა და კლიში. საღამო ჟამზე კაფე-რიშის დერეფანში დასხდნენ და თითო გრენადინი მოითხოვეს. ძალით სვამდნენ იმ სასმელს და დიდ ბულვარებს ათვალიერებდნენ.

მზე ჩასაღალს იყო. მადლენის მხრით ცაზე მოსჩანდა უცნაური ღრუბელი, რომელიც საარაკო წითელი ფრინველივით ფრთებ-გაშლილი თავდაღმა მიეშურებოდა. იმ ცეცხლოვან ფრინველს თითქოს ნისკარტით ეჭირა უუზარმაზარი წითელი ბურთი, წითელი მზე, რომელმაც ის უთავბოლო ბულვარი მაღალი შენობები, ხეივანი, მღელვარე ზღვა ხალხისა და ასნაირ ეტლებისა ალისფერით შეღება:

ალაგ-ალაგ ფანჯრებისა და ვიტრინების დიდრონი მინები წითლად იწოდნენ, სისხლით ღადღადებდნენ; ჰაერი გაიჟღინთა ოქროს ნისლით და ამ ნისლში დასკურავდნენ ქალ-ვაჟთა ცოცხალი ტალღები.

ვინ არ ერია იმ ტალღაში! მდიდარი და ღარიბი, რანტიე და მუშაკი, სახლისკენ მინაჩქარი მეოჯახე და უსაქმო ფლანიორი, სნობი და მათხოვარი, სევდიანი და უდარდელი ფრანგი და, ვინ იცის საიდან, რისთვის ან რომელ ტალღით მოტანილი—რუსი, ინდოელი, არაბი, ინგლისელი, და ამ ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოგლეჯილი ბედის მაძიებელი.

კვაჭი რაღაც უცნაურ სულის ღიტინსა და გულის ფრიალს ჰგრძნობდა: ირგვლივ ყველაფერს ხარბად აცქერდებოდა და ეძებდა ამ გაუგებარ აღმაფრენისა და სიტკბოების გასაღებს. ბოლოს, იგი იდუმალება რომ ვერ გახსნა, ისევ შაცმანს მიუბრუნდა:

— მარკ აბრამიჩ! ხშირად ვყოფილვარ ასეთ საღამოს ნევის პროსპექტზე; ვენის რინგიშტრასსე და პრატერიც მინახავს; დარიც ასეთი მშვენიერი იყო, არც ხალხი ყოფილა ნაკლები, მაგრამ... მაინც... მაინც არ მესმის მიზეზი ამ ბულვარების განსაკუთრებულ შვენებისა.

— ხა! ჩაიცინა შაცმანმა.—მე ასჯერ მეტი მინახავს: ბერლინის ფრიდრიხშტრასსე, რომის კორსო, ლონდონის პიკკადილი, მადრიდის პრადო, ნიუიორკის მეხუთე ხეივანი, დელი, ქაირი, ტონკინი, ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი, მაგრამ ამისთანა ჯადოსანი ქალაქი არც მე შემხვედრია. მიზეზი? ოცი წელიწადი ვეძებდი მიზეზს, ბოლოს ძლივს მივაგენი. ხა! აბა შეხედეთ ამ შენობებს. გინახავთ სადმე უკეთესი?

— ვენის შენობები სჯობია. უფრო ახლები, ფერადიანები და კოხტები არიან.

— რაც მართალია, მართალია! ეხლა შეხედეთ ამ ცას, შეისუნთქეთ ეს ჰაერი.

— ვენის ცა და ჰაერი უფრო სუფთაა, უფრო ნაზია.

— ეგეც მართალია. გადახედეთ ამ ხალხს.

— ვენის ხალხიც ასე სუფთად, კოპწიად და კოხტად [illegible] ული.

— უფრო კოხტად და უფრო სუფთად, უფრო! ეხლა [illegible] შეადარეთ. ქალი ამშვენებს ყოველ ხალხს; იგი დიდი ჯიშიანი ვარდია მინდვრის ასკილთა თაიგულში; იგი ცისკარია მკრთალ ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე; იგი ულამაზესი სამკაულია ყოველ ოჯახის, ქალაქისა და ხალხის. ეხლა შეადარეთ ვენელი და პარიზელი ქალები.

— ვენელი ქალები? უფრო ტანადნი, თვალადნი და ჯიშიანნი არიან, ხოლო აქაურები უფრო... უფრო...

და სიტყვა რომ ვერ იპოვა, თითები ააცმაცუნა.

ისევ ბებერი შაცმანი მიეშველა:

— უფრო მალხაზნი, კეკლუცნი და კოპწიები არიან. პარიზელებს თვალში, მიხვრა-მოხვრაში და სისხლში ულეველი აქვთ ღვთაებრივი ცეცხლი, პილპილი, გემოვნება, შნო, ყნოსვა შვენიერებისა, უნარი სიცოცხლისა, ჭკუა მეტად მახვილი. მაშ სად არის საიდუმლოება პარიზის მიმზიდველობისა? მოგახსენებთ: აქაური ჰაერი და ცხოვრება დაბანგულია, რაღაც თილისმით არის გაჟღენთილი, რაღაც იდუმალის ძალით არის მოჯადოებული. რა ჰქვიან ამ ჯადოს, ამ თილისმას? ხალხის სული და სისხლი,—აი მარტივი გასაღები საიდუმლოებისა.

— მაშ ფრანგებს სხვანაირი სისხლი ჰქონიათ! — ირონიით წამოიძახა კვაჭიმ.

— უეჭველად! დაუჯერეთ ბებერ შაცმანს; ყველას რომ ერთნაირი სისხლი ჰქონოდეთ, ერთნაირი ენებოდათ ენაც, კანონიც, ტანიც, სარწმუნოებაც, ზნეობაც და ჩვეულებაც. შაცმანი მეცნიერი არ არის, მას გიმნაზიის კარებიც არ უნახავს, სამაგიეროდ მან მთელი მსოფლიო მოიარა; მას აქვს თვალი, სმენა, დაკვირვება და ტვინი, ამიტომ მან ყველაფერი ნახა, მოისმინა და გაიგო. ჭკუას არ წააგებთ, ბებერ შაცმანს დაუჯერეთ მეთქი!.. ჰო, იმას მოგახსენებდით. ღმერთმა რომ ფრანგი გააჩინა, ძარღვებში ცხელი სისხლი ჩაუსხა, მკერდში ცეცხლ მოკიდებული გული ჩაუდო და თავში კარგად გარეცხილი ტვინი ჩაულაგა, თან სიცოცხლის უნარი და მშვენიერების ალღოც მისცა, ზედ პილპილიც წააყარა. ამ ხალხმაც აიღო და იგი ალღო, უნარი, ცხელი სისხლი და სული გარეთ გამოიტანა, ყველგან მიაბნ-მოაბნია და აი ამ ბულვარსაც, შენობებსაც და ჰაერსაც თავისი ბეჭედი დაჰკრა და დაამჩნია, მორჩა და გათავდა! ამას მოგახსენებთ ბებერი შაცმანი! დიაღ, ამას მე მოგახსენებთ, მორჩა და გათავდა!

კიდევ დიდხანს ასწავლიდა კვაჭის ბებერი შაცმანი ბებრულ ჭკუა-გონებას, თან ხშირად მავალებზე უთითებდა:

— აგერ დიდებული არტისტი მუნე სიულლი... აი გიჟი ლებოდი, სახარის მეჯე, გაკოტრებული მილიონერი... აი „ფოლი ბერჟერის“ პრიმადონნა... აგერ გულდი,—ამერიკელი მილიარდერი, რომელსაც ძაღლებზე, დოლზე და ცხენებზე მოეშალა ტვინი... ეს გაპარსული ჯენტლემენი შეკლტონია, უდიდესი ინგლისელი მოგზაური გახლავთ...

* * *

გრანდ-ჰოტელში ისადილეს, მერე პარიზის ლამისაგანძურებს მოედვნენ. დაიწყეს ლათინურ უბნიდან. შეიხედეს ამერიკულ ბარში, „ფუტლოში", „დარკურში", მერე ჩაჰყვნენ სევასტოპოლის ბულვარს, იქიდან ჩავიდნენ „ფოლ ბერჟერში" მოითხოვეს კონსომასიონი, ნახეს ნახატი ქალები და მოისმინეს დღიური „რევიუ", თუმცა მისი ბევრი ვერაფერი გაიგეს, რადგან იგი აშენებული იყო სიტყვების თამაშზე და საჭირო იყო ფრანგულის ზედმიწევნით ცოდნა.

კვაჭი იქაურთა ცეკვას და მიხვრა-მოხვრას რომ დააკვირდა, პეტერბურგის „არკადია" გაიხსენა, შეადარა და სთქვა:

— თეთრი დათვი და ქურციკი მაგონდება.

ადრე გამოვიდნენ, „ოლიმპიაშიც" შეჰყვეს ცხვირი, მერე ნელ-ნელა მონმარტრის ალმართს შეუდგნენ, რომელიც მხოლოდ შუალამეზე იღვიძებს, თან კაბარეებში იხედებოდნენ, თითონ სასმელს გადაჰკრავდნენ და ახალ-ახალ სანახაველებით ითრობოდნენ.

გაიარეს ათიოდე კაბარე, ნახეს „მონიკო" და „ლამპრონსესი", ბოლოს „მულენ რუჟს" მიადგნენ.

კარის ჯრელი დარაჯი, მეტრ-დჰოტელი და კაჭკაჭივით თეთრგულა ფრაკოსანნი, ღიმილით და მოწიწებით დაუხვდნენ, ხალხით გაჭედილ უზარმაზარ დარბაზში შეიყვანეს და საპატიო ლოჟაში შეაცილეს.

იმავ წამს ორკესტრმა რუსული სამეფო ჰიმნი „ბოჟე ცარია ხრანი" დაიწყო.

ყველანი წამოდგნენ, გაიჭიმნენ და პირი კვაჭის ლოჟისკენ მოიბრუნეს.

— ვივ ლა-რიუს! ვივ ლა-რიუს!—იგრიალა დარბაზმა, თან გამოჭიმულ კვაჭის ტაშის გრიალი მიაყარეს და აქეთ-იქიდან უხვი საჩუქრები მოუგზავნეს—ყვავილები, ტკბილეულობა, შამპანური, მარსალა, ბენედიქტინი და მრავალნაირი სხვა სასმელი.

სანამ საჩუქრები მოდიოდა და შეხურებულთა ტაში მოისმოდა, კვაჭი ლოჟიდან ყველას თავს უკრავდა და ღიმილითა და ხელით მადლობას უგზავნიდა. მერე მობრუნდა და ორკესტრს ნიშანი მისცა.

ორკესტრმა ცეცხლიანი მარსელიეზა დაუკრა. ისევ ფეხზე წამოდგნენ და გაიჭიმნენ.

— ვივ ლა ფრანს!—მძლავრად დასძახა კვაჭიმ, როცა მარსელიეზა გათავდა.

— ვივ ლა ფრანს! ვივ ლა ფრანს!—გრიალებდა და ჰქუხდა დარბაზი.

— გთხოვთ გაუგზავნოთ ორკესტრს სამასი ფრანკი და ათი ბოთლი შამპანური,—მისცა კვაჭიმ მეტრ დ-ოტელს ბრძანება,—ხოლო ვინც პატივი დამდო საჩუქარით, ერთი ორად მიართვით, ქალებს—ყვავილები, მამაკაცებს—სასმელები.

და თავჩაღუნულ მეტრ დ-ოტელს დასაოიგებლად ერთი დასტა სადარბაზო ბარათები გადასცა ოქროს წარწერით:

თავადი ირავლი

შაგრანიანთ შუსრანსკი

ფლიგელ-ადიუტანტი სრულიად რუსეთის იმპერატორისა.

დალაგდნენ და საჭმელ-სასმელი მოითხოვეს.

უცებ კვაჭი შეჰკრთა. დარბაზის კუთხეში მან თვალი მოჰკრა ორს თვალს, ორს ნალვერდლიან თვალს, რომელიც მწვავე ისარივით გაეყარა იმის გულს.

— მადამ ლაპოში, ბესო! სედრაკ!.. მადამ ლაპოში!

ერთმანეთი იცნეს, ერთმანეთს გაულიმეს; თვალი თვალს დაატაკეს და გული გულს მოახვედრეს.

— სედრაკ, წა მეიპატიჟე მალე, თვარა... ჩქარა!!

ხუთი წუთის შემდეგ მკერდამდე ტიტველი და სპილოს ძვლისაგან ნათალი ლიზეტ ლაპოში სედრაკამ კვაჭის მოჰგვარა; და იმ სპილოს ძვალმა, გიშრის ბულულამ, სისხლიანმა ტუჩებმა და ცეცხლ მოკიდებულმა ნახშირის თვალებმა ის ლოჟა გააცოცხლეს, გაანათეს და დაამშვენეს.

კვლავ გაიხსნა ძველი ჭრილობა, გამოჩნდა პირშეკრული იარა, გაღვივდა ნავლწაყრილი ცეცხლი და აჩუხჩუხდა მილეული შადრევანი უდროოდ გაწყვეტილის ჟინისა და სიყვარულისა.

ერთმანეთს ხელები დაამტვრიეს, სევდიანი საყვედური უთხრეს და ადესური წარსული გაიხსენეს.

მერე კვაჭიმ ჰკითხა:

— უ ეტილ, ვოტრ მარი (სად არის თქვენი ქმარი)?

ლიზეტმა სევდიანად ამოიოხრა:

— ილ ე მორ, მონ შა (მოკვდა, ჩემო კატუნი).

— ვა, კარგი საქმე უქნია, რაღა!—გადაჰკრა სედრაკამ.

— ძალიან მიჰქარა, რომ ასე დაიგვიანა.—გადმოუგდო კვაჭიმ.

ნელნელა აჰყვნენ ქეიფის აღმართს; შეიკეთეს, შეხურდნენ და ადუღდნენ.

უზარმაზარი დარბაზი იწვის;

ბროლის ურიცხვი მძივებით აკუნწლული ლიუსტრა ალმასივით ბრწყინავს;

ისმის სევრის ფაიფურის წკარა-წკური; ბაკკარა კრიალებს;

ვერცხლის კასრებში გაყინული და არტახებში გახვეული შამპანური ბროლის თასებში ოქროს წინწკლებით იწინწკლება;

გაბერილ სურიდან თაფლის ფერი კიურასო-შიპრი ჩამოჩუხჩუხებს.

მუსკატი, მარსალა, ბენედიქტინი, ბორდო და ბურგუნდული წითელ-ყვითლად ბზინავენ და ქათქათებენ;

ბროლის ჭიქებში ცეცხლმოკიდებული შარტრეზი ცისფერი ალით იწვის;

ათფერად იწურება მრავალნაირი ეკზოტიური ხილი: ანანასი, ფორთოხალი და მანდარინი;

თავის-თავად დნება ფრანგული მსხალი — სენტერმენი და ფეიდეუნი;

ბამბასავით თეთრ მაგიდებზე უხვად გაბნეულა ალანძული ატამი, კალვილი, მწვანე, ყვითელი, წითელი და შავი ყურძენი, იშვიათი ვარდი და ყვავილი;

ლადლადა კიბო და ომარი გაფარჩხულან, გაბობილან;

შემწვარ და მოხრაკულ ფრინველს შეწითლებული გულმკერდი და ფეხები ზევით აუყრიათ;

ათასნაირად შეზავებული საჭმელი ნაწიწკნი და ხელუხლებელი ჭურია;

უხვად მოსჩანს ნაირ-ნაირი ფერის, მოყვანილებისა და ჯიშის ტიტველი ბეჭი, მკერდი, მკლავი და აბლაბუდაში გახვეული წვივი;

ერთმანეთში არეულა ასფერი ფარჩა, ატლასი, ხავერდი, ლეჩაქი;

თვალს იზიდავს ვენეციური, ბრაუსელური, ვალანსური და აღმოსავლური ნაქარგი, ნაქსოვი და ოქრონემსული;

გიშრის, წაბლის, მიბაკის, ჩალისა და ოქროს თმები აპენტილან, აბულულებულან;

თვალსა სჭრის ბრილიანტი, ალმასი, ლალი, ფირუზი, ზურმუხტი, ამეთვისტონი, მარგალიტი, ბადახში და ლაჟვარდი;

თამბაქოს ბოლი, ლურჯი გველებივით დაკლაკნული, ჭერისკენ ისვეტება და ისრუტება;

ყნოსვას ასისინებს თილისმური ალერსით ნელსაცხებელი;

ესტრადაზე ერთმანეთს აღარ აცლიან ფრანგნი, იტალელნი, ეპანელნი, ალჟირელი ურიები, ტუნისელი არაბები, იაპონელები და ქვეყნის ყოველი კუთხიდან წამოსული მოცეკვავენი;

გიჟობს, ლალობს და დაჭრის აღვირაწყვეტილი ესპანური, ჰუნგრული ჩარდაში და პოლონური მაზურკა; ურცხვად იკუზება კეკ-უოკი. ზომიერებას გადასცდა მატჩიჩი, იგრიხება და იკლაკნება ჟინიანი ტანგო, შიშვლდება ვნებიანი მუცლის ცეკვა;

დაჭხტის ათნაირი ფერისა და ფორმის წვივი და ბარძაღი, შრიალებს ფარჩის კაბა, ელავს თეთრი საცვალი;

ქალ-ვაჟნი ერთმანეთში ჩახლართულან, ჩაკრულან, ჩაწნულან; და ერთმანეთის სუნთქვით და ხორცით დამთვრალნი და თავბრუდახვეულნი ლალად და გატაცებით დასცურავენ და დაჭხტიან ცეკვის ტალღებში;

ისმის ტრფობის ჩურჩული, ნართაული ოხუნჯობა და აღგზნებული კისკასი;

დარბაზს სჭრის ხშირი ელვა სურვილით ანთებულ თვალებისა;

ავის ღელვით ჭღელავს შიშველი მკერდი;

სისხლისფერ ტუჩებზე და ელვიან კბილებზე თრთის ალბური აშლილის ჟინისა;

ნარკოტით ალესილი და მწვავე სასმელ-საჭმელით ალეწილი ხორცი ეძებს დაცხრომას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპილპილებული აჩუხჩუხებული სისხლი მოუთმენლად მოელოდ და დაჟინებით მოითხოვს შენელებას და ჩაქრობას;

გაჩალებული დარბაზი ვნების ალში და ბანგში გახვეულა;

ილრინება და მძვინვარებს პირსისხლიანი, კბილალესილი, ფაფარაყრილი და ახურებული მხეცი სიძვისა და მრუშობისა;

იწვის, დნება და ინთქმის იგი დარბაზი გარყვნილების და აღვირაწყვეტილ ვნების ხანძარში.

კვარიც აჰყვა ამ ხანძარს, მოაჯდა პირსისხლიან მხეცს, შესცურდა გაბანგულ ტალღებში და თავგამწვეი ცხენივით გადავარდა მრუშობისა და ვნების მორევში; გადავარდა და ორიოდე კვირა იხჩობოდა იმ ზღვაში და იხრუკებოდა იმ ცეცხლში.

ყველაფერი ნახა და იგემა: ჯოჯოხეთი და სამოთხე, აპაშების სარდაფები, ნეძავთა პრიტონები, გარეუბნების ბალები, ქალ-ვაჟთა შესახვედრი სახლები და დაქირავებული სიყვარული, რომლითაც ქანც-გამოლეული საჭურისნი ჭუჭრუტანებიდან სტკბებოდენ და თვრებოდნენ.

და გაბრუებულ, გამხეცებულ კვაჭანტირაძეს ირგვლივ ესმოდა მხოლოდ ვაკაპასებულ ვნების ყმუილი, გატიტვლებულ სიტკბოების ღრიალი, წკმუტუნი და კვნესა:

კვაჭი ჰხედავდა და ჰგრძნობდა მხოლოდ შიშველს, ფეხაყრილ პირუტყვს, მუდმივს ნადიმსა და ზეიმს, ლხინსა და განცხრომას, ფუფუნებას და მოსვენებას.

და კვაჭიც დარწმუნებული იყო და ფიქრობდა, რომ ის მზეთა-მზე ქალაქი და ფრანგთა მთელი ქვეყანაც კვაჭივით ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს და ჰხარჯავენ თავიანთ ძალღონეს.

ის კი არ იცოდა ფლიგელ-ადიუტანტმა, სილიბისტროს შვილმა, ან საიდან გაიგებდა, ან როგორ მოიფიქრებდა და დაიჯერებდა, რომ სწორედ იმ დროს, როცა იგი დღეს აღამებდა და ღამეს ათენებდა ვნების ხანძარში და სიტკბოების მორევში, იმ უთვალავ ხალხის ოთხმოცდა-ცხრამეტი ნეასედი ერთ ლუკმა პურისთვის, თავის ოჯახისთვის და პატიოსნებისთვის დღე-ღამეს ასწორებდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ და მთელ თავის სიცოცხლეს მუდმივ ფუსფუსსა, დაუდგრომელ შრომასა და ჯაფაში ჰლევდნენ.

* * *

ელისეს ხეივანზე კვაჭის დაქირავებული აქვს პარიზულად მოწყობილი ჰოტელ-სასახლე. კვაჭის გარდა იმ სასახლეში ბუდობენ ბესო, სედრაკა, ჩიკინჯილაძე, ჩხუბიშვილი, კამერდინერი ვასილა, კვაჭის წამკითხველი და ფრანგულის მასწავლებელი სუსანა,—შაკმანის ნაშოვნი, დაბალი, ფუნჩულა, ცქრიალა, მარდი და მხიარული,—ხუთიოდე „გრიზეტი“ და ათიოდე მსახური,—კარის დარაჯნი, ლაქიები, მზარეულნი, მებალე, მეჯინიბე და შოფერი.

კვაჭიმ ადვილად დაისწავლა ფრანგული, ადვილად გაიგნო გზები და ბილიკები იმ ქალაქში და მალე შეითვისა იქაურ რანტიებისა და ფლანიორების ხნე-ჩვეულებანი, ადათი, წესი და კანონი.

თითქმის ყველა მისი ნაცნობ-მეგობრები თავადების, ბანკიერების, გრაფების, მარკიზებისა და ბარონების ტიტულებს ატარებდნენ, ხოლო დანარჩენები ფულიანები და ჩრდილნი მაინც უნდა ყოფილიყვნენ.

დილით ადრე კვაჭი გრუმს გაიყოლებდა, ჯიშიან ინგლისურ ცხენით ელისეს ხეივანს დაჰყვებოდა, ბულონის ჭალაბალს მოივლიდა; მერე დილის ყავას დიდ ბულვარებზე მიირთმევდა, საუზმეს მეგობრებთან ერთად თავის სასახლეში გიახლებოდათ; ხუთი საათის ფაიფ-ო-კლოკს „კარლტონის" ან „ინგლისის", ხან „მადრიდის", ხან კიდევ „ელისეს" ყავახანაში დალევდა, შვიდ საათზე „მაქსიმთან", ან „გრანდ ოტელში", ან სხვა რჩეულ რესტორანში ისადილებდა და საღამოსა და ღამეს კაბარე-შანტანებში ატარებდა.

ხშირად ჰყავდა სტუმრები და თვითონაც პატიჟად კაფე-რესტორანში მიდიოდა, რადგან მისი მეგობრები უცხოელნი იყვნენ და სასტუმროში სცხოვრობდნენ, ხოლო ფრანგების სიფრთხილე და მორიდება კვაჭიმ ჯერ ვერ დასძლია და მათი ოჯახის კარები ჯერ ვერ გააღო.

რესპუბლიკის მუზეუმში ნაპოლეონის ოქროს სერვიზი ნახა:

— იმე, იმაზე ნაკლები ვარ, თუ? სახელი მაინც მაქვს მისი!

და თავისთვის ოქროს ჭურჭელი იყიდა.

დიდ ბულვარებზე ერთხელ ქერა ქალს შეეფეთა:

— რებეკკა! ჩემო რებეკკა! ჩემო ტურფავ, ძვირფასო რებეკკა!

ადესიდან გაქცეულს ლებეკკას ქმარს, რომელიც კვაჭიმ ჩამოხრჩობას თუ არა, კატორღას მაინც გადააარჩინა, ჰოსმანის ბულვარზე დიდი მაღაზია ჰქონდა და მთელი დღე შიგ ტრიალებდა.

— უფრო კარგი.—მოიწონა კვაჭიმ და გახარებული რებეკკა მაშინვე მოიტაცა.

მას აქეთ კვაჭი და რებეკკა კვირაში ორჯერ მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს ორი-სამი საათით—ხან კვაჭის სასახლეში, ხან რებეკას კოხტა ბინაზე მალერბის გაშლილ ბულვარზე.

კვაჭი არსად აკლდებოდა და ყველგან ჰქონდა თავისი ალაგი. გამოფენის ვერნისაჟს, ოპერას, სეირნობას, დოლს, თეატრ-ვარიეტეს, ფოლი-ბერჟერს, ოლიმპიას და ყოველნაირ საზეიმო სახახაობას და გასართობს.

ერთხელ პარიზის სალონის ვერხისაჟზე კვაჭი მოულოდნელად დაფეთდა:

— ელენე!.. ტანია!.. ღმერთო ჩემო... საიდან, როგორ?

ექვსი თვე იქნებოდა, რაც ელენემ და ტანიამ „არკადიაში" გრიშკას მიერ ატეხილ სკანდალს თავი ბოლარიდეს, მას აქეთ პარიზში სცხოვრობდნენ ფობურგ-სენტ-ჰონორეს ხეივანზე, მაგრამ აქამდის არ იცოდნენ კვაჭის ყოფნა პარიზში.

თავადი ვიტგენშტეინიც პარიზში ჩამოსულიყო და ტანიას და ელენეს დასდევდა, უფრო კი ტანიას ეკლებოდა თავს, რადგან იმ ხანებში თვითონ გაკოტრებულიყო და გაკვაჭებულიყო.

კვაჭის არ ეწყინა ეს ამბავი. პირიქით, გაუხარდა კიდეეაც, რადგან სამოდე ახლად ნაშოვნ საყვარელის გარდა, საზრუნავი და მოსავლელი ჰყავდა ლიზეტი, სუსანა, რებეკკა და ელენე.

რადგან გაუმაძღარი და ქანცდალეული კვაჭი სულ ახალ-ახლებს ეძებდა და ჰპოულობდა, ამიტომ მალე გამართლდა იმის თავზე ... ფული: კვაჭი თავისს საყვარლებს ამარილებდა და აცმევდა, ხოლო ... ცნობ-უცნობნი—იმ ქალებს ჰხდიდნენ და კვაჭის ჰშველოდნენ.

* * *

კარგა ხანია კვაჭის არც ერთი საქმე არ „გაუმასქნებია". გრიშკა რასპუტინის მეთხებით ნაშოვნი ფული თოვლივით დნებოდა. კვაჭის ეს ამბავი არც ძალიან აწუხებდა, მაინც ბოლო დროს საფიქრებელს მიეცა და ცხვირი და ტვინი აამუშავა.

ლუვრში სიარულს მოუხშირა. მეგობრებს ეუბნებოდა:

— უნდა ძველი მხატვრობა შეეისწავლო.

აპოლონის დარბაზი შეუყვარდა. ნაპოლეონის იარაღს და ბრილიანტებს თავს დასტრიალებდა, იმ ყუთს ჰსინჯავდა, იქაურობას ათვალიერებდა და შენობის გეგმას წიგნში იხატავდა.

ერთხელ კვაჭიმ დრო იხელთა და განძეულობის ყუთი ქვეიდანაც დაათვალიერა. აღმოჩნდა, რომ პატარა მაგიდის ოდენა ყუთი ოთხ ფეხზე ბურღებით იყო მიმაგრებული. მას აქეთ კვაჭი უფრო ჩაფიქრდა, დიდ საგონებელს მიეცა.

სედრაკას ჰკითხა;

— ხატვა იცი?

— ვა, ისეთი ხატვა ვიცი, რომ... სერიოჟა რომ დავხატო, ჯორის თავი გამომივა.

— კაი, ხუმრობა იქით იყოს. დეიქირავე მასწავლებელი და შეუდექ გრავიორობის საქმეს. ხატვა ჯერ საჭირო არ არის. ყველაფერს მერე აგიხსნი. გაიგე?

— გავიგე. ხვალვე შევუდგები...

მერე ერთ ვაჭართან მივიდა, რომელსაც იმიტატურ თვალ-მარგალიტის მაღაზია ჰქონდა.

— თავადი ტრუბეცკოი გახლავართ. ერმიტაჟის მუზეუმმა დამავალა შევიძინო ასლები იმ განძეულობისა, რომელიც ლუვრში აწყვია.

მოილაპარაკეს და მორიგდნენ. იმ ვაჭარს ხელოვნურ ბრილიანტებისაგან უნდა გაეკეთებინა სრული ასლი იმ განძეულობისა, და არც ერთი ბრილიანტი არ უნდა ყოფილიყო არც ერთი კარატით ან მეტი, ან ნაკლები.

მერე ბესო დაარიგა:

— წადი ვინმე გრავიორთან და შუკვეთე აი ამ ზომის ორი ფიცარი. ზედ უნდა დახატული იყოს საერთო მოხაზულობით აი ეს სურათები.

და გადასცა ორი სურათი, გადმოღებული აპოლონის დარბაზის კედლებიდან.

— სერიოჟა წა ხელოსანთან და გააკეთებიე კაკლის ხის ნამდვილი ასლი ამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყუთისა. ფეხები საჭირო არაა. აი ფოტოგრაფიული სურათიც. ქვედან ასეთი ბურღები უნდა ჰქონდეს. ა ნახატიც და ზომაც.

ერთი თვის შემდეგ ყველაფერი მზათ იყო.

— სედრაკ, წა იმ დარბაზში და ეს გრავიურა დაასრულე. ეიღე ნებართვა. ნელა იმუშავე. არ გეიგონ, რომე ფინაჩი ხარ, თვარა...

სედრაკა დღეში ერთი საათი ხის აპოლონის დარბაზში და ჩხირკედელობს. უფრო ხშირად დარაჯს ეხუმრება, სიგარეებით, კონიაკით და შოკოლადით უმეგობრდება. ორჯერ-სამჯერ სალამო პტი-კაფესა და პტი-კაბარეში გაატარეს. სედრაკას ფიცრები და იარაღი ერთ შუშაბანდიან ყუთში აქვს ჩაწყობილი, რომელიც არაფრით განირჩევა იმ ყუთისაგან, საცა განძეულობა აწყვია. სედრაკა რომ საქმეს გაათავებს, თავის ყუთს უფრო დიდს და უშნო ყუთში ჩასდებს, მაგრად დაჭკეტავს და იქვე კიბის თავზე, ჭერქვეშ შეინახავს.

დარაჯი, სერიოჟა, გაბო და სედრაკა ერთმანეთს შეეჩვივნენ.

წინა ღამეს კვაჭიმ თავის ამხანაგებს რთული დარიგება მისცა. მეორე დილით ხუთივ ამხანაგი ლუვრს მიადგნენ.

სედრაკამ კიბის თავიდან თავისი ყუთი აპოლონის დარბაზში შეათრია. შეჰყვენ გაბო, ბესო და სერიოჟაც.

— ბონჟურ, მონ ამი! (გამარჯვება, მეგობარო!)

— ბონ ჟურ მონ შერ! (გაგიმარჯოს, ჩემო ძვირფასო!)

— სავა ბიენ (კარგად ხარ)?

— კომ ტუჟურ, მერსი ბიენ (როგორც ყოველთვის, მადლობელი).

სედრაკამ ყუთი გახსნა, იქიდან ყველაფერი იმოიღო და მუშაობას შეუდგა: სპილენძის მეორე დაფას სერიოჟა აწვალებდა.

ადრეა. იმ დარბაზში სხვა არავინ არის.

ნახევარ საათის შემდეგ სედრაკამ მუშაობას თავი დაანება და დიდ ფანჯარას მიადგა,

— მეგობარო, აქ მოდით ერთის წუთით.

დარაჯიც იმ ფანჯარას მიადგა.

— ერთი მითხარი, აგერ, სენის გაღმა რომ მოსჩანს, რა შენობაა? უცხოელი ვარ, აქაურობის ჯერ არაფერი ვიცი.

— როგორ, აქამდის არ იცი? ის არის ჰოტელ-დე-მონე (ფულის საჭრელი)...

— ესა?.. ისა?.. ეს ხიდი?.. ის შენობა?.. — ეკითხებოდა სედრაკა,

— აქეთ სამეცნიერო ინსტიტუტია... უფრო ქვეით ხელოვნების სკოლა გახლავთ... უფრო ქვეით, სენის გაღმა მოსჩანს ორლეანის სადგური... კიდევ ქვეით საპატიო ლეგიონის სასახლე... გაღმა სანაპიროს ჰქვიან ორსეის სანაპირო... ეს ხელოვნების ხიდია... ის კარუსელის ხიდია...

სანამ დარაჯი ყბედობდა, ამხანაგები ორი ყუთის გარშემო ფუსფუსებდნენ. ყუთის ბურღები ორი დღით ადრე იყო მოშლილი. ორ წუთში მოხსნეს ერთი ყუთი, მის მაგიერ დასდგეს მეორე; პირველი ყუთი, განძეულობით სავსე ჩასდგეს ხის ყუთში, დახურეს იგი და წავიდ-წამოვიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვაჭი შემოსავალ კარებიდან გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს მუშაობას.

ხუთი წუთის შემდეგ სედრაკამ იარაღი ჩაალაგა:

— ორევუარ, მონ შერ!

— ორევუარ, მონ ამი!

ის ყუთი ისევ კიბის თავზე აიტანა. კვაჭიც აჰყვა. ორ წუთში მინა ალმასით ჩასჭრეს, ბრილიანტები ჯიბეებში ჩაიწყეს, ძვირფასი იარაღი ნაპოლეონის მახვილი—შპაგა კვაჭიმ პალტოს ქვეშ ამოიდო. სხვები ქვემო კარებთან იცდიდნენ.

მოუსვეს და მოჰკურცხლეს.

იმ საღამოს, როცა ფული გაინაწილეს და ჯიბეებში ჩაიწყვეს, ამხანაგებმა ასეთი ბაასი გააბეს:

— კნიაზ, იცი რა უნდა გითხრა? მოდი ჭკუაზე მოვიდეთ.—დაიწყო ჰავლაბრიანმა.

— რას ლაპარიკობ, შე ყაზილარო, ჭკუაზე არ ვარ თუ?..

— თუ დამიჯერებ, ჭკუაზე ყოფილხარ, თუ არა და შენ—იცი. ეს ხომ კარგი საქმე გავაკეთეთ. ამოდენა ფულს ვერც მამაშენი სილიბისტრო, ვერც მამაჩემი გალუსტა სიზბარშიაც ვერ ჰნახავენ, ერთ კვირაშიც ვერ დასთვლიან. მოდი ჭკუა ვიხმაროთ და გავათავოთ... ჰაბე?.. ვიცი, რომ ჯერ-ჯეროობით ქეიფის მეტს აღარაფერს აპირებ, ჰამა ეს ფულიც გათავდება, განა! მერე ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ. ერთიც იქნებაა, კოკა წყალზე გატყდებაა. მერე? ყველაფერი შხამად ამოგვიდგა! თავზე საყრელი ფული გვაქვს. ეს „ზაგრანიცაც“ დავიარეთ; თუ გინდათ, ცოტა კიდევ ვიბეტიალოთ; ამოდენა ქეიფი გავწიეთ, დუნიას ქალები „დავპროობეთ“, ებლა დაესხდეთ და კეთილად ვიცხოვროთ. ჰამ ციხესაც თავიდან ავიშორებთ, ჰამ პატივიც შეგვრჩებაა, ჰამ სიკეთესაც დავთესავთ, ჰამ ოჯახსაც ავიშენებთ და საქმესაც გავიჩენთ. ჰა, ჩემი სიტყვა ჭკუაში დაგიჯდათ თუ არა?

— იმე, აი სედრაკა თლა „გამეშჩანებულა“!—წამოიძახა კვაჭიმ.— პარიზს თავი დავანებო და თლათ დაფსილ საქართველოში გავიქცევ! აი მზეთუნახავი პრინცესები აქინე დავტოვო და ღვანკითელ კაროჟნას გამეეკიდოო! აი სასახლედან გამევიდე და სამტრედიის, თუნდ თბილისის საქათმეში შევიდეე!

— „ოლიმპიას“, „მულენ რუჟს“, „კაფე-რიშს“ მოვცილდე და დანიელა ურიას, ლაითაძეს და ერემოს გადვეკიდოო?!—გაიკვირვა ბესომაც.

— აქოურ აპაშების კაბარე და დიდ ბულვარზე ერთი გასეირნება მირჩევნია თლა საქართველოს.— დაადასტურა ჩიკინჯილაძემ.— თლა გედირია აი სედრაკა.

— რას ეძებ, რა დაგრჩენია იქინე, შე სულელო, შენა?—ჰკითხა კვაჭიმ.

— ზოგი გითხარით, ზოგსაც გეტყვით, რაღა! იცით რა დამრჩენიაა? მოხუცებული დედ-მამა, ჩემთვის რომ ასე დაიტანჯნენ; ღარიბი ნათესავები, ამდენ ხანს რომ პირში შამომცქერიან და ჩემს ჩასვლას რომ ცის მანანასავით ელიან...

ამხანაგებმა სიცილით გააწყვეტინეს.

— აკი ვთქვი, თლათ „გამეშჩანებულა“ თქვა!

— რა დამრჩენია? ეაა, ყველაფერი: თელავის ვენახები, ნინოწმინდის კვარის გადასახადი, ციგომბორის ნიავი; კახური ღვინოო, ჩვენებური ყველი, ... თვალებიანი გოგოები, ერთგული ძმა-ბიჭები...

— უჰ, შენი ჭირიმე, შენი!—წამოიჭრა და აღელდა გაბო ჩხუბიშვილიც.— გორში რა დამრჩენია? გორის ციხე,—ვენაცვალე იმის ამშენებელსა!—იმის თავზე რომ ძმა-ბიჭები სუფრას გავშლით, მწვადებს რომ ავაშიშხინებთ, ერთ სუფრულს რომ დავსძახებთ და ტკბილ დუდუკს რომ ავაკანკალებთ...

სედრაკამ სიტყვა ჩამოართვა:

— რიჟრაჟზე რომ მეზურნე მაღლობზე გადმოდგება, საარს დაჰკრავს და გათენებას რომ მიესალმება...

მერე ერთმანეთს აღარ აცლიდნენ:

— დილით რომ მტკვარზე ტივი ჩამოივლის, ზედ რომ სუფრას გავშლით და ისარივით ქვეით დავეშვებით...

— ვენახში რომ მუშაობით ოფლში გაიწურები, მერე უუზარმაზარ კაკლის ჩრდილში ჩამოჯდები და ცივ კიტრს, ჩიხირთმას და მაწონს რომ მოუჯდები...

— საღამო ჟამზე რომ ლიახვში გაბანდები, მერე იმის ტოტს რომ დასწყვეტავ და თევზზე იხელავებ; იქვე რომ ცეცხლს ააგუგუნებ და ცოცხალს მოხარშავ...

— სთველში რომ ტკბილი ბუდეშურით გაძღებით, მერე კომშიან ციკანს რომ მიადგები და ზედ რომ საფერავის ან რქაწითლის მაჭარს დააყოლებ, თან დედას ლევანა რომ კახურსაც შემოსძახებს...

— ნანადირევ ქედანსა და კურდღელს რომ ჭალაში ააშიშხინებ...

— მერე ულრან ტყეში რომ შეერევი და გაგრილდები...

— იმე, რა მოუვიდათ აი ყაზილარებს!

— მეგონა, აი კაცები გაევროპიელდენთქვა, განათლდენ და ცივილიზაცია შეითვისესთქვა, ნამდვილად კი თლად აზიელები ყოფილან!

— მაიზა მეიგონა დარვინმა ატავიზმის კანონი. ხეხილი რომე გააჯიშიანო, უცბად თავს მეიგიჟიანებს და ძველ ჯიშს დაუბრუნდება, ამათაც ამ ატავიზმის ამბავი დეემართათ.

— რა ესმით მაგ ატეიზმისა ამ ყაზილარებს! —აერია ერთმანეთში კვაჭიმ ატავიზმი და ატეიზმი.

გაბომ კიდევ დაასაბუთა თავისი გატაცება, წყურვილი სახლში დაბრუნებისა, და სამშობლო ახსენა.

ეს სიტყვა ხელზე დაიხვიეს:

— თელი ქვეყანა ჩემი სამშობლოა.—სთქვა კვაჭიმ,—საცა განვითარებული ქვეყანაა, იგია ჩემი საცხოვრებელი; მე მიყვარს კულტურა, ცივილიზაცია, პროგრესი, სუფთა ქუჩა, მოკრიალებული ბინა, კაი-კაი გასართობი; მომწონს გახამებული პერანგი, ცილინდრი, ლაკირონის ფეხსაცმელი; მიყვარს ჯიშიანი გარეცხილ-გაბანებული ქალები, ფარჩის საცვალი რომ აცვიათ და იმ საცვალს კვირაში ორჯერ მაინც რომ გამოიცვლიან; არ მესმის, რავა შეიძლება ცხოვრე-

ბა ისეთ ქალაქში, საცა არ არის რამოდენიმე უმაღლესი სკოლა, ათეოდე თეატრი, მეცნიერება, ხელოვნება, საცა ბონებრივი ცხოვრება მიბელებულია, ან სრულებით არ არსებობს.

— საცა გემრიელი ლუკმა მაქვს, ჩემი სამშობლოს ჩაურთო ბესომაც.

— რაში უნდა გამევიყენო საქათმეების და მეცხვარე-მებაღეების სამშობლო? — გაიკვირვა სერიოჟამ.

— ეერიჰაა! — წამოიძახა გაბომ — მაშ ასე ყოფილა: თუ დედა-ჩემი ძალიან ბებერი, საწყალი და უშნოა, უნდა ხელი ვკრა, დავიეიწყო და თავი მივანებო, რაღა!

— ან კიდევ, — გააწყვეტინა სედრაკამ, — თუ ჩემი მშობლები ახალგაზრდები, ლამაზები, ჯანიანები, განათლებულები და მილიონერები არიან, მაშინ უნდა გავუწიო შვილობა, განა! აფსუს ჩემო ბებრუკანა გალუსტავ! აფსუს ჩემო უკბილო მართა! მაგისთვის შემომწირეს თავიანთი სიცოცხლე და ახალგაზრდობა, რომ უმადურმა სედრაკამ სიბერეში ზურგი შეაქციოს და სამადლოდ მიუგდოს ვინმეს!?.

— ლაპარაკობს, რაღა! — ჩამოართვა სიტყვა გაბომ, — სიტყვებით კოჭაობს, თორემ რათ აუთრევია თვითონ ყვაჭის თავის დედ-მამა?

სიტყვა ბანზე ააგდეს, ისევ ჭამა-სმას გადასწვდნენ და გაჭყვნენ სედრაკას, რომელმაც იმ დღეებში ლათინურ უბანში ერთი პატარა აღმოსავლური რესტორანი იპოვა.

შევიდნენ და გადაატრიალეს ბერძნების თავშესაფარი. თვითონაც დატრიალდნენ და ყველამ ერთად შეთინთხლეს და სუფრაზე გაშალეს ყველი და მწვანილი, კვიპროსის წითელი ღვინო და ბერძნული კონიაკი, ტაბაკა და ფლავი. ლულა-ქებაბი ლავაშით, მწვადი ხახვით, დოშში, მოთალი, ჩიხირთმა და ცოცხალი.

დილამდის იქეიფეს ქართულის ქეიფით, თან ბერძნებიც ჩაითრიეს, დაათვრეს და იქვე იატაკზე მიაწვინეს. მერე გაბო და სედრაკა გზის სამზადისს შეუდგნენ და მეორე დღესვე შინისკენ წამოვიდნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ პარიზში დარჩენილმა ამხანაგებმა გაიგეს, რომ გაბომ დიდი ცხვრის ფარა, სახლ-კარი, სახნავ-სათესი, ტყე და საძოვარი მოეგო, იყიდა, ხოლო სედრაკამ თელავში დიდი სავაჭრო გახსნა, თავის ვენახს კიდევ სამი ვენახი მიუმატა და ტფილისთან აღებ-მიცემობა გააბურა.

ორივემ შეისრულეს ნატვრა: დედმამა გააბარეს, მოყვრობა და ძმა-ბიჭობა გაიმრავლეს, თბილი ბუდეები აიშენეს;

ორივენი მუშაობით იღლებიან, კაკლების ქვეშ ისვენებენ, დუდუკით და ზურნით ქეიფობენ, ზოგჯერ ბანაობენ, თევზაობენ და ნადირობენ.

ხშირად მწვადსა და ჩიხირთმას შეექცევიან, ხედ წითელ კახურსაც მიაყოლებენ, სუფრულსაც იტყვიან და თვალუყურენა გოგოებსაც დასდევენ;

წარსულსაც ხშირად იგონებენ და ტოლ-ამხანაგებს უხეშის ენით, ბორ-

ძიკით და ლულლულით ადესის, პეტერბურგის, ვენისა და პარიზის ამბებს უამბობენ.

კვაჭის სიტყვები გამართლდა: გაბო და სედრაკაბ[illegible] ქვეყანას ჩამორჩნენ და დაბნელდნენ: საპონს თითქმის აღარ იკარებდნენ, საცვალს იშვიათად იცვლიდნენ, თეთრ საყელოს და ხელთათმანს ალმაცერად შესცქეროდნენ, გაზეთს ხელში აღარ აიღებდნენ, თეატრს აღარ ეკარებოდნენ და ქალაქის სუფთა ხალხს თითქოს ერიდებოდნენ და იხამუშებდნენ.

სამაგიეროდ თავიანთ ქვეყანაში სცხოვრობდნენ, იმის ჰაერით სუნთქავდნენ, იმის მიწას ჰხნავდნენ, და იდუმალის გრძნობით და აღტაცებით იმის დარდით დარდობდნენ და იმის ლხინით ლხინობდნენ.

ხოლო კვაჭი, ბესო და სერიოჟა ისევ ევროპაში დაჰქროლნენ, დიდი ბულვარებით ჰსუნთქავდნენ, ყავახანებში სცხოვრობდნენ, კაბარე-რესტორანებში ილეოდნენ, ქალებში დნებოდნენ, ჯენტლმენობდნენ, თავადობდნენ, მარკიზობდნენ და დროგამოშვებით კომბინაციებს „გააიმა'ქნებდნენ".

ვინ იცის, ვინ გაიგებს, ვინ წაიგო და ვინ მოიგო: კვაჭიმ და იმის ამხანაგებმა, თუ გაბომ და სედრაკამ?

* * *

კვაჭიმ იგენა და შეითვისა ევროპის გემო და უსაქმო, ფულიანი კაცის მადა, ადათი და ხალისი ცხოვრებისა.

პარიზში კოხტა ჰოტელ-სალონი ჰქონდა, ექსლე-ბენში და ბიარიცში თითო კოპწია ვილლა, ნიცცაში — იახტა, სადგურზე — სალონ ვაგონი, გარაჟში — სამი ავტომობილი, საჯინიბეში — ექვსი ცხენი და ჯიბეში — ჩეკის წიგნაკი.

ქალებისა და საყვარლების ანგარიში ხომ დიდი ხანია აერია. ტანია, ელენე, რებეკკა, სუსანა და ლიზეტი დაჩრდილეს დემიმონდის უფრო დაგეშილებმა და წარჩინებულებმა.

ერთხელ ფრანგულის მასწავლებელმა მამზელმა სუსანამ თავის შეგირდს — კვაჭის ყურში მორცხვად რაღაც ჩასჩურჩულა.

— შეუძლებელია! დაუჯერებელია! — წამოიძახა შეშინებულმა კვაჭიმ.— იქნება... გამოტყდი, იქნება შესცდი სადმე.

სუსანა ატირდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭიმ სუსანას სხვა ალაგი უშოვა, ხოლო ხუთი თვის შემდეგ პენსია დაუნიშნა თავის შვილის გასაზრდელად, რომელიც ახლა არ მიიკარა იმ მიზეზით, ვითომ სუსანა სხვას გადაჰკიდებიყო და შვილიც სხვისა ყოფილიყო.

იმავე ხანს კვაჭიმ ტრუვილში გაისეირნა. სალამოზე პლაჟზე გავიდა, საცა ამ დროს მობანავე ქალები თავიანთ შიშველ ტანს გამოჰფენდნენ ხოლმე.

მუშტრის თვალი გადაავლო იმ გამოფენას. გული მოიფხანა და თვალი გაიძლო იმ უცხო და იშვიათ სანახაობით. ყველა ჯურისა და ტომის ქალს გა-

მოეტანა იმ პლაჟზე თვისი ტანი, ოდნავ დაფარული სხვადასხვა ფერის ტრიკოთი:

მაღალნი, გაფშეკილნი, ძარღვიანნი, წითურნი, მოუკარებელნი [illegible] ინგლისელები; ჩასუქებულნი, ბატივით გაფაფხულნი, განრერნი; ხხარ-თეძოიანნი და ფამფალა ფლამანელ-ჰოლანდიელნი:

ახოვანნი, მედიდურნი, ფარშევანგიანნი და თეთრნი სკანდინავ-გერმანელნი;

მოსხლეტილები, გამხდრები, მარდები, ამპარტავანნი, შავგვრემანნი და ბრინჯაოს ფერის ესპანელნი;

არეულის ფერისა და ტანადობის იტალელნი და ფრანგნი — მკვირცხლნი და კეკლუცნი; რხეულნი და მოხდენილნი; ცეცხლოვანნი და შმაგიანნი, ქურციკოვანნი და გედოვანნი; მორცხვნი და თამამნი; მაღალნი და დაბალნი; სრულნი და გამხდარნი: ქერანნი და შავგვრემანნი; მამზელები, მადამები, მილედები, მისსები, მისტრისები, დონნები და ყოველი წოდების, წონის, ტომის, ფერისა და ჯურის ქალწულები და დედაკაცები.

უცებ იქვე, ზღვის ტალღებიდან ამოვიდა ქავის ფერის იმ ქვეყნიური აფროდიტა, შვენიერი ოკეანიდა, მზეთუნახავი ალქაჯი: კვიპარისოვანი, მოხლეტილი, დიდმკერდიანი, თეძოიანი, წელწვრილა, თხელძვალა, მაღალკისერა, ალისთმიანი და ცისთვალა. იმ ალმა კვაჭი ვერ შეამჩნია. იქვე წყლის პირას შესდგა, თეთრი მკლავები კისერზე ჩაიწნა, გადმოიზნიქა და ტკბილად გაიზმორა.

— ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა გულში კვაჭმ და მაშინვე აინთო, აიშალა და აილეწა. — აი ცოცხალი, ახლად დაბადებული აფროდიტა! აი ნამდვილი ქვეყნის თვალი! ქალიც ეს ყოფილა და დედაკაციცა! ღმერთო მიშველე! ღმერთო ხელი მომიმართე და მერე მიმსახურე; ფიცს გაძლევ, უკვალო ძლიერო, რომ ერთ ეკლესიას აგიშენებ და სანთელს ჩაოქროებელს არ გამოგილევ.

ამ დროს იმ ალქაჯმა მოიხედა. დიდრონი ცისფერი თვალები კვაჭის ბიანათა, იმ თვალებით, ჯადოსნური ღიმილით და მძივის კბილებით კვაჭის ცის ყარი გაუხსნა, იგი რაინდი ცეცხლის ალში გაჭხვია, დასწვა და მიბნიდა; მერე აუცებ თვალები დაიბურა, კისერი გაიჭიმა, რამდენიმე შველურის ნახტომით კაბინში შეეარდა და იქ ვერცხლის ხმით გადიკისკისა.

ერთი საათის შემდეგ კვაჭიც იმ ჰოტელში გადავიდა, საცა ის აფროდიტა ბინადრობდა. კარის კაცს ხელში ერთი ოქრო მიაჩეჩა და იმ ქალღმერთის ვინაობა გამოჰკითხა.

— ლედი ჰარვეი, — უპასუხა კარის კაცმა, — ქვრივი ლორდ ჰარვეისა, რომელიც შარშან ინდოეთში ნადირობის დროს ბენგალიის ვეფხვმა გაგლეჯა. უყვარს ცურაობა, რულეტზე თამაში, სიახლიანი ბიფშტექსი, ნადირობა, თევზაობა, ყვავილები და... თქვენისთანა შავგვრემანი ვაჟკაცი.

მთელი ღამე კვაჭი კაზინოში ლედი ჰარვეის დასტრიალებდა.

რულეტი ბზრიალით ტრიალებდა, კოუპიე შეჩვეულსა და გაზეპირებულს გაიძახოდა:

— Medames et monsieu s, faites vos jeux'.. Rienne ne vaz plus!

მოლარენი პაწაწინა არნადებით იხვეტდნენ მოგებას და მიურწყავდნენ წა-

გებას. მოგებულნი იღიმებოდნენ, წაგებულნი იღუშებოდნენ, ბოლო ყველანი საერთოდ ზოგნი მალულად და ზოგნიც აშკარად ჰღელავდნენ, ჰფიცხობდნენ, სტოკავდნენ.

ლედი ჰაერვეის გვერდით ედგნენ მისი კომპანიონები — ძმის, ჰოპკინსი, — კნაჭა, ბეცი, სუსხიანი და ხნიერი ცერბერი, და ოცდაოთხ წლის ქალი ჭაბუკი, — ქალივით ხაზი, მორცხვი, მორჩილი, ფუნჩულა და უცოდველი ბრიტტი.

მამაკაცნი ლედის თვალს არ აშორებდნენ, აჩრდილებივით დასდევდნენ. ენებს ილოკავდნენ, გულებს იფხანდნენ და თვალს წყალს ალევინებდნენ.

ლედი ჰარვეიმ ორიოდე ათასი წააგო, კვაჭიმ — ოცდაოდე ათასი. ქალაჩუნა ჭაბუკი ხანგამოშვებით უბიდან ფულს ამოიღებდა და ლედის ჩუმად ხელში ჩაუდებდა; მისსი ჰოპკინსი სცქმუტავდა, ლედი ჰარვეი ღვთაებრივ შუბლს იჭმუხვნიდა და იმ ფაფუკ ბიჭის მეტს ახლოს არავის იკარებდა.

ბოლოს გედის ყელი მოიღერა, იქაურობა ცის შუქით გაანათა, აბრეშუმის კაბის შლეიფი აიკრიფა და ფარშევანგის ნაბიჯით დარბაზიდან გაცურდა, თან მამაკაცთა ლიმილი, ზეთიანი თვალები და ნდობა-სურვილი გაიყოლა.

კვაჭიც გაჰყვა. ჰოტელის კარის კაცს შეუკვეთა:

— ხვალ დილით ლედი ჰარვეის საუკეთესო ყვავილების კალათა მიართვით, ესეც შეუგზავნეთ.

და თავის სადარბაზო ბარათი გადასცა.

მეორე დილით კვაჭის ვერცხლის სინით შეუტანეს ატლასის პაწაწა ბარათი. ერთ მხარეს ეწერა: „გმადლობთ. გზაში ძალიან მიყვარს ყვავილები. ნუ მეძებთ“! მეორე მხარეს დაბეჭდილი: ლედი ელიზაბედ ჰარვეი. ლონდონი. ვესტენდი. ჩერინგ-კროსი, 276.

— როგორ, ნუ მეძებო? ქალი რომ მეტყვის, ნუ მეძებო, პირუკულმა უნდა გაიგო, უნდა მიჰყვე და მოსძებნო. ეხლავე გამიგეთ, საით წავიდა?. როდის წავიდა? ბესო, აიბარგე! ჩქარა, ნუ იკოხნები!.. რაო, ჰავრში წავიდა გემით? მაშ კარგი, ალბათ ლონდონში მიდის. ბესო, ჩქარა დაიქირავე მოტორიანი ნავი. კარგი დარია, დავეწევი, ან ინგლისში მიმავალ გემს მივუსწრობ.

ჩასხდნენ დიდ ნავში და ჰავრისკენ გაუტიეს. რომ მიუახლოვდნენ, იმ ნავს გვერდით დიდმა გემმა გაუარა. გემის ბაქანზე კვაჭიმ თვალი მოჰკრა მოაჯირზე გადმოყუდებულ ლედი ჰარვეის, რომელმაც იცნო კვაჭი, გაუცინა და ხელსახოცი დიდხანს უქნია.

კვაჭი ნავის პატრონს ეცა:

— სად მიდის ეს გემი?

— საფრანგეთს და პორტუგალიას ჩაუვლის, მერე ესპანეთის ნაპირებს აჰყვება და მარსელში ამოვა.

— შეიძლება დავეწიო?

— მხოლოდ რკინის გზით, ბრესტში ან სენ-ნაზარში, ისიც თუ ექსპრესი შეგხვდათ.

ერთი საათის შემდეგ კვაჭი საგანგებოდ დაქირავებულ სალონ-ვაგონით მიჰქროდა და მისდევდა გაფრენილ ახალ საბედოს. ორთქლმავალმა მიმინოს

ფრთები გამოიბა. სხვა მატარებლები სადგურებზე ისვენებდნენ, და გაფათრებულ კვაჭის გზას უთმობდნენ. გაირბინეს რუანი, ლე-მანი, ანგე, ნანტი და დილით ადრე სენ-ნაზარს მიადგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გემი „ბორდო“ მოვიდა?

— ერთ საათში წავა კიდევაც.

— მადლობა უფალსა! ბესო, ჩქარა!

ორი საათის შემდეგ, როცა გემი ოკეანეში გავიდა, ლედი ჰარვეიმ მეორე მზესავით ზემო ბაქანზე ამოანათა. თავდახრილი კვაჭი წინ დაუხვდა:

— მილედი, ბოდიში და სათნოება. მწერდით, ნუ მომძებნითო. თქვენი პირველივე ბრძანება ვერ შევასრულე.

გაოცებულს, გაშტერებულ ლედის თითქოს ენა დაება:

— როგორ... საიდან... ეს გემი რომ ჰავრიდან წამოვიდა, თქვენ ჰავრში მიდიოდით.

— საგანგებო მატარებლით დაგეწიეთ, მილედი.

— თხოვნა მაინც არ შემისრულეთ.

— წყალში გადავარდნა რომ გებრძანებინათ, უფრო ადვილად დაგეთანხმებოდით, ვიდრე თქვენს დაკარგვას.

ინგლისური ყინულის გული მოჰხიბლა და დაადნო კვაჭის რაინდობამ და გატაცებამ.

საფრანგეთ-ესპანეთის საზღვართან—ქ. ბიარიცში, ბასკების ქვეყანაში, ორივენი გადმოსხდნენ.

სანამ გემი ნავთსაყუდარს მიადგებოდა, კვაჭმა ბინოკლით კლდის წვერზე გადმოყუდებული კოპწია მავრიტანული ვილლა ლედის დაანახვა და ჰკითხა:

— როგორ მოგწონთ, მილედი.

— მშვენიერია. იმ სიმაღლეზე ცხოვრება სამოთხე იქნება. დიდი ბალიც აქვს. ნეტა თავისუფალი იყოს, დავიქირავებდი.

— თქვენთვის თავისუფალი გახლავთ, მილედი. ეგ ვილლა ჩემი გახლავთ. პატივი დამდეთ, გამაბედნიერეთ.

— თქვენია?. მართლა?. იქ ცხოვრება ჩემთვის უუდიდესი სიამოვნება იქნებოდა, მაგრამ...

კვაჭი მაშინვე მიუხვდა:

— ნუ შესწუხდებით, მილედი. მე მეორე ვილლაზე დავბინავდები.

მორიგდნენ, ლედი ჰარვეი სიხარულით ცას ეწეოდა.

ორივენი დღე და ღამე სტკბებოდნენ, ილხენდნენ და ლაღობდნენ. ხან პლაჟზე წავიდოდნენ და იბანებდნენ, ხან მოტორიან ნავით შუა ოკეანეში გავიდოდნენ ან ბაიონაში შეიცლიდნენ, ხან ავტოთი პირენეეს ქედს შეჰყვებოდნენ, ხშირად მთელი დღით იქ დარჩებოდნენ და ბასკთა ზორის დროს ატარებდნენ.

ერთხელ ერთმა ბასკმა, ყავახანის პატრონმა ლედი ჰარვეის უპასუხა:

— ჩვენ ყველაზე ძველი ხალხი ვართ ევროპაში. ჩამომავლობით იბერიელნი გახლავართ.

— იბერიელნი?—გაიკვირვა კვაჭიმ. — მეც იბერი ვარ, იბერიელი, ქართველი.

ორივენი განშტერდნენ. დიდხანს უცქირეს ერთმანეთს, [illegible] რამ გამოჰკითხეს, ორივე ენა შეადარეს, ზოგი სიტყვები ერთმანეთს [illegible], მაგრამ მაინც ახლოს ვერ მიუდგნენ, ვერ დაენათესავნენ.

კვაჭიმ მხოლოდ ის გაიგო, რომ ერთ დროს ბასკები საუკეთესო მეზღვაურები და პირატები იყვნენ; რომ იმათ აღმოაჩინეს ყინულოვანი ოკეანე; რომ ბასკებს ერთ დროს ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ; რომ ისინი საბოლოოდ არ დაჰმორჩილებიან არც რომაელებს, არც ესპანელებს; რომ ხანგამოშვებით პირენეეს ქედს ბასკები მოსდებდნენ ხოლმე აჯანყების ცეცხლს და მორწყავდნენ თავისუფლების სისხლით

ბასკურ ენაზე სწავლა და სამართალი ეხლაც აკრძალული ჰქონდათ, ყოველი ბასკი იქადნის და ამაყობს თავისი სისხლით და თავისუფლების სიყვარულით; ბატონ-ყმობის ულელი არასოდეს გამოუცდია ბასკების ამპარტავან ქედს. რიცხვით ერთ მილიონამდე არიან; მრავალნი ლუკმა პურისთვის გადახვეწილან მექსიკას, კუბას და არგენტინას.

კვაჭიმ ისიც შეამჩნია, რომ ბასკები ესპანელებზე და ფრანგებზედაც უფრო მოსულნი, ლამაზნი და მარდები არიან; წვერს სუფთად იპარსავენ; წითელსა და ცისფერ ჭუდს, ქამარს და მოკლე ახალუხს ატარებენ; ძალიან უყვართ ბურთაობა, ცეკვა, სიმღერა და სახალხო წარმოდგენა-გასართობი; დედაკაცები საუკეთესო ძიძებად ითვლებიან და მეტად მძიმე სამუშაოს ეწევიან.

კვაჭის გულში რაღაც ჭიამ გაუფაჩუნა, რაღაც მეტად შორეული, იდუმალი სისხლი უჩქეფდა; ერთის წუთით მან სუსტად იგრძნო ნათესაობა, მახლობლობა, სულიერი ერთობა იმ ხალხთან, მაგრამ ის ალი მაშინვე ჩაქრა და მინელდა.

მალე ყველაფერი მიივიწყა, რადგან ამაყი ლედი ჰარვეის ერიდებოდა, ეჩოთირებოდა, არც სცალოდა.

საღამოობით კვაჭი და ლედი ჭალა-ბალებში დასეირნობდნენ, კონცერტებს ისმენდნენ, ხოლო შემდეგ ხან ერთ კაზინოში ივახშმებდნენ, ხან მეორეში, თან რულეტს ეტანებოდნენ, ხან მცირედს მოიგებდნენ, ხან მრავალს წააგებდნენ.

ლედი ჰარვეის ყინულის გულმა კვაჭი ჩამოახმო და გააძვალა, მისი ცხელი გული დაადნო, დაჰლია და დააჭკნო.

ერთხელ კვაჭიმ ვახშამის შემდეგ ოდნავ ნასვამი მილედი თავის აგარაკის ბნელ ხეივანში გულში ჩაიკრა. ორივენი ერთხელ კიდევ დაიწვნენ და ჩაიფერფლნენ ვნების ცეცხლში; კვაჭი ლედის ფეხქვეშ ჩაუვარდა; ეხვეწებოდა და ემუდარებოდა, თან ქურციკის ფეხებს გულში იხუტებდა და ცრემლით უსველებდა.

ლედი ჰარვეი სიცილით გაუსხლტა და სახლში შევარდა.

გამწარებული კვაჭი ბნელ ხეივანში ტრიალებდა, გულში მუშტს იცემდა და ბუტბუტებდა:

— მაშ კაი... მე ვიცი აწი... მე ვიცი...

როცა ლედის საწოლ ოთახში შუქი ჩაქრა, კვაჭი ფეხაკრეფით აივანზე ავიდა და წინდაწინვე გაღებული ფანჯარა შეაღო.

— თავადო!.. ჯენტლმენ!.. როგორ გეკადრებათ!.. ეგრეთ ნმუდით... დავიყვირებ... მისს ჰოპკინს! მისს ჰოპ...

კვაჭიმ ტუჩებით გააჩუმა შეშინებული ლედი და ჩაიბღუჯა, დაიურვა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ კარების ჯაან მოისმა ჩუსტების ფაჩი-ფუჩი და მისს ჰოპკინსის ნამძინარევი ხმა:

— მილედი!.. ლედი ჰარვეი!.. თქვენ მეძახდით? ეძებთ რამეს?..

სულ შეგუბებულმა ლედიმ ძლივს გააგონა თავის კომპანიონს ნაწყვეტიანი ჩურჩულით:

— არაფერს, მისს... არაფერს... ვიპოვნე... ვიპოვნე...

— თქვენც იპოვნეთ, მაგრამ არც მე დაერჩი ხელცალიერი.—ჩუმის სიცილით ჩასჩურჩულა ყურში კვაჭიმ ლედის.

— ტსს... ჩუმათ, შე გიჟო!—თავის მხრივ გახურებულ ტუჩებით გააჩუმა კვაჭი გარდაქმნილმა ლედიმ და გრძელი, მძლავრი მკლავებით სული შეუხუთა, კისრის ძარღვები დაუწყვიტა და დაახრჩო უკვე დამშვიდებული თავადი.

სამი დღე და ღამე არც კვაჭი და არც ლედი ჰარვეი აღარავის უნახავს, არც კაზინოში, არც პლაჟზე, არც ბალაბაღებში.

ბედნიერმა კვაჭიმ მეტის სიტკბოებით მოთენთილ ლედის მადლობის ნიშნად მავრიტანული ვილლა აჩუქა და მარმარილოს მაღალი მკერდი თხილის გულის ოდენა მარგალიტების მძივებით დაუმშვენა.

მერე ორივენი გაგიჟდნენ ნიმფომანიით, სატირიაზით და სირბილის სიგიჟით.

ფეხი ვერსად მოიკიდეს და აფორიაქებული სისხლი ვერ ჩაინელეს. კვირაში ერთხელ მაინც სადგურისაკენ მირბოდნენ და ცეცხლმოკიდებულნი მთელი ევროპის საგარაჟოებში დაჰქროდნენ:

— ვიში!.. ოსტენდე!.. კარლსბადი!... ტროუვილი!.. ექს-ლე-ბენი!.. მონტრე!... ვევე!.. ლუგანო!..

ბოლოს, როგორც იყო, ნიცცაში—„ჰოტელ ნებრასკაში“ გაიდგეს ფესვი, გაგრილდნენ და მოისვენეს.

* * *

მონტეკარლოს კაზინო გაჩაღებულია.

ირგვლივ ლაპლაპებს, იწვის და კრიალებს ოქრო, ბრინჯაო, ვერცხლი, მარმარილო, ძვირფასი სურათი, გობელენი, ხალიჩა, ფარჩა, ხავერდი და ატლასი.

ქვეყნის ყოველ კუთხიდან ბედის საცდელად მოსული ხალხი იმ დარბაზებში ბუზივით ირევა.

ისმის ასი ენა და მოსჩანს ასი ტომი: ქერა ჩრდილელნი—რუსები, სკანდინაველნი, გერმანელნი და ინგლისელები; მკვირცხლი, ფიცხი, შავგვრემანი ფრანგები, იტალიელნი და ესპანელნი; ხელგაშლილი, მშრალი და ურყევი იანკები; ცხელი, აშლილი, ნერვიანი მექსიკელნი, ბრაზილელნი და ნარევი მულატები;

არაბი და ოსმალო, სპარსელი და ინდოელი, ჩინელი და იაპონელი, აზია და ევროპა, ამერიკა და აფრიკა—ყველას იქ მოუყრია თავი, [illegible] ბედის ჩარხს და ჰლამობს გამდიდრებას და განდიდებას.

ყველას ემჩნევა პირსახეზე მოგება და წაგება. ერთნი სიხარულის ღიმილით იღიმებიან, ლაღობენ და უდარდელად იცინიან; მეორენი წაგებას გლოვობენ, იქუშებიან, იმხამებიან და ინაღვლებიან; ხოლო ზოგნი—გაკოტრებულნი და დაძირულნი უიმედო სასოწარკვეთილებას ეძლევიან, მათხოვრობენ, ზოგჯერ კი იქვე, საარაკოდ მორთულ ბაღს თავიანთის სისხლით ჰრწყავენ.

ზოგნი ისე შესჩვევიან ცრემლისა და ბედის ღიმილის სასახლეს, რომ იქვე სამადლოდ ბერდებიან.

მათ იციან თამაშის საიდუმლოება! მათ მიაგნეს მოგების კარს! მათ აღმოაჩინეს გამდიდრების ხერხი! იგი იდუმალი გასაღები მათ ხელში უჭირავთ—დიფერენციალური აღრიცხვა, ათიოდე თაბახზე აჭრელებული მათემათიკური ფორმულები,—უცოდველი, სწორი და ჭეშმარიტი, ნაყოფი დიდი ქონების წაგებისა და ხუთიოდ-ათიოდე წლის დაკვირვებისა. თუ მოგება გნებავთ, დაუჯერეთ იმ ხალხს. გასამრჯელო მცირედია: წაგება თქვენია, მოგებაში კი წილი დაუდეთ, ან ასიოდე ფრანკი მიეცით ახალი საცელის სასყიდლად და ფეხსაცმელის გამოსაცვლელად; მეტს არ მოითხოვენ, რადგან იმ კაზინოში უპმელობისგან სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრე ოდნავ მტვერ-ნაკრავი პერანგით შესვლა. სპეტაკი ტანისამოსი, უნაკლო ზრდილობა და უსიტყვო მორჩილება,—აი რას მოითხოვს ამ ჯურის ხალხისგან კაზინოს დირექცია ნაცვლად იმ სასახლეში უფასოდ შესვლისა.

კვაჭი და ლედი ჰარვეიც ყოველ ღამე ბედს სცდიან იმ კაზინოში. ხან „ტრანტ ე კარანტს“ მიადგებიან, ხან „რუჟ ე ნუარს“, ხან „პტი შვოს“ და ხან სხვა სათამაშოს.

იმ თამაშში ლედი ჰარვეი დიდი ხანია გამოიფიტა. კვაჭი მიეშველა, მაგრამ ბედი ვერ მოატრიალეს, წანაგები ვერ დაიბრუნეს. თან-და-თან შესტოპეს, ჩავარდნენ და ჩაიფლნენ. ხან თავის ჭკუით თამაშობდნენ, ხან გაკოტრებულებს მიიშველებდნენ, მაინც დღითი დღე დნებოდნენ და იღუპებოდნენ.

ერთხელ ბანკიდან კვაჭის ჩეკი დაუბრუნეს, თქვენი ანგარიში ამოიწურაო.

დაღონდა კვაჭი, ძალიან დაღონდა!

— ბესო, დღესვე წადი ექს-ლე-ბენში, ერთ კვირაში გაყიდე ჩემი ვილლა და დაბრუნდი... რა სთქვი?.. ვიცი, მარა სხვა გზა არ არის.

ბესომ ფული ჩამოიტანა. ის ფულიც კრუპპიემ მიითვალა.

— ბესო, დღესვე წადი პარიზში, ერთ კვირაში გაყიდე ჩემი ჰოტელი და დაბრუნდი... კაი, კაი... ვიცი რომ ვიღუპები, მარა სხვა გზა არ არის. ნუ გეშინიან, სანამ დაბრუნდები, ერთ საქმეს დავამზადებ.

* * *

იმავ ხანებში ლონდონიდან ორი კვირით ჩამოვიდა ლედი ჰარვეის ძმა—

ლორდი ბროუქსტონი,—ახალგაზრდა დიპლომატი, ფულიანი დედა და დიდი ჯენტლმენი.

კვაჭიმ და ლორდმა ერთმანეთი მოიწონეს. ორ კვირაში ნიცა და მონტეკარლო გადააბრუნეს, იქაურები გააკვირვეს, ცოტაოდენი მოიგეს და ისი იმდენი წააგეს.

ბოლოს ლორდმა უთხრა კვაჭის:

— ფრენს, სტუმრად მეწვიეთ ლონდონში.

— ოლ რაიტ! თანკეი. (ძალიან კარგი. მადლობელი.)

— ერთად წავიდეთ?

— იეს (დიაღ). ბესო, ყოლიფერი დაამზადე.

პარიზში ავიდნენ. კვაჭიმ და-ძმა თავისს ჰოტელში მიიპატიჟა, რომელიც მისი ალარ იყო, მაგრამ ჯერ დაცლილი არ ჰქონდა.

რამდენიმე დღით დარჩნენ. კვაჭიმ ერთხელ კიდევ მოიგიჟიანა . თავი და გააოცა სტუმრები თავისს საუცხოვო სასახლით, მორთულობით, მოსამსახურეთა სიმრავლით, გავლენით და ნამდვილ არისტოკრატის გემოვნებით და მანერებით.

წასვლის წინ სერიოჟა ჩიკინჯილაძეს საიდუმლო დარიგება მისცა. ბესო და სამი მოსამსახურე სამი დღით ადრე მრავალის ბარგით ლონდონში გაჰგზავნა, ხოლო თვითონ ოთხი მოსამსახურე კიდევ გაიყოლა.

დუერში რომ გემიდან გადასხდნენ, ბესომ საგანგებო მატარებელი დაუხვედრა.

ლორდმა ბროუქსტონმა უსაყვედურა:

— ფრენს, მეტად დიდი ხარჯი მოგდით.

— ჩემი მეგობრებისთვის მეტად დიდი ხარჯი არ არსებობს.

— თქვენ ჩვენი სტუმარი ბრძანდებით.

— მაგაზე ლონდონში მოვილაპარაკოთ.

ბესომ წინდაწინვე დაუმზადა კვაჭის სასტუმრო „ასტორიაში“ შვიდი ოთახი, ავტომობილები და ლანდო ღერბებით, საჯდომი ცხენები და რეპორტერები.

მეორე დღეს გაზეთებში დაიბეჭდა კვაჭის ჩასვლის ამბავი. ეწერა: „ინგლისს ეწვია მეფის ჩამომავალი კავკასიელი პრენსი... დიდი მეგობარი ინგლისისა... მომხრე რუსეთ-ინგლისის დამეგობრებისა... ჩამოჰყვა ბრწყინვალე ამალა... პრენსი ჩამოხტა „ასტორიაში“.. შვიდი ოთახი... პირადი მეგობარი ლორდ ბროუქსტონისა...“

მეორე დღეს ლორდმა ბროუქსტონმა და ლედი ჰარვეიმ კვაჭი ლონდონის სანახავად წაიყვანეს. აჩვენეს პიკადილლი, ვესტენდი, ტრაფალგარი, ჩერინგ ქროსსი, სენდ-ჯემსი, ტაუერი, ვატერლოო, პავლეს ტაძარი და მრავალი საოცარი სანახაობა.

ვესტმინისტერში კვაჭის პოლატის სკიპერი დაუხვდა, ბრიტიშ-მუზეუმში — მთავარი დირექტორი; საადმირალოში—დიდი ამირბარი.

იმავ საღამოს ბროუქსტონმა თავის სასახლეში კვაჭის პატივსაცემად დიდი სადილი გამართა; მეორე დღეს კვაჭი იახტ-კლუბში მიიწვიეს, მესამე დღეს

— სპორტ-კლუბში. მერე მარჯვნივ და მარცხნივ ეწეოდნენ და მოსვენებას აღარ აძლევდნენ.

ორი კვირის შემდეგ კვაჭიმ ყველას მადლობა გადუხადა ისეთი საზღაპრო ნადიმი მოაწყო, რომ სტუმრებს ეხლაც ხშირად აგონდებათ ის დიდება, შვენება და უცხო სანახაობა.

იმ ვახშამს დაესწრო სამასზე მეტი სტუმარი, სულ რჩეული საზოგადოება ლონდონისა: ლორდები, ვიკონტები, ჰერცოგები, ინდოელი რაჯები, ბანკირები, მექარხნები და მრავალნი სხვანი ფულიანნი, წარჩინებულნი და დიდებულნი.

სამი საუკეთესო ორკესტრი უკრავდა. მღეროდნენ ყოველ მხრიდან საგანგებოდ მოწვეული საუკეთესო მომღერალნი: კარუზო, ბატისტინი, ნელი მელბა, მარიამ ჰაი და ტიტა რუფფი. უზარმაზარი შენობა რიგიერიდან გამოწერილი უნახავ ყვავილებით და ტროპიკულ მცენარეულობით იყო მორთული. აღმოსავლური და დასავლური ხელოვნება და გემოვნება შეერთდნენ კვაჭის სტუმრების გასართობად და დასატკბობად.

მეორე დღეს მთელი ლონდონი და პრესსა ალაპარაკდნენ. კვაჭისაც ეს უნდოდა.

კვაჭი რომ ლონდონში ჩავიდა, მეორე დღესვე პარიზიდან დეპეშით გამოგზავნილი ათი ათასი გირვანქა სტერლინგი მოუვიდა. იმავე დღეს ის ფული ბესომ დეპეშით ისევ ჩიკინჯილაძეს გაუგზავნა პარიზში. მესამე და მეოთხე დღეს იგივე ფული ისევ დეპეშით მოვიდა ლონდონში და ლონდონიდან ისევ პარიზს დაუბრუნდა.

დაგვიანებული ბესო დროს მოიხელთავდა და ფულის მოსვლის ამბავს- დეპეშას სწორედ იმ დროს გადასცემდა თავისს ბატონს თავად ბაგრატიონს, როცა მას სტუმრები ჰყავდა.

კვაჭი ბოდიშს მოიხდიდა სტუმრებთან:

— მისტერ, ნება მიბოძეთ. საჩქარო დეპეშა უნდა იყოს...

მერე ბესოს განკარგულებას აძლევდა:

— ახლავე მიიღეთ ეს ათი ათასი სტერლინგი... ორმოცი ათასი ეხლავე გაუგზავნეთ ჩემს მოურავს ტფილისში... განკარგულება მიეცით ჩემს ბანკირს პარიზში, რომ თვიურად აძლიოს ჩემს მთავარ მდივანს პარიზში თავად ტრუბეცკოის ერთი მილიონი ფრანკი, ხოლო პეტერბურგის ჩვენს მთავარ კანტორას შეატყობინეთ, რომ მთელ საქმეებს თვითონ მოუარონ, მე ნულარ შემაწუხებენ... მომბეზრდა!

— თქვენი ბრწყინვალების იახტა ლონდონში მოდის.

— კეთილი.

— ტფილისის კანტორა გეკითხებათ, რამდენი შეუძლიან მას დახარჯოს თვიურად შიმდინარე საქველმოქმედო საქმეებზე?

— სამასი ათასი მანეთი.

— კიდევ არის ერთი დეპეშა: გრაფი ორლოვი თანახმაა თქვენ მიერ შეძლეულ ფასში—სამ მილიონ მანეთად მოგყიდოთ ოქროს მაღაროები ციმბირში,

— თანახმა ვარ. მიეცით დეპეშა მთავარ კანტორას. დანარჩენი მერე

იყოს... კიდევ ერთი ბოდიში, ძვირფასო მეგობრებო, უდროოთ შემაწყვეტინეს ბაასი.

ასეთს, ან დაახლოვებით ამგვარს დიალოგებს ხშირად გააბამდნენ ხოლმე კვაჭი და ბესო წარჩინებულ ლორდების და ბანკირების დასწრებით.

საით მიჰყავდა კვაჭის თავის საქმე, არავინ იცოდა.

გავიდა ორი კვირა იმ განთქმულ და დღემდის დაუვიწყარ ვახშამის შემდეგ.

კვაჭი დილის გაზეთს ათვალიერებდა. უცებ თვალი მოჰკრა ერთი გოჯის ოდენა ასოებით დაბეჭდილ ამბავს; ეწერა: პარიზში ფოსტის მოხელეთა გაფიცვა დაიწყო. უმალ გაზეთს ხელი გაუშვა და ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა. მერე ფანქარით ერთი რამ დაჯღაბნა და ბესოს დაუძახა:

— აი სია ჩემი ლონდონელ ნაცნობ-მეგობრებისა. ყველას აი ასეთი წერილები დაუგზავნე. ერთ დღეში ყველასგან პასუხი უნდა მიიღო. წაიკითხე... მიხვდი?

ბესომ ჩაიღიმა. მიხვდა ბესო?

— კაი, — მოკლედ მოსჭრა და გავიდა.

გეგმა უბრალო და მარტივი იყო.

მეორე დღეს სამოციოდე ლორდმა, მისტერმა და ბანკირმა ასეთი წერილები მიიღეს:

„ღრმად პატივცემულო ლორდო (ან მისტერ)!

ხვალ საკმაოდ დიდი თანხა უნდა გავუგზავნო ჩემს მთავარ კანტორას პეტერბურგში ყოვლად გადაუდებელ ხარჯების დასაფარავად. მეტი ნაწილი ამ თანხისა ხელთ მაქვს, დანარჩენი გამოვიწერე ჩემის პარიზელ მოურავისაგან;

მაგრამ დღევანდელ გაზეთებიდან გავიგე მეტად სამწუხარო ამბავი: საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფი გაფიცვის გამო აღარ მუშაობს. ამ გარემოებამ ოდნავ არიე-დარია ჩემი ანგარიშები და შეაფერხა ჩემი ჩვეულებრივი ფინანსიური ოპერაციები.

ეს კიდევ არაფერი. თქვენც გაიგებდით, რომ შეიძლება ინგლისის ფოსტაც გაიფიცოსო.

აღნიშნული გარემოება მაიძულებს, ღრმად პატივცემულო ლორდო (ან მისტერ), ვისარგებლო თქვენის გულუხვი მასპინძლობით, ნდობით და მეგობრობით. ხუთი ათასი გივრანქა სტერლინგი (ზოგს მისწერა სამი ათასი, ზოგს ორი, ზოგსაც ერთი) დამიხსნის უხერხულ მდგომარეობიდან. ყოველ შემთხვევისათვის გიგზავნით ვექსილს ათი დღის ვადით. დღესვე ვგზავნი პარიზში ჩემს ერთ-ერთ მდივანს ფულის მოსატანად, რადგან მეშინიან გაფიცვის გაგრძელებისა.

ამიერიდან მოველოდები შემთხვევას, რათა შესაფერად დავაფასო თქვენი გულკეთილობა და სტუმართმოყვარეობა.

წინდაწინვე გითვლით, ძვირფასო ლორდო (ან მისტერ) გულითად მადლობას დახმარებისათვის და ჩემს მწუხარებს თქვენი შეწუხებისათვის.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და უულრმესი პატივისცემა.

ირაკლი ბაგრატიონ მუხრან-ბატონი.

„თავადი და ფლიგელ-ადიუტანტი სრულიად რუსეთის იმპერატორისა“.

კვაჭის ანგარიში საესებით გაუმართლდა. ათიოდე ადრესატს იმ დღეს ვერსად მიუსწრეს, დანარჩენებს წერილები ჩააბარეს და თითქმის ყველასაგან ფულიც მიიღეს. ლორდმა ბროუქსტონმა პირადად ინახულა კვაჭი და ნათხოვნი თანხა ერთი ორად ჩაუთვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხდნენ იმ საღამოს კვაჭი და ბესო, და ორი საათი მოანდომეს ფულის დათვლას. მერე ზოგი რამ ჩაალაგეს და ავტომობილები მოითხოვეს.

ბესომ სასტუმროს დირექტორს განუცხადა:

— მათი ბრწყინვალება ბირმინჰემში მიბრძანდება რამდენიმე ქარხნის ნოწყობილების სანახავად და სასყიდლად. ზეგ დავბრუნდებით. ბინას ვიტოვებთ.

მიუბვ-მოუხვიეს ლონდონის ვიწრო ქუჩებში და მდინარე ტემზით ზღვას მისცეს თავი. მეორე დღეს კვაჭიმ და ბესომ ბირმინჰემის მაგივრად ანტვერპენში ამოჰყვეს თავი.

* * *

დარბის და დაჰქრის მას აქეთ კვაჭი კვაჭანტირაძე ათიოდე გვარით მთელს ქვეყანაზე. იგი ხან თავადი ბაგრატიონია, ხან ბუხარის ემირის უფლის წულია, ხან გრაფი ტიშკევიჩია.

ვინ მოსთვლის, ვინ ასწერს კვაჭის ხელმარდობას, მისი ნამუშავარის ფერადობას, ნატიფობას და მახვილობას.

ნიუ-იორკში მან ერთი თავისს ჭკუისა და გამოცდილების ქალი ჩაიგდო ხელში.

დაიწყეს მცირე ვარჯიშობიდან.

კვაჭი ერთ მაღაზიაში ბრილიანტების სასყიდლად შევიდა, აირჩია თხილის ოდენა ხუთიოდე ქვა. ხუთივეს ხელში ატრიალებდა, ჰსინჯავდა. ამ დროს მისი ახალი ხელქვეითი ქალი შემოვიდა და დახლთან მაღაზიის პატრონს ბაასი გაუბა. კვაჭიმ ხელმარდად ერთი ბრილიანტი გაუშვა. იგი ისე ლბილად დაეცა ხალიჩაზე, რომ მისი ხმა ვერავინ გაიგო. იმ ქალმა ადგილი შეიცვალა, იმ ქვას ფეხი დაადგა, მერე ბაასი გაათავა და წავიდა, თან ფეხის გულზე აკრული ბრილიანტი გაიყოლა.

მაღაზიის პატრონმა შეამჩნია ძვირფასი ქვის დაკარგვა. კვაჭიმ იტაცა და თვითონვე მოითხოვა თავის გაჩხრეკა. მეორე ოთახში გაიყვანეს და ტანისამოსი გაჰხადეს. მერე ბოდიში მოიხადეს და აღშფოთებული კვაჭი ავტომდე გააცილეს, თან წამლად რამდენიმე ათასი დოლლარი ჩაუდეს მკერდის მარცხენა ნახევარზე იმ ადგილის მოსარჩენად, სადაც კვაჭიმ თავმოყყარეობის ტკივილი იგრძნო.

ანტვერპენში, ალმასების ქალაქში, თავისი ბეგობარი ქალი ერთს ახლად დაარსებულ კერძო საგიქეთში შეჰგზავნა.

— იცნობთ მესსიე ვერმეს?—ჰკითხა იმ ქალმა საგიქეთის დირექტორს.

— სამწუხაროდ არ ვიცნობ. მე ახლად მოსული კაცი ვარ ანტვერპენში.

— ვერმე ჩემი მამა გახლავთ. ჭკუაზე შესცდა საწყალი. სულ ბრილლიან-

ტებზე და მარგალიტებზე ფიქრობს და ლაპარაკობს. ერთი პატარა ჩემოდანი აქვს, ხელიდან არ უშვებს, ჰგონია ვითომ იგი ალმასებით იყოს გატენილი. ზოგჯერ ისე მოიგიჟიანებს თავს, რომ დასამშვიდებლად [illegible] ობთ. უნდა მიიღოთ თქვენს სამკურნალოში.

— დიდის სიამოვნებით, ქალ-ბატონო!

რაც ძვირფასი ნივთეულობა მქონდა, წამართვა; და იმ ჩემოდანში ჩაალაგა, მალაზია უნდა გავხსნაო. გაფრთხილებთ, ძალიან გაძალიანდება.

— ეგ არაფერი, მოვერევით. თქვენ თვითონ მოიყვანთ?

— დიალ, დღეს ან ხვალ მოვიყვან.

მერე ის ხელმარდი ქალი მესსიე ვერმეს მალაზიას ეწვია.

საუცხოვო საყურეები, დიდი დიადემა და სხვილი მარგალიტების მშვენიერი მძივი აირჩია.

— რამდენი ელირება?

— ეს ასი ათასი... ეს სამოცი... ეს ოთხმოცი.

ივაჭრეს.

— ოთხმოცდაათი უკანასკნელი ფასია.

ქალმა საათს დაჰხედა. დაღონდა.

— გამოგიტყდებით, მესსიე ვერმე. დღეს ჩემი დანიშვნის დღე გახლავთ. მამამ სამოცდაათი ათასი მაჩუქა და მე თვითონ ბომანდო საჩუქარის არჩევა. ეს მძივი ძალიან მომწონს. ოცი ათასი მაკლია. მამა არ დაიშურებს და დამიმატებს, მაგრამ დაგვიანებისა მეშინიან. სანამ სახლში დავბრუნდები, სანამ ჩეკს დამიწერს და სანამ ბანკში მივალ, ბანკიც დაიკეტება. ნუ დაიზარებთ, გამომყეთ.

მესსიე ვერმე ჩაფიქრდა. დიდმა მოგებამ წასძლია.

— კეთილი. წავიდეთ.

— სამივე ნივთი წამოიღეთ, იქნება მამამ საყურეები ან დიადემა აირჩიოს. მე მძივი მომწონს, მაგრამ მაინც... ეინ იცის.

ვერმემ არჩეული ნივთები პატარა საკში ჩააწყო. ორივენი ავტოში ჩასხდნენ და იმ სამკურნალოს მიადგნენ, რომელიც უფრო სასახლეს ჰგავდა ვიდრე საგიქეთს.

თავაზით და ღიმილით დაუხვდნენ:

— მობრძანდით... დაბრძანდით... მშვენიერი დარია...

ის ქალი ისე იქცეოდა, როგორც საკუთარ სახლში. პირდაპირ დირექტორის კაბინეტში შევიდა. მესსიე ვერმე სასტუმრო ოთახში იცდიდა.

— მოვიყვანე... თან პატარა საკით წამოიღო ჩვენი ძვირფასეულობა... გაფრთხილებთ, გაძალიანდება, ბოდვას მოჰყვება. ის საკი ჩამოართვით.

— ნუ სწუხდებით, დაჩვეულები ვართ, გამოცდილება დიდი გვაქვს.

სასტუმრო ოთახში გავიდნენ.

— მესსიე ვერმე, ბონჟურ!,. დიდათ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა... აქეთ მობრძანდით...

გაიყვანეს მეორე ოთახში.

— მამა, აი ჩემი ნივთები.—ჰაერში გადააგდო ეს სანი სიტყვა იმ ქალმა და ვერმეს საკი ჩამოართვა.

ვერავინ გაიგო, ვინ იყო იმ ქალის „მამა", ვერმე დირექტორი.

ვერმე იმ ოთახის მოწყობილებამ და სხვანაირად ჩაცმულმა მოსამსახურეებმა დააშინეს. შეკრთა, აირია. თავისს საკს მისწვდა, მაგრამ ის ქალი ხელიდან გაუსხლტა და ოთახიდან გავარდა. ვერმე გამოუდგა, მაგრამ იმავ წუთს წინდაწინვე დარიგებულმა სამმა ახოვანმა მოსამსახურემ ბუმბულივით აიტაცეს ულონო მოხუცი.

— გამიშვით!.. ავაზაკებო!.. ყაჩაღებო!.. ჩემი საკი!.. ჩემი მარგალიტები!.. ჩემი ბრილიანტები!..—გაჰკიოდა ვერმე, თან ჩიტივით ფართხალობდა და კარებისკენ იწევდა.

— დამშვიდდით, მესსიე ვერმე, დამშვიდდით!.. თქვენი ბრილიანტები არ დაიკარგება... დაწყნარდით, ჩვენ ავაზაკები არა ვართ. მე ექიმი ვარ, გთხოვთ მიცნობდეთ... თქვენ სამკურნალოში ბრძანდებით... მალე მორჩებით და ისევ თქვენს ოჯახს დაუბრუნდებით...

— რაო? ექიმიო?.. სამკურნალო? საგიჟეთი?.. ვინ არის გიჟი, მე თუ თქვენ? აჰა, მივხვდი, მივხვდი! დავიღუპე!.. ვაი მე დაქცეულო ოჯახო! ო ღმერთო, მიშველე!.. გამიშვით! მიშველეთ! ჩემი ალმასები! ჩემი მბრილიანტები!

— დამშვიდდით მეთქი, მესსიე ვერმე! თქვენი მარგალიტები თქვენს ქალიშვილს აქვს.

— რაო, ჩემი ქალიშვილი?! რას ჰროშავთ, რას მიედ-მოედებით?! ის ჰარამზადა თქვენი ქალია, თქვენი! გაიგეთ რაღა, თქვე გიჟებო და ტუტუცებო, რომ იმ ჯიბგირმა ორივენი მოგვატყუა.

დაფეთდნენ და გახევდნენ დირექტორი და მოსამსახურენი. ხუთ წუთში ვერმემ და დირექტორმა სხაპა-სხუპით ყველაფერი უამბეს ერთმანეთს. მერე ეცნენ ტელეფონს, პოლიციას და აგენტებს, მაგრამ გვიანღა იყო: კვაჭი და ის ქალი მიწამ ჩაჰყლაპა.

რომში ისევ იმ ქალმა ისევ ის ხერხი იხმარა. ერთს ვაჭარს მრავალი ძვირფასეულობა მიატანინა თავის „დანიშნულთან" და „მამასთან" —კვაჭისთან.

— თავადი ეხლავე გეახლებათ.

თავადის ქალი და ვაჭარი კაბინეტში დასხდნენ. ქალმა თვალ-მარგალიტი გაშალა და ერთხელ კიდევ დაუწყო სინჯვა. ამ დროს მოსამსახურემ მოახსენა თავადის ქალს:

— მარკიზი პალავაჩინი გიახლათ.

— ჩემი დანიშნული!.. ღმერთო ჩემო!.. არ მინდა, რომ ქორწილამდე ნახოს ეს საჩუქარი.

და თვალის დახამხამებაზე ის ნივთები რკინის განჯინაში შეაწყო, რომელიც კედელში იყო ჩართული, და გასაღებიც ჯიბეში ჩაიცურა.

— სთხოვეთ, მობრძანდეს.

შემოვიდა კვაჭი, მოწიწებით თავის „დანიშნულს" ემთხვია და მოიკითხა. მოსამსახურემ ისევ შემოიხედა:

— ქალბატონო, მამა თქვენი გთხოვთ ერთის წუთიდ.

— ბოდიში... ეხლავე გიახლებით..'—და გავიდა.

ორი წუთის შემდეგ „მარკიზი პალავაჩინიც" გაბრაზებული

იმ სახლში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

გავიდა ათი წუთი... ხუთმეტი... ოცი...

ვაჭარი ატოკდა. ადგა, დატრიალდა, ჩაახველა. მერე მეორე ოთახში გავიდა.

არავინ იყო.

მესამეში შეიხედა.

არც იქ იყო ვინმე.

ისევ დაბრუნდა მეორე ოთახში, რომელიც ზედ ეკრა სასტუმრო ოთახს. საცა ნახევარი საათის წინ ის ქალი და ვაჭარი თავადს უცდიდნენ; ერთი რამ დაინახა: კედელში რკინის განჯინა იყო გამართული და მისი კარები გაღებული იყო. განჯინაში შეიხედა. ელდა ეცა, მეხი დაეცა: ეს კარებიც იმ განჯინისა იყო, საცა იმ ქალმა პირველი ოთახიდან ძვირფასი თვალ-მარგალიტი შეაწყო.

დაფეთებული და გაგიჟებული ვაჭარი თმებს იგლეჯდა, ცალიერ ოთახებში დარბოდა და ყვიროდა:

— პოლისმენ!.. მიშველეთ!.. გამქურდეს!.. გამცარცვეს!..

კვაჭი და მისი დანიშნული ისევ მიწამ ჩაყლაპა.

ვენაში კვაჭიმ ერთ მდიდარ ებრაელ ბარონს თვალი დაადგა. კლუბში უცაბედად იმ ებრაელს ხელი გაჭკრა და თვითონვე მიაძახა:

— ფრთხილად!.. უზრდელო!.. სალახანავ!..

— ბოდიში... მე... მე...

კვაჭიმ აღარ დააცალა და ნიკაპში ოდნავ ორი თითი აჭკრა.

ასტყდა ჩოჩქოლი. კვაჭიმ და ბარონმა ერთმანეთს თავიანთი მისამართები მისცეს.

მეორე დილით კვაჭის სეკუნდანტები ბესო და სერიოჟა იმ ებრაელს ეწვივნენ:

— უსისხლოდ ეს საქმე არ გათავდება.

მერე გაკვრით ჩაურთეს:

— ნუ აჩქარდებით, ჯერ სეკუნდანტებს ნუ მიმართავთ... ხვალამდე მოითმინეთ... ბუხარის უფლისწული განთქმული მსროლელია... გაფრენილ ბუზს არ აცდენს... თუ გნებავთ, თქვენვე დარწმუნდით... დღეს, სწორედ ხუთ საათზე პრინცი პრატერის ტირში იქნება. მოგზავნეთ ვინმე, ნახოს და დარწმუნდეს. საღამოზე ხელმეორედ გიახლებით... მოვილაპარაკოთ, შეიძლება სისხლი არ დაიღვაროს, თუ, რა თქმა უნდა, თქვენც თანახმა იქნებით, რომ...

— დუელი აუცილებელია!

— დიახ, დუელი უეჭველად მოხდება, მაგრამ... შეიძლება ისე მოეწყოს, რომ... სისხლი არ დაიღვაროს... მოიფიქრეთ... საღამოზე გიახლებით... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ხუთიდან ექვსამდე ის ტირი კვაჭიმ დამბაჩით დაანტვრია და დახვრიტა. საიუდუმლოდ მოგზავნილმა ბარონის კაცმა დაარწმუნა [illegible] რომ ბუხარის უფლისწული მართლა გაფრენილ ბუზს ჰკლავსო. [illegible]

— პრინცი უფლისწულის პატიოსან სიტყვას გალძევთ,—ეუბნებოდა ბესო იმავე საღამოს იმ მდიდარ ებრაელს,—და მაჰმადის წმიდა სახელს ჰფიცავს, რომ ის თქვენს სისხლს არ დაჰღვრის, თუ... თუ მოვრიგდით. ორჯერ ან სამჯერ გაისვრით ჰაერში. მერე შერიგდებით და დამეგობრდებით კიდევაც.

— საქმეზე გადავიდეთ. რამდენი გნებავთ?

— თქვენი სიცოცხლე დაუფასებელია. თქვენ ათი მილიონის შეძლება გაქვთ. ჩვენ ერთი მილიონიც გვეყოფა.

— მე მირჩევნია დღესვე გადავიკარგო ვენიდან.

— სირცხვილს ვერსად წაუხვალთ. მთელს ქვეყანას მოვდებთ თქვენს ლაჩრობას.

— ებრაელებს არასოდეს დაუკვეხნიათ გულადობა, არც ვაჟკაცის სახელი უყიდნიათ ასე ძვირად.

— ნუ დაივიწყებთ, რომ ავსტრიის ბარონი ბრძანდებით. „ნობლეს ობლიჟ“!

— გავათავოთ. ასი ათასი.

— ცხრაასი!

— ორასი იყოს. გავათაოთ!

— რვაასი!

— ორასს ვერაფერს მოვუმატებ.

— მაშ ხვალ დილით თქვენს სეკუნდანტებს ველით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მოითმინეთ! სამასი. მეტი არ შეშიძლიან.

ნახევარ მილიონზე მორიგდნენ. ნახევარი მაშინვე მიიღეს.

კვაჭიმ და ფულის ბარონმა ხელწერილებით შეჰკრეს ერთმანეთი.

ორი დღის შემდეგ შენბრუნის ტყეში ერთმანეთს ორჯერ არხეინად დაშბაჩები დაახალეს, მერე ხელი ხელს მისცეს, შერიგდნენ და წავიდნენ.

იმავ საღამოს საბოლოო ანგარიშები გაასწორეს, ერთმანეთს ხელწერილები დაუბრუნეს და სამუდამოდ დაშორდნენ.

გავიდა ხანი. კვაჭიმ ამ ფულსაც მალე მოუგრიხა კისერი.

ისევ გაუჭირდა. უარესად დაიწია და დახურდავდა.

ბადენ-ბადენში შემთხვევით ტანიას წააწყდა. იმ ღვთისნიერ დედაკაცს თავადი ვიტგენშტეინი უკვე გაეძევებინა, რადგან იგი მეტად მოუსვენარი, შფოთიანი და ორგული გამოდგა.

კვაჭიმ დრო იხელთა: ძველს მეგობრობას ქამის ნავლი აჰყარა, ქანგი და ხავსი ჩამორეცხა, ფიცით და დევნით უწინდელი ნდობა და თანამდებობა დაიბრუნა.

მაგრამ როგორ იკმარებდა ეხლა გალაღებული და ფრთაგაშლილი ევროპის არწივი მხოლოდ ბინას, ჭამა-სმას და ჩაცმა-დახურვას!

ბევრი უტრიალა კვაჭიმ მობერებულ დედალს, მაგრამ ამ ლეგეისნერ დედაკაცს ქვის გული და რკინის ხასიათი აღმოაჩნდა.

— კაი!— სთქვა ერთხელ გაბრაზებულმა კვაჭიმ და ბესოს: —ბესო, რამდენიმე დღეში ისწავლე ფოტოგრაფის ხელობა.

ერთი კვირის შემდეგ ბესომ კვაჭის მოახსენა:

— ფოტოგრაფია შევისწავლე. აპპარატიც ვიყიდე.

წაიჩურჩულეს.

ერთხელ დღისით, როცა კვაჭი და ტანია გახურებულ ალერსში იყვნენ, ტანია უცებ შეჭკრთა, შეშინდა:

— კარების ფარდა შეირხა... რა ამბავია?!.

— მოგეჩვენა. ალბად ნიავმა დაჰბერა. დამშვიდდი, ჩემო სულიკო.

იმ დღიდან ტანიას კვაჭი აღარ უნახავს. იმის მაგივრად მეორე დღეს ბესო მივიდა:

— ფული გვჭირდება, ძალიან გვჭირდება.

— ვინ ბრძანდებით?

— ეგ სულ ერთია. თუმცა... შეიძლება თქვენვე მიხვდეთ. გუშინ კვაჭანტირაძის ოთახში ფარდა რომ ოდნავ შეირხა...

— გაეთრიეთ აქედან!

— კეთილი, მივდივარ, მაგრამ ერთი სახსოვარი უნდა დაგიტოვოთ.

და ფოტოგრაფიული სურათი მიართვა.

ტანიამ ოდნავ შეჭკივლა, პირსახეზე ხელები აიფარა; გაწითლდა, სირცხვილის ცეცხლში ჩაიწვა და ჩაიხრაკა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მოითმინეთ... დაიცადეთ... რა გნებავთ... რამდენი გინდათ...

— ეხლავე ერთი მილიონი და თვეში ასი ათასი.

— შეუძლებელია... ყველაფერი რომ გავყიდო, მაინც ვერ გადაგიხდით.

— ვერაფერს დაგიკლებთ. მოიფიქრეთ. ხვალ შემოვივლი.

სანამ ტანიამ მამული გაჰყიდა, ერთი თვეც გავიდა. მერე ბესოს ნახევარი მილიონი ჩააბარა, ნეგატივი გამოართვა და ბადენ-ბადენიდან გაჰქრა.

მაგრამ სად დაემალებოდა კვაჭის თვალსა და ცხვირს! ზოგჯერ იტალიაში ხან ესპანეთში, ხან კიდევ ეგვიპტეში ის სურათი, მრისხანე მუქარა და მილიონების მადა წინ დაუხვდებოდა ბოლმე. ტანიამაც აძლია რამდენიც შესძლო, თან ბესოს ათჯერ პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ მას აღარ აქვს არც ნეგატივი, არც სურათი.

მერე, როცა ფულიც გამოელია და იმედიც დაეკარგა, სამუდამოდ გაჰქრა და გადაიკარგა.

ზოგნი ამბობდნენ, ტასმანიას კუნძულზე წავიდაო, ზოგნი—ცეილონზეო, ზოგნი კიდევ ათონის მთის დედათა მონასტერს ასახელებდნენ.

კიდევ დიდხანს ეძება კვაჭიმ დაკარგული მეწველი ფური, მაგრამ, რომ ველარ იპოვა, სხვა ახალი ბადეები დასწნა და გაშალა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თევზი უხვად მოდიოდა, მაგრამ მოულოდნელად დაიკარგა და ევროპის ედემში მეხი ჩამოვარდა.

დაიწყო მსოფლიო ომი.

და კვაჭიც უმალ გარდიქმნა: ფრონტი შეიცვალა, ახალი ბადე-ხაფანგები მოიგონა, ერთი ცხოველივით პირისახე სხვანაირად შეიღება, დროს შესაფერი აბჯარი ჩაიცვა და ახალი იარაღით აღიჭურვა.

ივ. იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტი სული

რა ეშველება. ალბად მშიერია, როცა კარჩაკეტილი გარეთ არ გამოდის. ღამით სანთელი არ უნთია და ერთხელ, ფანჯარა რომ გააღო, დახურულ დერეფანში ჰაერი მოიწამლა.

მეზობელ ოთახებში ღმერთს არავინ ემდურის და ამიტომ ყველა უზომოდ გულკეთილია: ებრალებათ ბედდამწვარი ახალგაზრდა.

რა თქმა უნდა—მადლია ღარიბის დახმარება, მაგრამ ეს კაცი ამაყი უნდა იყოს. იმ დღეს სადილი გაუგზავნეს და არ მიიღო. ვნახოთ სანამდი გაუძლებს...

ერთხელ, ეზოში გავლილს, თვალები გაადევნეს... მიდის არხეინად, თითქო არაფერი უჭირდეს.

მაღალი შენობის მესამე სართულიდან ბანკირის თეძოგანიერმა მეუღლემ ბინოკლი დაუმიზნა. ამ ქალს, საპატიო მიზეზის გამო, მობეზრდა ბაიყუში ქმარი და, თუ ვინმე მოეწონა, უეცრად გაყმაწვილდება.

ქალი გამოცდილ მუშტარივით დააკვირდა უცნობს: ტანი მოქნილი აქვს, სახე სანდომიანი... არც უჯიშო უნდა იყოს, მაგრამ საცოდავი! აცვია როგორც მათხოვარს და ეს გახუნებული შარვალი მალე გაიცინებს.

რა უშავს შეხვდეს სადმე ქუჩაში და გაიცნოს როგორც მეზობელი. მერე გულის მოსაგებად თავი შეაცოდოს, უთხრას: მისი სიცოცხლე თუ როგორ სჭკნება უსიხარულოდ, რომ დაჰკარგა ცხოვრების მიზანი და ვნებადამცხრალი ქმარი მხოლოდ ფულის ყუთია და სხვა არაფერი.

ბოლოს ვაჟიც იტყვის თავისას, ქალი ფულს ასესხებს და ასე გაიბმება სიყვარულის პირველი სიმი... კარგი საქმელი ძალას შემატებს, ძვირფასი ტანისამოსი—შნოს, და ყველასათვის საიდუმლოდ დარჩება ერთი ლამაზი რქა მისი მეუღლის გატიტვლებულ თავზე...

განზრახვისათვის დანიშნა შაბათი—საღამო, მაგრამ წინა დღით ოჯახს

ეწვია იშვიათი სტუმარი, რომელმაც ქმარი სიცოცხლეს გადააჩინა, ცოლი კი სიყვარულის ინფლუენციას.

ახალგაზრდა ვექილს ძლიერ უყვარდა წარსულის შესწავლა და გემრიელ საკივის მოლოდინში, როცა რედერერი ზედი-ზედ გადაჭკრა, ასე დაიწყო:

— ბატონებო, ამ სახლში ერთი იშვიათი ადამიანი ცხოვრობს. მისი აქ ჩამოსვლა შემთხვევით გავიგე და, უნდა მოგახსენოთ, ძლიერ მეუცხოვა.

— ვის შესახებ ამბობთ?

— მოგახსენებთ... ეს გახლავთ ახალგაზრდა კაცი, ქვემო სართულში რომ ცხოვრობს. ნუ თუ არ შეგინიშნავთ? გველის თვალები აქვს და მოგრძო სახე, რუსეთში ყოფნის დროს მეფისტოფელი დავარქვით. მისი ბოროტი ღიმილი ახლაც მახსოვს 4 წლის განშორების შემდეგ. ჩვენ ბავშობიდანვე ერთად ვსწავლობდით. ყოველთვის მაოცებდა მისი ბუნება დაუცხრომელი და გამბედავი.

მუდამ მხიარული, უზრუნველი და... რაღაც აღტაცებული, ბევრს სულელი ეგონა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცოდით მისი ჭკუამახვილობის ამბავი.

რამდენი დანაშაული ჩაუდენია, რამდენჯერ აუფორიაქებია მთელი სასწავლებელი, მაგრამ დამნაშავე მუდამ უჩინარი იყო და სხვა ისჯებოდა.

ნიჭთან ერთად იშვიათი ხარმაცი იყო და თავის უსაქმობის ოსტატური გამართლებით, ბევრი მიმბაძველი გაიჩინა.

ეს უჯარდელი ბუნება ხშირად მოისხამდა მწუხარების ბანტიას და ცხოვრებას ისე შეგვაძულებდა, რომ ზოგი ჩვენგანი მგონი სამუდამოდ დასნეულდა.

ერთმა ახალგაზრდამ თავი დაიხრჩო ბაწრით და სამი სიტყვა დაგვიტოვა პატარა ქაღალდზე: „მშვიდობით, სიცოცხლე მომბეზრდა“.

მარტო მე მწყალობდა გივი და ისიც ხანდახან. სიმწიფის მოწმობები რომ დაგვირიგეს—სოფელში მიმიპატიჟა.

ძვირად მინახავს ასეთი კარგი ოჯახი, რომელსაც უცვლელად შერჩენოდა დოვლათიანი წარსულის იერი.

მახსოვს: მზე ცხრებოდა, როცა შევაღეთ დიდი ჭიშკარი. უეცრად სული მოვითქვი. ჩემს წინ ნამდვილი სამოთხე იყო: ეზო გაშლილი და მწვანე როგორც ზღვა, ეზოში ტბა ძეწნებით დაზვინული და ბებერი ოდის წინ 120 წლის გოლიათი ჭადარი.

გივის მოხუცი დედამის სიხარულს მე ვერ აგიწერთ. როგორც საკუთარი შვილი ჩამიკრეს გულში და გადამკოცნეს. ეს კი, ბოროტი სულივით იდგა განზე და იღიმებოდა. მერე სტუმარივით გაუწოდა ხელი სიხარულით თვალცრემლიან მშობლებს და... მეტი არაფერი... გამიკვირდა!

მეორე დღეს შაშვის ხმამ ალიონზე გამაღვიძა და გივის ლოგინი ცარიელი ვნახე. მთელი დღე არ მოსულა. როცა დედამისს ვკითხე, მან ტუჩების ცახცახით ძლივს მიპასუხა:

— შვილო, მაშ რამ მოგვაბუცა ასე უდროოთ! ერთი იმედი გვყავდა და ისიც გაგვინადირდა. უხეირო ძიძის ძუძუნაჭმევია, გლეხის ქალმა გაბარდა და უცნაური ხასიათი გამოჰყვა. არ უნდა ჩვენთან ყოფნა, გაგვირბის. ხან ზღვა მოენატრება და მეტივეს უნდა გაყვეს, ხან მთებში გადაიკარგება, ახლა კურ-

ლლებზე ნადირობს. შარშან... შვილი ხარ, რაღა დაგიმალო. [illegible] ახლო თეთრი კარვებით დაბანაკდენ მოხეტიალე ბოშები. მათმა ქურდობამ სოფელი აიკლო. სამი დღის შემდეგ, როცა აიყარნენ, გვიც თანა[illegible] ორი თვე არ გვინახავს. კარგი სანახავი კი დაგვიბრუნდა: დახეული, [illegible] შავი — შავი, ნახშირივით!"..

ენკენისთვის პირველ რიცხვებში მე და გივი ერთად ვეწვიეთ ნევის ნაპირებს. მე ვასილის კუნძულზე დავსახლდი, მან აირჩია ვიბორგის მხარე. მერე დავკარგეთ ერთმანეთი. მე არ მეცალა — ვსწავლობდი. ის კი, თურმე, ცხოვრობდა თავზე ხელაღებით.

სწორედ 6 თვის შემდეგ მოვიცალე. იმ დღეს ბრწყინვალედ ჩავაბარე რომის უფლება და გადავწყვიტე ორი დღე უქმად გამეტარებია.

თუ არ ვცდები, დილის ათი საათი იქნებოდა, როცა მე ვიბორგის მხარეზედ ვიყავი. ბევრი ძიების შემდეგ ძლივს მოვნახე გივის ბინა, მაგრამ ოთახში არ დამიხვდა. მისმა მხიარულმა დიასახლისმა ორიოდ წუთში ყველაფერი მიამბო და, ბოლოს, ასე დამარიგა:

— იჩქარეთ, თუ ნახვა გინდათ, ფოსტაში მიუსწარით, თორემ ფულს მიიღებს და მერე მშვიდობით!

ფოსტა შორს იყო და მეც ავჩქარდი. გზადაგზა დამალონა ამ ქალის სიტყვებმა. ვფიქრობდი: ვინ მისცა გივის იმდენი ფული ქვეყანა რომ გაალალიმეთქი და ვერ გამეგო. მხოლოდ გვიან, სამი წლის შემდეგ, გივის მოხუცი მამის წერილმა ყველაფერი სთქვა.

დარბაისელ ფარსადანს მოთმინება დაკარგოდა:

„გივიმ ოჯახი დააქცია. გავყიდეთ ჭალა, წალდოული, საკურდღლია, ნაველნახარი... თორმეტი ნაყმევი ოხრის ფასად გავანთავისუფლეთ, ახლა ეზო ლა დაგვრჩენია და მასაც ეს ბედი ელის. ათასხუთასი თუმანი გაგვიგზავნია, ნეტავი სად მიდის ამდენი ფული". შემდეგ დაეჭვებული მწერდა: მაგ ჩვენი ცოდვით საცსე ხან ავად არის, ხან ევროპაში მიდის, ხან კი ჯვარს იწერს ვილაც გრაფის ქალზედო.

ბოლოს მოხუცი მთხოვდა გამეგო მისი ამბავი და ერთი მართალი მაინც მიმეწერა.

მე ყველაფერი ვაცნობე, მაგრამ გვიან იყო. გივიმ მოასწრო უკანასკნელი ორასი თუმნის მიღება და გაყვა გემს, რომელსაც მსოფლიო უნდა შემოევლო.

— ნეტავი, ფოსტაში თუ მიუსწარით?—იკითხა დიასახლისმა და ისევ დაასხა სასმელი, რომელიც მოლაპარაკეს ნელინელ ეკიდებოდა.

— ველარ მივუსწარი. ფული მიელო და წასულიყო. მერე დიდხანს არ მინახავს. ნაცნობებს საბწუხარო ამბები მოჰქონდათ ჩემთან:

— ოთახი არ აქვს და ღამეებს შუშით დატვირთულ ნაველზე ათენებს...

— ცხენების დოლზე ფული მოუგია და ავტომობილებით ახალი სოფლისკენ წასულა...

— თავშეკავების დათვალიერების დროს შემთხვევით წავაწყდით. არაყით მთვრალი იყო და მაწანწალას გვერდით ეძინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა ხანი. გივი ყველას დაავიწყდა და მე გვანგვიანებამ ის შორს იყო ჩვენგან, ძლიერ შორს...

მახსოვს 917 წლის 26 თებერვალი. ნისლიან ცის ქვეშ შიოდა ყველას და პეტერბურგი საგიჟეს დაემსგავსა. ქუჩებში ისმოდა თავგანწირული:

„პუუური!.. პუუური!“

ბრწყინწვალე ნევის პროსპექტზე ჩვენ პირველად ვხედავდით მაზუთში დასვრილების ულმო და მრისხანე არმიას.

— ვინ არიან?—ვკითხულობდით გაოცებით.

— პუტილოვის ქარხანა!—გვიპასუხებდენ.

— ესენი?

— ობუხოველები!..

ჰაერში ააფაქანეს ტყვიისმფრქვევლები. დაქროდენ ხმალშიშველი დონის ყაზახები, მაგრამ არ იყო შიში. ქალებმა დასცალეს გარეუბნები, სარდაფები, მოყავდათ მშიერი ბავშვები და ყვიროდენ:

„პუური!.. პუური!..

ლიგოვკაზე გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა და ჰაერი ქვის ნატეხებით სწვიმდა.

— წინ, თავრიდის სასახლისკენ!

იგრიალა ქუჩამ და რალაც უნებურმა ძალამ მეც ნაფოტივით წამიღო. მივყვებოდი.

მე დამავიწყდა ჩემი სადიპლომო გამოცდები, დამავიწყდა მოხუცი დედამა, ჩემი პირველი სიყვარული და მივდიოდი წინ, როგორც განწირული...

მაპატიეთ, რომ აქ თავის თავზე მიხდება ლაპარაკი... ტრაბახი არ გეგონოთ:

— როგორ გეკადრებათ! სთქვით, სთქვით —სიამოვნებით გისმენთ!

— მოგახსენეთ, მაგრამ ჩვენს შორის კი დარჩეს! მე არა ვარ წმინდა წყლის რევოლიუციონერი. მე, ასე ვსთქვათ, თავისებური რევოლიუციონერი ვარ... რევოლიუცია მიყვარს შორიდან, როგორც მიჯნური, სანამ გაიაფდებოდეს, სანამ საქვეყნო გახდებოდეს. სინამდვილეში კი, ჯოჯოხეთია როგორც მოგეხსენებათ...

ზომიერებას მუდამ ვაფასებ, მაგრამ არის წუთი, როცა საზღვარის გადალახვა ბუნებრივია.

იმ დღეს ხალხის მეთაური გავხდი. განა ვიფიქრებდი?

ჯერ ისე მშვიდათ მივდიოდით — უბრალო გასეირნება მეგონა: აქა-იქ სიცილი, ხუმრობა, ძმური საუბარი, თითქო ყველა ნათესავები ვიყავით და, ბოლოს სიმღერა. ჩვენ სიმღერით მიუახლოვდით ერთ პროსპექტს, სადაც თურმე სიკვდილი გვიცდიდა.

გაქცევა ვინ გაცალა! გრძელი, წვეტიანი შუბებით მოქროდენ ისინი და ველური ყიჟინით თავზარი დაგვცეს, დავიბენით.

არა, არ მგონია რომ ეს თავგანწირული ჩემი ნახტომი ნიშის ბრალი ყოფილიყოს. არასოდეს! ამაში ღრმად დარწმუნებული ვარ! მაგრამ მთელი ჩემი

არსებით ვგრძნობდი, რომ ხალხის წინა რიგებში მყოფს, სიკვდილი არ ამცდებოდა. ამ საშინელმა გრძნობამ უეცრად დამძრა ადგილიდან და ბრბეს გადავხტი როგორც ნამდვილი ვეფხვი. მერე აღარაფერი მახსოვს რა ჩავიდინე.

წინა დღით დანგრეულ ბარიკადებთან ქვები დარჩენოდათ. თურმე დავხრილვარ და ერთი სხვილი ქვა ისე მარჯვედ მისვრია, რომ თავგახეთქილი ყაზახი ცხენიდან გადმოვარდნილა. ხალხი გამხნევებულა, დაუვლია ქვებისთვის ხელი და, ღმერთო ჩემო, როცა გონს მოვედი, ყაზახები გარბოდენ. ველური ყიჟინით გარბოდენ ისინი და მე კი ზევით, სულ ზევით მივყავდი ბრბოს და ჰაერში ბურთივით მისროდა.

— ვინ არის!

— ეს გმირი ვინ არის ჩვენი დამსხნელი?!

მესმოდა გარშემო.

— კავკასიელს ჰგავს!

— ოსი თუ არის!

— იქნებ სომეხია!

სომეხს რა უგავს, ქართველი იქნება!..

უთვალავი თვალები სიყვარულით შემომცქეროდენ, ათასი გაფითრებული სახე მომდევდა მე და ვიგრძენი, რომ დაყოვნება საქმეს წაახდენდა.

— წინ, ძმებო, წინ!

დავიძახე მე და ეს ბრბო ტალღასავით დაქანდა.

ქუჩებზე სასწაულებს ვახდენდით: დიდი პროსპექტები ბარიკადებით გადაერაზეთ. დავლეწეთ სატუსაღოები, იერიშით ავიღეთ იარაღის საწყობები, ტელეფონის სადგური, ფოსტა... დავლეწეთ სამი საპოლიციო უბანი, კიდევ ერთი შეტაკება და გარბიან მშიშარა ჟანდარმები...

— ღმერთო ჩემო, სანამდე მიგვიყვანს ასეთი თავდავიწყება?—ვფიქრობ მე და, მზრუნველი ხელებით ჰაერში აზიდულს, მომენატრება:

ჩემო საყვარელო პატარა სამშობლო, ნეტავი ხედავდე ახლა, ნეტავი იცოდე მაინც თუ როგორ ვქმნი ახალ ისტორიას.

და მართლაც. საკმაო იყო ერთი ჩემი ხელის გაქნევა, რომ... დიახ! ყოველი ჩემი ხელის გაქნევა თითქო ახალ სტრიქონს სწერდა ისტორიის ფურცლებზე.

ეჰ, რას წარმოადგენს, ბოლოს და ბოლოს, ისტორიაც? ან და, თუ გნებავთ, ისტორიული გმირი? ბედია მხოლოდ და მეტი არაფერი!..

იტალიის საელჩოსთან ღია ავტომობილი დაგვეწია. მე დავინახე თუ როგორი სიმკვირცხლით გადმოხტა ვიღაც ქერათმიანი. ეს კაცი ელვის სისწრაფვით მოვარდა ჩემთან, გადამეხვია, მხურვალეთ გადამკოცნა და ლოყა ცრემლებით დამისველა. როცა გამოვერკვიე, უცნობი ჩემთან აღარ იყო: უკანასკნელი სალამი გვესროლა ავტომობილიდან და გაფრინდა. მე გვიან გავიგე, რომ ის ქერათმიანი თვითონ კერენსკი ყოფილიყო. საბრალო, ის სტიროდა უზომო სიხარულისგან!..

შორით თოფების გრიალი მოგვესმა.

— თქვენ ტყვიას მოერიდეთ, თორემ დაიღუპება საერთო საქმე!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მთხოვს ვილაც.

— ძლიერ ცივა, ინებეთ ჩემი ხელთათმანები! მემუდარებიან.

— გმადლობთ, გმადლობთ, ამხანაგებო!—ვუპასუხებ, რა დროს სიფრთხილეა, სიცივე რას დაგვაკლებს! წინ!..

ბატონებო, თქვენ გააცდინეთ ძვირფასი სადილი, დაიღალეთ კიდეც, მაგრამ ჩემი ამბავიც მალე დასრულდება...

ამბობდნენ, რომ იმ დღეს აჯანყებულთა რიცხვმა 300 ათასს გადააჭარბაო. შესაძლებელია.

ჩვენ ვუახლოვდებოდით თავრიდის სასახლეს, როცა მოულოდნელად შევეფეთეთ ჩვენსკენ მომავალ ჯარს. მთავრობის ერთგულობით სახელგანთქმული ციმბირის პოლკის ერთი ბათალიონი მოდიოდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული.

დღეს ვილას ახსოვს, რომ იმ დროს, თუ ჩემი გამბედაობა არა, უთუოდ გამეორდებოდა 9 იანვარი.

ჯარი იცნო ხალხმა და ყველას თავზარი დაეცა. არ იცოდნენ რა ექნათ. კიდევ რამოდენიმე წუთი და საშინელი კივილი ჰაერს შესძრავდა. არავის დაინდობდენ ეს გაბოროტებული ჯარისკაცები, რომელთაც არა ერთხელ აუკლიათ შინაური მტრები... ამ უბედურების მოლოდინში, უნდა გენახათ, რა დიდი იმედი გავხდი ყველასათვის. ყველა მე შემომყურებდა, ყველა ჩემს ხმას ელოდა. მეც ვამხნევებდი მათ. როცა ჯარი მოგვიახლოვდა მე ხალხსა და ჯარს შუა მოვექეცი. მივუბრუნდი ჯარს და ხმა მაღლა შევსძახე:

— ციმბირის არწივებო! შესდექით! მიიღეთ გულწრფელი სალამი გამარჯვებულ ხალხისაგან. მთელი ქალაქი ჩვენს ხელშია! ქალაქის გარნიზონმა მთავრობას უღალატა! ახლა თქვენზეა სიტყვა! ციმბირის არწივებო!..

ამ დროს სწორედ სასწაული მოხდა: პოლკი შედგა, როგორც ერთი ადამიანი, და სულგანაბული ისმენდა ჩემს სიტყვებს. მე გავილაშქრე მოღალატე მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ოჯახში სიმშილი გააჩაღა და ფრონტზე დამარცხება, ვამბობდი მომავალ ბედნიერ დღეებზე, როცა საშობლოს ერთგული შვილები დამშეულ ქვეყანას პურით გააძღებდენ და ომს გამარჯვებით დააგვირგვინებდენ...

ხალხის აღფრთოვანებამ საზღვარი გადალახა; ისმოდა განუწყვეტელი ტაში და ვაშას ძახილი.

— გაუმარჯოს ხალხის ერთგულს.

— გაუმარჯოს რევოლიუციის ბელადს!

რაღა დაგიმალოთ: ვგრძნობდი, რომ ეს ურიცხვი ხალხი უჩემოდ ფეხს ვერ გადადგამდა. გაცხარებული სიტყვის დროს, იყო წუთი, როცა ჩემი მჭერმეტყველება თვითონ მაოცებდა.

ამ დროს ჯართან ერთად ხალხიც დაიძრა ადგილებიდან და მეც უნდა გავყოლოდი, როცა სრულიად მოულოდნელად ისეთი მწარე ტკივილი ვიგრძენი ზურგიდან, რომ უეცრად წამერთო თვალის სინათლე და გონებაც დავკარგე.

ეს კი ვიგრძენი, რომ ვიღაცას გავყავდი ხალხიდან მხარზე აკიდებული და ისიც გავიგონე:

— თავი დაანებეთ საწყალ ადამიანს, ავი ზნე უფლებამოსილ ეუპატრონებ, თქვენ გასწით წინ...

„ვინ უნდა იყოს ეს ადამიანი... რა მომივიდა... ძლივს მოვასწარი ამის მოფიქრება და... კიდეც დაბნელდა.

როცა ისევ გათენდა, მე ქუჩის განაპირას ვიჯექი; თავს მადგა ვიღაც ახალგაზრდა, რომელიც გაყინულ თოვლით მიზელდა ყურებს, შუბლს, გალეღილ ტკერდს და კისერს. გარშემო მიმოვიხედე. სხვა არავინ იყო.

— ყოჩაღ! ასე, ასე, გამოკოცხლდი შე კაი კაცო. რა გემართება? ეხ, რა სუსტი გულის პატრონი ყოფილხარ! შემაშინე. ერთმა უბრალო ჩქმეტამ გონება როგორ დაგიკარგა.

მეუბნება ეს კაცი ქართულად და მე, გაოცებული, თანდათან ვფხიზლდები. ძლივს მოვიკრიბე დასუსტებული გონება და უცნობს დავაკვირდი. გივი იყო.

ამაყენა და მიეყავარ ნელის ნაბიჯით.

— ნუთუ ეს უბრალო ჩქმეტა იყო?—ვეკითხები გივის,—ვინ რას მერჩოდა, რა დავაშავე?!

— მაპატიე, ევგენი, თუ ძმა ხარ, მაპატიე! ეს მე ვქენი. რა ვიცოდი თუ ასეთი ბოლო ექნებოდა! მე მინდოდა მხოლოდ გონზე მომეყვანე. იცი? ძლიერ გაგიტაცა გმირობის სურვილმა. ვინ იცის სანამდე მიგიყვანდა ეს ხალხი, ცოტა რომ დაგცლოდა.

მიპასუხა ამ ეაჟბატონმა და გაიღიმა იმ ღიმილით, რომლისთვისაც ჩვენ, როგორც ვსთქვი, მეფისტოფელი დავარქვით.

— აჯანყებულ ხალხის ბელადობა სახიფათო საქმეა, მით უმეტეს, როცა შენი კეთილშობილი გვარი ყოველთვის შორს იყო ასეთი სურვილებისგან. დაწყნარდი, ჩემო ევგენი, დაწყნარდი! ბედნიერი კაცი ხარ: გელის მყუდრო ოჯახი, ლამაზი ცოლი. მალხაზი ბავშვები და გვიანი სიკვდილი საკუთარ ჭერქვეშ" ო.

მე იქვე გავეცალე ამ ბოროტ სულს, რომელიც ყოველთვის შურით და გესლით იყო სავსე.

— რა გულწრფელი ხართ, ძვირფასო ევგენი, რა უცნაური გულწრფელი! თქვენს ადგილზე ამ ამბავს სხვა დაფარავდა, როდი იტყოდა!

გულის დასამშვიდებლად მიუგო სტუმარს ოჯახის დიასახლისმა.

— მართლაც რომ ბოროტი სული ყოფილა! დასძინა მისმა მელოტმა: ნუ თუ ეს მავნე ადამიანი აქ ცხოვრობს, ჩვენს ეზოში!

— სწორედ რომ აქ ცხოვრობს. ერიდეთ ყოველ შემთხვევაში! პატიოსან ოჯახებში მისთვის კარები დაკეტილი აქვთ!



ศูนย์วิทยทรัพยากร
จุฬาลงกรณ์มหาวิทยาลัย

ნ. კ ლ უ ე ვ ი

ლ ე ნ ი ნ

არის ლენინში კერჟენის ნება
და დეკრეტებით მოძღვრის ძახილი,
თითქოს იმისთვის ნგრევის გაგება
ზღვების ხმაურში იყოს ადვილი.

მიწა მუქიკის დოვლათი არი
და ეკლესია მოუსყიდველი
ხალხს ააღელვებს, ისე ვით ქარი
ზარის ხმაურით სიტყვა წითელი.

ეს ხმა ალური ჩვენ გვეგონების —
კემუნტის ფერად იქ ცეცხლი ღელავს
და ბასმას ჩვენი შავი მონობის
იოანეს ფეხი უშიშრათ სთელავს.

ბარისი — მურზა ოქროვან ორდის
რეკავს იოანე დილის ზარებით
ცეცხლი და რისხვა ლენინით მოდის
ახალ სიწმინდეთ და ზიარებათ.

სმოლნას თაღები სიბნელეს იტევს;
და მძაფრი სუნი ჰაერში არი,
მძიმე მათხოვრულ კუბოში იქ დევს
დიდი რუსეთის სნეული მკვდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სადღა დავმარხოთ მიცვალებული"
ამბობს ჭაბუკთა მამაცი გროვა,
კოვენცის მიწა ამტვერებულა
და ხლვის ტალღებიც ტორტმანით მოვა.

ან შევეკითხოთ ღრუბლებს, ვარსკვლავებს,
დაისებს, ველებს წითლად რომ ალავს,
გაშეხებული სახე აქვთ ჭალებს
და მეფის ბირმებს წიაღი მალავს.

როგორც ყორანი, მათ ბედი თალხი
სდარაჯობს ჩუმათ ბნელ საფლავებში
რაღას დატირის მწუხარე ხალხი
თავის სევდიან თათრულ ჰანგებში.

თარგმ. კოლაუ ნადირაძის.

ნ. ბ უ ხ ა რ ი ნ

ამხ. ნ. ბუხარინი—ლიბედინსკის მოთხრობის „შვიდი დღის“ შესახებ

გაზეთ „Правда“-ს № 7, 1923 წ. მოთავსებული იყო ამხ. ბუხარინის წერილი სათაურით „პირველი მერცხალი“ ლიბედინსკის მოთხრობის შესახებ. მოგვყავს ეს წერილი შეუმოკლებლად.

სალიტერატურო კრებულის: „Наши дни“-ს № 2-ში მოთავსებულია იური ლიბედინსკის მოთხრობა „შვიდი დღე“. ამ მოთხრობის შესახებ მე მინდა ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა.

რევოლიუციის შემდეგ ხანების ლიტერატურამ წარმოშვა მრავალი ნიჭიერი მწერალი. მათ შორის ბევრია ყოფა-ცხოვრების ნიჭიერი გამომხატველი, მაგრამ იმ მწერლებში, რომელთა შორის მოიპოებოდა ბევრი მეტად საინტერესო და ნიჭიერი, რომლებმაც უკვე მოგვცეს პროზის ახალი ფორმა,—დღემდის არ გვყავდა „მთლიანად **ჩვენი**“ მწერალი.

ამ მწერლების უმრავლესობა შესდგებოდა „თანამგრძნობლები“სგან, რომელნიც **ცდილობდენ** მუშურ რევოლიუციასთან ერთად სიარულს, მაგრამ არსებითად რევოლიუციის მიმართ **ცივად** იყვნენ განწყობილნი.

უკეთეს შემთხვევაში თავიანთ მოთხრობებში ისინი ეხებოდენ გლეხურ სტიქიას, მასსიურად კი, აღწერდენ მეშჩანების დამშეულ ყოფას, რაც მეტად დაშორებული იყო მუშათა კლასის ისტორიულ გონებისგან.

რევოლიუციის ჰენიის ფრთების თრთოლა, ის დიადი, განუსაზღვრელი და უკვდავი, რაც მარად იცოცხლებს საუკუნოებში, ყოველთვის რჩებოდა თანამედროვე ბელლეტრისტების სულიერი ხედვის გარეშე.

ამ მხრით „შვიდი დღე“—ბრწყინვალე გამონაკლისია და, თუ არ ვცდები, იგი პირველი მერცხალია.

აქ არ არის არც მყვირალა, რეკლამური პათოსი, არც სიმბოლიური, მოხეტიალე ფიგურები, არც „საწარმოო“ სიტყვების, ტერმინების ნიშნების უთავბოლო დაგროვება. ყველაფერი თავიდან ბოლომდის—ყოფაა, მაგრამ ამ ყოფაში სცემს ცოცხალი პულსი დიადი რევოლიუციის, თქვენ მღელვარებით, წყურვილით ეწაფებით, ამ მოთხრობას. „ეს ემოციონალური გადადება“—ყოველ თეო-

რეტიულ მსჯელობაზე უკეთესად ამტკიცებს ამხ. ლიბედინსკის ნაწარმოების მაღალ მხატვრულ ღირსებას.

მისი შინაარსი შეეხება პროვინციალურ ქალაქის ... მცხოვრებ კომმუნისტების ყოფას, სასურსათო რაზვიორსტკის, ბობოლების აჯანყების, აფიცრების შეთქმულების და სიმშილობის ხანაში. ცხოვრების დაჭიმული რიტმი გადმოცემულია მშვენივრად. სხვა და სხვა ფსიქოლოგიური ტიპები—ინტელიგენტ-კომმუნისტის, „მოწინავე“ მუშების, უპარტიო მასწავლებელ ქალის რელიგიიდან რო ნიდის კომუნიზმისაკენ—სულის უწვრილესი ნიუანსები და მოძრაობანი გადმოცემულია შესანიშნავად,—შეულამაზებლდ, სადათ, მდაბიოთ. თქვენ ხედავთ ცოცხალ ცხოვრებას, იგი იშლება თქვენ წინ ისე, თითქოს თქვენ უშუალოდ თითონ იღებთ მონაწილეობას ამ ცხოვრებაში.

ამბობენ ავტორი 24 წლის ახალგაზრდა, კომმუნისტი, წითელ არმიელია. თუ ეს ასეა—მაშინ ეს ზედმეტად ამტკიცებს მას, რომ ჩვენ გვაქვს საკმე ახალგაზრდა დიდ ტალანტთან, რომელსაც ყოველ მხრივ უნდა შეუწყოთ ხელი, რომ ის გაიფურჩქნოს და აყვავდეს.

მოთხრობა „შვიდი დღე“ კი საჭიროა გამოიცეს ცალკე წიგნათ...

იური ლიბედინსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვიდი დღე

სადაფის სინათლეში, ნოტიო, უძრავი ღრუბლების შორის ლურჯდება მხიარული ცა. სამი დღე იყო მზიანი გაზაფხული, ნაკადულები ამსხვრევდნენ თოვლის ნაბუქს და მიჰქონდათ იგი ქალაქს გარეთ, მდინარისკენ; ქუჩებზე გაჩნდა ხმაურობა და ტალახი. მეოთხე დღეს გაზაფხულს ჩასთვლიმა. დაიდო თავი მუხლებზე და დაიძინა სადღაც შორს ტყის მინდორზე. მხოლოდ ერთხელ შუადღისას მზემ გაუღიმა დედა-მიწას და ხელახლა ამოეფარა გაქვავებულ ღრუბლებს.

მაგრამ გაზაფხულის მხიარულება დარჩა, მხოლოდ იგი იყო სადღაც მიმალული, ისე ვით მზე ყომრალ, ლურჯი და შროშანის ფერ ღრუბლებში, საათობით რო ჰკიდიან დედა-მიწის ზეკით, როგორც ნაცრისფერი, სოველი ქვები.

გარეუბნის ლობეების და სახლების გვერდით, წებოვან თიხის ნიადაგზე ფეხის დასხლტომით, თუ ახალ თოვლისგან დაცარიელებულ მაღლობზე და შემდეგ მოიხედავ უკან, მაშინ დაინახავ: მაღლობის დაბლა, ფართე მოედანზე, თითქმის მდინარემდის ხის ნაცრისფერი სახლების კვარტალებით—გაწოლილა პატარა ქალაქი. ხალხი ცოტა სჩანს; ეტყობა—ყველას სძინავს; ყეფენ ძაღლები; როგორც სჩვევიათ გაზაფხულზე—ხმა მაღლა ჰყვირიან მამლები. ფართე ქუჩებზე, ნათელ შესახვევებში კიდევ კრთის დარჩენილი თოვლი. ცოტა მაღალი, ორსართულიანი სახლები, მაგრამ ბევრია ეკლესიები. ქარხნების განცალკევებული მილები აფრქვევენ ცისკენ შავი კვამლის უსაზღვრო ზოლს და შორს, ქალაქს გარეთ, ეცემა ფერფლი თოვლის ზვინებს.

დაბალი, ნაცრისფერი მტვერიანი კოშკი მწყობრად უშვებს ხმაურს ნისლიან სიჩუმეში და ორი წყნარი წუთის შემდეგ მის საპასუხოდ სამრეკლოდან მოისმის მხიარული რეკა, დიდხანს ტრიალებს ჰაერში და იკარგება შორს, ქალაქის იქით, სოფლების ნოტიო ნისლში.

ამ უბრალო, შეუმჩნეველ საათში, როცა მზე მკრთალი, თეთრი წინწკალით გადიხარა საბჭოებისკენ, ცირკის შენობასთან, ვრცელ მოედანზე გროვდება ხალხი,—მიდიან დაბალი ლობეების გვერდით, გაფანტულ თოვლის ბილიკებით, ცარიელ ადგილებით, სადაც თოვლის ზვინებიდან ამოშვერილა შარშანდელი გამხმარი თალგამი. გადადიან გაზაფხულის ტალახიან ქუჩებზე, მიწაში

შეჭრილ ქვაფენილებით. ჩქარობენ, ერთმანეთს ხვდებიან, ხან და ხან ღიმილით ესალმებიან ერთიმეორეს. მამაკაცები და ქალები, უფრო [illegible] ვიდრე მოხუცებულები, ნაცრისფერ მაზარებში გაცვეთილ შავ [illegible] პალტოებში, სხვადასხვა ღიმილი, თვალები, მიხვრა-მოხვრა,—მაგრამ ყველაფერში მაინც მოსჩანს რაღაც მზგავსება, თითქოს ყველას ანათებს ერთი და იგივე შორეული დილის მზე.

ცირკში სიწყნარეა მთელი დღე და დიდი, ნაცრისფერი ვირთხები ჩუმათ დარბიან ცირკის მოწყენილ, ყვითელ მოედანზე. მაგრამ, აი, მთელ სიფართეზე ილება კარები, რომელზედაც ჰკიდიან ძველი აფიშების და ანონსების ნაგლეჯები; მათი დაბნეული სიტყვები და გაწყვეტილი ფრაზები ლაპარაკობენ რაღაც წარსულზე, ძველზე. ცირკი განათლდა და ხალხი ნაკადებივით მოედო ადგილებს, ასე რო მაღლდებიან მოედნიდან; ავსებენ ვეებერთელა შენობის თავდაჭერილი ნაბიჯის ხმაურით.

მრგვალ მაგიდასთან, მოედნის შუა რო დგას, გამოჩნდა ორი კაცი. მათკენ ცირკის ყოველ კუთხიდან თითო ოროლა ხმები ისვრიან გვარებს და, აი, ასეული ზევით აწეულ ხელების ნებით, ამხ. კლიმინ ჯარისკაცის მაზარაში ცირკის მკრთალ სინათლეზე სახის დაშლილი ხაზებით, მაგრამ ლამაზი, წყნარი, ყურადღებით სავსე თვალებით, მოედნის შუა ადგილიდან წარმოსთქვამს:

— ამხანაგებო, რ. კ. პ. ქალაქის რაიონის კრებას გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგში არის სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება კუთხის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. წინააღმდეგი არაეინაა? სიტყვა ეკუთვნის ამხ. ზიმანს.

ცირკში ჩამოვარდება სიჩუმე და კრება ვეებერთელა, ნაცრისფერ, ალერსიან მხეცივით განაბდება თავმჯდომარის ფეხებთან და მრავალ თვალებიან ცქერას მიაპყრობს მეორეს, რომელიც აგრეთვე სდგას მოედნის შუა ადგილას და ნერვიულ ხელით კეცავს ქაღალდის ფურცლებს.

წყნარად და ყრუთ, პურის ფუთების, შეშის საეენების, ორთქლმავალების და ფულის მსხვილ ჯამის, დღეების და კვირეების ციფრებზე, ხმის აწევით აკეთებდა ზიმანი მოხსენებას. მაგრამ ყველა ისმენდა გულდასმით და ყველას ესმოდა, რომ სიტყვა ეხებოდა მეურნეობას, სურსათს, სათბობს, სანოვაგეს და შეკითხვებიც თეთრი ქაღალდების გუნდებით მოჰქროდენ პრეზიდიუმის მაგიდისკენ.

ლაპარაკობდა ზიმანი იმაზე, რომ ქალაქი დაშორებულია დიდ მაგისტრალებს და რუსეთის დანარჩენ ნაწილებთან მას ერთიანებს 500 ვერსიანი რკინისგზის ტოტი. მხარეში თითქმის არსად არის ტყე, საკუთარი ქვანახშირი არ ყმარა და გზაც თითქმის აღარ მუშაობს. წელიწადი კი იყო მოუსავლიანი. რაზვიორსტკამ წაიღო უკანასკნელი მარაგი, და თუ თესვისთვის ვერ მოვიტანეთ თესლი, მაშინ დაიმშევა ქალაქიც და სოფელიც.

ყველამ იცოდა რას ნიშნავდა ეს სიტყვები: სიმშილი აიძულებს გლეხებს უაზრო, სასტიკ აჯანყებისათვის, ქარხანა შეაჩერებს მუშაობას და მუშებიც გაიქცევიან, ბანდიტების ბრბოები კი, რომელნიც დახეტიალობენ შორს მინდვრებში,—გათამამდებიან, მოვლიან და აშლიან რკინის გზას. თესლის მოსატანათ

საჭიროა სათბობი, ის უკვე დამზადებულია ქვედა-ელანის ბაზრაში, მთებში, რკინის გზაზე აქედან 200 ვერსის მანძილის მოშორებით. მაგრამ ამ ... კვირაში იმას აქ ვერ ჩამოიტან. თესვის კამპანიის ჩაშლა თითქმის ... ვარდება. და მოუწოდებდა მომხსენებელი სიმტკიცისკენ. მაგრამ მშრალი იყო მისი სიტყვები. კრება ვერ ითვისებდა მათ და უთვისტომოთ, უმიზნოთ ტრიალებდენ ისინი ისე, როგორც ქაღალდის ნაფლეთები ქარში.

გაათავა ზიმანმა და სიტყვა მოხსენების გამო აიღო წითელ არმიელმა უწარბო, წითელი, ფართე სახით; მან სთქვა; ორ წელიწადს იბრძოდა იგი ფრონტზე საბჭოების ძალა-უფლებისთვის და სოფლებში კი მდგომარეობა უარესდება. აწუხებენ სოფლებს რაზვიორსტკით, დიდი მამაძაღლობა არის ყველა ამ სამეურნეო საბჭოებში, სასურსაათო კომიტეტებში და სახალხო მეურნეობის საბჭოებში. საწყალ კაცისთვის ცხოვრება გასჭირდა. ხალხი მთლად გავწმინდეთ პურისგან, ახლა კი ვსტირით. ეჰ,—ჩააქნია ხელი და დაბრუნდა თავის ადგილზე.

— როგორ, ისევ ვიშიმშილოთ?—დაიწყო მტირალი ხმით მეორემ მოედნის შუაგულიდან— იყო ის გამხდარი, ყელზე ჭრილობით. ლაპარაკობდა დიდხანს, რომ ძნელია ფუთიან პაიოკით მთელი ოჯახის შენახვა... ჭურდობენ...—დაუმატა გესლიანათ თავის სიტყვის ბოლოს.

გამოდიოდენ სხვა სიტყვებითაც, მუშები და წითელ არმიელები აღელვებული გადიოდენ მოედნის შუა ადგილას და შებოჭილნი ბრბოს უჩვეულო ყურადღებით, ისინი მაინც ამბობდენ მოუხეშავ სიტყვებს; უსაყვედურებდენ ზიმანს, მაგრამ ეთანხმებოდენ მასში, რომ საჭიროა მეტი სიმამაცე. ჯვარედინად ხელებ დაჭდობილი ჯდომა არ ნიშნავს სიმამაცეს და იგინიც ეძებდნენ გამოსავალს ხელის ფაცურით, როგორც ბრმები. მაგრამ არ ესმოდა კრებას დაულაგებელი ლაპარაკი და ერთი ორატორი ეკამათებოდა მეორეს თუმცა ორივე ლაპარაკობდენ ერთი და იმავეზე.

ზიმანმა შესწყვიტა უკვე უკანასკნელ სიტყვისათვის საწინააღმდეგო აზრების ჩანიშვნა; პატარა, შესაბრალი იგი აქნევდა თავს მღელვარებისაგან, ისმენდა საყვედურის სიტყვებს და მას აბრაზებდენ განსაკუთრებით ის მოლაპარაკენი, რომელნიც საიდგანაც გამოსავალს ხედავდენ.

თითონ კი ვერ მოენახა იგი გამოსავალი და გულმოსული ფურჩულებდა „დემაგოგია, მიტინგობია,“ ორატორები კი თრთოლით თავს ამტვრევდენ მინის კედელს და ვერ შესძლეს ეთქვათ კრებისთვის თავიანთ გარკვეულ გეგმებზე, ამბობდენ რაღაც დეტალებზე, მასზე, რომ სადღაც „შეიძლება ხერხების, ნაჯახების შოვნა“. კრება კი ღელავდა, და მიუხედავად თავმჯდომარის ზარისა, ადგილებიდან ისმოდა ხმაურობა. მაგრამ, აი, გამოვიდა ერთი, ტანად საშუალოზე მაღალი, მოხრილი, კვადრიტის მზგავს დიდი თავიდან მოიხსნა ძველი, ლურჯი ქუდი და გამოუჩნდა მაღალი შუბლი გარდიგარდმო ნაოჭებით.

სიტყვა ეკუთვნის ამხ. რობეიკოს,—წარმოსთქვა თავმჯდომარემ და კრებამაც გაჭნაბა სული დაბალი ხმით წარმოთქმულ სიტყვის მოსასმენათ.

რობეიკოს ხომ არ შეუძლია ლაპარაკი, მას ყელის ჭლექი აქვს, მას არ

უნდოდა გამოსვლა, იგი სხვებს უსმენდა და უკვე დიდი ხანია ფიქრობდა. ულონია ზიმანი და ვერ ხედავს გამოსავალს, რომ ბევრი მათგანი, ვინც გავიდა ლაპარაკით ამას გრძნობენ, მაგრამ ვერ ასახელებენ. [illegible] ლობდა პარტკომზე, რატომ გამოიტანეს საჯაროთ ეს მოხსენებანი და ხულ უეცდიდა, რომ ვინმე დაასახელებს ამ გამოსავალს, გამოსთქვამს მას სიტყვებით და იხსნის რობეიკოს ზედმეტი ტანჯვისგან. რობეიკოს ხომ არ შეუძლია ლაპარაკი... ხმები სწიწკნიან მის ყელს წითელ, სისხლისფერ, ბოჭკოიან ნაჭრებათ. საჭიროა ცოტას თქმა, სულ რამოდენიმე სიტყვის, საკითხი გამორკვეული იქნება, ყველას გაუნათლდება სახე, რადგან ყველას ეცოდინება რა დააჩქეს, ამ გზას, იმ გამოსავალს, რასაც ბევრი ხედავს გაურკვევლად. წყნარი ხმით—თითქოს ეშინია რომ არ გააღვიძოს ტკივილი, რომელიც სთვლემს მისი ყელის სილრმეში—მან დაიწყო ლაპარაკი. მაგრამ არაფერი არ ისმოდა, ხალხს მოწაბებრივად წამოეწია კისერი და რობეიკოც გათამამდა, მისმა ხმამ თითქოს გააკეთა ნახტომი და ყველას ესმოდა მკაფიოდ ყოველი სიტყვა და ყველას სახე მადლობით გამოიყურებოდა. მაგრამ ყოველი სიტყვა ჭიქის წვეტიანი ნატეხივით ებჯინებოდა ყელში და სწიწკნიდა მის ნაზ ქსოვილს ნაჭრებად და იწვევდა საშინელ ტკივილს, ცრემლები ღვარად მოდიოდენ თვალებიდან, შუბლი ოფლიანდებოდა და ხმა წყდებოდა და წკრიალებდა.

ის ამბობდა, რომ ზიმანი მართალია თავის მოხსენებაში და ამისთვის ის არ არის საყვედურის ღირსი. სიმართლე ხომ ზიმანს არ შეუქმნია, მან მიგვითითა ჩვენ საფრთხეზე და ამისთვის იგი მადლობის ღირსია. მხოლოდ არ უნდა დავიბნეთ, უნდა მივიხედ-მოვიხედოთ და სადმე გამოსავალს ვეპოვნით. უნდა დაუფიქრდეთ საქმეს დამშვიდებით, გულ ცივად. განა პარტიას არ უნახავს გამოსავალი უფრო ცუდ მდგომარეობიდან? საქმის დამშვიდებულ შესწავლაში და გადამწყვეტ მოქმედებაში არის ჩვენი ძლიერება და სიბრძნე.

გამოსავალი არის. ბევრი ხედავს მას, მაგრამ მისი გადმოცემა არ შეუძლიათ, მთელი დაბრკოლება სათბომ მასალაშია, — ცხადია. ცოტა სათბობი და ხელათ გაჩნდება ქ. ელანსკიდან შეშა. და რაკი შეშა გვექნება, მაშინ ერთ კვირაში მოვიტანთ სათესლე მარცვალს. ყველაფერი სათბობ მასალისგან არის დამოკიდებული, რამოდენიმე ასეულ კუბის შეშისგან. სად ვიშოვოთ ის?

ცხადია, ქალაქში ბევრი ბალია და ქალაქს გარეთაც 12 ვერსის მანძილზე მონასტრის ახლოს დიდი ტყეებია. აი, შეშა, — ეს სრულებით საკმარისი იქნება. ერთი კვირის შემდეგ სათბობი ქ. ელანსკიდან გაჩნდება აქ და ჩვენც დავიწყებთ სათესურ მარცვლის მოტანას. მაგრამ საჭიროა ყველაფერი შესრულდეს სწრაფათ და გაბედულათ, თითონ უნდა ავიღოთ ნაჯახი და ხერხი, გაუძღვეთ წინ მუქთახორებს და ბურჟუაზიას, ჩავაბათ ამ საქმეში წითელი ლაშქარი და ყველა მშრომელები, მხოლოთ ნუ დავაგვიანებთ. თუ ორი კვირის შემდეგ თესლი გვექნება აქ, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ყანებიც მოვთესოთ.

მაგრამ სიტყვა შეწყდა ხმელი, ნაწყვეტი ხველებით. ხველება გაგრძელდა ორ სამ წუთს და ხალხი კი დაჩიმულ ყურადღებით ელოდა, ბევრი, ძალიან ბევრი თანამგრძნობი ალერსიანი სახეების ლანდი კრთოდა რობეიკოს თვალე-

ბის სარკეში და ის კი ახველებდა, იგრიხებოდა ხველებით, და ყველა ხედავდა ამას, მაგრამ სდუმდენ და მხოლოდ ნაღვლიანის თანაგრძნობით ოხრავდა ხან ერთი, ხან მეორე.

* * *

პატარა ქალაქს კი ჩვეულებრივ, ცის ქვეშ, თითქოს მიეძინა შუადღის მძიმე ძილით. ყოველ სახლში ფანჯრებზე ჰყვავის ჰერანი და მის ლამაზ ფოთლებზე გაწოლილან ყვავილები, რომელნიც მიაგავან ლურჯ და ვარდისფერ მწერებს. ო, რა ბევრია ეს ხის საფერფლე კოლოფები, ქუჩიდან ქუჩაზე მიყვებიან იგინი, როგორ ვიწროთ გრძნობ და გეხუთება სული მათ კედლებში! წინა კუთხეში ბევრია მრისხანე ხატები, პატარა მაგიდებზე კი, რომელნიც დაფარულია მოქსოვილ სუფრის საფრებით ძევს ხავერდის ალბომები. სამზარეულოებში უსუფთაობაა, კედლებზე გარბიან ხოჭოები და ფანჯრის შუშაზე დაღონებულად ბზუიან ბუზები.

ცხოვრება იმ ხალხის, რომელნიც ცხოვრობენ ამ ვიწრო სახლებში, მიაგავს სექტემბრის ნაცრისფერ დღეს, როცა ნელი ავდარის დროს წვიმის წვეთები ერთფეროვნად ხმაურობენ შუშაზე და დაორთქლილ ფანჯრებიდან მოსჩანს ნაცრისფერი მესერი და ტალახში მოხეტიალე ქერა ხბო. ასე ათეულ წლებით მიდის ეს ცხოვრება. ყოველდღე ხანში შესული ქალი ადრიან დილით წველის ძროხას და კალათით მიდის ბაზარში.და სადილის შემდეგ სამზარეულოში რეცხავს გაქონილ ჭურჭელს. მელოტი მამაკაცები კი ჩალამებული თვალებით, ძველი გამონემსილ შარვლებით, დაქერილ ბატინკებით მიდიან სამსახურში, რაღაცას ვაჭრობენ, ხელოსნობენ სათითაოდ პატარა, ბნელ ოთახებში. კვირაობით ქალები მჭიდროთ ივარცხნიან თმას, იცვამენ ლილისფერს, ყვითელს, ლურჯ ტანისამოსს, მიჰყავთ ბავშები ეკლესიაში, საღამოთი კი გროვდებიან ერთად ჩაის დასალევად; მამაკაცები კი თვრებიან არაყით და ბურახით, ეხეთქებიან შუბლით მაგიდას.

მაშინ, როცა მწუხარეთ ფრთებ დაშვებული, ქალაქის ზემოთ სევდიანათ დაჰქრიან ზარის ხმები შაბათის მწუხრისკენ, რო მოუწოდებენ — ყველა ისენი გამსჭვალულია სიძულვილით მათ მიმართ, რომლებიც იკრიბებიან ცირკში. და ამ მშიშარა სიძულვილმა, მთელი ქალაქი თითქოს შეუმჩნეველად, გააერთიანა ერთ შავ გუნდათ.

ამ საათებში მიდის სასეირნოთ რაფიელ ანტონისძე სენატორი, რომელიც სცხოვრობს ორ სართულიან ხის სახლში. სახლის ქვედა სართულში აფთიაქია. აფთიაქს რეკვიზიცია უყვეს. ჩამოხსნეს შავი აბრა, ოქროს ასოებით ალერსიანად რო აცხადებდა: „ქრისტეს შობის სახელობის აფთიაქი". რ. ა. სენატორი. ახლა კი მის მაგიერ წითელი ფიცრიდან ურცხვად ყვირიან შავი ასოები: „ჯანმრთელობის განყოფილება. კომუნალური აფთიაქი № 1".

დგას რაფიელ ანტონისძე ქვიშნარიან მალლობზე, იკრებს ატმოსფერულად თავის არსებაში ფარულ სიძულვილს, რაიც მოჰქრის პატარა სახლებიდან, ხსნის მასში თავის მწარე გაბოროტებას, შურს და ჩუმად უგზავნის ყველა ამათ ცირ-

კის მისამართით, სადაც მიდის მისთვის გაუგებარი, მტრული ცხოვრება, პატარა, მსხვილი ნაცრისფერ პალტოში.

გაცვეთილ ქუდში (ამ ქუდებს ეძახიან „გამარჯვებულთ ნახვამდის“) ის დიდხანს დგას მაღლობზე. ქუდის წინა კოზიროკიდან ახათებენ წაბლის ფერი თვალები, და როცა ის მობრუნდება და გაივლის ნელა ეზოში, მაშინ იხედება მსუქანი, წითელი კისრის ნაჭერი, რომელზედაც ბევრია მოკლე გათეთრებული და შავი თმის ღეროები.

ის ეხმარება ცოლს საოჯახო საქმეებში, ხერხავს ქოშინით შეშას, გააქვს ნარეცხი ძროხისთვის. როცა მისი ცოლი წველის მას, ის ჩუმად უყურებს თუ თითებიდან როგორ ჩხრიალებს რძის თეთრი ზოლი აქაფებულ ქოთანში. და წველის მწყობრი ჩხრიალი, ლობის გარეთ ღორების მშვიდი ღრუტუნი, მწვავე სუნი ნახევრად ჩაბნელებულ ბოსელის, ყველაფერი ეს ამშვიდებს მას და ეგი აუწყებს ცოლს

— მე ვიყავი ხანქინებისას, მათ ჩამოუვიდათ ძმა ტულიდან. ის ამბობს, რომ ჩქარა დადგება ბოლშევიკების დასასრული, ხალხი აუჯანყდა მათ, პოლონელებს ისევ უნდათ ომი და, ასე გაშინჯე, მოსკოვში მუშებიც...

— ღმერთმა ქნას, — ფურჩულებს ცოლი და რაფიელ ანტონისძე დადის წინ და უკან ეზოში, ხელები ამოუფარებია ზურგს უკან და ჩვეულებრივად ითვლის სახლის აშენების შემდეგ გადარჩენილ ძელების რიცხვს, — ეშინია არავინ მოჰპაროს.

მაგრამ როცა ნაცრისფერი, ღრუბლიანი დღე, დასრულდება ალისფერ დაისით და მზეც გამდნარ ღრუბლებიდან უძღვნის მიწას ირიბი სხივების უკანასკნელ ოქროს და, როცა დაისზე ჩამოწოლილი ღრუბლები აღტაცებით და სინაზით შეეხარებიან რაღაც წუთიერს, გარდამავალს და აცილებენ მზეს ტანის თრთოლით — ამ დროს ბნელ კიბეზე, უსუფთაო ფეხის ადგილის სანაგავე ლაგანის გვერდით, თავის ოთახისკენ გარბის რაფიელ ანტონისძე და ოხრავს მეტი ქოშინისგან.

ამ დროს ხომ დაისის ცეცხლში ცირკისგან მოჰქრის ინტერნაციონალის ხმები და მედგარი ბგერის ტალღებით მიჰფრინავს ქალაქის ზევით საღამოს მზისკენ, როგორც წითელი, შურის ბაძიებელი ანგელოზი. აწი საცაა დაბრუნდება რობეიკოც, რომელმაც დაიკავა ბინა რაფიელ ანტონისძეს სახლში და რომელიც ისე სძულს რაფიელ ანტონისძეს და ყოველთვის ეშინია მასთან შეხვედრის.

II

ელექტრონის ლამფის მყუდრო სინათლის ქვეშ კაბინეტში, რომელიც იყო მორთული მუხის დგამით, დაიწყო პარტკომის კრება. რობეიკომ გააკეთა მოკლე მოხსენება. მან გააცნო ამხანაგებს შეშის დამზადების გეგმა. მაგრამ ისინი კარგათ ვერ უსმენდნენ, მოხსენების დროს ხმამაღლა ეფურჩულებოდნენ და ალერსით ულიმოდენ ერთი მეორეს. მთელი დღის ნერვიული და დამქანცველ მუშაობის შემდეგ, — სასიამოვნო იყო ამხანაგების ერთმანეთთან შეხვედრა. ამიტომ

რობეიკოს ცეცხლიანი მოწოდება ჰქრებოდა, როგორც წყალში ჩავარდნილი ნაპერწკალი. არავინ არ დაუჭირა მხარი მის წინადადებას [illegible] შემდეგ კი ზიმანს დიდხანს უხდებოდა მტკიცება იმის, რომ შეუძლებელია [illegible] პროექტის შესრულება, რომ არეულობა შეგვიშლის ხელს რკინის გზის ლიანდაგთან შეშის მოზიდვაში, რომ არ იკმარებენ ხერხები, ნაჯახები და ურმები.

პატარა ტანის ბუხჰალტერიის წიგნის მოსაწყენი ციფრის მხგავსი იქერდა იგი ფრთებით რობეიკოს მფრინავ აზრებს.

შემდეგ წინააღმდეგ ილაპარაკა კარაულოვმა, ყაზახმა მოყვითალო — შავგრემანი სახით, გარეშამო შემოვლებულ თხელი წვერით, იგი ყალიონიდან უშვებდა კვამლის ბოლს და ბურტყუნებდა ყრუ ხმით: „ბანდიტები ეხლა ქალაქს გარეთ ძალიან მომრავლდნენ... და თქვენ კი წითელ არმიელები მიგყავთ ქალაქიდან 12 ვერსის მანძილის მოშორებით. უმათოთ ხომ ვერ მოსჭრით მონასტრის ტყეს. გამოწვეულ ბურჟუებით და ილაჯ გაწყვეტილ საბჭოთა მოსამსახურეებით შორს ვერ წახვალთ.“

და რობეიკოც გამწარებული ხვეულებით შენიშვნების წიგნაკით ხელში უპასუხებდა ზიმანს, და კარაულოვს კი ჩახლეჩილი ხმით ეუბნებოდა, რომ არ არის სხვა გამოსავალი... რომ რევოლიუცია მოითხოვს... მაშასადამე საჭიროა გაბედვა.

— გაბედავ,—აიღებენ ქალაქს, ამოკლეტენ კომმუნისტებს, რამოდენიმე თვით მოსწყვეტავენ კუთხეს ცენტრს— გარკვევით, გესლიანად, ჩუმად, მაგრამ ყველას გასაგონად, ამბობდა კარაულოვი და შემდეგ იმაღლებდა ხმას და ყვიროდა გაბრაზებით:—ეჰ, რას გვაბედნიერებ შენ, რობეიკო; გამოიწვიო აჯანყება,—ეს ხომ ხუმრობა არ არის. ჰკითხე კლიმინს. ის, როგორც ჩეკის თავჯდომარე, მოგიყვება თუ რა მღელვარებაა ახლა სოფლებში.

კლიმანი კი გაშტერებული სდუმდა, ოცნებობდა რაღაც მხიარულზე, ბრწყინვალეზე, მისი თვალები იყვნენ ნაზი და მხიარული გამომეტყველების. თავის გვარის გაგონებაზე იგი უეცრად შეხტა, მიატოვა ოცნება და გაუგებარ შეუგნებლობით მიაპყრო სმენა რობეიკოს სიტყვას, სრულებით ეთანხმებოდა ზიმანის დამშვიდებულ მსჯელობას, კარაულოვის ბრაზიან სიტყვებს,—და ყველაფერი ის, რაზედაც ლაპარაკობდა რობეიკო ეჩვენებოდა მას მის ავადმყოფ ენტუზიაზმის ნაყოფათ.

— უნდა დავჭიმოთ ნებისყოფა, რომ გამოვიდეთ ჩიხიდან სხვანაირად... ყანებს ვერ დავთესავთ!

და ხვეულებით რობეიკომ გაიშვირა ხელი წყვდიადით მოწოლილ ფანჯრისკენ. მას გააყოლა კლიმინმა თვალი: შეხედა ღამეს თვალებში: სადათ და მკაცრად იხედებოდა იგი ოთახში და კლიმინმა წარმოიდგინა თავისთვის უსაზღვრო მხარის ვეებერთელა სიფრცე, რომელზედაც გადაფარებულიყო ღამის ზეწარი. მინდვრები, გამოლვიძებული გამდნარი თოვლის გორების ქვეშ. ყანები, რო ელოდებიან: მოთესვას, გლეხებს, რომელნიც ყორესთან შეგროვილი შავ გუნდათ მსჯელობენ ამინდზე, მოსავალზე და შემდეგ იგონებენ, რომ ცარიელია ბელლები, რომ არ არის სათესლე, იშლებიან ჩუმად და თრთოლით ელიან ქალაქის-

გან შველას და, ყოველი დღის მოლოდინით მათ სულში იზრდება შავი ღვარძლი კომუნისტების სასურსათო კომიტეტების და საბჭოების მიმართ.

და კლიმანიც უეცრად მიხვდა თუ რატომ არის [illegible] ბეჭედ ბეჭედ ბეჭედ ... ბეჭედ ... ...

სად წავიდეს? საცაა გათენდება, სინათლე ჩუმად მოიპარება მღელვარ სახურავიდან და ღამეც მკრთალდება, ფერს იცვლის, თითქოს ვერდაც ანათებს ქუჩებს შორეული, დიდი ფანარით. ჩქარა დადგება დილა — [illegible] იქნება ისევ მუშაობის დაწყება. ფხიზელი, მტკიცე ნაბიჯით წავიდა იგი ცარიელ ქუჩებით ჩეკაში, რომ თავის კაბინეტში, ტახტზე გამოძინების შემდეგ, ხვალ ისევ შეუდგეს მუშაობას.

უნდოდა საჭმელი და უფრო მეტი ძილი, თავში კი უტრიალებდა ფრაზების ნაწყვეტები, ამხანაგების ხმები და მათი სახეები: გაშტერებული მზერა როგეიკოსი, ზიმანი ზეზე რომ ხატავს ქალალდზე რაღაცას და კარაულოვი, რომელიც ღიმილით აბაკუნებს იატაკზე ვეებერთელა ფეხებს.

ქალაქი მოუცავს ღრმა მდუმარებას და არც სინათლე სჩანს არსად. მხოლოდ ჩეკას ორსართულიანი შენობა აფრქვევს სინათლის შუქს თოვლის ლურჯ გორებს და ფხიზელი გუშაგები სდგანან სადარაჯოზე შესავალ კარებთან. შენობის შიგნით, ელექტრონით მკრთალად განათებულ ცარიელ ოთახებში, გაჰყინულან სკამები, მაგიდები და შკაფები გეგონებათ თითქოს გაქვავებულან ფხიზელ ძილშიო, რომლიდანაც არც ისე ძნელია გამოღვიძება.

საგანგებო კომისიის მორიგე გამომძიებელი გორნიხ, მაგიდაზე დაყრდნობილი რაღაცას სწერს. მას აქვს სახე მოწყენილი, ძარღვიანი და ფართე, ღრმად ჩამჯდარი თვალები, შუბლს კი ფარავს ქუდი ბანჯგვლიანი ბეწვებით. ერთის შეხედვით გეგონება ხანში შესული, მაგრამ თუ გვერდიდან შეხედავ, დაუკვირდები პირის სახის მოხაზულობას, რბილ ოვალს, მაშინ ნათლად იგრძნობ, რომ ის ჯერ სრულიად ახალგაზრდაა.

მას უნდა დაიძინოს, გაშალოს ფეხი მაგიდის ქვეშ, ჩამოდოს ხელი სავარძლის სახელურზე და დაიძინოს ტკბილად და უდარდელად. მაგრამ ძილი არ შეიძლება, მძინარ ქალაქში, მძინარე კუთხის მთელ სივრცეში, სადაც ასე ბევრი ტყეებია, ხრამები და ყრუ, გაუგებარი გზები, — მარტო ერთ გორნიხს არ სძინავს, როგოც გუშაგს სადარაჯოზე. ყოველ წუთში შეუძლიათ დაურეკონ მას ტელეფონით, გამოუძახონ პირდაპირ მავთულთან... ძილი არ შეიძლება.

გორნიხს კი ორი დღე და ღამე არც ერთი წუთი არ სძინებია. წინა ღამით იყო ოპერაცია, ჩხრეკის მთელი რიგი. უკან დაბრუნებისას ცარიელ ქუჩებზე ისუნთქავდა გორნიხ დილის გაყინულ ჰაერს და ოცნებობდა მასზე თუ როდის გაიხდის და დაწვება ქვეშაგებში. მაგრამ ჩეკაში ის მოულოდნელად შეაჩერეს, მას მოუხდა მორიგეობა ავადმყოფი ამხანაგის მაგიერ. მაგარი და ალერსიანი შეგინების შემდეგ მიიღო გორნიხმა მორიგეობა და მთელი ღამის განმავლობაში ერთხელაც არ ჩასთვლემია. რამოდენიმეჯერ რეკავდა ტელეფონი, ტელეგრაფიდან მოჰქონდათ საიდუმლო შიფრიანი დეპეშები. მაგრამ რამდენადაც ღამე გრძელდებოდა, მით უფრო ძლიერდებოდა დაღლილობა, ერთდებოდენ სტრიქონები გორნიხის თვალებში. მან მიატოვა წერა და დაუგდო ყური ვენტილიატორის მწყობრ შრიალს. იგი უცქერის ფანჯრიდან ლურჯ ცას. თვალები თავისით იხუჭებიან და ზევიდან და ირგვლივ მას ეხვევა თხელი ნისლი სახეების, ხმები, შრიალი, ხმაური... ხმაურობს ვენტილიატორი და მისი ხმა ისმის, როგორც

ფეხქვეშ ქარისაგან შერხეულ მაღალი ბალახის შრიალი... თეთრად გამოწყობილი ქალწული მიდის ბალახზე, რომელიც იკეცება და იშლება მის ფეხქვეშ. მისი სახე — სადღაც უნახავს, თითქოს ნაცნობია... რა [illegible] ძოძრაობა და რა ალისფერი, ტკბილი ტუჩები აქვს...

მოესმა გაღებული კარების კაკუნი და მას უეცრად გამოელვიძა. მაგრად შეუკურთხა საკუთარ თავს ჩათვლემისათვის და ახლად დაწყებული ძილი სადღაც უკვალოთ გაჰქრა. ეს რაა? კარის კაკუნია? დეპეშა? გამოძახება?

არა, ეს კლიმინია. გორნიხი იცნობს მას მიხვრა-მოხვრით. მიესალმენ. კლიმინმა მოუკიდა ცეცხლი ქუჩაზე გამქრალ პაპიროზს.

კაბინეტში შესვლისას უსმენდა გორნიხი კლიმანს სამი კრების შესახებ, რომელსაც დაესწრო კლიმინი, უსმენდა ამბებს ზიმინის მოხსენების, რობეიკოს გამოსვლის, პარტკომის კრების შესახებ. — კარაულოვმა რაღა სთქვა? — აღელვებით შეეკითხა ის.

დილის ტკბილი ძილისაგან აბარბაცებულმა, როგორც ბუზმა სურნელოვან მურაბაში, გაიმეორა კლიმინმა მოთხრობა და გაათავა ის ძილის პირის მთქნარებით. გორნიხმა ჩუმად ჩააქნია თავი. წავიდა თავის ოთახში. თაროდან ჩამოიღო სქელი პაპკა მიმდინარე მუშაობის საქმეებით და ყურადღებით დაუწყო თვალიერება ზოგიერთ საქმეებს.

აი, უკვე ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მიყრუებულ ქარხნიდან 17 წლის ყმაწვილი გორნიხ გამოიყვანა რევოლიუციამ სამუშაოზე და პარტიამ კი გააგზავნა სამუშაოდ ჩეკაში. მას შეეძლო ჩაქუჩის დარტყმა ლოკომოტივისთვის, ხელებზე დაუხედავად და მასთან ერთად. იგი იყო აგრეთვე დარწმუნებული თავის თავში და თავის მუშაობის შედეგში. სრულებით არ გამოდიოდა მიტინგებზე და ძალიან იშვიათად ესწრებოდა უჯრედის კრებებს.

გორნიხი ყოველთვის იყო ფრთხილი. მას შეეძლო ყოველი დანაშაული დაეკავშირებია ბევრისთვის შეუმჩნეველ მღელვარებასთან, რომელიც, როგორც წყალქვეშა ღრმა მდინარება, მარად ღელავს ხალხში, გადადის სოფლებში, ბაზრებში თავის მდინარებაში ლეკავს ათასობით ქალაქის მეშჩანებს. ხანდახან ეჩვენებოდა მას, რომ თითონ ის და ათასი მისი ამხანაგი მიდიან წვრილ და თხელ ყინვის ქერქზე, რომლის ქვეშ ცოფიანობს გაბრაზებული წყალი, რომელიც მზად არის ყველაფერი შთანთქას და დაჰფაროს. ამიტომ, როცა კლიმანი მოუყვა მას კარაულოვის საწინააღმდეგო გამოსვლაზე, მან თანხმობის ნიშნათ ჩააქნია თავი და, როცა გადაშინჯა უკანასკნელი საქმეები და ინფორმაციული ცნობები,— ჩაილაპარაკა თავისთვის: „ყოჩაღ კარაულოვ“!

შეუმჩნეველად, ნაზად თუმცა საგრძნობი ძლიერებით, ფერმკრთალი სინათლე დაეპატროლა ოთახს.

ამოდიოდა მზე არა მცხუნვარე, მაგრამ ალისფერი და ნათელი. იგი ისვროდა ოთახში ყვითელ შუქს. გორნიხი ხარბად ეწეოდა პაპიროზს, რომელიც ეჩვენებოდა მას რბილად, ეგონებოდა გულმოსული, რადგან უძილო ღამისგან ტკიოდა თავი და მოქანცული სხეულიც თხოვდა მოსვენებას. სამუშაო დღე ჩეკაში უკვე იწყებოდა; ერთი მეორეზე მარდები — სწრაფად რაწკუნებდენ მანქა-

ნები და გარედან ჩეკას მყუდროებას ყოველ წუთში არღვევდენ ტელეფონების ზარების წკრიალი.

კლიმინის ყურთან გაიწკრიალა ტელეფონის ვერცხლისფერმა ზარის ხმამ, და ნაწყენმა გორნიხზე, ხელის ჩაქნევით, კლიმინმა აიღო ტელეფონის მილაკი ხელში. შორიდან მოისმა გაურკვეველი, თითქოს ბურუსიან ქაღალდზე დაწერილი სიტყვები. მაგრამ ხმა კი თუმცა დიდი ხანია არ მოუსმენია და ტელეფონშიაც გადასხვაფერებული იყო, მაგრამ ხელად გაიგო და იცნო.

გორნიხმა შეამჩნია, როგორ ლაღად გაბრწყინდა კლიმინის სახე და ახლა უფრო ნათელი გახდა, რომ ის ახალგაზრდაა, თუმცა სახეზე ნაცრისფერი კანი აქვს და ბევრი ნაოჭი თვალების ქვეშ. მაგრამ თეთრ კბილებში გამკრთალმა ღიმილმა სახე აანთო და უცბად იქცა იგი ახალგაზრდა, ალერსით შემკრთალი. „ნეტა რა ემართება?"—გაიფიქრა გორნიხმა.

— გამარჯობა, გამარჯობა შენი... დიდი ხანია რაც დაბრუნდი მოსკოვიდან? სადგურიდან? ცხენი გამოგიგზავნო? კარგი... თითონ მოვალ.—ის ადგა მაგიდიდგან და ჩამოჰკიდა მილაკი. ამბ. გორნიხ, სიმკოვის ქალი ჩამოსულა მოსკოვიდან და ჩამოუტანია ლიტერატურა. მე ახლა არ მცალია, შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ის უკვე ჩამორბოდა კიბეების საფეხურებით ეზოსაკენ.

* * *

ცხენი თქრიალით მიჰქროდა ქუჩებზე. ქვაფენილებზე იდგა ხალხის მხიარული ხმაური... კლიმინს გულზე მოეშვა, თითქოს მის სულს ჩამოაშორეს მტვერიანი საბურველი. გეგონებოდა, თითქოს უკანასკნელ თვეებში მუშაობის გარდა აღარაფერზე არ ფიქრობდა, დღითი დღე სცხოვრობდა მის განუწყვეტელ რიტმში და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ შორეულ ასულზე ფიქრი ყოველთვის სცოცხლობდა მისი ტვინის შორეულ კუთხეში.

— გორნიხი გაეცნო მას პარტკომის კრებაზე; მას ჰქონდა ოქროსფერი თმა დახვეული უშნო ნაწნავად, რომელიც გარს ევლებოდა თავზე შარავანდედათ და ეკემოდა თვალებს, მრისხანე და ჩაფიქრებულ შუბლს გარდი გარდმო ნაოჭებით ხშირად ხედებოდენ ისინი პარტიულ მუშაობის დროს ერთმანეთს, მან იცოდა რომ იგი იყო გამგე პოლიტგანყოფილების, კულტგანათლების, რომ რევოლიუციამდის იგი იყო სოფლის მასწავლებლად და პარტიაში კი შეიდა 1918 წელს. მასწავლებლობიდან მას დარჩა ჩვეულება ხმა მაღლა, გარკვეული, დამაჯერებელ-ალერსიანი ინტონაციით ლაპარაკის, თითქოს იგი ებაასებოდა მოწაფეებს. და მის მოხსენების დროს, კლიმინი ხშირად ივიწყებდა სიტყვების აზრის გაგებას, და უსმენდა მხოლოდ ხმის რბილ ქცევას და სტკბებოდა მხიარული, ტრედისფერ ღიმილით, რომელიც იხედებოდა მისი თვალების ფსკერიდან, ღიმილით, რომელიც არ იყო ჰარმონიულად შეთანხმებული მისი სახის მკაცრ გამომეტყველებასთან.

ხშირად ამჩნევდა იგი თავის სისუსტეს, მასში, რომ იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მის პატარა, მაგრამ მაგარი ხელის მოძრაობას, ისე ღო-

ნივრად რო უპასუხებდა ხელის ჩამორთმევის დროს, მანქანისებური მოძრაობას მისი გრძელ თითების, რომელთა მსუბუქ შეხებაში გამოიხატებოდა ამდენი სინაზე, მამაკაცისთვის დაფარული. როცა წარმოიდგენდა [illegible] საქციელს — სინიდისი ქენჯნიდა მას. ასეთ ლამაზს, საღს, მაღალს [illegible] ტანზე ოქროსთმიანი თავით, — იგი იცნობდა მას ცოტა ხანს, ტიფის ეპიდემიამ, რომელმაც მოიცვა მთელი ქალაქი, — დააწვინა იგი ექვსი კვირით ქსენონში. და გართული ციებიან ბრძოლაში შეთქმულებასთან, ბანდიტიზმთან და ტიფთან მან თითქმის დაივიწყა ის და, როცა, ავადმყოფობის შემდეგ, შეხვდა მას — თითქმის ვეღარ იცნო. ის იყო მკრთალი, თითქო უსისხლო, გაყვითლებული ლოყებით და ტუჩებით, გაპარსული თავი იყო მქისე და თითქოს დახაშმული მისი თვალები იყვნენ უფრო გამჭვირვალე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ კიდევ დიდხანს დარჩა მათში დაღლილობა.

ხშირად ამჩნევდა კლიმინი, თუ როგორ ჩასთვლემდა ხოლმე მას, ვარდისფერ ხელზე თავჩამოდებულს, ხანდახან მოხსენების დროს, მერე შეხტებოდა და მის თვალებში ანათებდა მოქანცული ღიმილი. ხანდახან კრების შემდეგ ლაპარაკობდენ ისინი პოლიტიკაზე, პარტიის ცხოვრებაზე, მიმდინარე მუშაობაზე და ჩქარა უკვე მიმართავდენ ერთმანეთს ამხანაგური შენობით, რომელიც აერთიანებს ვეებერთელა ქვეყნის კომუნისტებს ერთ მთლიან ოჯახათ. მაგრამ არა თუ სიყვარულის, არამედ მეგობრობის სიტყვებიც კი არ თქმულა მათ შორის. არც დრო ჰქონდათ დაფიქრებულიყვნენ თავისი პირად განცდებაზე, ნამეტანი სასწრაფო მუშაობა ჰქონდათ და ძალიან ცოტა დრო რჩებოდათ თავისუფალი. მხოლოდ გამგზავრების წინ, საჩქაროთ გამომშვიდობებისას, ღრმა ახალგაზრდულმა გატაცებამ უკარნახა კლიმინს ეკოცნა მისთვის გაღიმებულ ტუჩებში.

იგი ინვიათად იღიმებოდა ხოლმე და მისი წყნარი სიცილი კლიმოვმა გაიგონა მხოლოდ ახლა სადგურის ალიაქოთსა და ჩოჩქოლში, როცა იგი ეხმარებოდა მას წიგნებით სავსე ტომრების წაღებაში. კლიმოვს წარმოუდგა იგი სრულიად გადასხვაფერებული: იგი გაშავებულიყო, გამხდარიყო, თმები წამოზრდოდა, მოძრაობა მოდუნებული ჰქონდა. მან გაიცინა წყნარი, მხიარული სიცილით და შეკითხვებზე სწრაფი პასუხის გაცემით, — იგი მოუყვა მას პარტკომის მიმდინარე მუშაობის, კუთხის მდგომარეობის, შეშის პროექტის შესახებ... და როცა ისინი მოდიოდენ ქალაქისაკენ თოვლისგან ვერცხლისფრად აელვარებულ გზაზე კლიმინს წყდებოდა გული მასზე, რომ მან არ უთხრა მას ის, რაც მისთვის ყველაზე უსაჭიროესი იყო.

დაბლა კი სადგურის ვიწრო მოედანზე, შვებულებაში მიმავალ წითელ ლაშქრელთა და სადგურზე თავმოყრილ ბალხის ჩოჩქოლში ჩვეულებრივად დაბნეულ გლეხების გვერდით შეხვდნენ ერთმანეთს ორი კაცი, — მისალმების შემდეგ ერთი მიმართავს მეორეს;

— ხედავ ჩეკის თავმჯდომარეს... აი იქ ქალთან.

— ვინ არის ის ქალი?

— პარტიულია... — მოპასუხე იყო მსუქანი გლეხი, მოზრდილი, ქერა წვერებით... გრძელ ჟურქში გახვეულს მეეტლეს ხელში მათრახი ეჭირა, თავზე

ებურა დახეული ბოხოხი ქუდი, რომლიდანაც შუბლზე მოსდიოდა ოფლის წვეთები.

მეორე—იყო მოყვანილი აგებულობის, ტანზე ეცვა ... ქურქი, რომელიც მჭიდროთ ეკვრებოდა მაგარ ფიგურას, თავზე ებურა წითელ მოლაშქრის შავი ჩაჩქანი დიდი წითელი ვარსკვლავით.

მას ჰქონდა ტრედისფერი თვალები, ლამაზი, გრძნობიერი სახე. სახელოზე ეკერა ვარსკვლავი და ორი კუბიკი—მაგრამ სიარულში, მოყვანილობაში, ყოველ მიმოხვრაში ემჩნეოდა, რომ იგი იყო კადრის აფიცერი. ის ახლა ჩამოვიდა, ხელში უკავია ნივთების პარკი. და მისი თვალები კი ყურადღებით და თან მტრული განწყობილებით მისჩერებიან კლიმინს და სიმკოვისას, სწავლობენ, იმახსოვრებენ მათ ყოველ მოძრაობას.

წავიდეთ ჩქარა... ბინა ვიშოვე აქვე... ერთ ებრაელთან... იგი ძალიან გვეხმარება ჩვენ, გვაძლევს ფულს და ორჯელ მიხსნა მე დამალვით. საბუთები ხომ გაქვთ თქენ?

— ოლქიდან მივდივარ სამხედრო კომისარიატის განკარგულებაში, როგორც სამხედრო სპეკი... ჩემი სახელი და გვარია—ბარის რეპინ და ჩემ სამსახურის სიაშიც—აღნიშნულია—ორი წლის სამსახური წითელ ლაშქარში... მადლობაც მაქვს მიღებული ბრძანებით...

ისინი უკვე მიდიოდნენ ქუჩაზე და მეეტლე დრო გამოშვებით იხრებოდა მარხილის უკან და წასჩურჩულებდა რეპინს:

— ჩვენ კი სრულებით არ მოველოდით.. მე, როგორც კი გავიგე, რომ თქვენ დაგამარცხეს, ვფიქრობდი, მორჩა, მეტს ველარ გნახავდით... ახლა სამხედრო ძალები აქ ძალიან ცოტაა, გაბნეული არიან სოფლებში და ქარხნებში.. გლეხობა ჩვენს მხარეზეა.. სათესური არა აქვთ სოფელში.. ღვთის შემწეობით—მაგათ ვაჩვენებთ სეირს.

III

ქუჩებზე ჰყინავს ისე, როგორც სჩვევია გაზაფხულის ადრიან დილას: გრილი, წითელი მზე ჰკიდია ჰორიზონტზე; დასავლეთის ოთახებში, ბნელ კუთხეებში, კიდევ სჩანს ღამის წყვდიადის კვალი და პოლიტგანყოფილების მდივანი კი უკვე მოსულა სამსახურში და ხელს აწერს ფურცლებზე, რომელიც მთვლემარე მორიგეს წინ უძევს: „მატუსენკო". და ყოველი ასო მისი ნაწერის—არის მრგვალი, გარკვეული, დათავებული და მხოლოდ ბოლოში აქვს მიწებებული პატარა ქუდი, წვრილი და გაუბედავი ხაზით.

მატუსენკომ გაიძრო მაზარა და ჩამოჰკიდა. შემდეგ გადივარცხნა თმა და შევიდა გამგის კაბინეტში. იქ სდგას მისი სუფთა მაგიდა, გადაფარებული ვარდისფერ საშრობით. მატუსენკო იხედება გამგის სამელნეში—არის თუ არა მელანი? შინჯავს გამგის ქალამს—ცუდი ქალამია.. მატუსენკო გამოსცვლის მას, აწყობს ქალალდებს გამგის მაგიდაზე და აოვალიერებს პოლიტგანყოფილების მოადგილის გაურკვეველ ნაწერს. მატუსენკო მორჩილი ტანისაა, აცვია სუფთად დაუთოვებული შარვალი ზარის ფასონის, თითებზე ბეჭდები აქვს, სახე ფარ-

თე, მოწითური გაქვავებული ღიმილით, რომელიც მიაგავს ᲛᲐᲢᲣᲡᲔᲜᲙᲝᲡ მოწერის კუდს, მატუსენკო რო უკეთებს თავის გვარს ბოლოში. სუფთა, სამხედრო ხალათზე — მინანქრის ვარსკვლავი აქვს მიკერებული. დღეს კვირაა და მხოლოდ თერთმეტი საათისთვის გროვდებიან პოლიტგანყოფილებაში, ᲓᲔᲓᲔᲜᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ და გადამწერლები, — მხიარულობის და ს

ის არას დროს არ ყვირის და წითლდება როცა უნდა რაიმე ბრძანება გასცეს.

— კეთილშობილი აღზრდა აქვს მიღებული, გიმნაზიაში სწავლობდა — ფიქრობს მატუსენკო. მარტინოვი კი ყოველთვის უხერხულად გრძნობს თავს, როცა სამსახურის მოყვარე მატუსენკო უეცრად მიიღებს მის ულუფას და თითონ მოუტანს ბინაზე.

მაგრამ ძალიან ბევრს ფიქრობს მარტინოვი რევოლიუციაზე, კომმუნიზმზე, თავის ცხოვრებაზე, კაცობრიობაზე და სრულებით ვერ ამჩნევს, რომ ყოველგვარ სამსახურისთვის მზად მყოფმა, მორჩილმა მატუსენკომ უკვე დიდი ხანია შეისწავლა მარტინოვის პიროვნება, შეისწავლა და თავისებურად განმარტა.

აი, მატუსენკო წყნარი, ნაზი ხმით ეკითხება მარტინოვს: „რისთვის სწამს ხალხს ღმერთი? რა არის იმპერიალიზმი? როდის იქნება მსოფლიო კომმუნისტური რევოლიუცია?" მარტინოვი გამოცოცხლდება. იწყებს პასუხის გაცემას და თან ფიქრობს მატუსენკოზე: „ცნობის მოყვარე ყმაწვილია, მხოლოდ თავმოყვარეობა, საკუთარი რწმენა არა აქვს". და არ იცის მან, რომ მატუსენკო ძალიან დაჯერებულია თავის თავში, იცის თავის ცხოვრების გზა, ნადირივით ფხიზლად ადევნებს თვალყურს ყველაფერს და სრულებით არ ისმენს მარტინოვის გრძელ განმარტებას.

მარტინოვისთვის სწრაფად მიჰქრიან ჩამწკრივებული დღეები, და შეუმჩნეველად გაიარა აგრეთვე ურალის გრძელმა ზამთარმაც.

დადგა გაზაფხული და მარტინოვმა არა ჩვეულებრივი სიხარულით უეცრად იგრძნო, გაზაფხულის ნაზი ალერსი. დღესაც, როგორც ყოველთვის, პოლიტგანყოფილებაში შემოდიან სამხედრო კომისრები (უკანასკნელი ცირკულიარული წერილი ბევრმა სწორად ვერ გაიგო) და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ბატალიონის სამხ. კომისარი, ახალგაზრდა, ლამაზი ყმაწვილი, წითელ ბარვალში და კოხტა ფრენჩში გამოწყობილი, ჩვეულებრივ ეჭვით უყურებს ყოველ წვრილმანს, და ყველაფერში ხედავს პოლიტგანყოფილების ბიუროკრატიზმს და ეშმაკურ ღიმილით ამბობს დამშვიდობებისას: „კარგი, ამხ. მარტნიოვ, თქვენ გვიბრძანებთ — ჩვენი საქმეა ბრძანების შესრულება... მხოლოდ ეს ხომ ბიუროკრატიზმია"... უეცრად გაიელვებს მატუსენკო, მოაქვს ქაღალდები ხელის მოსაწერად, იქვე დგას ვილაც მასწავლებელი, მიუცია პატაკი, რომ ვერ იკლის სამსახურში — „ფეხსაცმელები არ აქვს!" და ის უჩვენებს თავის დასველებულ ნაბდის ფეხსაცმელზე... მაგრამ ყველაფერი ეს, განათლებულ რევოლიუციით, წინათ საინტერესო წვრილმანებშიაც, — დღეს მოსაწყენია და ინტერესს მოკლებული. და მარტინოვი ხშირად გამოირბენს ხოლმე ქვის დერეფანში, რომელზედაც გადნა თოვლი, და ნეტარებით თბება მზეზე.

საღილის შემდეგ ახმაურებულ საბჭოთა სასადილოში ჩამოვარდა, მარტინოვისთვის უჩვეულო, თავისუფალი დრო: არ იყო არც ლექცია და არც კრება. მხიარულ, ტალახიან ქუჩაზე ის ნელა მიდიოდა თავის ბინისკენ, ვერ შეამჩნია როგორ დაუსველდა ფეხები და თავის ნელი ნაბიჯით იგი უშლიდა ბავშვებს გამშრალ ქვაფენილებზე კოჭის თამაშობას.

მიდიოდა და ჩვეულებრივად ფიქრობდა, ბავშობიდანვე ნაცნობი სახლები, მომაბეზრებელი აბრები და ნაცრისფერი, მესრები, ბზობლიური ქალაქი, აღვიძებდენ მასში წარსულ ცხოვრებას, მოგონებას, ციმბირში ყოფილი ოჯახის, გიმნაზიელი ამხანაგების შესახებ, რომელთა უმრავლესობა ახლა თეთრგვარდიელებია და საკვირველი ბედის შესახებ, რომელმაც იგი პატარა ვაჭბატონათ აღზრდილი ბურჟუაზიულ ოჯახში, მიიყვანა კომუნისტურ პარტიაში, რომლის მსოფლმხედველობა შეიქნა მის მსოფლმხედველობათ, რომლის დიად საქმეს ისე მხურვალეთ ერთგულობს და მაინც, როგორც ჭიქის კედელი, რაღაც აცილებს მას პარტიის რიგებიდგან, ქმნის მას განცალკევებულად და ეს გარემოება მას მეტად სტანჯავს.

და ფიქრობდა მარტინოვი მასზე, რომელიც სცხოვრობს აქვე ქალაქში, ძველი ეკლესიის ახლოს ძვირფასი, საყვარელი... მაგრამ, ამ ჟამად რევოლიუციისგან შორს გატყორცნილი უკანასკნელად იგი დაინახა მან ზამთარში... მოელვარე თოვლის თეთრი ფარდიდან უეცრად წარმოუდგა მისი ტანადი ფიგურა, აი, თანდათან ახლოვდება მისი სახე, თოვლის ფიფქები დაფრქვეულია თმაზე, ბავი თვალები უკრთის სანდომიან ღიმილით. მოჰკრა თუ არა თვალი, — უეცარი სიხარულით აენთენ თვალები, შემდეგ ისევ შეიპყრო სევდამ, მან გაიარა გვერდით... და ახლა როცა იგონებდა ამ წუთებს ჩურჩულებდა იგი უნაზეს სიტყვებს, რომელთაც არავინ არ ისმენდა, და, რომელნიც იკარგებოდენ ისე, როგორც მარგალიტები უძირო ჭის ფსკერში.

ასე ცხოვრობდენ ისინი ერთ ქალაქში, რამოდენიმე კვარტალით დაშორებული, ერთ ურთის ახლობლები და იმავე დროს შორებლები.

და ახლა, როცა დაბრუნდა თავის ოთახში იგი უცქეროდა ფანჯრიდან ლურჯ ღამეს და სცდილობდა იქ, მთაზე, საიდანაც ნათლად მოსჩანს ძველი ეკლესიის ვეებერთელა შენობა გაერჩია სახლი, სადაც ცხოვრობს იგი. წარმოიდგენდა მის მყუდრო ოთახს, მორთულს საყვარელი გრავიურებით და კუთხეში კი, მოძველებულ სახატეში წმინდანების მრისხანე სახეებით. მანქანისებურად მიირბინა მარტინოვმა ოთახში. გაიძრო მაზარა და, თითქოს ახლა გამოიღვიძაო, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ.

კრაოტი, შიშველი მაგიდა პურის ნამცეცებით, მაგიდაზე წიგნები, მთელ ოთახში სიცალიერე და აწეწილობა, როგორც უცხოვრებელ ბინაში.

მას შეეზიზღა თავის ოთახის მზერა. „წავიდე სადმე,—გაიფიქრა მან—მაგრამ სად, ვასთან? მას ხომ, მიუხედავათ მისი რევოლიუციისადმი ერთგულებისა, არა ჰყავს ამხანაგები კომუნისტებს შორის“.

მთელი ზამთრის განმავლობაში მარტინოვი მხოლოდ ერთხელ იყო სტუმრად მატუსენკოსთან, რომელმაც თითქმის ძალით წაიყვანა სახლში. მარტინოვი სახლში გამომცხვარ თეთრ პურს უსვამდა ყვითელ კარაქს, წყურვილით სვამდა სურნელოვან ჩაის რძის ნაღებით—ასე გემრიელად დიდი ხანია არ უჭამია მარტინოვს და ჰკვირობდა გულუბრყვილოდ: „საიდან აქვს ყველაფერი ეს მატუსენკოს?“— მიირთვით თაფლი, აბბ. მარტინოვ. ჩემი ცოლი სასურსათო კომიტეტში მსახურობს, და იქ მას კარგ პაიოკს აძლევენ. აი, რძეც მიირთვით,—სა-

კუთარი ძროხისაა. მეოჯახე კაცს ყველაფერი შეუძლია მოაწყოს, იცით, მე მეურნეობა მიყვარს და თავს სიმშილით როგორ მოვიკლავ? ამის შესახებ ხომ ჩვენს პროგრამმაში, ხე, ხე, აროფერია ნათქვამი, ხომ მარტინოვ? მაგრამ რატომ არაფერს მიირთმევთ თქვენ? გრუშა შეეტანა ოთახს — ხუმრობით, მაგრამ სერიოზული კილოთი მიმართა მან ცოლს...

მარტინოვმა გადახედა მატუსენკოს ცოლს, მაღალ მკერდიან ქალს, ქერა თმით ოქროს ნაპერწკალი ელავდა მისი თვალების მწვანე სიღრმეში და ეს თვალები ამბობდენ სიყვარულის ვნებაზე, გრძნობელობით სიტკბოებაზე, რომელნიც ჯერ კიდევ არ განუცდია მარტინოვს. მარტინოვის ცოლს ღიმილი უელვარებდა თეთრ კბილებს. იგი თავაზიანად მისწვდა ქადებს და ტკბილეულობას სტუმრისკენ და ტკბილი ხმით ამბობდა: „მიირთვით, გეთაყვა".

მატუსენკო უგემურად განაგრძობდა თავისებურ ტკბილ საუბარს, რომელიც ისე ჩამოჰგავდა შაქრით დატკბილულს ქადებს.

მარტინოვი ათვალიერებდა მატუსენკოს ოთახს, ფანჯრების პორტიერებს, მრგვალ მაგიდებს, ჩინეთის შირმას, ტახტს და ხალიჩას და აგონდებოდა თავის ახლობელი წარსული, მაძღარი ცხოვრება საკუთარ სახლში, რომელშიაც ახლა ბავშთა თავშესაფარია მოწყობილი, გაიხსენა ნაცნობი დგამი, სახლის მორთულობა და გულში უეცარი სინანული იგრძნო.

შინ გვიან იყო. მარტინოვი გრძნობდა, რომ ახლა იგი ველარსად წავა, რომ პოლიტგანყოფილებაშიაც ის ვერავის ვერ იპოვის, რომ იქ ახლა არის მხოლოდ ცარიელი მაგიდები და ფეხშიშველი მხვეტავი ქალები რეცხავენ მტვრიან ლინოლეუმს. ჩაწვა მარტინოვი თავის მაგარ ქვეშაგებში, ამოჰყო თავი ბალიშს ქვეშ, რომ არ დაენახა თავისი მიულაგებელი ოთახი.

ისევ მოიგონა მან თავისი წარსული ცხოვრება. არა უკანასკნელი ხანები, რევოლიუციის შემდეგ, როცა პოლიტიკურმა რწმენის სხვადასხვაობამ მისი ოჯახი გაჰყო ორ ბანაკად, არამედ შორეული წარსული, ბავშობა, თბილ ოთახებში მაღლობის თამაში, გარდაცვალებულ დედის ალერსი, შობის ხე და მთელი ამ მყუდრო და მხიარული ცხოვრების განუწყვეტელი მიმდინარეობა, მაძღარი საჭილებით, ვახშმებით და დილის ჩაით.

ნუ თუ ის მართლა ცხოვრება იყო?

ბალიშის ქვეშით ამოიღო ლურჯი, მოქსოვილი სათბური, ერთად ერთი ნივთი, რომელიც მას დარჩა თავის სახლისგან. სათბური, რომლითაც იგი წრიაპებით ფეხზე დაკრული მირბოდა ყინულზე სასრიალოთ, — მან ხომ იქ გაიცნო იგი... ო, სევდა, სევდა!

მარტინოვმა მოიხურა მაზარა და გავიდა ქუჩაში. ირგვლივ სიბნელე სუფევდა: ცაზე აქა იქ მოსჩანდნენ ვარსკვლავები, ბრწყინავდენ გაყინული ტბორები და ბნელ თხრილებში მიჩხრიალებდნენ რუები. მარტინოვი მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით და არ ფიქრობდა ახლა არაფერზე. ესმოდა ღელეების ჩხრიალი, სახურავიდან დაცემული წვიმის წვეთების ხმაური, შრიალი ტიტველ ტოტების და სადგურიდან ორთქლმავლების ყვირილი. მაგრამ ყველა ამ ხმებს ჰფარავდა — ელექტრონის სადგურის მძლავრი ღრიალი. ქუჩაზე არავინაა, პატარა სახლებში

სიწყნარეა და მხოლოდ წითელ არმიელთა კლუბთან მარტინოვს შეხვდა ვილაც კაცი წამოხურული მაზარით.

იგი მიუახლოვდა მარტინოვს, დააკვირდა სახეზე [illegible] ერთმანეთი — წინათ ხვდებოდენ ერთიმეორეს პარტიულ კრებებზე.

— ეს საყვირი განგაშის ხომ არაა? — შეეკითხა იგი.

— განგაშის? რატომ? გაუკვირდა მარტინოვს და ამ კითხვის დროს უკვე მიხვდა ელექტრონის სადგურიდან ახლობელ საყვირის გააფთრებულ ღრიალის მნიშვნელობას. გეგონებოდა თითქოს ვილაც ყვირის. იმუქრება გეძახის შველადო...

— გესმით? — მიუგო მეორემ — საყვირმა ორჯერ შესწყვიტა ხმა, წავიდეთ ჩქარა კომასეულში. მარტინოვისთვის უეცრად გაჰქრა გაზაფხულის საღამოს წყნარი სიამოვნება, ყველაფერი შეიქნა რაღაც იდუმალი და მტრულად განწყობილი.

„დღეს ხომ სამხედრო მდგომარეობაა", — გაიფიქრა მარტინოვმა და წარმოიდგინა, რომ ის ამ წუთში უცხო, დადუმებულ ადამიანთან ერთად მიდის ტანჯვისთვის და სიკვდილისთვის, რომელნიც ამართულა ქალაქის თავზე და მზად არის მოსპოს, გაანადგუროს იგი.

სირენა კი ძველებურად ღრიალებდა ქალაქში, სადგურიდან მას ეხმაურობდა ორთქლმავალების გუნდი, დეპოს საყვირი და მოწოდება ამ არა ადამიანური ხმების ინთქებოდა შორს, ქალაქს გარეთ, თოვლით დაფენილ სოფლებში და მინდვრებში.

ეს მოწოდება იყო უფრო ძლიერი, ვიდრე შიში სიკვდილის და ტანჯვის და ქალაქის ყველა კუთხიდან ვიწრო მოსახვევებით გროვდებოდენ კომასეულში ასეულობით. მარტინოვიც აგრეთვე გამოცხადდა კომასეულის ფანარით განათებულ, ფართე ეზოში. დაჩქარებით, ერთი მეორეზე ჯგუფ-ჯგუფად შედიოდნენ იქვე კომუნისტები, სწრაფად ეწყობოდნენ ოცეულებად, განყოფილებებად.

მარტინოვიც ჩადგა რიგებში, გასწორდა მარჯვნით მწკრივში.

აღარ იყო შიში, იგი დარჩა ამ გამოცოცხლებულ ეზოს გარეშე, იქ, ცარიელ ქუჩებში. და მარტინოვიც სჯიდა თავის თავს იმ აზრებისათვის, რომელნიც ფლობდნენ მას რამოდენიმე წუთის წინათ. იდგა იგი მარცხენა ფრთასთან, ალაყაფის კართან მის გვერდით შედიოდენ ეზოში, ფანარი აფრქვევდა შუქს ადამიანების სახეებს.

ზოგის სახეზე მოსჩანს დაბნევა. ზოგი — ზრუნვას შეუპყრია, ზოგიც უსაზღვროთ აღელვებულან. ზოგიერთების სახიდან კრთის ძლიერი და მაგარი ლტოლვის ცეცხლი, რომელიც ენთება როგორც კოცონი ზაფხულის უქარო ღამეში. შემოდიან ქალები და ასულნი; ერთნი ვერ მალავენ ყოპწია ღიმილს, მეორენი — გაფაციცებით ეძებენ ვილაცას თვალებით, მესამენი ნერვიულად და ხმა მაღლა იცინიან.

და აი, ერთი, — ჯერ კიდევ ყრმა, ანთებულ ლოყებით, ტყავის ჯუბაში ტიტველ, ლამაზი ყელით, სახეზე უდარდელ ღიმილით, უძახის ამხანაგს მხიარული ხმით:

— მიტკა, მივდივართ ბანდიტების საცემრად არა? — და შემდეგ ისიც იკარგება ბნელ მწკრივში.

— ამხანაგო, ეწევით თქვენ პაპიროსს? — ჰკითხა მარტინოვს, და თავის გვერდით მარტინოვმა დაინახა კაცი მშვიდი, უბრალო ნაყვავილარი სახით. იცნო—სტალმახოვია—სასურსათო კომიტეტიდან.

იგი უკვე ართმევს ხელს და ეუბნება:

— გამარჯობა, ამხ. მარტინოვ, კინალამ ვერ გიცანით!

მარტინოვს უეცრად დაავიწყდა მოუსვენარი ფიქრები განგაში, ყოველივე ის, რაც ქენჯნიდა მის სულს. მან დამშვიდებით განაგრძო ბაასი.

— მე პაპიროსს არა ვწევ, ამხანაგო... რატომ არის განგაში არ იცით?

სტალმახოვმა ვერ მოასწრო პასუხი, როცა ლაპარაკში ჩაერია მარტინოვის მეორე მეზობელი ზევით ღვედით შემოჭერილ, მსუქანი, სამოქალაქო პალტოში.

— მე მითხრეს, რომ ბანდიტები მოუახლოვდნენ ქალაქს... შეიარაღებული ყოფილან ტყვია მფრქვეველებით—წაიფურჩულა მან.

— არა, ამხანაგო, საეჭვოა რომ ბანდიტები იყვეს, არ უნდა გაავრცელო შეუსწორებელი ცნობა.

— მე მგონია რომ არავინ დაბიშინებია—მიუგო მსუქანმა კაცმა—მითხრეს ბანდიტებიაო, და მეც მას ვამაობ...—მე თითონ არ მინახავს.

— ჰო, მეც ვიცი, რომ თქვენ არ გეშინიათ,—დამშვიდებით წარმოსთქვა სტალმახოვმა, მხოლოდ რათ იწუხებთ თავს? სჯობს გაჩუმდეთ,—და სტალმახოვი მიბრუნდა იქით.

მწკრივებში ხმაურობა იყო. ყველას, როგორც მარტინოვს, დაავიწყდა შიში, ეჭვი და მღელვარე ფიქრები.

სწორდით! სმენა! — გაისმა მწკრივებში. დაჩუმდენ რიგები, გასწორდენ, როგორც ლარი. ერთი მოწოდება და ძლიერ ლტოლვით აძგერდება თითოეულის გული და ლაღად შეუერთდება საერთო ბრძოლის სიმფონიას.

ყველა ყურადღებით უყურებს, უსმენს, რიგების გასწვრივ მიდის სამი კაცი: კარაულოვი, კლიმინი, რობეიკო.

გარკვევით, ხმა მაღლა, ისმის კლიმინის ხმა:

— ამხანაგებო, კომმუნისტებო! ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო, თქვენ ყველამ მოისმინეთ გუშინ კრებაზე და აგრეთვე დღესაც წაიკითხავდით გაზეთში, რომ ჩვენ წინაშე დგას ამოცანა—მოვიტანოთ სათესლე მარცვალი ყანების მოსათესად. თესლის მოსატანათ საჭიროა—სათბობი. ხოლო სათბობისთვის—საჭიროა მუშა ხელი. თქვენ უნდა შეაგროვოთ და აამოძრავოთ მთელ ქალაქში მუქთახორები და პარაზიტები, რომელნიც დღეს არაფერს არ აკეთებენ. ისინი უნდა იქცენ მუშა ხელათ. უნდა გამოიკვლიოთ, გაიგოთ, ვინ შეგვიძლია გამოვიყენოთ შეშის დამზადების საქმეში, ისე, რომ ქალაქის ჩვეულებრივ ცხოვრებას ზიანი არ მივაყენოთ. ასეთებს დღეს ჩვენ წავიყვანთ რამოდენიმე დღით, ამავე დროს ჩვენ გავსწმინდავთ ქალაქს კონტრ-რევოლიუციონური ელემენტებისგან. ამხანაგი კარაულოვი დანიშნულია ჩხრეკის ხელმძღვანელად. ის თქვენ და-

განაწილებთ რაიონებში და მოგცემთ ინსტრუქციებს. იმუშავეთ ძალურად, იყავით ყოჩაღად და ფრთხილად!

ნაწყვეტი ფრაზებით, თითქოს განკარგულებას ... ლაპარაკი კარაულოვმა. მაგრამ მარტინოვი არ უსმენდა მას. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმეთ მიაჩნდა მას ეს შეკრებილება და ამხანაგების ნაცნობი სახეები. მაშასადამე წინ არა თავის დადება, სიკვდილი, ტანჯვა, არამედ მხოლოდ უძილო ღამე!

მარტინოვი მოხვდა სამეულში, რომელსაც ჰქონდა დავალებული, ბინების ჩამოვლა, მასთან ერთად იყო მისი მსუქანი მეზობელი და სტალმახოვი. სტალმახოვმა შეიარა კომასეულში თავის რაიონის მისაღებათ და, როცა ისინი სამივე მიდიოდნენ ცარიელ ქუჩაზე, მარტინოვი შეეკითხა სტალმახოვს:

— სად არის ჩვენი რაიონი? შორს ხომ არაა?

არც ისე შორსაა... ოთხი კვარტალია კიდევ... იცით ჩვენი რაიონი არის ქრისტეშობის ეკლესიიდან ფოსტამდის. და მარტინოვმა გაიფიქრა, რომ დღეს იგი მოხვდება იმ სახლში, სადაც წინათ იყო და ახლაც სცხოვრობს ნადია როსტოვცევი, იმ სახლში, სადაც მან გაატარა თავის წარსული ცხოვრების საუკეთესო დღეები.

ის იყო მისი სიყვარული; სიყვარული, რომელსაც შეიძლება ულალატო, მაგრამ, რომელსაც ვერ დაივიწყებ ვერასოდეს. რატომ მაინც და მაინც ის ამოირჩია თავის ტოლ ქალიშვილებიდან, რომლებთანაც ის თამაშობდა ხოლმე პატარაობისას. მაშინ ის ხომ ულამაზოთ ეჩვენებოდა: გაშავებული, ძალიანი სახე, ოდნავ გაბრტყელებული ცხვირი და მსხვილი, ალისფერი ტუჩები, შავი, მოგრძო თვალები ჰქმნიდენ მას უცნაურად მომხიბვლელს.

შემდეგ კი იქცა მომჯადოებელ ქალწულად, რომელიც ინახავდა თავის ღიმილს ხოლოდ მარტინოვისთვის, ღიმილს, რომელიც ასე უხდებოდა მის ჭკვიან და ალერსიან სახეს. მას ჰქონდა აგრეთვე მოხდენილი და მკაცრი გრაცია მოძრაობაში... და მაშინ მიხვდა მარტინოვი, რომ სხვა სიყვარული და სხვა ტუჩები მას არ იზიდავს და არც უნდა.

არ უყვარდა მათი ოჯახი, სადაც წარამარა ისმოდა ტრაბახი ნადიას მამის—პოლკოვნიკის და მისი ფრანტი შვილების—ახალგაზრდა აფიცრების თავიანთ აზნაურის ჩამომავლობის შესახებ. —მაგრამ მაინც ატარებდა მათთან საღამოებს, ისმენდა ნადიას დარბაისლურს, ჭკვიან სიტყვებს, უკითხავდა მას მისთვის მიძღვნილს პირველ ლექსებს!

რა ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ და დღეს კი რა შორეულ წარსულად ეჩვენება! და თუ არსებობს უკვდავება, მაშინ სული, გუშინ გარდაცვალებულ ადამიანის, უთუოდ, ამნაირად, იგონებს თავის წარსულ ცხოვრებას!

მათ შუა ჩადგა რევოლიუცია, ნადიას არ ესმოდა მისი მგზნებარე სიტყვების მნიშვნელობა, იღიმებოდა და ხელში ქაღალდის ნაგლეჯის ხვევით, — მას ჰქონდა ასეთი ჩვეულება, — უპასუხებდა: ყველაფერი ეს ყოფილა, ვალოდია, ყოველი რევოლიუცია ხომ სიხარულით და ზეციერი სასუფევლის მიწაზე დამ-

ყარების ლოდინით იწყება და შედეგათ კი მოაქვს ინდენი ტანჯვა, რომ სიხარული ვერ გამოიყიდის ბრძოლაში მოპოებულის ერთ ნამცეცსაც.

და ყოველი მომენტი რევოლიუციის უფრო და უფრო [illegible] მარტინოვს, ნადია კი ხდებოდა მორწმუნე, კითხულობდა აპოკალიპსს, ელოდა ქვეყნის დასასრულს—და უფრო მეტად სხვაედებოდენ, შორდებოდენ იგინი ერთმანეთის გაგებისაგან.

ოქტომბრის რევოლიუციის დროს მარტინოვი იყო ბოლშევიკების წინააღმდეგი და ამიტომ იყო კიდეც ორი კვირით დატუსაღებული. მაგრამ ამ დაჭერამ არა თუ დაახლოვა იგინი, არამედ უფრო დააშორა.

როცა მარტინოვი გამოვიდა სატუსაღოდან—ნადია შეხვდა მარტინოვს, როგორც წამებულს. თუმცა მარტინოვს ჰქონდა სულ რაღაც პატარა „განსხვავება„ ბოლშევიკებისაგან.

ჩქარა ამის შემდეგ მარტინოვი აღარ დადიოდა მასთან. იგი ვერ ითმენდა იმ ბრმა სიძულვილს, რომლითაც იყვნენ გამსჭვალულნი რევოლიუციისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ნადიას ოჯახის ყველა წევრები. სამოქალაქო ომმა ისინი დიდი ხნით ჩამოაშორა ერთმანეთს და, ბოლოს, როცა გამარჯვებულ წითელ ლაშქართან ერთად მარტინოვი, უკვე კომუნისტი, დაბრუნდა ქალაქში და გაიგო, რომ მისი ძმა—კონტრ-რევოლიუციონერი დაუხვრეტიათ,—მან ვერ გადასწყვიტა ნადიასთან შევლა და მხოლოდ ქუჩაზე შეხვედრის დროს აძლევდა სალამს მას, ახლა უკვე საკმაოთ გალამაზებულს, მაგრამ ყოველთვის დაღონებულს. ყოველ შეხვედრის კვალი ნადიასთან ღრმად ისახებოდა მარტინოვის სულში... ამხანაგები მიდიოდენ ჩუმად, სწრაფად და სათითაოდ ვართული იყვნენ თავის ფიქრებში... აი, მათი ბალის ღობე, რომლიდანაც დაბლა გადმოხრილა იასამანის და აკაციის ტოტები.

— დავიწყოთ ბარემ კუთხიდან,—უეცრად დაარღვია სიჩუმე სტალმახოვმა.

— კუთხიდან!—აი, იქ სდგას წითელი ავყრის სახლი და დახურული დარაბების ჭუჭრუტანებიდან იფრქვევიან მკრთალი და ალერსიანი სხივები, როგორც მაშინ... წინათ...

— არა, ამხანაგო სტალმახოვ, მე ამ სახლში არ შემოვალ. მე გთხოვთ თქვენ თითონ შედით—და მარტინოვმა წაავლო ხელი სტალმახოვს სახელოზე—და წასჩურჩულა:—თქვენ ორი შეხვალთ შიგნით... აქ ჩემი ნაცნობები ცხოვრობენ... უხერხულია ჩემთვის... მე, რასაკვირველია, ბოდიშს ვიხდი.

— კარგი, ძმარ... მე კინაღამ დამავიწყდა, რომ თქვენ... აქაური ხართ... ჩაილაპარაკა სტალმახოვმა და ყურადღებით და ოდნავ დაცინვით, გადახედა მარტინოვს.

— წავიდეთ ამხანაგო,—მიმართა სტალმახოვმა მესამეს და მცირე ხნის შემდეგ მათ დაიწყეს ხმა ბალლა რახუნი.

მარტინოვის თავში ათასნაირმა ფიქრებმა გაიელვეს და როცა გაისმა ალაყაფის პატარა კარების ჭრიალი და შეშინებული ხმა: „რა გნებავთ, რისთვის არახუნებთო“, —მარტინოვი გულისცემით ქანც მილეული, თავის მკვლელის გამბედაობით შევარდა დიდ ეზოში. სტალმახოვმა მოიხედა მისკენ.

ᲑᲜᲔᲚ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲜ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲜᲝᲑ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲨᲘ, ᲘᲥ ᲐᲑᲐᲣᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲨᲣᲥᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲛᲓᲜᲔᲜ ᲩᲐᲘᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲛᲝ ᲘᲡᲔ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲨᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ! ᲐᲘ, ᲗᲘᲗᲝᲜ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲪᲔᲕᲘ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲞᲘᲠᲮᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ, ᲒᲐᲪᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲩᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲡᲩᲐᲜᲐᲜ ᲒᲐᲣᲮᲣᲜᲔᲑᲔᲚ ᲜᲐᲭᲠᲔᲑᲐᲓ ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲝᲓᲔᲡᲚᲐᲪ ᲔᲙᲔᲠᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲡ ᲛᲗᲠᲗᲝᲚᲕᲐᲠᲔ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲘᲦᲝᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ.

ᲐᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲪᲝᲚᲘ, ᲛᲝᲦᲐᲚᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲙᲠᲗᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲦᲐ ᲘᲡᲔᲗᲔᲕᲔ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲓᲘᲐᲡ, ᲠᲐᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐᲗ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘ. ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲦᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲡᲢᲐᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲛᲔᲜᲓᲐᲡ.

ᲓᲐ ᲘᲥ ᲙᲘ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲜᲐᲓᲘᲐ... ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲐᲮᲘᲐ ᲘᲒᲘ ᲐᲡᲔ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲢᲐᲜᲗᲡᲐᲪᲛᲔᲚᲨᲘ! ᲐᲘ, ᲘᲡ ᲐᲓᲒᲐ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲓᲐᲜ, ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲛᲝᲡᲣᲚᲘ,—ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘ ᲮᲝᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲮᲐᲮᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ.

ᲜᲐᲓᲘᲐ ᲚᲐᲛᲤᲘᲡ ᲨᲣᲥᲖᲔ ᲡᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲒᲐᲐᲠᲩᲘᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ, ᲐᲨᲢᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲐᲡ, ᲘᲪᲜᲝ-ᲒᲐᲧᲕᲘᲗᲚᲓᲐ...

ᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲛᲐᲡ... „ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ“!—ᲠᲐᲚᲐᲪ ᲮᲛᲐ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ, ᲘᲒᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲐ.

ᲜᲐᲓᲘᲐ ᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲘᲡᲙᲔᲜ, ᲠᲐᲚᲐᲪᲐᲡ ᲬᲐᲡᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲡ ᲧᲣᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲪ ᲛᲘᲡᲩᲔᲠᲔᲑᲘᲐ ᲘᲛ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘᲐ.

ᲔᲡ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ, ᲜᲐᲪᲠᲘᲡᲤᲔᲠᲘ, ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ?—ᲡᲢᲐᲚᲛᲐᲮᲝᲕᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲡ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲐᲠᲝᲐ?

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲔᲠᲒᲔᲘᲡ-ᲫᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠ, ᲕᲔᲚᲐᲠ ᲒᲕᲘᲪᲐᲜᲘᲗ?—ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲐᲛᲐᲧᲘ, ᲝᲓᲜᲐᲕ ᲓᲐᲬᲧᲔᲣᲚᲘ ᲮᲛᲐ ᲜᲐᲓᲘᲐᲡ ᲓᲔᲓᲘᲡ—ᲮᲔᲓᲐᲕ, ᲐᲜᲓᲠᲝ, ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲔᲠᲒᲝᲡ-ᲫᲔ ᲐᲠᲘᲡ —ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲘᲒᲘ ᲥᲛᲐᲠᲡ.

ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲐᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲨᲘ. ᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲢᲕᲘᲜᲕᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲪᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ. ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡ ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲗ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲪᲔᲕᲡ ᲒᲐᲛᲮᲛᲐᲠ ᲮᲔᲚᲡ. ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲪᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲘᲣᲠ ᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ. ᲘᲒᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲜᲐᲓᲘᲐᲡᲐᲪ ᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ... ᲜᲐᲓᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ ᲚᲘᲛᲘᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲢᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲠᲘᲛᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲪ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲡ ᲙᲘ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲛᲐᲮᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲤᲣᲠᲩᲔᲚᲘ: „ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲔᲗ ᲩᲥᲐᲠᲐ, ᲛᲘᲕᲓᲘᲗᲐᲠᲗ“. ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘ ᲓᲐᲑᲜᲔᲣᲚᲐᲓ ᲣᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲐ... ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲐ...

— ᲰᲝ, ᲛᲔᲪ ᲕᲘᲪᲘ, — ᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲜᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲚᲛᲐᲮᲝᲕᲘ, ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲔᲡ ᲐᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ —ᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲘ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲪᲔᲕᲘ. ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲐ. ᲐᲘ, ᲔᲮᲚᲐᲪ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲞᲔᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲕᲐᲠᲘᲐ — ᲠᲔᲞᲘᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘ ᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲘᲒᲖᲔᲐ, ᲛᲐᲗᲖᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ. ᲗᲥᲕᲔ-

ნი ნათესავები მართლა კოლჩაკს გაჰყვნენ? ამ კითხვაზე მარტინოვი იბნევა... იგი ხომ ბურჟუაზიული ოჯახიდან არის: მამამისი — კაპიტალისტი — პატრონი იყო ადგილობრივი ტყავის ქარხნების. მისი ოჯახი [illegible], მაგრამ თითონ მან, რასაკვირველია, გასწყვიტა კავშირი თავის ოჯახთან.

სტალმახოვი სდუმს და აბოლებს პაპიროზს, იგინი, შედიან სხვა სახლებში, სადაც მათ ხვდებიან იმავე შეშინებული კითხვებით: „რა გნებავთ?" და მარტინოვი გაქონილი საბუთების მანქანისებურად დათვალიერების დროს ფიქრობდა მასზე, რომ ნადიასთან ყველაფერი უკვე გათავებულია, მაგრამ საკუთარი გამოცდა მან ბრწყინვალედ დაიჭირა და ახლა იგი ღირსია კომმუნისტის სახელის. მაგრამ რისთვის სძულს იგი სტალმახოვს?

როსტოვცევის ბინაში კი ისევ სიმშვიდეა და ისევ წყნარად შემოსხდომიან ჩაის მაგიდას—არ სჩანს მხოლოდ ნადია. რეპინ გადასცემს ცარიელ ჭიქას დიასახლისს და ეკითხება:

აქ რომ კომმუნისტი იყო—თქვენი ნაცნობია? —დიახ, უპასუხებს იგი,—კარგი ოჯახიდან არის, მან გაათავა გიმნაზია, ხშირად იყო ხოლმე წინად ჩვენსა, მაგრამ ახლა, რასაკვირველია...

თავხედი და გაბედული ბავშვი იყო მაგ თავიდანვე—უხეშად აწყვეტინებს სიტყვას როსტოვცევი—იგი ბოლოს შეუერთდა ამ საძაგლებს. ახლა კიდევ ეყო კადნიერება მოსულიყო ჩვენს სახლში... წინად მას მოსწონდა ნადია, ეგ ეშმაკიც, ალბად, იმიტომ გაიქცა იქით ოთახში, ნადია,—უძახის ხმა მაღლა,—გამოდი აქ! ანდრო,— საყვედურით ეუბნება როსტოვცევის მეუღლე,—დაანებე თავი, არაა საჭირო!

ძილის წინ ნადია მხურვალეთ, ვიდრე წინად, ლოცულობდა ვალოდიასთვის, არა იმ ვალოდიასთვის, რომელიც რამოდენიმე ხნის წინად ჰკოცნიდა მას ყინულზე სრიალის დროს ტუჩებში და, რომლის წერილები ახლაც კოლოფში აქვს შენახული; არა იმ მშვენიერ ვაჟისთვის, რომელსაც ჰქონდა ლამაზი სახე, ლურჯი თვალები, არამედ ახლა ვიღაც სხვა გამხდარ, დიდ თვალებიან ვაჟისთვის, რომელიც მან ნახა უკანასკნელად ზამთრის თოვლიან დღეს ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულების შესავალთან. და მან შეამჩნია მაშინ, რომ მას ეცვა დახეული ფეხსაცმელი, რომლის ძირი ბაწრით ჰქონდა მიმაგრებული ზედა პირთან.

ლოცულობდა, იგონებდა და სტიროდა. სტიროდა მისთვის, რომ უყვარდა იგი და ვერ გაეგო ის უცნაური ძალა, რომელმაც ასე მაგრად შეჰბორკა, მოაჯადოვა იგი. სტიროდა მისთვის, რომ სურდა მისი სიყვარული, ენატრებოდა ნამდვილი ახალგაზრდული ცხოვრება, მაგრამ მას ჰქონდა თვალები ახვეული და არ შეეძლო დამდგარიყო იმ ბრწყინვალე გზაზე, რომელსაც გაჰყვა ვალოდია. ლოცულობდა ნადია ცოდვილ ვალოდიას სულის გამოსახსნელად და გულ დამწვარი ავედრებდა ღმერთს მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

მძინარ ქალაქში კი იყო გახურებული მუშაობა რამოდენიმე ასეული კომმუნისტების. დაცარიელებულ ქუჩებზე იდგნენ პიკეტები, ქვაფენილებზე ისმოდა ნალების თქრიალი—ჩხრეკის ხელმძღვანელები დადიოდნენ თავიანთ რაიონებში,

და ამხანაგების სამეულის ათი ხუთმეტი წუთის შემდეგ სახლებიდან გამოყავდათ დამფრთხალი და მძინარა მამაკაცები, გადასცემდენ მათ პიკეტებს, რომელნიც აგზავნიდენ მათ დაჭერის ცენტრალურ შტაბში, სადაც მათ ატარებდა რეგისტრაციაში, ჰკითხავდა და არკვევდა მათ ვინაობას ჩუმი გორნიხი, რომელსაც აგერ სამი დღე და ღამეა არ სძინებია. ის იყო ამოდიოდა მზე, როცა მარტინოვი დაქანცული მიემართებოდა თავის ბინისკენ. მას სტკიოდა თავი და სხვის ბინებში ძრომიალი ეჩვენებოდა მას თავის დამცირებად. მოდიოდა იგი და თვალებში უელვარედა ღამის განმავლობაში დათვალიერებულ ოთახების კალეიდოსკოპი.

თავის ბინის ახლოს, კედელზე, მან დაინახა პლაკატი: ძოწისფერ ხალათში გამოწყობილი წითელ არმიელი, რომელიც იცავს ქალაშნებიან გლეხს. გლეხი ხნავდა ამწვანებულ მინდორს და მარტინოვმა დაიჭირა თავისი თავი: — გულის სილრმეში მან იგრძნო რაღაც სიძულვილის მზგავსი ამ პრიმიტივის — უხეშ ფერების და ვულგარულ მოხაზულობის მიმართ.

IV

პოლიტგანყოფილების უპარტიო მოსამსახურეებისაგან სუბბოტნიკზე მხოლოდ წითელ არმიელთა მასწავლებელი ლიზა გრაჩიოვი მირბის ტალახიან ქუჩაზე, ეშინია დაიგვიანოს და უხარია როცა ქუჩიდან ხედავს ამხანაგების მხიარულ ჯგუფს.

მისი მოსვლა ხელად შეამჩნიეს. იგი პატარა ტანისაა, გამხდარი, ყოველთვის მოწყენილი და გაჩუმებული თუ ხანდახან ჭორფლიან სახეზე, — ვით მინდორზე გამკრთალი მზის სხივი,—გაიელვებს ღიმილი—ეს გრძელდება მხოლოდ ერთს წუთს. შემდეგ იგი წყნარდება და შემკრთალი იხედება ირგვლივ. იგი ასწავლის წითელ არმიელებს ანგარიშს და მისი წკრიალა ხმა, რომელიც ოდესღაც ამშვენებდა გიმნაზიის მგალობელთა გუნდს, სადღაც, შორეულ ქალაქში, სადაც იგი სწავლობდა,—ახლა ყოველ დღე მოისმის მთავარი ქუჩის ერთ ერთ მაღაზიის დიდ ფანჯრების სარკეებიდან. იქ არის მოთავსებული მისი სკოლა.

მას ყველაფრის ეშინია ქვეყანაზე. მშობლები დიდი ხანია დაეხოცნენ. გაიზარდა იგი სხვის სახლში, სადაც მას ამადლიდნენ პურის ყოველ ნაჭერსაც კი. შიში შემდეგ ჩვეულებად ექცა. იგი აიძულებდა მას ყოველ საღამოს დაჩოქილი ელოცა ვიღაც უხილავის, თუმცა საშინელის, მაგრამ ყველაფრის მხილველის, ყოველივეს მიმტოვებელის და კეთილის წინაშე.

პირველ ხანებში მას წითელ არმიელებისაც ეშინოდა, გაკვეთილებზე წითლდებოდა მათ წინ, რომელნიც თითქოს ჩუმად იყვნენ, მაგრამ ამავე დროს ვითომც რაღაცას ფიქრობდენ გულში და ყოველთვის ელოდა მათგან უმგვანო საქციელს. მისი ხმა თრთოდა და წყდებოდა. მას ეშინოდა გამოეკითხა თავის მოწაფეები, და დალონებული უცდიდა გაკვეთილის გათავებას.

მაგრამ ერთხელ, როცა თებერვლის ქარში გაყინულ ხელებით მიჰქონდა სახლში თავის ულუფა,—მას მიუახლოვდა ორი წითელ არმიელი—ესენი იყვნენ მისი მოწაფეები. მას ჩვეულებრივად შეეშინდა, გაწითლდა. ერთმა მათგანმა,

ახოვანმა, ცისფერ თვალებიანმა ზრდილობიანათ შესთავაზა დახმარება და სანამ მისგან მიიღებდა დასტურს—მსუბუქად შეიდვა მხარზე ... ტომსიკა.

ამ დროიდან იგი უფრო დაუახლოვდა თავის მოწაფეებს, სათითოოულოდ, გაიცნო ყველა, უფრო შეუყვარდა თავის მუშაობა და თავის სწავლების დროსაც უფრო სცდილობდა უბრალოდ და გასაგებ ენით აეხსნა გაკვეთილი.

იწყო წითელ არმიელთა ნაწილის საერთო კრებებზე დასწრება. ყურადღებით უსმენდა მოხსენებებს და სიტყვებს, თუმცა ბევრი რამ არ ესმოდა.

წინათ ეშინოდა მას რევოლიუციის, რადგან ეშინოდა ყოველივე მისი, რასაც ახასიათებს ძლიერება, ხმაური, მძულვარების და სიყვარულის ნათელი ფერადები. მაგრამ ახლა, როცა მან გაიცნო ახლოს თავის მოწაფე—წითელ არმიელები და შეიყვარა იგინი,—ამ სიყვარულმა მიიყვანა იგი რევოლიუციის გაგებამდის. მან გაიგო ის თავისებურად. მან შეჰქმნა თავის რევოლიუცია და კომუნიზმი და ქრისტემაც, ნაზარეთის დურგლის შვილმა, რომელსაც იგი ეეედრებოდა როგორც ზეციურ მეფეს,—მიიღო მისთვის ახალი მნიშვნელობა,—იგი ჩამოვიდა მიწაზე და იქცა მფარველად ყველა რევოლიუციონერების, ყველა მათი, ვინც იბრძვის კაცობრიობის ბედნიერებისთვის.

ახლა იგი მოწიწებით ეპყრობოდა კომმუნისტებს, ხშირად ტრიალებდა მათ შორის, თუმცა ხანდახან არ ესმოდა მათი საქციელი.

განსაკუთრებით აშფოთებდა მას საგანგებო კომისიის ათასეულის სახკომისარი, რომლის სკოლაშიაც იგი მასწავლებლობდა. „როგორ აჩერებენ ამისთანებს პარტიაში“,—ფიქრობდა იგი, როცა უყურებდა მის კოხტა წაღებს, წითელ გალიფეს და როცა ესმოდა მისგან დიდის გინება.

სცხოვრობს ლიზა სენატორის სახლში, უკავია გრძელი და ვიწრო ოთახი, რომელიც თავის გარეგნობით მიაგავს წუმწუმის კოლოფს. ოთახში არ არის დგანი, მხოლოდ კრაოტია—ფიცრებით, საბნით დახურული, და კიდევ ნახევრად გამხმარი, უცნაური ყვავილი, რომელიც ჩამოჰგავს მაღლა ატყორცნილს ნაძვის ხეს. მადამ სენატორმა სცადა რამოდენიმეჯერ ოთახიდან მისი გატანა, მაგრამ კარებში არ გაეტია და ამიტომ თითქოს წყალობის ნიშნად დაუტოვა ისევ ლიზას. ყვავილი დასჭკნა ყინვისაგან, რადგან, ზამთარში ოთახში ნამეტანი სიცივეა და, როცა ლიზა დილით იღვიძებს, მან არას დროს არ იცის, რომელი საათია; მხოლოდ ერთად ერთ გაყინულ ფანჯრიდან შემოდის მკრთალი სინათლე.

დილით ლიზა ჩვეულებრივად არ სვამს ჩაის. მაგრამ დღეს სუბბოტნიკზე წასვლის წინ მოუნდა მას ცხელი ჩაის დალევა. სამზარეულოში დიასახლისი სამოვარს დგამდა, ხმაურობდა მილი, შიშინებდა ტაფაზე კარაქი.

მადამ სენატორი აცხობდა ქადებს და სამზარეულოს სურნელება გამოდიოდა ლიზას ოთახში.

უნდა სთხოვოს ცოტაოდენი წყალი პატარა ჩაიდანით, მაგრამ ეშინია.

თავის სიძულვილი გაუგებარ ძალისადმი, წითელ დროშებისადმი, და დაწესებულებების უცნაურ სახელებისადმი, მთელი შურის ძიება, რომელიც ეკუთვნის კომმუნისტებს, შეუბრალებლებს, მკაცრებს და ამაყებს, ლვარძლი, რომელიც იფარება ზრდილობიან სიტყვებით,—ბატონ სენატორებს ხომ—ყველაფერი

ეს შეუძლიათ ცხადათ გამოსთქვან მარტო სუსტ, საცოდავ ლიზას წინაშე, რომელიც იწვეს ზიზღს თავის სიღარიბით.

— სულ ღმერთს ლოცულობს და აგრეთვე... ასწავლიან ... ბავშვებს, წითელ არმიელებს, ქამებს... რას ასწავლის იგი მათ? ცარცვას?

ამის შემდეგ ის კიდევ ლოცულობს ღმერთს.—მადამ სენატორი წაჰკრაეს მუჯლუგუნს ქმარს,— და, ცხადია,—სცხოვრობს კომისართან!

ასე საუბრობენ ისინი სამზარეულოში, როცა, ლიზა, მოკრძალებით შეაღებს კარებს და თხოულობს: „ცოტაოდენი მდუღარე წყალი არ შეიძლება?“ და პატარა ჩაიდანი თრთის მის ხელებში.

— ჩვენ ხომ ბურჟუები ვართ და თქვენ ბურჟუისგან თხოულობთ! რა საჭიროა თხოვნა? გაგვცარცვეთ, წაგვგლიჯეთ ბარემ! წუწუნებს საპასუხოდ მადამ სენატორ და რაფიელ ანტონისძეც მასთან შეხმატკბილებით იმეორებს:—რასაკვირველია, გაგვცარცვეთ, რაღაი თქვენც შეუერთდით ამ ყაჩაღებს!

ლიზა თითქმის სტირის დარცხვენილი, და ჩამორბის კიბეზე გაჩქარებით ძირს ქუჩისკენ.

ლიზამ ვერ მოასწრო დადგომა რიგში, რომ ის იყო პოლიტგანყოფილების უჯრედი დაიძრა. წავიდნენ, სიცილით და ლაპარაკით გავიდნენ ძთავარ ქუჩაზე და თავის ალისფერი დროშა პარტიულ ლოზუნგით შეუერთეს დანარჩენ დროშებს. აი, დეპოს მუშებს მოაქვთ თავის, 1917 წლიდან დარჩენილი დროშა წარწერით: „ომი სასახლეს, მშვიდობა—ქოხებს“. აი, მბეჭდავები, ნაცრისფერი სახით, მოღუნული ბეჭებით, და აი, იქ კი „ახალგაზდათა კომკავშირი“, პატარა, მხიარული ხროვა ახალგაზრდების, ვეებერთელა ბაირაღის ქვეშ, რომელზედაც გამოხატულია მუშა, უხარმაზარ ჩაქუჩს რო ურტყამს გრდემლს. მიდიოდენ და აბნეულად მღეროდნენ როვოლიუციონურ სიმღერებს, ერთგან ისმოდა „ინტერნაციონალი“ და მეორე ადგილას, გვერდით, კომშუნალური სასადილოს მუშა ქალები გაჰკიოდენ „ვარშავიანკა“-ს.

ბზე იყო დამალული ღრუბლებში, როცა პოლიტგანათლების უჯრედი, ქალაქის რაიონის დანარჩენ უჯრედებთან ერთად მიუახლოვდა ქალაქის ბაღს. მკრთალად ბრწყინავდენ ხელებში ხერხები და ნაჯახები, ქალაქის ბაღი იყო გამსჭვირვალე, როგორც ბაფთი, მაღალ, ტიტველ ხეებიდან ჩხაოდენ ჭილყვავები.

რამოდენიმე წუთში ეს უწესრიგო, თავის მრავალფეროვანში, ლამაზი, ხეების ხროვა უნდა გადაქცეულიყო შეშის პატარა ნაპობებათ.

ოდესლაც ამ ბაღში, აი იქ ჩრდილოვან ხეივანში, ივლისის სურნელოვან საღამოებში დასეირნობდა მარტინოვი ნადიასთან ერთად. მარტინოვმა დაინახა აგრეთვე ის ხე, რომლის ქერქზე მან ჯერ კიდევ გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფემ დანით ამოსჭრა ნადიას სახელი და გვარის ინიციალები. ახლა ის მოსჭრის ამ ხეს და აქცევს მას შეშათ. და ისევ სუფევდა მის სულში მწარე სიხარული. წკრიალებდა ხერხი და ხეებიც თრთოდენ. როცა მათ გადასჭრიდენ ძირში იგი ხი მძიმედ ეცემოდნენ, დაცემის დროს ლეწავდენ თავის და მეზობელ ხეების ტოტებს. მათ ტანზე სრიალებდა ხერხი და სწრაფად, თვალის დახამხამებაზე იკეცებოდენ მრგვალ მორებად. მორები დაცვარული იყვნენ სურნელოვან ცრემლებით; სიკვდილის დროს ხეები აფრქვევდნენ სურნელს და ვერხვის მწარე სუხი უერთდებოდა არყის ხის წვენის არომატს.

(დასასრული იქნება).

თარგმანი **ვახო გორგაძის.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ერნსტ ტოლერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიის ტუსაღები

ჩვენ ვიტანჯებით მეოთხე წელი.
უიმედობა დაგვეუფლა კუნთების მღრღნელი.
ჩვენი თვალები დაბინდული მძიმე ტრაურით
რკინის ფანჯრების მესერებიდან
ცის ლურჯ ნაფლეთებს შესჩერებიან.
ამხანაგებო, გამოგვეხმაურეთ!
ველით მქუხარე აფეთქებას, მოხეთქილ ზვავებს,
და მაშინ ჩვენაც ამ ბნელ კოშმარს დავაღწევთ თავებს.
ამხანაგებო!

ჩვენ აქ დავდივართ დაჟინებით და გამხეცებით,
ო, სამი წელი როგორ უნდა უვლიდე ერთ წრეს!
ხსოვნა დაბნელდა. დახოცილნი გზაზე ვეცემით.
ახ, ეს გზა ალბად თვით ქაჯებმა რკალივით შეჰკრეს!

ისე ულმერთოდ დაგვექანცენ ყველა კუნთები,
რომ ამ ჯურღმულში გვემძიმება განძრევა ხელის.
შემოქმედება ჰქრება ჩვენში, ოდესლაც ცხელი,
და აღარ ძალგვიძს თვით დავლეწოთ ჩვენი ხუნდები.

აქ ჩვენს წინაშე ამართულა რუხი კედელი,
და ამ რუხ კედელს, სულ ამ კედელს უცქერით ულევს!
ის, როგორც ლოდი ჩამქოლავი და ჩამწყვეტელი,
შეუბრალებლად დააწვა ჩვენს ტვინებს და გულებს.

აქ ჩვენი მზერა უსიცოცხლოდ დაეხეტება
ფერმკრთალ დღეების სიმძიმით და სევდით ფარული
ქვებში ამოსულ ნორჩ ყვავილზე თუ შეჩერდება
იგი იქნება მისი შვება და სიხარული.

აქ ჩვენი მზერა—ეს გართობა ძველ დროს გვაგონებს—
ეალერსება ცის სივრცეებს გაფენილს ლურჯად,
ვიდრე ჩვენ ციხის ყარაული, მდგომარე მუნჯად,
სიგნალს უეცარს და საშიშარს არ გაგვაგონებს.

მაშინ ჩვენ ფორთხვით უკან ვიხევთ და ჩვენი მზერა
ისე ანათებს, ვით თვალები დაჭრილი მხეცის.
ტანჯვის გვირგვინი კვლავ ჩვენს შუბლებს ეკლებით სერავს
და გული ისევ საშინელი ტკივილით გვეწვის.

ასე ბნელ წრეში მომწყვდეული ვჩურჩულებთ მარად:
მოვა დღე იგი და დარეკენ სანიშნო ზარებს!
მაშ კვლავ გავმაგრდეთ, ვიქონიოთ იმედი ფარად,
რომ მალე განვლით ჩვენ ამ ციხის დალეწილ კარებს!

ამხანაგებო! არ მოვბრილვართ ამაყი ქედით!
ჩვენ გადავიტანთ ცოფმორეულ ჯალათთა რბევას!
შშრომელთა საქმე ჯადოსნურ წრეს გაარღვევს მკერდით
და გამარჯვების სასახლეში დიდებით შევა!

თარგმანი **კონსტანტინე ჭიჭინაძის.**

ბ ა ი რ ო ნ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ ა ე ნ ი

(დასასრული)

მოქმედება მესამე

სცენა პირველი

მიწა ედემის ახლო, როგორც პირველ მოქმედებაში.

კაენი და ადა (შემოდიან).

ა დ ა

ჩუ! ნელა, კაენ, ნელა!

კ ა ე ნ ი

კარგი; მაგრამ მიზეზი?

ა დ ა

ჩვენმა ენოქმა პაწაწინამ აგერ ფოთლების
ლბილ სარეცელში ჩაიძინა კვიპაროსის ქვეშ.

კ ა ე ნ ი

ო, კვიპაროსი! მოლუშული ხე არის იგი;
ის იმნაირად იმზირება, თითქოს დასტირის
იმას, რასაც ის თავს ადგია: რად აირჩიე
შენ იგი ბავშვის საჩრდილებლად?

ა დ ა

იმის ჩრდილის ქვეშ
ბნელა იმგვარად, ვით ღამეში; ამიტომ იმას
უფრო უხდება, ვიდრე ყველა დანარჩენ ხეებს,
ძილის დაჩრდილვა.

კ ა ე ნ ი

ჰო, მარადის... უკანასკნელის.
მაგრამ, რა უყოთ, სულ ერთია, მიმიყვა მასთან.
(მიდიან ბავშვთან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ლამაზია! და ელფერი მისი ლოყების
უფრო ცოცხალი არის, ვიდრე ვარდები მის ქვეშ.

ა დ ა

ან ეს კოკობი მოწითალო გახსნილ ტუჩების —
მშვენიერება არ არის ეს? არა, ნუ ჰკოცნი;
მცირეოდენი მოთმინება,—სულ მალე თვითონ
გამოიღვიძებს: უთავდება ჟამი შუადღის
დასვენებისა; მაგრამ მისი გამოღვიძება
ნაძალადევად მენანება.

კ ა ე ნ ი

შენ მართალს ამბობ.
როგორც იქნება შევაჩერებ დროებით ჩემს გულს.
სძინავს და ტკბილად იღიმება! იძინე აგრე
გაღიმებულმა, ჯერ ესოდენ ნორჩი მსოფლიოს
ნამცეცა მკვიდრო! ჯერჯერობით უმანკოება
შენ ნებას გაძლევს იძინო და იღიმებოდე.
შენ აკრძალული ნაყოფი არ მოგიწყვეტია.
არ იცი, რომ შენ შიშველი ხარ, დადგება ჟამი,
როდესაც პასუხს მოგთხოვენ შენ შენთვის უცნობი
და არც ჩემ მიერ ჩადენილი ცოდვების გამო.
მაგრამ იძინე, ჯერჯერობით იძინე ტკბილად!
აჰა, იმისი მხიარული სახის ელფერი
უფრო აენთო; ის ცახცახებს; მისი თვალების
ქუთუთოები ირხევიან მუქ წამწამებით,
როგორც მის თავზე აბართული ეს კვიპაროსი;
და მათ ქვემოდან მოციმარე თვალები თითქოს
მზერას ლამობენ. ის ოცნებობს... რაზე? ედემზე?
ჰო, იოცნებე მის შესახებ! ის გადაიქცა
ოცნების საგნად მარტოოდენ. ო, შვილო ჩემო
მემკვიდრეობას მოკლებულო! არა, არასდროს
იმ უნეტარეს საბყოფელში არ გეღირსებათ,
რომ იოცნებოთ შენ და შენმა შვილებმა ცხადლივ!

ა დ ა

ნუ დასჩურჩულებ, ჩემო კაენ, წარსულის გამო
ნაღველითა და სინანულით აღსავსე სიტყვებს
ჩვენს მძინარე შვილს. ან კი მაინც რა საჭიროა
სულ ამ ედემის დატირება? ნუ თუ მის ნაცვლად
არ შეგვიძლია ჩვენ რომ შევქმნათ სულ სხვა ედემი?

კ ა ე ნ ი

სად?

ა დ ა

ყველგან, სადაც მოისურვებ; შენთან მახლობლად,
სადაც იქნები სულ ერთია, მე იმ სამოთხის
გადავიწყება შემიძლია, უშრეტი ცრემლით
რომ დავიტირეთ: ნუ თუ არ მყავს მე შენი თავი,
ბავშვი ძვირფასი, მამა, და-ძმა, დედა შშობელი,
რომლის წინაშე, არა მარტო მისთვის, რომ გვშობა,
ვალი მიგვიძღვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ე ნ ი

ჰო, სიკვდილიც მან მოგვანიჭა:
და ესეც მისგან ჩვენ დაგვედო ვალად.

ა დ ა

ო, კაენ!
ზვიადმა სულმა, რომელმაც შენ აქედან სადღაც
მოულოდნელად წაგიყვანა, უფრო ხედმეტად
გაგაბრაზა და აღგაშფოთა. მე კი მეგონა,
რომ იმ ღვთაებრივ სამყაროებს, შენგან ნახულებს,
როგორც შენ ამბობ, ზოგს გარდაცვლილს და ზოგს ამ ჟამად
აყვავებულებს, შემეცნების სიმშვიდე შენთვის
უნდა მოეცათ; მაგრამ ამის ნაცვლად მე ვხედავ,
რომ ბოროტება მოგაყენა იმ სულმა, კაენ.
მადლობელი ვარ მაინც მისი, რომ ასე მალე
მან შენი თავი დაგვიბრუნა.

კ ა ე ნ ი

როგორ თუ მალე?

ა დ ა

რაც ჩვენ დავშორდით, იმის შემდეგ სულ არ გასულა
ორი საათი, ჩემთვის გრძელი ორი საათი,
მაგრამ მაინც სულ მხოლოდ ორი თანახმად მზისა.

კ ა ე ნ ი

და იმავე დროს მე ამ მზესთან ვიყავი ახლოს,
ვნახე ქვეყნები, რომლებსაც ის თავს დანათოდა
მაგრამ არასდროს მომავალში არ გაუნათებს;
ქვეყნები, სადაც ის არასდროს არ ანათებდა.
ასე მგონია ამის შემდეგ გავიდენ წლები.

ა დ ა

საათებიც კი ძლივს გავიდენ.

კ ა ე ნ ი

მაშასადამე
ჭკუა განიცდის ჟამთა დენას არა საათთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმებით, არამედ მას ზომავს სიტკბოთი,
ან მწუხარებით, მისი რისხვით ან მოწყალებით,
რასაც უცქერის. მე ვიხილე მოქმედებანი
დაუსაბამო არსებათა; თავზე დავქროდი
უკვე ჩაქრობილ სამყაროებს; მე ავითვისე
მარადისობა და მეგონა, საუკუნეებს
ვიტანდი მასში; მაგრამ ეხლა ვიგრძენი კვალად
მე სიბერდშავე საკუთარი. მართალი იყო
სული, როდესაც მე მიწოდა არარაობა.

ა დ ა

რად გითხრა მან ეს? იელოვას ჩვენთვის მაგგვარი
არა უთქვამს რა.

კ ა ე ნ ი

არა. მაგრამ იმისგან ისიც
საკმარისია, რომ ჩვენ შეგვქმნა არარაობად.
მოგვხიბლა ერთ ხანს სამოთხეთი და უკვდავებით,
მაგრამ ისევე ჩამოგვართვა და მტვრად გვაქცია.
რისთვის?

ა დ ა

იმისთვის, რომ მის სიტყვებს არ უგდეს ყური
ჩვენმა მშობლებმა.

კ ა ე ნ ი

მერე ჩვენ აქ რა შუაში ვართ?
იმათ შესცოდეს და სიკვდილიც მათ მიუსაჯოს.

ა დ ა

ო, შენ ცუდ სიტყვებს ლაპარაკობ, კაენ! ეგ აზრი
ისევ იმ სულმა შთაგაგონა. ახ, როგორ მინდა
რომ მე მოვკვდე და ჩემს მაგიერ იცოცხლონ იმათ!

კ ა ე ნ ი

მეც ვისურვებდი, რომ ვიცოდე ასეთი მსხვერპლით
თუ გაიძღებდა გულს ვეშაპი, და უცოდველი
ეს ჩვენი ბავშვი არასოდეს არ განიცდიდა
და არც ანდერძად გადასცემდა შთამომავლობას
თავისი მამის წამებას და ხვედრს სასიკვდილოს.

ა დ ა

ვინ იცის ეგეც ამნაირი მსხვერპლის გაღებით
ჩვენი ცოდვების გამოსყიდვა გველირსოს ერთ დროს.

კ ა ე ნ ი

ცოდვილთა ხსნისთვის უცოდველის მსხვერპლად მიტანა!
როგორ გავიგოთ გამოსყიდვა ასეთნაირი?
ან კი რაში ვართ დამნაშავე? რა ჩავიდინე
მე ისეთი, რომ მსხვერპლი გავხდე იმისი, რასაც
ადგილი ჰქონდა უმალ, ვიდრე მე გავჩნდებოდი?
ან რისთვის უნდა მჭირდებოდეს მე გამოსყიდვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ უსახელო და იდუმალ შეცოდმებისა...
და ან კი თითქოს ცოდვა იყოს ძიება ცოდნის!

ა დ ა

ვაიმე, კაენ! შენ ღმერთს სცოდავ მაგგვარი ზრახვით!
შენი სიტყვები, ვით რაიმე უწმინდურობა,
სმენას მიწამლავს.

კ ა ე ნ ი

თუ აგრეა, დამტოვე მარტო.

ა დ ა

ო, არასოდეს, თუნდა ღმერთმაც რომ მიგატოვოს!

კ ა ე ნ ი

რა არის ჩვენს წინ იქ რომ მოსჩანს?

ა დ ა

ის არის ორი
საკურთხეველი: დღეს აბელმა დასდგა ისინი,
რომ შენთან ერთად შეასრულოს მსხვერპლის შეწირვა.

კ ა ე ნ ი

რა იცის იმან, რომ ვისურვებ მეც მასთან ერთად
მსხვერპლის შეწირვას, ისე როგორც ყოველდღეს იგი
მონური შიშით შეპყრობილი სწვავს საკურთხეველს
და სცდილობს ღმერთი მოატყუოს ცრუ სასოებით.

ა დ ა

არა, აბელი, ჩემო კაენ, კარგად მოიქცა.

კ ა ე ნ ი

ორი სამსხვერპლო ზედმეტია: შესაწირავი
მე არაფერი გამაჩნია.

ა დ ა

მიწის ნაყოფნი,
დამწიფებულნი სხვებზე უმალ, ყვავილნი მისნი,
ყველა იმისი მცენარენი საუკეთესო:
აი უფლისთვის საამური ძღვენი, როდესაც
შეეწირვიან მას ისინი უმორჩილესი
და ნაღვლით სავსე სულის მიერ.

კ ა ე ნ ი

ვიყავ მორჩილი
უმძიმეს წყევის, დედამიწას ვთხრიდი სულ მუდამ
ოფლში მცურავი. და ნუ თუ ეს არ კმარა კიდევ?
რად უნდა ვიყო მე მორჩილი? მუდმივ ბრძოლისთვის
სტიქიონებთან, ასე მტრულად რომ გვექცევიან?
ამ უმწარესი პურის გამო, რომელსაც ჩვენ ვსჭამთ?
რისთვის შევსწირო მას მადლობა? იმისთვის, რომ მე
მტვერი ვარ მხოლოდ და ვიბრძოლებ სულ მუდამ მტვერში
მანამდე, ვიდრე მე ისევე მტვრად არ ვიქცევი?
არა, თუ კი მე არაფერი არა ვყოფილვარ,

ფარისეველი არ გავხდები რაც უნდა იყოს;
მე არ ვაჩვენებ თითქოს ტანჯვა მეადვილება.
მე რისთვის უნდა ვინაღვლო და ვიტანო თავ[illegible]
მშობელი მამის ცოდვის გამო, რომელიც [illegible]
გამოვისყიდეთ ჩვენ იმითი, რაც გადვიტანეთ,
რომელიც კიდევ ჩვენს უბედურ შთამომავლობას
გამოსასყიდათ გაუხდება უსაზღვრო ტანჯვით?
ჩვენმა პატარამ, ასე ტკბილად რომ სძინავს აგერ,
ჯერ როდი იცის, რომ იმაში მარხია თესლი
სამარადისო წამებისა გაწწირულ ძეთა,
რომელთა რიცხვი უსაზღვროა. რამდენად უფრო
იქნებოდა ეს ბედნიერი, რომ ამ ძილის დროს
ავიყვანო და დავანარცხო ქვებზე მე იგი,
ვიდრე ცოცხალი დარჩეს მისთვის, რომ...

ა დ ა

ღმერთო ჩემო!
ბავშვს არ შეეხო!.. ჩემს ბავშვს!.. შენს ბავშვს! ო, კაენ, კაენ!

კ ა ე ნ ი

არა, ნუ შიშობ! რომ მაჩუქონ ცის მნათობები,
რომ მომცენ ძალა, რომელიც მათ განაგებს, მაინც
არ შეეხები ამ პატარას სხვაებრ თუ არა
ხვეენით და კოცნით მამობრივით.

ა დ ა

რა საჭიროა,
მაშინ ასეთი საშინელი სიტყვები, კაენ?

კ ა ე ნ ი

მე ვამბობ მხოლოდ: სჯობს მოესპოს სიცოცხლე იმას,
ვიდრე იცოცხლოს იმ უმძიმეს წამებისათვის,
რომელიც უნდა გადიტანოს და უანდერძოს;
მაგრამ, რადგანაც ეს სიტყვები არ მოგეწონა
მაშინ ვსთქვათ მხოლოდ: უმჯობესი იყო იმისთვის,
რომ მას სრულებით დაბადება არ ღირსებოდა.

ა დ ა

არა ნუ ამბობ ამას. მაშინ სად იქნებოდა
უნეტარესი დედისათვის ბედნიერება.
რომელიც იმის სიყვარულში, პატრონობაში
და ალერსშია მოქცეული? აი შეხედე —
გამოელვიძა. ჩემო შვილო!
(მიდის ბავშვთან)

აბა მოდი და
უყურე, კაენ, თუ სიცოცხლით როგორ გაესილა:
ჰყვავის, იცინის—რა ლამაზი, რა ჯანსაღია!
როგორ ჩამომგავს და შენც როგორ დაგმსგავსებია,
როცა არა ხარ გულმოსული. მაშინ ჩვენ ყველა
ვგევართ ერთმანეთს; მართალია ხომ, ჩემო კაენ,
რომ ჩვენ სამივე ჩვენი სახის მოხაზულობას,
რომელნიც წყალში მოსჩანს, როცა შიგ ვიხედებით,

ვხედავთ აშკარად ერთმანეთში. გიყვარდეთ კაენ!
და შენი თავიც შეიყვარე ჩვენი გულისთვის:
ჩვენ ხომ გვიყვარხარ ასე ძლიერ! შეხედე ამას,
როგორ იცინის, ხელებს სწვდის და მტრედივით
თვალებით გიმზერს შენ თვალებში, ხოლო ტანი კი,
მისი პატარა სხეული კი, თრთის სიხარულით,
როგორც პატარა ჩიტის ბარტყი ფრთებ მოცახცახე:
ალბათ ამითი მისალმება სურს გამოხატოს
მშობელის მიმართ. ნერას ამბობ ტანჯვის შესახებ!
აკურთხე შვილი! და რადგანაც ის პატარაა
მისთვის, რომ სიტყვით შემოგწიროს მადლობა თვისი,
ამიტომ იგი მადლობელი იქნება გულით.

კ ა ე ნ ი

იყავ კურთხეულ, შვილო ჩემო! თუ კი მოკვდავის
ლოცვა-კურთხევა გადაგარჩენს გველის დაწყევლას.

ა დ ა

ო, რა თქმა უნდა! მამობრივი შენი დალოცვით
ბიწიერება აშორდება ამას გველური.

კ ა ე ნ ი

ვეჭვობ ძალიან; მაგრამ ამის მიუხედავად
მე ვლოცავ ჩემს ბავშვს.

ა დ ა

აი აგერ ჩვენი ძმაც მოდის.

კ ა ე ნ ი

ვხედავ: შენი ძმა აბელია.
(შემოდის აბელი)

ა ბ ე ლ ი

მშვიდობა კაენს.
სული უფლისა გადმოვიდეს შენზედა, ძმაო.

კ ა ე ნ ი

შენზედაც, აბელ.

ა ბ ე ლ ი

დამ გადმომცა, რომ რაღაც სულმა
ჩვენს ახლო-მახლო მიდამოებს შენ გაგაცილა
ძალიან შორს სასეირნოდ. თუ ეკუთვნოდა

ის იმ სულთა რიცხვს, კავშირი რომ უჭირავთ ჩვენთან,
და ან თუ ადამს ჩამოჰგავდა სახიერებით?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ ა ე ნ ი

არა.

ა ბ ე ლ ი

თუ არა, მაშ რიღასთვის უახლოვდები?
ვინ იცის, ეგებ ზენაარსის მტერია იგი.

კ ა ე ნ ი

და ადამიანთ მეგობარი. ხოლო ასეთი
როდის ყოფილა ზენაარსი?—თუ კი შენ იმას
ასე უწოდებ.

ა ბ ე ლ ი

ჰო, მე იმას ასე უწოდებ!
შენი სიტყვები, ძმაო ჩემო, დღეს მაოცებენ.
ადა, დაგვტოვე შენ დროებით. მე და კაენმა
უნდა მივართვათ მსხვერპლი უფალს.

ა დ ა

მშვიდობით, ჩემო
ძვირფასო კაენ! მაგრამ ჯერ კი აკოცე შენს შვილს.
დეე იმისმა სულიერმა სიმშვიდემ და ძმის
ღრმა სასოებამ უწმიდესი სამსახურის დროს
შენ დაგიბრუნოს სათნოება და სიხალისე!
(ადა ბავშვით გადის).

ა ბ ე ლ ი

სად იყავ, კაენ?

კ ა ე ნ ი

მეც არ ვიცი.

ა ბ ე ლ ი

რა ნახე?

კ ა ე ნ ი

ვნახე
საიდუმლონი უთვალავნი, განუზომელნი,
ცოცხალნი, მკვდარნი ჰაეროვან სივრცეებისა,
აურაცხელი სამყარონი, და ქარტეხილი
გამოუცნობი საქმეების და ნივთებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმენის დამხშობი სიმღერებით აგუგუნებულ
ფიცხელ მზეებზე, მთვარეებზე, მიწათა ზედაპირებზე
და თვალ უწვდენელ სფეროებზე, ასე რომ ბოლოს
არ შემიძლია მე მოკვდავთან საქმის დაჭერა.
აბელ, დამტოვე; მე მჭირდება განმარტოება.

ა ბ ე ლ ი

შენი თვალები უცნაურად გაბრწყინვებულან,
მთლად შენი სახე უცნაური რისხვით ელვარებს,
შენი ხმის ბგერა უცნაურად გაისმის კაენ...
რას ნიშნავს ნეტა ყოველი ეს?

კ ა ე ნ ი

ეს ნიშნავს იმას...
მაგრამ გთხოვ თავი გამანებო.

ა ბ ე ლ ი

არა მე მინდა,
რომ შენთან ერთად ყოვლად შემძლეს ვევედრო.

კ ა ე ნ ი

აბელ,
მე გთხოვ, რომ მარტო შენ ევედრო; შენს იელოვას,
ვიცი, უყვარხარ მეტის მეტად.

ა ბ ე ლ ი

ზენც, მაქვს იმედი.

კ ა ე ნ ი

მაგრამ შენ უფრო გაცილებით; მე მას ამისთვის
როდი უჩივი: ჩემზე მეტად გამოსადეგი
იმის წინაშე სამსახურში ხარ შენ უთუოდ.
მაშ ემსახურე რამდენიც გსურს, მხოლოდ კი მარტო,
ან და, ყოველგვარ შემთხვევაში, უჩემოდ მაინც.

ა ბ ე ლ ი

მე ღირსი შვილი ადამისა არ ვიქნებოდი,
რომ მე პატივი არ ვსცე, ძმაო, შენს უფროსობას
და აქ, ამ მსხვერპლის ძიტანის დროს, რომ არა გთხოვო—
პირველშობილმა დაიკავო პირველი რიგი.

კ ა ე ნ ი

მე არასოდეს არ მხიბლავდა ეგ პირველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ბ ე ლ ი

და მით უმეტეს სამწუხარო არის ეს ჩემთვის.
გთხოვ ახლა მაინც ისარგებლო შენი უფლებით.
მე ისე ვფიქრობ, შენი სული ბრძოლაში არის
რაღაც საშინელ ცდუნებასთან; მსხვერპლის შეწირვა
დაბურუნებდა მას მშვიდობას.

კ ა ე ნ ი

არა არაფერს.
არ შეუძლია დაუბრუნოს მას ეს მშვიდობა.
მე ვსთქვი: მშვიდობა? არასოდეს იგი ჩემს სულში
არა ყოფილა, თუმც მიგვრძნია მე დაწყნარება
სტიქიონთ შორის. ძმაო აბელ, დამტოვე მარტო,
ან ნება მომეც მე დაგტოვო, რომ სისრულეში
შენ მოიყვანო აქ ეს შენი წმინდა განზრახვა.

ა ბ ე ლ ი

არა ორივემ შევასრულოდ ერთად ჩვენ ესე
ღვთის სამსახური... ძმაო კაენ! ნუ შეურაცხმყოფ.

კ ა ე ნ ი

მე მზად ვარ, თუ კი საჭიროა ეს უსათუოდ,
მაგრამ რა უნდა გავაკეთო?

ა ბ ე ლ ი

ამოირჩიე
ერთად ერთი შენ ამ ორი საკურთხეველიდან.

კ ა ე ნ ი

შენ ამირჩიე; ჩემის აზრით სულ ერთი არის:
მხოლოდ ბელტები და ქვებია.

ა ბ ე ლ ი

არა, ირჩიე.

კ ა ე ნ ი (მიუთითებს ერთ-ერთ საკურთხეველზე).

მე ვირჩევ ამას.

ა ბ ე ლ ი

ჰო, ეს უფრო მაღალი არის
და შენთვის უფრო შესაფერი და ღირსეული.
ახლა შენ უნდა მოამზადო საკურთხეველისთვის
მსხვერპლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ე ნ ი

სად არის შენი მსხვერპლი?

ა ბ ე ლ ი

აჰა შეხედე —
საუკეთესო საკლავები ჯოგთაგან აგერ.
მათი ბუმბული უნაზესი იქნება მსხვერპლი
უმორჩილესი.

კ ა ე ნ ი

მე ჯოგები არ გამაჩნია;
ვარ მიწის მუშა და მე ძალმიძს მიცემა მისი,
რითაც ჩემს შრომას აჯილდოებს მკერდი მიწისა:
ეს არის მისი ნაყოფები.
(ჰკრეფს ნაყოფებს).
შეხედე ამათ:
როგორ ფერებით ქათქათებენ დამწიფებულნი,
(ორივე აწყობს საკურთხეველზე შესაწირს და ცეცხლს უკიდებს).

ა ბ ე ლ ი

როგორც უფროსი, შენ წარმოსთქვამ ლოცვას პირველი
მოკიდებული საკურთხეველის წინაშე, ძმაო.

კ ა ე ნ ი

არა, არ მაქვს მე საამისო გამოცდილება.
შენ მე პირველმა მიჩვენე და ვეცდები შემდეგ,
შენგან ნაჩვენებ მაგალითის მსგავსად მოვიქცე.

ა ბ ე ლ ი (მუხლს მოიდრეკს).

ჰოი, უფალო, შენ, რომელმაც ჩვენ გაგვაჩინე
და ნესტოებში შთაგვბერე ჩვენ სიცოცხლის სუნთქვა
აკურთხე მაღლით ჩვენი მოდგმა და არ ისურვე
დავლუპულიყოთ სამუდამოდ შვილნი ცოდვისა,
რაც ჩვენ უთუოდ მოგველოდა დამსახურებით,
თუ რომ შენს რისხვას სამართლიანს არ შერეოდა
შენი სიკეთე, რომელმაც ჩვენ, უღირს ცოდვილებს,
ედემს გარეშე სხვა, ახალი ედემი მოგვცა!
ღმერთო სინათლის, დიდებისა და კეთილისა,
ბოროტებიდან ვინც სიკეთეს ჰქმნი და ყველაფერს
ამ ქვეყანაზე სიკეთისკენ მიმართავ შენი
მიუწვდომელი, იდუმალი და დაფარული,
მაგრამ ყოველთვის შეუმცდარი, სიბრძნის წყალობით!

მიიღე პირველ მწყემსისაგან პირველ სამწყემსოს
პირველშობილი ეს ნაყოფი, ვითარცა მსხვერპლი
უმორჩილესი. არა თუ ამ მსხვერპლის გულისთვის
მიიღე იგი,—ეს უფლისთვის რას წარმოადგენს? —
არამედ იმის აცრემლებულ სასოებისთვის
შენი მაღალი ცის წინაშე, ვინც მუხლმოყრილი
შუბლით ეგება მტვერს, რომლისგან თვით არს შექმნილი,
და შენ გახსენებს სამუდამო ქება-დიდებით.

კ ა ე ნ ი (ფეხზე მდგომი).

სულო! ვინ ან რაც უნდა იყო—ყოველად ძლიერო,
(ეს შეიძლება მართალია) კეთილო, რაიც
არა სჩანს შენი საქმისაგან! შენ, იეღოვა
დედა-მიწაზე! ხოლო ცაში ღმერთო! და ეგებ
კიდევ ბევრი სხვა სახელებით ცნობილო, რადგან
ყველა თვისებებს შენსას, როგორც ყველა შენს საქმეს,
ჩვენ როდი ვიცნობთ! სულ ერთია ვინც უნდა იყოს,
თუ კი ლოცვებით საჭიროა დატკბობა შენი,
აჰა, მიიღე! ან თუ კი რომ საკურთხევლებით
და შესაწირით უნდა მოლბე—აი ისინი!
აქ შენს წინაშე წარმომდგარა ორი არსება.
თუ სისხლი გიყვარს, სამსხვერპლოზე, რომელიც ჩემგან
მარჯვენით ანთია, იგი უკვე დაჰლვარა მწყემსმა,
და სისხლიანი საკმეველი ხორცთაგან უკვე
მაღლა მოიწევს და ცას შენსას უახლოვდება.
ხოლო თუ კი შენ ნაყოფები, აფერებული
და მოწეული ამ ჭალაში ფართო მნათობის
ცხოველმყოფელი სხივების ქვეშ, არ მიგაჩნია
შენ, შენის აზრით, მიუღებლად, თუმცა ისინი
დაუკლავი და ასოებად აუქნელია
რითაც ისინი უნდა ჰგავდნენ საქმეებს შენსას,
ვიდრე მსხვერპლს ჩვენი ცოდვის გამო; თუ ეს სამსხვერპლო,
მე ვიმეორებ, გაუსვრელი უმანკო სისხლით,
სასურველი და მისაღები იქნება შენთვის,
მიიღე იგი! ხოლო მას კი რაც შეეხება,
ვინაც ეს მსხვერპლი შემოგწირა, ის იმგვარია,
როგორიც შენ ის გააჩინე და მუხლმოდრეკით
მას არაფერი სათხოვარი არა აქვს შენთან.
თუ ბოროტია მისი გული, განგმირე იგი!
შენ ხარ მძლეთა მძლე, მბრძანებელი და როგორ ძალუძს
მას შენს წინაშე ამხედრება?.. ხოლო თუ კი ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი არის, მაშინ იგინი—როგორც გენებოს—
გინდა ახსენი, გინდა მოსპე! ეს ყველაფერი
შენზე ჰკიდია; ყველაფერი სწარმოებს შენ ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა
ნების მიხედვით: ბოროტებაც და სიკეთეც.
და ან რა არის ბოროტება, რაა სიკეთე—
ეს მე ვიცი. მე არა ვარ ყოველად ძლიერი
და არც იმისთვის გაჩენილი, რომ ვიქონიო
ყოვლად ძლიერზე მე მსჯელობა, არამედ მხოლოდ
ვალდებული ვარ შევასრულო მის ბრძანება,
რომელსაც უკვე ვასრულებ მე მთელი ამ ჩემი
ძალით და ღონით.
(აბელის საკურთხეველზე ცეცხლი ბრწყინვალე სვეტის
სახით მიიმართება ზეცისკენ, ხოლო იმავე დროს
ქარტეხილი დააქცევს კაენის საკურთხეველს
და შორს გაჰფანტავს მსხვერპლად
შეწირულ ნაყოფებს),

ა ბ ე ლ ი (მუხლმოდრეკილი).

ო, იცოდე! იცოდე, ძმაო!
შენ თავს დაგატყდა განრისხება უფლისა.

კ ა ე ნ ი

რისთვის?

ა ბ ე ლ ი

ხომ ხედავ შენი ნაყოფები მიწაზე როგორ
მიმოიფანტნენ.

კ ა ე ნ ი

ისინი ხომ მიწამ წარმოშვა
და ისევ მიწას მიებარონ; თესლი იმათი
ახალ ნაყოფებს წარმოშობენ ამ ზაფხულზედვე.
ხორცის შეწირვით შენ უმეტეს აამე ზეცას;
ხედავ, რა ხარბად ყლაპავს იგი კვამლს, როდესაც ის
სისხლიანია.

ა ბ ე ლ ი

დრო არ არის იფიქრო ახლა
მასზე, თუ ჩემი მცირე მსხვერპლი რამდენად ღვთისთვის
სასურველია; ამის ნაცვლად ეცადე მალე
მეორე მსხვერპლი მიიტანო შენს მაგიერად.

კ ა ე ნ ი

მე საკურთხევლებს ამის შემდეგ აღარ ვაშენებ
ამიერიდან შემძაგდება დანახვაც მათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲑᲔᲚᲘ (დგება ზეზე).

კაენ! რა გინდა ჩაიდინო?

ᲙᲐᲔᲜᲘ

მინდა სრულიად
გავანადგურო ეს უმსგავსო ფარისეველი
ზეცის წინაშე, აღმავლენი შენი საბრალო
ლოცვა-ვედრების, გათითხნილი კრავების სისხლით,
დედის ძუძუებს რომ მოსწყვიტეს, —სამსხვერპლო შენი!

ᲐᲑᲔᲚᲘ

არ მიეკარო! არ დაურთო ულმერთო სიტყვებს
ულვთო საქმენი; როგორაც სდგას საკურთხეველი,
იმგვარადვე იდგეს ისევ; იგი ამ ქამად
ნაკურთხი არის იეღოვას უკვდავ განცხრომით
და მხოლოდ იმის საკუთრებას შეადგენს იგი.

ᲙᲐᲔᲜᲘ

მის საკუთრებას! მის განცხრომას! მისი განცხრომა
ამ ხორცებიდან აორთქლებულ სისხლშია ნუ თუ?
დედების მწარე ბღავილშია, რომლებსაც კიდევ
ჯერ თავის დაკლულ შვილებისთვის უთრთით სხეული?
ან ეგებ მსხვერპლთა წამებაში, როცა ისინი
ემაგ უწმინდეს დანის ქვეშე იკლაკნებიან?
ჩამომეცალე! აწ ეს ძეგლი სისხლით გასვრილი
მალალ ქმნილების სამარცხვინოდ აღარ დარჩება
მზის ქვეშ მდგომარე.

ᲐᲑᲔᲚᲘ

კაენ, ძმაო! შეჩერდი, კაენ:
შენ ამ ჩემს წმინდა საკურთხეველს შესამუსრავად
ხელს არ შეახებ; ხოლო თუ კი ახალი მსხვერპლის
შესაწირავად გინდა იგი —ის შენ გეკუთვნის.

ᲙᲐᲔᲜᲘ

ახალი მსხვერპლი! გზა მომეცი! გამიშვი, თორემ
ამ მსხვერპლად მე შენ...

ᲐᲑᲔᲚᲘ

რის თქმა გინდა?

ᲙᲐᲔᲜᲘ

ჩამომეცალე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს უფალს სისხლი მეტად უყვარს! გაფრთხილდი, აბელ,
რომ მან ეს სისხლი არ მიიღოს დღეს აქ ზედმეტად
ჩამომეცალე!

ა ბ ე ლ ი

მე იმისი სახელით ვდგევარ
შენსა და იმის საკურთხეველის შუაში.

კ ა ე ნ ი

თუ კი
შენ შენი თავი არ მოგძულდა, ჩამომეცალე,
რომ ემ ბელტები მის მშობლიურ ველზე გავფანტო,
თორემ იცოდე...

ა ბ ე ლ ი

ჩემს სიცოცხლეს მე მირჩევნია
ღმერთი-უფალი.

კ ა ე ნ ი (დაჰკრავს მას საფეთქელში მუგუზალს,
რომელსაც საკურთხეველიდან აიტაცებს).
მაშ წაიღოს ის შენმა ღმერთმა:
ის ხომ ხარბია ასეთ მსხვერპლზე.

ა ბ ე ლ ი (ეცემა ძირს)
ძმაო, რა ჰქენი?

კ ა ე ნ ი

ძმაო!

ა ბ ე ლ ი

უფალო, ჩაიბარე შენ მონა შენი,
ხოლო შეუნდე მკვლელს იმისას—მან არ იცოდა
რას სჩადიოდა... ძმაო კაენ, მომეცი ხელი,
გამომიწოდე შენი ხელი და უთხარი ჩემს
საბრალო ზილლას...

კ ა ე ნ ი (პაუზის შემდეგ)
ჩემი ხელი!—ის წითელია!
რითი?
(გრძელი პაუზა. ის იმზირება ირგვლივ)
სადა ვარ? მარტოდ-მარტო! ეს აბელია?
მე ვარ კაენი? არ იქნება, რომ ეს მე ვიყო.
ძმაო, ადექი, გაიღვიძე! რად უნდა იწვე
შენ ამ მიწაზე? მოვა ჟამი დაძინებისა.

ან რად ხარ ასე ფერწასული? რა მოგივიდა?
დღეს, ამ დილაზე შენ სიცოცხლით სავსე იყავი.
გთხოვ ნუ დამცინი. მართალია, ძლიერ შემოგკარ,
მაგრამ არც ისე. რად გადადექ შენ ჩემს წინაშე!
მაგრამ ეს მხოლოდ ხუმრობაა; შენ გინდა ამით
რომ შემაშინო: ის უბრალო, მხოლოდ უბრალო
შემოკვრა იყო. გაინძერი! შემოტრიალდი!...
აი, ამგვარად—კარგი, სუნთქავ! ო, ძმაო კიდევ
ამოისუნთქე! ღმერთო! ღმერთო!

ა ბ ე ლ ი (ოდნავ გასაგონად)

ღმერთს ვინ ახსენებს?

კ ა ე ნ ი

მე—შენი მკვლელი.

ა ბ ე ლ ი

დე უფალმა შეგინდოს. ძმაო,
არ დაივიწყო ჩემი ზილლა; მხოლოდ შენ ერთი
დარჩი ძმა იმის.

კ ა ე ნ ი

მე—არცერთი. ო, ვინ წაართვა
კაენს ძმა მისი?! მას ოვალები გახელილი აქვს,
მაშ არ მომკვდარა იგი, არა! მე გაგონილი
მაქვს, რომ სიკვდილი ძილს ჩამოჰგავს, ხოლო ძილი კი
თვალებს უხუჭავს. აი ბაგეც გაპობილი აქვს,—
უნდა სუნთქავდეს! მაგრამ სუნთქვა არ მესმის მისი.
ახ, გული უნდა გაუსინჯო—უცემს თუ არა?
მე ვგონებ არა!. და ნუ თუ ეს სინამდვილეა?
ეგებ ძილში ვარ? ეგებ უცებ გავჩნდი სხვა უფრო
ცუდ სამყაროზე? ჩემს წინაშე ბრუნავს ყოველი
ეს რაღა არის? სოველია...
(გადაუსვამს შუბლზე ხელს და ათვალიერებს შემდეგ მას).
მაგრამ ნამი კი
არ არის იგი. ეს სისხლია, სისხლი ჩემი ძმის,
ჩემგან დაღვრილი! ამის შემდეგ რა საჭიროა
ჩემი სიცოცხლე, როდესაც მე მოვსპე სიცოცხლე
უახლოესი არსებისა? ო, არა, არა—
ის არ მომკვდარა! სიკვდილია ნუ თუ სიჩუმე?
არა, ის ზეზე წამოდგება—უნდა ველოდო,
განა სიცოცხლე ისე სუსტი და უძლურია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ასე უცბად, ასე სწრაფად მოისპოს იგი?
გარდა ამისა, შემდეგ კიდევ ხმა ამოიღო
რა უთხრა მე მას? ძმაო ჩემო!.. არა, არ მომ[illegible]
მე ამ ძახილზე პასუხს იგი: ძმები ერთმანეთს
ასე სასტიკად ხომ არ უნდა ლახვრავდნენ. მაგრამ
მაინც გთხოვ კიდევ მიპასუხო, კვლავ გამაგონოს
შენმა ტკბილმა ხმამ ერთი სიტყვა, რომ მე ატანა
შემეძლოს თვითონ ჩემი ხმისა!

(შემოდის ზილლა)

ზ ი ლ ლ ა

რა ამბავია?—
დიდი ხმაური მოისმოდა აქედან. კაენ,
შენ აქ სდარაჯობ ჩემს მეუღლეს. რა მოხდა, ძმაო?
სძინავს? ო, ღმერთო! რასა ნიშნავს ეს გაფითრება
და ეს ღვარები მის სახეზე? ნუ თუ სისხლია?
მაგრამ აქ მის სისხლს ვინ დაღვრიდა? რას ნიშნავს? აბელ!
ვინ ჩაიდინა?.. არ ინძრევა, აღარც სუნთქვა აქვს...
და ხელი მისი მივარდება ხელიდან, ვით ქვა.
სასტიკო კაენ! რატომ დროზე არ მიე'შველე,
რომ დახმარება გაგეწიოს მისთვის ბრძოლაში?
მასზე მოსულ მტერს შენ წინ უნდა გადასდგომოდე,
როგორც იმაზე უფრო მძლავრი. მამა, მოდი აქ!
აქეთ წამოდით ევა, ადა. აჰა, მოვიდა
სიკვდილი ქვეყნად!

(მიდის და ხმამაღლა მოუწოდებს დედას და მამას)

კ ა ე ნ ი (მარტო)

მერე იგი ვინ მოიყვანა?
მე—მე, რომელმაც შევიძულე მისი ხსენება
იმდენად ღრმად, რომ თვით აზრიც კი იმის შესახებ,
ვიდრე მის სახეს შევხედავდი პირდაპირ, ჩემს ტვინს
შხამში ხარშავდა! მოვიყვანე მე ის ამ ქვეყნად
და მერე რისთვის? რომ ჩემი ძმა მის ცივ მკლავებზე
გადამეწვინოს! თითქოს ჩემდა დაუხმარებლად
მას არ შეეძლო იმ საშინელ ძალა-უფლებით,
რომელიც იმას მისჯილი აქვს, აღჭურვილ იყოს.
აჰა, ბოლოს მე გავიღვიძე. აეი სიზმარი,
რომელმაც გიჟი გამხადა მე, უკვე გათავდა;
მაგრამ აბელი არასოდეს არ გაიღვიძებს!

(შემოდიან ადამი, ევა, ადა და ზილლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲓᲐᲛᲘ

აი მოველი მე აქ ზილლას კვნესა-ტირილზე
და რასა ვხედავ? შვილო ჩემო! ევა შეხედე
მაცდური გველის და შენს საქმეს!

ᲔᲕᲐ

ნუ მეუბნები
ეხლა შენ ამას; მე ისედაც გველის კბილები
გულს მიწიწკნიან. აბელ! შვილი! ო, იელოვა!
სასჯელი ესე აღემატა ჩემს დანაშაულს:
ამის წართმევა, ამის მოკვლა.

ᲐᲓᲐᲛᲘ

ვინ მოჰკლა იგი?
კაენ შენ მასთან იყავი აქ. მითხარ: ვინ იყო?
სული, რომელიც გვემტერება, ერთი მათგანი,
თავზე ღვთის რისხვა რომ დაატყდათ, თუ მხეცი რამე,
ნადირი ტყისა?

ᲔᲕᲐ

საშინელმა შუქმა, ვით ელვამ,
მთელი ეს საქმე გაანათა ჩემი თვალის წინ!
ის მუგუზალი! ვინ აიღო საკურთხევლიდან?
ის მთლად შავია კვამლისაგან და ერთიანად
სისხლში გასვრილი!

ᲐᲓᲐᲛᲘ

შვილო ჩემო, მოგვეც პასუხი, —
დაგვარწმუნე, რომ ეს მომხდარი უბედურება,
არც მთლად იმდენად დიდი არის, როგორც ჩვენ ვეჭვობთ.

ᲐᲓᲐ

კაენ, უთხარი, რომ ეს საქმე შენ არ გიქნია.

ᲔᲕᲐ

ეგ არის, ვხედავ, დამნაშავე დაჰხარა თავი
ველური სახე დაიფარა მან სისხლიანი
თვისი ხელებით.

ᲐᲓᲐ

ნუ აყენებ შეურაცყოფას,
დედა, უბრალოდ! მოიშორე თავიდან, კაენ,

ცილის წამება სისხლიანი, რომელიც მხოლოდ
ერმა მწუხარებამ შთააგონა ჩვენს ძვირფას მწუხარებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე ვ ა

მისმინე, დიდო იელოვა! განუშორებლად
იყოს იმასთან საუკუნო წყევა გველისა!
ის ხომ იმისგან უფრო არის წარმოშობილი,
ვიდრე ჩვენს მიერ. დეე ყველა დღეები მისი
იყოს მწუხარე იმგვარადვე, როგორც ეს. დეე...

ა დ ა

დედა! ნუ სწყევლი: ის ხომ შენი შვილია, დედა?
იგი ძმა არის და მეუღლე ჩემი. ნუ სწყევლი!

ე ვ ა

მისი წყალობით შენ წაგერთვა ძმა სამუდამოდ,
ზილლას მეუღლე, მე კი შვილი. იყოს წყეულნი
და თვალთა ჩემთა არ იხილონ ამიერიდან
ის ყოველივე ამის გამო. ყველა კავშირი
გასწყდეს ჩვენ შორის, ისე როგორც გასწყვიტა იმან
კავშირი ძმასთან. ო, სიკვდილო! რატომ პირველად
მე არ მიმსხვერპლე? ხომ პირველი მე წამოველი
შენს შესახვედრად?

ა დ ა მ ი

ევა, კმარა, გმართებს სიფრთხილე!
შენი ნაღველი გასაგები—შეცოდებაა.
ეს უმძიმესი ჩვენი ბედი ჩვენთვის წინასწარ
ცნობილი იყო: და აი, ის გვესტუმრა კიდეც.
გადავიტანოთ იგი ეხლა ჩვენ ღვთის წინაშე,
როგორც შეჰფერის იმის მორჩილ მონებს, რომლებსაც
სჯერათ იმისი წმინდა ნება.

ე ვ ა (უთითებს კაენზე)

ამისი ნება!

აი იმ დემონს საკვდილისას უნდოდა იგი,—
ქვეყნად ჩემ მიერ დაბადებულს სურს ეს ქვეყანა
მკვდრებით მოჰფინოს. დაიწყევლოს სახელი მისი!
ტანჯვით აღსავსე დე გაიჭრეს უდაბნოდ იგი,
ვიდრე იქ თავის საკუთარი შვილებისაგან
ის არ განიცდის იმას, რაც ძმას თავს დააატეხა!
რომ იქ ფრთები და მახვილები ქერუბიმების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისით და ღამით განუწყვეტლივ სდევნიდნენ იმას!
დეე გველებით მოიფინოს იმისი გზები!
მიწის ნაყოფი იმის პირში გადიქცეს ნაცრად!
მწვანე ფოთლები, რომლებზედაც თავს მისდებს იგი
მორიელებით სავსე იყოს! რომ ძილში იმას
ელანდებოდეს დალუპული მის მიერ მსხვერპლი!
ხოლო ცხადლივ კი, როგორც მკვლელი, შიშისგან ძრწოდეს!
დეე სპეტაკი ნაკადები, როდესაც იგი
თავის საშინელ ბაგეს დახრის იმათზე, უცბად
სისხლად გადიქცნენ! დეე ყველა სტიქიონებში
იგი ღალატს და მოტყუებას ხვდებოდეს მხოლოდ!
რომ თვით სიცოცხლე იყოს მისთვის ის სატანჯველი,
რომლითაც სიკვდილს ჩვენ შევხვდებით, ხოლო სიკვდილი
სიკვდილზე უფრო საშინელი მისთვის, რომელმაც
გააცნო იგი ადამიანს თავდაპირველად!
შორს, შორს, ძმის მკვლელო! სიტყვა ესე ამიერიდან
უნდა ნიშნავდეს კაენს!—კაენ! სამარადისოთ
სახელი ესე შენს უთვალავ შთამომავლობას
ამ ბოროტებას მოაგონებს. დეე ბალახი
დასჭკნეს იქ, სადაც ფეხს დაადგამ შენ გასავლელად!
დეე ტყეებმა აღგიკვეცონ თავისი ჩრდილი,
თავშესაფარი—აქ სოფელმა, მიწამ—სამარე,
მზემ—განათება, მალალმა ცამ—თავისი ღმერთი!
(გადის).

ა დ ა მ ი

წადი აქედან. ჩვენ არ ძალგვიძს ამიერიდან
შენთან ცხოვრება. აირჩიე შენი გზა მალე
მიცვალებული მე დამრჩება. მარტო ვიქნები
ამ დღიდან სულ მე: ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდებით
აწ ვერასოდეს.

ა დ ა

მამა ჩემო! გაშორდი ისე,
როგორც შეშვენის კეთილ მამას: ნუ დაუმატებ
შენს წყევა-კრულვას იმ საშინელ წყევას, რომელიც
თავს დაატეხა ამას ევამ.

ა დ ა მ ი

მე არა ვსწყევლი:
მის სულში არის მისი წყევა. წავიდეთ, ზილლა.

ზ ი ლ ლ ა

მე უნდა დავრჩე ჩემი ქმარის ცხედართან, მამა.

ა დ ა მ ი

ჩვენ ისევ მოვალთ; ჯერ კი მხოლოდ წავიდეს
ვინც ჩაიდინა საშინელი ეს ბოროტება.
წავიდეთ.

ზ ი ლ ლ ა

ერთხელ კიდევ უნდა დავკოცნო მისი
ტუჩები უკვე გაყინული, მაგრამ ოდესღაც
ცეცხლივით მწველი! გულო ჩემო! მისკენ ბა გული.
(ადამი და ზილლა გადიან).

ა დ ა

ხომ გაიგონე, ჩემო კაენ,—უნდა წავიდეთ
ამ ადგილიდან. მე მზადა ვარ და მოვამზადებ
ბავშვებსაც მალე. მე წავიყვან ენოხს, შენ მის დას.
გვიჯობს წავიდეთ მზის ჩასვლამდე, რომ უდაბნოში
ღამით არ შეგვხვდეს სიარული. მაგრამ რად სდუმხარ?
ხმა ამოიღე.

კ ა ე ნ ი

ჩამომეხსენ!

ა დ ა.

ახ, ვერა ხედავ,
რომ შენ ყველანი ჩამოგეხსნენ?

კ ა ე ნ ი

შენ რაღას უცდი?
შენ ძალგიძს განა, რომ იცხოვრო ისეთთან, ვინაც
ეს ჩაიდინა?

ა დ ა

მე ყველაფერს მოვითმენ, შენ კი
არ მიგატოვებ არასოდეს, როგორც არ უნდა
მაკრთობდეს საქმე, რომელმაც ჩვენ ძმა მოგვაშორა.
მე არ მეკუთვნის მისი განსჯა, რაც ღვთის წინაშე
შენ ჩაიდინე.

ხ მ ა

კაენ! კაენ!

ა დ ა

გესმის ხმა იგი?

ხმა

კაენ! ო, კაენ!

ადა

ანგელოზის ხმა არის იგი.
(შემოდის ანგელოზი ღვთისა).

ანგელოზი

სად არის შენი ძმა აბელი?

კაენი

განა დარაჯი
ვარ მე ჩემი ძმის?

ანგელოზი

ეს რა ჰქენი? შენი ძმის სისხლი
მიწის გულიდან ცამდე ახწევს. ამიერიდან
მარად იქნები დაწყევლილი შენ მიწისაგან,
რომელმაც მოხსნა ბაგე თვისი, რათა მიეღოს
შენი ძმის სისხლი დაქცეული შენივე ხელით.
ის არ დაგახმარს თავის ძალას, როდესაც იმას
დაიმუშავებ. შენ დღეიდან ამ ქვეყანაზე
იქნები მუდამ განდევნილი---მოხეტიალე.

ადა

მაგრამ სასჯელი ეს იმდენად ძლიერი არის,
რომ ვერ შეიძლებს მის ატანას. ახლა ხომ იგი
მიწის პირიდან აღგავე შენ, და უფლის სახეც
მის მხედველობას მიჰფარდება. მოხეტიალე
და განდევნილი შეიძლება, რომ ყველამ მოჰკლას.

კაენი.

ო, ნეტა მართლა! მაგრამ მკვლელი სად ვპოვო ჩემი?
მე ამ უდაბნო ქვეყნად მავალს ვინ შემეყრება?

ანგელოზი

შენ მკვლელი იყავ შენი ძმისა, ვინ გიპატიებს
შენ? შვილისგან?

ადა

ანგელოზო, ნათლით მოსილო!
ნუ ამბობ თითქოს მკერდი ესე ბევრის ამტანი
ამ ბავშვში ჰკვებავს საკუთარი მამის მკვლელს.

ანგელოზი

ის იქნებოდა იმგვარივე, როგორიც იყო
მამა იმისი. ევას მკერდმა ნუ თუ არ ჰკვება
იგი, რომელსაც სისხლში ხედავ შენი თვალის წინ?
ძალუძთ წარმოშვან ძმათა მკვლელებს მამის მკვლელები.
მაგრამ ეს მაინც არ მოხდება. ღმერთმა მიბრძანა,
რომ მე კაენის შუბლს ბეჭედი დავასვა, რათა
ის მუდამ თავის ხეტიალში დარჩეს ყველასაგან
ხელუხლებელი. გადახდება შვიდკეცად იმას,
კაენის მოკვლას ვინც გაბედავს მომიახლოვდი.

კაენი

რა გინდა ჩემგან?

ანგელოზი

მსურს ბეჭედი დაგასვა შუბლზე,
რომ სხვა ვინმესგან შენ იგივე არ განიცადო,
რაიც შენ თვითონ ჩაიდინე.

კაენი

არა, სიკვდილი
მინდა მე აწი.

ანგელოზი

შენ სხვაგვარად გაგსაჯა ღმერთმა.
(ანგელოზი დაასვავს კაენს ბეჭედს შუბლზე).

კაენი

ცეცხლით იდაგვის ჩემი შუბლი; მაგრამ ეს მაინც
არაფერია შედარებით იმასთან, რაიც
მის შიგნი ხდება. რა იქნება შემდეგ ამისა?
მე მორჩილი ვარ, როგორც ხედავ.

ანგელოზი

საშოდანავე
დაუდეგარი და ჯიუტი იყავი, როგორც
ის მიწა, რომლის მუშაობა ამიერიდან
შენ გიწერია; მაგრამ იგი, ვინც შენ მოჰკალი
უწყინარი და მშვიდი იყო, ვით ის ჯოგები,
რომლებსაც იგი მწყემსად უდგა.

კაენი

მე ჩასახული

ვიყავი მაშინ, როს დაეცნენ ჩემი მშობლები,
როდესაც ევა ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდა
თავის მძიმე ბედს, ადამი კი დაკარგულ ედემს
ცრემლით იგლოვდა. ვარ ისეთი, როგორიკა ვარ.
არ მოვლენივარ ამ ქვეყანას მე ჩემი ნებით,
არ ვარ ჩემ მიერ გაჩენილი; მაგრამ თუ ძალმიძს
ჩემი სიკვდილით მისი ფეხზე წამოყენება!
ან რისთვის არა? დეე იგი კვლავ დაუბრუნდეს
დღის ბრწყინვალებას, ხოლო მე კი მკვდრად დავეცემი
აქ იმის ნაცვლად! ღმერთისთვის ხომ ადვილი არი
მისთვის სიცოცხლის დაბრუნება, ვინც მას უყვარდა,
და მოკვლა მისი, ვინც სიცოცხლეს ზიზღით უცქერის.

ანგელოზი

სიკვდილისაგან ვინ განკურნავს? რაც მოხდა მოხდა.
წადი—დღეები მიიყვანე ბოლომდე შენი,
და დეე შენი საქმეები ამიერიდან
არ ჰგვანდნენ ამას.

(ანგელოზი ჰქრება)

ა დ ა

ანგელოზი გაქრა. დრო არის
ჩვენც გზას გაუდგეთ! მე მომესმის ჩვენი ენოხის
ტირილი, კაენ.

კ ა ე ნ ი

იგი სტირის და თვით არ იცის
რისი გულისთვის. ხოლო მე კი სისხლის დამღვრელი
ცრემლების დაღვრას ვერ ვახერხებ. თუმც ჩემი სული
ოთხი მდინარის წყალითაც არ განიბანება.
მაგრამ აიტანს ჩვენი შვილი დანახვას ჩემსას?

ა დ ა

მე რო ვფიქრობდე მაგას მაშინ...

კ ა ე ნ ი

ო, კარგი, კარგი—
ქმარა მუქარა; გვეყო რაც ჩვენ ვისმინეთ იგი.
წადი ბავშვებთან. მეც ახლავე თან გამოგყვები.

ა დ ა

არ შემიძლია მიგატოვო მე აქ შენ მარტო
მიცვალებულთან. ორივენი ერთად მოვშორდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ე ნ ი

მკვდარო და მაინც მხილებელო სამარადისოს!
შენ ვისმა სისხლმაც ცას და მიწას მე განმაშორა!
რა ხარ შენ ახლა, მე არ ვიცი, მაგრამ მე რაც ვარ—
ო, თუ კი ამას შენი თვალი ვერ ხედავს, მაინც
შენ მიუტევებ იმას, ვისაც არ ეღირსება
შენდობა ღვთისგან და არც თვითონ თავის სულისგან!
მშვიდობით! ხელის შეხება მე ვერ გამიბედავს
მისთვის, რაც შენგან დარჩენილა. და მე, რომელიც
დავბადებულვარ შენთან ერთად ერთი საშოდან,
ვიზიარებდი დედის ძუძუს შენთან და ხშირად
ძმურად ჩემს მკერდზე მიგიკრავდი სიყმაწვილის ჟამს,—
მე ვერასოდეს ვერ შეგხვდები ამიერიდან.
და ვერც თუ იმის შესრულებას გაბედავ, რასაც
მე თვითონ შენგან მოველოდი—საფლავის გათხრას,
პირველ საფლავის, რომელიც აქ მოკვდავისათვის
ამოითხრება. და მერე ვინ? ვინ განამზადა
საფლავი იგი? მიწავ! მიწავ! ნაცვლად იმისა,
რასაც გულუხვად მიძღვნიდი მე, გიბრუნებ ამას:
ახლა წავიდეთ უდაბნოში.

ა დ ა (დაეცემა და ჰკოცნის აბელის სხეულს).

შენ წილად გერგო,
ძმაო, უდროო დასასრული. ყველა მათ შორის,
შენი დაკარგვით ვისაც გული აქვს განგმირული,
მე ერთად ერთი არა ვსტირი და არც მეკუთვნის
ტირილი ახლა. ჩემი ვალი არის დღეიდან
არა ცრემლების ღვრა, არამედ ცრემლის შეშრობა.
მაგრამ არავის გული ისე არ დაკოდილა,
მძიმე სახმილით როგორც ჩემი—და არა მარტო
შენზე, არამედ იმაზედაც, ვინაც შენ მოგკლა.
მე, ჩემო კაენ, შენს მძიმე ბედს გავინაწილებ.

კ ა ე ნ ი

გზა ავირჩიოთ ჩვენ ედემის აღმოსავლეთით.
იგი უმეტეს უდაბნოა და შესაფერი
ჩემი ტერფისთვის.

ა დ ა

გამიძეხი და მიწინამძღვრე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ღმერთი კი შენ გიძღოდეს ყოველთვის გზაზე, მალე, ბავშვები ავიყვანოთ და გავემგზავროთ.

კაენი

ხოლო ჯერ იმას, ვინც აქ რჩება უსულო გვამად, შვილი არ ჰყავდა. მე დავაშვრე წყარო, რომელიც შთამომავლობას წარმოშობდა სიკეთით სავსეს და მშვიდობიანს, რაც ეგები შესძლებდა ოდნავ მოელბო ჩემი შმაგი სისხლი ჩვენი შვილების დაქორწინებით. აბელ! აბელ!

ადა

მშვიდობა იმას

კაენი

მე?

(შიდიან).

თარგმანი **კონსტანტინე ჭიჭინაძის.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა და მხატვრობა

ევგენი ლუნდბერგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინი და ლეგენდა *)

სიკვდილი თავის წრის შემოვლებით თანასწორ ღირებულებას ანიჭებს ამ ქვეყნით გასულის ინტიმურ და შემოქმედებითი ნაკვთებს. ყველაფერი ადამიანში: — მისი საქმეები და ამ საქმეთა წარმომშობი მოტივები, დაწვრილებითი მზრუნველობით და ოდნავ შესამჩნევი საოცრებით მკვრივდება, ინაკვთება, და ბიოგრაფიის ხოლებით იხლართება, რათა გამოცხადდეს ჩვენს წინაშე, როგორც დასრულებული აქტი შემოქმედებისა, სიკვდილის შემდეგ მოვლინებული აქტი, რომელშიაც თანაბარ მონაწილეობას ღებულობენ ის, ვინც უკვე აღარ არის და ისინი, ვინც ინაწილებენ და ცხოვრობენ მისი მემკვიდრეობით.

როგორც შორეულ მთათა კალთების მოხაზულობა მიახლოების დროს რთულდება და ჰქმნის ისეთ სანახაობას, რომელიც იწვევს, თვალთაგან სხლტება, შემდეგ იზრდება და იშლება წვრილმანებში, რომელნიც შეადგენენ სწორედ ამ მთებს, წარმოგვიდგენენ მათ იმ სახით, რა სახითაც შორიდან მოსჩანან ასევე სიკვდილის პარადოქსი, გამოჰყავს რა ადამიანი ცოცხალთა წრიდან, განიერათ და უხვად შლის ჩვენს თვალწინ მას, რაც მის სიცოცხლეში დაფარული იყო. და აქ, როგოც მთებთან მოახლოვების დროს, თუმცა გვეჩვენება, რომ კი არ მიუახლოვდით, არამედ დავშორდით, — მოზღვავებული და გადაშლილი წვრილმანები დამაჯერებელის სიცხადით მეტყველებენ, რომ ასეთი იყო ეს ადამიანი, სხვაგვარი ის არც შეიძლებოდა ყოფილიყოს. ჩვენ ეხლა ვრწმუნდებით, რომ ლენინი იყო არა მხოლოდ ისტორიულ მსვლელობის გრძელი გამომცნობი, ანალიტიკი და სტრატეგი, არამედ ბევრი სხვაც, რასაც ჯერ კიდევ გუშინ ვერავინ ვერ გრძნობდა, რატომ იყო ის გრძნეული გამომცნობი, სად არის დაფარული საიდუმლოება მისი „თეორიის“ და „პრაქტიკის“? როგორ მოხდა, რომ მასში განსახიერებული იყო ნაციონალური ხასიათის ნიშნები და იმავე დროს ის იყო მთელ მსოფლიოში ყველაზე ნამდვილი და ყველაზე უფრო აქტიური ინტერნაციონალისტი, რომელშიდაც შეგრძნობა ხალხთა კონკრეტიული სხვადასხვაობისა შეთავსებული იყო მოუდრეკელ ნებისყოფასთან ერთიან და ძლევამოსილ

*) ეს წერილი დაწერილია სპეციალურად ჟურნალ „მნათობისათვის“.

აჯანყებისადმი? ის მიმართავდა ირონიას, და ეს ირონია იყო ერთ-ერთი მხარე არა მარტო ლენინის—პიროვნების, არამედ ლენინის—ისტორიის, გამომცნობის. მას შეეძლო შეერიგებია ბრძოლაში სასტიკი შეუდრეკლობა—პირად ეულჩვილობასთან, და სრულიად მოულოდნელათ ბელადის საერთოდ ცნობილი თვისებების გვერდით აშკარავდება თვისებები, ბავშთა კეთილი მეგობრის მზრუნველი ამხანაგის და ადამიანის, რომელიც სათუთ კავშირშია ბუნებასთან, ცხოველთა სამეფოსთან, ტყეებთან, სოფელთან. ჰქონდა უნარი თავდავიწყებით მისცემოდა აზროვნებას, წერას, მუშაობას. იყო მოკრძალებული, ე. ი. პირადულს უქვემდებარებდა საზოგადოებრივს. შეეძლო სხვისი აზრის მოსმენა და მიწვდენა, მაგრამ თუ რამე იცოდა და ამტკიცებდა, ამას იცავდა ის თავისი ცოდნის სრული შეგნებით, უსაზღვრო თავგამოდებით, არ ეშიოდა განკერძოების და სწამდა, რომ ხვალინდელი დღე გახდებოდა მისი ქობაგი. ის იყო დაჯილდოებული საგანგებო, ჯერ კიდევ ანალიზისთვის მიუწვდომელ მგრძნობელობით „სოციალურ ლანდშაფტისადმი" ამ ლანდშაფტში სულ მცირე ცვლილებებს ეხმაურებოდა, შეჰქონდა ეს ცვლილება სისტემაში, გამოჰყავდა დასკვნები და საჭიროებისდამიხედვით სცვლიდა ბრძოლის მეთოდებს. ამბობენ მწერლებში მას გამორჩეეთ უყვარდა ტიუტჩევი და ტურგენევი, აღებდა რა ამით სარკმელს თავის ინტიმობის სულიერ განწყობილებისას, რომელსაც ის არ ჰფარავდა, მაგრამ არც გამოჰფენდა, რადგან ყველაზე უმალ მისთვის არსებობდა არა სულიერი განწყობილება, არამედ საქმე. მაგრამ ეხლა ამ საქმეთა იქით სდგება ჩვენს წინ ცოცხალი პიროვნება მთელი თავისი უზარმაზარი სირთულით და პრობლემატიურობით. და უნდა გავიგოთ; ზოგიერთ საქმეებს ედგმის ძეგლი, მაგრამ ლეგენდა-კი იქმნება მხოლოდ იმ საქმეთა ირგვლივ, რომელნიც თანშეზრდილნი არიან პიროვნებასთან.

რევოლიუციის დღეებსა და მუშაობაში, როგორც მის მომზადების, ისე აფეთქების და შემდეგში მის გეგმაშეწონილ მსვლელობის დროსაც, დავიწყებას იყო მიცემული პიროხვება საერთოდ და კერძოთ ლენინის პიროვნებაც. ბრძოლას ხომ აუცილებლად სინამდვილის გამარტივება მოსდევს. სინამდვილის გამარტივებით მებრძოლნი წინასწარ მოულაპარაკებლად, ფორმულებსა და შედეგებზე დაუფიქრებლად, ისვრიან თავიანთი თავის კონცენტრაციის და გამარტივების ლოზუნგს. ძალთა ასეთი კონცენტრაცია „სწრაფი და პირდაპირი მოქმედებისათვის უალრესად ახასიათებდა ლენინს. ამან თავის დაღი დაასვა მის პარტიასაც მტკიცე ხასიათებისა და პიროვნებათა მტკიცე ხასიათის გამოკვეთით, ალიბეჭდა ენაზედაც, შეიჭრა და გამსჭვალა პიროვნული და საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება. ლენინის პიროვნულ თვისებათა სიდიადემ უეცრად გადმოხეთქა და ალავსო კოემლი, უბნები, ქარხნები, მოედნები და სახლები მისი სიკვდილის შემდეგ, გადაეწნა ზეპიროვნულს, კოლექტიურ საქმეს, მაგრამ აქ არ გაიყინა,—ზარის გუგუნივით მოსკდა ლენინის ახლობლებს, მკვდარ სახეს და მათაც, ვინც ამ სახეზე დახრილიყო.

მე ვფიქრობ, რომ **ტყუილად** კი არ ხდება სინამდვილის გამარტივება და პიროვნული დავიწყება. მაგრამ გამარტივების მიზეზები ისე ახლოს არიან ცნობიერების ზედაპირთან, რომ თითქმის მას უერთდებიან. და მართლაც, როგორ

შეიძლებოდა რომ პიროვნული დავიწყებას არ მისცემოდეს და არ მოხდარიყოს გამარტივება! სულ სხვანაირად უცქერის სამყაროს ფსაქმო მოხეტიალე, რომელიც შუადღისას წამორეხმულა რომელიმე მაღლობის მწვერვალზე, და ნთქავს გარემოს ხმებს, ფერებს და მათ შეხამებას, სხვანაირად უცქერის ჯარისკაცი, რომელსაც უპყრია ელექტროს ფალია და რომლის ყოველ მოქმედებას მოჰყვება დაღუპვა ან გამარჯვება. ჩვენ—ბრძოლის შვილები ვართ, ჯერ არყოფილ ბრძოლის შვილები. შეხლა ხდება არა ორ ხალხს შორის: მთელი კაცობრიობა ორათ არის გაყოფილი ცეცხლითა და მახვილით. მიწიდან იგვებიან ისეთ კულტურათა დაგროვებანი, რომელთა არსებობა ათას წლობით განიზომება. არა მარტო თანამედროვე სახელმწიფოთა და მათ კლასობრივ სტრუქტურას მოელის საბოლოო განადგურება, არამედ იმ წესწყობილებასაც, როცა ბურუსით მოცულ წარსულში მომთაბარე ტომის სათავეში ეჭცეოდა რომელიმე პატრიარქი და პირველ საძირკველს უყრიდა თავის ვიწრო გვაროვნულ კეთილდღეობას—თვით მას, ამ დაბერებულ, მაგრამ ჩვენს დაუძინებელ მტერსაც. უნდა დაიქცეს ყველა ზღუდეები ძველი კერპების ქურუმთაგან მრავალგზის ნაშენი. ადამიანის ფსიქიკიდან, მის ძვალ-რბილიდან და ძარღვებიდან უნდა აღმოიფხვრას ცნებები—შენი, ჩემი და ყველაფერი, ყველაზე უხეშიდან დაწყებული უფაქიზეს სამოსელში გახვეულ მოვლენამდე, რასაც-კი კავშირი აქვს ასეთ ცნებებთან. ერთის მხრივ გვარის მეუფე ქალისა და მეორე მხრივ მონა ქალის შორის, რომელთა ირგვლივ წარმოიშვა მთელი ტყე ლეგენდების, ზნე-ხასიათის, რწმენის და ჩვეულებრივ საუბარში ხმარებულ სიტყვების, უნდა მოხდეს არა ცოცხალი სინთეზი, რადგან აქ სინთეზს ადგილი არა აქვს, არამედ უნდა შეიქნეს ახალი არსება, მესამე, რომლის არაერთარი მაგალითი არავითარი ხსენება წარსულში არ არის—გარდა სრულიად თავისუფალი არსებობის სურვილისა. თუ ღრმათ ჩაუკვირდებით თვით კაცობრიობისთვის ნაანდერძევ ოთხეულა და ფრიოსან ცხოველთა საზოგადოებრიობის ჩანასახს, აღმოვაჩენთ უხეშ ლოდებს, რომელთა მსხვრევა ეხლა გვიხდება ათასი ფროს ცემით, და რომელნიც თავის პირველყოფილობით ისეთ წინააღმდეგობას გვიწევენ, როგორსაც არ შეხვედრია არც ერთი მიწის მკერდის ფოლადით მრღეველი ადამიანი. ასეთ პირობებში როგორ არ უნდა გამარტივდე! როგორ არ უნდა შეიკუმშო მავთულის მსგავსად, ფერად სივრცეთა, ხმათა და ბგერათა თვალყურის ავლებით,—და გადიქცე განზიდულ ისრათ, სიმათ, მწველ ძაფათ, გამტარებლათ დიად ცეცხლისა, რომელიც ანადგურებს და სწვავს მას, რაც დასაწვავია, ადნობს დასადნობს და ისწრაფვის კაცობრიობის ფხვნილად ქცეული ნახშირი შუადღეს მონოლიტურ ალმასათ, ხოლო ლითონი კი აქციოს ორთქლად. — რადგან უცნაურია და საშინელი ქმნადობაში მყოფი მღელვარე ლანდშაფტი ადამიანთა საზოგადოებისა, თავისი ლითონის ორთქლის ხვეულებით და პროლეტარულ მეუფების გამაგრებული ბურუსით, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც წითელ აჩრდილად იყო გაშლილი და, რომელსაც ქარიშხალი ხან ჩრდილოეთისკენ ისროდა, ხან სამხრეთისკენ, ხან აღმოსავლეთისკენ და ხან დასავლეთისკენ.

აი რატომ მარტივდება პიროვნება და მარტივდება სინამდვილე, როცა

გვიხდება წარსულის დამსხვრევა. მომავალი? ისიც ეზიდება ადამიანს გამარტივებისკენ. არავინ არ წარმოსთქვამს სიტყვებს: კაცობრიობა, სიხარული, სიმშვიდე, თითქოს ეს სიტყვები აღარც არსებობდეს კაცთა ენაზე. სიტყვებია: კლასი, ბრძოლა, შეუბრალებლობა, დიქტატურა, გამარჯვება უხვი ხელით მიმოფანტვის ყოველდღიურ ხმარებაში, ისე რომ ყრუ-მუნჯი მიტინგზე ბაგეთა შერხევით გამოიცნობს მათ, დაბრმავებული ასოთამწყობი სრულიად ძალდაუტანებლად ააწყობს მათ და მოაქცევს დასაბეჭდათ გამზადებულ წიგნის თუ გაზეთის გვერდზე. თითქოს დავიწყებას ეძლევა ის, რომ კაცობრიობა კვლავაც იარსებებს, რომ ბრძოლა კლასისა კლასის წინააღმდეგ აღადგენს სწორედ კაცობრიობის სანატრ ერთობას, დაუბრუნებს რა მას სიმდიდრისა და ძალა-უფლების ბოროტებით ჩამოგლეჯილ წევრებს. და მაინც ასეთი დავიწყება, ალბათ, საჭირო და სწორიც არის. განსხვავება კაცობრიობის, სიხარულის, სიმშვიდის, ეს არის გახსენება იდილიის. ბრძოლის საუკუნეებში მათ მხოლოდ დასუსტება მოაქვთ. მით უმეტეს, რომ ეს ბრძოლა ადვილი არ არის, სიცოცხლე სიცოცხლის წილ, კულტურა კულტურის წილ, მომავალი მომავლის წილ. და მით უმეტეს, რომ ეს იდილია ძლიერ ხშირათ სიცრუის და გამცემლობის იარაღათ იყო ხმარებული; მისი სახელით და დახატვით მოტყუებით მიჰყავდა დაღუპვის ბილიკებზე და როგორ არ უნდა ფრთხილობდეს კაცი და სხვასაც არ აფრთხილებდეს, როცა ამბობს—არ ვიცი, ხან კი—მომავალი გვიჩვენებს. სიჩუმე და ცდა არ არის ადვილათ დასაძლევი ცდუნება, ადამიანის საქმიანობის ყოველ დარგში ძნელია მისი დაძლევა. მაგრამ აი დაჰკრა საათმა, როდესაც დაირღვა სიჩუმე. შეცვლილ იქმნა მებრძოლი სიმარტივის კანონი. ეს იყო ლენინის სიკვდილის საათი, ან უფრო სწორათ, არა საათი, არამედ დღეები და თვეები—იქნება წლები და ათეული წლები—მისი სიკვდილის შემდეგ. როცა წარმოითქმის სახელი ლენინ, ძალიან ცოტა რჩება წარსულისგან და აწმყოსგან, არის მხოლოდ მომავალი. არის მომავალში დიდი ნაკადის შეჭრა, რომელიც მიმდინარეობს ლენინის სახელით. სხვანაირათ რომ ვთქვათ, არის ლეგენდა.

II

რა არის ლეგენდა და როდის წარმოიშვის იგი?

ადამიანს არ ძალუძს თავის სურვილისამებრ შეჰქმნას თავის ირგვლივ ლეგენდა, ვინაიდგან ამ ლეგენდის წარმოშობის საჭიროება ისე ღრმათ არის ჩასახული მის შემქმნელ მასსის გულ'ში, რომ იქ კაცის ცნობიერება და ზეიადი სურვილი ვერა სწვდება. ისტორიაში ბევრია სხვადასხვა სახის ისტორიული ჭორები და ლეგენდარული თქმულებები, მაგრამ ნამდვილი ლეგენდები კი ძლიერ მცირე. პიროვნება, რომელიც თავის სასარგებლოდ სცდილობს გამოიყენოს მასსების უმეცრება და გულუბრყვილობა. როცა საქმე მიდგება მათგან ლეგენდის აღიარებაზე, ჰხედავს ამ მასსებს სრულიად გარდაქმნილს—ისინი აღარ არიან გულუბრყვილო და უმეცარნი, არამედ თავის სიღრმეში აღარებენ ნამდვილ სიცოცხლეს და მის ნამდვილ შეფასებას. ისეთი დიდი მზაკვრული პიროვნებე-

ბი, როგორც ფარაონები და კეისრები სამარცხვინოთ დარჩნენ მასსებისათვის მიუღებელი და უცნობი. გაშმაგებული ქვენა ცნობებით ნაკარნახევი სურვილები იმსხვრეოდენ მასსების მიერ აღმართულ ნამდვილი გაგების და შეფასების კედლებზე. ამიტომ არის, რომ პატივმოყვარენი ვერ აღწევენ ისტორიულ მწვერვალებს. ასეთ პატივმოყვარეთათვის აგებული ძეგლები, მიუხედავათ ცხოვრებაში მათი ადგილისა და ცნობის ხარისხისა, იმყოფებიან ისტორიის ადვილათ გადასაზიდ გზებზე, ან ამშვენებენ გამაგრილებელ სასმელების ბაღებს, და ისტორიულ კატასტროფების დროს ასეთ ძეგლებს იყენებენ ლითონისა და ქვის მასალად. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მხოლოდ ისინი, ვინც სძლევენ, ივიწყებენ და სცდილობენ თავის პირადობას იმსახურებენ და იმოსებიან ლეგენდით, რომელიც მით უფრო სწრაფად იშვის და იზრდება, რაც უფრო ნაკლები ფუსფუსი, თავისთავზე ზრუნვა და ცოდვილი მოიპოვება ამ ქვეყნით გასულ მოღვაწის ცხოვრებაში.

ლეგენდა არ წარმოიშვის მხოლოთ ერთჯერ ბედის გაღიმებით და გამარჯვებით. თავისთავად ის არც მაშინ იქმნება, როცა ლაპარაკობენ ქვეყნების დაპყრობაზე, რომელიც განიზომება მრავალ ათას კვადრატულ მილით. სისხლის მღვრელი ომები შედის ბოროტმოქმედებათა ქრონიკაში, როგორც განცხრომის შვილთა აღვირახსნილი ღრეობა. ლეგენდას არ აკვირვებს არც ნიჭი და არც სილამაზე. ის არ ეხება თავის გრძნეულ კვერთხით არც სიბრძნის ხეს. ნაპოლეონი და კეისარი არ მოჰყვენ ლეგენდაში, ალექსანდრე მაკედონელი კი მოექცა მასში, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოკვდა ჭაბუკობისას და იცოდა თავის გაწირვა. ის ცდილობდა დაეძლია დასავლეთის კულტურათა განკერძოება და დაეკავშირებია ისინი აღმოსავლეთთან, ჩაეყენებია დასავლეთიც და აღმოსავლეთიც ძველი ქვეყნისათვის ჯერ უცნობ ერთად ერთ კალაპოტში. მის მიერ გადადგმული ნაბიჯები ავანტიურისტული ხასიათის იყვენ, გარეგნულმა იაფფასიანმა დიდება-მოსილებამ დაჩრდილა მისი ნამდვილი მოწოდება,—მაგრამ ამ მოწოდებას მაინც ემსახურებოდა და მკრთალად ანათებს, ბეუტავს ლეგენდა. პლატონი რჩება ლეგენდისთვის როგორც პროფესორი და ლიტერატორი. სოკრატი-კი ლეგენდაშია გადასული, სოკრატი—პატიმარია და თავის სურვილით განწირული. სოკრატს შეეძლო საპყრობილედან გამოსვლა, სასჯელის თავიდან აშორება, შეეძლო ეცოცხლებიოს და ათეულ წლებით ემოძღვაროს, მაგრამ მაშინ ლეგენდა გვერდს აუვლიდა მას. იესო—ლეგენდაშია. პეტრე დიდი ლეგენდას გადაეწნა—არა სახელმწიფოს აღმაშენებელი, არამედ ხალხის მჩაგვრელი, რომელმაც მოჰკლა თავისი შვილი და მით ამხედრდა თავის არსებაში ყოველგვარ ადამიანების წინააღმდეგ. ამგვარათ აღიბეჭდა მასსების წარმოდგენაში იმ კაცის გიგანტიური სახე, რომელმაც განუკითხავათ შეზღუდა ხალხის მდინარება, რათა სულ მაღლა, მაღლა აეწია წყლების დონე და მათი ტალღები აეტყორცნა ევროპის კულტურის მწვერვალებზე, ისეთ მწვერვალებზე, რომელზედაც თვით პეტრე დიდი, ალბათ ვერაფერს გარკვეულს იტყოდა. აქ ადამიანის ძალ-ღონეს აშკარათ სჭარბობდა მისი ამოცანა, და ადამიანს წინასწარ განმზადილი დაღუპვა ელოდა, თუმცა ის იღვწოდა არა უფლებისა და სახელისთვის. ჩვენს თვალ-

წინ შეიქმნა ლეგენდა ლევ ტოლსტოის შესახებ. ვიდრე ტოლსტოი მდიდარი იყო, ნიჭიერი და სიბრძნეზე მოუთხრობდა, ის იყო ცოტად თუ ბევრად სახელგანთქმული. მაგრამ მან ყველაფერი უარჰყო, გაიქცა, როგორც ბავშვი, სახლიდან, თუმცა მოხუცებული და დასუსტებული იყო,—და უკვე გაწვდილია მისკენ ულმობელი კვერთხი... ისტორიას სძაგს ნიჭი, ძალა, გონება, გამარჯვება, უფლება, სილამაზე—მაგრამ პატივსა სცემს საქმეს. სულ სხვაგვარ და სხვანაირ სიმაღლის საქმეებს. მცირეა თუ დიდი ეს საქმეები, ასეთი გარემოება, როგორც არ უნდა გვეუცხოვოს, ხშირათ მხედველობაში არ მიიღება. პეტრე დიდის მიერ შვილის მოკვლა, ან ტოლსტოის სახლიდან გაქცევა შედარებით მათ შემოქმედებასთან და მათზე გავლენასთან, ვინც ირგვლივ სცხოვრობდა, მეტი რომ არა ვსთქვათ, ხომ სრულიად უჩინარი, არარადქმნილი და თავის შედეგებით გაუმართლებელი საქმეებია. მაგრამ—ეს სულერთია, ის საქმე, როდესაც ადამიანი სტოვებს და სცილდება შეხრდილ წრეს, შეგუებულ იარაღს, შეთვისებულ მანერებს; აღარ ეფარება ხეს, ქვას, თავის დაზოგვის მიზნით არ იმალება სახლში, რადგან საქმეს სცნობს თავზე დიდათ, რადგან სურს იყოს მასთან პირისპირ, უშუალოთ, ყოველგვარ სისუსტის და ყოყმანის გარეშე.

III

ლენინთან თავისებურ ურთიერთობაში იყვნენ გლეხობა, მუშათა კლასი და ინტელიგენცია. მე არ შევეხები მის პარტიულ ამხანაგების დამოკიდებულებას. იმიტომაც, რომ ამის შესახებ თვით ისინი მოგვითხრობენ. აგრეთვე იმიტომ, რომ ისტორიული ლეგენდები მეგობართა და თანამოაზრეთა წრეში არ ინასკვებიან. აქ ბიოგრაფია გაშუქებულია ცნობიერებით და იწვევს ყოველგვარ მაღალ გრძნობებს, მაგრამ სურვილს ლეგენდარობისას ვერ წარმოშობს.

მეგობრები, თანამოაზრენი, ამხანაგები საქმეში და ცოტათ თუ ბევრათ ახლობელი თანამგზავრნი, შედიან ლეგენდის შემქმნელ მასსებში როგორც შემადგენელი ელემენტი, რომელნიც ხან აჩქარებენ ლეგენდის წარმოშობას, ხან იძლევიან მასალას მის შესაქმნელად,—მაგრამ შემოქმედ მასსების ათვისება უფრო უშუალოა, უფრო მოძრავი და ცხოველმყოფელია მათ კერძოობით ათვისებაზე. შემომქმედი მასსა მოკრძალების გარეშე და დაუფიქრებლად გამოიტანს და ახვევს გმირს თავის აზრებს, თავის ზრახვებს, თავის ნება-სურვილს, შემდეგ გამოჰყოფს მათ, ჰპოულობს კონკრეტიულ ფორმებს, რომელშიდაც ისახვის ურთიერთობა მას და გმირს შორის. შემომქმედი მასსა ეპოსში ცოცხლობს, მაშინ როდესაც მეგობრები და თანამოაზრენი, თუ გადასცილდენ შეცნობილ საერთო საქმის საზღვრებს, ლირიკაში შესტოპავენ და ხსნიან მის ნასკვებს. კერძო მიმდევარის ან მიმდევართა ჯგუფის რომანტიზმი ფერმიხდილია ცნობიერებით, და არა მხოლოთ რიცხვობრივათ, არამედ თვისებითაც ვერ უდრის ფართო მასსების რომანტიზმს.

ლენინისადმი გლეხის, მუშის და ინტელიგენტის თავისებური დამოკიდებულება მოგვაგონებს მთლიან კაცობრიობას, როგორც ნანატრ ოცნებას. და

აი აქ გამოისახა, ძველი მსოფლიოს თვალთახედვითაც-კი, უდიდესი მორალური ძალა რევოლიუციისა და რევოლიუციონერისა, რომელიც იშვიათად განსაზღვრულ პირობებში სპობს და ანადგურებს ჯგუფობრივ ხსვაობას და ბრძოლის ტრადიციებს, რათა ადამიანის ნამსხვრევების ხენჯსა და მტვერში გამოინაკვთოს ის ჩონჩხი, რომელსაც უწერია მომავალში სისხლი და ხორცი შეისხას. თუ გლეხი მეშჩანი და ინტელიგენტი მუშის მსგავსად ხვდება ბელადის სიმართლეს — ეს უკვე გამარჯვება არის, ეს უკვე სხვანაირ დროთა წინათგრძნობაა — ვინაიდან ლენინი, მისი საქმის მოწინააღმდეგე სულ სხვადასხვა ხალხის წარმოდგენაში, უკვე სავსებით ისახებოდა იმ სხვა დროებაში, რომლისკენაც სხვები მხოლოდ მიდიოდენ, თან ქანაობდენ და იქით პლატონიურ სწრაფვას დიდ ღვაწლად სთვლიდენ.

ლენინმა იცის, ლენინი არ გაგვცემს, ლენინი გამოგვიყვანს — ასეთი იყო რწმენით სავსე ფორმულები ამ თავისებურ დამოკიდებულებისა. ზეპიროვნული ელემენტი ხაზგასმული რჩებოდა — ასეთი თვისებით განისაზღვრებოდა და ხასიათდებოდა ცოდნა, ერთგულობა, ხელისუფლების აღება, სოციალურ ცდის მოხდენის უფლება.

ალბათ, წითელ-არმიელთა რიგებში სამოქალაქო ომის დროს, პრაქტიკულათ ისმებოდა და იჭრებოდა სიცოცხლეზე უფლების საკითხიც.

რევოლიუციის მძიმე წლებში ლენინთან დაკავშირებული იყო რევოლიუციის მუშაკთა თავისებური ოპტიმიზმი. მისი სახელით თავისდაუნებურათ სულ სხვა ფერებში — იკაზმებოდა პასიური კონტრ-რევოლიუციონერის და უბრალო მოქალაქის უიმედობა.

რაც ლენინი დაჭრეს, ქვეყანა შეინძრა. მართლაც, მთელი ქვეყანა შეინძრა. ლიტერატურის ისტორიკოსმა, მეტაფიზიკოსმა, დაკავშირებულმა იუდაელობის კონცეფციასთან, სთქვა: „მოჭკლეს ხალხის ბელადი". განურჩეველმა პიროვნებამ, კაცმა, რომელიც მისცემია ცხოვრების პრაქტიკას და აღმშენებლობას, შეშფოთებით სთქვა: „მით უარესი" — რადგან, რარიგ შორს არ იყო მის გულთან და რა საშინელიც არ იყო მისთვის საერთოდ რევოლიუცია, გეგმიანი რევოლიუცია მაინც სიცოცხლეს უნახავდა და აძლევდა მუშაობის საშუალებას. ლენინი წარმოდგენილი ჰყავდა მას როგორც ძალა, რომელიც არ უთმობს, მაგრამ შორსგანსჭვრეტით წარმმართველი და ამიტომ თვით მტრის მზოგველი. და ეს ყველაზე უფრო ნიშანდობლივი იყო: მტრები ყველასგან მოითხოვდენ დათმობას, მხოლოთ არა ლენინისგან, და აქ მზათ იყვენ შერიგებაზე წასულივვენ, დამორჩილებოდენ პირდაპირ სამტროდ განწყობილ, მაგრამ ობიექტიურად ცნობილ მიზანშეწონილებას. ამ ამბავს ყველაზე ღრმათ მხატვარი გამოეხმაურა. ის დიდხანს სდუმდა და შემდეგ წარმოსთქვა: „სიცრუეა". ამ სიტყვამ თავის სიღრმეში შეჰკრიბა თითქმის ყველა ხაზები მომენტის და შეიჭრა მოვლენის გულში. რადგან ყველას მძიმე ლოდი აწვა გულზე, როგორც საზიზღარ ჭორით გამოწვეული — მეგობრებს, გულგრილ მაყურებლებს და თავდასხმის სულის ჩამდგმელებს — მათ თვით აღიარეს ეს. ტყვია ყოველთვის არღვევს ყოველდღიურობის მსვლელობას, რომელიც თავის კანონებსა და მნიშვნელოვანებას არ ჰღალატობს

და ინახავს თვით ომების და რევოლიუციის დროს. მაგრამ ეს ტყვია არა მარტო ყოველდღიურობის მსვლელობას აღლვევდა, არამედ ის წყვეტდა ისტორიულ საქმის განვითარებას. ამახინჯებდა ეპოქის სანდ[illegible] ზეაცურ ძალთა დაჭიმვით იჭედებოდა. ეს ტყვია სისხლს უ[illegible] ჭრიდა, სტოვებდა რა ხელუხლებლად და დაფანტულად ასა'ენებელ მასალას და აჩერებდა გულისცემას. ყველამ ვერ შესძლო ამის გათვალისწინება, მაგრამ იგრძნეს კი ბოროტ-განზრახვის ყველა თანამედროვეებმა.

უფრო ცხადათ და საკვლევით გამოისახა ლენინთან განსაკუთრებული დამოკიდებულება, როცა განვლო პირველმა შეშფოთებამ და დაიწყო წლები რევოლიუციონურ მშენებლობის, რომლის თვითეული თვე წლებს ედრებოდა, ხან კი ათეული წლებსაც, შიმშილი, სიცივე, ხვალინდელი დღის გამოურკვეველობა და შიშით მოლოდინი. გვერდზე იხრებოდა საბჭოთა გემი, ქვაბებში წყალი გუგუნებდა და აფეთქებით იმუქრებოდა; კაცი მასსიდან, იყო ის მომქმედი თუ პასიური, იყო ის აღტაცებული გამახვილებული ცნობიერებით თუ სუსტცნობიერი, ეცემოდა, როგორც ლითონის ნაგლეჯი რევოლიუციის გრდემლზე, მას აყალიბებდენ, სწევდენ, ჯგიმავდენ მავთულის მსგავსად, და ასეთი მავთული სულ წვრილდებოდა და წვრილდებოდა—არა ფორმების გადაკეთება, არამედ ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნა იყო დეკრეტით ნაკარნახევი და კიდევაც ტარდებოდა აბორგებულ მხარეში. ემოციებისთვის ვის სცალოდა. ერთნი ფუსფუსებდენ, მეორენი ტყვეობაში იყვენ, მესამენი ერთ-ერთს ებრძოდენ, მეოთხენი წყევლა-კრულვას ისროდენ, მეხუთენი იღუპებოდენ, სწამდათ და შრომობდენ-კი ძლიერ მცირედნი. მაგრამ მათაც, მეორეებმაც და უკანასკნელებმაც იცოდენ, რომ არა სხვაგან, არც მათ ზევით, არამედ მათ გვერდით, ვიღაც ერთი **ჰხედავდა, ფიქრობდა** და იცოდა. შეიძლება ეს სამის სიტყვით არ უნდა გამოითქვას, არამედ უნდა შეერთდეს ერთ სიტყვაში, ერთის სუნთქვით აღმომხდარში. არ მოიპოვება ენაში ისეთი სიტყვა, რომელიც აღნიშნავდეს ასეთ ყოველგვარ შემოქმედების მომენტს, განსაკუთრებით-კი ისტორიულ შემოქმედების, რომელიც დამოკიდებულია უსაზღვროთ მრავალ პირობებზე და კერძო ხასიათის მოვლენებზე. წინასწარ მოუწყობლათ და უტრადიციოთ, სტიქიონის თავზე მდგარი, ის ხედავდა, ფიქრობდა და იცოდა. სტიქიონის თავზე ამ სიტყვამ დაჰკარგა თავისი სურნელება—ვის არ განუმეორებია იგი მრავალგზის! სტიქიონი—ეს არც ის არის, და არც ისინი, არამედ ვეებერთელა რამ, რაშიდაც ის და ისინიც, ყველა თავისთვის და ყველა ერთად მოქმედობს. ის, რაც ადამიანის ძალა-უფლების გარეშეა, რაც უფორმოა, მაგრამ ეძებს სახეს, ფორმას, განსაზღვრულ შინაარსს ზეიცავს, მისი კანონი ცვალებადია და ხელიდან სხლტება როგორც მოშინაურებული მტრედი. სტიქიონი—ეს ცეცხლის ღველფია, ისეთი, როგორიც მაშინ, როცა მისგან იწვის და ფერფლად იქცევა ქალაქები და ბაღებიც, ეს წყალია, ზღვის, მდინარის, წვიმის, მიწისქვეშა, რომელიც წელიწადში ერთჯერ გადალეკავს და წაშლის მიწის სახეობას, ჰაერი, როგორც არის ნამდვილათ, და ცეცხლი, მოძრავი ღუმელის, ელვა-მეხის, მომწყვდეულ ლამფის მავთულებში და ცისფრად მბრწყინავი ტრამვაის ვაგონების თავზე,—დაბოლოს, ადამიანები, ისე-

თიენი, როგორიც არიან, კერძო ინტერესებით, სიხარბით, სურვილებით, ბოროტმოქმედებით და უანგარობით. — აი აქ, ამ უკანასკნელ სტიქიონის თავზე, თუმცა დანარჩენებსაც არ ივიწყებდა, იდგა ლენინი და [illegible] ულებლათ დაენახა მას ყველაფერი ბოლომდის იმ სახით, რა სახეც ნამდვილათ ჰქონდა. — ეს იყო მისი ძლიერების და მისდამი განსაკუთრებული ნდობის წყარო. ამასთანავე მასში სცოცხლობდა მხოლოთ ორი ნება ერთიმეორესგან განუშორებელი და მუდამ ძლიერი. ერთი — რომელსაც უწოდებდენ მის თეორიას — იყო უტყუარი სწრაფვა არა ერთი ქვეყნის, არამედ ყველა ქვეყნის ღატაკთა და ჩაგრულთა გამარჯვებისაკენ. მეორე — მკვლევარის და წინამძღოლის ნება: — ერთი წუთის უქმად არ გაშვების, სწრაფი ვარაუდის, ხელსაყრელ მომენტის შერჩევის და ჩაჭერის, ჯარზე ჯარის შეხლის. ბევრს საკმაოდ მიაჩნდა პირველი ნებისყოფა და ეს პირველი განსაზღვრავდა მეორეს. ამბობდენ, რომ თუ კაცი მოწყურებულია გამარჯვებას, შეიძლება არ იყოს დიდი რეალისტი და ეს გამარჯვება წილად ერგოს. ლენინმა კი იცოდა, რომ გამარჯვებისადმი სწრაფვის გარდა, არსებობს პირველყოფილი მატერია, სადაც კაცი გადახლართულია რკინასთან, მისი ოცნება პროდუქციასთან, მისი ძალა მანქანების კაკუნთან, მისი რწმენა ყუჭის მოთხოვნილებებთან, და სოციალურ ნიშნების შეგრძნობები, ირონიული მკვლევარი, ის, როგორც დაგეშილი მონადირე ბალახის რხევაზე და მცენარეთა ხშირფოთლოვანებაზე ატყობდა, სად იმალება ნადირი, საიდან დაბერავს ქარი, და რატომ ეხლა ყოველი წუთის დაუგვიანებლათ უნდა დაიწყოს მოქმედება და ხვალ-კი შესაძლებელია ახალ პოზიციებზე აუჩქარებლად ყოფნა და და მოწყობა. ლენინი სავსებით ცდაში ისახებოდა, სტიქიონს მარჯვეთ იმორჩილებდა; ის იყო მოძრავი, როგორც ეს სტიქიონი, და ის შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყოს, რადგან მთელი ქვეყნის მაზვრალთა გამარჯვების მტკიცე რწმენით გამსჭვალული იყო ყველა მისი აზრები და მთელი სიცოცხლე. ამიტომ იყო, რომ არ სწამდა მრავალსიტყვაობა და დიდ ყურადღებას აქცევდა წვრილმან მოვლენებს. ამიტომ, ის ყოველთვის მზათ იყო მწარე სიტყვებით აღენიშნა შეცდომები და ყოველგვარი გაზვიადება. სიტყვის წარმოთქმა არ ნიშნავს ცოდნას და ცოდნა კი არ ნიშნავს გაკეთებას. და საჭირო კია სწორედ **საქმის კეთება.** ცდა და საქმე, წესწყობა, წარმართვა, ანგარიში, ციფრი, ცოცხალ ფაქტების სიცხადე და სიმარტივე: წონა, ფასი, დამაჯერებლობა ფაქტების; ძალა-უფლება ფაქტებზე, ე. ი. რათაც არ უნდა დაჯდეს, დამორჩილება საზოგადოებრივი ჯიუტობის; ნამდვილათ დანთებული და გაჩაღებული მსოფლიო კოცონი, რომელშიდაც ყოველი ნაფოტი და ალის ავარდნა არის საქმე, საქმე და საქმე. დაწყებას და დამთავრებას ამ საქმის, რასაც მასსები ახდენენ „მთელი თავისი ქალწულობრივი პირველყოფილობით, უბრალო და უდრეკი გადაწყვეტილებით", ლენინი გამოსთქვამდა შემდეგ სადა სიტყვებით: „დგება ხანა მდაბიო ხალხის უშუალო პოლიტიკური ამოქმედების, ხალხის, რომელიც უბრალოთ, პირდაპირ და დაუხანებლად ლეწავს და ამსხვრევს თავის მჩაგვრელ ორგანოებს, ხელთ იგდებს ძალა-უფლებას და მიაქვს თავისთვის ის, რაც ხალხის ყოველგვარ მძარცველთა კუთვნილებათ ითვლებოდა, ერთის სიტყვით დრო, როდესაც ილვი-

ძებს აზრი და გონება დავიწყებულ ხალხთა მილიონების, ილტვიან არა მხოლოთ წიგნაკების საკითხავად, არამედ საქმისთვის, ცოცხალი ადამიანური საქმისთვის. ისტორიულ შემოქმედებისთვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ის განსაკუთრებული მოპყრობა მასსების ლენინისადმი, როგორითაც შეხვდენ მას პეტერბურგში 1917 წელს, რამაც თავი იჩინა ლენინის დაჭრის დღეებში, და ისიც ამ მოპყრობის შთაბეჭდილებით წავიდა დასასვენებლათ, სიკვდილის წინ ავადმყოფობის მოსახდელად, ავადმყოფობის, რომელშიდაც ისახებოდა რწმენა და ბრძოლის წყურვილი სიცოცხლისთვის, სიტყვისათვის, საერთო მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, — ეს მოპყრობა და გრძნობა, როგორც შემოდგომის ტყვიისფერი წყალთმოვარდნა, ადიდდა და გაქვავდა გაურკვევლად, როცა მოვიდა ცნობა სიკვდილის შესახებ.

დადგა დღე ცხედარზე ზრუნვისა — ცხედარი გორკადან გადმოასვენეს მოსკოვში და დაასვენეს საკალონო დარბაზში, კავშირთა სახლში. უსიტყვოთ, აუფორიაქებლად. პირადი ნაცნობები და ახლო მეგობრები კედლად შემოევლენ მის ცხედარს.

უბნებში მიტინგები მოეწყო. შეუდგენ მომავალ დღეების სამზადისს. ემზადებოდენ — რუსთათვის იმ ახალ აუღელვებელ, სადა და გონიერ წინდახედულობით, რომელიც შეიტანა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სათავეში მდგომმა მუშაკმა. ეს ხდებოდა არა ძველ დროთა აღლუმისებური გარეგნული ბრწყინვალებით, არც ევროპიელთა კმაყოფილებით სავსე პედანტურ სიდიადით.

დღე მიიწურა, დაღამდა. კავშირთა სახლის წინ უკვე ეწყობოდენ ჩამოწოლილ ბუნდ-ბუნდით განაცრისფერებული რიგები მუშების და არა მუშების. ისინი იწვდებოდენ, აუჩქარებლივ, განუწყვეტლივ იზრდებოდენ სიგრძით, ხოლო სიგანე ერთი ჰქონდათ, სცილდებოდენ ორი მიმართულებით, ხელახლა ეწყობოდენ უხალისოთ, იკავებდენ მოედანს, ქუჩას და ქუჩის გადასავალებს, არავითარი ხმაურობა, არავითარი ფუსფუსი. სადღაც ყალყზე დადგა ხალხის მოზღვავებით შეშინებული ცხენი მხედრისა, და მისი აქოჩრილი სილუეტი, რომელიც თვალის დახამხამებაში წამოიჭრა და ისევ ჩადგა, ისე არ იყო საჭირო ამ ცივ და წყნარ ბინდ-ბუნდში, როგორც უსიამო სიზმარი.

აუჩქარებლად მდინარებდა რიგი-რიგზე კარებში, გაუელიდა რა საპატიო ყარაულს. და ხელახლა იბლანდება თვალებში ის ახალი, რაც წინათ არ ყოფილა: აქ ყოფნის უფლების შეგნებულ რწმენის სიმშვიდე, სიმშვიდე იმის შეგნების, თუ რამ წარმოშვა სურვილი აქ ყოფნის. აქ — ყველა თავისიანებია, ყველაფერი ყველასია, ისიც, იქ მაღლა, ყველასია, დარბაზიც, რომელშიაც ის ასვენია, ყველასია.

დინჯად ადიოდენ რიგები გადასავალებზე და კიბეებზე, ისმოდა მხოლოდ ერთი ხმა უსაზღვრო მწუხარებაში დაუფარავი ფეხისხმა, და ეს ხმა უსიამოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედებდა. ის მოისმოდა წინა რიგებიდან, უკანა რიგებიდან, და ყველა გრძნობდა, რომ იგივე ხმა მისგან წარმომდგარი გაისმის დერეფანში და უკვე თვალწინ გაშლილ დარბაზში.

ფეხისხმა ზრდიდა უხერხულობას, რომელიც დარბაზში უნდა გაფანტულიყოს. და ყველა დარბაზს აშურებდა, მაგრამ არ ჩქარობდა, რადგან იცოდა, რომ მძიმე გაურკვევლობის ბურუსი დარბაზშიაც ვერ გაიფანტებოდა. ლოზუნგები—როგორც ლოზუნგები, მწუხარება—როგორც მწუხარება, გაურკვევლობა—როგორც გაურკვევლობა. ყველაფერი აწყვეტილი იყო ამ დღეს. რაც მოხდა, სანახავათ მომავალთათვის თითქოს ჯერ კიდევ არ მომხდარიყოს.

დინჯათ ვიდოდა რიგი რიგზე საკალონო დარბაზში. და სავსებით სწყდებოდა ფეხის ხმა, როცა, მიუახლოვდებოდა და გაუვლიდა წითელ კუბოს—პატარას ამ ვეებერთელა დარბაზში. ნეტა ერთი გაჩერება და დადგომა. რა არის ეს? პატარა წითელ კუბოში—ამ თეთრ დარბაზში, რომელმაც თავისი სითეთრე დაჭარგა როცა შეისუდრა შავითა და წითელი დროშებით, როცა მისი კედლები მათი მოქარგული ფარჩით და აბრეშუმით დაიფარა, დიდ და მკვდარ პალმებ ქვეშ, მარმაშით ჩალამებულ ბროლის კანდლების გრძელი ოთხკუთხედის შემოვლებულ წრეში, კანდლების, რომელთაც თავის მკრთალი სინათლის ზოლებით ეკავათ კალონებს შორის სივრცის ნახევარი—პატარა, ყვითელი, გამოკვეთილი სახე, ძლიერ მაღალი და ბევრის დამტევი შუბლით; მომლოდინეთ, მოლუშვით და მოზიდვით შეწეული ბაგე, და პატარა ხელები, დაკრებილი როგორც უნდა, და ყველაზე უფრო მეტყველი სიკვდილზე.

მისი მკვდარი სახისა და ხელებიდან მოჰბერდა არა მკვდარი ძალა, არამედ გაჩქარებული, გაქანებული და გადამლახველი, თან საშიში.

მაგრამ ეს არ იყო ძალა მასზე მიკუთვნებულ და აღიარებულ უფლების. რადგან დარბაზის სიდიდე, დროშები, საპატიო ყარაული, ბროლის სინათლე, ნივთები დამამტკიცებელი ნიშნები, აღმოსავლეთის და დასავლეთის საზღვარზე აღმოცენებულ და გაშლილ ზღაპრულ ძალა-უფლების, უფრო მცირედათ და სხვანაირად სჩანდენ, ვიდრე ეს უკვდავი ძალა.

რიგი რიგზე მიდიოდა უკან. უხალისოთ, მაგრამ უკვე გამორკვეული. რაც მოხდა, ეს ნამდვილათ მოხდა. კარებთან შესდგებოდენ, კიდევ უკან მიიხედავდენ, და არცა სცდებოდენ: აქ იყო ერთი რამ, რისთვისაც უნდა ემზირათ—ეს მაღალი შუბლი და მოკუმული ბაგე. ცოტა მოშორებით, კუბოს ვეღარ ჰხედავდენ. საფეხურები, კარები, გადასახელელები. გასავალთან ნაბიჯის აჩქარება. ღამე ჰყინავს. რუხათ ამართული ზღუდეები ხალხის, ეს მოძრავი მთები კავშირთა სახლის ირგვლივ შემორტყმული, დარბაზთან მისვლისას დნებიან და ერთვიან დიდებულ მორევს.

მოედანზე, კავშირთა სახლის პირდაპირ, კრემლის შესავალთან და უნივერსიტეტის წინ აჩაღებდენ ცეცხლს. მეტად ცივი ღამე იყო.

V

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე შესწყდა, შეჩერდა—ყველგან. ქარხნებში, დაწესებულებებში. კერძო ბინებზე. ხალხი ქუჩებში სცხოვრობდა. აქა-იქ გაჩაღებული ცეცხლი ამას მოწმობდა.

სიკვდილი უმოძრავოა. სადაც მწუხარებაა—მწუხარება მოდის სტუმრად და მიდის. სადაც მწუხარება არ არის—იქ არის წესის შესრულება, რომელიც უნდა მოვიხადოთ. მაგრამ აქ არ იყო არც უმოძრაობა, არც წესის შესრულება. ამ დღეებში მე პირველად მივწედი ისტორიულ მატერიალიზმის მკაცრ სულიერ მსახურებას. იმ ცოცხალ მთლიანობას, რომელსაც ლენინი ეწოდებოდა, გამოეყო მეორე ცოცხალი მთლიანობა--ლენინის საქმე. და მან განაგრძო სიცოცხლე სიკვდილის მესამე დღეს, როცა ცხადი შეიქნა, რომ რაც მოხდა, ნამდვილად მოხდა, და არავითარი გაურკვევლობა მომხდარის წინაშე არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან ეს გაურკვევლობა იშლება იმ სივრციდან, სადაც მოძრაობს პროლეტარული საქმე, სადაც მოძრაობდა ცოცხალი ლენინის საქმე. პრობლემა არ ყოფილა, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა არც დასმულა. უნდა იყოს ერთად-ერთი სიცოცხლე. და განსვენების ზეიმი არ იყო არც ცოცხალთა საკუთარ მწუხარების შიშნარევი გამოთქმა, არც დროთა მიმართ გადასროლილი გამოწვევა. კუბოს თავზე რომ სიკვდილის მითოლოგიური გამოსახულება ცელით ხელში მართლა მდგარიყო, მაშინაც ეს დღე არ იქნებოდა თვით სიკვდილის ზეიმის დღეთ, შეიძლება მომხდარიყო, რომ მისთვისაც დაეკავებინათ ხელში დროშა მოკლე წარწერით—**ლენინის საქმე სცოცხლობს**—და იძულებულეყოთ ეტარებინა ეს დროშა კუბოდან ქუჩაში.

სიცოცხლის შეჩერება მთესველის საცერსა ჰგავს. მტვერი ქარს მიაქვს და საცერში-კი ხალასი მარცვალი რჩება. დროშების, პლაკატების, სიტყვების გამო ერთხელ კიდევ იქმნა გადასინჯული, გადათვალიერებული და ამორჩეული ლოზუნგები და ყველგან ერთი რამ იყო გავლებული: შრომის ამხედრება და დიადი განთავისუფლება. არასოდეს გამარჯვების აუცილებლობა არ წარმომდგარა ისეთი სიცხადით, როგორც ამ დღეებში. ის მოედვა ყველა სართულებს და თვით მტრებისაგანაც მოითხოვა ცნობა და აღიარება. ეს ცნობა მოხდა. ყველა ჰხედავდა, თუ რა იქმნებოდა საკალონო დარბაზში და არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა.

მე შევედი დარბაზში დაახლოებით დღის თერთმეტ საათზე. უკვე შესავალთან გამკრა მოუსვენარმა აზრმა, რომ დღისით და ღამით, და კიდევ ღამით და კიდევ დღისით და კიდევ ღამით მოდელავენ აქ ხალხთა ზვირთები. ასე მრავლათ, ასე ნაირ-ნაირი, დაუღალავათ...

მე გავდექი განზე და ჩემს გულში ვებრძოდი სულიერ და ფიზიკურ შფოთვას, რომელსაც იწვევდა ხალხთა ტალღების დაუპრულებელი დენა. ეს იყო—თავბრუდახვევა. და მისი გავლენით, რაღაც უცნაურობით, განსაკუთრებით ადვილდებოდა ფიქრი. ფიქრი იმის შესახებ, რომ ეს მოდენილი ტალღები, რომელიც თავის ცოცხალი სუნთქვით ჰბანდენ წითელი კუბოს. ეს უბრალო მუშები

საპატიო ყარაულში, ეს სახეები უცხოელებისა და უცხო ტომის ადამიანების, რომელნიც ირეოდენ ხალხში, გარსშემორტყმულნი, მცველებ[illegible] ყველაზე უკეთესი, ხმამაღლა წარმოთქმული ჰო იყო ლენინის საქმ[illegible] ცხოვრებაზ-მოღვაწეობისადმი, მისი რწმენისადმი, რომ მშრომელი მასსები ამოქმედდებიან. და როგორ უცნაური არ არის—ეს ჰო აქ ჩემს თვალთა წინ იქმნება, ადგილას, მოუმზადებლად, თავისუფლად, უდარდელად. არა იძულებამ, არა ცნობისმოყვარეობამ და არც წესის შესრულებამ მოზიდა აქეთ ეს ტალღები. ის რის ხილვაც ჯერ კიდევ არასდროს სიცოცხლეში არავის მოსწრებია, ის, რაც საესებით დაივიწყა დასავლეთმა და რაც ექსტატიურ გაზვიადებაში და რწმენის თავხედობაში კიდევ შეინახა აღმოსავლეთმა, თითქოს აიხადა სიკვდილით დასერილი ქერქი, რომელიც ჰმოსავს მეუფე-სიცოცხლის ღველფში გამდნარ გულს, თითქოს თავი მოიყარეს მის კვამლით მქმინავ ზედაპირზე გაგანიერებულ თვალებით ყოველთვის სიმშვიდით აღშფოთებულმა პილიგრიმებმა და მისი ორთქლის შესუნთქვით და მისი ცეცხლის მდინარეში თითების დასველებით, ისინი ეხლა სხვანაირათ, მაღლით და მკაცრათ მართავენ თავის გონებას და ნებას, და თითქოს, დანახვის, შესუნთქვის, მომართვის შემდეგ მათ გამოაქვთ გადწყვეტილებანი, რომელნიც უშუალოდ გადაიცემიან უკანვე, გარეთ, დღიურ სიცოცხლეზე, და იქცევიან იქ იმწამსვე საქმეებათ, ამბებათ,ხელსახებ ძალებათ —აი რა იყო აქ, საკალონო დარბაზში, როგორც ნაყოფი მრავალ ნებისყოფათა გადაჯაჭვისა, როგორც გამოძახილი წარსულის, აწმყოსი, მომავალის.

გარეგნულათ გუშინდელი და გუშინწინდელი დღის აქეთ არაფერი არ გამოცვლილა. შინაგან არსში-კი ყველაფერმა ფერი იცვალა. აღარ იყო გაურკვევლობა—და, რარიგ ნელა არ იძვროდა ხალხის ტალღები, მათი დენა უფრო ნავარდს წააგავდა. მრისხანეთ, მრავალსახეობით, შესხეულებულათ, დროსა და სივრცის ზევით, თავს იყრიდენ და იკუმშებოდენ ხალხის ნებისყოფის ღრუბლები. ეხილავი ქარები დაჰქროდენ დარბაზში. გიგანტიურ ხვეულებით მიემართებოდენ ისინი მსოფლიოში.

მაგრამ აქ იყო სათავე—სადაც გადიჯაჭვენ პიროვნება და მასსა, და სადაც პიროვნებამ დასთმო თავისთავი, მიეცა მთლად, რომ ქცეულიყო მასსათ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ პიროვნებამ შესწყვიტა თავის არსებობა. აი—გამხდარ სახეზე გამოკვეთილი ხაზები, აგერ შეკუმული ნაოჭი ულმობელ ირონიის. მაგრამ მთელის სისრულით, მხოლოთ მისთვის ჩვეულ სისრულით, ამ პიროვნებამ დაიწყო თვისი არსებობა იმ მომენტში, როცა, ნაპირიდან ნავის ახსნის მსგავსათ, შორს გსტყორცნა თვითმოყვარეობა, თავის პირადი სიხარული და მწუხარება, თავის დაზოგვა, თავისთავზე თბილი მზრუნველობა—რათა სავებით, ძნელათ წარმოსადგენი სისრულით, გადასულიყო საქმეში.

ყველა მოუთმენლობას განიცდიდა. ბევრს ღამით არ ეძინა; ნაშუალამევიდან დგებოდა რიგში და გათენებისას აღწევდა დარბაზს. ზოგს შიმშილისაგან ძალა ელეოდა. ზოგი ადვილად ეძლეოდა გარემოს გაელენას — ხალხის, აქა-იქ დანთებულ ცეცხლის, ღამეულ მოსკოვის, საუბრის, კუბოსთან ნელი მიახლოვების, გაურკვეველ მუსიკის ხმის და დროშებით შემკულ თეთრი დარბაზის გავ-

ლენას. ზოგიც მეზობელთა ღელვით თრთოდენ და ღელავდენ. იბერდენ მაღალ ტონს. აქ მოვიდა არა მხოლოთ შეგნებული მოსკოვი, არამედ ჩამორჩენილი განაპირა ქვეყნები; მოდიოდენ ისტორიული მტრები, რომელნიც ოყეს ისტორიულ მეგობრებათ იქცეოდენ. მოუთხრობდენ და მყის აქარვებდენ რევოლიუციონურ დროიდგან მიყენებულ გულისწყვეტას. მოდიოდა მთრთოლვარე მადლობა ოდესლაც ბეწვზე დაკიდებულთა და სიკვდილს გადარჩენილთა. ჩამოვიდა მრავალი გლეხობა და დელეგატები პროვინციიდან, მათკენ გამოეშურა სარწმუნოებრივი სიბნელე ეკლესიის დამხობით განდევნილი, დახარბებული და გაუმაძღარი ყოველგვარ გამოჩენაზე, ბრჭყვიალა ფერებზე, საზეიმო მოწყობილებაზე, ხარისხებზე. ნამდვილი განცდები იფარებოდა ზერელე ტირილით; დაღშობილი ალმოკვნესა ანდა ქვითინი ესმოდათ ჯერ კიდევ დარბაზში შემოუსვლელ რიგებს და მათ მგრძნობელობას საზღვრამდე სწევდა. გუშინ უკვე დაინიშნეს დარბაზში სანიტრები და მოწყალების დები—ისინი უხილავი ჯაჭვით ერტყმოდენ მოედანს, რომელზედაც ვიდოდენ რიგები, და როცა ვინმე დაიწყებდა მოთქმას ან თავისცემას, უხმოთ მოჰხვევდენ ხელს და გაიყვანდნენ. მაგრამ დღეს მრავალთა გამუდმებული ტირილი, კივილი და გულისწასვლა ისედაც დაძაფულ ძარღვებს საშინლათ სძიძგნიდა და გამოუთქმელ ტანჯვას აყენებდა. თუნცალა ყველაფერზე ძლიერათ, თავის სირთულით და უძლეველობით ხალხის მდინარების შეუწყვეტლობა მოქმედებდა.

მოდიოდა ერთი ჯგუფი გლეხების. მათთან ქალი და სამი ბავშვი. წაიყვანეს ბავშვები რომ ეჩვენებიათ. კუბოსთან ახლოს გავლის დროს აიყვანეს ბავშვები. განიერათ გახელილი თვალები, მოწყვეტით დაშვებული ხელები.

წითელარმიელები. ერთი—სულ ახალგაზრდა, ცოტა მოღებულ პირით და მტანჯველი -კითხვითი ნიშნით აღბეჭდილ ნათელ თვალებით. გაჩერდა და — დაეცა.

კიდევ ბავშვები—სკოლა. მოდიან წესიერად, მშვიდად იცქირებიან. შემოუარეს დარბაზს და სურთ დაბრუნდენ, რიგებს შლიან. მათ აყენებენ კალაპოტში, და მხოლოდ ერთი, ათი წლის არსება, პირდაპირ სჭრის დარბაზს, ჩერდება სწორედ პალმის ახლო, გაშტერებით უყურებს და მიდის.

მოხუცებული ქალი, გამხდარი, ტანადი, მკვდარი თვალებით. შოძველებული აბრეშუმის მოსახურავი, თმაზე თხელი მოსახვევი, თავისუფალი მოძრაობა, ჩვეული გულჩახვეულობა. ის დაძირულ ქვეყნიდან არის. რისთვის მოვიდა ის?

ერთი მეორეზე—ორჯერ ყრუ ბრახუნი, ორი გულის წასვლა. გლეხი ახალგაზრდა—პირველი; ძალზე გამხდარი, მთლად დაუძლურებული მუშა—მეორე.

ახალგაზრდა სახეები. სტუდენტური ქუდები. ქალიშვილები ახალგაზრდა და ცოცხალი სახეებით. ესენიც დაძირულ ქვეყნიდან, მაგრამ ესენი მათგანი არიან ვინც სცდილობს გამოსცეროს და მიაღწიოს ნაპირს. სახეზე — ცნობის მოყვარეობა და შიშნარევი მოუსვენრობა. მოუსვენრობა, რომელიც ამარცხებს ცნობისმოყვარეობას. ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ერთი ახალგაზრდა წმინდა შეძრწუნებული მოუსვენრობა. აქ მოსულისთვის დამტანჯველია განკერძოება. შეერთება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი—არ შეუძლიათ. ცურვით, ნაპირის ძებნით და მისი ვერ მიღწევით მუდამ წვალებაში იქნებიან.

მუშები—ჩამოსულები არიან. ერთი სამგზავრო გუდით, მეორე ხურჯინით. აუჩქარებელი. ხედავენ ყველაფერს: სახეს, კუბოს, დროშებს, მუშების ყარაულს და ხალხთა დენას. ესენი—მკაფიოდ და ვრცლად მოუთხრობენ ყველაფერს სახლში მისვლისას.

ინჟენერთა ჯგუფი—იცვლება კუბოსთან. შორიდან მივიდენ ისინი რევოლიუციასთან—დადგენ მის ერთ კუთხესთან და აშენებენ. მათ აქვთ დასაფიქრებელი: მშენებელი დამშვიდებული იყო ლენინის ხელისუფლების ქვეშ.

ისტერიულად მოსთქვამენ მეტწილად ხანში შესული ქალები — მათი მოთქმა ძნელი გასარკვევია: სად არის პირადი მწუხარების ხსოვნა, მუსიკით და საზეიმო განწყობილებით გამოწვეული და, სად არის ცდა გამოუცნობის ტანჯვის ცრემლით განელებისა?

ახალგაზრდა სახეები—კომუნისტ სტუდენტ ქალების და ვაჟების ჯგუფი. ცრემლმორეული თვალები. გვერდიდან მათკენ იწევს ვიღაც თითქმის კონკებში, მთლად ახალგაზრდა, ძლიერ მოკრძალებული. ხელი არა აქვთ ჩაკიდული, მაგრამ თითქმის ხელჩაკიდული არიან, ერთმანეთზე ისე ახლოს იმყოფებიან, ისე ჯგუფდებიან, და მიდიან.

მშვიდი სახეები სამხედრო ტანსაცმელში მწყობრათ მიდიან. ყოფილი ოფიცრები და ახალი ხელისუფლება.

ქალები პირჯვარს იწერენ. პირჯვარს ისახავს მაღალი გამხდარი კაციც სასულიერო პირის შეხედულების.

გლეხი თავიანთი გუდებით. მათ რიგში უკვე ხანში შესულ ქალს მიჰყავს მოხუცი გადაყვითლებული თმით, ოთხმოცდაათი წლის იქნება, ან შეიძლება უფრო მეტის, ძლივს მიაბიჯებს და თითქმის დაბრმავებულია. ის აჩერებს ტალღებს და ვერავინ ბედავს მის აჩქარებას. ჩქარა მიმავალნი ახევინებენ მას გვერდზე, კუბოსკენ. ის ცდილობს დაინახოს, ხედავს და ვერც ხედავს, მოხუცი მოკრძალებით იღიმება და ნელა მიაბიჯებს წინ. რან ნახა მან? რას მოუთხრობს?

ცალ-ცალკე, ერთხელ კი ორ-ორათ, რომ უფრო დამშვიდებულათ ეგრძნოთ თავი, მიდიან ქუჩის ბავშები. დარბაზში ყოფნის ორი საათის განმავლობაში მე დავინახე ისინი ოთხჯერ. წარმოუდგენლად დაფლეთილ ტანსაცმელში წითლად გამოსჩანს ყინვით დამწვარი სხეული. ერთნი უბრალო, ველურის საზღვრამდე მისულ სახისანი არიან, მეორენი, სიმწარით და დამცირებით აღბეჭდილნი. მაგრამ პირველთაც და მეორეთაც დიდი ჯაფა-წვალება გამოიარეს, რომ შემოსულიყვნენ აქ, როგორც ყველა და სინათლეზე და სიდიადეში დაენახვებიათ თავისი ნაფლეთები. რომ ეს ხალხი აქ მოვიდა, მრაველის მომასწავებელია.

VI.

მომხდარ ამბის თავისებურად განცდით და მოძრაობით საკოლონო დარბაზში კუბოსთან მოსულ მუშათა მასსაში—ეს შემთხვევითი და ბევრში ლენინის

საქმის სრულიად მოწინააღმდეგე ხალხი: მეშჩანები, მასწავლებლები, განუმტკიცებელი გლეხები, ინტელიგენტები—მაინც არ იბნევიან: იმდენათ ბევრი არიან ისინი, ისეთის შეგნებით არიან აქ მოსულნი. ამ დღის სიტყვიერ—ბალსაზრისით არავითარ საჭიროებას არ მოითხოვს იმის გამოძიება, ბორიდენ თუ არა აქ ისინი. მაგრამ ნამდვილ ლეგენდის შექმნის ჟამს ისინი შეიძლება გამომდგარიყვნენ მისი გამტარებელი, შეეძლოთ შეეჩერებიათ მისი წარმომშობიც. და ის გარემოება, რომ ისინი მივიდენ და თან წამოიღეს ის, რაც საჭირო იყო ლეგენდის შესაქმნელად, ლეგენდის, რომელიც მოითხოვდა თავის დაძლევას, მოასწავებს მას, რომ უკვე ქვანიც ღალადებენ სამართლიანობის შესახებ. **დაბლიდან**, მეშჩანინისა და ყოფილ ბატონისგან, მაღლა, ორ ეპოქის საზღვარზე მდგომ გლეხს და ლუმპენ პროლეტარს სცილდება თავზე და მობრუნებულ სოციალურ კიბის საფეხურებზე ადის და გადადის მუშაზე ეს გოდება სულ სხვა დროთა შესახებ, ის სწყდება მხოლოდ ზევით კიბის დასასრულში, რომელიც ითვლებოდა ოდესღაც დასაწყის საფეხურად, სადაც უკვე არ ჰყვირიან, არამედ **აკეთებენ**.

ტანთშემოძარცულმა ხალხმა, ორ მტრულ ბანაკად გაყოფილ საბყაროთი შემოზღუდულმა, მოიტანა და დასდო პირველი აგურები ასაშენებელ ლეგენდისა.

მათ არავინ არაფერს ეკითხებოდა და მათგან არავინ რაშეს მოელოდა, რადგან ამ ზვავ ქვეშ მოყოლილ და დალეწილ ულორტების აყენება და განსაცდელისაგან დაფარვა აქამდე არავის ძალუძდა, და არც სცალოდა.

მათი რომანტიზმი ულუსურია, ანალიზის ნიჭი-კი გამახვილებული, რადგან ის შეძენილია დიდი ფასით. ისინი ლაპარაკობდენ პირადობის უარყოფაზე—„სცხოვრობდა უბრალოდ"—თავზე დაკისრებულ საქმის ხიფათზე—„ძმა მოუკლეს, უნდოდათ მისი მოკვლაც"—აღმოსავლეთში ლაშქრობაზე, რაც მოფიქრებული იყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ განხორციელდა. მათ შეგნებაში მუშათა ხელისუფლება რეალობა იყო. მართალია, მცირე უკმაყოფილებაც: „სულ ერთია, ბევრით უკეთესი არც ახლა არის", და „ბევრ მუშას არც ახლა აძლევენ გასაქანს". მაგრამ თბილ მზრუნველობას მოკლებულნი და ძალმოტეხილნი, ადამიანურ ობიექტივობის შესაძლებელ სისრულეს ისინი იძლეოდენ იმითაც, რასაც რეალობათ სთვლიდენ, და იმითაც, რომ წუთით დაივიწყეს და უკუაგდეს ყოველდღიურობა, ჭირ-ვარამი და სარკასტიულობა მათ მიმართ, ვინც მათზე მაღლა იდგა. მათი მახვილი ხედვა-კი აბჩნევდა ერთ იმ საშიშროებათაგანს, რომელიც მართლა არსებობს. ისინი უსაყვედურებდენ მუშებს, რომელთაც მიატოვეს დაზგები და ჩაერიენ სახელმწიფოებრივ აპარატის მუშაობაში; რომ იქმნებიან ისეთნი, როგორიც იყვენ ძველი უფლების მატარებელნი, მსხვილდებიან, ჰკარგავენ რევოლიუციონურ აღგზნებას, პათოსს. ლენინი კი, მათი სიტყვით, არაფერს არ ივიწყებდა და არაფერს არ ჰკარგავდა. აღმოსავლეთზე გალაშქრებაში მათ ხიბლავდა მოქმედების საქვეყნოდ გაშლა. მათ იცოდენ, რომ ლაშქრობის აზრი—განთავისუფლებაა. და უნდობლობით გამსჭვალულნი, ფიქრობდენ იმდენად არა იმაზე, რომ ეს განთავისუფლება ნამდვილად კიდით-კიდეს ემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, რამდენათ უფრო ასეთ განზრახვის სიდიდეზე. აქ მაინ ეუნდობლობაც სწყდებოდა.

ყოველი ჯურისა და ფერის მეშჩანობა სულ სავა ბრიგ მიუდგა საკითხს. ბალალ ზრახვებს, ამ ზრახვათა მომქმედ და მოუსვენრობის წარმომშობ საწყისს, მეშჩანობა არ ითვალისწინებდა და არ იღებდა. ის სწვდა ბიოგრაფიას— და არ დაუმახინჯებია იგი: თავის საუბრებს ის სარჩულად უდებდა სოციალურ სამართლიანობის თემას.

მოდიოდენ საყურებლად, „როგორ ასვენებენ ჩვენს მეფეს“, და თანშეზრდილი ამ სიტყვის ღვარძლიანი ირონია გვერდზე იდებოდა. ყველაფერი დასთმო, ყველაფერს მოსცილდა, იგი გადასახლებული, სცხოვრობდა უცხო მხარეში, ხელთ იგდო ძალა-უფლება და არ გაიკვირვა, არ გათამამდა მით. დაამსხვრია სამეფო და შეჰქმნა სამეფო—და აი, კიდეც ასვენებენ მას. როგორც მეფეს. მაგრამ თავისთვის მას არაფერი არ აუღია, ფიქრობდა სულ—ხალხისთვის. ამას იგით მეშჩანობის რწმენა საზოგადოებრივობისადმი არ მიდიოდა. ამ ხალხზე: გლეხობაზე, მუშებზე, წინამძღოლებზე, შენდებოდა გმობისა და ცილისწამების გოდოლი. მეშჩანი რჩებოდა მეშჩანათ. მაინც მისი მსოფლ-შეგრძნობის მთლიანობა დაირღვა: არის **სხვა რამ**, არამეშჩანური, ხელშეუვალი. ოდესღაც მეშჩანობა განცვიფრებაში მოდიოდა სასჯელში მყოფ ტერორისტთა და პოლიტიკურ პატიმართა სიმამაცით. ეს იყო კერძობითი ხასიათის გმირობა, რომელიც სიცოცხლის საზღვარს აცილებდა, გასაკვირვალი, მაგრამ ამაო, ხან-კი სიგიჟემდე მისული.

ლენინი—**აშენებდა**. და მის შემდეგაც განარძობენ **შენებას**. არა ისეთნი, როგორიც ის იყო, მაგრამ მაინც იშენებიან. მეშჩანის ფხვიერ, მღრღნელი ჭიების ორმოებით დათხრილ სამყაროში დავარდა გრანიტის ნატეხი.

მეშჩანობა სწორედ მიტომ არის მეშჩანობა, რომ ყველა ისტორიულ საქმეებსა და კატასტროფებში ის განზე დგება და ცდილობს შეინარჩუნოს მატერიალური და მორალური წონასწორობა,—სამაგიეროთ ის იტოვებს თავისთვის ცხოვრების ყველა შემთხვევებში უფლებას ცნობისმოყვარეობისას და ულმობელ მორალურ მსჯავრის დადებისას. ცნობისმოყვარეობას ადგილი არ ექნებოდა— მთელი ბიოგრაფია გადაშლილი იყო. მსჯავრის დასადებიც—არაფერია. და იქმნებოდა მოუსვენრობა; ვაი თუ ეს მსჯავრის დადების წყურვილი საკუთარ თავის გასამართლებლათ იქცეს? იჭედებოდა სახე ყოველგვარ სუსტ მხარეებსა და წვრილმანობას მოკლებულ მოღვაწის. მეტს მეშჩანობა ვერ იტევს.

VII

რარიგ უსწორ-მასწორო არ არის ლუმპენპროლეტარის მსჯელობის ენარი, რარიგ შეზღუდული არ არის მეშჩანის სამოქმედო არე, ქალაქურ მასსის ამ ორმა შემოქმედობას და ორგანიზაციას მოკლებულმა უკიდურესმა ფრთამ სწორად აარჩია და სწორად დააწყო მიწაზე თავ-თავისი ავურები. საყოველთაო განთავისუფლება და სოციალური სამართლიანობა მოღვაწის, რომელიც იწყებს ამ

განთავისუფლებას,—ასეთი შეთავსება გასაგებია გლეხისთვის, ბიუროს მასწავლებლისთვის და ინტელიგენტისთვისაც, ყველასთვის, ვინც ლენინის საქმის ახლოსაც არა სდგას.

საყოველთაო განთავისუფლების აზრმა და მისი დამწყების სოციალურმა სიმართლემ გლეხობა ფეხზე დააყენა.

გლეხობა, რომელიც მიწყურებულია თავის შინაგან ყოფა-ცხოვრებაში მაღალ კოლექტიურ შემოქმედების მოწესრიგებას, უკეთესი ბედის ძიებაში, სარწმუნოებრივ მოძრაობაში, ჰკარგავს ამ გრძნობას, როგორც კი საქმე მიდგება სახელმწიფოს ან ხალხის საერთო ისტორიაზე. საერთო ისტორიის მოკიდულები გარედან მიდიან გლეხობასთან და ეს უკანასკნელი ჰხედავს მათში მხოლოთ პიროვნულ საწყისის მუშაობას. გლეხობისთვის მომქმედ და საქმის მომთხოვ პიროვნებათ უკანასკნელ წლების განმავლობაში ლენინი იყო. ლენინამდის გლეხობისგან ითხოვდენ მოთმინებას, ცდას და პასსივობას. მოდიოდენ სიტყვებით და დაპირებებით, აქებდენ და ადიდებდენ ხალხს და მის წმიდა უბრალოებს, მიდიოდენ და ყველაფერი ძველ ადგილზე რჩებოდა უცვლელად. ლენინს ჰქონდა დიდი უნარი მიდგომის და შეგუების. ის იცნობდა მას, ვისთანაც ჰქონდა საქმე, რადგან ის უმზერდა მას შიგნით მთავარ სტიქიონში,— სულერთია, იყო თუ არა ეს სტიქიონი მასთან მტრულად განწყობილი, როგორც მეშჩანობის სტიქიონი, ანდა სასურველი თანამგზავრი, როგორც ბნელი და მძიმე გლეხური სტიქიონი. სულიერ-გონებრივად ასეთ ნათელ ხაზებში გამორკვეული, ის ეხმაურებოდა სტიქიონთა ღელვას, როგორც მხატვარი. გლეხობამ ნაწილობრივად ჯარის-კაცებიდან, თავის წრის ან მოსიარულე და შეგნებულ ხალხიდან იცოდა, ნაწილობრივ კი ინსტიქტიურად ხედებოდა გარდაქმნის ნიჭს ლენინში, და მის ცოცხალ გამოძახილს ხან მობობოქრე და ხან მიწყნარებულ გლეხურ სტიქიონზე. მხოლოდ ერთმა გაბედულად გადასროლილმა, სახელმწიფოს არმცნობმა და ასე კარგად გასაგებმა ომის დროს იარაღის დაყრის მოწოდებამ წარმოშვა ნდობა, და ამ ნდობამ პირველი შეგნება დამოუკიდებლად, თავისებურად მოქმედების უფლება. დეკრეტმა მიწის დაპატრონებისა და მისი თავისუფლად დანაწილების შესახებ, შეაშფოთა რა გლეხები, ფრთხილი რამოდენიმედ სახელმწიფოებრივ ალღოს მქონე — მეშჩანი, რომლისთვის შესყიდვაც გასახარელი იქნებოდა, ოღონდაც მტკიცედ დაუფლებოდა, მეხივით დაიჭექა პირველყოფილ მასსებში, რომელნიც საუკუნოებით ოცნებობდენ პირდაპირ მოქმედებაზე, თუმცა ყველაფერი ირგვლივ უსაშინელეს ბოროტმოქმედებად უთვლიდა მათ ასეთ უშუალო მოქმედებებს, რასაც სიკვდილით სასჯელსაც ანიჭებენ. და უცებ გამოაშკარავდა, რომ არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ საჭიროც არის. ისევე ოღლათ, როგორათაც მიწას ეპატრონებოდენ, ჰკლავდენ მცველებს, სდევნიდენ ხელისუფლებას, ხელფეხს უკრავდენ მღვდლებს და რუსეთის იმპერიის დახავსებულ სხეულს აცლიდენ თემურ რესპუბლიკებს. ის, რომ სწორედ ლენინი ასწავლიდა ამას, იცოდენ უკრაინაშიც, ურალზეც და ჩრდილოეთშიც. და მხოლოთ იმიტომ, რომ იცოდენ, მხოლოთ იმიტომ, რომ სწამდათ, შესაძლებელი გახდა, შედარებით მცირე მსხვერპლის გაღებით, შემდეგი ნაბიჯის გადადგმა—თემურ რესპუბლიკების მთლიანო-

ბის აღდგენა, კიდით-კიდემდე შეჯაჭვა და მოქნილობის მიცემა, მომზადება სწრაფი იერიშებისათვის და დროზე თავშეკავებისათვის, მდიდრების ქედის მოხრა, ღარიბთა ხელების გახსნა, ქალაქთა საჭიროებისათვის ვაშრის გამოგლეჯა —ყოველივე ეს ძვირი დაჯდა, მაგრამ უკვე წარსულში მოექცა უძნელესი დაბრკოლებები, და ეხლა დარჩა ნაკლები წყვეტა-კრეულვა და მეტი რწმენა. და, როგორ უცნაური არ არის, როცა წყვეტა-კრეულვას გზავნიდენ — ეს ლენინს არ ეხებოდა. პირიქით. იცის-კი ამის შესახებ ლენინმა?—ისმებოდა კითხვა. რას ამბობს ის? ის როგორ ითმენს?...

სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ გლეხობის გულს ხვდება. ხეტიალის გენია აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზებით ჰპოვებდა ხალხში თავის შთაგონებას; არა ისეთით, რომელსაც სახელმწიფო მიუთითებდა—კონსტანტინოპოლზე და ბელგრადზე,—არამედ ისეთით, რაც სახელმწიფოს დანგრევით ემუქრებოდა, ვინაიდან სუსტდებოდა მისი ძალა და იშლებოდა საზღვრები, თუ საქმით არა, მოძრაობის შინაგან საზრისით მაინც. რისთვის მიდიოდენ უფრო შორს, თეთრ არაპიაში, უდაბნოებში, ოსმალეთში, ტაიგაში, ამურის მთებში, — აზრიანათ ვერავინ ვერ მოგვითხრობს.

და მარქსისტი ლენინი მრავალი წლის ემიგრანტი და დასავლეთის მომხრე, როდესაც სხვის ხელში მკვდრადქცეულ თეორიას ღუნავდა, როგორც ნედლი და ცოცხალი ვაზის ლერწს, მიერეკებოდა ამ ლერწით რაზმებს იქით, საითაც ათეულ წლობით ლენინამდე ბულუბრყვილოთ და უბრალოთ მიემართებოდენ სამოლვაწეოდ ქალამნებით ფეხცმულნი მისი გაცილებით არა მარქსისტი წინამორბედნი.

გიგანტური საერთაშორისო აღრევა, ხალხის ხალხით გამსჭვალვა, იდეოლოგიის იდეოლოგიით—ვინ უწყის სად და როდის აღმოცენდება თესლი ფრონტზე დაძმობილებისა? ვინ იცის როგორი ზრახვები გაიღვიძებს აღმოსავლეთის ხალხებში?—უკანონო ინტერნაციონალიზმი რუს მოხეტიალეთა, სექტანტების, გაქცეულების, ბოროტმოქმედთა, მემამულეთა, დეზერტირების და ცოტაოდენ ცოდნით აღჭურვილ უსახლკარო, უთვისტომო კულტურტრეგერების —ყოველივე ეს მიწისქვეშ მოარული მომავალი წყალდიდობის წვეთებია, რომელნიც, სადაც მოუხდათ, იქ გაჩერდენ და უცდიან დაძახილს და უეცრათ მოესმით ეს ძახილი პირველად მისგან, ვინც ერთად-ერთმა გაბედა ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგების მსოფლიოში გადასროლა.

უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში მომხდარ ამბებს შორის, ეს ჯერ კიდევ გამოურკვეველი შრიალია დაფანტულ, მიწის წიაღში მოარულ, ხან დამშრალ და ხან ზევსებულ ნებისყოფათა, ეს მასსების შეუჩერებელი დენაა სამყაროში, მასსების, რომელნიც ილტვიან ნათლად წარმოუდგენელ მიზნებისაკენ და უეცრათ მათ გვერდით საერთაშორისო შეგნებულ ქმნადობის სიმაღლემდე ატყორცნილი ლენინის მდუღარე შადრევანი, რომელსაც მთელმა ამ შრიალმა მიახიჭა ხმის სიმტკიცე, მდინარებამ კი კვეთების ძალა — ეს თითქმის ყველაფერზე უფრო შესანიშნავია, რაც კი ოდესმე უხილავს დასავლეთის და აღმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საველეთის ისტორიას—განსაკუთრებით შესანიშნავია მით, რომ ბიდრევანის ცეცმა **იყო მხოლოდ დასაწყისი.**

რუსეთის წყლების — ნებისყოფათა წვეთები არ შესწყვეტენ ... დენას. აღმოსავლეთი მათ იღებს და სტუმართმოყვარეობით აღებს მათ შესასვლელ კარებს. აღმოსავლეთის გულუხვ და ნოყიერ ნიადაგქვეშ რაღაც დუღს და ღელავს. მითხარით, თუ ამოხეთქავს ის, რაც მიწისქვეშ არის, თუ შეერთდება და შენაკადდება ცალკე-მდინარენი,—ვისი სახელი და ვისი სახე აღიმართება საუკუნეების თავზე? და როცა ეს მოხდება, საჭირო აღარ იქნება არც სიცრუე და არც გამოგონება: ზრახვა დიდი იყო, ცხოვრება კი უბრალო და მკაცრი. სწორედ ეს არის ის მასალაც, რომლისგანაც ხელოვანი აქანდაკებს ლეგენდას, გლეხისთვისაც მისაღებს.

VIII

ძველ, ბურჟუაზიულ, ლიბერალურ ანუ ზომიერ-სოციალისტურ დასავლეთს ბრმათ სწამს პროცესი და მისი მშვიდობიანი დასრულება. მისთვის უცხოა რუსეთის რევოლიუციის დინამიზმი—შედუღება ადამიანის უშვალო ნების და ისტორიის ხლართის. ის მოშხამულია ქრისტიანობით, ყველაფრის გარდამწყვეტ და მომგვარებელ მეორეთ მოსვლის მოლოდინით, და სადღესასწაულო საუბრისთვის არსებულ, ხოლო ყოველდღიურ შრომისათვის მიუღებელ ოქროს საუკუნის რწმენით. მიტომაც ისტორიის გეგმაში ძველი ბურჟუაზიულ-სოციალისტური დასავლეთი ფატალისტურია. ის ელის, რომ ოდესმე დამყარდება ის, რაც უნდა დამყარდეს. ისტორიულ დიდ საქმეებში ის იმდენად პასსიურია, რამდენად მომქმედი და ზრუნვის გამომჩენია ყოველდღიურ, პირად და ჭამა-სმის საქმეებში.

აღმოსავლეთი თავის მასსებით, რომელთაც არ მიუღწეიათ არც საშუალო ბურჟუაზიულობამდე, არც სოციალიზმამდე,—უზრუნველი და პასსიურ — ფატალისტურია ყოველდღიურ, ჭამა-სმისა და პირად საქმეებში, მაგრამ ფართო ისტორიულ ზესახელმწიფოებრივ მასშტაბში—ძველი სახელმწიფო თითქმის რომ ბურჟუაზიულ სამზარეულოს უმდაბლესი ხარისხია—ის ინახავს გადმოცემებს დინამიზმის შესახებ, ახსოვს ცნობები ყოფილ დიდგადასახლებათა, ომების და შავ ჭირის შესახებ, მათთვის იმარაგებს ძალებს და უცდის ბოლოთ ვადებს და თავის ღირსეულ ამოცანებს. რადგან, მისი თვალთახედვით, ღირსი და მოუსვენარი იყო დასავლეთის ცხოვრება პარტიკულიარულ სახელმწიფოთა და კულტურათა, როდესაც მეზობელი მეზობელს სწვდებოდა ყელში, არად მიიჩნევდა რა ადამიანთა დიად კოლექტიურ მზრუნველობას, და როდესაც დიდი გზის პატიოსან ყაჩაღს ტყვიით მიაჭდობდენ ბოძს, რათა დაუსჯელად ეყაჩაღნათ უბადრუკ სახელმწიფოთა სახელით,—უბადრუკ რამდენადაც ფართოდ არ უნდა გაიშალონ თავის საზღვრებში.

ძველი, კარგი ინტელიგენცია რუსეთის აღიზარდა ამ დასავლეთის ტრადიციებზე. მას აქვს თვალები, აქვს სმენა, მაგრამ ნებისყოფა და ხელები დამბლადაცემული აქვს. ის, ვინძლო, მზად არის დაეწაფოს პროცესს, როგორც წყაროს,

რომ წყურვილი მოიკლას, მაგრამ ის არ დააჩქარებს დენას და არ შეასწორებს ნაპირებს. აქ არის გათიშვა ოქტომბრის იქითა და ოქტომბრის აქეთა ინტელიგენციის. როცა ბრძოლის დროს ძველი ინტელიგენციისა [illegible] გაიძახოდა აზიურ სოციალიზმზე და ოქტომბრის რევოლიუციის [illegible] მორალზე, ის ვერ გრძნობდა, რომ მისი ლანძღვა კეთილ წინასწარმეტყველებას უფრო წაგავდა: ვინაიდან უშუალო დინამიზმი, რომელიც ფუძეთ აქვს ამ რევოლიუციას და რომელიც შთაბერა მას ლენინმა, ამსხვრევს გამყოფ კედლებს, ძველ, გადამკვდარ ბურჟუაზიულ კულტურაში გახვეულ დასავლეთსა და ძველ, ჯერ გამოულვიძებელ აღმოსავლეთს შორის. ეს დინამიზმი აქაც, იქაც ეწვეოდა ზევით ახალ ხალხს—მათ, რომელნიც არაფერს ჰკარგავდენ—და სდებდა ხიდს გაშლილ, თავისუფალ ცხოვრებისკენ, რომელმაც გარედან მოსწამლა დასავლეთი, და აღმოსავლეთს კი უკრძალავს შეზღუდულ ეგოისტურ ფუსფუსს.

როცა მოკვდა ლენინი, ინტელიგენციამ კვლავ დაილაპარაკა **პროცესზე**. ის არის—ლენინი მართალია. არა მხოლოთ რუსეთი და ევროპა—მთელი მსოფლიო დგება თავის განვითარების კატასტროფიულ პერიოდში. დაიწყო ახალი ისტორიული ეპოქა. იცვლება ისტორიულ განვითარების ტემპი. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, როგორი იქნება ამ პროცესის დამთავრება. ამნაირად ერთხელ კიდევ ასაბუთებდენ უფლებას უმოქმედობაზე.

პროცესი ინტერნაციონალურია, მაგრამ ლენინი, მიუხედავად მისი დაუთმობელი ინტერნაციონალიზმისა, ნაციონალური მოვლენაა მასში. ის მთლიანად დასავლეთის სოციალურ და ისტორიულ კალკულიაციებიდან გამოვიდა. მისი პიროვნების და მისი პრაქტიკის ჩამოსხმული მთლიანობა არ იძლევა საშუალებას მათში ნაციონალურ ნალექის თუნდ ერთი წვეთის შერევისას. თუმცა, პროცესის დასავლეთური მექანიზაცია მან შესცვალა თავის აზიურ დინამიზმის და უშუალობის სისწორით. იქ პროცესი—აქ რევოლიუცია. იქ არის ნივთები — აქ, ნივთებს გარდა, არიან ადამიანებიც. ლენინმა დააფასა იმ ხალხთათვის ინდივიდუალურ ისტორიულ გზების მნიშვნელობა, რომელნიც ოდნავ უახლოვდებიან რევოლიუციის ულელტეხილს. მან მოითხოვა ლოკალურ პირობების მკაცრი გათვალისწინება და ადგილისა და მომენტისათვის შესაფერ ძალების აღზრდა. საზოგადოების ათვისებამ, როგორც ტყის, რომელშიდაც ხეების თითოეული ჯიში აგროვებს არა მარტო ფიჩხს პროლეტარულ რევოლიუციისთვის, არამედ ამას ის აკეთებს კიდევ თავისებურათ, სცოცხლობს რა ფესვებში, ფოთლებში და ყვავილობაში—შეჰმატა ძალა ლენინის მხედველობას, გაამრავალფეროვანა მისი მეთოდები და გადასტყორცნა მისი იდეები იქ, სადაც, თითქოს მარქსიზმისთვის ნიადაგი არ იყო. თვით ის სიდიდე ლენინის ზრახვებისა, რომელნიც სწვდებიან მთელ მსოფლიოს, არ ვარდება ძველი რუსული საზოგადოებრივი აზროვნების კალაპოტიდან. ვინაიდან, თუმცა ლენინი გამოდის პროლეტარიატის თვითცნობიერებიდან და ამოცანებიდან, მაგრამ მისი მოწოდება მიმართულია ყველა მაშვრალთადმი, რომელთა წმინდა და ნამდვილ განსახიერებას წარმოადგენს პროლეტარიატი—იმ ადამიანების კლასი, რომელთაც არაფერი აქვთ დასაკარგი. კომუნისტური აპოკალიპსისი — მოქმედების აპოკალიპსისია. მოქმედება კი

რევოლიუციამდე. არსებულ რუსეთის ოფიციალური ისტორიით უარყოფილი მდაბიო და ნამდვილი რუსეთის სანუკვარ ოცნებას შეადგენდა, ხალხურ სიტყვიერების ტროიდან პუშკინით და გოგოლით დოსტოევსკამდე, სექტანტობიდან ტეროროზმამდე. ვიდრე მოქმედება უნდა წარმოებულიყოს ძველი სახელმწიფოებრივობის ჩარჩოებში, ხალხის დაბალი ფენებისთვის ეს შეუძლებელი იყო არა მარტო ფიზიკურათ, არამედ მორალურადაც. როცა მოქმედება გახდა ინტერნაციონალური, დაიწყო დაბორკვით ძალების ცხოველმყოფელი განთავისუფლება, და ხალხთა ზღვის ფსკერიდან ზედაპირზე ამოსცურდა სულ სხვა ტიპი რუსი კაცის—ნათელ შეგნების, გაქანების და საქმის კაცის.

ხანდახან კაცს ეჩვენება, რომ რუსეთი მხოლოთ ეხლა მიხვდა თავის ნაციონალურ ამოცანებს და მიიღო ძალა მათ განსახორციელებლად. ტიუტჩევის და დოსტოევსკის ოცნების იქით იდგა ხიშტი, რომელსაც მოჰქონდა მონობა, იდგა სიცრუე, რომელიც ჰფარავდა უხეში ძალის მდაბალ სურვილებს. და მოსკოვი ნუ თუ მხოლოდ გუშინ არ შეიქნა „მესამე რომათ" — როდესაც კრემლზე აღიმართა წითელი ალამი, და მის საყდრებზე ჯვრები შექანდნენ? ახალი ისტორიულ მორალის კანონმდებლად ყოფნას მოსკოვი ცდილა არა ერთჯერ, მაგრამ სინამდვილეში არასდროს არ ყოფილა ეს სულ იმავე გუშინდელ დღემდე, როცა მისი საერთაშორისო ძალა გამოირკვა—სიტყვაში, ლოზუნგში, სოლიდარობაში. მესსიანური იდეა ხალხიდან კლასზეა გადატანილი, — მაგრამ დღითი-დღე ხომ კლასი თანდათან ჰკარგავს კლასობას და იქნება ხალხათ. და მართლაც, ეხლა რუსეთი დვრიტათ იჭრება აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებში. თავისკენ სწევს და ითვისებს, რასაც ისინი აძლევენ, მაგრამ დულილი — ეს მხოლოდ მისგან არის. ზარის მოუსვენარი მრეკავი დაეუფლა მოსკოვის სამრეკლოებს.

IX

რგოლი რგოლზე. ერთნი გალუნულნი, მეორენი დამოკლებულნი, მესამენი მოულოდნელად სუფთად ნაჭედი. მეშჩანი—ბიოგრაფიაზე. ლუმპენპროლეტარი—მის ცხოველ-მყოფელ გმირულ ოცნებაზე. გლეხი—სიმართლეზე, ზრუნვაზე, შებრალებაზე. ინტელიგენტი ძაფებს აბამს ლენინის პიროვნებიდან და პრაქტიკიდან წარსულ დღეთა მოძღვრებებზე, რომელთა სხვადასხვა ფერი სხივები სწრაფათ გასცურდებიან დამკინავ სახეზე და გაჰქრებიან. ჩინეთში ლენინს ძეგლებს უგებენ, არა მუშები, არამედ ნაციონალისტები და აწესებენ კულტს ნამდვილი ადამიანისას. კავკასიელ მთიელთა ტომი, ხევსურები, ლეგენდარული შთამომავალნი კოლხიდაში გადაგდებულ ჯვაროსნებისა, განსაკუთრებული დელეგაციის პირით აცხადებენ, რომ ამ ბელადის სიკვდილის შემდეგ შეცვლა აღარ არის საჭირო, რომ უნდა შეეჩვიოთ უბელადოთ იოლად წასვლას, ვინაიდან იმის ბადალი არ არსებობს, და რომ ისინი, ხევსურები, გარდაცვლილის სახელით დაპირებას იძლევიან ამას იქით კვლავ განაგრძონ კავშირის საზღვრების დაცვა

და კანონის შესრულება. ძალზე დაბერებული მღვდელი აღმოსავლეთის კავშირის განაპირა კუთხეში წარმოსთქვამს ქადაგებას, რომლის გადმოცემა მეაქ არ მინდა, და რომლისთვისაც ძველ დროში მას ჩასვამდენ ქვის ტომარაში, ტუხლალში. განკერძოებული, ყველასათვის უცნობი, პოეტი*), ძველი კულტურით გაზრდილი და შემდეგ მისი უარმყოფი სწერს სტრიქონებს:

Сердце пе нем—словно свеча,
Утлый рабочий воск
Огненный мозг—эти холмы,
Словно четыре земли...

რგოლი რგოლზე — შენდება ჯაჭვი ლეგენდის. მაგრამ ჯაჭვი — მიწაზეა. სძევს—დაუჭიმავი რგოლები ცალცალკე—მხოლოთ პოტენციალურ ენერგიის დაგროვების, წერტილებია. ცნობა მოძრაობის, მაგრამ არა დასაწყისი. არა მოძრაობა—ზედმეტი სახე ჩინურ კერპთსამლოცველოში ან პარალელები დოსტოევსკის ზრახვათა და მსოფლიო პროლეტარიატის აჯანყების შორის. რადგან მოძრაობის წმინდა სტიქიონი — მხოლოდ პროლეტარიატშია. მხოლოთ მას შეუძლია ჯაჭვის აღება და მისი დაჯგიმვა ხმელეთიდან ხმელეთზე გადასროლით.

თუ ერთიანი, მოგიზგიზე და შემომქმედი კოცონი—მომავალ საზოგადოების სახეა, მაშინ ლენინის სამუშაო იყო ასანთებ მასალის მოგროვება და დანაწილება; ცხოველ ცეცხლის გაჩაღება; სადაც საჭიროა საბერველის დადგმა, რათა ცეცხლი მოედვას ყველაზე ძნელად დასაწვავ ხენჯსაც, და რომ თვით ტბების წყალით დაშლამ მისცეს ცეცხლს უფრო მეტი ძალა და მოძრაობა. არ არსებობს უვარგისი მასალა, თუ აზრიანათ მოვკიდებ მას ხელს—ეს აზრი მე მეჩვენება ლენინის ტაქტიკაში, და სწორედ ამ აზრმა მიაწყვიტა მისკენ ასეთის სიძლიერით ხალხის სხვადასხვა ფენები. მაგრამ რომ ენთოს მომავლის კოცონი—არ უნდა იყოს უვიცი ჯიუტობა. და ლენინს ძალზე ეზიზღებოდა დიდი ჯიუტობა კაცობრიობის, რაც ათასწლოვანმა სოციალურ სისტემამ წარმოშვა, და ის მცირე ჯიუტობა, რომელსაც იჩენდა კერძოდ ზანტი, მთვლემარე ადამიანი. არა მხოლოდ მოქმედების მანერაში, ლენინის ნაწარმოებთა სტილშიაც ისახებოდა ეს ბძულვარება. მისი სტილი შეკუმშულია, მკაცრი, დინამიური. ეს ნაწერები კი არ არის სიტყვის საკუთარი მნიშვნელობის გაგებით, არამედ გარემო პირობების გათვალისწინებაა მოქმედების წინ, ინტერვალებია ორ მოქმედებას შორის, ან და ძალებისაა და გზების ანგარიში დასრულებული მოქმედების შემდეგ. **არა მხოლოდ ადამიანი, ბუნებაც უნდა მიყვანილ იქნეს იმ მდგომარეობამდე, რომელიც სამსახურს გაუწევს ადამიანის ცეცხლს.** ელექტროფიკაცია მოიცავს პასიურ გლეხობას. პური და ნედლი საქონელი წონასწორობას დაუკარგავს დასავლეთელ მტრებს. რკინის გზებს და ტელეგრაფს არა მხოლოდ მიაქვთ და

*) კოლლაუ—ჩერნიავსკი

აწედიან ცნობებს: ისინი გამტარებლები არიან სააგიტაციო პულსაციის, ისინი ქვეყნის გულს უკაკუნებენ და მოსვენებას უკარგავენ.

ის, რასაც მოწინააღმდეგენი ლენინის ოპორტიუნიზმს უწოდებენ, სრულიადაც არ არის ოპორტიუნიზმი, არამედ ერთ-ერთი გამოაშკარავებაა დიდი რეალისტის ზიზღისა ზარმაც ჯიუტობისადმი. ადამიანის სტიქიონზე ახლო დაკვირვებით, ის ხედავდა, როგორ გადაჯგუფებას ახდენდენ მისი ატომები. მაშასადამე, საჭირო იყო მათზე ზეგავლენის მოსახდენათ მეთოდების გამოცვლაც. დაუყოვნებლივი გამოცვლა-გადაჯგუფება თვითეული კონფიგურაციის მიხედვით, უდიდეს ეფექტის ანგარიშით. დაუხანებლობა და ძალების ფრთხილი შენახვა, არ მოხდეს ცეცხლის განელება. სინამდვილის და მებრძოლ ისტორიულ პასუხის-მგებლობის გამახვილებული გრძნობა ლენინის თვალში ლოგიურ ან იდეოლოგიურ თამაშს ბოროტმოქმედებათ ჰქმნიდა. იდეის ლოგიური განვითარება სინამდვილის მიერ შეუმოწმებლად—საძაგლობაა, ვინაიდან ეს შეჩერებაა მოქმედებაში. მორალის გატარება მოქმედების ნაცვლად — სამარცხვინოა. ასეთ მტრებს ლენინი ებრძოდა მაგალითით და ირონიით.

მისი ირონია—ეს დაულალავი და სწრაფი ზომეაა მისი, რასაც მოითხოვს ცოცხალი პროლეტარული ნება, და მისი, რაც იცის ცოცხალმა პროლეტარულმა ცოდნამ, ყოველ საათობით მომაკვდავ რწმენებზე, მოქმედებათა გაერთიანებაზე და რეცეპტებზე. ისტორიის ქსოვილი ისეთის სისწრაფით გადმოდის საქსოვ მანქანიდან, ისე მოულოდნელად უხვევს და იბურდება, რომ ადამიანის ხელი ვერ ასწრებს, სცილდება და უფრო ჰაერს იჭერს, ვიდრე ქსოვილის ნაპირებს. ასე ადვილია სულელის სახელი დაიმსახუროს კაცმა საქსოვ დაზგასთან. პერმანენტული ისტორიული სულელები, რომელნიც ჰაერსა ქსოვდენ, ლენინს სძაგდა მით უფრო ულმობელად, რაც უფრო თავის თავში დარწმუნებულად ლაპარაკობდნენ ისინი აქედანვე, ნებისა და სინამდვილის დაკავშირების მოთხოვნაში, გამომდინარეობს მისი სამართლე. არა, როგორც კანონი, არამედ როგორც გარდუვალობა. ვინაიდან სიცრუეც—სინამდვილისაგან გასვლაა, გაჩერება, დამპალი ჭაობის ფანჯარა მსოფლიოს ქმნადობის ღველფში. იგივეა — მკვეხარობა. იგივეა—ქადაგება. ბუნდოვანი ჩვენება. გამოცვლა ერთი მოტივების მეორეთი.

მფლობელობა წარმოშობს ინერტობას. არა მხოლოდ ის, ვინც რამეს რეალურად ფლობს, არამედ ისიც, ვისაც შეეძლო მფლობელობა, ჰკარგავს მოძრაობის და ბრძოლის იდეალურ უნარს. არა მარტო სოციალური რევოლიუციები —ყველა მოძღვრებები და ყველა ჭეშმარიტებანი, რომელნიც-კი მოდიოდენ ქვეყნად, მოიწამლენ მფლობელობის სენით. ადამიანი ფრჩხილებს უყრიდა თავის დოვლათს, გარეულ მხეცის ტყავიდან სეიფის წყაროებამდე, და კითხულობდა: საით წავიდე? შეიძლება მოცდა. და იცდიდა. და იცდიდენ. სანამ არ მოვიდენ ისინი, ვისაც არ შეეძლო და არ უნდოდა ცდა. და ვისი გალაშქრებაც სულის საცხონებელი საქმე კი არ იყო, არამედ აუცილებლობა.

არასოდეს ისტორიაში არც ერთი ადამიანის საქმე არ დარჩენილა თა-

ვისი შემოქმედის სიკვდილის შემდეგ ისე, როგორც ლენინის შემდეგ მისი საქმე დარჩა.

ამბობენ ჩვეულებრივათ, რომ შემომქმედნი მარტენი-ალიბეგ ეს მართალია. როგორც ჟდანოს ქვეშა, ისე შეითქვავს პირს დრო დახრილი ხელისა და ხელში მომწყვდეულ საქმის ზემოდან. აქ კი? ხელები, ხელები, ტყე ხელების, რომელნიც მაღლა სწევენ ჩამოვარდნილ დროშას. ამნაირად გადაეხლართა პიროვნების ლეგენდას ლეგენდა შემოქმედ კოლექტივისა. და უკვე არ შეიძლება იმის გამოცნობა, თუ სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ერთი მეორეში გადასვლის დროს იმართებიან მრისხანედ მთრთოლვარე ალის ენები—კოცონი ანთია და ენთება.

გრ. კალანდარიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეზია ლენინზე

* * *

ლენინი თანადროულ პოეზიაში მოდის, როგორც დაუპყრობელი პოლიუსი. ან კიდევ: როგორც აუღებელი უკანასკნელი სიმაგრე.

თემა—მარადიულობის გამძლეობით სუნთქავს.

და მისი ძირეულათ ამოწურვა საუკუნოების ხანგრძლივობაში თუ მოხერხდება.

სადღეისოთ ლენინი პოეზიის წინაშე ამართულია, როგორც შეუცნობელი საიდუმლოება.

მართლდება უაილდის თქმა:

საიდუმლოება ხილულშია და არა უხილავში.

იყო ცდები ლენინის, როგორც „ხილული საიდუმლოების“ ამოსაცნობათ წარმოებული.

ნაწილობრივ ფარდა აეხსნა მის ძლიერ პიროვნებას, მაგრამ საესებით არ არის დაძლეული.

პოეზიისთვის იგი რჩება ზოგად ხაზებში ასახული. ეს კიდევ უფრო აძნელებს მისი გაგების საქმეს.

ამიტომ ამ წერილში ჩვენ არ გვსურს ანალიზი გაუკეთოთ პოეზიას ლენინზე.

ვფიქრობ გავარკვიო მხოლოდ ერთი საკითხი:

როგორი სახით და რა მხრივ შეიცნო თანადროულმა პოეზიამ — ლენინი.

* * *

ლენინი არის უდიდესი სახელი, პროლეტარულ რევოლიუციაში.

იგი ანთებულია რევოლიუციონურ შემოქმედების პათოსით.

პუშკინის სიტყვით, რომ ვსთქვათ:

ლენინში „ყოვლის გარეშემცველი სულია".

მისი სახით მოვიდა ძველი სამყაროს უმძლავრესი [illegible].

არ ნახულ ნებისყოფით.

და მონატრული კლასიური დუელის გაბართვის. პოეზიამ ყველაზე ადრე იგრძნო მისი მოჯანყე სული.

მაგრამ ეს ცოტაა.

მასშია მოცებული მთლიანი და განუკვეთელი შინაარსი; რომელიც გავარვალებულია რევოლიუციონურ ცეცხლით. ლენინისგან იწყება ახალი ტიპი — **რევოლიუციის ადამიანის.**

აქედან თემა—ლენინი, როგორც რევოლიუციონერი და პოლიტიკოსი.

ლენინი—ღირსეული წინამძღოლია მებრძოლი კლასის. მასში განსახიერდა, პროლეტარიატის ამბოხებული პსიქიკა. ძველი ქვეყნის რკალების გადალახვა. და ბრძოლა „სამყაროს შებრუნებული ფოკუსით" დამყარებისთვის.

ყოველ მებრძოლში ლენინური ცეცხლი გუზგუზებს ცოტათ თუ ბევრათ. აქედან ადვილი გასაგებია ის თავისებური და ინტიმიური კავშირი—ლენინისა ყოველ ნამდვილ მებრძოლთან—რომელიც ყოველთვის რეალური ექვივალენტით საღდებოდა.

სწორეთ ამ გაგებით გაიხედა თანადროულმა პოეზიამ—ლენინისაკენ.

„Льют столбцы оживленные пренья
Непонятные для меня
С белой стенки наклоняется Ленин
И тихонько начнет об'яснять".

(М. Светлов).

ამ კავშირის შესახებ, ლენინის სიცოცხლეში აი რას სწერდა პოეტი ბეზიმენსკი.

„Он нам важен не как личность
Он нам важен не как гений
А как символ: — „Я не Ленин, но
Вот в Ленине — и я".

ჭეშმარიტათ ასეთი კავშირია ლენინსა და ყოველ მებრძოლს შორის. ლენინი თავისთავად იტევდა მებრძოლი კლასის აზრებს. იდეალებს. მისწრაფებებს. რადგან ხალხმა გადასცა მას, თავის სურვილი და ნებისყოფა. იგი ღირსეულათ ატარებდა ასეთ საჩუქარს. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ ყოველი მებრძოლი გრძნობდეს ლენინში საკუთარ თავს. იგი უმაღლესი კომანდირია „ბრძოლის ყველა ბარიკადებზე". ამიტომ მან არ იცის ტოლი, რითული მდგომარეობისაგან გამოსასვლელ გზის პოვნაში. ის არის დაკვირვებული. მხნე დარაჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციის მუშათა კლასის ბედის, ეს ხაზი საკმაო სიძლიერით აქვს გამოთქმული პოეტ კაზინს:

„ო, წინამძღოლო—მთებზე მაღალო
როგორც მიწისძვრა, ბრინჯაოს მორი,
ხარ წამებულთა აღთქმა ახალი
და პროლეტარებს სდარაჯობ შორით".

აქედან ლენინში სახიერდება.

მუშათა კლასის სიძლიერე. ძლიერათ ვასროლილი ყუმბარა — ცეცხლდანთებული ბარრიკადებიდან, რომელიც შეანგრევს ძველი სამყაროს სახეს. აგრეთვე მასში ვხედავთ მებრძოლი მასების უსაზღვრო ნდობას, დამსახურებულ მასწავლებელს.

ლენინში—ეს მხარეები კარგათ აქვს ასახული ერთ პოეტს.

Ведь это мы рабочие, солдаты и крестьяне
Ему свой мозг отдали
Чтоб вершил
Единую он нашу волю
Нет, нет, не умер он
Мы жили в нем
Теперь он в нас живет.

(Сборник Манн).

ლენინის ნაჩვენები გზით მიდის პროლეტარული რევოლიუცია. ამიტომ ფიზიკურათ გარდაცვლილი ლენინი სულიერათ ყველაში ცოცხლობს. ლენინის გარდაცვალებით კომუნისტებს არ გამოუყვანია დასკვნათ — მისი გალმერთება. როგორც ეს ვალ. ბრიუსოვს ეჩვენება,

„ის მოკვდა! იყო სულ ერთი წუთი
ჟამთა სრბოლაში. მაგრამ ქმედითი,
ის აღემატა დაბალ სიცოცხლეს,
და ჩვენ ვადიდებთ მის სახელს მუდამ".

პირიქით. არის არა ლენინის „სახელისადმი მუდმივი დიდება" და თაყვანისცემა, არამედ მისი დაწყებული საქმისთვის — ბრძოლა. მისი იდეის რეალური განხორციელებისთვის — თავგადადება. არის ლენინის საქმე. მაშასადამე ის ცოცხლობს—მისი საქმის განმგრძნობთა შორის. ამის შესახებ ვ. მაიკოვსკი სწერს:

„Ленин—жил
Ленин—жив

Ленин будет жить,
К сведению смерти, старой карги
Гонящей в могилу и старящей
„Ленин“ и „Смерть“ слова враги.
„Ленин“ и „Жизнь“ товарищи.

იგივე აზრია გატარებული ქართველ პროლეტარულ პოეტების ლექსებში. სანდრო ეულს—თაეის ლექსში გამოყავს ლენინის „ხმა საფლავიდან“, რომელიც ამბობს:

„შრომის რაზმებს გადაეცი
გესმის შრომის რაზმებს,
არ შეფერის დაღვრა ცრემლის
მებრძოლ კომუნარებს
გადაეცით ყველას... ყველას
რწმენა გაიმარჯვებს“.
...და ძეგლს დაგიდგამთ უძვირფასეს
ძეგლს—კომუნიზმის მზით განათებულს
რომ შენი სულით სული გაეესოს
თვით განახლებულ: დედამიწის ბურთს.

(ვ. სამსონიძე).

„ის ისევ სცოცხლობს სინამდვილეში
ჩვენ ისევ მისკენ გვიჭირავს თვალი
გლოვა და ზარი მაშვრალთ უბნებში
დროებითია და წარმავალი.

(ივ. ხონელი).

ლენინი — რევოლიუციონერი საინტერესოა, როგორც **პროლეტარული დიქტატურის** შემომქმედი.

ლენინი არ არის მარტო პროლეტარიატის ბელადი. იგი იმავ დროს გლეხობის ბელადიცაა.

ლენინმა გლეხების და პროლეტარების მჭიდრო კავშირში განსჭვრიტა **დიქტატურის** გამარჯვება. მხოლოდ მან გადასჭრა, გლეხობის და პროლეტარიატის დაკავშირების საკითხი. იგი გახდა „გლეხობის—პროლეტარული ბელადი“.

ამის შესახებ ერთი პოეტი სწერს:

„Спешит тулуп,
Везет за пазухой
Последний ленинский декрет
И в сельсовете после ужина
Махрой дышит мужицкий сход:
Ильич, мой, пишет,—значит, нужно
И мысль врезается сохой.

(Сбор. Мотп).

მხოლოდ ლენინმა შესძლო გლეხის ბუნებასთან დაახლოვება. მისი სრული გაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ადვილი გასაგებია მისი უნახავი წარსულიც. ... ინტერესი გლეხურ მასაში.

სოფელის და ქალაქის დაახლოვება, მათი რევოლიუციონურ ბრძოლაში საჭირო ძალებით მიშვება—მხოლოდ ლენინმა მოაწყო.

„წელი წელს სწრაფად მისდევდა წყებად
ჩვენ კი შენ აღთქმებს მივსდევდით ლხენით
შენ მიგვიძღოდი ოქტომბრის ცეცხლში
და საბჭოებთან მივედით შენით.

(რევ. სიმღერა)

საბჭოთა სისტემის დამყარების ხანგრძლივობაში ლენინი მოსჩანს წითელი ოქტომბერით და პროლეტარული დიქტატურით.

... და მოდი, როგორც მძლავრი მიწის ძვრა
დახეთქე მიწა და შეარყიე
სად უწინ შრომის გმირებს ჩეხავდნენ
იქ თვით მტარვალი დაამარხვიე.

(ი. ვიქელი)

ამ მხრივ სავსებით მართალია პ. საკულინის აზრი: „იგი იყო შემოქმედების გენიოსი—რევოლიუციონურ შემოქმედების. რევოლიუცია მისთვის იყო მეთოდი. მიზანს კი ახალი ქვეყნის შექმნა შეადგენდა“, ამ მხალი ქვეყნის შექმნისთვას იბრძოდა იგი.

ამით ასრულებდა დაჩაგრულ კლასების ზრახვებს. მხოლოდ ის მოვიდა მათ გამოსახსნელათ. მათი ნებით და სურვილით გაშალა საბრძოლველი ფრონტი. **„ძველის“** დასანგრევათ და **„ახალის“** შესაქმნელათ.

... და ამ ბრძოლაში ჩვენ ფიცს ვდებთ ყველა,
რომ დავასრულებთ საქმეს ბოლომდე.
დე მიიძინოს ლენინმა მარად.
მაგრამ გენია— ხომ არის კაცი
და საუკუნე ჩვენი მეოცე
არის ლენინის ხომ საუკუნე?

(ა. დოროგოიჩენკო)

მეოცე საუკუნე—ლენინის საუკუნეა. საუკუნოებით მოელოდა მის მოსვლას და საუკუნოები ამეტყველდებიან მისი **საქმის** რეალი განხორციელებით.

„ისევ წამოვა წვიმა კეთილი
და დედა-მიწას გამოაცოცხლებს:
თვითონ სარდალმა გვითხრა უბრალო
მაგრამ დიადი სიტყვები ცეცხლის.

(ვ. სუხოტინ)

ლენინი, როგორც ორატორი, კარგათ აქვს დახასიათებული პოეტ მიხ. გერასიმოვს.

„შენი ხმა
თვითონ სტიქიის ხმაა მძლეველი
რისხვა მომსკდარი მილიონ ხალხთა
აძიგძიგებულ რუსეთის ველი
ოკეანების დუღილი წყალთა“.

ა. აროსევი, ლენინს, როგორც ორატორს, ასე ახასიათებს:

„ლენინის ყველა სიტყვები ჩვეულებრივია. მაგრამ ჩავარდება თუ არა გულში, გასინჯავ და მასში დაინახავ — თესლს“.

ლენინის ყოველი წინადადება კლასიკური უბრალოებით გხიბლავს. მას შეუძლია რთული პრობლემა, უბრალო გამოთქმას დაუმორჩილოს. მაგრამ უფრო სასტიკია ლენინი როგორც მწერალი.

„Ленин пишет не пером
А, и вправду, топором“.

(დ. ბედნი)

ამრიგათ ლენინის რევოლიუციონური ფიგურა სავსებით მოცემულია:
მის სიტყვაში, ნაწერებში, პრაქტიკაში.
პრაქტიკული სიტყვაა მარქსიზმის.
ლენინიზმი, მარქსისტული თეორიის და პრაქტიკის სინტეზია.
ეს სინტეტიური ნაკადული გამოდის ლენინისაგან.
ამ მხრივ პოეზიამ ლენინში იგრძნო. უძლიერესი პიროვნება, ნათელი მოაზროვნე.
ლენინი, როგორც პიროვნება მეტად რთული თემაა.
ამ მხრივ დასახასიათებლათ, საჭიროა დაუპირდაპიროთ იგი — გამლეტს.
გამლეტი ევროპიულ ქვეყნის და კულტურის ფონისგან გამოდის.
იგი დაშორებულია „ბუნებას.“
და გაორებული სულით მოარულია.
გამლეტის განუყოელი ორეულებია:
სკეპტიციზმი და უალრესი ინდივიდუალიზმი.
ლენინი კი წინააღმდეგ.

მასში მოსჩანს მთლიანი სული. განუკვეთელი. ყოველთვის რევოლიუციონურ ცეცხლით გახურებული. ამ თემაზე ორი ძლიერი ლექსი დაიწერა საქართველოში.

ᲔᲠᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲘᲒᲚᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ

ეს ლექსები ეკუთვნის:

პაოლო იაშვილს და ვალერიან გაფრინდაშვილს. ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში მოცემულია ობიექტიური დახასიათება ლენინის, როგორც პიროვნების.

„მე დავაყენებდი ლენინის წინაშე გამლეტს და ოფელიას.
უკანასკნელათ ეთხოვება მსოფლიო ლენინს:—
ის იყო: სტეპან ხალტურინის ნებისყოფა
და ჟელიაბოვის ინტელექტი.
ის იყო მერედიანის გაქანება და თრთოლვა.
ის იყო უნაზესი სახელი, რომელსაც არქმევენ ბავშებს,
მობრუნებული ნინელ.
გათავდა ავონია —დაეცა წვეთი.
მაგრამ იქნება კაცობრიობაში მისი სახელის
მარადი რეზონანსი.
ელლინური გმირები და ღმერთები—პერიკლ, ზევესი
გაფრინდებიან და საუკუნოების სიმაღლეზე
დადგება ლენინი.
მე მაგონდება ტოლსტოის სიკვდილი,
როცა რუსეთმა დაიკივლა ტკივილისაგან.
პოეზია დაეუფლა ლენინის სახელს, როგორც
ისტორია“.

ამ ლექსში ნამდვილი გაგებაა ლენინის.

ლენინში უთუოდ არის ს. ხალტურინის ნებისყოფა და ჟელიაბოვის ინტელექტი.

მაგრამ ლენინში ეს ინტელექტი და ნებისყოფა იგივეობამდია დაყვანილი.
ამით არის იგი პირველი და განუმეორებელი ტიპი რევოლიუციონერის.
მან არ იცის უკან დახევა.
მისთვის უცნობია სკეპტიკური გრძნობა.
ამით არის იგი ანტიპოდი—გამლეტის.
აგრეთვე საყურადღებოა მასში მეორე თვისება.
ლენინში საკმაო ძლიერათ მოსჩანს **კოლექტივისტური** იერი.

„ინდივიდუალიზმი“ მასში სრულებით წარეცხილია. იგი თვით არის სიმბოლო—ახალი **კოლექტიური** ქვეყნის.

მისმა ფიზიკური სიკვდილმა უფრო მეტათ გააძლიერა -- ამ კოლექტიური ქვეყნის დამყარებისთვის მზადება. ძლიერი ბრძოლის დანთება. რადგან მისი დამყარებისთვის იბრძოდა იგი. რადგან მისი დამყარების აუცილებლობა უანდერძა როგორც აღთქმა, მებრძოლ პროლეტარიატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შევკრთით ყველანი მწავე ტკივილით
აღარა გვყევხარ: დაგვშორდი მარად.
ჩვენ მაინც შენი აღთქმებით ვივლით
შენ მაღალ სულის ჩვენ ვართ სამარე“.

(მ. გერასიმოვი)

კარგათ არის მოხაზული ვ. გაფრინდაშვილის ლექსში ლენინის გარეგნობა. ლენინის გარეგნობიდან მან დაგვანახა მისი სულიერი ვითარება.

მის გარეგნობაში განჭვრიტა: ლენინის რევოლიუციონური სული. მისი პროტესტანტური მოქმედება.

„თან ირონიული და სხივოსანი ღიმილი
თან სოკრატის შუბლი, რომელიც შეატრიალებს მიწას“.

ეს სიტყვები მთელ ლექსათ ღირს.

იგივე აზრის მატარებელია ა. ირკუტოვის ლექსი „სამუდამოთ“.

„ყოველთვის ოცნების თვალით
დავინახავთ ჩვენ
თმებიდან გაძარცულ
გენიალურ თავს.
დაგვრჩება ხსოვნაში
მოღუნული ფართე მხრები
როგორი სიმძიმე
უნდა დასწოლოდა მას“.

მაგრამ ლენინი, როგორც დიდი რევოლიუციონერი, როგორც უსაყვარლესი პიროვნება, მთელი ქვეყნის მებრძოლ პროლეტარიატის — შეუდარებლათ აქვს ასახული პაოლო იაშვილს.

... „მაგრამ ლიბკნეხტის არჩევანი იყო ლენინი
ლენინი იყო არჩევანი ქვეყნიერების.
ვიცი, ჩინეთში მებადური ჩამოხეული
რომლის ცოლშვილი ნაგავივით ქუჩაში ყრია
ახლა აკერებს თავის ბადეს და სტირის ლენინს.
ვიცი ყოველთვის ცეცხლდანთებულ ირლანდიაში
მეამბოხენი სადმე ტყეში სტირიან ლენინს!
ისპანიაში, მჯერა, ამ წუთს აღარ მღერიან,
და აჩერებენ თივის გემებს მეზღვაურები.
ამხანაგებო! ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი
ვემღეროთ ერთად პოეტებო მარში გლოვისა“.

ამრიგათ ლენინის პიროვნებაში მოსჩანს: მაგარი ნებისყოფა. ასეთივე ინ-

ტელექტი. მთლიანი და განუკვეთელი სული. რევოლიუციონერ შემოქმედების პათოსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

დასკვნა:
ლენინი პოეზიაში, მხოლოდ ზოგად ხაზებშია ასახული.
პოეზიაში—ლენინი იშლება შემდეგი თემებად:
ლენინი—ჰოლიტიკოსი.
ლენინი—რევოლიუციონერი.
ლენინი—ორატორი.
ლენინი—პიროვნება.

საფუძვლიანად არც ერთი თემა არ არის დამუშავებული და მხატვრულათ ნაჩვენები. უთუოდ დიდხანს გასტანს ასეთი სიძნელე. და პროლეტარული პოსტი ა. პოლეტაევის არ იყოს, დიდი ხნით შეუძლებელი იქნება ლენინის პორტრეტის დაწერა.

Портретов Ленина не видно:
Подобных не было и нет
Века уж дорисуют видно
Его недорисованный портрет.

გიორგი გორბაჩევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურქუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის უკანასკნელი რომანტიკოსი *)

(გორკისა და მისი ახალი ჟურნალის გამო)

რათ არ არის ახლა ჩვენთან გორკი? რათ იყო იგი წინააღმდეგი პროლეტარულ რევოლიუციისა მის დასაწყისში?.. რატომ არის, რომ ასე პირობით, ფრთხილად და სხვადასხვა განმარტებებით „უჭერდა მხარს“ რევოლიუციას სამოქალაქო ომების განმავლობაში? ხომ სარგებლობდა ეს მწერალი დიდი და დამსახურებული სიყვარულით რუსეთის პროლეტარიატის თვალში? ოდესღაც აკი მასაც უყვარდა გულწრფელად და საქმიანად პროლეტარიატი, რევოლიუცია და სძულდა ბურჟუაზია?

რათ მოხდა რომ გამომცემელი 1905 წ. ბოლშევიკური გაზეთის „ახალი ცხოვრებისა“, იდეური ხელმძღვანელი რევოლიუციონურ-დემოკრატიულ კრებულებისა „ცოდნა“ რეაქციის დროს და ინტერნაციონალურ „მატიანესი“ ომის დროს, 1917 წელს გახდა რედაქტორი ინტელიგენტურ-რეზონიორულ გაზეთისა „ახალი ცხოვრების“ და ახლაც სათავეში უდგას ემიგრანტულსა და რევოლიუციისა და პროლეტარიატის მოწინააღმდეგე ჩუკოვსკი-ზაბიატინსკის ჟურნალს „რუსეთის თანამედროვეს“. 1917—18 წ.წ. გორკი ესერულ კულაკებთან და პროვინციალურ მეშჩანებთან ერთად მოწინააღმდეგეა პროლეტარიატისა და ლენინის.

ეს წვრილბურჟუაზიული ხელოსანთა წრიდან გამოსული კაცი, აჯანყებული ბოსიაკი, რომელიც ამოტივტივდა ცხოვრების „ბსკერიდან“ თავის პირად ღირსების გამო, თავისუფალი მაწანწალა, რომელმაც მოიარა მთელი რუსეთი

*) ამბ. გ. გორბაჩოვი—ავტორი წიგნის „ნარკვევები თანამედროვე რუსეთის ლიტერატურიდან“—პროფესორია ნინოვეევის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის ლენინგრადში.

ამბ. გორბაჩოვი თანამშრომელია ჟურნალ „მნათობის“. ზევით მოყვანილი წერილი—დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

რედაქცია.

ისე რომ არ მიკარებია ცხოვრების არც ერთ წყობილებას, სრულიად ბუნებრივად გახდა ინდივიდუალისტი მთელი თავისი ფსიქოლოგიურ ხატულობით. რწმენა პირად ძალაში, ლტოლვა, საზოგადოებრივ პირობებს „გარეშე“ შეიწროებულ პიროვნების აღდგენისადმი, სიძულვილი ყოველივე იმისა, რაც ხელს უშლის მის გაქანებას, მეტად დამახასიათებელია გორკის შემოქმედებისათვის. გორკის, რომელიც კინაღამ გაქელილი არ იქნა, მეშჩანთა მიერ მის „ბოსიაკურ“ სიყმაწვილეში, რომლის ბავშობაც შელახული იყო ცხოვრების ძველი პოლიციურ-მეშჩანურ წყობილებით, არ შეეძლო, რომ არ შესძულებოდა დამყაყებული მესაკუთრეობითი წყობილება, რომელსაც იცავდა პოლიციელი და ხუცესი. გორკის აღბეჭდება იყო სოციალური, სოციალურ-პოლიტიკური და არა წმინდა ესთეტიური და ინდივიდუალისტური, რაც მის თანამედროვე სიმბოლისტებს ბალმონტსა და ბრიუსოვს ახასიათებდა. სიმბოლისტები გვიხატავდნენ ინტელიგენტთა გმინვას, რომელნიც საკმაოდ იყვნენ უბრუნველყოფილნი და რომელთათვის საკმაოდ იყო „შინაგანი“ განთავისუფლება, რომ თავი ეგრძნოთ კარგად და თავისუფლად არსებულ წესწყობილებაში.

გორკი დღეს კადეტურ პროფესორებთან ერთად გაჰკივის რევოლიუციონურ ცეცხლში გამობრძმედილ და გამარჯვებულ მუშების ბარბაროსობაზე და „მარჯვე ყმაწვილ“ კორნეი ჩუკოვსკისთან და „რევოლიუციის მტერ“ ზამიატინსკთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული ილაშქრებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ თეორიის წინააღმდეგ, ებრძვის მის მხატვრულ მწერლობას და წინააღმდეგია პროლეტარულ პრესის. („რუსეთის უწყებები“ ჭკვიანურად უვლის გვერდს პოლიტიკას, მაგრამ უფრო ნათლად, ვიდრე ამას სჩადის „სმენაევებელების“ „რუსეთი“, ხსნის ანტიმარქსისტულ, ანტიპროლეტარულ ფრონტს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურისა და კრიტიკის დარგში). როგორ მოხდა ეს? ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვას, გამოვალთ რა გორკის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი პიროვნების ანალიზიდან, რომელიც შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ პირობებში და გამოიხატა გორკის მხატვრულ და პუბლიცისტურ-საზოგადოებრივ გამოსვლებში.

90 წლებში, მრეწველობისა და ბურჟუაზიულ კულტურის უაღრესად განვითარების პერიოდში, ინდივიდუალისტურ ხანაში, როდესაც დაიწყო აღშფოთება წარსულის ყველა კერპების წინააღმდეგ, როდესაც ხდებოდა ყველა ღირებულებათა გადაფასება, მაქსიმ გორკი გახდა პირველ მის ნაწარმოებთა დაბეჭდისთანავე ყველაზე პოპულიარული მწერალი.

გორკი, ლუმპენ-პროლეტარი თავის წარმოშობით, აღზრდილი დემოკრატიულ ინტელიგენციის მიერ, ლაპარაკობდა დემოკრატიის სახელით, იმ ფართო დემოკრატიულ მასსის სახელით, რომელსაც შეეძლო განთავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ კოლექტიურ სოციალურ მოქმედებით. საჭირო იყო რევოლიუცია, რომ განთავისუფლებულიყო გორკისათვის ისე საყვარელი პიროვნება, რომლის თავისუფლებისა და უფლების მოსაპოებელ ბრძოლისთვის იგი მუდამ მზად იყო.

სწორედ ამიტომ დემოკრატ გორკის ინდივიდუალიზმი ცარიზმის დროს

ატარებდა რევოლიუციონურ ხასიათს და იდგა იმ მებრძოლ ამხანაგთ რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ საზოგადოდ ხალხთა ამხანაგობის იდეისათვის.

მაგრამ გორკის საყვარელი გმირები მაინც ისინი [illegible] [illegible]ნენ, [illegible] თვითონ ეძებენ გზას, საკუთარი ძალებით მიდიან ცხოვრებაში, რომელნიც არაფერს არ იღებენ უბრალო დაჯერებით, არავითარ კოლექტივს არ უერთდებიან, თუ ოდნავი ეჭვი მაინც ეპარებათ მათ რწმენაში და საქმიანობაში. გორკის უყვარს ისინი, რომელნიც ამჯობინებენ საზოგადოებრივ ჯგუფის გარეშე დგომას და მარტო სიარულს. „ალსარების“ გმირი არ უნდა იყოს არც მეპატრონე და არც მუშა. და თვით გორკისაც, როგორც ეტყობა, მოსწონს რომ დღევანდელ რუსეთის დიდ ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს და რომ ასე განკერძოებით სდგას ორივე ბანაკისაგან და „თავისუფლად და მიუკერძოებლად“ წარმოსთქვამს „მათ ამა თუ იმ მოქმედებათა გამო გამოტანილს განაჩენს.“

სუსტი პიროვნება, რომელსაც თავის ინტერესების დაცვა არ შეუძლია, სძაგს გორკის. თავის წერილში (იხ. Русский современник, 1924 წ.) ვლადიმერ ილიას ძე ლენინის შესახებ ოდნავი კოპწიაობით, მაგრამ ნათლად აღნიშნავს ფაქტს, რომ მას, არ სჯერა მასის გონება. მას, გორკის, თითქმის არასოდეს არ სჯეროდა ეს და მუდამ „ცუდი მარქსისტი“ იყო, მიუხედავად მისი მეოთხედ საუკუნეზე მეტ მჭიდრო კავშირისა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. გორკი 1890 წ. წ. თავის ბოსიაკ ინდივიდუალისტებს უპირისპირებდა მორჩილ და დაძაბუნებულ მასსას. გორკიმ, როგორც ყველაზე ძვირფასი რამ, საოცარ ტრაგიულ გმირობით ჩაუგდო ფერხთით პროლეტარულ მასსას მთელი პირადი პასუხისმგებლობანი თავის საქმიანობაში, რაც გადაგვიშალა თავის ყველაზე უფრო კოლექტივისტურ დრამაში „მტრები“, სადაც მთელი პათოსი მაინც პიროვნულ დრამებშია. 1905 წ. შემდეგ გორკი ისევ მალე დაუბრუნდა თავის შემოქმედებაში ინდივიდუალისტურ ინტერესებს, პიროვნების ტრაგედიას და სულით ობოლთა ბრძოლას პიროვნების განმტკიცებისათვის („ქალაქი ოკუროვი“, „მათე კოჟემიაკინი“, „სიყრმე“, „ხალხში“, „უსაჭირო კაცის ცხოვრება“). გორკიმ თავის „ალსარებით“ თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ მასსის რწმენა მას შეუძლია მხოლოდ რელიგიურ რწმენით, რომელიც იძულებით სპობს ყოველგვარ ეჭვებს; რომ მას „ღვთის მაშენებელ ხალხის“ გაღმერთებისათვის ესაჭიროება ფანატიზმის განუწყვეტლივი გაღვივება და ამ ღვთაების კერპის გატაცებული კოცნა. გორკი მოიხიბლა ლუნაჩარსკის რელიგიურ სოციალიზმით, რადგან მას მასსის მხოლოდ **რწმენა** შეეძლო და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ის ფანატიკურ რწმენით მიაყუჩებდა გონებას, რადგან მის გონებას მუდამ ეპარებოდა ეჭვი მასსის სიმართლეში. მისთვის აუცილებელი შეიქმნა, რომ მასსისაგან ღვთაება შეექმნა, რადგან უამისოდ მასსათა რიგებში ჩადგომა მას არ შეეძლო. გორკის აზრით, პიროვნებას ქედის მოხრა, თავისი გაქანებისა და მოთხოვნილებათა შეკვეცა მხოლოდ „ღმერთის“ აბსოლუტურ იდეალის წინაშე შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის არ მიაღწევდა რელიგიურ გრძნობას, მას არ შეეძლო დარჩენილიყო სოციალისტად, არ შეეძლო მას შემდეგაც, როცა მასსიურმა ტალღებმა გადაიარეს მის თავზე 1905 წელს და კოლექტიურ მოძრაობათა ღელვა ძირს დაიწია.

სოციალიზმი, როგორც რელიგია, ე. ი. ისეთი რაღაც, რაც აიძულებს და აბრმავებს გონებას, ნებისყოფას თავისი აბსოლუტურ ... ბრწყინვით, კოსმიურ მიღწევებით; ეს ტიპიური მოვლენაა მათთვის, ვინც განუკურნელად ავადაა ინდივიდუალიზმით, იმ განუკურნებელ სენით შეპყრობილ ინტელიგენტთათვის, რომელნიც არ ჭვრეტენ მასსებს, არ შეუძლიათ გაერკვიონ მასსებში და არ შეუძლიათ ანგარიში იქონიონ მასსებთან.

გორკი 1917 წელს, როდესაც მისთვის ისე საძულველი თვითმპყრობელობა დაემხო, დადის თავდახრილი და შეშინებული. ეჭვიან თვალით უცქერის გამარჯვებულ მასსებს, რომელიც გამოეფინა ქუჩებში საზეიმოდ. საცოდავი შესახედაობის იყო გორკი, ეს დაუძინებელი მტერი ძველი წესწყობილებისა, სუბიექტიური მტერი ბურჟუაზიულ მეუდროებისა და მესაკუთრეობისა, იმ დროს, როდესაც ისეთი პოეტი, რომელსაც აწამებდა ტრაგედია სამყაროს მიუღებლობისა, როგორიც იყო ბლოკი, გახარებული იყო იმით რომ დაჭკრა საათმა, როდესაც უნდა მოსპობილიყო „ყოველგვარი მესაკუთრეობა“ და თვით მენშევიკებიცა და ესერებიც კი დადიოდნენ სიხარულით დამთკრალნი, რომ გამარჯვება მასსებს დარჩათ.

გორკი, შავრაზმელივით, რაღაც ბოროტი სიხარულით ეძებდა უგუნურებას მოქმედებებში და თითქოს ბრაზობდა კიდეც, რომ მის ეჭვების მიუხედავად, გაიმარჯვეს მასსებმა.

გორკი დასცინოდა ჯარისკაცების „სულელურ“ სეირნობას ავტომობილებით, ხან წინასწარმეტყველებდა რევოლიუციის დაღუპვას, იმის გამო რომ მოუხერხებელი იქნებოდა რევოლიუციონურ ბრბოს გარდაქმნა დინჯ საყარაულო გარნიზონებათ და დარბაისლად მოსეირნე გერმანელ ბიურგერებათ. გორკი იცნობდა მეშჩანურ, გამოთაყვანებულ, სულელ და ველურ მასსას, ის იცნობდა მომაკვდავ საშუალო საუკუნეთა პროვინციალურ რუსეთის წვრილ ბურჟუაზიულ მასსას; იგი იცნობდა სოფლების მასსას, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაჭკარებოდათ არც 900-ანი წლები, არცა საერთაშორისო დიდი ომი და მით უფრო დიდი რევოლიუცია, იგი იცნობდა მასსას ლიუმპენურს.

ამ მასსაში არ იღუპებოდა სულიერად და ფიზიკურად მხოლოდ ის, ვინც კბილებით იცავდა თავის-თავს და გამარჯვებული, ნამდვილი ადამიანი გამოდიოდა სინათლეში და საზოგადოებრივ ბრძოლაში კულტურულ ცხოვრებისათვის ასში ერთი, და ისიც მაშინ, თუ ის შესძლებდა ამ მასსის მიტოვებას, მისი შეუგნებლობისა და შურის გადალახვას. ეს აღმდგარი და მიმავალი ხდებოდა უცხო ამ მასსისათვის. „პატრიარქალურ“ სოფლის ხალხოსნურ იდეალიზაციას ბოსიაკმა გორკიმ პირისპირ დაუყენა თავისი სიძულვილი გლეხობისადმი.

ხალხოსანთა ქადაგების მაგიერ, რომ გაუბრალოებაა საჭირო და ხალხთან დაახლოვება, გორკიმ განვლო საწინააღმდეგო პროცესი და გახდა ინტელიგენტი და ბატონი.

იგი ყოველივე ამას პირდაპირ უყენებდა რწმენას პიროვნებისადმი და მის უპირატესობას მასსებზე ინდუსტრიალურ პროლეტარებში, გორკი ხედავდა, როგორც მწერალი და როგორც პარტიის ახლო მყოფი კაცი, არა მასსებს, არამედ

მოწინავეებს. სოციალისტურ კოლექტივიზმთან გაინტელიგენტებული ბოსიაკი (მაქსიმალურ ინდივიდუალისტურ მდგომარეობაში) მივიდა გონების გზით, მას შემდეგ, რაც იგი იძიებდა გამოსავალს პიროვნებისათვის, ... გაითვალისწინა ბოსიაკები, (პირველ მოთხრობათა დაწერის დროს) ... (მოთხრობა „მუჟიკები",) ბურჟუა („თომა გორდეევი") და ინტელიგენტები.

გორკი თითქმის „ნაშთთა" მეთოდით გაჩერდა პროლეტარიატთან, როგორც მესსიასთან, რომელიც დაიხსნის შევიწროებულ პიროვნებას მეფური რუსეთის საზოგადოებრივ პოლიტიკურ წესწყობილების კირთებისაგან. გორკი თავის ამბოხებაში ყოველგვარ შევიწროებათა და დამონების წინააღმდეგ რევოლიუციონურია. იმ დემოკრატიულ ფენებისათვის, რომელთაც გორკი მიემხრო, რევოლიუციის გარეშე არ იყო განთავისუფლება.

მაქსიმალისტი და ძველი ქვეყნისადმი თავშეუკავებელ სიძულვილით აღსავსე ადამიანი, რომელსაც სძულდა ეს ქვეყანა, რომელიც იცავდა ბურჟუაზიის კეთილდღეობასა და მასსებს სიბნელეში ამყოფებდა, გორკი მიემხრო, ეს ბუნებრივი იყო ოთხმოცდაათიან და ცხრაასიან წლებში, დემოკრატიულ რევოლიუციის გეგემონს, პროლეტარიატს. თავისი ხასიათის თანახმად, რომელიც გამომუშავდა მისი ცხოვრებით, გორკიმ დაიჭირა ყველაზე მარცხენა პოზიცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ჯერ ის იყო ბოლშევიკი, მაგრამ შემდეგ, როცა გარეგნულად ბოლშევიკებზე მარცხნივ აღმოჩნდნენ „მოწინავენი", ის მათ მიემხრო. მაგრამ ინდივიდუალისტ გორკის მისვლა მისთვის უცხო ინდუსტრიალურ პროლეტარიატთან და მარქსისტულ მუშებთან, მას შინაგანად აახლოებდა პლეხანოვის ფორმულის იმ ნაწილთან, რომელიც ჰღალადებს მუშათა კლასის გამოყენების შესახებ რევოლიუციისათვის (დემოკრატიულ) და არა პირიქით, რევოლიუციის გამოყენებაზე მუშებისათვის. გორკი, რომელმაც აშკარად დაინახა და ისე მტკივნეულად გადიტანა თავის ხერგზე ძველი სამაზრო — სოფლური რუსეთის აზიური ველურობა უპირველეს ყოვლისა გახდა რუსეთის ევროპეიზაციისათვის თავდადებული მებრძოლი.

იგი მტერია რუსეთის უხასიათო, დაჩიავებულ, ყბედ და პასსიურ ინტელიგენციისა, მას ეზიზღება რუსული მეოცნებობა, მორჩილება და მცონარეობა. („ვარინკა ოლესოვიდან" წერილამდის „რუსეთის ხალხის სულის ორ მხარემდის"). ყველაზე ძლიერ გორკის სძულს რუსეთის სამაზრო ქალაქისა („ქალაქი ოკუროვი") და სოფლის სასტიკი და ძუნწი ცხოვრების დამყაყებული წესწყობილება და ადათი. იგი მკვეთრად ატარებს პარალელს პროგრესიულ, საქმიან და მებრძოლ ევროპიულ კულტურასა და რუსეთის სამაზრო-სოფლიურ მცონარეობასა, პასსიურობასა და მეცნიერებას შორის. გორკი ყველგან, საზოგადოების ყოველ კლასში, ყოველ ჯგუფში ეძებს ძლიერს, ენერგიულ ხალხს, რომელშიც არასოდეს არ ჰკარგავენ თავის სახეს, არ ითქვიფებიან სხვაში, არავის არ გაათელვინებენ თავის უფლებებს და ავრცელებენ თავის გავლენას ქვეყანაზე. ერთი სიტყვით, გორკისთვის დამახასიათებელია რუსეთში და რუსეთის ისტორიაში დაპირისპირება აზიისა და ევროპის, „ქალაქისა და სოფლის", კულტურისა და ჩამორჩენილობის.

მაგრამ ეს დაპირისპირება, რომელიც ახასიათებს გორკის, არის დაპირისპირება კაპიტალიზმისა და ფეოდალიზმის და არა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის.

ეს არის სტრუვეს დაპირისპირება პროგრესიულ, კაპიტალისტურ კულტურისა ფეოდალიზმთან და ნატურალურ მეურნეობასთან, სადაც გამოურკვეველი რჩება საკითხი კლასიურ ბრძოლის წარმოებისა თვით კაპიტალისტურ კულტურის შუაგულში. დემოკრატ გორკის არ შეუძლია, რასაკვირველია არ დაინახოს წინააღმდეგობანი, რომლითაც აღსავსეა კაპიტალისტური წესწყობილება, არ შეუძლია არ აღშფოთდეს იმ უთანასწორობის წინააღმდეგ, რომელიც ბატონობს მასში. ერთი სიტყვით მისი სიმპატიები მთლად მუშების მხარეზეა, და მათი ბრძოლის მომხრე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. გორკის სძაგს პირფერობა, გათახსირება, უმიზეზოდ მოწყენა და მონობა განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებისა („ინტერვიუ", „რესპუბლიკის ერთ მეფეთაგანს", „ყვითელი ქაჯის ქალაქი") გორკი ილტვის რევოლიუციონერებისაკენ და რევოლიუციისაკენ. მას არა აქვს არავითარი საფუძველი შიშისა, იგი — რადიკალი და მაქსიმალისტი, ვერ იტანს ზომიერ-ლიბერალურ ბურჟუაზიას. მას სძაგს მისი სიბარიტული ცხვირაწეული ესთეტიზმი და მისი დაბრუნება საშუალო საუკუნეთა სპირიტუალიზმთან და ოფიციალურ ეკლესიურობასთან. ძველ მაწანწალას, ყოფილ ბოსიაკს და ანარქისტ ინტელიგენტს, ახლა არ შეუძლია არ სძულდეს კეთილი გულის მედუქნე, რომელსაც უყვარს მყუდროება და წესრიგი.

მაგრამ რამდენადაც სტრუვიზმი არის კაპიტალისტურ ევროპის აპოლოგია ბურჟუაზიული პროგრესიზმი და იღებს „დემოკრატიულ" სახეს, რომელიც „სიმპატიით ეპყრობა" მუშათა კლასს, ოცნებობს სოციალიზმზე და ძალა არ შესწევს მოსწყდეს ბურჟუაზიულ კულტურას, ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობას, იმდენად იგი არის უკიდურესად მემარცხენე მენშევიზმი და ბურჟუაზიულ დემოკრატიის სუბიექტიური-სოციალისტური მიმდინარეობა. რუსეთის მენშევიზმის არსებითი მხარე გამოიხატება ქალაქის პროგრესიულ და კაპიტალისტურ კლასთა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის (მათ შორის წინააღმდეგობათა მიჩქმალვით) და სოფლის ფეოდალურ კლასთან დაპირისპირებაში. ეს არის „ქალაქი და სოფელი რუსეთის ისტორიაში" როჟკოვის აზრით, ეს არის ბრძოლა ევროპისა და აღმოსავლეთისა რუსეთში, პლეხანოვის აზრით, ეს არის რევოლიუციის მთავარი აზრი, როგორც რუსეთის ბურჟუაზიულ ქვეყნად გარდაქმნილი, დაბოლოს აღმოსავლეთი და დასავლეთი რუსულ სულში, გორკის თანახმად.

რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის აზრი მდგომარეობს ქალაქისა და სოფლის ღარიბ-ღატაკთა ინტერესების ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაპირისპირებაში. მსოფლიო ბოლშევიზმის აზრი მდგომარეობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამონებულ ხალხთა ინტერესების იმპერიალისტების წინააღმდეგ დაპირისპირებაში. გორკისათვის უკანასკნელი პოზიცია სრულიად მიუღებელი და გაუგებარი აღმოჩნდა.

გორკი მაშინაც კი, როცა საბჭოთა რუსეთს იცავს კომინტერნის ორგანოში, უდიდეს საშინელებას ხედავს რუსეთის პროლეტარიატისა და აღმოსავლე-

თის ხალხთა კავშირში, რომელიც ამხედრებულ უნდა იქმნას ევროპის „კულტურის“ წინააღმდეგ, ე. ი. კომინტერნის ამოცანის უმთავრეს ნაწილს იგი არ ეთანხმება. როდესაც ის ალტაცებით ლაპარაკობს მუშურ-გლეხურ რევოლიუციის ბელადზე, სოფლის ღარიბ გლეხთა აჯანყების უდიდეს ორგანიზატორზე — ლენინზე, ის ხაზს უსვამს მის დამსახურებას, რაც გამოიხატება რუსეთის გლეხთა აჯანყების ვითომდა დაშოშმინებაში. გლეხობას კი არც ასე დიდი ხანია, რაც ძველებური საყვედური შეუთვალა ველურობისა და სისასტიკისათვის. რაც უნდა საკვირველი არ იყოს ეს ამბავი, გორკი — ტიპიური მაქსიმალისტი ტემპერამენტით, ძველი ბოლშევიკი და „მოწინავე“ „ვპერიოდოვეცი“ არსებითად თავისი განწყობილებით რუსეთში წარმოებულ რევოლიუციონურ ბრძოლისადმი დარჩა მენშევიკი, ე.ი. ბურჟუაზიულ დემოკრატიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მემარცხენე ფრთის წინამძღოლი. სწორედ ამიტომ პროლეტარიატის მიერ წარმოებულ გადამწყვეტ ბრძოლის დროს, მან დაიკავა ჯერ მტრული და მერე თანამგრძნობი, ნახევრად ნეიტრალური პოზიცია, რამაც ბოლოსდაბოლოს ობიექტიურად მიიყვანა კომუნიზმის მტერთა ბანაკში, რომელიც ყოველ წუთს სცდილობენ სამარე გაუთხარონ ახალ პროლეტარულ საზოგადოებრივობას. ბოლშევიკურ ორგანოს „ახალი ცხოვრების“ რედაქტორს 1905 წ., არ შეეძლო რედაქტორობა არ ეკისრა უკიდურესად მემარცხენე ბურჟუაზიულ გაზეთისა „ახალი ცხოვრება“ 1917 წ. და მარქსიზმის და რევოლიუციონურ იდეოლოგიის მოწინააღმდეგე „შინა-ემიგრანტულ“ „რუსეთის თანამედროვესი“ 1924 წ.

თავის წინაშე პატიოსანი მაქსიმალისტი ბოლშევიკი (ის ბოლშევიკია 1900 წ. და ისიც არა მხოლოდ კომუნისტია, არამედ უკიდურესი დემოკრატი — რევოლიუციონერი) გორკი იქამდის მივიდა, რომ საბოლოოდ გაიმიჯნა პროლეტარულ რევოლიუციისაგან. ის აქამდის მიიყვანა ბოლშევიკისათვის და არა კომუნისტისათვის ბუნებრივმა (როგორც ბოგდანოვი, ბაზაროვი, ავილოვი) „მოწინავეობის“ („впередовщина“) გზამ, ე. ი. იმ გზამ, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს მასსებს.

გორკი, სანამ ცარიზმი არ იყო დამხობილი, პატიოსნად აღიარებდა უკიდურეს მემარცხენე სოციალ-დემოკრატიზმს, და მან დასწერა კიდეც „ზაფხული“, სადაც წინააღმდეგ მხატვრულ და ცოცხალ სიმართლისა, წინააღმდეგ თავისი პესიმისტურ განწყობილებისა, საზოგადოთ სოფლის მიმართ, „განსჭვრიტა“ სტოლიპინის დროის სოფელში თითქმის აჯანყებისათვის განმზადებული, რევოლიუციონურ პროლეტარიატის ზურგს უკან მიმყოლი კადრები, ე. ი. ის, რაც საჭირო იყო „ვპერიოდოველების“ ტაქტიკის განსამტკიცებლად. ბოლოს და ბოლოს გორკი იძულებული უნდა გამხდარიყო განშორებოდა რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელთანაც მას (90 წლების ადამიანს), თავისი რუსეთის ევროპეიზაციულ პათოსით და ინდივიდუალიზმით გაინტელიგენტებულ ბოსიაკს, არ ჰქონდა მტკიცე კავშირი გაბმული.

გორკი ხომ მუდამ შორი პროვინციიდან უცქერის მხატვრის თვალით ქალაქსა და მის ბრძოლას. გორკი, როგორც თითქმის ყველა რუს მწერლებს, სწერს შემოქმედების მასალის თანახმად.

მისთვის, როგორც პუშკინისთვის, ტურგენევისთვის, ტოლსტოისთვის, გოგოლისთვის, ნეკრასოვისთვის, კოროლენკოსთვის, ვერხოვისთვის, ფსპენსკისთვის, როგორც ბუნინისთვის, ზამიატინისთვის, ზაიცევისთვის, ალექსი ტოლსტოისთვის, შმელევისთვის, პილნიაკისთვის, ვს. ივანოვისთვის, სეიფულინისთვის მოქმედების მთავარ ფონის როლს თამაშობს სოფლის, სამაზრო ქალაქის მიყრუებული ველები, რუსეთის არაკაპიტალისტური, ნახევრად აზიური პროვინცია (ადრინდელი მოთხრობები: „მზის შვილები", „ბარბაროსები", „მეშჩანები", „თომა გორდეევი", „დაბა ოკუროვი", „მათე კოჟემიაკინი", „ზაფხული", „აღსარება", „სიყრმე", „ხალხში", „ავტობიოგრაფიული მოთხრობები" და სხვ.).

ამ აზიიდან გორკი უცქერის ქალაქს, როგორც იდეალურ რამეს, დამხსნელს და თან ცუდად ჰგრძნობს ქალაქის მუშას. („დედა" ხომ უკიდურესად ნაკეთები და ნაფიქრი მოთხრობაა).

არის კიდევ მიზეზები, რამაც გორკის ხელი შეუშალა გადაელახა საბედისწერო საზღვრები, რომელიც აშორებდა ყველაზე მემარცხენე და „თანამგრძნობ" ბურჟუაზიულ დემოკრატს ნამდვილ პროლეტარულ რევოლიუციისაგან, რაც ყველაზე მეტევრმეტყველურად გამოაშკარავდა პროლეტარიატის გამარჯვების დროს. ამ მიზეზთა შორის უმთავრესი მიზეზი არის მისი ფეტიშისტური განწყობილება თანამედროვე კულტურისადმი, ე. ი. ბურჟუაზიულ კულტურისადმი.

ეს სრულიად ბუნებრივია ყოფილ ბოსიაკისათვის, რომელმაც დიდის ვაი-ვაგლახით მიაღწია მას; ეს დამახასიათებელია იმისთვის, ვისთვისაც დიდი ხანია სანუკვარი იყო მისი მიღწევა და თავისი საკუთარი ძალ-ღონით გაიკაფა გზა და მიაღწია მიზანს. ასეთ ადამიანს არ შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს მიღწეული განძი და გადაარჩიოს ღირსეული ზედმეტისაგან. მას არ აბადია ტიპიურ ინტელიგენტის სკეპტიციზმი, რომელმაც ორგანიულად შეითვისა ეს კულტურა, რომელმაც იცის მისი ყველა მხარეები და რომელიც ბავშობიდანვე შეეჩვია მას.

აქედან— მასსებიდან გამოყოფილ ინტელიგენტებისადმი ბრმა დანდობა და ფრთხილი მოპყრობა ბურჟუაზიულ კულტურისადმი. ისინი მოწიწებით ეპყრობიან ყოველ წიგნს, ყოველ სურათს და ყოველ პროფესორს. აქედან მენშევიკ მუშათა შიშის ზარი კუბიკოვ-დემენტიევის მსგავსად ბოლშევიკების მიერ კულტურისადმი „ტლანქი" მოპყრობის გამო, თუნდაც ეს საუნივერსიტეტო ნიშნებისადმი უპატივისმცემლობაში გამოიხატებოდეს.

აქედან 1917 წ. დიდ რევოლიუციის დროს გორკის ზრუნვა წარსულ კულტურის წვრილმანებზე და ძეგლებზე.

ძველ ძეგლებზე ზრუნვა, რასაკვირველია, კარგი რამეა, მაგრამ, როდესაც ეს აინტერესებს უმთავრესად ისეთ გაქანების ადამიანს, როგორიც გორკია, დიდ რევოლიუციის დღეებში,—ეს მეტად ცუდად ახასიათებს მას.

ამ დამახასიათებელ მოვლენიდან გამომდინარეობს აგრედვე უკანასკნელ ხანებში მისი ფეტიშისტური დამოკიდებულება ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან, რომელსაც აფასებს, როგორც კულტურის მატარებელს, როგორც რაღაც „მარილს მიწისას".

რუსეთის მწერლებიდან არავის არ დაუწერია იმდენი გაბიროლებული სატირები რუსულ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წინააღმდეგ, [illegible] ც გორკიმ (მოთხრობები „ეშმაკზე", „რუსული ზღაპრები"). არავის [illegible] არ დაუხატავს ის თავის მხატვრულ ნაწარმოებებში („ვარინკა ოლესოვა", „მოაგარაკენი") თითქმის არც ერთ რუს პუბლიცისტს არ ულაპარაკნია ამ ინტელიგენციასთან ისე ტლანქად, მკაცრად და აგდებით, როგორც გორკის თავის 1905—1911 წ. ხანის სტატიებში.

მაგრამ არსებითად გორკის მუდამ ახასიათებდა ოდნავი სენტიმენტალური, ყოველ შემთხვევაში, რომანტიული იდეალიზაცია ამ ინტელიგენციის იმ საუკეთესო ნაწილისა, რომელიც დადგა რევოლიუციის მხარეზე. გადამეტებულად კარგი მოპყრობა მუშების მიერ ინტელიგენტებისადმი და საზოგადოდ პოეტური დამოკიდებულებანი ამ რევოლიუციონერთა ორ ჯგუფს შორის გვხვდება თვალებში „დედაში". ეს იგივე ტიპიური დამოკიდებულებაა თავისით განვითარებულ ადამიანისა, რომელიც ერთად-ერთი დაშორდა თავის წრეს ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენლების დახმარებით და ამოუდგა გვერდში თავისივე მასწავლებლებს.

ამავე დროს კულტურულ და საზოგადოებრივ ნალექიდან ერთეულად გამოსულ ადამიანს, რომელიც გაინტელიგენტდა, არ შეუძლია, რომ ცოტა რბილად არ მოიხსენიოს ის წრე, სადაც იგი აღიზარდა და რომელიც მან მიატოვა და უფრთხის მის მოუხეშაობას, ფიქრისაც კი რცხვენია, რომ იგი გამოიჩენს თავის „ველურობას" ინტელიგენციის წინაშე. როდესაც პროლეტარიატმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ ჭირვეულ ინტელიგენციის მოთვინიერებას და თვის ნებისადმი დამორჩილებას და აიძულა პროფესურა და ბალალაიკიფიციური ინტელიგენცია პატიისცემით მოპყრობოდა მის მისწრაფებებს, მაშინ გორკი აღმოჩნდა პრინციპიალური დამცველი ყველა და ყოველგვარ ინტელიგენტების მუშათა ხელისუფლების „სისასტიკისაგან".

მუშათა ბელადების მკვლელებიც კი, მემარჯვენე ესერები, რომელნიც გარდა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების მოწყობისა, არაფრის მაქნისი არ არიან, რომელთაც იქნებ დაიმსახურეს შებრალება, რადგან ისინი პატიოსანი მებრძოლნი იყვენ ცარიზმის დასამხობად, ეს ინტელიგენცია, გორკის აზრით, თავისი არაჩვეულებრივად ძვირფას დანატოვარით აუცილებლად საჭიროა ხალხისათვის და მას კი აღგვას უპირებს კომუნისტური ხელისუფლება.

დაბოლოს არანაკლებ დამახასიათებელია გორკისათვის მისი ისტორიული შიშის ზარი ყოველგვარ სისასტიკის და იძულების წინაშე, თუნდაც იგი აუცილებელიც რომ იყოს. ამ ადამიანს უნახავს მეტად ბევრი წარმოუდგენელი მხეცობანი თავის სიყმაწვილეში, აღიზარდა მეშჩანთა იმ არაჩვეულებრივად სასტიკ შერყვნილ და გამაწამებელად მოსაწყენ ყოფა-ცხოვრებაში, რომელიც აღწერა „დაბა ოკუროვში", „სიყრმეში", ავტობიოგრაფიულ მოთხრობებში.

მის თვალწინ იმდენად ხშირად სცემდნენ, მდუღრავდნენ, აუპატიურებდ-

ნენ, რომ ახლა გორკის არ შეუძლია აიტანოს ვინმეს ძალადობა. თუნდაც იგი ხალხის მტერი იყოს. გადამეტებული სიბრალული მათდამი, რომელთაც მოეპყრენ სასტიკად, გამათახსირებლად, ტლანქად, აღნიშნავს გორკის ხასიათს მისი შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისშივე.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გორკის ოცნება სულწასწრებულია და აჩქარებით არის მიმართული იმ სასიხარულო დროისკენ, როდესაც ძმობა და სიყვარული იქნება დამყარებული ხალხთა შორის.

პროლეტარიატის დიქტატურის დროს ყოველივე ეს მეტად მძიმე აღმოჩნდა გორკის ძალლონისათვის და იგი მარჯვნივ გადახარა.

შიში მასსების მიერ სისასტიკის გამოჩენის წინაშე, ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო, რომ იგი პროლეტარულ რევოლიუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაისროლა.

ამ აბნეულობამ წარმოშვა გორკის გადამეტებული შიში ძველ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა აწეწვისას.

ამ გვარად ინდივიდუალისტ გორკის, რომელიც აღიზარდა 90-ან წლებში კაპიტალიზმის აღორძინების პერიოდში და ბურჟუაზიულ კულტურის დღემოკლე აყვავების ხანაში, კაცს, რომელიც არ იყო მჭიდროდ დაკავშირებული პროლეტარიატთან და მთლიანად ბურჟუაზიულ ინტელიგენციას მიეკუთნებოდა, თავის ცხოვრების მიწურულში, მიუხედავად მთელი თავისი გულწრფელი დემოკრატიული რევოლიუციონერობისა და ბურჟუაზიულ წესწყობილებისადმი ზიზღისა, არ შეეძლო გასცილებოდა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლიუციონერობას.

ამ მდგომარეობამ იგი არსებითად კომუნისტურ რევოლიუციის დროს დაიყენა ამ რევოლიუციის კრიტიკანთა ბანაკში, რომელნიც ყოველმხრივ უტევდნენ და მხარს უჭერდნენ მტრის ძალებს, რომ სამარე გაეთხარათ რევოლიუციისათვის,—ე. ი. გორკი აღმოჩნდა ბარიკადებს იქით. ასეთივე ბედი ეწვია მთელ რიგ რევოლიუციონერ დემოკრატებისას, რომელთაც თავი მოჰქონდათ მარქსისტებად, სოციალისტებად, მუშათა კლასის წარმომადგენლებად, როგორიც იყვნენ მაგალითად პლეხანოვი და სხვ.

მუშათა კლასი აფასებდა და ახლაც აფასებს გორკის, მის რევოლიუციონურ როლისათვის, რომელიც მან ითამაშა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის დროს, აფასებს იმიტომ რომ ის იყო ერთად ერთი წარმომადგენელი რევოლიუციონურ დემოკრატიისა 20 წლის განმავლობაში (მისი მოღვაწეობის დასაწყისიდან 90-ან წლებში, 1917 წლის თებერვლამდე, როდესაც დაიწყო გორკის შემოქმედება) რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში.

რამდენადაც ჩვენ გვქონდა არსებითად ერთი მთლიანი ფრონტი (90-ან და 900-ან წლებში) გახსნილი რევოლიუციონურ დემოკრატიასთან ერთად პოლიტიკის სფეროში და განსაკუთრებით კი ლიბერალურ ბურჟუაზიის იდეოლოგიის წინააღმდეგ (მარქსიზმი მთლიანად იდეალიზმის წინააღმდეგია, დემოკრატიული საზოგადოებრივობა კი მხატვრულ ლიტერატურაში წმინდა ესთეტიზმისა და დეკადენტობის), იმდენად გორკი დამსახურებული ბელადი იყო ამ დე-

მოკრატიული ფრონტისა მხატვრულ ლიტერატურაში, ისევე როგორც პლეხანოვი სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ თეორიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკის დამსახურების გაბათილება მით უფრო [illegible] შეიძლება მისი ახლანდელი იქით-აქეთ ყიალის გამო, რომ ის უკვე ექვსი წელიწადია, როგორც შემოქმედი არ არსებობს.

ეს შინაგანი დრამა დამახასიათებელია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის ამ უკანასკნელი რომანტიკოსისა, რომელიც არის პროგრესიულ ბურჟუაზიულ დემოკრატიის უკიდურეს მემარცხენე ფრთის მხატვარი იყო და რომელსაც მრავალჯერ და მრავალგვარად უხდებოდა შეჰხებოდა თავისი შემოქმედებით და პირადი ამბოხებით პროლეტარიატს. ივი უკანასკნელი წარმომადგენელია ინტელიგენტურ, მოწინავე, თავდადებულ, გმირულ, თებერვლის რევოლიუციის ხანის რუსეთის ლიტერატურისა და ეს დრამა მეტად დამახასიათებელი და დამაფიქრებელია ჩვენი ხანისათვის, რომელიც უფრო სასტიკია და მკაცრი ღირებულებათა გადაფასებაში, ვიდრე ის ხანა, რომლის უდიდესი მხატვარიც იყო მაქსიმ გორკი.

სიმონ ჩიქოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასწრაფო განმარტება ჟურნალ H2SO4 გამოსვლის *)

პოლიტიკური რომანტიზმი ქართული აზროვნებისათვის ისტორიული მოვლენა იყო. შეიძლება ეს იმიტომ, რომ საქართველოს პოლიტიკური მესაჭეობა ყოველთვის ქონდა უცხოელი ტვინით მოაზროვნეს. ეს მოვლენა ვრცელდება მეფეებიდან დაწყებული ჟორდანიას კორპორაციამდე. აქ უკანასკნელ ლიტერატურულ განწყობილებისთვის საინტერესოა მესამე დასი, რომელშიდაც მატერიალისტურ აზროვნების დროშის ქვეშ მდგომი მოაზროვნეები—ეკონომიური წინასწოროობის ანგარიშებს აწარმოებდენ.

ეს სტადია—მაშინ დასრულდა, როდესაც ხაზი პოლიტიკური აზროვნების უკანასკნელ სეზონში ფსიხოლოგიურ დრამატიზმამდე დავიდა. მენშევიზმის უკანასკნელი პოლიტიკური ხაზი იყო მხოლოდ მიმიკა—ეს იყო ზედნაშენი თეატრალური რომანტიზმის. ამ უკანასკნელ პოზიციებს არ ქონდა არც კლასობრივი და არც ეროვნული გამართლება.

აქ ფსიქოლოგიურ დრამატიზმიდან დაიბადა ისტორიზმის გაბერვა და არა თანდროული განწყობილება. ეს „ოაზისი" ყურადღებას არ აქცევდა ევროპიული აზროვნების დეკადანსს, „ევროპა ქაოსში"—„ევროპა უზავოთ", რომლებიც მოწმობენ ბურჟუაზიულ ქვეყნების დეკადანსს.

ეს სრული დაშორება რეალობის მოხდა მისთვის, რომ პასუხი არ გასცეს თანამედროვეობას. აქ არის თეატრალობა პოლიტიკურ შემოქმედების და მისი ზედნაშენი მიმიკა. გაუგებრობისათვის კომენტარიები სრულიად არ დაბადებულა ამ სეზონში. ერთ დროს კლასობრივი ენერგიით დაჭიმული დასი თვითონ კლასობრივ შერიგების ზნეობას ქმნიდა—და თვითონ ასრულებდა დაჩვეულ მოქმედებას საკუთარი თავის სამხეცეში მოსამწყვდევათ.

*) რედაქცია საშუალებას აძლევს „H2SO4" საბჭოს სიმონ ჩიქოვანის წერილის მოთავსებით კომენტარიები გაუკეთოს ჟურნალ H2SO4-ის პირველ ნომერს.

„მ ნ ა თ ო ბ ი"-ს რ ე დ ა ქ ც ი ა.

ეს პოლიტიკური რომანტიზმი გავლენა არის ქართული ფედერალიზმის. ეს მეორე პოლიტიკური პოზიცია იყო წმინდა დეკადენტური [illegible] და ამაზე უთუოდ გავლენა ქონდა არჩილ ჯორჯაძეს.

ჯორჯაძე, როგორც დიდი მისტიკისი, ტუბერკულოზი — არის რელიგიით დატვირთული პოლიტიკური მოაზროვნე, რომელიც მეთაურობს ახალ პოლიტიკურ პარტიას. ჯორჯაძის პიროვნება განსახიერდა ფედერალიზმში და ამ პიროვნებიდან მას უთუოდ დარჩა დეკადენტური დაღი, რომელიც უკანასკნელ სეზონამდე აწვალებდა ქართულ ინტელიგენციას.

ფედერალისტური აზროვნება ქმნიდა ქართული ინტელიგენციის შემოქმედების გეზს. აქედან იწყება ლიტერატურულ რკალების გახსნა.

უთუოდ იგრძნობთ მშვენიერი „ტყუილის" პოლიტიკურ აზროვნებას. ასეთი ატმოსფერიდან გამოვიდა ლიტერატურულ მიმართულების ის განწყობილება, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „მშვენიერ ტყუილის" პოეზიას. ეს თქმა შემთხვევით არ წამოცდენია არჩილ ჯორჯაძეს. მის დეკადენტობასთან — ერთად, ის პატრონი იყო დიდი ინტუიციის და გრძნობდა „მშვენიერ ტყუილის" შემოქმედების სტადიის დაწყებას ქართულ ხელოვნებაში. ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძე არის დამწყები ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის, რომლის იდეოლოგია შემდეგ აღმოჩნდა გრიგოლ რობაქიძეს — და პრაქტიკა „ცისფერ ყანწელებს". ეს ჩემამდის იყო აღნიშნული.

გრიგოლ რობაქიძის მოვლენას ქართულ აზროვნებაში ვეშაპელი ჯორჯაძის შედეგათ თვლის. რასაკვირველია — საქართველოს არ ქონია ჩაადაევის ფილოსოფიური წერილების სეზონი და მისი „ნაროდნიკული" დეკადანსით გამოწვეული პესიმიზმი. (რუსეთში 1905 წლამდე ჩამოყალიბდა ესერული პარტია რომელსაც უსწრებდა გერცენის დაუცლელი მეფე ზარბაზნის მისტიკა, ბრანდესის მოგზაურობა, რუსეთის ცამეტი დღით დაგვიანებულ კალენდრით დაურეკავი ზარი და — დოსტოევსკის ქიმერები ან კიდევ კარამაზოვის გამოურკვეველი სისხლის ქვეყანა. ამ დროს საჭირველი ეყრებოდა რუსულ სიმბოლიზმს და სრული პარალელი ნაროდნიკების დეკადანსის რუსეთში.) ამიტომ ჩაადაევი პესიმიზმ-ოპტიმიზმის პრობლემას გადაყვა რუსული სიმვოლიზმის საბედნიეროთ; მაშინ არავინ იცოდა, რომ მართლდება მუნჯი მეფე ზარი და დარეკავდა მუნჯი მეფე ზარბაზანი ისეთი ხმაურით, რომ მსოფლიოს დაუვლიდა ერუანტელი. (1909 წელი არის სიმბოლიზმის ჩამოყალიბების და დასრულების სეზონი. ამ წლებში ესერების ჩამოყალიბების პარალელურათ ჩამოყალიბდა რუსული სიმბოლიზმი. რუსული სიმბოლიზმი ერთდროულათ გამიჯნული ფრანგული სიმბოლიზმიდან დავიდა მსუბუქ პოეზიამდე და გაიჟღენთა სლავიანოფილური მისტიციზმით. ეს სტადიები მოდის ნაროდნიკულ მოძრაობიდან და მას ვერ გაექცა ვერც ალექსანდრ ბლოკ, რომელსაც დეკადენტის ვალდებულება ქონდა რუსულ პოეზიაში. პეტერბურგის დეკადენტური სიმბოლიზმით მეორე მაგარი ხაზი გახსნა ანდრეი ბელიმ — „ვერცხლის მტრედში" და „პეტერბურგში". ესერებთან ნათესაობას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ ემიგრანტ ესერების

ჟურნალ გაზეთებში უკანასკნელ დრომდე მთავარ თანამშრომლად ითვლება ანდრეი ბელი. 1907 წ.არის ჯორჯაძის ლიტერატურული მესვეურობის სეზონი. უკვე თორმეტ წლებში აღწევდა ქართული ხელოვნება ... -რობაქიძემდე. რასაკვირველია, სიმბოლიზმის დამტკიცება ჯორჯაძის მიერ ხდებოდა ძლიერ პრიმიტიულ შტრიხებში მთავარი დებულება აქ იყო „მშვენიერი ტყუილი“ და „მშვენიერი ტყუილის“ შემდეგ რელიგიამდე დასვლა.

ეს ანალოგიურია ვ. ივანოვის სიმბოლიზმის გაგების. სიმბოლო გადასული მითში—მითი ამაღლებული რელიგიამდი. („ვ. ივანოვი: „ორი სტიქია თანამედროვე სიმბოლიზმში.“)

ეს არის საწყისი ქართული სიმბოლიზმის. კიტა აბაშიძე გრძნობდა სიმბოლიზმის იდეოლოგიას, წარმოიდგენდა, მას პრაკტიკაშიც განხორციელებულათ და ეძებდა ქართულ პოეტებში ვინ უფრო უდგებოდა სიმბოლიზმს. მაგრამ ჯორჯაძის მემკვიდრეობა შერჩა მხოლოდ გრ. რობაქიძეს—და ლიტერატურული ფედერალიზმი დაიწყო მისგან. მას შემდეგ დაგვრჩა „ყანწები“ 1916 წლებიდან ვიდრე მენშევიკურ პარტიის გეგემონიის დასრულებამდე. ქართულ პოეზიის მთავარ პოზიციას მეთაურობს ყანწები.

ეს სიმაგრე ყანწების მენშევიკურ გეგემონიის დროს უნდა აიხსნას იმით, რომ ფედერალიზმის დეკადენტური პოლიტიკა მენშევიკების მიერ სრულიად გაზიარებული იქმნა.

სახელმწიფოს აღმშენებლობა ხდებოდა ასეთ ატმოსფერაში. შეიძლება აქ ჟორდანიას იტალიანურ ბგერის გვარსაც ქონდა თავისი მნიშვნელობა. ან უკეთ ჟორდანიას კომუნისტური რევოლიუციის არა ორგანიულად განცდამ მიიყვანა დეკადენტურ პოზიციებამდე—ეს ფრონტი. ამას ეწოდება ფაქტი.

აქედან იყო მეორე ფაქტიც. სეზონში ხელოვნების გეგემონია ქონდა „ცისფერ ყანწებს“. ულტრა ინდივიდუალისტურ და დეკადენტურ მიმდინარეობას ხელოვნებაში, რომელმაც მართლაც გაამართლა ჯორჯაძის სურვილი. გახსნა „მშვენიერ ტყუილის“ ლაბორატორია, სადაც იმართებოდა დიონისეს დღესასწაულები, ათასი ოფელიები მოფრინავდენ, იხსნებოდა ქალდეას პრიმიტივი და სხვა მრავალი.

ყანწების გავლენა ქართულ პოეზიაზე გაფართოვდა. ყველა ლიტერატურული შკოლები მოექცენ ყანწების გავლენის ქვეშ. მაშინდელი „ცისარტყელას“ დამწყები პოეტები და მრავალი სხვა. აქედან „ყანწები“ მენშევიკური სახელმწიფოს სრული ანალოგიური მოვლენა არის. მაშინდელი ქართული აუდიტორია შერჩა ყანწიზმის ჭაობს. მისთვის 13 წლების, (ფუტურზმი), ირევოლიუციამ, შემდეგ პოეზიის ოქტომბერმა შეუმჩნეველად ჩაიარა.

პირველი ტეროორი ამ განწყობილების მოახდინა კომუნისტურმა რევოლიუციამ. რევოლიუცია იტევს მოძრაობაში ორ პერიოდს. პერიოდს მოძრაობის როგორც წარსულის ნგრევის პროცესს და მეორე პერიოდი არის აღმშენებლობა პროლეტარულ რევოლიუციის შემდეგ აზროვნება რელიგიურ განწყობილებიდან პრაქტიკამდის დადის. იწყება აზროვნების ახალი კონტურების გახსნა. ამ პოლიუსებმა გაანადგურეს მისტიკოსების ბუნაგი, მშვენიერი ტყუილი და სხვა, რე-

ლიგიის მაგიერ რევოლიუცია და შემდეგ აღმშენებლობა აყენებს ხელოვნებისთვის ახალ მოვალეობას. ეს არის კონსტრუქტივიზმი დაუფარველი ხედვა მოელენის და ნივთის. აღმშენებლობა აყენებს ლოზუნგს [illegible] შექმნისას. ეს ლოზუნგი წწვავეთ დააყენა თანამედროვე ეპოქამ — არა კომუნისტურ ქვეყნებშიც.

რუსულ კონსტრუქტივიზმს ქონდა რეზონანსი მსოფლიო მასშტაბით. ეს შედეგი იყო ომების, რომლისგან ნივთობრივი კრიზისი ივრძნო ქვეყანამ, ამ ნივთების კრიზისმა დაბადა დადაც, რომელიც პესიმიზმს წარმოადგენს იმის მიმართ რაც იტალიურ ფუტურიზმს ნივთების სიყვარულმა შეუქმნა. ომებით ნივთების კრიზისი დაიწყო — იმ ნივთების, რომლის პრეისკურანტს წარმოადგენდა იტალიური ფუტურიზმი და აპოლინერის ფორმალური შკოლა. მაწინ მანქანების გამლმერთებელი ფუტურიზმი დარწმუნდა, რომ შეიძლება არა მარტო რელიგიის დალუპვა, არამედ ახალი ფეტიშის, ნივთის დალუპვაც. ამან წარმოშვა დადა-პროტესტი ომის, რელიგიის და მელანხოლია ნივთების კულტის გადაგვარების —ირონია რომანტიზმის და ყოველგვარ აღტაცების. დადამ შემდეგ გააკეთა რამოდენიმე საფეხური და ეხლაც ბურჟუაზიული აზროვნების მიმართ პროტესტს წარმოადგენს. ქართული მისტიკის დალუპვამ და კომუნისტური სახელმწიფოს აღმშენებლობამ ქართულ პოეზიაში რელიგიის შეცვლით მოიტანა ახალი მონდობილობა. შექმნა ნივთის — კონსტრუქტივიზმი — ორგანიზაცია მყობადური რეალობის. პოეზიის ამ თემის პრაქტიკულ მიდგომის შესახებ არის წერილები ჟურნალ H2SO4-ში. აქ მე შეეხები მხოლოდ საზოგადოებრივ სწრაფვას ქართულ ფუტურიზმისას, რომ წამოყენებულ იქნეს თანამედროვე სოციალურ მდგომარეობასთან შეფარდებით ხელოვნების გაგება. რობაქიძის ლიტერატურული ფედერალიზმის (ყანწები) სტადია დასრულდა, რადგან ვერ შეეგუა აღმშენებლობითი და რევოლიუციონური ეპოქის მოთხოვნილებას. აქ ხელოვნებამ დაბადა საჭიროება ძველი ფაბულისაგან და ფორმალური მეთოდისაგან განთავისუფლების. ამითი პირველი სტადია შემოქმედების ჩამოყალიბებაა, ახალი ფორმალური მეთოდის უსაგნოთ (безпредметичество)—შემდეგ აშენება ახალი ფორმების და ახალი ფაბულიანი სხეულის—კონსტრუქტივიზმი. რღვევამ „ყანწების" შკოლა წაიყვანა ახალი ძიებისაკენ. ერთმა პოლიუსმა აღიარა ახალი ქვეყნის დაწყება, მაგრამ შეგუების პრინციპი ვერ წამოაყენა და უკიდურეს დეკადენტიზმს შეურიგდა. (ტ. ტაბიძე. კოლაუ ნადირაძე, გ. გაფრინდაშვილი და ყველა ასეთი წვრილი პოეტები „ყეფა„ და „კატასტროფა"). ეს ფრთა გამოდის რუსული იმაჟინიზმიდან, რომლის დაარსება მოხდა 18 წელს იმავე გაგებით როგორც ხსენებულ პოეტებს აქვთ. ქართულ პოეზიაში გასავალი მიეცა შერშენევიჩს. მისი „я напоминаю бумажку брошенную в клозет" ანალოგიურია ბევრი თქმის, რომელიც ქართულ პოეზიამ იცის, მაგალითად: „პოეტი ავყია" „ნაბოლარა პოეტი". „ვგავარ დასვრილ ქალალდს" „პოეტისათვის არ არსებობს სხვა კარიერა გარდა სიგიჟის და თვითმკვლელობის". რუსეთში 22 წელს იაკულოვის და მარიენგოფის მეთაურობით იმაჟინისტებმა გამოაცხადეს საკუთარი ფრონტის დაშლა, მაგრამ საჭირო იყო შერშენევიჩს — ლუნაჩარსკის თქმით большой крив-

ляк поэзий— დაეტოვებინა ფელდმანის თეატრი და ჯგუფი ... ...ცოცხლებულიყო. საქართველოში, შერშენევიჩის ფრთისათვის დეგენერატიზმი გადაიქცა, პრინციპათ. მეორე პოლიუსი დაიწყო რობაქიძემ ისევ ...

თანამედროვეობა ამ ფრონტმაც იგრძნო, მაგრამ არა ლეგალობისთვის შეეფარა გერმანულ ექსპრესიონიზმს და შეგუების პრინციპი ვერ წამოაყენა. სიმბოლიზმი გულისხმობს ახალ რეალობას ნიღაბით ე. ი. საგნების სრულ დაკარგვას. ეს სრული დაშორებაა რეალობის. ექსპრესიონიზმი კი იღებს რეალობას და სულის ფილტრაციაში გატარების შემდეგ ღებულობს მას. ამ ფილტრაციის დროს რეალს ემატება თითქოს შინაარსი—სული—ეს არის რელიგია. ამიტომ კომუნიზმის მიღების დროს ექსპრესიონიზმი აყენებს რელიგიურ კომუნიზმს. ეს ფრთა, როგორც სჩანს კიდევ შორდება თანდროულობას. ექსპრესიონიზმი—ინტელიგენციას ებადება ულტრა მისტიური აზროვნების დაშლის შემდეგ. ფიზიკურად დამარცხებული გერმანეთი თითქოს რელიგიით სცდილობს ინტელიგენციის ფსიხიკის ორგანიულად შედედებას. ეს განწყობილება სრულიად მიუღებელია კომუნისტურ სახელმწიფოში, სადაც არავითარ ფსიხოლოგიურ დაშლას ადგილი არა აქვს. სწორედ ამ მდგომარეობის შედეგი იყო, რომ კომუნისტურმა საქართველომ წამოაყენა საკუთარი ლიტერატურული მიმართულება პროლეტარული პოეზიის სახით, რომლის გამოსვლა სრული დამარცხებით დასრულდა. (ამაზე უფრო ვრცლად სხვა დროს) ზემო მოხსენებულ ლიტერატურულ მიმართულებათა შენაცვლით გამოდის საბჭო H2S04. ს. ს. ს. რ.

ორი წლის წინად, როდესაც ქართულმა ხელოვნებამ გამოაცხადა თანამედროობის არალეგალობა, ვერ შეეგუა აღმშენებლობითი ახალ ეპოქას, ჩვენ როგორც უტრადიციო თაობას მოგვიხდა გადაწყვეტა ახალი ამოცანის. ეს იყო ალღოს აღება ქართული პოეზიის განწყობილებისთვის. იწყებოდა პროკენტული დაშლა ქართული ხელოვნების. გასაბჭოების პირველ დღეებში პოეტები გამოჩნდნენ ქუდლებზე, მაგრამ ნორმალური სეზონის დაწყება საკმარისი იყო, რომ წვრილ კუნთებიანი ხალხი დამფრთხალიყო.

„H2S04"

მე ვეცდები შტრიხიულად მაინც წარმოვადგინო ყველა ის პერსპექტივები, რომელსაც თანამედროვეობა ქმნის ხელოვნებისათვის.

პირველი პოლიუსი პოეზიაში არის ტეროორი, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც გარდასულ შკოლების წინააღმდეგ საბოლოოდ წარმოებული ბრძოლა უბრალოთ: ფორმა, რომელიც ემსახურებოდა გადასულ ეპოქას, არ არის მისაღები თანამედროვეობისათვის. კარლ მარქსმა გარკვევით სთქვა: „წარსულთან რევოლიუციონურ განხეთქილების და ორგანიულ აღმშენებლობის კლასს—პროლეტარიატს, არ შეუძლია ისარგებლოს ისეთი მხატვრულ ფორმებით, რომელიც ორგანიზაციული იარაღი იყო გადასულ, ისტორიულ, სოციალურ სისტემების". აქედან ცხადია, რომ ხელოვნებას, ისე როგორც სოციალურ მოძრაობას აქვს ორი პოლიუსი. პირველი—რევოლიუციის და მეორე—აღმშენებლობის. პირველი

გულისხმობს მოძრაობას გადასულ ფორმების და ფაბულის გასანადგურებლათ, მეორე—ახალი სისტემების და ფორმების აგებას. ქართული [illegible] განწყობილება, რომელიც შტრიხიულად გადმოცემული არის ზემოთ, [illegible] ვერ აღწევს თავს იმ ლიტერატურულ ნაგავის დაგროვებას, რომელიც კომუნისტურ რევოლიუციამდე არსებობდა.

თუ კომუნისტური ეპოქა საჭიროებს ხელოვნების ახალ ფორმებს და ეპოქალურ მოვლენების ფაბულას, მან უნდა მოსპოს ყველა ლიტერატურული გე მოვნება და ჩამოყალიბებული ფორმალური მეთოდი. უკანასკნელი მისაღებია მეტი სიახლით, ეპოქალური დაწმენდით. აქედან გამოდის პირველი დებულება ტერორი, — კომუნისტურ სახელმწიფოში დარჩენილ ლიტერატურულ ნაგავის წინააღმდეგ. ეხლა მეორე და მთავარი პოლიუსი არის აღმშენებლობა. ატმოსფერის დაწმენდასთან ერთად—კომუნისტურ სახელმწიფოში შემოქმედებას ეძლევა ფაბულარული მასალა სოციალულ რევოლიუციიდან,—მეორე, პოეზია იღებს სოციალურ რევოლიუციიდან მასალას აპარატის სტრუქტურის ასაგებათ. აქ იბადება ახალი ხელოვნება პოლიარული კომუნისტური ეპოქის.

დირექტივები მემარცხენე ვაგების ამ განწყობილებამ მოგვცა. გამოსვლების სეზონში ჩვენ გადაგველობა გაუგებრობა მრავალი ლიტერატურული სკოლების გამოსვლის სახით.

პარიზიდან და მოსკოვიდან მოდიოდა დადაისტური ნისლი. ამ სეზონში ჩამოყალიბდა წარმოებითი ფუტურიზმი და კონსტრუკტივიზმი —(Вещь—შემდგეგ Леф და სხ.) თუმცა ჩვენ მივილეთ პოეზიის რევოლიუციის აუცილებლობა და ტერორი, მაგრამ შეუძლებელი იყო პირველყოფილი ფუტურიზმის დაწყება მარტო ტერორის საჭიროებისათვის, როდესაც ხელოვნების პოლიუსები რუსეთში და უცხოეთში ელექტრონის სისწრაფით მიექანებოდა ახალ აღმოჩენებისაკენ. მით უმეტეს H2SO4 საბჭო შემოქმედებით სრულიად დაშორებული იყო ომამდე არსებულ ფუტურიზმის გეზს. ამავე დროს ქართული პოეზია იგვიანებდა. როგორც სჩანს, ჩვენ მოვხვდით პოეზიის ფრონტზე: წარმოებითი ფუტურიზმის, კონსტრუკტივიზმის და დადას შორის.

ამისთვის ეს პოლიუსები H2SO4 —სრულად გარკვეულიად შეხვდენ ერთმანეთს [1]). საზოგადოებრივი განწყობილება კი, აღმშენებლობით სეზონში —ნივთობრივ გადალაგებასთან თხოულობდა ათვისების რეფორმაციასაც. ამიტომ რევოლიუციონური და აღმშენებლობითი მოტივების შეხვედრა მოვახდინეთ პირველათ ჩვენ. სწორედ ეს არის: დადა—კონსტრუკტივიზმი და წარმოებითი ფუტურიზმი.

ჩვენი დამოკიდებულება „ლეფ"-თან გარდა უკვე ჟურნალში თქმულისა

[1]) ჩვენი პირველი გამოსვლა ბოლდა 22 წელს—როდესაც ყალიბდებოდა რუსული კონსტრუკტივიზმი—20 წელში პირველი გამოსვლა მოხდა დადაისტების და ამავე წელს შესდგა „ლეფის" ორგანიზაცია.

კონკრეტიულათ შეიძლება ასე დაიხაზოს. „ლეფი" არის მემარცხენეობა. H2SO4 დაწყება. მემარცხენეობა გულისხმობს არსებულის [illegible] ინტერესობამდე. როდესაც დაწყება არის გახსნა ახალი ეპოქის. კომუნისტები [illegible] ოქტომბრის შემდეგ ითვლებიან ახალი ეპოქის დამწყებათ — მემარცხენეობა პარლამენტების ბოლშევიზმის სეზონში იყო წარმოსადგენი. „ლეფი" ახდენს ნივთის პროპაგანდას და აგიტაციისთვის გამოსადეგ მასალებს ქმნის.

ეს არ არის ორგანიზაცია მყოფადური რეალობის როგორც ჩვენ დეკლარატიული განცხადებაში იყო ნათქვამი. ორგანიზაცია და კონსტრუქცია მომავალი რეალს გულისხმობს — რეჟისურას — და პრაქტიკის მთელ რიგს, როგორც ხელოვნების ახალი სხეულისთვის, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციისათვის. (массовое действо). აქედან იბადება კიდევ ახალი ფაქტი: კომუნისტური სახელმწიფოს პერსპექტივები ხელოვნებაში ყველაზე მეტი სისწორით გამართლებული იქნება ჩვენს მიერ. „ლეფი" მარქსის ზემოყვანილ გაგებასაც შორდება H2SO4 ფრონტი ყველაზე მეტად ამართლებს ს. ს. ს. რ-ს და პროექტი სახელმწიფო ხელოვნების ყალიბის შესახებ ჩვენ გვეკუთნის.

კომუნისტური აზროვნება და კონსტრუქტივიზმი

კონსტრუქტივიზმი გულისხმობს აზროვნებაში — აზრების დალაგებას ნივთების ორგანიზაციის მიხედვით.

თუ თანამედროვე კომუნისტურ აზროვნებას დავაკვირდებით, კონსტრუქტიულ მეთოდს აზროვნების დალაგებისთვის მრავალ მასალას იპოვნით — ერთი წლის წინეთ კომუნისტური პარტიის ცეკამ გამოუშვა „ე-ბ. ნ. მაგრატლის" პოლიტიკა. აქ პოლიტიკური მოქმედების გეზი და მთელი შინაგანი პოლიტიკაა დაყვანილი განსაზღრულ ნივთის სტრუქტურამდი. ეს ცხად ყოფს ორგანიზაციას აზროვნების ნივთიერების კონსტრუების მიხედვით.

მე ეხლაც მახსოვს ორი წლის წინეთ მოსკ., „პრავდაში" რადეკის წერილი ასეთი სათაურით „ნავთით განათება დარდანელის საკითხი!" ამ დალაგებაში სჩანს — კინემატოგრაფიული გადალაგება სივრცეების — ბაქოს ნავთით განათება დარდანელის. სივრცეების დაახლოებასთან აზროვნება დალაგებულია განსაზღრულ ნივთების კომპოზიციით. შეიძლებოდა სხვა მრავალი მაგალითების მოყვანაც, მაგრამ კონსტრუქტიური აზროვნების მეთოდის ეპოქის დაწყება ამითაც ცხადი არი — კონსტრუქტიული აზროვნება გულისხმობს აზროვნების ნივთობრივ სტრუქტურასთან დასვლას.

H2SO4 — ჟურნალი სავსებით თუ არა — ნაწილობრივ მაინც არის გამართლება ყველა იმ პერსპექტივების, რომელიც თანამედროვე ხელოვნებას — და ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივ მოთხოვნას ახასიათებს. ეს პერსპექტივები გამოიხატა ორი მთავარი მომენტით, რომელიც ტეროორის და აღმაშენებლობითი

პროცესის ნიშნით მიმდინარეობს, ტერორისთვის ჩვენ შეექმენით მრავალი მასალები, რომელიც ქართულ პოეზიისთვის სრულიად უცხო არის. ამავე ჟურნალში ამოწურულია მთელი ავათმყოფობა მემარცხენეობის, რომელიც ტრამბების ან სიტყვის მასალების დალაგებით თანამედროობას აწვალებს. ჩვენი სამხედრო ტაქტიკა უთუოდ ბრძოლების სისტემისთვის სრული გამოსადეგი არის და მან გაამართლა საკუთარი მოვალეობის პირველი ნაწილი. ჩვენ მემარცხენეობის ყოველივე საშუალობა ამოვწურეთ H2SO4 პირველი ნუმერით, რომელმაც დაბადა ქართულ პოეზიაში მრავალი ნეოლოგიური ცხრილები.

ჩვენს მიერ უარყოფილი იქმნა ყველა ფორმალური მეთოდი, რომელიც თანამედროობისთვის უკვე გაცვეთილ მოვლენას წარმოადგენს. მიღებულ იქმნა წარსულიდან მხოლოთ ხალხური შემოქმედება, რასაც აქვს თავისი გასამართლებელი საბუთები. ხალხური შემოქმედება ჩვენ დაგვეხმარა წინანდელ სეზონში არსებული ლექსების ტონის მოსპობაში, რომელიც ისტორიის განმავლობაში იქმნებოდა უცხოელ კომპოზიციების გავლენით. ამასთან ხალხური შემოქმედება დაწმენდილი არის ყოველგვარ მისტიურ სივრცეებისაგან. ხალხური შემოქმედება აშკარავებს ბაასის მოქმედობითი ძალას. ხალხური პოეზია ატარებს დრამატიულ მიმიკის მაგიერ ალმშენებლობით ჟესტის ფორმას და მოძრაობას. ხალხური შემოქმედების შემდეგ ჩვენ გავხსენით მეტყველების ახალი ლაბორატორია, სადაც გადაჭრით იქმნა დაყენებული რამოდენიმე ცდების შესაძლებლობა. რევოლიუციის ეპოქების შემდეგ იბადება საჭიროება ახალი მეტყველების.

ამ მხრივ ჩვენი დადა გარდა იმისა, რომ გამოყენებულ იქმნა წარსულის გასანადგურებლად ის იღებს შემოქმედებითი პრაქტიკის მეთოდს. კონსტრუქცია დალაგების, სადაც სრულიად მოსპობილი „დეკადენტიზმი" დადაში შედის ჩარლი ჩაპლინი.

დადას პირველი ნაწილი ეკუთვნის **პავლე ნოზაძეს**. მან დაიწყო ტეროორი. მანვე წამოაყენა შესაძლებლობა ლექსის ახალი სტრუქტურის — (დაჩვეული სიყვარული). აქ მან მოსპო სივრცე და ყოველი მოქმედება გადაიტანა დროში. ჩაპლინიადას სეზონი გახსნა **ჟანგო ღოლობერიძემ**, რომელმაც დაამტკიცა ჩაპლინის და დადას ნათესაობა. ევროპაში ჩაპლინი და დადა ეხლა ერთ და იმავე ხაზს ასწორებენ. დადა ირონია ბურჟუაზიულ ქვეყნის მიმართ, იგივე პოლიუსი ჩაპლინის. მხოლოდ ჩაპლინში ამოღებულია მელანხოლია. სიცილი და სენსაცია ეს უკანასკნელი უფრო უახლოვდება ჟანგო ღოლობერიძის შემოქმედებას. ლექსების სტრუქტურა მოცემულია ჩაპლინის მოძრაობის იმპროვიზაციით და ისეთივე ცვალებადობით. ტეროორის პოლიუსი არის **ბენო გორდეზიანის**, ლექსებიც, ის კონსტრუქტივის როლშიც გამოდის. პოეზიის სრულ ტეროორისტათ გამოდის **აკაკი ბელიაშვილი**. ჟურნალისტიკის და ფელეტონის სტილი შექმნა **ალხაზიშვილმა**. მანვე მოახდინა სწრაფი გადალაგება სივრცეების — კინემატოგრაფიკა ლექსის დალაგების მხრივ. მას აქვს სხვა ცდებიც. მის შესახებ — გამოქვეყნების შემდეგ.

ხალხური ტონის მთავარი გამართლება შესძლო **ნიოგოლ ჩაჩავამ** და **სიმონ ჩიქოვანმა. ნიოგოლ ჩაჩავას** აქვს ლექსებში განვლილი ქალური პოეზიის სრული ტეროორი. ამავე დროს მან მოგვცა სრულიად ახალი ტონის ლექსი („სანტიმენტალიკის შელოცვა"), რომელიც ქართულ შელოცვების ტონით არის შედგენილი და გამოადგება მომავალ ლექსების სტრუქტურას. სიმონ ჩიქოვანმა გახსნა აგრეთვე ხალხური ტონის საწყისი ლექსი (ხაბო), სადაც სიტყვა მოსპობილია როგორც წოდება ნივთის და მოცემულია, როგორც უსაგნო მატერიალი. აგრეთვე არის ცდა რევოლიუციონური პოეზიის და ლექსის კონსტრუქტივიზმის.

რევოლიუციონური პოეზიის მთავარი ნიმუში მისცა **ნიკოლოზ შენგელაიამ** (მოხსენება პირველი). მან შექმნა ლექსის მხედრული ტაქტი, რომელიც ქართულ რევოლიუციონურ პოეზიამ არ იცის.

მხატვრობა. ირაკლი გამრეკელი არის პირველი მხატვარი, რომელიც ევროპიულ ტექნიკით მიუდგა მასალას. მანვე მოახდინა ტეროორი წარსული მხატვრობის. ამ ფრონტზე ძლიერი მიღწევები ქონდა ბენო გორდეზიანსაც. უკვე გასულ წელს გამოცემულ წიგნში („ქალაქის სიმძიმე"). გამრეკელი არის პირველი მხატვარი კონსტრუქტორი, მან დაარღვია ყველა დეკადენტური ფაბულა და დააყენა შესაძლებლობა ახალი კონსტრუქტიული ფორმების დაბადების—ეს არის მატერიალი გამოსადეგი ყოველგვარი აღმშენებლობითი პროცესისთვის. მას როგორც ინჟინერს შეუძლია შექმნას არა მხატვრობა, არა დეკორატიული ფერადები, არამედ თვითონ ნივთი. ამიტომ მისი ყოველი სურათი წარმოადგენს სწრაფვას ახალ ნივთისკენ. წმინდა ფუტურისტული გაგებით მან ჩამოაყალიბა სურათი „მე და ცირკი" — სადაც სივრცეების მოსპობით და სისწრაფის კანონით იქმნა გადმოცემული ხატული. **გამრეკელი** არის ნივთების კანონების მომცემი. სისწრაფის კანონი სჩანს მის „ბაგრიკუკ"ში", სადაც სხეული სრული კონსტრუქტიული მთლიანობით არის დახერხილი. **ბენო გორდეზიანი,** ქალაქის პეიზაჟის რეჟისორი. „ლენინის დასაფლავების დღე", მან გადმოსცა მთელი ტრაგიკით და დრამატიზმით.

ამ წერილის ავტორი გვერდს უხვევს ყველა იმ თეორიულ ტრაქტატების გარჩევას, რომელიც ჟურნალში არის მოთავსებული. მე დავკმაყოფილდი მხოლოდ ჩვენ ჟურნალში მოცემულ ლაბორატორიულ შრომის ნუსხის შედგენით. მე ეს დამჭირდა, რომ დამემტკიცებინა, — თუ რამდენათ ახალი მოვლენაა ქართულ პოეზიაში H2SO4—პირველი ჟურნალი და სრული პოლიარული კომუნისტური სახელმწიფოს სტრუქტურის. პირველი რეჟისორობა მყობადური რეალობის მრავალი მატერიალი და სტრუქტურა მყოფადი ხელოვნებისთვის, რომელიც ჩვენ მივეცით ქართულ ხელოვნებას გვაძლევს უფლებას წარმოვადგინოთ პროექტი მომავალი ხსლოვნების (მეორე ჟურნალი).

აქედან ცხადია, რამდენათ განსხვავდება ქართული ხელოვნების საბჭო H2SO4—ევროპიულ და რუსულ ფუტურიზმიდან. ეს სახელწოდება ჩვენ შეგვრჩა იმდენათ, რამდენადაც ფუტურიზმი არ გულისხმობს რომელიმე განსაზღვრულ შკოლას. ფირმის სახელწოდება H2SO4 ჩვენ გამოგვადგა ბრძოლების პირველ სეზონში და ამ სახელწოდების როლი შეიძლება ამით ამოიწუროს.

კირილ ზდანევიჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემარცხენე მხატვრობა რუსეთში

სურათების გამოფენებით გაოცებული მასსიური მაყურებელი არა ერთხელ იძლევა კითხვებს. ერთნი ჰკვირობენ: რა მოუვიდათ მხატვრებს? რატომ არ მუშაობენ და არ ხატავენ სურათებს წარსულის ნიმუშების მიხედვით, რომლებიც ამშვენებენ ჩვენს სამხატვრო გალლერეიას, და არ მისდევენ დიდებულ ოსტატთა (რაფაელი, ტიციანი და სხ.) პრინციპებს? გარდა ამისა, მაყურებელი ეძებს სურათში გართობას, ნუგეშს და მორალს. ხოლო არასოდეს, რაც დედამიწაზე ხელოვნება არსებობს, მხატვარს არ მიუყენებია ისეთი შეურაცხყოფა მაყურებლის გრძნობისათვის, როგორც ახლა. მაყურებელის გაბრაზება მხატვრობაზე აუწერელია. ეგი გზადაბნეული იხლართება სამხატვრო ფუტურიზმის ყველა შკოლებში. საიდან და რისთვის: პრიმიტივიზმი, კუბიზმი (ორფიზმი, ტიუბიზმი), საკუთრივ ფუტურიზმი, სხივიზმი, ორკესტრული მხატვრობა, სუპრემატიზმი, კონსტრუქტივიზმი. რა უყოთ, რა ვქნათ? ეგეგ საჭიროა, რომ ისევ ხელჩართული ბრძოლა გავმართოთ, დავავლოთ ხელი გრაფინებსა და სკამებს საკუთარ შეხედულებათა დასაცავად, როგორც ამას სჩადიოდნენ წინად მოსკოვში საჯარო დისპუტებზე.

მაგრამ გადავსჭრათ მთელი რიგი არსებითი საკითხებისა და მაშინ შეიძლება მაყურებელი დათმობაზე წავიდეს და ბევრ რამეს შეურიგდეს.

რატომ იცვლება მხატვრობა? რად არ სარგებლობს იგი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონებით? სიახლე მხატვრობაში მარტო ჩვენი დროის მოვლენა არ არის. ხელოვნება იცვლებოდა სხვადასხვა ეპოქებში და სხვადასხვა ქვეყნებში და ყოველთვის ჰქმნიდა ახალ სტილს. ჩვენამდე მოღწეულია შემდეგი სხვადასხვა სტილი: ეგვიპტური, ასსირიული, ბიზანტიური, გოტიური, იაპონური, ინდოეთური და სხ.

სტილი არის საერთო მანერა, ბუნების გადმოცემისა და მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად ნახმარ საშუალებათა საერთო ჯამი. მხატვარი, რომელიც აითვისებს გარემოს თანამედროვე სტილის მიხედვით, არის არა მარტო ოსტატი, არამედ თავისი დროის ადამიანიც. ეს ხდება მაშინ, თუ სტილი იმდე-

ნად მოიცავს ეპოქას, რომ სტილის გარეშე ადგილი არ ექნება ბუნების ათვისებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში მხატვრობა, რომელიც დიდი ხნით ჩამოშორებულიყო ხალხს, სახაზინო—აკადემიური ტრადიციებით კმაყოფილდებოდა. ის თაყვანსა სცემდა წარსულს და თითქმის არც კი იცნობდა მას; იღებდა ხელოვნებიდან მხოლოდ მის მკვდარ ნაწილს (დროთა განმავლობაში ერთი სულიერი ნაწილი მხატვრული ნაწარმოებისა ჰკვდება) და ცხოვრებიდან მარტოოდენ პათეთიურს და მყვირალს. მოარულები (передвижники) ამხედრდენ ოფიციალური ძორის წინააღმდეგ ხალხის სახელით. მათ იწყეს დამუშავება ისეთი თემების, რომლებიც ახლოა მოწინავე საზოგადოების ხალხოსნურ იდეებთან. მაგრამ მათ თითქმის ანბანიც კი არ იცოდნენ მხატვრობაში და არ იყვნენ გაცნობილი მისი კულტურის ელემენტარულ ტეხნიკასთან: კომპოზიციისა და ნახაზის, ფერისა და ფორმის უქონლობამ მალე მიიყვანა ისინი კაპიტულიაციამდე ახალი მიმდინარეობის წინაშე, რომელიც დაიწყო მე-XX საუკუნის დამდეგს (ჯგუფი „ხელოვნების ქვეყანა“ და სხ.).

უცნაურია—ეს მოწინავე მიმდინარეობა თავის პრინციპებში უკან იხედებოდა, მაგრამ თავისი მხატვრობის კულტურით სძალავდა მოარულებს.

დაბრუნებამ გამოცოცხლებული აკადემიისაკენ (სეროვი, კუსტოდიევი) და წარსულის სახეებით გატაცებამ (სომოვი, ბენუა და სხ.) დალუპა ეს მხატვრები. მათი ხელოვნება მოწყვეტილი მიზანს თავისთავად კვდებოდა. თვით ცხოვრება ჰქმნიდა წინამძღვართ სტილისათვის. ფეხს იკიდებს ახალი სოციალური ყოფაცხოვრება, იზრდება პროლეტარიატის კლასი, ომები და რევოლიუცია, ერთმანეთთან აკავშირებს აუარებელ ხალხის მასსებს. იცვლება ქალაქის სახე: მოძრაობის საარაკო სიჩქარე, ტეხნიკის გაბატონება ყველაფერში, მატარებლები — ექსპრესები, ავიაცია, რადიო. ხედვითი შთაბეჭდილებათა სიახლე — შუქით გაბრწყინვებული პერსპექტივები ქუჩისა, შენობების სიმტკიცე და მოკულობა, სხივთა კონების გადაჯვარედინება — ათასთვალა ვიტრინები — ქუჩის ციკლონები, ციმციმი, გრიალი, ბრბოები ქვაფენილებზე, ხიდებზე, თეატრებში და კინოებში. განა შეუძლია მხატვარს გვერდზე გაუდგეს ცხოვრების ამ თავბრუდამხვევ რბენას და სამუშაო ოთახში ჩაკეტილმა ხატოს სურათი წინაპართა ტრადიციების მიხედვით? მრავალსახიანი ცხოვრება ჰბადებს მრავალ შკოლებს. მემარცხენე მხატვრობა განუწყვეტელივ იცვლება და ჯერ კიდევ საკვლევით არ მომხდარა მისი კრისტალიზაცია. ახალი მხატვრები არევ-დარეულად კი არ მიდიან, არამედ ყველა მათგანი სცდილობს გადასჭრას ფორმის ამოცანები, ხოლო შინაარსი კი უმეტეს შემთხვევაში უყურადღებოდ სტოვებენ.

ფორმის მძიმე პრობლემის დამუშავებას მოუნდა ფუტურისტების მთელი თაობის შრომა. რევოლიუციამ გაამარტივა ამ ძიებათა სირთულე მათი ლაბორატორიული ხასიათის უკუგდებით; მან უაარჰყო ხელოვნება რჩეულთათვის, და გაართულა ამოცანა მასსიური მაყურებელის, როგორც ახალი ფაქტორის წამოყენებით.

მემარცხენე მხატვრობის ნათელი გაგებისათვის წარმოვიდგინოთ ჯერ ცალ-ცალკე სამხატვრო მიმდინარეობათა საერთო ხაზები.

როგორც ბუნებრივი რეაქცია „ხელოვნების ქვეყანა"-ს, მეორე, აღორძინებული აკადემიზმისა და იდეოლოგიურად სიკვდილამდე [illegible] იმპრესიონიზმის წინააღმდეგ, ხელოვნებაში თავს იჩენს მიმართულება, რომელიც პირველ რიგში აყენებს ფერად სიპრტყეს. ახალგაზრდა მხატვრებმა ასე შეიგნეს თავის ამოცანები: გამარტივებული საშუალებებით ბუნების გართულებული გადატეხის მიღწევა და მიღება იმისა, რომ ფერადი სიპრტყის დამუშავების დროს სამხატვრო საშუალებებს თავის თავად აქვთ ღირებულება.

ისინი ასწავლიდნენ, რომ თავის თავად არსებული, დამოუკიდებელი სიპრტყე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს მაყურებელზე, რის დამოწმებას ისინი მეცამეტე—მეთექვსმეტე საუკუნეების ჩრდილო-რუსულ ხატთა სიპრტყეების ფერადებაში, ქუჩურ აბრებში, რომლებიც თანდათან გამოდიან ხმარებიდან, და უბრალო ხალხურ ხატვაში ხედავდენ. ნახეს თუ არა ყველასაგან ათვალისწინებული ხალხური სიმდიდრე, პრიმიტივისტებმა იწყეს მისი გამოყენება: ხატავდნენ ზეთით ლანგარებს, ტაბაკერკებს, მინებს, ხეს, იზრაზცებს, თუნუქს სხ. მხატვრული წერა ტყავზე, კერვა მძივებით, ხეებზე სახეების ამოკვეთა, სხვადასხვანაირი წვნა და ქსოვა,—ყოველივე ეს თითქოს ძალიან შორს არის მხატვრობისაგან, მაგრამ ნამდვილად კი ისინი ასწავლიან მხატვრებს უმნიშვნელოვანეს ხაზების პრინციპებს და ყოველგვარი მასალების გამოყენებას.

ეს ბრბოსათვის საყვარელი ნივთები მისი ყოველდღიური გასართობი, მეტად აახლოვებდნენ ახალგაზრდა ქალაქის მხატვრებს ხალხის უბრალო გემოვნებასთან. ისინი ჰკიდებენ საქმეს ხელს ისე, რომ თანამედროვე მაყურებლებს უფარდებენ მხატვრობის გამარტივებულ მეთოდებს. ამგვარად ჩნდება პრიმიტივიზმი.

პრიმიტივისტების მხატვრობა ხასიათდება შემდეგი თვისებებით: განგებ ბავშური, პირველყოფილი მისვლა ბუნებასთან, ღია ფერადები, ნარტივი გამმა, თავიდან აცილება წვრილმანების, ანუ გაზვიადებული დეტალების, სურათების დამშვენება წარწერებით.

სიპრტყის მხატვრობის (პრიმიტივიზმის) მოძღვრება ბუნებრივად იწვევს მოძღვრებას ფიგურალურ შენების შესახებ (კუბიზმი), ვინაიდან ფიგურა არის სიპრტყის მოძრაობა.

კუბიზმი არ ასწავლის ჰაეროვანსა და ხაზობრივ პერსპექტივას ფორმასთან ერთად, არამედ აჩვენებს თუ როგორ უნდა გამოააშკარაო მესამე განზომილება ფორმების საშუალებით, და ფორმათა გადატანას ტილოზე მათი შექმნის დროს. ტეხნიკურ საშუალებებ შორის კუბიზმი უმთავრესად იღებს შუქნარევ ჩრდილებს. საიდან გამომდინარეობს კუბიზმი, სად არის წყარო მისი გეომეტრიული ფორმებისა? როგორც პრიმიტივიზმის საფუძველი ხალხური შემოქმედება იყო, ისე აქ მხატვრების ნებისყოფა მტკიცდება სკულპტურის მონოლიტური ფორმებია –რუსული ქვის დედაკაცით, ზანგთა კერპებით და სხ. გეომეტრიზაცია დამახასიათებელი მოვლენაა კუბისტებისათვის. კუბიზმი ეძებს ბუ-

ნებაში ფორმებს, რომლებსაც მოჰყვება შედეგად—პირამიდა, ცილინდრი, კუბი. ამ მიმართულების მხატვართა გამბედაობა მაყურებელის თვალში სულაა, საშინელი და უკანონო. მაგრამ კუბისტების მიერ გამოაშკარავებულ იდეათა მოცულობა არ იფარება სიტყვით „გეომეტრიზმი". წინააღმდეგ ამისა ეს ესთეტიური იდეებია. კუბისტებმა მოგვცეს ახალი ღირებულებანი, ახალი კონცეპციები. მათ ნაწარმოებებში არის მხატვრული შეხამება ხაზებისა ზედაპირთან და მდიდარი კომპოზიცია. გარდა ამისა მათ წამოაყენეს სურათების კონსტრუქციის საკითხი. თუ სურათის კომპოზიცია არის მისი ნაწილების ერთმანეთთან მიმატება, კონსტრუქცია კი გამრავლება და გამოყოფაა სურათისა შეთანაბრებულ ნაწილებზე.

ჩვეულებრივი კონსტრუქცია კუბისტებს დაძრული აქვთ, ხდება ეგრედწოდებული დაძვრა. მაყურებელი იქცევა შემოქმედად. მხატვრული სივრცის დასამყარებლად საჭიროა შეხებითი და მოძრაობითი უნარის გამოყენება. კუბისტები ამტკიცებენ, რომ არსებობს ფორმის ცვალებადობა. ის ლბილდება ან ცოცხლდება მეორე შეხებით. მას შეუძლია გამრავლება ან გაქრობა. ფორმა, რომელიც უფრო მკვიდრია სხვებთან შედარებით მთელ რუსეთზე ბატონობს. ფერადების სფეროში კუბისტს უყვარს მოშავო, სქელი ფერადები—ყავისფერი, წითელი და რუხი. კუბიზმის ვარიაცია, პარალელური წრის მრუდე ხაზის შენებისა—არის რონდიზმი.

იტალიელებისა და რუსების მიერ ერთდროულად წამოყენებულ იქმნა ფუტურიზმი, რომელიც ცდილობს მოახდინოს რეფორმა არა მარტო მხატვრობაში, არამედ ხელოვნების ყველა დარგში. მხატვრობაში ფუტურიზმმა წამოაყენა მოძღვრება უმთავრესათ მოძრაობის შესახებ — დინამიზმი. მხატვრობა უმოძრაოა, აქედან მხატვრობა როგორც მოძრაობის სტილი — გადაცემა მოძრაობის მომენტებისა, რომელსაც იჭერს და ამაგრებს მხატვარი.

ფუტურიზმი შლის სურათს, აყენებს მხატვარს სურათის ცენტრში, იხილავს საგანს სხვადასხვა მხრიდან; ჰქადაგებს საგანთა გამჭვირვალობას, ხატავს იმას, რაც მხატვარმა იცის, და არა მარტო იმას, რაც მან ამ ჟამად იცის, ტილოზე გადააქვს შთაბეჭდილებათა მთელი ჯამი, ან ერთი და იმავე მოქმედების მომენტი შიგ ლიტერატურის და პოლიტიკის შეტანით.

ფუტურიზმი არ უარყოფს ბუნებას. მოძრაობის პრობლემა მოითხოვს მისგან შეისწავლოს მოძრავი სხეულის ყველა მდგომარეობა. უფრო მეტი, პირველად სტატიურ მხატვრობაში მოცემულია სიპრტყეების და წახნაგების ცვლა მოძრაობის დროს და მისი გავლენა ფერადებზე.

ფუტურისტ მხატვრებს თითქოს თვალები აეხილათ, როდესაც მათ ყურადღება მიაქციეს თანამედროვე ქალაქის ცხოვრებასა და მოძრაობას. მათი სურათების ყველაზე უფრო პოპულიარული თემებია „მატარებლის და ჰაეროპლანის მოძრაობა", „ველოსიპედისტი", გრანდიოზული მოძრაობა ხალხის მასსების ქუჩებში, მიტინგზე, ბალებზე და სხ. მანქანის სილამაზე, მექანიკური ძალა, ელექ-

ტრონი, ქარხნების მოძრაობა და ცხოვრება, ავტომობილი — ის ფეტიშები, რომლებსაც თაყვანსა სცემენ ფუტურისტები. ცხადია, რომ თეორიების და იდეების ასეთ მრავალფერობის ნიადაგზე წარმოიშვა შკოლებისა და ქვეშკოლების მთელი რიგი; ყოველი მათგანი ასე თუ ისე ამდიდრებდა მხატვრობას. დავასახელოთ მათ შორის: **ქუბიზმი**, რომელსაც მხედველობაში აქვს ფორმის სინთეზი წინააღმდეგ ფორმის ანალიტიური დაშლისა; **ნეოფუტურიზმი**, რომელმაც გადასწყვიტა ფერადებით დაფარული სურათის სრული უარყოფა და მისი შეცვლა ეკრანით, სადაც არსებითად სტატიური ფერადი სიბრტყე შეცვლილია მოძრავი ნათელ-ფერადი სიბრტყით, და **ორფეიზმი**, რომელიც ასწავლის ნივთების მუსიკალობის შესახებ.

ნეოფუტურიზმს მიჰყავს მხატვრობა ვიტროში (ფერადი მინები) მდებარე ამოცანებთან ბლიუს ბუნებრივი დინამიკა—ეს ართმევს მხატვრობას მის სიმბოლიურ საწყისს და ჩნდება როგორც ხელოვნების ახალი დარგი.

ორფეიზმი, რომელსაც სახეში აქვს ფერადების მუსიკალურ ხმოვანებაზე და ორკესტრალობაზე დამყარებული მხატვრობა, იხრება მუსიკალური ტალღების სინათლის ტალღებთან სრული შეთანაბრებისაკენ, რაიც იძლევა ფერად შეგრძნობებს, და აშენებს მხატვრობას სავსებით მუსიკალური კანონების მიხედვით. ეს მაშინ, როდესაც მხატვრობის კანონები მხოლოდ მხატვრობის თვისებებს შეადგენენ—ფერადი ხაზი, ფორმა და ფაქტურა. ყოველი სურათი შესდგება ფერადი ზედაპირისაგან (ფერადი ზედაპირის მდგომარეობა, მისი ტემბრი) და იმ შეგრძნებისგან, რომელიც ამ ორი ელემენტიდან გამომდინარეობს. გზა და გზა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ სურათის შესახებ საერთოდ. რა ფასობს სურათში? რა უპირატესობას მივანიჭებთ მხატვრებს, რომლებიც ხატავენ ერთსა და იმავე საგნებს? ერთი მთავარ ღირსებათაგანია ის, თუ **როგორ** არის საგნები დახატული, **როგორი** ფერადებია დადებული და **როგორ** არის დადებული. ფერადებისა და ფაქტურის ურთიერთი განწყობილება. სურათმა უნდა გვასწავლოს მონუმენტალური სიმტკიცე კონსტრუქციის და დაგვიპყრას ფიქტიური სილრმეების გახსნით, რომლებიც ძნელად ემორჩილება თვალთაზომის და პერსპექტივის კანონებს. რჩება სურათის შინაარსი. კითხვა ფაბულის შესახებ მხატვრობაში უალრესად დიდ როლს თამაშობს, როგორც პოლიტიკის შესავალი ხელოვნებაში. ფაბულის პირველი მიმყვანნი მხატვრულ ფორმამდე იყვნენ ინდუსები და მათი მიმბაძველნი სპარსელები, რომელთა მინიატიურები აღიბეჭდენ მხატვარ ანრი რუსოს შემოქმედებაზე, რომელმაც თანამედროვე ევროპაში პირველმა შეიტანა ფაბულა მხატვრულ ფორმულაში. რუს ფუტურისტებ შორის ფაბულის პირველი ოსტატი იყო ნატალია გონჩაროვა, ხოლო საქართველოში კი ხალხური მხატვარი ნიკო ფიროსმანი. ფუტურიზმის შემდეგ იბადება **სხივიზმი**; ეს უკანასკნელიც იმგვარადვე ანვითარებს მხატვრობის კანონებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ისევ მხატვრობას ახასიათებს.

აი ეს საინტერესო თეორია.

ჩვენი თვალი იმდენად სრულყოფილი აპარატია, რომ ბევრი რამ, რასაც ჩვენ ტვინის ცენტრებში გადავსცემთ მზერის საშუალებით, როგორც ამას ჩვენ

ვფიქრობთ, სწორია რეალურ ცხოვრებასთან შედარებით, მაგრამ ეს სისწორე შედეგია სხვა გრძნობების. ბავშვი ხედავს პირველ ხანებში [illegible] ფერადებს, მაგრამ შემდეგში ეს მხედველობის ნაკლი გამოსწორდება [illegible] ფერადების საშუალებით. რაც უნდა არ მოინდომოს დიდმა ადამიანმა, მას არ შეუძლია დაინახოს საგნები გადაბრუნებული. აქედან ცხადია თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი შინაგანი დარწმუნება ჩვენს გარეშე მყოფ ნივთების შესახებ.

ხშირად სხივიზმი შემდეგი დებულებებიდან გამოდის. სხივოსნობა უკუფენილ შუქის საშუალებით (საგანთა შორის არსებულ სივრცეში ეს ჰქმნის თითქოს ფერად მტვერს).

მოძღვრება სხივოსნობის შესახებ. რადიოაქტიური სხივები. ულტრა-ფიოლეტი სხივები. რეფლექტივობა.

საგანს იმ სახით, რა სახითაც მიღებულია მისი დახატვა, საგანს, არსებულს როგორც ასეთი, ჩვენ ჩვენის თვალით ვერ შევიგრძნობთ. ჩვენ ვითვისებთ შუქის წყაროდან წამოსულ სხივების ჯამს, უკუფენილს საგნიდან და მოხვედრილს ჩვენი მხედველობის არეში. მაშასადამე თუ ჩვენ გვინდა დავხატოთ ზედმიწევნითი სისწორით ის, რასაც ვხედავთ, მაშინ ჩვენ უნდა დავხატოთ საგნიდან უკუფენილი სხივების ჯამი. მაგრამ, რომ მივიღოთ სასურველი საგნის სხივების ჯამი, ამისათვის ჩვენ ჩვენი ნებისყოფით უნდა გამოვყოთ მხოლოდ ეს საგანი, ვინაიდან ჩვენს თვალში ასათვისებელი საგნის სხივებთან ერთად შედიან უკუფენილი რეფლექტორული სხივები სხვა ახლო მდებარე საგანთა ნაწილებისაგან. ხოლო, თუ ჩვენ გვინდა დავხატოთ საგანი სრულიად ისე, როგორც ვხედავთ, მაშინ ეს სხვა საგნების ნაწილთა რეფლექტორული სხივებიც უნდა ავსახოთ და ამრიგად ჩვენ მიერ დახატული საგანი იქნება სწორედ ის, რასაც ვხედავთ.

მაშ ასე, თუ ჩვენ მხედველობაში გვექნება არა თვით საგნები, არამედ მათი სხივების ჯამი, მაშინ ამგვარად შეგვიძლია სურათის აშენება. სხივების ჯამი ორი საგნისაგან გადაჯვარედინდება და სივრცეში მათ შორის ჩნდება მხატვრის ნებისყოფით გამოყოფილი ერთგვარი ფორმა. ათვისება არა თვით საგნისა, არამედ მისი სხივების ჯამის, თავისი ხასიათით გაცილებით უფრო ახლოა სურათის სიმბოლიურ სიპრტყესთან, ვიდრე თვით საგანი. სხივი პირობით იხატება სიპრტყეზე ფერადი ხაზით. ის, რაც ფასობს ხატვის ყოველი მოყვარულისათვის, საუკეთესოდ აშკარავდება სხივოსან სურათში—ის საგნები, რომლებსაც ჩვენ ცხოვრებაში ვხედავთ, აქ—არავითარ როლს არ თამაშობენ.

სურათი თითქოს მისრიალებს, იძლევა დრო და სივრცის გარეშე შეგრძნებებს—მასში იბადება იმისი შეგრძნება, რასაც შეგვიძლია მეოთხე განზომილება უწოდოთ, ვინაიდან მისი სიგრძე, სიფართე და დადებული ფერადის სისქე—ერთად ერთი ნიშანდობლივი თვისება არის იმ ქვეყნის, რომელშიდაც ჩვენ ვიმყოფებით. სურათის მიერ აღძრული ყველა შეგრძნებანი კი სულ სხვა სფეროდან არიან. ამ გზით მხატვრობა უსწორდება მუსიკას და იმავე დროს რჩება როგორც მხატვრობა. ასეთია სხივისტების მოძღვრება.

რუსულმა მხატვრობამ ჩქარი მარშით გადიარა ახალი ოსტატობის მიღწე-

ვათა რიგი, რომელსაც ის იმავე დროს არჩევდა თეორიულად და ამუშავებდა პრაქტიკულად. მხატვრებს გამდიდრებულთ უდიდესი გამოცდილებით და სხვადასხვაგვარი მხატვრული კალიბრების მარაგით, არ შეეძლოთ [illegible] ეფიქსირებულიყვნენ იმ რწმენაში, რომ ყოველი მანერა არის მხოლოდ [illegible] სტილი მხოლოდ საშუალებაა, და მხატვრობის ფასი არის სტილის გარეშე. მასთან ერთად ყოველი მანერა, სტილი შეზღუდულია მისი ავტორის მანერებით. განზოგადების მიზნით ოსტატს შეუძლია ხატოს დღეს ერთით, ხვალ მეორე მანერით. შეიძლება ხატვა არა თუ სხვადასხვა მანერით, არამედ ერთ ტილოზე მხატვრობის სხვადასხვა გაგების შეერთებაც. თითოეული მანერა სწყვეტს ამა თუ იმ ამოცანას, მაგრამ არა სწყვეტს მხატვრობას საკუთარით. მანერების შეერთებით ოსტატი ანთავისუფლებს ხელოვნებას დროებითი ამოცანების გავლენისაგან და, ყოველი სტილის შემთხვევითი ხასიათის მოსპობით, აძლევს ნაწარმოებს არაჩვეულებრივ სისრულეს.

ამგვარად იქმნა აღმოჩენილი **ორკესტრული მხატვრობა**. ის აღწერს ყველაზე უფრო წმინდა მხატვრულ ათვისებას. აქ მაყურებელის თვალი სცილდება ცხოვრებას და მიდის მხატვრულ ურთიერთ გავლენის სფეროში, სადაც სურათები და მხოლოდ სურათები ერთი მეორეზე მჭიდროდ მიწყობილი სწმენდენ ფერადებს და ამტკიცებენ ისედაც მაგარ ფაქტურას.

კვადრატული სურათების უბრალო შეხამება ნაირდება სამკუთხედებით და უდრო რთულდება მოხრილი ხაზების შეტანით. სურათს აქვს არაჩვეულებრივი ფანტასტიური ხასიათი. ერთ ტილოზე: კუბისტური პორტრეტი, იმპრესიონისტული პეიზაჟი, ფუტურისტული ნატურ-მორტი და სხივისტური **კომპოზიცია**. ერთი კომპოზიციით შეკავშირებულ რამდენიმე სურათის ორკესტრი იმდენად ინტენსიურია და ფრავალფერი, რომ ზომით მცირე სურათი იღებს ფრესკის სივრცითი ძლიერების არქიტექტურულ კოშკების სიმტკიცეს.

ორკესტრული მხატვრობა იყო მემარცხენე ძიებათა დამთავრება რევოლიუციამდე. წმინდა მხატვრული ამოცანების — მხატვრობა მხატვრობისათვის — დამუშავება აქ შეწყდა.

რევოლიუციის ჯებირმა ახალი ამოცანებისაკენ შეატრიალა ხელოვნების კალაპოტი.

სოციალურ ქარტეხილის გამანადგურებელ სისწრაფეში საჭირო შეიქნა მეტი შეკავშირება ოსტატობის მექანიკური ძალებისა, ხოლო უზარმაზარი შინაარსისათვის უფრო დიადი ხელოვნება, სადაც არა მარტო მხატვრობა შევა, არამედ მისი დანართი დარგებიც: სახლების შენება, თეატრი, კოსტიუმი, დგამი, ჭურჭლეულობა, ადამიანისთვის ყოველდღიურად საჭირო ნივთები.

სახვითი ხელოვნებათა საერთო თვისებების გაერთიანებით, მხატვრები მისცემენ ადამიანთა ცხოვრების მთელ გარეგნობას ერთიანი ოსტატობის ხასიათს, სტილს, რომელიც იმორჩილებს ეპოქას საქმიანსა და მიზანშეწონილს.

აი აქ კი შეიქმნა მემარცხენე მხატვრობა გამოსადეგი, მარდი, ცვალებადი და მახვილი გამომგონი. ორი ახალი შკოლა ცდილობს გადასჭრას ეს ამოცანები — სუპრომატიზმი, ანუ Унович (ახალი უნივერსალური ხელოვნება), და

კონსტრუქტივიზმი. თანდათან უფრო მეტი შეეჭრა წარმოებაში. მემარცხენე მხატვრული ახალგაზრდობა იწყებს იმის გაგებას, რომ წარმოებიდ გარეშე არსად შეიძლება ძალების გაშლა. ის დარწმუნდა საქმეზე, რომ ხატვრებიან შემოქმედებისათვის არ კმარა ჩვეულებრივი სურათი, იგი ვიწრო ხდება და მხატვრული ნივთიც თავისთავად ძალიან მცირე ღირებულებას წარმოადგენს, როგორც ესტეტიურს, ისე სოციალურს.

იბადება იდეები, რომ ხელოვნება აბსოლიუტურად მეორე ხარისხოვანი განძია. რატომ?

სუპრემატისტები ამბობენ: სამყარო საგნებ მოკლებული რამ არის და მხატვრები ხედავენ მხოლოდ განყენებულ ფორმას, რომელიც უცნობია ყოველი წინანდელი ხელოვნებისათვის.

კონსტრუქტივისტები ასწავლიან: მიეცით თქვენს მხატვრულ ნაშრომებს შინაარსი, რომელიც ეხმაურებოდეს მშრომელთა რევოლიუციონურ იდეალებს. მხატვარი ისწრაფის, რომ ის გასაგები იქნეს ყველასათვის. ყველაფერი, რაც ნახეს ფუტურისტებმა ავერების სფეროში, უარყოფილია. შემოდის შემთხვევითი აფერადება. ხაზი მიიმართება ინდივიდუალურ-ფოტოგრაფიულად. მხატვარი აკეთებს კონსტრუქციას ზედმეტი ქანდაკებისათვის. შენების სიმტკიცე, მიზან შეწონილობა, სპორტი, ინჟენერი, მანქანა.

შემოდის კონტროლი ხაზზე და ფორმაზე. უკვე საქმე იმაში კი აღარ არის, რომ ტილოზე ააჯადოვო მემარცხენე მიმდინარეობათა ეშმაკური მხატვრობა.

საჭიროა ნივთობრივობა და ინჟენერული ნახაზის სიცხადე. ფოტოგრაფია შეასრულებს დიდ როლს. ფოტო-სურათების კომბინაცია გრაფიკული და მხატვრული ნახატების კომპოზიციას შესცვლის. ასეთი შეცვლის აზრი იმაშია, რომ ფოტო-სურათი არ არის გადახატვა ზედვითი ფაქტის, არამედ მისი პირდაპირი ფიქსაცია. ეს სისწორე და დოკუმენტალობა ანიჭებს ფოტო-სურათს ისეთი გავლენის ძალას მაყურებელზე, როგორაც გრაფიკული ნახატი ვერასოდეს ვერ მიაღწევს. ფოტო-მონტაჟი ფოტოგრაფიული ნაწყვეტებისა უფერადო სიბრტყეზე რომელიმე მომენტის გადმოცემის დროს გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე იმავე მომენტის ხელით გადაღება. რეკლამა სარეკლამო საგნის ფოტო-სურათით უფრო მეტად ადვილია, ვიდრე ნახატი იმავე თემაზე.

მხატვრისაგან მოითხოვენ, რომ იყოს იგი არა ბოგემური, ტანმოდუნებული ანარქისტი, არამედ ნათელი, ჯანსაღი მუშაკი კოლექტივში.

პროლეტარიატის გამარჯვებასთან ერთად ხელოვნება თავს დააღწევს ვიწრო კალაპოტს, სადაც იგი სისხლნაკლულად ქანავს საზოგადოების ნაღებში, და მხოლოდ მაშინ მოიღება კაპიტალის მონოპოლიას ყოველივე სულიერ გონებრივეხ ბოლო. მხოლოდ კომუნიზმი გაამდიდრებს, განავითარებს და წაიყვანს კაცობრიობას ნამდვილ ზეკლასიურ კულტურისაკენ. კონსტრუქტივიზმის თანამედროვე სუპრემატიზმი (ფორმათა მოძრაობა სივრცეში, უსაგნობა) აერთიანებს მემარცხენე სკოლების ყველა მინაპოვარს—ხაზი, ფერი, მოცულობა გაერთიანებულია უსაგნო ფორმაში თავის თავად.

სისრულე და სისუფთავე ფორმის, შემადგენელ ნაწილების მრავალფეროობა, რომელიც მიღწეულია მასალის სხვა და სხვა გვარი ფაქტურის საშუალებით, ხელს უწყობს დღემდე მსოფლიო ხელოვნებაში არ გაგონილ დაწურულობას და სიმტკიცეს კომპოზიციისას იმ დროს, როდესაც დეტალები მშრალი და სერიოზული მოხდენილობით არის საკმე.

შესცვალეს რა წმინდა ხელოვნება პრაქტიკულით, მაგალითად ჭურჭლეულობაში, სუპრემატისტებმა გამოიყენეს ფაიფურის ფაქტურა და პირველად იხმარეს მკაცრი ფერები და მოდრეკილი ფორმები დაფერდებულ სიპრტყეებზე.

აი მემარცხენე სკოლების ნუსხა მცირეოდნად განსხვავებულ მიმდინარეობათა და განმარტოებულთა გამოკლებით.

რუსული მემარცხენე მხატვრობის ასეთი მრავალფეროობა და სიმდიდრე 15 წლის განმავლობაში ყურადღებას იზიდავს არა თუ სკოლების, არამედ ცალკე ოსტატების მუშაობისაკენაც კი. შეუძლებელია რა თქმა უნდა, ყველა მხარეების ჩამოთვლა, აღვნიშნოთ მხოლოდ ბელადები და გამოჩენილი ერთეულები.

პირველი მნიშვნელოვანი ფუტურისტული გამოფენა „ვირის კუდი" გაიხსნა მოსკოვში 1912 წლის მარტში ასეთი შემადგენლობით: ვ. ბარტი, ს. ბობროვი, ნ. გონჩაროვა, კ. ზდანევიჩი, მ. ლარიონოვი, მ. ლე-დონტიუ, კ. მალევიჩი, ვ. ტოტლინი, ა. ფონ-ვიზენი, ი. შაგალი, შევჩენკო და სხვები. გამოფენის საერთო ტონი: მხიარული და ნათელი ფერადი, თამამი ძიება, ახალი ტალანტების ახალგაზრდული ძალა. აქ პირველად მოიხაზა ბევრი ახალი მხატვრის სახე, რომლებიც შემდეგში მდიდრად გაიშალენ.

ფუტურიზმის ერთი მესვეურთაგანი ნატალია გონჩაროვა, რომელიც თავის მხატვრობაში აერთებდა ხალხურ უბრალოებას კუბიზმთან, ხან კი სხივიზმთანაც, აი რას ამბობს თავის მხატვრობის შესახებ:

„მხატვრული შემოქმედება მე ავითვისე თანდათანობით ისე, რომ არცერთ მხატვრულ სკოლაში არ მისწავლია. თავდაპირველად მე ყველაზე მეტს თანამედროვე ფრანგებისაგან ვსწავლობდი. ამ უკანასკნელებმა ამიხილეს თვალები, და მე შევიგნე ჩემი სამშობლოს ხელოვნების დიდი მნიშვნელობა და ფასი, ხოლო ძისი საშუალებით კი—აღმოსავლეთის ხელოვნების უდიდესი ღირებულება. ჩემ მიერ მთლად გავლილია ის, რის მოცემაც დღემდე დასავლეთს შეეძლო, აგრეთვე ყველა ის, რაც შეჰქმნა დასავლეთიდან წამოსულმა ჩემმა სამშობლომ. ახლა მე უარვყოფ, ვშორდები დასავლეთს, და ჩემი გზის მიზანია ყველა ხელოვნებათა აკვანი—აღმოსაკლეთი. ჩემი სამშობლო ხელოვნება უფრო ღრმა არის და მნიშვნელოვანი, ვიდრე ყოველივე ის, რასაც მე დასავლეთიდან ვიცნობ (მე მხედველობაში მაქვს ნამდვილი ხელოვნება და არა ის, რაც ვრცელდება ოფიციალური სკოლების მიერ). მე ხელახლა ვხსნი გზას აღმოსავლეთისაკენ, და მე მჯერა, რომ ამ გზით ბევრი გამომყვება უკან.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თანამედროვე რუსული ხელოვნება ისეთი ტემპით მიდის წინ და ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომ მოკლე მომავალში ის ითამაშებს მნიშვნელოვან როლს მსოფლიო ცხოვრების ასპარეზზე.

თუ ხელოვნება განხილული იქნება მხატვრული ნაშთების მიხედვით ისე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დრო მხედველობაში არ იქნება მიღებული, მაშინ იგი წარმოგვიდგება შემდეგი წესით.

ძვის ხანა და გვირაბის პერიოდის ხელოვნება — ხელოვნების დასაწყისი. ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე—ყოველთვის მაღალი ხელოვნებით და ძაგარი მხატვრული ტრადიციით. ხელოვნებანი, რომლებიც მოდიან ამ ფესვებიდან, ნაგრამ დამოუკიდებელნი—ატცეკების, ზანგების, ავსტრალიელების და აზიის კუნძულების—ზონდის (ბორნეო), იაპონიის და სხვ. ეს არის ამაღლება და აყვავება ხელოვნების საერთოდ. საბერძნეთი დაწყებული კრიტის პერიოდიდან (გარდამავალი მდგომარეობა) არქაიკით და მთელი თავისი აყვავებით, იტალია მთლად გოტიკამდე—არის დაცემა. გოტიკა არის გარდამავალი მდგომარეობა. ჩვენი დრო—მემარცხენე ხელოვნების აყვავება ახალ ფორმაში—მხატვრულში. და ამ განმეორებითი აყვავებაში აღმოსავლეთმა ისევ თვალსაჩინო როლი ითამაშა.

აი ამოცანები, რომელთა გატარებაც მე მსურს: არავითარი საზღვრები მხატვრულ მიღწევებში, გამოყენება ყოველთვის მთელი თანამედროვე მიღწევების ხელოვნებაში. მტკიცე კანონების შეტანა მიღწევებში და მათი სწორი განსაზღვრა ბრძოლა გაუულგარებულ და გამხრწნელ ქადაგის წინააღმდეგ ინდივიდუალიზმის შესახებ. ცხოვრებაში გატარება ჩემ მიერ გამომუშავებულ სხივიზმის თეორიისა.

ინდივიდუალურმა ათვისებამ შეიძლება საშსახური გაუწიოს ხელოვნებას ხოლო კაცობრიობისთვის კი ის ვერ ითამაშებს ვერავითარ როლს. თუ მე მიხდება შეჯახება საზოგადოებასთან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელს არ ესმის ხელოვნების საფუძვლები, და არა ჩემი ინდივიდუალური თვისებების გამო.

ჩემთვის აღმოსავლეთი არის ახალი ფორმების შემოქმედება — გაფართოება და გაღრმავება ფერის ამოცანების. ეს მე დამეხმარება, რომ უკეთ და უფრო ცხოველად გამოვხატო თანამედროვეობა—მისი ცოცხალი სილამაზე. ჩემი მისწრაფება ნაციონალურისა და აღმოსავლეთისადმი ხელოვნების ამოცანების შევიწროებას კი არ იხატავს მიზნად, არამედ იმას, რომ გახადოს ხელოვნება ყოვლის შემცველად და მთელი ქვეყნის საგნად".

ასეთია იდეები, რომლებიც ნათელჰყოფენ ახალგაზრდა მემარცხენე მხატვრების ოცნების უდიდეს ნაწილს. ნ. გონჩაროვას სურათების თემები უფრო ფართოა, ვიდრე ყველა დანარჩენი ოსტატების.

გლეხთა სახეები—მთიბავები, მევენახენი, დედაკაცები ბოსტანში, მუზები, მკა, მეთევზენი, ჯარისკაცები, რომლებიც ცხენებს სწმენდნენ, ბერი კატით, ტილოს რეცხა, თუთიყუშები. დიდი სურათი „მკა". (კომპოზიცია ცხრა ნაწილისაგან: ფარშავანგი, ანგელოზები ისვრიან ქვებს ქალაქში, ფენიქსი, მეფე, ჭალწული მხეცზე. წინასწარმეტყველი, ყურძნის მწურავი ფეხებით ქალაქი წყალში, მკა).

ურიები, ტყე (თანამედროვე პრიმიტივი).

სხივისტური ათვისება (ლურჯის და მწვანის სიჭარბე). თეთრეული (ფუტურისტული), კატები (სხივისტური ათვისება, ვარდისფერი, შავი, ყვითელი), აშენება დამყარებული სხვადასხვა ფაქტებზე, გამსჭვირვალობაზე (ფირსოვის

თეორია). ფუტბოლი, ქვაფენილი, კარიატიდები, ინდაური, ბიბოჭელი და სხვ. ათას ხუთასამდე სურათები, ნახატები, სცენები.

ნ. გონჩაროვას გამოფენა (მოსკოვი 1913 წ). ჩვენ-ჩვენ-ჩვენ-

ვიქტორ ბარტი სდგას განმარტოებით. იგი ოსტატია ხაზის და იაპონურ მხატვართა სტილის ვირტუოზი. ის ხატავს სურათს ორ[illegible], საღებავის შერჩევაში სრული თავისუფლება—ქალი მწვანე, [illegible] მისი კომპოზიცია მიმდინარეობს საშუალო საუკუნეების ოსტატებისაგან მათი რამოდენიმე პერსპექტივით ერთად.

ორკესტრული მხატვრობის ორგანიზატორი, წერილის ავტორი, ცნობილია ნაშრომებით: „ვენერა-კუხარკა" (კუბო-ფუტურიზმი), რევოლიუცია (ფუტურიზმი), დეკორატიული მუშაობით და კოლორიტით.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ რუსული ფუტურიზმის დამწყებნი, რომლებმაც თუ დიდი ნაშრომები ვერ შეჰქმნეს, ყოველ შემთხვევაში პირველებმა გახსნეს გზა. ესენი არიან: ელენე გურო (ნეოიმპრესიონისტი), როზანოვა (კუბისტი) და ორი ძმა ბურლიუკები. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ფუტურიზმის თეორეტიკოსი დოქტორი კულბინი.

კ. მალევიჩი—შემდეგში მეთაური უნოვისის (სადაც თავს იყრიან ნიჭიერი სუეტინი, ლისიცკი, ჩაშეჩნიკი, ერმოლაევა და სხ.) წინად გამოდიოდა გამოფენებზე როგორც კუბო-ფუტურისტი. მისი ნაშრომები მეტად დამაჯერებელნი და მტკიცენი არიან. ამ ჟამად სუპრემატიზმის მქადაგებელი — ის თავის მიმდევრებით ამუშავებს უსაგნობის საკითხს, როგორც ხელოვნებისათვის საკალდებულო ფორმას.

კიდევ ერთი ცნობილი ჯგუფი—„ბუბნის ვალეტი"—უმთავრესად ფრანგული ტრადიციის მხატვრები. მოზრდილი სახელები — კონჩალოვსკი (შემოქმედი ფერადის, მჭიდრო და სქელი ფერის), მაშკოვი (დიდი ნატურ-მორტები), ფალკი, დერვინი, ოსმერკინი, უდალცოვა, ლენტულოვი, ფედოროვი, იაკულოვი.

მოვიხსენიოთ იური ანნენკოვი, რომელიც ცხოვრებაში ატარებს ფუტურისტულ პრინციპებს (ტროცკის ცნობილი პორტრეტი) სურათებით და უმთავრესად გრაფიკით, ბროუნი, პუნი, მატიუშინი, ექსტერი.

ტატლინი გამოსული „ვირის კუდიდან" ახალგაზდა მხატვრების ფალანგით: ვლად. ლებედევით, ტირსათი, ტარანით, მიტურიჩით, ლაპშინით და სხ.

ამ მხატვრებს სეზან-კუბიზმის კვალი ეკარგებათ ახალ გზაზე სხვა ნაკვალევთა შორის; მათზე ამკარად სჩანს ადგილი დასმული თანამედროვე ტექნიკით, მლებრობით და რუსული საეკლესიო ხატების მხატვრობით. ამ შკოლის მხატვრებს საყარო წარმოდგენილი აქვთ როგორც მასალათა ერთიერთობა და ფიქრობენ, რომ მასალა არის მხატვრობის ერთად ერთი საძირკველი. ტატლინი ცნობილია თავის მესამე ინტერნაციონალის ძეგლით, გარდა ამისა საინტერესოა მისი სურათები. ის, რასაც შეიძლება ეწოდოს „სამღებრო" ცდები მისი საოსტატო — დაფისა („ვარსკვლავების ანბანი" ხლებნიკოვის „ზანგეზის" თეატრალური დადგმისთვის). საუცხოვო დამუშავებაა საღებავის, როგორც მასალის. ამ მუშაობის ამოცანა ძნელია: ნედლი საღებავის გარდაქმნა დამუშავებულ, ხანგრძლივად მომქმედ ფერად, რომელიც არ ჰკარგავს იმავე დროს საღებავის თვისებებს. საჭიროა გვახსოვდეს ამასთანავე, რომ ფერზე მუშაობა ადვილი ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხატვარი სჭრის მას ზერელე იმპრესიონიზმის (სინა-

თლის გადაჭაჩვა ფერში) ან ესტეტიზმის წესით—ფერის სილამაზე. თუმცა პირველიც და მეორეც ეწინააღმდეგებიან ფერის სტიქიას, როგორც მასალას, და ამიტომ ფერის ამოცანას ვერ სწყვეტენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტრუქტივისტების ჯგუფი: როდჩენკო, ლევინსკი, სობოლევი, გალაქტიონოვი, სტეპანოვა, პოპოვა, სენკინი, კლუცისი, ვესნინი ახმარენ თავის ძალებს „საჭიროების“ გამოყენებას ხელოვნებაში.

ფილონოვი, მანუსაროვი, მატიუშინი ასე განმარტავენ თავიანთ დამოკიდებულებას მხატვრობისადმი:

„დე მოხდეს პირველი მსოფლიო რევოლიუცია ფსიქოლოგიაში და ხელოვნებაში. მემარცხენე და მემარჯვენე მხატვარო, განთავისუფლდი! მოიშორე თავიდან სიძველის პედანტები. გაანთავისუფლე შენი სული. ისწავლე მთელი ქვეყნის, წიგნის, ცხოვრების ახალ რიგების, მეცნიერების საშუალებით. მხოლოდ მათში და შენს ინტელექტში იმყოფება შემოქმედების და ოსტატობის საძირკველი და არა რეალიზმის ხუცებში, არც პრტყლად მოლაპარაკეთა და მღებართა შორის, სხვა მასწავლებლები შენ არ გესაჭიროება. მხატვარო, შენ თვით უნდა აზროვნებდე, განსჭვრეტდე, აკეთებდე, ჰქმნიდე, ხატავდე. იქონიე სახვითი ძალის მაქსიმუმი; იქონიე იდეოლოგია მსოფლიო მასშტაბით: მეცნიერული ათვისება და მისი მოთხოვნილება. დგება ხელოვნების მსოფლიო აყვავება და ხანა „გაკეთებული“ სურათების. მოგვეცი ნატურალისტური ყოფა-ცხოვრება, ეტნოგრაფია. გამოგონება. აი ოსტატის საშუალებანი: შეკუმშული და მძაფრად გამოხატული ფერი და ფორმა. ფორმა, რომელიც შეიცავს ძვრას, ბიო-დინამიკა ძვრისა“.

გაუკეთოთ ჯამი ნათქვამს: რუსული მემარცხენე მხატვრობის ხელოვნება, რომელიც იკვებება საბჭოთა მიწის წვენებით, მოგვცემს მომავალში საყოველთაო, პროლეტარული ხასიათის ხელოვნებას.

შალვა მამალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ პავლეს ძე ტატიშვილი

გრავიორი—ქსილოგრაფი

(1848—1911)

გრავიორი—ქსილოგრაფი გრ. ტატიშვილი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განიზრახეს ქართულ გამოცემისადმი ინტერესის გაცხოველება და გავრცელება ქართულ საზოგადოებაში, ნაცვლად უცხოელ ჟურნალ-გაზეთებისა და სახელმძღვანელოებისა. ბეჭვდითი საქმის განვითარებასთან იბადება მოთხოვნილება მხატვრული ილიუსტრაციების, რომელნიც დასურათებულ გამოცემათა საშუალებით ხდებიან პოპულიარული და დიდი გავლენა აქვთ საზოგადოების გემოვნების განვითარებაზე. ილიუსტრაციას აქვს თავისი დიდი ისტორია. საკმარისია აღვნიშნოთ დამახასიათებელი, პრიმიტიული სახის, პირველი გამოცემა ხის დაფებზედ ამოჭრილი სურათებით ბამბერგში გამოცემული „ოთხი ისტორიის“ 1461—62 წელში ფისტერის მიერ. მას შემდეგ მხატვრულ გამოცემათა ბეჭდვა ტეხნიკურათ დღემდის კიდევ ვითარდება. წარსულ საუკუნეს, საქართველოში, ქსილოგრაფია ანუ სურათების ხის დაფებზედ ამოჭრა და მათი დაბეჭედა ერთად-ერთი საშუალება იყო მხატვრულ გამოცემათა დასურათებისა. გრ. ტატიშვილი იყო პირველი და უკანასკნელი ქსილოგრაფი—გრავიორი ტფილისში ფოტო-ციინკოგრაფიის დაარსებამდის. გრ. ტატიშვილი დაიბადა ქ. გორში, 1848 წლის თებერვლის 21. მამა მისი, პავლე ტატიშვილი-მზარეული, კანდიტერათ მსახურებდა ტფილისში მეფის მოადგილის სასახლეში და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თავის ოჯახს, რომელიც გორში იმყოფებოდა. დედა გრიგოლის—დინჯი, შრომის მოყვარული ქალი იყო და ხელსაქმით ინახავდა ოჯახს. პატარა გრიგოლი, ანუ გიგა, მიაბარეს გორის სასწავლებელში. ნიჭიერი ბავშვი მეცადინეობასთან ერთად დედას ეხმარებოდა და ოჯახის მზრუნველობას ეწეოდა, როგორც უფროსი ვაჟი.

დაახლოებით 1862 წელს, 12 წლის გიგა დედამ ტფილისში გამოგზავნა

მამის საძებნელათ, რომლისაგან ორი წლის განმავლობაში არავითარი ცნობა არ მიულია. პავლე ტატიშვილმა შვილის ნახვის შემდეგ შეინანა თავის გულგრილობა ოჯახისადმი, გიგა გორში არ გაუშვა და ოჯახი [illegible] მოიყვანა, მაგრამ ნებისყოფის სისუსტეს ვერ სძლია, ისევ ლოთობა [illegible], ოჯახის მზრუნველობას უკლო და გიგაც სკოლის გარეთ დარჩა იმ მცირე ცოდნით, რომელიც მან გორის სასწავლებელში მიიღო. ამის შემდეგ პატარა გიგას ვხედავთ ვაჭრის შვილობათ თამამშევის ქარვასლაში, სადაც შემდეგ საკუთარი დუქანიც გახსნა.

თამამშევის ქარვასლაში, სადაც ებლა ეზოა, იმ დროს იყო მოთავსებული თეატრი—სახელმწიფო ოპერა. აქ თავს იყრიდენ მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები, დეკორატორები და ხშირათ იტალიელი გასტროლიორებიც. ამ თეატრში დაინტერესდა პირველათ ხელოვნებით გრ. ტატიშვილი. ის დაუახლოვდა თეატრის მოღვაწეთ, შეისწავლა იტალიანური ენა, რომელზედაც თავისუფლთად ლაპარაკობდა, დეკორატორობა—ცნობილ დეკორატორ ნოვაკთან, პიროტეხნიკა, გიმნასტიკა—ჯამბაზობა და ქსილო—გრავიურაც, რომელიც შემდეგ სპეციალობათ გაიხადა.

სისტემატიურათ ქსილოგრაფიულ ხელოვნებაზე მუშაობა დაიწყო დაახლოებით 1882 წელს, მაშასადამე ის მაშინ 34 წლის ყოფილა. ამ ხნის განმავლობაში ტატიშვილს გამოუცვლია მრავალი პროფესიები, რომელთაც ერთი მეორესთან არავითარი კავშირი არ აქვს და უცნაურობით არის სავსე; სახელდობრ: ყოფილა ვაჭარი, ცნობილი პიროტეხნიკი, რომელმაც კინალამ იმსხვერპლა შეთხვევით ნალმის აფეთქების დროს, თეატრის დეკორატორი ნოვაკთან ერთათ, ცირკის აკრობატი, რომელსაც თავი დაანება ჭერიდან ჩამოვარდნის დროს ლავიწის გატეხის გამო, ავჭალაში სამეურნეო ფერმის პატრონი, და უკანასკნელათ მხატვარი მღებავი ეაგონების ბათუმის რკინის გზაზედ, რომელიც იმ დროს შენდებოდა. აქ კიდევ დაუახლოვდა ტატიშვილი იტალიელთ, რომელთაც მეტ სახელათ მას დაარქვეს „ფიგარო". ტატიშვილი ტფილისში ამ სახელით უფრო ცნობილია ვიდრე საკუთარი გვარით.

გრ. ტატიშვილის ბათუმის რკინის გზაზე დმუშაობის დროს ტფილისში გიორგი ქართველიშვილმა განიზრახა „ვეფხისტყაოსნის" დასურათებული დიდი გამოცემა. განზრახული იყო წიგნის შემკობა ქართულ ხელოვნების ნიმუშებით. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა საქართველოში შეეძლო მხოლოთ გრ. ტატიშვილს. ამიტომ საგამომცემლო კომისიამ მიმართა მას და მისცა წინადადება დაბრუნებულიყო ბათუმიდან ტფილისში და შედგომოდა მუშაობას, რაზედაც ტატიშვილი სიამოვნებით დასთანხმდა. მხატრულ მასალების შეკრების მიზნით მან მოიარა ყველა ღირსშესანიშნავი ტაძრები და მონასტრები, შეაგროვა ჩუქურთმები, სისტემაში მოიყვანა და დაამუშავა „ვეფხვისტყაოსნის" დიდი გამოცემისთვის, სათაურების ასო-მთავრულების, საბოლოების და არშიების სახით. ეს ჩუქურთმები ხელოვნურად ამოჭრილია პეტერბურგში, რადგან თითონ ტატიშვილს საკმაო დრო არ ქონდა მათი ქსილოგრაფიულათ დამზადებისათვის. იგივე მასალები გამოცემულია ავტორის მიერ 1900 წელს ცალკე ალბომათ—„L'art-deco-

ratif au Caucase. Composés, et dessines par Gre'eoire Fatieff". ალბომი გამოცემულია მხოლოდ ათი ცალი და სამი ცალი იმავე წელს გაგზავნა ავტორმა პარიზის მსოფლიო გამოფენაზე. ეს ალბომები ეხლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. ორი ცალი ინახება საქართველოს მუზეუმში. ერთი კი დაბნეულია კერძოთ. ქართველ მხატვართა საზოგადოებას კი არ მოეპოვები არც ერთი ალბომი. ეს არის პირველი დიდი შრომა გრ. ტატიშვილის, რომლითაც ის იქცევს ტფილისის საზოგადოების ყურადღებას.

1902 წლამდის ტატიშვილის ქსილოგრაფიულ მოღვაწეობას ეკუთვნის: ქართული ლუბოკი „ყარაბანიანი" საბავშო ჟურნალ „ნობათის" და სომხურ ჟურნალების „ეპხიური" და „ტარაზის" სურათები. ესენი ამოჭრილია ხეზედ კალმის დანით სხვა იარაღის უქონლობის გამო. შემდეგ აი როდესაც ტატიშვილის თანამგრძნობმა და წამხალისებელმა დავით ერისთავმა პეტერბურგიდან ჩამოუტანა საჭირო იარაღები, არ ყოფილა არც ერთი გამოცემა, არამც თუ საქართველოში, არამედ ამიერ-კავკასიაშიაც, რომელშიდაც ტატიშვილს მონაწილეობა არ მიეღოს: ასურათებდა ქართულს, სომხურს, თათრულს და რუსულ გამოცემებს. მის მიერ არის ხეზედ ამოჭრილი სურათები და სათაურები: „ნობათის", „ყვალის", „მოგზაურის", „ჯეჯილის". გოგებაშვილის გამოცემანი; „დედა ენა", „აკიდო", „თავდადებული ქართველი" და სხვანი ტატიშვილის მიერ არის დასურათებული. მონაწილეობდა მურიეს ცნობილ ჟურნალში -- „Le Caucase" 1894 წელს გამოსცა საინტერესო ალბომი „ჩართული ანბანი", რომელზედაც ავტორს სრული თერთმეტი წელი უმუშავნია. შეადგინა და გამოსცა „ქართული ანბანის თაიგული" სადაც ასოები ყვავილებშია ჩასმული, და საინტერესოა საქართველოს მომავალ გრაფიკის თვალსაზრისით. ასეთივე ალბომი აქვს გამოცემული 1889 წელს სომხური ასოებით.

გრ. ტატიშვილი დიდათ მოყვარული ყოფილა წიგნების, გრძნობდა მათ საჭიროებას და მნიშვნელობას. მას აქვს თავისივე საბავშვო გამოცემანი საკუთარი სურათებით: „შალვას თავგადასავალი", „პირუტყვების ამბები", „ცვარი", „ხუმარა გედები", „ძუნწი" და სხვანი. რასაკვირველია ამ წიგნაკს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდად იყო გავრცელებული. გრ. ტატიშვილის ქსილოგრაფიულ ნაწარმოებთა ცნობა შეიძლება სურათების ბოლოს მოქცეულ ასო „ტ" რომელიც არის ინიციალი ავტორის გვარის. ტატიშვილის მიერ დამუშავებული ჩუქურთმები არის ნახმარი ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძრის ორნამენტებში და ყოფილი ბანკის, ეხლა კი განათლების კომისარიატის შენობაზედ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე. მის მიერ არის შედგენილი და დამუშავებული ქართული ასო-მთავრული შრიფტი, რომელსაც სტამბაში დღესაც ტატიშვილის შრიფტი ეწოდება. ხელოვნების დარგში მუშაობის გარდა ტ-შვილი იყო დაინტერესებული საზოგადოებრივი ცხოვრებითაც. ხშირათ თავია გამოცემულ წიგნებისა და ალბომების შემოსავლის პროცენტებს ქართულ შკოლებს და დაწესებულებებს სწირავდა. თავის ქსილოგრაფიულ ნაწარმოებთათვის ტ-შვილი დაჯილდოებული იყო ორი ვერცხლის medlitt: 1889 წელს კავკასიის პირველ სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე და 1901 წელს კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე. 1909 წელს გრ. ტა-

ტიშვილმა დაკარგა უნარი მუშაობის მოხუცებულობისა და ბევრი შრომის გამო, სიდამბლით ავადმყოფი ლოგინათ ჩავარდა და გარდაიცვალა 1911 წ. 29 მაათთვეს. ტატიშვილი დასაფლავებულია კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გ. ქართველიშვილის ახლოს.

ტატიშვილის ბევრი ქსილო-გრავიურა გაბნეულია სომხურ-ოსმალურ ჟურნალ-გაზეთებში. როდესაც სომხურმა ჟურნალებმა „ტარაზმა“ და „აზბიურმა“ თავიანთი 25 წლის არსებობის იუბილე იდღესასწაულეს, თავიანთ თანამშრომელთა საპატიო რიცხვში ტატიშვილის სურათიც მოათავსეს. ქართველ საზოგადოების მიერ ის თითქმის სრულიათ დავიწყებულია. უმეტესობამ ტატიშვილის არსებობაც კი არ იცის. საჭიროა გადასინჯვა მისი ქსილოგრაფიული ნაშრომების, იმ კლიშეების, რომელნიც ჯერ კიდევ მრავალათ არის შენახული და გამოიცეს დიდი ფორმატის ცალკე ალბომათ მისი საუკეთესო და დამახასიათებელი ქსილოგრავიურები ბიოგრაფიის თანდართვით.

გიორგი ლეონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე მაჩაბელი

თავი IV.

პეტერბურგის პერიოდი. ნაროდნიკული მოძრაობა. ვასილ მაჩაბელი. შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან. მაჩაბელი ევროპაში.

ქართველ „მესამოციანებისა“ და „მესამოცდაათიანების“ — პეტერბურგი იყო ყველაზე რომანტიული ქალაქი, რომლის ნისლების, ჭაობების და შავი არხების ემბაზში მათ შიიღეს მღვრია რესპუბლიკანური იდეები, დოკტრინები, და უტოპიები, იდეალისტური და ჰუმანიტარული სოციალიზმის; რომლის ატმოსფერაშიც ეს ენტუზიასტები შემოსეულნი იყვნენ დაუსრულებელი სისტემებით, ჰიპოთეზებით... ერთი სიტყვით — „სადაც მათ პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილურის ოცნების ეშხი გაუცვნიათ, სადაც პირველათ აყვავებულა მათი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია მათ ტვინსა და გულს, სადაც სიყმაწვილეში ზნეობის ფეხი აუდგამთ, სადაც ისინი ბედნიერნი და უბედურნი ყოფილან, სადაც მათ გრძნობას მძლავრი მღელვარება გამოუელია, სადაც მათ უშრომიათ და პირველჯერ გამარჯვების ან დამარცხების კვამლით თავბრუ დახვევიათ და განსაცდელი გაუელიათ“.

„რა დრო იყო მაშინ — განაგრძობს ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე — რანაირი მოუთმენლად და წყურვილით ველოდით ჩვენ ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის ახალი წიგნი გამოვიდოდა! რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას. რა ნაირათ გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება! რამდენი გრძელი, ბოლო-მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრათ უწვალებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია! ვინ დაითვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, აღტაცების,

ტვინის წვალების და გრძნობის ამაღლების დღეებს ან ვინ [illegible] მათს სანიადაგოთ გულში ჩაბეჭდილს კვალს"...

ეს იყო გმირული ეპოპეა, როცა ახალი თაობა [illegible] ანგულს და სოციალურს სისტემებს, დემოკრატიულს იდეალებს და [illegible]ველს" ფუ-ტურიერიზმს.

კერძოდ, ივანე მაჩაბელისთვის ეს პერიოდი სტიქიურია. ეს ის ხანაა, როცა მასში დაიძრა პირველი ვნებების და იდეების ნიაღვარი, როცა ის შეეთვისა თანამედროვე რადიკალურ აზრებს. აქ მან გაალრმავა თავისი ნაციონალური შემეცნება, აქ იღვიძებს მასში ინტელექტუალური სახე მომავალი მწერალის, ტრიბუნის, პოლიტიკური მოღვაწის.

ამ პერიოდის ცენტრალური პუნქტია მისი შეხვედრა რუსულ რევოლიუციურ მოძრაობასთან ახალგაზრდა მაჩაბელი ორგანიულათ იყო დაკავშირებული იდეალისტურ თაობასთან, რომელმაც შეამბოხე სული ჩაუდგა ახალ ისტორიას და საქართველოშიც მოარხია სიმფონია რევოლიუციური გამოცხადების...

„მესამოციანე" აკაკი წერეთელი, იგონებს რა ი. მაჩაბელთან პეტერბურგში შეხვედრას (72—73 წ.) ამბობს: „იმ დროინდელი სტუდენტობა სრულებით არ გავდა დღევანდელისას! ახლანდელმა სტუდენტობამ წინდაწინვე იცის, რა უნდა გააკეთოს მომავალში!.. გამოზომილი და გამოანგარიშებული აქვს რისთვისაც ემზადება. ძველები კი იდეალისტები იყვნენ, ადვილად გაიმეტებდენ თავს: ერთ უმნიშვნელო რაიმეს გულისთვის, კედელს შეეხლებოდენ, საშობლოსათვის მოციქულ-მოწამეებად აეზადებდენ თავს! მართალია, დაბრუნების შემდეგ, უმეტეს მათგანს შუა გზამდისაც აღარ მიჰყვებოდათ ხოლმე წინგანძრახული, მაგრამ მაინც იმ პირველ ხანებში მათი ნახვა სასიამოვნო იყო. სწორედ ამ გვარ წრეში იყო ჩამდგარი ივანე მაჩაბელიც. ერთი თვალის გადავლებით, როგორც შეეატყვე, ის პირველთაგანიც იყო".

ცხადია, მაჩაბელი პეტერბურგშიც „პირველთაგანი" იქნებოდა მით უმეტეს რომ, იქ გამგზავრებისათვის მრავალი დაბრკოლება გამოიარა..

გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ მას არავითარი რესურსები უმაღლესი სწავლის გასაგრძელებლად არ მოეპოებოდა. ერთად ერთმა მისმა მფარველმა ძმამაც სწორედ იმ წელიწადს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, მაგრამ უსახსრობის გამო სამშობლოში ველარ დაბრუნდა და სამსახურშიც იქვე მოეწყო.

ამათთან ემუდარებოდა ი. მაჩაბელი გადახვეწილს ძმას პეტერბურგში მოწყობის შესახებ, პასუხი იყო ერთად ერთი და კატეგორიული: საგზაო ფულის შოვნა და ჩაღწევა პეტერბურგამდე, დანარჩენი ბედისათვის მიენდო.

მაგრამ საშინლად დავალიანებულს ძმას გზის ფულის გაღებაც არ შეეძლო. მაჩაბელს დაუდგა ისეთივე მწარე დღეები წყურვილის, რომელიც გიმნაზიაში შესვლამდე გამოსცადა, იმ განსხვავებით კი, რომ შეეძლო უფრო აქტიუ-

რი ყოფილიყო. და აი, სწორედ ამ დროს გორში აღმოჩნდა სასსარი: გაკვეთილები გენერალ კ. მამაცაშვილთან, რომლის შვილებსაც ის რამდენიმე თვე ასწავლიდა. გაკვეთილებიდან ნაშოვი ფულით, ის მიემგზავრება ძმასთან პეტერბურგში (1871 წ.). მაგრამ ძმაც სასურველ მდგომარეობაში არ დახვდა, როგორც სჩანს უკანასკნელის კერძო წერილიდან: „ჩემი ძმაც ახლა პეტერბურგში მოვიყვანე. ჯერ შესაფერი ადგილი ვერ ვუშოვე, არ ვიცი შემდეგში ღმერთი რას ინებებს".

უნივერსიტეტში შესვლისას ივანე მაჩაბელმა ბუნების მეცნიერების ფაკულტეტი ამოირჩია, თუმცა იმავე დროს იურისპრუდენციას უსმენდა და იურიდიული ნაწილიც დაასრულა.

მკითხველში ერთგვარს გაკვირვებას გამოიწვევს, ლიტერატურისათვის შემზადებულ მაჩაბლის არჩევანი. მაგრამ ამ გარემოებას აქვს თავისი ახსნა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელს პოლიტიკურ მოძრაობას რუსულს და კერძოდ ქართულს სტუდენტობაში. ამ იდეალის საფუძველი აიხსნება მაშინდელი ნაროდნიკული ტენდენციებით.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ახალგაზრდა მაჩაბელი იყო ტიპიური წარმომადგენელი თავისი ეპოქის — „მომნანიებელი აზნაური" და ისიც, სხვებთან ერთად გაიტაცა რევოლიუციონურმა მოძრაობამ.

ეს იყო სანტიმენტალური ეპოპეა „ხალხში სვლის", როცა ახალგაზრდობისათვის იქცა ფეტიშათ დამცირებული და დევნილი „უმცროსი ძმა" ჰერცენის, ნეკრასოვის. როცა მრავალი ენტუზიასტი მისი სამსახურისათვის შეიკრა ჰერცენის და ოგარიოვის ფიცით როცა სახელები: ჩერნიშევსკი, პისარევი, ჰრცენი დობროლიუბოვი, ბაკუნინი, ყველაფრის დამფარავი იყო.

„Весь пыл отдай без стремленья
Несчастным братьям на служенье;
Где слышишь стон туда иди!
Иди, дели с рабами его труды, страданья,
Страдай больнее всех..."

და ეს ქეთილშობილი თაობა, რანაირიც არ ახსოვს არც ერთ დროს, მიდიოდა ხალხში, ქარხნებში, სოფლებში, მძიმე შრომისა და კვნესის გასანაწილებლად...

საკმაო რევოლიუციური რეპუტაცია ჰქონდა მაშინდელს ქართველ სტუდენტობასაც, რომელიც ნაროდნიკული არმიის ერთ მტკიცე ფალანგას წარმოადგენდა.

არა ნაკლები პათოსით და თავდადებით ემსახურებოდნენ ისინიც საზოგადოებრივ იდეალებს, არა ნაკლები თავგანწირულობით მიდიოდნენ ციმბირის მაღაროების წყვდიადში, სადაც მათი აღტაცება დალია ლენას თოვლებმა და ქარიშხალებმა...

რუსეთის რევოლიუციური მოძრაობა იამაყებს ისეთი სახელებით, როგორც: ივანე ჯაბადარი, გ. ზდანოვიჩი, გ. ჩიკოიძე, ალ. ციციშვილი, — ბრალდებულები იმ (გარდა გ. ზდანოვიჩის) დროს გახმაურებული „50-ის პროცესის“.

თითეული მათგანი იყო დასრულებული ფიგურა, [illegible] გმირი. მათი ფანატიკოსობის საილუსტრაციოდ გავსინჯოთ გინდაც ჩვენში ნაკლებად ცნობილი ალექსანდრე ციციშვილი: ოცი წლისა, ევროპიდან ბრუნდება მოსკოვში. ორი კვირის შემდეგ აპატიმრებენ. გაჩხრეკის დროს ის ესვრის რევოლვერს ჟანდარმერიის ოფიცერს, რის შემდეგ აგდებენ კარცერში, სადაც სითბო აღწევს 35 გრადუსს და სადაც გამომძიებელმა ორი წუთი ვერ გასძლო. და აი, მიუხედავათ ყოველი ინკვიზიციისა არ ტუდება.

ივანე ჯაბადარი იგონებს, რომ ციხეში ციციშვილი სულაც არ ნაღვლობდა თავის ძნელს გარემოებას. მას აწუხებდა მხოლოდ ერთი დარდი, რომ დაჭერამდე ვერ მოასწრო თავისი დიდი მამულის გაყიდვა და ფულის შეტანა რევოლიუციის ფონდში. მაგრამ ამ საქმეს ახერხებს ერთი დღის წინათ სასჯელის გამოცხადებამდე.

რაც შეეხება ჯაბადარს, ზდანოვიჩს, მათი რევოლიუციური რეპუტაცია ყველასთვის ცნობილია.

ამ დროს პეტერბურგელ სტუდენტობაში აქტიურ მუშაობას ეწეოდენ: ეგნატე იოსელიანი, ე. გამყრელიძე, ნიკ. ყიფიანი, ხომასურიძე და სხვა. ამავე დროს ეკუთვნის ცნობილი ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის გამოსვლა ნეჩაევის პროცესში. „ნეჩაევი თავის სანჩო ორლოვით,—იგონებს ეგნატე იოსელიანს —ჩვენთან ხშირად დადიოდა და ბევრნიც ვიცნობდით“-ო. ნეჩაევის პროცესმა მრავალი ქართველი სტუდენტი იმსხვერპლა! (მათ შორის ორმა ადერბეიჯანელმა ჰაჯიბეგოვმა და იშხანოვმა თავი მოიკლეს).

ასეთ წრეებთან იყო დაკავშირებული ივანე მაჩაბელიც. მათთან ერთად ოცნებობდა რესპუბლიკანიზმის ილიუზიებზე, თუმცა მისი პრაქტიკული მოქმედება პასიურს საზღვრებს არ გასცილებია.

ჯერ კიდევ მისი გიმნაზიაში ყოფნის დროს, რუსეთიდან დაბრუნებული რევოლიუციონერები: ჯაბადარი, ჩიკოიძე, რ. ფავლენიშვილი და სხ. მოწაფეებში დაუზოგველად ეწეოდნენ პროპაგანდას „ხალხში გასვლისა და რევოლიუციის მოახდენისათვის“. ამავე დროს საქართველოში მოქმედობდა რევოლიუციონური დანილოვი, წითელ ხალეთში გადაცმული, მიყრუებულს სოფლებში ის ქრისტიანული მოციქულივით ხალხოსნობის იდეებს ავრცელებს.

მათმა ენერგიულმა მუშაობამ რასაკვირველია, პროვინციაში ვერა გააკეთა რა სოციალური რეოლიუციის მოსახდენათ, მაგრამ ახალთაობაში კი საჭირო ნიადაგი შეამზადა (მოიგონეთ მაშინდელი ფანატიკოსი რევოლიუციონერი მოწაფეები; —ალექსანდრე მაყაშვილი (ნინა მაყაშვილის მამა) და სანდრო მირზაშვილი.)

ამიტომაც არ არის საკვირველი, როცა ივანე მაჩაბელი, როგორც მოწინავე ახალგაზრდა ხდება მონაწილე რევოლიუციური მოძრაობის. მაგრამ გადაჭრით ვამბობთ, რომ ეს—ენტუზიასტი ნაროდნიკი აქტიური საქმიანობაში არ სჩანს და რამოდენიმედ შორიდანაც კი უჭირავს თავი ამნაგებიდან. ეს მისთვის, რომ მაჩაბელი თავისუფალი იყო სპეციფიური რუსული ნაროდნიკული გაელენისაგან, ის არ ყოფილა ეროვნული ნიჰილისტი, ის თავის დემოკრატიულ იდეებს ნაციონალურს იდეალებთან ათავსებდა...

მით უმეტეს, რომ მისი ეროვნული ფორმულის გარშემო მალე თავი მოიყარა ქართველ ნაროდნიკების საკმაო ნაწილმა.

იდეალისტური (ნაროდნიკული) მოძრაობა მეტად მკაცრი ეპილოგით დასრულდა. წითელი კაფტანებით „ხალხში სვლამ" ვერ გამოაღვიძა მძიმეთ დაყრუებული თოვლების ხალხი, რომელმაც არ მიიღო მათი თავშეწირვა, ისე როგორც დეკაბრისტების.

დამარცხებული არმია ეფარება ცენტრს პეტერბურგს, სადაც იწყობა მისი დიფერენციაცია. ნაწილი რევოლიუციონერებისა ეწევა წაგებული ბრძოლის კრიტიკას, ტაქტიკის და მეთოდების გადასინჯვას, უმთავრესი ნაწილი კი, მათ შორის ქართული ალტრუისტული სტუდენტობა, ირყევა და იცვლის ფრონტს.

თუმცა ჯაბადარი, ჩიკოიძე, ჩერქეზიშვილი, ზდანოვიჩი და სხვა აქტივისტები ისევ განაგრძობენ დაუზოგველ ბრძოლას.

ამ ჩამოშორების ფაქტორი, შეიძლება ჩვენი რასიული ბუნების მიზეზებიც იყოს, რომელზედაც მიგვითითებს არ. ჯორჯაძე: „იქ (რუსებში) მეტი სილრმეა, მეტი თავდადება, ენტუზიაზმი, რწმენა და თავგანწირვა. აქ ზერელობაა, თავდაჭერა: გატაცება და ენტუზიაზმი ხანმოკლე და თავისთავის დაზოგვა. შესაძლებელია ეს ძველის-ძველად გადმოცემული და ჩვენს დროში ახლად გაღვიძებული პატარა რიცხოვანი ერის თავდაცვის ინსტინქტის გადაფურჩქვნა. ჩვენი ინტელიგენტი ინდივიდუალისტია. ჯგუფობრიობა მის ბუნებას ეწინააღმდეგება. ჩვენ სრულებით არ ვგვეართ რუსეთის ინტელიგენციას. იქ „კრებულობითი" დასაწყისია, აქ პირადი, იქ „თემობაა" აქ „კერძობა".

არც უარყოფაში, არც რაისამე აღსარებაში ქართველი ინტელიგენცია არ მიდიოდა ლოლიკურ უკანასკნელ დასკვნამდე, იგი მიდიოდა საშუალო გზით. ეს იყო არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ინტელიგენცია უფრო დაბლა იდგა კულტურულად და სულიერ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რუსეთის ინტელიგენციასთან, ეს იყო იმიტომ, რომ ქართველს აქვს თავისი საკუთარი ტემპერამენტი და ხასიათი.

მას მეტად უყვარს საკუთარი თავი; საზოგადო საქმე ძალდატანებაა. იგი მალე ინთება, ხოლო უმალვე ჰქრება. მისი ენტუზიაზმი უფრო ფიზიოლოგიურია, ვიდრე ფსიქიური. იგი შრომობს, ხშირად ბევრსაც შრომობს, ხოლო მის შრომას გაუტანლობის ნიშნები ატყვია. არ უყვარს საერთო მუშაობა. იგი ინდივიდუალისტია. ჯგუფობრიობა სულს უხუთავს. იგი განზე იწევა, არ უთმობს

სხვას იმას, რაც საჭიროა საერთო საქმის გაკეთებისათვის. და საერთო საქმე იმას არ ეხერხება."

ეს ჩამოშორება არ იყო ღალატი იდეალის, პრინციპებისა. იგი იყო ჩამოშორება სპეციფიკური რუსული ნაროდნიკული ფიზიონომიის.

ამ „თვითგამორკვევაში" არა ნაკლებ როლს თამაშობდა მაჩაბლის დამაჯერებელი დიალექტიკა, რომლის ნაწილობრივი გავლენითაც ქართველი ახალგაზრდობა რადიკალურ დემოკრატიულ იდეებთან ერთად, ითვისებს ქართველ ერის პოლიტიკურსა და მორალურ ინტერესებს და ეროვნული ინსტინქტით გაღვიძებული, თავს აღწევს ყალბ მდგომარეობას. ყალბს, ვამბობ მისთვის, რომ თითონ ეს მოძრაობა იყო ყალბი, რადგანაც დარჩა ხალხის გარეშე.

ამ სიყალბეს ინტუიტურათ გრძნობდა მაჩაბელიც, როცა ის საქართველოში დაბრუნებული (75 წ.) გაცნობის მერე უწინასწარმეტყველებს ქართულს ხალხოსნურ წრეს: „ასეთს მოძრაობას დიდი ბოლო არ ექნება, მშრომელთა გამანთავისუფლებელი ჯგუფი, რომლის ჩანასახიც უკვე მოსჩანს რუსეთში გაიმარჯვებს და ბოლო მას ეკუთვნის"-ო. (სოფრომ მგალობლიშვილის „მოგონება").

პეტერბურგელ სტუდენტობის გავლენით საქართველოში დაარსდა „ტეტიათა მოტრფიალეთა" ორგანიზაცია. (იგივე „დიაკვნის შვილები") მისი აქტიური წარმომადგენლები იყვნენ: სტეფანე ჭრელაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, ვაჟა-ფშაველა; გრიგოლ ყიფშიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომაური, შაქრო გულისაშვილი, ნიკ. ხუდადოვი, ქ. ფურცელაძე, ნიკ. ხუციშვილი.

პოლიტიკური აზროვნებით ამავე ჯგუფთან ახლოს იდგნენ: გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი) და ლალი (გიორგი ლასხიშვილი).

ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი ორგანო „იმედი" (1881—83 წ. წ.), რომლის პროგრამაშიც შედიოდა—ხალხი და ხალხოსნობა. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა „მესამოციანების" ნაციონალურ ლიბერალიზმს, წოდებრიობას ლიტერატურაში და შემოიტანა ახალი ეკონომიური მოტივები.

მაგრამ ჟურნალი მალე დაიკეტა. მისი თანამშრომლებიც სხვადასხვა ბანაკებში გადავიდნენ. ამ ნაირად ჟურნალმა ვერ მოასწრო თავისი პოლიტიკური სახის კრისტალიზაცია. თუმცა ა. ჯორჯაძის აზრით, მეურნეობის ინტერესების გარდა, „იგი მზად იყო აღეარებინა სხვა ეკონომიური ფაქტორების მნიშვნელობის აღორძინების საჭიროება და მრეწველობისა და მუშათა საკითხის შესასწავლადაც ემზადებოდა".

„თვითგამორკვეული" ნაწილი ქართული სტუდენტობისა, ივანე მაჩაბელის ინიციატივით ქართულ ნაროდნიკულ ორგანიზაციასთან ერთად აარსებს ლიტერატურულს წრეს, რომელსაც ქართული კულტურის მიზნების გარდა ასევე ნაციონალური პოლიტიკური იდეალები ჰქონდა დასახული.

ჩვენ არ ვიცით, რამდენი ხანი არსებობდა ეს წრე, ან რამდენათ ანხორციელებდა თავის ჰუმანურს იდეალებს. ვიცით, რომ წრეში წაკითხულ იქმნა რამდენიმე რეფერატი, აგრეთვე პირველად ი. ჭავჭავაძის და ი. მაჩაბლის მიერ „ლირის" თარგმანი.

ამავე წრის შესახებ შენახულია პატარა მიწერ-მოწერა ძმ. მაჩაბლებს შორის. ევროპაში აღორძინებულ მილიტარიზმის შიშით, მეჩაბელი ეუბნება საფრანგეთიდან ძმას, რომ ომიანობა დააბრკოლებს მისს და [illegible] მუშაობას ხალხში.

მაგრამ ოპტიმისტი ძმა თითქოს ყურადღებასაც არ აქცევს ამ საშიშარს მოვლენას და მოუწოდებს, თითქოს გამეორებით:

„პირველი ჩვენი შეცადინეობა— ხალხის სიღარიბის მოსპობაში უნდა იყოს მიმართული. შენ კარგად იცი, ზოგიერთი ეს მიზეზები: უსწავლელობა, სომხის და ურიასაგან დავალიანება, რომელნიც სწოვენ უკანასკნელ სიცოცხლის ძალას და სხვა ამგვარი მიზეზები, რომელნიც შეიძლება შევამციროთ"!..

ამ წერილიდან საერთოდ ირკვევა, რომ გამოსული ქართველი ნაროდნიკები პრინციპიალურად არ გამოყოფილან რუს ნაროდნიკებისაგან. მათი ახალი თეორიები ისევ ნაროდნიკული ვარიაციებია. მხოლოდ მოქმედება სამშობლოში გადმოაქვთ. და ემსახურებიან არა რუსის „მუჟიკს", არამედ ქართველ გლეხს. მაგრამ მათი მოქმედება უფრო პასიურია. მათი პროგრამა მხოლოდ ხალხის დახმარებას წარმოადგენს და არა ხალხის აქტიურ მოწოდებას ბრძოლისკენ—ტერორისკენ, რომელიც ამ დროს რუსის ნაროდნიკებში დაიბადა სტიქიურად როგორც საჭირო ღონისძიება, გამოწვეული ცხოვრების საჭიროებით.

ამავე წრის დაარსების შესახებ დარჩენილია კერძო წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, რომელშიც გახარებული ვასილ მაჩაბელი ატყობინებს ქართველ რევოლიუციონერების მოტეხას და მობრუნებას ქართულ სინამდვილისაკენ:

„გიგზავნი ტკბილ ამბავს იმ განზრახვისას, რომელიც დიდი ხანია ჩვენ გულში დაბადებული იყო და იმედით იკვებებოდა. ეხლა ამ იმედმა დაბადა ქვეყნად ეს განზრახვა. მაგრამ როგორც იცი ახალ დაბადებულს დიდი ხელის შეწყობა და მოვლა უნდა. ეს ისეთი ფაქიზი და სათუთი აზრია, რომ თუ ამ პატარაობითვე გულმოდგენით არ მოვეკიდენით და არ მოუარეთ, შეიძლება კიდევ ხელიდან გამოგვეცალოს და მაშინ ვინ იცის კიდევ რამდენი ლოდინი მოგვინდება, მანამდის ხელმეორეთ. სხვა მზე არ დაათბობს და არ დაბადავს ქვეყნად ამგვარ ჩვენ სურვილს. ბევრჯელ გითქვამს საყვარელო ძმაო ილია ჩემთვის ამ გვარი საყვედური: პეტერბურგში სცხოვრობ და არ ცდილობ ქართველ სტუდენტობას ერთათ თავი მოუყარო და სამშობლო ენისათვის იზრუნო როგორმეო. არ შეიძლება პატარა საზოგადოება შესდგეს და საწყალ ჩვენ ლიტერატურას დაეხმაროსო. სწორე გითხრა ეკალივით მერჭო გულში შენი ამგვარი საყვედურიანი სიტყვა. აქამდინ სტუდენტობას ისეთი მიმართულება ჰქონდა, რომ ყველა ამგვარ აზრს დაცინვით მიიღებდნენ ხოლმე. იმათ მიმართულებაში საქვეყნო კეთილის მოტანა ისმოდა. მამულისშვილობას და თავის სამშობლო ენის შესწავლას და გავრცელებას იმათ მიმართულებაში ადგილი არ ეჭირათ. არ ვიცი რა მიზეზის გამო მოგვხედა ახლა ბედმა. აქაურმა ქართველმა სტუდენტობამ გამოიცვალა თავის უწინდელი მიმართულება. იმათ ეხლა იარაღათ გაიკეთეს სწავლის განვრცელება ყმაწვილკაცობაში. თავის მშობელი ენის შესწავლა და მწიგნობრობის დახმარება. ეს ისეთი ცხოვრების მიზნებია, რომ ვისაც კი

ცოტაოდენად ულვივის გულში მამულის სიყვარული, არა მგონი ალტაცებით არ მიიღოს ეს აზრი და გულით და ხელით არ დაეხმაროს მათ განხორციელებას და სურვილის აღსრულებას. მით უმეტეს, რომ აქ კანონის წინააღმდეგი არა არის რა. ამის გამო მეც ვართავ აქაურ ქართველ სტუდენტების [illegible] ჩემ ეჭოვნას და იმედია, რაც კი შენის მხრით შეიძლება დაეხმარები როგორც ბანკის ისრე სხვა გარეშე პირების შემწეობით".

ზემოთ დამავიწყდა მეთქვა, რომ რუსეთის სტუდენტობაში, ამ გადმოხრისათვის დაუზოგავად მუშაობდა ქვაკუთხედი მაშინდელი ქართული აზრის — ილია ჭავჭავაძე. მართალია, იგი მომხრეა სოციალური და ეკონომიური კითხვების პროპაგანდის. აღიარებს ამ საკითხების ჩამორჩენასაც ეროვნული კითხვების განვითარებასთან, მაგრამ მისი აზრით ეს მიტომ მოხდა, რომ მაშინ ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო ვიდრე ეკონომიური. „ქონებით ჩვენი გლეხი — ამბობს ილია, უკან არ ჩამორჩება რუსეთის გლეხობას; მაგრამ აბა შეადარეთ ჩვენის ენის, ლიტერატურის, ჩვენის მეცნიერების და სხვა ეროვნულ ძალთა უფლებანი რუსეთისას და თქვენ მათ შორის დაინახავთ გაუზომელს მანძილსო".

ილიას ფორმულას მხარს უჭერდენ ძმ. მაჩაბლები, მაგრამ მასიურმა ფსიქოლოგიამ ისე გადიყოლა დანარჩენი ეროვნული ნიღილისტები, რომ არავითარი იმედები აღარ იყო მათი დაბრუნების ნაციონალურ კულტურის წიაღში...

ეს „წვეროსნები" (ასე უწოდებდნენ წვერის მოშვებისათვის) მთელი თავგანწირულობით ეწირებოდნენ რუსეთის ინტელიგენციის საქმიანობას, ეკარგებოდენ ქართულ კულტურას და უმრავლესობა სამუდამოთ რუსეთშიც რჩებოდა.

მათი ეროვნული გრძნობის ატროფიით აღშფოთებული იყო ქართული პრესსა, რომელიც ახალგაზრდობას შემდეგ დილემას უყენებდა: „ან ჩვენმა სტუდენტობამ ხელი აიღოს თავის სამშობლო ქვეყანაზედ, შეუერთდეს რუსეთის სტუდენტობას სულით და გულით, დაჰკარგოს თვისება თავისი და განსაკუთრებით სულიერი სახე, გაუერთოს სიხარული და სევდა რუსეთის ახალგაზრდობას: იტანჯებოდეს იმით, რითაც იგი იტანჯება და უხაროდეს ის, რაც მას ახარებს; ან და გასდგეს მისგან, გასდგეს როგორც მიუდგომელი დამკვირვებელი და შემსწავლელი უცხო ცხოვრებისა, უცხო მოვლენათა და აკვირდებოდეს მათ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა თავის ხალხის ცხოვრების შესასწავლად. ორში ერთი: ან შეერთდეს რუსეთის ახალგაზრდობასთან და სწიონ ერთი ჭაპანი, ან შეადგინოს თავისი საკუთარი წრე, რომელსაც თავისი საკუთარი ინტერესები ექნება, თავისი ცხარე, გულის დამწველი საქმეები და მისთვის კეთილსინდისიერი მომზადებანი, როგორც ეროვნების წარმომადგენელს ჯგუფს, მის ხორცს ხორცთაგან და ძვალს ძვალთაგან"...

ნუ გავიწყდებათ, რომ ამას ლაპარაკობს ქართველ ნაროდნიკების ორგანო, რომელიც დღეს უკვე დიამეტრალურად წინააღმდეგია ძველი, რუსული იდეალების, თითქოს ივიწყებს მის გენეტიურს კავშირსაც და დღეს შეუბრალებლად მოითხოვს მისივე ბანაკის ხალხის არა თუ თვითგამორკვევას, არამედ მათს თვით გასამართლებასაც კი...

და „იმედი" შეუბრალებლად განაგრძობს: „ზოგნი ამ ორ გზის საშუალო

გზას ჰპოულობენ. შეიძლება ძალთამძლეობით ეს გზა შეესაბამებოდა ახლანდელს ჩვენს დროებითს მდგომარეობას, მაგრამ საბოლოოდ, საშველად შველოდ რომ ვილაპარაკოთ, ჩვენი ულრმესი რწმენაა, რომ ჩვენ ხათრისათვის ეს ვეცხელა. თუ ძალადობა არ იქნება და მათ უკეთეს მსხვერპლის მიტანა აღარავისთვის არ შეგვიძლიან"...

მაგრამ ნაროდნიკული გავლენა ი. მაჩაბელზე მაინც დიდია.

აიღეთ გინდა მისი შესვლა ბუნების მეცნიერების ნაწილზე. როგორც ზემოთა ვსთქვით იგი „ხალხის სამსახურისათვის" იყო გამოწვეული. აგრონომიის სპეციალური ცოდნით მაჩაბელი უნდა დაბრუნებოდა საქართველოს გლეხობას. გარდა დახმარების აღმოჩენისა, აგრონომიის ცოდნა მისთვის უნდა ყოფილიყო საშუალება ხალხთან დაახლოვებისა და პროპაგანდის.

ამ იდეალისთვის შემდეგაც არ ულალატნია. აგრონომია მართლაც საუკეთესოდ შეისწავლა რუსეთსა და ევროპაში და უნივერსიტეტი კანდიდატის ხარისხით დაასრულა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე მაჩაბელი კულტურულ მეურნეობის აგიტაციას ეწევა სოფლად და მეზობლების სამაგალითოდ აშენებს ევროპიულ ბაღს და იმავე დროს, (79 წ.) ჟურნალ „ივერიაში" სისტემატიურად ათავსებს სამეურნეო ხასიათის წერილებს.

1874 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების წელს, ახლათ ჩამოსული მაჩაბელი და რამდენიმე მისი ამხანაგი (ეგნატე იოსელიანი, დავით და ქაიხოსრო ფურცელაძეები, რომან ფავლენიშვილი და სხ.) ჯერ კიდევ პეტერბურგში დადებული პიროობით ჰმართავენ არალეგალურს კრებას, მერეთში (ქართლი) გამოსარკვევად თუ რა სახე მისცენ მომავალ მუშაობას.

კრებაზე „ყველანი შეიფიცნენ თავისუფალი კულტურული მუშაობის წარმოებისათვის. ამაზედ მეტი გზა არ გვქონდა. ამ მუშაობაში უნდა გამოგვეცადა ჩვენი თავი, აქ შეგვეძლო დაუფარავად ხმის აღოლება და დაგვენახა არსებობის ნიადაგი ჩვენი მუშაობისათვის. კულტურული მუშაობა მით უფრო მოსახერხებელი იყო, რომ ყველანი სპეციალისტები ვიყავით ან ახლო მომავალში გავხდებოდით და არავის არ ეძლეოდა ეჭვის მოტანა ჩვენს მუშაობაზე. ამ პირველი ნაბიჯის გადადგმის აზრმა ცხოვრებაში, მეტად დაგვაკმაყოფილა. კრების დაშლის შემდეგ ვანო თამარაშენში დაბრუნდა და სოფელში ტრიალებდა, თუმცა დარწმუნებული ვიყავ, რომ მას სოფელში არ დასტოვებდენ"...

იგონებს ძველი რევოლიუციონერი ეგნატე იოსელიანი.

მის სოფელში „მუშაობას" დღესაც იგონებენ გლეხები,რომელნიც მიამბობდნენ რა დახმარებას უწევდა მათ, როგორც ფულით, („ფულს უბეში ჩუმად ჩაგვიდებდა") რჩევით საუბრებით, ისე მფარველობით გაკადნიერებულ ფეოდალებთან, რომელთაგანაც „არა ნაკლები დამცირება გამოუცდია ჩვენი გულისათვის. შემოდიოდა ჩვენს ოჯახებში კარგა ხნით და დაწვრილებით იკვლევდა ჩვენს მდგომარეობას. ყველამ ვიცით, რომ ის ჩვენი გულისათვის პერანგს გაიხდიდა. ჩვენც ვაფასებდით, ვაფერებდით მის სიცოცხლეს" — ამბობს გლეხი მინდიაშვილი.

მას არც შეუცვლია თავისი დემოკრატიული პრინციპები, რომლის კრისტალიზაცია მოხდა საფრანგეთში, კომუნის სისხლის ელვარებით. ამ პრინციპების ტორეადორი იყო მუდამ. ამ პრინციპებისთვის მიიღო [illegible] მტანჯველი გვირგვინი, ამისათვის აფასებს ქართული თანამედროობაც, როცა „ბრძოლა გმირის ცხედარისათვის“ ჯერაც არ შეწყვეტილა...

მის კეთილშობილებაზე დღეს ლაპარაკობენ მისი სასტიკი მტრებიც.

ერთი მისი ძველი აქტიური მოწინააღმდეგე დღეს უკვე გადათეთრებული მოხუცი მთელი საათი დაფარული ცრემლების ქვეშ მელაპარაკა მაჩაბელზე. ეს იყო დაუსრულებელი ორატორია, რომელშიც მაჩაბელი მოსჩანდა როგორც ქრისტე, — ენტუზიასტი თავისი გმირული იდეალების, კეთილშობილი ტრიბუნი, რომელიც ითხოვდა საზოგადოებრივი სხეულის სენისათვის რადიკალურ ოპერაციას, მაგრამ მძინვარე ბრბოდმა — ქართულმა საზოგადოებამ, მაჩაბელი ჩაქედა იოანე ნათლისმცემელივით და მისი დასისხლული თავი აჩუქა სალომეას...

დამსახურებული მსახიობი ქალი ელენე ჩერქეზიშვილი, ჩემდამი გამოგზავნილს მინიატურულს მოგონებაში, იგონებს შემთხვევებს, როცა ი. მაჩაბელს ბანკის საჯარო ვაჭრობის დროს უსახსრო ,ხალხის მაგივრად შეჰქონდა თავისი უკანასკნელი ფული.

მსახიობ ქალს ბოლოს მოჰყავს ორი ეპიზოდი მაჩაბლის ცხოვრებიდან, რომელიც საუკეთესოდ ახასიათებს მას, როგორც რაინდს და კაცთმოყვარეს. თუროგორ გადაარჩინა მან გორი-ცხინვალის გზაზე ვინმე უბედური ქალი ავაზაკი ქმრისაგან, რომელიც ჰკლავდა დამბაჩით. „მაჩაბელი გადაეღობა, მკერდი შეუშვირა და შესძახა: — აჰა, მე მესროლეთ და აქ კი ვერავის მოჰკლავთო“.

კიდევ:

ცხენით მიმავალი მაჩაბელი რა დაუზოგველობით გადაერია ატეხილს ლიახვში თავისმკვლელ გლეხის ქალის გადასარჩენად...

პეტერბურგის პერიოდი მით უფრო საგულისხმოა, რომ აქ ხდება მაჩაბლის პროვიდენციალური შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან. ესეც დიდი დატაა მაჩაბლის ცხოვრებაში: სათავე მისი ტრიუმფალური დღეების და საიდუმლო ტრაგიზმის. მაგრამ ვიდრე ამ შეხვედრაზე გადავიდოდეთ, ჩვენ არ შეგვიძლიან გამოვტოვოთ ფიგურა მისი ძმის ვასილ მაჩაბლის, რომელიც იყო მთავარი მიზეზი ამ შეხვედრის და რომელმაც თავისი პატარა ძმა გიმნაზიაში, უნივერსიტეტში, როგორც იტყვიან „გამოზარდა“.

ვასილ მაჩაბელი დ. 1846 წ. ცამეტი წლის მიაბარეს ჰაკკეს პანსიონში, საიდანაც თბილისის გიმნაზიის მეოთხე კლასში შევიდა. გიმნაზიის დასრულების შემდეგ 1865 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც იურიდიული ფაკულტეტი დაასრულა 1870 წელს.

ვასილ მაჩაბელი მსახურობდა პეტერბურგში, იუსტიციის სამინისტროს უწყებაში, შემდეგ ნაფიც ექ. ვ. გერარდის თანაშემწედ. 1876 წ. პეტერბურგის სასამართლო საოლქო პალატის ნაფიც ექთა რიცხვშია. 1886 წლიდან გადმოდის თფილისში, მსახურობს იმავე უწყებაში და თანვე ეწევა სოფლად მეურნეობას (გარდ. 1915 წ.).

1872—91 წლამდე იყო პირადი ვექილი ნიკოლოზ დადიანის (მინგრელსკის) მანვე 1890 წ. ტყის მრეწველ პროფ. ილია ოქროპირიძესთან ხელშეკრულებით მოახდინა ლეჩხუმისა და სვანეთის ტყეების ექსპლოატაცია.

ვასილ მაჩაბელი „მესამოციანეთა“ რიცხვს ეკუთვნის. მოწაფეობიდან თანამშრომლობდა „ცისკარში“, სადაც თარგმანებთან ერთად მრავალს ორიგინალურ მასალებს ათავსებდა. მანვე ქართულად გამოსცა ექ. რონჩევსკის ლექციები ჰიგიენაზე და კომბის „ბავშვების მოვლა“. იყო მუდმივი კორესპონდენტი გაზ. „დროების“—„დროებითი პეტერბურგელის“ ფსევდონიმით, თბილისის ქალაქის ხმოსანი და ერთხანს კანდიდატი სათავადაზნაურო ბანკის დირექტორის..

ამ ოფიციალურ ცნობების გარდა, მას ცოლად ჰყავდა პოეტის ნ. ბარათაშვილის დისწული, (ვეზირიშვილის ასული) და მისი შვილია ცნობილი ემიგრანტი გიორგი მაჩაბელი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამდე იყო საქართველოს რესპუბლიკის ელჩი იტალიის მთავრობასთან.

მაგრამ ვასილ მაჩაბელი უფრო ცნობილი იყო თავისი ერთგული და ხანგრძლივი მეგობრობით ილია ჭავჭავაძესთან.

შენახულია ნაწილი მათი ოცი წლის მიწერ-მოწერისა, სადაც ეს ორი მეგობარი ერთმანეთს ასწრობს მეგობრობის და სიყვარულის დამტკიცებას.

„გულფიცხო, მაგრამ მაინც კარგო ჩემო მეგობარო ვასო“, „ჩემო საყვარელო ძმაო“, „კავკასიის მთების იქით ერთი ერთგული მეგობარი გყავს, რომელსაც ეძახიან ილია ჭავჭავაძეს“. „მე მიწამებია და მწამს შენში ერთი დიდი სიკეთე: საზოგადო საქმეში შენს საკუთარს წყენას უპირატესობას არ აძლევ ხოლმე. ესა მწამს, ამით მამართლე და ნუ გამკიცხავ“. — (ილია ჭავჭავაძის წერილები ვასილ მაჩაბლისადმი დაბეჭდე ჩემს გაზეთში. „ბახტრიონი“, №№ 18,20 —1923 წ.) ასეთი სიყვარულის ალიარებით სავსეა ჭავჭავაძის წერილები.

ილიას კავშირი მით უფრო სერიოზული იყო, რომ მეგობარი შეჰყავდა თავისი ზემოქმედების ლაბორატორიაში, უხიარებდა თავის ლიტერატურულს იდეალებს და თითქმის ყოველს ახალს ნაწარმოებს უგზავნიდა პეტერბურგში, რაზედაც მისი მეგობარი დილეტანტურ კრიტიკას არ აყოვნებდა.

შენახულია ვას. მაჩაბელის წერილი ილიასთან „დიმიტრი თავდადებულის“ შესახებ: „სულით და გულით გილოცავ საყვარელო ძმაო ილიკო, ამ უკვდავი პოემის დაწერას. მაგისთანა შენ თავის დღეში არა გიჩუქებია რა ქართველებისათვის. მე დარწმუნებული ვარ ყოველ მამულის მოსიყვარულე ქართველის გული გრძნობს შენდამი მაგისათვის დიდ სიყვარულს და მადლობას. ამ მოკლე სიტყვებით ცხადად დაინახავ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ჩრდილოეთშიც შენმა პოემამ.

ეხლა ჩვენი სანატრელი ის არის, რომ მაგგვარი უფასო და უკვდავი საჩუქრები არ დაზოგოს შენმა მართლა და ნამდვილმა პოეტურმა ნიჭმა. ჩვენს დაჩაგრულს, მაგრამ მაინც კიდევ ტურფა ქვეყნისათვის და შენც გარიდოს ღმერთმა ყოველი სიბანტე და უქმეობა, რომელიც ულობავს ნიჭს გზასა. ჩემი ლოცვა ეს არის და ვგონებ არც შენა სთქვა უარი მასზედ, რომ ნამდვილ და სასარ-

ეროვნული

გებლო მამულიშვილებისაგან არა ქვეყანას და ნამეტნავად ჩვენსას, სიზარმაცე და უქმეობა არ ეკადრება“...

მართალია, ვას. მაჩაბელი დილეტანტი იყო, რომელიც ... ...

ნუგეში იქნება. ჰსთხოვე, შეეხვეწე ჩემს მაგიერ რომ სტატიები გამომიგზავნოს."

ცხადია, შექსპირის თარგმანების გარდა, ი. მაჩაბელს სხვა ნაბეჭდებიც ჰქონია, რომ ილიას უკვე ჰქონია წარმოდგენა „კარგი კალმის პატრონის". რა წერილებია, რომელსაც ილია სთხოვს ვ. მაჩაბელს ან დაიბეჭდა თუ არა, არ ვიცით...

მაგრამ თითქმის იმავე წლეებში (1 თებერ. 1877 წ.) ვასილ მაჩაბელი იწერება დასთან: „ვანო კარგათ არის და ჩინებულად მიჰყავს თავისი სწავლის საქმე. ბედნიერებაა კაცისთვის იმგვარი ძმა ჰყავდეს, როგორც ვანო არის. იმის წიგნები რამკაში ჩასადები ანუ დასაბეჭდია"...

რომ ილია დიდს იმედებს ამყარებდა მაჩაბელზე, ამას ამტკიცებს სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებაც: „როცა ილია „ლირის" თარგმანის შემდეგ პეტერბურგიდან ჩამოვიდა სიამოვნებით გვახარა ივანე მაჩაბლის შესახებ, რომ ჩვენს საზოგადოებას და ლიტერატურას ეველინება შესანიშნავი ნიჭიერი კაცი, ენების მცოდნე, ფხიზელი მოაზროვნე და ნაყოფიერი მწერალიო". (სოფრომ მგალობლიშვილი. „მოგონებანი ილიაზე." გაზ. „ბახტრიონი" № 10.)

დაუბრუნდეთ ვასილ მაჩაბელს...

როგორც პეტერბურგში, ისე ევროპაში უჩვეულო მზრუნველობით დასტრიალებს ძმას და ყოველნაირათ ცდილობს ნიეთიერი მდგომარეობა შეუმსუბუქოს. მაშინდელი მისი წერილები ძმისა შეიცავს მხოლოდ ამ ფიქრებს, ამ საკითხის გარშემო საქმიანობას და ფულის გაგზავნის ოპერაციებზე ლაპარაკს: გამოგიგზავნე ასი მარკა. ეს ასი მარკა თუ აგვისტოს თბუტმეტამდინ გეყო ხომ რა კარგი, თუ არა მომწერე რამდენი კიდევ დაგჭირდება სხვადასხვა სახარჯოთ: მაგალითად სურათებზე, წიგნებზე ანუ სხვა მე და შენ რომ ვიცით იმ საგანზედ, ამის ხარჯს და რაც პარიეამდინ მოგინდება საგზაო ფული ამას მარკებით გადმოგცემ. დანარჩენს კი ვექსილს გამოგიგზავნი ფრანკების მისაღებათ. ამ ვექსილით მხოლოდ პარიზში მიიღებ ფულს დანიშნულ ბანკირიდან, რომლის ადრესსაც ვექსილის გამოგზავნის დროს გაცნობებ.

მე იმედი მაქვს რაც უნდა იყოს ხუთას ფრანკიდგან ,ექვსას ფრანკამდი მოგიხერხო. ეს ფული იქნება ოქტომბრის ნახევრამდინ იმყოფინო, ოქტომბრის გასულს კიდევ გამოგიგზავნი პარიზში ორის თვის საგძალს. ასე რომ ორ-ორ თვის ხარჯს პარიზში მიიღებ ხოლმე"...

„....ცხრა მარტამდინ გამოგიგზავნი ას მარკას და პირველ აპრილისთვისაც იმედი მაქვს ხუთასი მარკა მოგა'ბველო და ამაობით აგვისტომდინ იქნება იმყოფინო ეს ექვსასი მარკა.

აგვისტოში კი შეიძლება კიდევ საპარიეოთ ერთი ოცი თუმნამდინ გიშოვნო (რასაკვირველია ჯერჯერობით). თუ ვინიცობაა შენის ანგარიშით ეს ექვსასი მარკა არ გეყოფა აგვისტომდინ, მაშინ მომწერე კიდევ რამდენი დაგაკლდება."

მიუხედავათ მისი ლამენტაციებისა: „რომ ჩემი მდგომარეობა ეხლა გავს დღიურ მუშის მდგომარეობას. დღესა მაქვს, ხვალ არა და ამგვარ მდგომარეო-

ბაში მყოფ კაცს, რაც უნდა კაი სურვილი მოსდიოდეს ~~ძნელია მაინ~~ ასრულება. არ ვიცი როდემდისინ გასტანს ამგვარი ჩემი ცხოვრებასთან ბრძოლა და ან ვინ დარჩება ბოლოს გამაჯვებული?"

ფულის ოპერაციებზე წერაში მას ხშირად უყვარს ~~ბორალის~~ ჩარევაც:

„კაცმა ყოველ მოვალეობის წინად უნდა დამჯდარი ჭკუით და გონებით გასინჯოს შეუძლიან იმ მოვალეობის ასრულება თუ არა? იმას ყოველთვის სახეში უნდა ქონდეს როგორც თავის ინტერესი, ისრე მომეტებულათ სხვისა.

რაც უნდა წმინდა სურვილი ჰქონდეს, უნდა ამ სურვილის ასრულებამდისინ დაფიქრდეს თავის მომავალზედ, წარმოიდგინოს თავის მდგომარეობა და ნამეტნავად იქონიოს კაცობრიული სვინდისი, რომელიც უნდა მიუძღოდეს ფარნად ყოველ გონიერ და სვინდისიან კაცს მთელ თავის სიცოცხლეში და რასაკვირველია შემდეგ ამისა თუ დაინახა, რომ ის ვერ აასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც მოსდევს მის სურვილი ასრულებას, მაშინ უნდა მას თავი დაანებოს.

მართალია, ამგვარი მსხვერპლად შეწირვა თავის სურვილისა, ბევრს არ შეუძლიან, რადგან მათი გულის წადილი აჩრდილებს და აუქმებს ყოველგვარ გონივრულ სჯას. ისინი ამ შემთხვევაში არასოდეს არ ფიქრობენ მომავალზედ და მთელ თავის სიცოცხლეს აბარებენ თავის ბედს"...

ასეთი მეგობრიული დარიგებებით არის აჭრელებული მისი ეპისტოლეები ძმისადმი. უკანასკნელიც საკმაოდ გათამამებულია, რომ მოურიდებლათ მოსთხოვოს:

1872 წ. ზაფხულში ის ტვერის გუბერნიიდან (ქ. ოსტაშკოვო, სადაც რეპეტიტორად იყო პერევერზოვებთან, იგნატიევებთან) სწერს ძმას:

„აქ ტანისამოსი ძალიან მჭირდება. ძველებში სიარული ამათში მგონი ძალიან სირცხვილია. შალვარი არ დამჭირდება; სერთუკი და ჟილეტკა კი ძალიან საჭიროა. წიგნები შეგიძლიან არ გამომიგზავნო, რადგან რაც აქა მაქვს ის მეყოფა და თუ ან „კრებულის" ან „დროების" ახალ ნომუშებს გამომიგზავნი როგორმე, ძალიან დაგიმადლებ"...

პარიზიდან (78 წ. 20 მარტი) სწერს: „სამის თვისა რომ გამომიგზავნე, ის რასაკვირველია მეყოფა სამის თვისათვის—აპრილის გასვლამდინ, მაგრამ იმაზედ კი ჯერ ვერას მოგწერ რამდენი მომინდება პარიქს გარეთ... თუ შეიძლება, ემჯობინება რომ მალე გამომიგზავნო გზისათვის და პირველი დასახარჯავი".

ბოლოს ჩვეულებრივი იუმორით უმატებს: „სიამოვნება მომიმატა იმ ამბავმა, რომ ბეჯითად მპირდები პარიქში მოსვლას, სადაც თუ შენებური დონჟუანობა დაიწყე, წინდაწინვე მომილოცავს გამარჯვება. მეტადრე თუ ჩერქეზული ტანისამოსის წამოღება არ დაგავიწყდა"...

როლი ერთგული ძმის შემდეგაც გრძელდებოდა.

„ბანკოვიადის" დღეებში, როცა ქართული საზოგადოების დიფერენციაცია მოხდა მაჩაბლიზმის და ჭავჭავაძის ნიშნით, ვას. მაჩაბელმა ძმისთვის გასწირა ილიას მეგობრობა და გახდა აქტიური წევრი ოპოზიციის, რომლის საქმეებზე ის ენერგიულად მუშაობდა პეტერბურგში: ს. ვიტტესთან, სენატში და დეპარტამენტში.

ამავე დროს პეტერბურგის უმაღლეს წრეებში ცდილობს „დროების" ახალი ნებართვის შოვნას.

მისი დახმარებით კმაყოფილი ი. მაჩაბელი სწერს [illegible] ბლობა უნდა გადაუხადოთ იმ შემთხვევას, რომელმაც შენ ეხლა პეტერბურგში [illegible] ცნა. უშენოთ საქმე წაგებული იყო. კიდევ და კიდევ მადლობა ღმერთს, რომ შენ წახვედი..,

საინტერესოა, რომ ვასილ მაჩაბელს თავისი ძმის სიყვარულის და ხსოვნის აღსანიშნავად, დუწერია მაზედ მემუარები, რომელსაც ტასო მაჩაბელთან კერძოდ წერილში იხსენიებს: „ჩემი მოგონებანი, რომელიც ამას წინად წაეიკითხე და რომლიდანაც შეიძლება ვანოს ბიოგრაფიისათვის ცნობების ამოკრეფა, ჯერ ისევ გასასწორებელი და გადასათეთრებელია, ასე რომ გადამწერი, თუ იქვე მე თითონ არ უჩვენე საიდან სად გადავიდეს და წაიკითხოს, ვერას გაიგებს".

შემდეგ: „თუ ღმერთმა ხელი გამიმართა და ჩემი საქმეები გამოკეთდნენ, მაშინ უფრო მეტი დრო მექნება, ჩემს მოგონებაში ვრცლად დავანახო საზოგადოებას, რა ღვაწლი, შრომა და სამსახური მიუღვის ჩემს უბედურს ძმას ვანოს თავის სამშობლოს წინაშე და ან როგორ უსამართლოდ და თითქმის ვერაგულად მოექცნენ ის პირნი, რომელთაც თითქო პირზედ ეკერათ სამშობლოს სიყვარული, მისი კეთილდღეობა და მეცნიერება". (1913 წ.).

სამწუხაროდ ეს მიწერმოწერა დღეს დაკარგულად უნდა ჩაითვალოს...

მაშინდელს პეტერბურგის უნივერსიტეტში, თითქმის ყოველს ფაკულტეტს თავისი მნათობი ჰყავდა: მენდელეევი, რიხტერი, ა. ბეკეტოვი, ვაგნერი, ფოშნიცონ, პეტრუშევსკი, ოვსიანნიკოვ, კესლერი და სხ.

მაჩაბელი გულმოდგინედ ისმენს მათს ლექციებს და მთელს უნივერსიტეტში შემჩნეულია, როგორც მოწინავე სტუდენტი.

„ამხანაგებში იყო ენერგიული, მხიარული და სტოიკი. მაშინდელ ახალგაზრდობაში, როცა სტუდენტები გაშვებული წვერით კიდევ შავ სათვალეებს იკეთებდენ მელანქოლიის გამოსაჩენად, რაც მაშინ მოდაში იყო, ივანე მაჩაბელის ტემპერამენტი პირდაპირ ირჩეოდა"—ამბობს მისი პეტერბურგელი ამხანაგი.

ბუნების მეცნიერებისა და იურისპრუდენციის გარდა მაჩაბელი სწავლობდა თანამედროვე ლიტერატურას. მას ხშირად კაველინის ლექციებზედაც შეხვდებით. საინტერესოა მაშინდელი მისი ბიბლიოთეკის შემადგენლობა. (რუსი ავტორების გარდა) დიკენსი, ჯორჯზანდ, ფრანსუა კოპპე, გეტე, რუსსო, შილლერი, ბაირონი, გოლდონი, დანტე, ოვიდიუს ნაზონი, მიუსსე, მოლიერი ჰეინე, ციცერონი, ბერანჟე.

პოლიტიკურ ლიტერატურაში: ჰეგელი, ბოკლი, ფურიე, ლამენზე პრუდონ, ლუი ბლან, სენ-სიმონი, მიშლე, შტრაუსი, ოგიუსტ კონტ, მისთვისვე ნაცნობი იქნებოდა სახელები: რენან, მერიმე, ზოლა, მილლ, რომელთაც შეხვდებოდათ მაშინდელ „გრაჟდანინის" ფურცლებზე

დ. გურამიშვილის სიტყვით, პარიზში ყოფნის დროს ი. მაჩაბელს ებადება განზრახვა ბალზაკის გადმოთარგმნის ქართულ ენაზე.

პეტერბურგში სხვა წიგნებთან ერთად სთარგმნა შატემანის, ვიქტორ ჰი-

უგოს სიტყვა თქმული ნაპოლეონ III-ის წინააღმდეგ საკანონმდებლო პალატაში. ეს თარგმანი პოლიციამ ეგნატე იოსელიანის გაჩხრეკის დროს წაიღო. 73—74 წლის, ზაფხულში, ი. მაჩაბელი სწერს თავის საგვარეულოს: „1-ლ საათზე მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, პირველიდან შვიდამდე [illegible] მერე 1-ს საათს შექსპირს ვთარგმნი და მერე სხვა ადგილს რამეს ვკითხულობ“.

მისი ევროპიული შრომისმოყვარეობა პირდაპირ საოცარია. იგი შესაფერისად ხმარობდა დროს — ამ კაპიტალს ტალანტისას, როგორც ამბობდა ლამარტინი.

ჯერ კიდევ 74 წელს (22 ნოემბერს) ვასილ მაჩაბელი სწერს: „გაძლევ პირობას თუ დროს ეგრე ძვირად აფასებ, აღარ დაგაკარგვინო ჩემის ვრცელის ბაასით“.

ივანე ელიაშვილი თვის მოგონებაში სწერს:

„თუ პირდაპირ თავის დავალებულ საქმეს არ ადგა, ვანო ან კითხულობდა, ან სწერდა. სხვადასხვა საზოგადოებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, ან თეატრში იყო. უბრალოდ სახლში ყოფნის დროსაც, თუ სტუმრები იყვნენ მასთან, გამოსძებნიდა ერთს ან რამოდენიმე პირს და ან საზოგადო საკითხებზე ესაუბრებოდა, ან მწერლობაზე, ან თეატრზე და სხვა რამ ჩვენთვის საგულისხმო საგანზე. თუ ამგვარ მოსაუბრეს ვერ იპოვიდა, ჩაიკეტებოდა სამუშაო ოთახში და ლიტერატურულ შრომას ეწეოდა.

ამ სტრიქონების დაწერს არა ერთხელ და ორჯერ უნახავს ის ნაშუადღევის სამსა და ოთხ სათზედაც კი საწერ მაგიდასთან მჯდარი კალმით ხელში იმ დროს, როდესაც დილის 9 საათზე სამსახურში უნდა წასულიყო. თუმცა არც დაღლილობას, არც რამ უქეიფობას, არ იმჩნევდა ამრიგად მშრომელი ვანო, მაგრამ ამ მოუსვენრობას არა ერთხელ ჩაუფიქრებია მისი ღირსეული მეუღლე კნ. ტასო, რომელიც თვალცრელმიანი შენიშნავდა ხოლმე მიმეღო, როგორც ექიმსა და მეგობარს, საჭირო ღონისძიება, რომ მეტის შრომით მას არა დაბმართებოდა რა.

მეც, რაც კი შემეძლო, მეგობრულად ვაფრთხილებდი, მაგრამ ვერას ვაწყობდი, თუმცა დამპირდებობა ხოლმე, აი, ხვალიდან შენს ჭკუაზე ვიქნიო, ხვალ კი ისევ შრომობდა, როგორც დღეს და გუშინ.

ასე მიჰყვებოდა დღეს დღე, თვეს თვე, და წელს წელი, ვიდრე თვალსა და ხელს შუა ასე საოცრად არ გაგვიქრა ეს დიდი ნიჭისა და მხნეობის ადამიანი. („ივანე მაჩაბლის ხსოვნას“ გაზ. „თემი“ № 181, 1914 წ.)

ივანე მაჩაბლისათვის ფრიად დამახასიათებელია დოსტოევსკის კულტი. გ. გაბაშვილმა მიამბო:

მაჩაბელის იდეალი რუსულ ლიტერატურაში დოსტოევსკი იყო. პირველი მკითხველი სტუდენტობაში მაჩაბელი იყო. ეს გატაცება თითქმის ვალმერთებაში გადადიოდა. მაშინდელი რუსის სტუდენტობა დოსტოევსკის ენდობოდა იმ შეურაცყოფის გამო, რომელიც მას რასკოლნიკოვის სასით მიაყენა. ზოგიერთი ჩვენგანი ამტკიცებდა კიდეც, რომ დოსტოევსკი „მთავრობასთან გვასმენდა“, რასაკვირველია, მაჩაბელს ამისი გაგონებაც არ უნდოდა. და თითონ არა ერთხელ უამბნია, როცა ზამთრის მძიმე დღეებში ის უკან მიყვებოდა დოსტოევსკის და ხშირად იამსკაიამდეც (სადაც იდგა დოსტოევსკი) აცილებდა. — ერთხელ გადავწყვიტე კიდეც მასთან მისვლა, მაგრამ ველარ გავბედე. მისი ჩვეულებრივი წყნარი გამომეტყველება სახისა, იმ დღეს მეტისმეტათ სასტიკი მეჩვენა“-ო.

პეტერბურგში ამავე დროს სცხოვრობდა პოეტი ნეკრასოვიც...

სხვათა შორის აღსანიშნავია მაშინდელი ქართველი სტუდენტობის დიდი გატაცება რუსული ლიტერატურით.

საუკეთესო დამახასიათებელია სტრიქონები ახალგაზდა ნიკო ნიკოლაძის, რომელიც თითქმის იმავე ნაწერებში (1873 წ.) სწერდა:

„ყველაზე უფრო მიზიდავს მე პეტერბურგში იქაური მწერლის ბედი და მდგომარეობა. მე რაღაც უცნაური სურვილი მაქვს მის ხასიათს და მსვლელობას ვაკვირდებოდე და იმის წარმატებას ყოველთვის მხიარულებაში მოვყევარ, აგრეთვე როგორც მისი უბედობა და სისუსტე გამოუთქმელათ გულს მიჩაგრავს და პიროვნათ (?) მე თვითონ ჩემს თვალში მამდაბლებს“.

ნიკოლაძის აღსარება დამამტკიცებელია მაშინდელ ქართველ და რუსულ ინტელიგენციის იდეალების ორგანიული კავშირის. დამახასიათებელია ისიც, რომ ნიკოლაძის და რუსი ინტელიგენციის შეხედულება მესამოცდაათიან რუსულ ლიტერატურაზე ერთიანდება იმ პროტესტის გამოცხადებით, რომ რუსულმა ლიტერატურამ „ზნეობითი აღზრდა დაივიწყა“, რომ ბელინსკის და ჰერცენის მორალური იდეალების შემდეგ, რომელმაც რუსულ ცხოვრებას ისტორიული კვალი დაასვა. უმწეოა მისი თანამედროვე („სამოცდაათიანი წ.“) იდეოლოგია.

„დღევანდელი მწერლობა კი... იმ ადგილას, სადაც მაშინ საზოგადოების გამწვრთნელი და აღმზრდელი ხმა ისმოდა, სადაც კაცი ავის შეზიზღებას და კეთილის სიყვარულს ეჩვეოდა, სადაც მის გონებას ახალი ჰორიზონტი და მის გონებას ახალი ასპარეზი ეშლებოდა, დღეს ჩვენ ვხედავთ დაფქვილი ძვლების ნაკლათ გამოყენების სწავლას, დღეს ჩვენ პიროვნული წვრილმანი თავმოყვარეობისა და უდარდელი, უმიზნო, უგავლენო და უმომაელო ჯღაბნა ბეჭდვას ვესწრებით. პაწაწინა კაცები დღეს პაწაწინა საგანზე პაწაწინა მოაზრებას გამოთქმენ, და მათ პაწაწინა წრე პაწაწინა წუთის განმავლობაში გართულ და უყურადღებო თვალს ადევნებს. ეს პაწაწინა მწერლები დაექანებიან უგზო-უკვლო თანამედროვე ცხოვრების მინდორზე. და ხან ერთ უმნიშვნელო საგანს, ხან მეორე უაზრო მოვლენას სტაცებენ ხელს, რომ მათზე უხეირო და უნიჭო აზრების ან სიტყვების გამოროტვა შეიძლონ. იმათ ელამ და ბრმა თვალსწინ შეუმჩნევლად გარბის თანამედროე ცხოვრების უპირატესი მოვლენები, უძვირფასესი შემ-

თხვევები, და იმათ არავინ ნიშნავს, ხელს არაკაცი ჰკიდებს, რომ მომავლის სასარგებლოთ მათგან გამოსადეგი დასკვნა გამოიყვანონ.

საზოგადოების ზნეობითი აღზრდა დავიწყებულიყო, საზოგადოებრივ გრძნობას, მომავლისათვის დამარაგებას, საერთო შრომისა და ბრძოლისთვის დამზადებას არავინ ქადაგობს. საზოგადო მიზანს და საქმეს, უმთავრეს საჭიროებას და მზადებას წინ ამოფარებია ყველას თვალში გაუგებარი და გამოუკვლეველი წვრილმანი ფაქტების გროვა. ყველა ფორთხავს, ყველა მთის ქედს ეზიდება, ყველას იმ სიმაღლეზე ასვლა სურს, სადაც სულის ჩამდგმელი ჰაერი ქრის, მაგრამ ყველას თვალწინ ბუჩქები და ტყის შტოები უდგია, ყველას დამჭკნარი და ჩამომხმარი ფოთლები და ხეები თვალს უხვევენ და პირისახეს უკაწრავს, არავის თვალს წინ მთის სახე არ უდგია, გავლილი გზის გაგება არა აქვს, არც დარჩენილი სიმაღლის და დაბრკოლებების წარმოდგენა. ყველა მარტო იმას გრძნობს, რომ აღმართია, რომ ამ აღმართზე ასვლა საჭიროა, მაგრამ ძნელია. მაგრამ არავის არც იმისთანა შორს გამჭვრეტი თვალი და სიმაღლე აქვს, რომ ბუჩქებსა და ხეებს გადაღმა მიზანი დაინახოს, არც იმდენი მიხვდომა და თავგამომეტება, რომ გამობრუნდეს, შორიდამ მთელ მთას თვალი ააყლ-ჩააყლოს, მისი სიმაღლე და ხასიათი შენიშნოს, მისი სურათი დაიხატოს და ამნაირათ გამოცდილი, დამარაგებული, გზა უჩვენოს, იმედი მისცეს, ლონე მოუმატოს და მიზნამდი მიიყვანოს"... (ნიკო ნიკოლაძე „სხვათა შორის" „კრებული" 1873 წ.)

74 წ. თამარაშენში შემდეგი ცვლილებანი მოხდა: მაჩაბელს გარდაეცვალა მამა. სწორედ იმ ხაფხულს, როდესაც უნივერსიტეტ დამთავრებული ჩამოვიდა სამშობლოში ერთი წლით,—„ქაური ცხოვრების შესასწავლად".

სიკვდილის წინა თვეებში შვილებმა გაჰყარეს მამა თავის ძმებს იასეს და ალექსანდრეს. გაყრაში გარდა საოჯახო ვალებისა არაფერი არგუნეს, რადგან უამისოდ ძმები გაყრაზე არ თანხმდებოდნენ. უბინაოთ დარჩენილი მამა დროებით უნდა შეხიზნებოდა ძმას იასეს და შემდეგ კი სადმე დაბინავებულიყო...

მაგრამ ამ დროს ვასილ მაჩაბელს, ახლათ გამოსულ ნაფიც ვექილის თანაშემწეს, „საქმეების გამოჩენით" ბედმა გაუღიმა. ძმებმა ააშენეს პატარა სახლი, მოიშორეს ყველა ვალები და გადასწყვიტეს იმავე შემოდგომაზე ვანო გერმანიაში გამგზავრებულიყო.

მაჩაბელმა გერმანიაში აირჩია ჰოჰენჰეიმის აკადემია შტუტგარდტის მახლობლად, სადაც მხურვალეთ შეუდგა მეურნეობის ნაწილის შესწავლას.

ჩვენს ხელთ არის ორმოცი წერილი ჰოჰენჰეიმის პერიოდის, მაგრამ როგორც ამ წერილებიდან მტკიცდება, მისი მთავარი ყურადღება მიქცეულია უმთავრესად ენებისა და მეურნეობის შესწავლაზე და ჰოჰენჰეიმში დახარჯული ორი წელიწადი მაჩაბელმა მეურნეობის პრაქტიკულ შესწავლას მოანდომა.

ჰოჰენჰეიმიდან იგი გაემგზავრა ჰიბოდიერში (საფრანგეთი) რამდენიმე თვით მეცენახეობის შესასწავლად, და მონპელიეში, სადაც რამდენიმე წელიწადს ეწავლებოდა მედიცინას. საიდანაც (1831.) ბრუნდება პარიზში მსოფლიო გამოფენის (ტროკადერო). პარიზის პერიოდი ბევრად უფრო ნაყოფიერია.

დავიწყებ ლაპარაკს იმ მშვენიერი მოგონებით, რომელიც გამომიგზავნა ივანე მაჩაბელის მეგობარმა, ძველმა საზოგადო მოღვაწემ დავით გურამიშვილმა

„ჩემი მაჩაბელთან გაცნობა მოხდა 1873 წელში, პარიზში...

საქართველოდან წასულს მქონდა მისი მისამართი და სადგურიდან პირდაპირ მივაშურე ამ უცნობ მახლობელს. ვანო შინ არ დამხვდა. გადავწყვიტე მომეცადნა. არ გაუვლია დიდხანს, რომ ვანომაც შემოალო კარები. თითქოს ეხლაც თვალწინ მიდგეს: მაღალი, გამხდარი ტანისა, სახე მოძრავი და ამეტყველებული, მე ვიტყოდი, აღელვებული.

პარიზში იმ დროს ჩვენებური კაცის შეხვედრა დიდი სიხარული იყო ხოლმე. ვანო აღტაცებაში მოვიდა... აღელვებულის ხმით მეკითხებოდა სამშობლოს ამბებს. პირველი დღიდანვე ჩვენი გაცნობისა ძლიერ დავმეგობრდით. საერთო მრავალი აღმოგვიჩნდა და განუყრელნი გავხდით. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე საათის მეგობრები ვიყავით.

ვანო ეკუთვნოდა ისეთ პირთ, რომელთა საუბარი ესთეტიურ სიამოვნებას ჰგვრის, ვისთანაც მზადა ხართ მეგობრულ მასლაათში გადაივიწყოთ ყოველგვარი საქმე, სამსახური, ძილი და დაუსრულებელ ოცნებაში შესცუროთ.

ვანოსთან საუბარი არ იყო უბრალო დროს დაკარგვა: მას თქვენ შეჰყავდით თავის აზროვნების ლაბორატორიაში და აღტაცების ტალღები მიგაფრენდნენ დაუსრულებელ სივრცეებისკენ. მე მახსოვს ბევრი საღამო და ღამეც პარიზის ქუჩებში ვანოსთან ერთად გატარებული.

პარიზი მაშინ ჯერ კიდევ ჰგრძნობდა კომუნარების ტრაგედიას. დიდი რევოლიუციის ასპარეზი აქ იყო. ყოველი ისტორიული ნაშთი, თუ ადგილი, იწვევდა ჩვენ შორის აზრთა გაცვლას. ვანო ყოველთვის იყო საინტერესო, გულწრფელი და მოაზროვნე უაღრესად.

საქართველო,—მისი წარსული და მომავალი, ხშირად იყო ტემად მისი გატაცებულის საუბრისა. მე არ მახსოვს პატრიოტი უფრო გულწრფელი. მის პატრიოტიზმს ამბობდა არა მარტო მისი მჭევრმეტყველება მეგობართა შორის, არა, სულითა და გულით ვგრძნობდით მისი მეგობრები, თუ რაოდენი სიყვარული იყო ვანოს გულში საქართველოსადმი.

ვანო იყო პარიზის იმ დროინდელი ქართული კოლონიის სულისკვეთების გამომხატველი და ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი. მის გულს კეთილს, გონებას გახსნილს და ნათელს—დამსახურებული ჰქონდა საერთო სიყვარული.

მაგონდება ერთი შემთხვევა. პარიზში, იქ გადაცვლილი შვილის ცხედარის წამოსაღებად საქართველოში, ჩამოვიდა თავადი ალექსანდრე ერისთავი, გორის მარშალი. წარმოიდგინეთ ეს ფეოდალიზმის ღვიძლი შვილი პარიზის სინამდვილეში და ის აუარებელი კურიოზი, რომელსაც ადგილი ჰქონდა. ვანო ამ მძი-

მე მგლოვიარე თავადის ნამდვილი ლალა გახდა და ისიც მიეგებლა მას, როგორც საიმედოს.

— ყველა ნახულობდა ვანოში გულკეთილობას და [illegible] როგორც ბევრ სხვა დიდბუნებოვან ადამიანთ, ახასიათებდა არაჩვეულებრივი მიმზიდველობა.

ყველას აბარებდა მასთან ყოფნა და საუბარი. პარიზის იმ დროინდელი ახალგაზრდობა გატაცებული იყო ხალხის სიყვარულით და „ხალხში წასვლის“ სურვილით. ვანოც არ წარმოადგენდა გამონაკლისს.

ჩვენ ერთად დავიარებოდით ლექციებზე სორბონაში და კოლეჟ დე ფრანსში; მერე მოსმენილის შესახებ ვმართავდით დაუსრულებელ კამათს, — საქართველოს სინამდვილეში თუ როგორ გამოგვეყენებინა ევროპიელთა მიერ ნააზრევი თეორიები.

მე მხატვრობას ვსწავლობდი და გარდა ამისა ვუსმენდი ლექციებს ჰუმანიტარულ მეცნიერების დარგებიდან. ქართველობა ხშირად ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით. ვანო უკვე მოსჩანდა — ენერგიანი და გატაცებული საზოგადო მოღვაწე.

მეცნიერული მუშაობით გართულს და ოცნებით გატაცებულს ვანოს ეხვდებოდი ერთი წლის განმავლობაში.

შემდეგ ვანო წავიდა მონ-პელიეში აგრონომიული კურსების მოსასმენად. ახლაც ვიგონებ განშორების წუთებს, მაგრამ ვერ შესწყვიტა ჩვენი ურთიერთობა და მეგობრობა. ვანო მონ-პელიედან მიგზავნიდა ცეცხლოვან წერილებს, ამ წერილებში მოსჩანდა მისი სულის სილამაზე და გრძნობის ძლიერება.

ეს წერილები სავსე იყო ახალგაზრდული გატაცებით და ამაღლებული სილამაზით. ჩემშიც შესაფერისს გამოძახილს პოულობდა ეს მიწერ-მიწერა: ხშირად შევხვედრივარ განთიადს საწერ მაგიდასთან. წერილებს არა — მთელ თაბახებს ვუგზავნიდით ერთმანეთს. ბოლო დროამდი მქონდა ეს მიწერ-მოწერა და საუბედურო ეხლა დაიკარგა ჩემი ბინიდან. ეს იყო მეორეჯერ დაკარგვა მეგობრისა...

სხვათა შორის, მონპელიედან ვანომ გამოგზავნა ერთი ლექსი, საუბედურო ზეპირათ არ მახსოვს. ლექსი ჩემის აზრით, აღბეჭდილი იყო უტყუარი ნიჭით და ხალხური კილოთი. მე, როგორც ხალხური პოეზიის მოყვარულს და მადიდებელს, ეს ლექსი მომეწონა ძლიერ და იმავე დღეს მივწერე დიდი სიხარულით რჩევა—უსათუოდ განეგრძო წერა.

რამდენადაც მახსოვს ეს ლექსი თავდებოდა შემდეგი ხალხური თქმით: „ცა ჭუდათ არ მიმაჩნია დედამიწა ქალამნადა.“ ვანო იყო ალბად ლექსით ავად და მერე არა ერთგზის წამიკითხავს მისი ალმაფრენის ნაყოფი. მე დაბეჯითებით ვიმეორებ, რომ ვანო ნიჭიერი ლექსების ავტორი იყო. შემდეგ კიდევ მივიღე მისგან რამოდენიმე წიგნი, სადაც ლექსებიც იყო. ყველა ეს ლექსები და ბარათები დაკარგულია ჯერ-ჯერობით, თუ აღმოჩნდა სადმე დიდის სიამოვნებით მივაწვდი მკითხველ საზოგადოებას.“

დ. გურამიშვილისაგან გახსენებული ლექსი დაბეჭდილია ჟურნალ „ივერიაში“ (1879, მარტი) ინიციალით მ. თარიღით 1878 წ. ლექსის ყოველი ტაე-

პი თავდება ხალხური რეფრენით: „ცა ქუდათ არ მიმაჩნია დედამიწა ქალამანათ“.

„ივერიის“ ამავე ნომერში დაბეჭდილია მე-4 ლექსი, იმავე ინიციალით რომელსაც აქ ვბეჭდავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნება

ზაფხულის ღამეს ვიწექ გულდაღმა და შევყურებდი ჩემზედ შეკრულსა
ცისა კამარას ულრუბლუმთვაროს, ვარსკვლავებითა აჭრელებულსა,
არც ფრინველთ შტვენა, არცა ბუზის ხმა ჩემსა გარშემო არ მოისმოდა,
და მიძინებულს მშვენიერს ღამეს ნიავიცა კი ძილს არ უფრთხობდა.

ვფიქრობდი, ნუ თუ ვინცა შექმნა ცა და ქვეყანა,—
შექმნა ჩვენთვისა უთვალავნი ესე ვარსკვლავნი?
ნუ თუ იმისთვის მზე და მთვარე ქვეყნათ მოჰფინა,
რო მხოლოდ სულდგმულთ ქვეყნიერთა დაგვეტკბოს თვალნი?
ნუ თუ ბუნების სუფრა ჩვენ, კაცთ, გვიშლია წინა
და სანთელთ წილათ გვინათობენ ცის მნათობთ ალნი?
და შემოქმედმა ნუ თუ მხოლოდ ჩვენ მოგვიჩინა,
ჩვენ, მიწიერთა, დედა-მიწის და ზეცის ძალნი?!

არა, არ მჯერა, რომ ესე იყოს ქვეყნიერების განწყობილება.
ეს არის მხოლოდ ამაყი აზრი, ბუნებისადმი ცილის წამება;
დედამიწაა ერთი ვარსკვლავი ცისა სილრმეში გადაკარგული,
ვინ მისცა ამას დანიშნულება სხვა ვარსკვლავთ შორის განსხვავებული?!
მე მჯერა, რომა ერთს გვარს მიზეზზედ ქვეყნის ბრუნვაა დამყარებული,
რომ ციურთ სხეულთ მრავალთ იგივე დასაწყისი აქვთ და დასასრული,
რომ ზოგს მათგანზედ თუმც ჯერეთ კიდევ სულდგმულთ ცხოვრება არ დაუწყვიათ,
მაგრამ კი ბევრთ სხვათ მნათობთ სიცოცხლე განგებისაგან წილათ ხდომიათ.

მჯერა, რომ ზოგნი სხვებზედ მეტად მოელვარენი.
დედამიწისა წარსულს ხატსა წარმოგვიდგენდენ,
ჯერ არცა მწერნი, არც ყვავილნი, არც მცენარენი
იქაურ ველთა არ ამკობენ, არც აჭრელებენ.
მაგრამ რას ვამბობ, იქ რა უნდა ან ველს, ან ტყესა!
ბუნების ძალნი არ არიან ჯერ იქ დამცხრალნი,
იქ გაურჩევლათ ერევიან ჯერ ერთმანეთსა
ცეცხლისა ალნი, წყლისა ორთქლნი, ქართა ქროლვანი.

მათზედ ყოველნი მიწის კავშირნი მსუბუქს ჰაერათ გარდაქცეულან:
რკინა და მიწა, ქვა და სულგმული იქ სიცხის ბულში ვერ გარჩეულან.
მჯერა, არიან ესე ვარსკვლავნი ცეცხლით მოცულნი მიწის სახენი,
უზომუძირო, დაუსრულებელს, ცივსა სივრცეში მოცურავენი:

ვინ იცის კიდევ ჯერეთ ძალნი რამდენთ მათგანთა
ცხოველ მცენარეთ სიცოცხლითა აგვირგვინებენ
მხოლოდ ცეცხლის მთათ აღმოხეთქა და ძვრა მიწათა
უწინდელს დროსა მოძრაობას მოასწავებენ.

ვინ იცის კიდევ რამდენ მათგანზედ ნოე აშენებს თვის კიდობანსა,
რამდენი ქრისტე ჩაგრულთა შორის ჰქადაგებს წმინდა სახარებასა!
იქნება ზოგზედ ჩინგისყეინი ქრისტიანთ ქვეყნებს მტვერს ადინებდეს
ანუ რუსთველი ვეფხისტყაოსანს თამარ-დედოფალს კარს კითხულობდეს?

იქნება იყოს იმისთანა ვარსკვლავი ცაზედ,
რომლისა ბედი ამ მიწის ბედს არ ერჩეოდეს;
იქნება ეხლა ჩემებრ კაცი სცხოვრობდეს მაზედ
და რასაც ვფიქრობ ეხლა, ისიც იმას ჰფიქრობდეს!

მაშინ იმის თვალს წარმოუდგება ცისა კამარა სხივმოფენილი.
ცისა კამარა ულრუბლ-უმთვარო, ვარსკვლავებითა აჭრელებული;
იქნება ქვეყნის მანათობელი მზე იმის თვალში მკრთალად ბჟუტავდეს
და დედამიწა უშველებელი თვით ვარსკვლავათაც კი არა სჩანდეს.

მჯერა, არიან ზოგიერთნი სხეულნი ცისა,
რომელნიც უქმათ, უსულოთა მიმოძრაობენ
ყოველი კვალი გაჰქრობიათ მათ სიცოცხლისა,
მათზედა ძალნი ბუნებისა არარაობენ.
მნათობთა შუქნი უდაბურთ ველთ არ დასცქერიან
უდაბურება და წყვდიადი რომ გაანათონ
და მოზუზუნე, ქარიშხალნიც იქ არა ჰქრიან
რომე ვაება სიკვდილისა მათზედ მოჰფინონ.
მჯერა მე კიდევ, რომ ურიცხვთა ვარსკვლავთა შორის
არის ვარსკვლავი, რომელსაცა ჰხდომია ხვედრათ
იმის ახდენა. რაც ჩვენთვის ჯერ სიზმარი არის,
რაიც მრავალთა მიაჩნიათ შეუსრულებლათ:
იქა მტარვალთა მბრძანებელთა ხმა შეწყვეტილა.
იქ ალარ არის უსწორობა, შური და მტრობა,
იქ ათი მცნება ერთ მცნებათა გადაქცეულა.
ეს მცნება არის: „საუკუნოთ ყოველთა ძმობა“...

ეს „ასტრონომიული“ ლექსი მიუხედავათ ფორმის სილარიბისა, იმ პერიოდის ბუკოლიურს პოეზიაში მაინც გამონაკლისათ უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცნიერება და პუბლიცისტიკა

ა. დეგტ რინი

ლენინი—მებრძოლი მატერიალისტი

ლენინის სახით კაცობრიობამ დაჰკარგა არა მარტო დიადი მეამბოხე, არა მარტო პირველხარისხოვანი პოლიტიკოსი და მუშათა კლასის გენიოსი ბელადი, არამედ უშესანიშნავესი რევოლიუციური მოაზროვნე—მებრძოლი მატერიალისტიც, „ფილოსოფოსთა მიერ ასე თუ ისე საკმაოდ ახსნილ და განმარტებულ იქმნა მსოფლიო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ის გარდაქმნა“-ო ამბობდა კარლ მარქსი.

ეხლა უკვე მოძველებულია ასეთი ტიპის მოაზროვნე-ფილოსოფოსი. მოაზროვნე, რომელიც იკვლევს და ხსნის სამყაროს, სჭვრეტს ცხოვრებას, ჰქმნის სისტემებს და სკეპტიკურად უცქერის ცხოვრების მჩქეფარე ნაკადს, თან კიდევაც აძაგებს სინამდვილეს თუ ეს უკანასკნელი მის მიერ შექმნილ სისტემაში არ თავსდება, მოაზროვნე ასეთი ტიპისა მორეულ წარსულს ეკუთვნის. მართალია უდიდეს აღმოჩენებს აღწევდენ ასეთი მოაზროვნენი სამყაროს ახსნაში, მაგრამ მათი გონება და ნებისყოფა არასოდეს არ ყოფილა შეწყნული მტკიცე განუყრელ ერთეულად. მუშათა კლასის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რევოლიუციურ მოაზროვნეთა ახალი ტიპი შექმნა, რომელთა მიზანია არა მარტო შემეცნება მსოფლიოსი, არამედ მისი გარდაქმნაც.

ლენინი არის განსახიერება ასეთი რევოლიუციური მოაზროვნისა.

ლენინის ერთიანი აზრი და ნება დიალექტიური მთლიანობის განხოციელებაა. ამ მხრივ მასში სავსებით აისახა „ბუნება“ იმ კლასისა, რომლის იდეოლოგად და წინამძღვრად იგი ითვლება. მან მთელი თავისი ტიტანიური ნებისყოფა და ნათელი აზრი, მუშათა განთავისუფლების, მსოფლიოს გადახალისების და გარდაქმნის საქმეს შეალია. ამ შემთხვევაში ლენინი ჭეშმარიტად შეუდარებელია საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობის ისტორიის მთელ სივრცეზე. მაგრამ ლენინი როდია მარტო რევოლიუციონერ-პრაქტიკოსი და ემპირისტი. მუშათა მოძრაობის თვითეულ ეტაპს ის საერთო მარქსისტულ თეორიის თვალსაზრისით არკვევდა.

მარქსიზმი, როგორც მსოფლიო ქმნადობის თეორია, ლენინის მიერ გამო-

ყენებული იყო, როგორც ოწინარი, რომლის მეოხებით მას მსოფლიოს შეტრიალება სწადდა.

ემპირისტ-პრაქტიკოსი მოქმედებს ასე ესთქვათ შემთხვევითობისაკენ. ის ვერ ერკვევა მოვლენათა ერთობლივობაში, ვერ ხედავს მოვლენათა შინაგან კავშირს და კანონშეწონილებას. მარქსის ან ლენინისებური რევოლიუციური მოაზროვნე კი არ კმაყოფილდება კერძო და შემთხვევითი ფაქტებით, არ კმაყოფილდება მოვლენათა ზერელე გაგებით, არამედ მათი რევოლიუციური მოღვაწეობა მოვლენათა არსს და კანონს ეყრდნობა. საზოგადოების არსებობის და განვითარების კანონი მათი რევოლიუციური საქმიანობის საფუძველია. სინამდვილეს განუწყვეტი ქმნადობა და განვითარება ახასიათებს, რომელიც მის შინაგან კანონების თანახმად სწარმოებს. და თუ ეს შინაგანი კანონები კაცობრიობისათვის მიუწდომელი და გამოუცნობია, თუ ის მისთვის საიდუმლოების ბურუსშია გახვეული, მაშინ იგი ბრმად ემორჩილება, თან მიჰყვება ხოლმე მოვლენათა სვლას და თავბრუ დასხმული ხეტიალობს მოვლენათა უსაზღვრო ბნელ სივრცეში. მაგრამ კაცობრიობა ფხიზლდება, როდესაც ეს კანონები მისთვის ნაცნობია, როდესაც იგი მათ შეიცნობს.

ხოლო როცა საზოგადოებრივი ევოლიუციის ბრმა აუცილებლობას დაეუფლება კაცობრიობა, მაშინ იგი „თავისუფალი“ ხდება.

მარქსიზმი სწორედ ისეთი მოძღვრება არის, რომელმაც ეს კანონები აღმოაჩინა, პირველად მარქსმა გამოიმუშავა სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციის ცნება. „მარქსიზმის გამოსავალი წერტილი ადამიანთა თანამშრომლობის და კოლექტიურ ცხოვრების ძირითადი ფაქტია—სახელდობრ: საარსებო საშუალებათა მოპოების წესი. ამ ძირითად ფაქტს, მარქსიზმი, ადამიანთა იმ ურთიერთობას უკავშირებს, რომელიც სწორედ საარსებო საშუალებათა არსებულ წესებით განისაზღვრება. ამ ურთიერთობის სისტემაში (მარქსის ტერმინოლოგიით რომ ვსთქვათ „საწარმოო ურთიერთობის“ სისტემაში) მარქსისტულ თეორიამ საზოგადოების ძირითადი საფუძველი აღმოაჩინა, რომელიც პოლიტიკურ, იურიდიული და საზოგადოებრივი აზროვნების განსაზღვრული მიმართებით გარემოცულია. მარქსისტულ თეორიის მიხედვით საწარმოო ურთიერთობათა თვითეული ასეთი სისტემა, განსაკუთრებული სოციალური ორგანიზმია.

ამ სოციალურ ორგანიზმს თავის ჩასხვის, არსებობა—განვითარების და სხვა უმაღლეს ფორმის სოციალურ ორგანიზმად გარდაქმნის განსაკუთრებული კანონები აქვს“*).

სოციალურ სამყაროს ახსნის თეორია, ლენინის სიტყვებით რომ ვსთქვათ, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი ჩასახვის, არსებობა—განვითარების და უმაღლეს ფორმაში გადასვლის — ე. ი. სხვა სოციალურ ორგანიზმად გარდაქმნის —კანონები აღმოაჩინო.

რა თქმა უნდა სწორი და ობიექტიურად ჭეშმარიტ თეორიის გარეშე შეუძლებელია შეგნებული, გეგმიანი—ისტორიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

*) Н. Ленин, „За 12 лет“, გვ. 57.

ასეთი თეორია აუცილებელი პირობაა ისტორიულ პროცესზე შეგნებულ შემოქმედებისათვის. თუმცა ზემოხსენებული კანონების აღმოჩენა თავისთავად დიდებული საქმეა, მაგრამ იგი მაინც საკმარისი არ არის.

აუცილებლად საჭიროა აღმოჩენილ კანონებზე დაყრდნობით, მოსძებნოთ ის საშუალებანი, რომელნიც ერთ სოციალურ ორგანიზმს მეორეთ გარდაჰქმნის და თანაც სინამდვილეში განახორციელოდ ასეთი გარდაქმნა.

შესაძლოა მშვენიერ თეორიით იყვეთ შეიარაღებული, ხოლო სინამდვილეს მხოლოდ „ფილოსოფიურად" სჭვრეტდეთ. სინამდვილის გარდასაქმნელად საჭიროა, რომ თეორია თვით იქცეს სინამდვილედ—აქტიურ—შემომქმედ ძალად,—ერთი სიტყვით საჭიროა თეორია პრაქტიკად იქცეს.

და სწორედ მარქსიზმში ისეთი ფილოსოფიური მსოფლმხედველობაა, რომელიც თეორიას პრაქტიკად და პრაქტიკის თეორიად ქცევას მოითხოვს.

ამით მარქსისტული თეორია სხვა თეორიებისაგან განსხვავდება. მარქსიზმი არ თიშავს თეორიას პრაქტიკისაგან. თეორიის და პრაქტიკის დიალექტიური მთლიანობა მოითხოვს, რომ თეორია „პრაქტიკული" იყოს, პრაქტიკა კი თეორიით გაშუქებული, რომ იგი თვით თეორიად იქცეს. „მარქსს იოტის ოდენა უტოპიზმი არ მოეპოებაო,—ამბობს ლენინი, მას კი არ შეუთხზავს, არ მოუგონია, მისი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის „ახალი" საზოგადოების ძველიდან წარმოშობა. არამედ ის იკვლევს ძველი საზოგადოებიდან ახალში გარდამავალ ფორმებს, როგორც ბუნებრივ ისტორიულ პროცესს. ის იღებს მასიურ პროლეტარული მოძრაობის გამოცდილებას და ცდილობს გამოიყვანოს იქიდან პრაქტიკული გაკვეთილები. ის სწავლობს კომუნიდან, ისე როგორც ყოველი დიადი რევოლიუციური მოაზროვნე არ უფრთხის ისწავლოს ჩაგრულ კლასის დიდ მოძრაობათა გამოცდილებიდან, და არასოდეს არ მიმართავს ხოლმე მას პენდანტური „ჭკუის დარიგებით"-ო. *)

ამ სიტყვებით ლენინი მარქსს ახასიათებს, მაგრამ იგივე ლენინზე შეიძლება გავიმეოროთ. კიდევ მეტი, ეს სიტყვები ლენინს უფრო ზედმიწევნით ახასიათებს, ვინაიდან მას უფრო მეტი საშუალება ჰქონდა, ვიდრე მარქსს, თავის თეორიები მეტად რთულ საერთაშორისო მდგომარეობის დროს, მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში გამოეყენებია. აქ უნდა ითქვას, ლენინს შეეძლო შეცდომები დაეშვა, რასაც ის არა ერთხელ აღიარებდა, მაგრამ ამ შეცდომებს განსაკუთრებული ხასიათი აქვს, როგორც ორტოდოქსალი მარქსისტი, დოქტრინიორობა მისთვის უცხო იყო. მარქსიზმი გვასწავლის, რომ თეორიას არა აქვს თავისთავად თვითმყოფი ღირებულება ან დამოუკიდებელი მნიშვნელობა აბსოლიუტური ჭეშმარიტების სახით, რომელსაც გამართლება და კრიტერიუმი თავის თავში აქვს. ლენინმა საუცხოოდ შეითვისა მარქსის მოძღვრება, სრულიად დაეუფლა მის მეთოდს, ის არ ებღაუჭება განყენებულ თეორიებს, არ ეთაყვანება ფეტიშებს. პირიქით ლენინი როგორც კი რწმუნდება, რომ რომელიმე თეორია უსიცოცხლო „აბსტრაქტიული" ბუნებისაა, შეურიგებლად უკუაგდებს მას. ისე როგორც მარქ-

*) Ленин, т. XIV, Государство и революция, გვ. 335.

სი. ლენინი სწავლობს „მასიურ პროლეტარულ მოძრაობის გამოცდილებას“ და იქედან იღებს პრაქტიკულ გაკვეთილებს, თეორიაში გარდაქმნილს. თეორიამ უპირველეს ყოვლისა პრაქტიკის გამოცდა უნდა დაიჭიროს.

„ადამიანმა პრაქტიკით უნდა დაასაბუთოს საკუთარი აზროვნების ჭეშმარიტება“. თეორია არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი საკვიდრო. პირველობა პრაქტიკას ეკუთვნის. თეორია, რომელიც პრაქტიკის გამოცდას აიტანს, არის ობიექტიური ჭეშმარიტება. მარქსი გვასწავლიდა: არ უნდა შემოისაზღვროთ მხოლოდ გონებაში არსებულ ობიექტებით, არამედ აუცილებლად—საქმე კონკრეტ ობიექტებთან უნდა იქონიოთ. ამიტომ სინამდვილე განხილულ უნდა იყოს „ადამიანის საქმიანობის კონკრეტ ფორმებში, პრაქტიკის სახით“. აქ თეორია სრულიად გარკვეულ ხასიათს და განმარტებას ღებულობს, რომელიც წინა მოაზროვნეთა შეხედულებისგან არსებითად განსხვავებულია.

მოაზროვნე მით უფრო შორსმჭვრეტელია, რაც უფრო უკეთ ერკვევა სინამდვილის მამოძრავებელ ძალებში. მისთვის ნათელია გზა მიმდინარე სინამდვილისა, მას მომავლის განსჭვრეტის უნარი აქვს. მარქსიზმი, როგორც განმანთავისუფლებელი მოძრაობის თეორია, სინამდვილის მიმართ გულცივ დამოკიდებულებას და მხოლოდ მის ჭვრეტას კი არ მოითხოვს, არამედ მის გარდაქმნასაც ობიექტიურად მომზადებულ შესაძლებლობათა თანახმად. ლენინი თავის პიროვნებაში აერთებდა რევოლიუციურ მოაზროვნეს და ცხოვრების გარდამქნელს.

თანამედროვე ხანაში პროლეტარულ მოძრაობის წიაღიდან რევოლიუციურ მოაზროვნეთა ახალი ტიპი წარმოიშვა. ამ მოაზროვნეთა უშუალო მიზანს წარმოადგენს, ქვეყნის და ცხოვრების შეცვლა და გარდაქმნა. მარქსიზმში პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ მოძრაობის არა მარტო თეორიაა, არამედ მისი პრაქტიკაც, ის სინამდვილის არა მარტო განმარტება, არამედ მისი გარდაქმნაც. როდესაც ვლაპარაკობთ ლენინზე, როგორც ცხოვრების გარდამქნელზე, ჩვენ ერთი წუთით არ ვივიწყებთ იმ ობიექტიურ პირობებს, რომელთაც მისი მოღვაწეობა შესაძლოთ გახადეს. ლენინი მარქსის გენიალური მოწაფე და მიმდევარია. უეჭველია, რომ ლენინის მთელი ძლიერება გარდა მისი პირადი გენიალობისა აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ მან მარქსიზმი პრაქტიკულად გამოიყენა მისი ცხოვრებაში გატარებით. ლენინი ძლიერია მარქსიზმით ლენინიზმი—რევოლიუციური მარქსიზმია ლენინის გაგებით და გამოყენებით. მარქსი უპირველეს ყოვლისა გენიალური თეორეტიკოსი და კოლოსალური ჭკუაა, რომელიც ასეული წლებით წინ იმზირება. ბურჟუაზიას ასეთი მოაზროვნე არ წარმოუშვია და არასოდეს არ ჰყოლია. რასაკვირველია ბურჟუაზიის ბანაკიდან გამოირჩევა გენიალური მოაზროვნენი, ისინი ქმნიდენ ყოვლად ფილოსოფიურ სისტემებს, მათ ბევრი რამ გაუკეთებიათ საზოგადოთ მეცნიერების სფეროში, მაგრამ მათი სისტემები „აკადემიზმით“ დამძიმებულია.

ეს მოაზროვნენი და სწავლულნი ისწრაფვოდენ შორეულ ცის სხეულებისაკენ, სწვდებოდენ ატომის სილრმემდე. ხოლო საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებისათვის მათ შედარებით ცოტა გააკეთეს. აქ ისინი ტლანქი ემპირიკოსები იყვნენ, რადგან ისტორია მათ წინააღმდეგ იყო. მათ ისტორიული გან-

ეითარების სვლა სურდათ შეეჩერებინათ და შემოეფარგლათ. პროლეტარულ რევოლიუციურ მოაზროვნეთა მთელი ძლიერება, ადამიანთა [illegible] ბების დაპყრობაზე, მის მამოძრავებელ ძალთა შეცნობაზე მის გ[illegible] მიპყრობილი.

მარქსმა უმაღლესად განავითარა სოციალური მეცნიერებანი და აიყვანა იგი ზუსტ მეცნიერების დონეზე. მარქსიზმმა, პოლიტიკა მეცნიერებათ აქცია. ლენინი ამ სკოლის გენიალური პოლიტიკოსი იყო. მარქსიზმი მისთვის მეცნიერული პოლიტიკის თეორეტიული საფუძველია.

ამიტომ ლენინიზმი — მარქსისტული პოლიტიკა და ტაქტიკაა. ლენინიზმი კი არ უნდა დაუპირისპიროთ მარქსიზმს, როგორც ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიურ თეორიას, რომელზედაც ლენინის პოლიტიკა და ტაქტიკაა აგებული, არამედ მასში ჩვენ მარქსიზმის გამოყენებას და განვითარებას უნდა ვხედავდეთ. ლენინიზმმა თავის მხრივ გააღრმავა მარქსიზმი, ე. ი. მარქსისტული მეცნიერება, მარქსისტული თეორია, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმუშავებია „ლენინის“ ცდა. მაგრამ უეჭველია, რომ ლენინმა, მარქსის ერთგულ ორტოდაქსალ მოწაფემ ბევრი რამ გააკეთა თვით მარქსიზმის განვითარების და გაღრმავების სფეროში.

საზოგადოება განსაზღვრულ პირობებში, შესაძლოა ექსპერიმენტის საგნად გახდეს. ბუნება აღმართულია ჩვენს წინაშე, როგორც უცხო რამ.

ექსპერიმენტების შესაძლებლობა აქ განსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული. საზოგადოებრივ ცხოვრებაში საქმე სხვა გვარათაა.

აქ უპირველეს ყოვლისა თვით ჩვენ, ადამიანები აქტიური მოღვაწეები და შემომქმედნი ვართ. ისტორია იქმნება ადამიანების მიერ, ხოლო ბუნებას კი ადამიანები არ ქმნიან. ლენინი — უდიდესი სოციალური ექსპერიმენტატორია. ის თვითეულ თეორეტიულ დებულებას პრაქტიკულად სცდიდა.

II

ლენინის მოღვაწეობის გასაგებად, აუცილებელია მისი მსოფლმხედველობის და მეთოდის ზოგადი საფუძვლების გარკვევა. ლენინი იყო მარქსისტი ე. ი. დიალექტიური მატერიალისტი. მისთვის, როგორც მარქსისათვის აზროვნება პრაქტიკით ასაბუთებს თავის ჭეშმარიტ ბუნებას. „პრაქტიკის, ცხოვრების თვალსაზრისი, შემეცნების თეორიის პირველი და ძირითადი თვალსაზრისიც უნდა იყოს“, ამბობს ლენინი.

ეს შეხედულება აუცილებლად მატერიალიზმამდე მიგვიყვანს და ამით ყალბი პროფესორულ სქოლასტიკას თავს ვაღწევთ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ პრაქტიკის კრიტერიუმით არასოდეს არ შეიძლება არსებითად დარღვეული ან დასაბუთებულ იქმნეს საკუთარი ადამიანის რომელიმე წარმოდგენა. ეს კრიტერიუმი იმდენად გაურკვეველი ან „განუზსაღვრელია“, რომ ადამიანის ცოდნას „აბსოლიუტამდე“ ასვლა არ ძალუძს და ამავე დროს იმდენად გარკვეული ან „განსაზღვრულია“, რომ იდეალიზმის

და აგნოსტიციზმის ყოველგვარ სახესთან შეუძლია ბრძოლა აწარმოოს. იმ შემთხვევაში, თუ ის რასაც ჩვენი პრაქტიკა ამტკიცებს არსებითად ერთი ობიექტიურის ჭეშმარიტება, მაშინ ამ ჭეშმარიტებისაკენ მრავალ ერთად ერთ გზად მატერიალისტურ თვალსაზრისზე დამდგარი მეცნიერული გზა უნდა აღვიაროთ"[1]). და შემდეგ ის მარქსის თეორიაზე ამგვარათვე ლაპარაკობს: „...რადგანაც პრაქტიკის კრიტერიუმი, ე. ი. უკანასკნელ ათეულ წლებში კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარება მარქსის მთელ სოციალურ ეკონომიურ თეორიის საერთო და არა მის რომელიმე ნაწილის ობიექტიურ ჭეშმარიტებას ადასტურებს, ცხადია, რომ მარქსისტების, „დოგმატიზმზე" ლაპარაკი—ეს მიუტოვებელი დათმობაა ბურჟუაზიულ ეკონომიისათვის. დებულება, რომ მარქსისტული თეორია ობიექტიურად ჭეშმარიტია, ყველა მარქსისტისათვის მისაღებია, აქედან ერთადერთი დასკვნა: თუ მარქსისტული თეორიის გზით ვიარეთ, ჩვენ უფრო და უფრო მიუახლოვდებით ობიექტიურ ჭეშმარიტებას (თუმცა ვერასოდეს ვერ ამოვწურავთ მას); ყოველ სხვა გზაზე დადგომით ჩვენ გარდა გაუგებრობისა და ცდომილებისა ვერაფერს ვერ მივაღწევთ".[2])

დაუფიქრდი მკითხველო ამ ორ ციტატას. აქ ლენინმა მოკლედ და ნათლად ჩამოაყალიბა მარქსისტული გნოსეოლოგიის ძირითადი აზრი, რომელიც მისი საკუთარი პრაქტიკული მოღვაწეობის თეორეტიულ საფუძველს წარმოადგენს.

და რას ვამჩნევთ ჩვენ? ლენინი უპირველეს ყოვლისა ფეიერბახის, მარქსის, ენგელსის და პლეხანოვის თანახმად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აუცილებლად, შემეცნების თეორიას, საფუძვლად ადამიანის პრაქტიკის მთლიანობა დაედვას.

ეს მომენტი მარქსისტული ფილოსოფიის ანუ მატერიალიზმის განსაკუთრებული ხაზია. იმ დროს, როდესაც იდეალიზმი „ქვეყნის ობიექტიურობის და სუბიექტიურობის, სინამდვილისა და არა სინამდვილის საკითხს აყენებს და სწყვეტს მხოლოდ თეორეტიული თვალსაზრისით", როგორც ფეიერბახი ამბობს.

იდეალისტური ფილოსოფია ჭეშმარიტების კრიტერიუმს თვით აზრში ეძებს.

მარქსისტული ფილოსოფია კი პრაქტიკას მიმართავს. ამიტომ იდეალიზმს ყოველთვის უსიცოცხლო აბსტრაქციებთან აქვს საქმე, მატერიალიზმი კი პრაქტიკის, ცხოვრების თვალსაზრისს ყველაზე მაღლა აყენებს.

მატერიალიზმი და იდეალიზმი სხვა და სხვა კლასიური იდეოლოგიის გამოსახულებაა, იდეალიზმი იმ კლასის იდეოლოგია არის, რომელიც წარმოების უშუალო პროცესს, წარმოებითი პრაქტიკას მოწყვეტილია. მატერიალიზმი კი მწარმოებელთა კლასის, ე. ი. თავის არსებით პრაქტიკულ კლასის, მსოფლიო-გზნების და მსოფლ-გაგების გამოსახულებაა. იდეალიზმისათვის, აზრის ქმედობა, თეორეტიული საქმიანობა—ეს ჭეშმარიტი კაცობრიული მოღვაწეობა, პრაქტიკუ-

[1]) თბზულ. კრებ. Н. Ленин. т. X, გვ. 115.
[2]) ibidi გვ. 115.

ლი საქმიანობაა. მატერიალისტი ფეიერბახი კიდევაც ამბობდა, რომ ფილოსოფია პრაქტიკასთან შედარებით, მხოლოდ „აუცილებელი ბოროტებაა“[1].)

ამრიგად, ლენინი შემეცნების თეორიას საფუძვლად უდებს ადამიანის პრაქტიკის მთელ მთლიანობას. ხოლო აუცილებელია აქვე აღვნიშნოთ, რომ ლენინს პრაქტიკის პრიმატი იმ აზრით კი არ ესმოდა, როგორც ეს პრაგმატისტებს და მახის მიმდევართ ესმით.

მარქსისტულ შემეცნების თეორიის ამ ძირითად გამოსავალ დებულების ასეთ უსწორო გაგებას და განმარტებას ჩვენ არა მარტო მახის მიმდევართ შორის ვხვდებით. შემეცნება შესაძლოა ბიოლოგიურად სასარგებლო იყოს, ამბობს ლენინი, მახის მიმდევართა საპასუხოდ, — ადამიანის პრაქტიკაში სასარგებლო, სიცოცხლისა და სახის შენარჩუნებაში, მხოლოდ მაშინ, თუ ის ადამიანისაგან დამოუკიდებულ, ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს. მატერიალისტისათვის ადამიანის პრაქტიკის წარმატება, ნივთთა (რომელსაც ჩვენ შევიცნობთ) ობიექტურ ბუნების და ჩვენ წარმოდგენათა შესაბამობას ასაბუთებს. სოლიპსისტისათვის ყოველივე „წარმატებას“ რაც ადამიანს პრაქტიკაში სჭირია, რომელიც შეიძლება განხილულ იყოს შემეცნების თეორიის გარეშე. თუ შემეცნების თეორიის საფუძველში პრაქტიკის კრიტერიუმს შევიტანთ, ჩვენ აუცილებლად მატერიალიზმს მივიღებთ,—იტყვის მარქსისტი. დეე პრაქტიკა მატერიალისტური იყოს, ხოლო თეორია ეს სხვა საქმეაო — „ამბობს მახი“. პრაქტიციზმს, ვულგარულ, ბურჟუაზიულ გაგებით არავითარი საერთო არა აქვს მარქსიზმის და მატერალიზმის მიერ პრაქტიკის გაგებასთან. როგორ ესმის ლენინს ადამიანის

[1]) აქ დასაშვებია, სხვათა შორის აღვნიშნოთ ლენინის მიერ ფეიერბახის, ჩვენის თვალსაზრისით შეტად სამართლიანი შეფასება. ლენინი ფილოსოფიაში, რასაკვირველია, პლეხანოვის „მოწაფეა“, რაც მან არა ერთხელ აღიარა. მაგრამ ის გარემოება, რომ ის, როგორც ჩვენ, პლეხანოვისაგან სწავლობდა, არ უშლიდა მას მთელ რიგ საკითხებს თავისებურად მიდგომოდა და ზოგიერთ არსებით პუნქტებში კიდევაც „შეესწორებია“ პლეხანოვი. ორივე მოაზროვნე ერთნაირად ძვირფასია ჩვენთვის. ჩვენ ვეკუთვნით მათ, ვინც პლეხანოვის გამო ლენინს უარყოფს ან ლენინის გამო პლეხანოვს. განსაზღვრულ მნიშვნელობით ისინი ერთმანეთს ავსებენ. პლეხანოვი, უპირველეს ყოვლისა თეორეტიკოსია. ლენინი კი უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკოსი, პოლიტიკოსი და ბელადია. მაგრამ ჩვენი ნსოფლმხედველობის განვითარების და გაღრმავების სფეროში ორივეს დიდი ღვაწლი მიუძღვით. დაუბრუნდეთ ლენინს და ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იმ დროს, როდესაც პლეხანოვი 1908 წელში გამოსულ თავის „მარქსიზმის ძირითადი საკითხებში“, იმ შეხედულებას იზიარებს, თითქოს ფეიერბახს „პრაქტიკულ-კრიტიკულ მოღვაწეობის“ შესახებ არა გაეგებოდა რა, ლენინი 1909 წ. თავის „მატერიალიზმსა და ემპირიკრიტიციზმში“ გარკვეულად წინააღმდეგ თვალსაზრისზე სდგას. ლენინი ამ შემთხვევაში ფეიერბახს მარქსსა და ენგელსისაგან არ აცალკევებს. „ფეიერბახი, ამბობს ლენინი, მარქსის და ენგელსის მზგავსათ შემეცნების თეორიის ძირათად საკითხებში „ნახტომს“ აკეთებს პრაქტიკისაკენ, რაც შულცის, ფიხტეს და მახის თვალსაზრისით დაუშვებელია“. „ფეიერბახს, შემეცნების თეორიის საფუძველად, ადამიანის პრაქტიკის მთელი მთლიანობა აღრიცხვაში აჰყავს.“ (თხზ. კრ. ტ. X, გვ. 114) პლეხანოვმა თავის სტატიაში „იდეალიზმიდან მატერიალიზმამდე“ (1915 წ.) უმეტესია ლენინის გავლენით შეიცვალა შეხედულება ფეიერბახზე. და რაც კიდევ საინტერესოა, პლეხანოვი იმის დასამტკიცებლად, რომ ფილოსოფიურ თეორიაზე დამღუპველ გავლენას ახდენს პრაქტიკულ მოღვაწეობასთან კავშირის გაწყვეტა და რომ ეს აზრი სავსებით ეთანხმება ფეიერბახის ფილოსოფიას ეშყარება იმავე ადგილს, რაც ლენინს მოყავდა.

პრაქტიკის წარმატება? როგორ ესმის მას ჩვენ წარმოდგენათა და ობიექტიურ სინამდვილის შესაბამობა? ისე როგორც ჩვენი წარმოდგენები და ცნებანი ობიექტიური სინამდვილის აბსოლიუტური ანარეკლი არ არის. ეს ადამიანის პრაქტიკის წარმატება, ადამიანის მოღვაწეობა, ობიექტიურ ჭეშმარიტებასთან მხოლოდ დაახლოებებაა. საკითხის ასეთი სწორი და ღრმა-მარქსისტული გაგება, იმას მოწმობს, რომ ლენინის მსოფლმხედველობაში დოგმატიზმისა და დოქტრინიორობის წვეთიც არ მოიპოვება.

„თუ მარქსისტული თეორიის გზით ვიარეთ ჩვენ უფრო და უფრო მიუახლოვდებით ობიექტიურ ჭეშმარიტებას, თუმცა ვერასოდეს ვერ ამოვწურავთ მას“. სახელდობრ ამისთვის მარქსის თეორია ობიექტიური ჭეშმარიტებაა.

ის, რასაც ჩვენი პრაქტიკა ამტკიცებს, როგორც წმინდა — თეორეტიული, აგრეთვე, საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში, არის ერთად ერთი ობიექტიური ჭეშმარიტება. სხვა გზა ობიექტიურ ჭეშმარიტებისაკენ არ არის. მაგრამ ლენინი ლაპარაკობს სწორედ გზის, მეთოდის შესახებ და მას მშვენივრად ესმის, რომ ყოველი ჭეშმარიტება თავისთავად რელატიური და არა აბსოლიუტური ბუნებისაა. ამიტომ უაღრესად საყურადღებოა ისეთი გზა, სწორი მიმართულება, რომელსაც ჭეშმარიტებისაკენ მივყევართ. ხოლო თვით აბსოლიუტურ ჭეშმარიტებას ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ.

მას ჩვენ შემეცნებისა და მოღვაწეობის დროს მხოლოდ უახლოვდებით.

პრაქტიკის კრიტერიუმი საკმაოდ გაურკვეველი ანუ „განუსაზღვრელია“, რომ დოგმატიზმის და აბსოლიუტიზმის თვალსაზრისს თავი დააღწიოს და საკმაოდ გარკვეული ან „განზღვრულია“ იდეალიზმთან საბრძოლველად და მის უარსაყოფად. ამიტომ ლენინი თავის პრაქტიკულ რევოლიუციურ მოღვაწეობაში, გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა, პოლიტიკურ ფორმების, გარკვეულ ლოზუნგების და სხვ. პრაქტიკაში გამოცდას. გარკვეულ ფორმათა, როგორიც არის მაგალ., დემოკრატია ან კონსტიტუცია და სხ. არა თეორეტიული დაძლევა არამედ განცდისა და ცდის გზით ცხოველი, პრაქტიკული გადალახვა, იმ მიზნით რომ მათ მოუღო ბოლო როგორც ილიუზიებს, რომელიც შესაძლოა განვითარების ერთ საფეხურზე „ჭეშმარიტი“ იყოს, ხოლო სხვა უმაღლეს საფეხურზე კი ყალბი და ცდომილი.

„დემოკრატიის სრული განვითარება, განვითარების ამგვარ ფორმათა შერჩევა, მათი პრაქტიკაში გამოცდა და ა. შ.—ყველა ეს სოციალურ რევოლიუციისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ამოცანაა“ [1]).

ლენინი სხვა ადგილას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი ისტორიულად შემოფარგლული და პირობითია.

მარქსისტებისათვის კომუნიზმი ან მისი პირველი სტადია სოციალიზმი, დღეს უკვე ობიექტიური ჭეშმარიტებაა. მასსა, ისტორიულ განვითარების პროცესში უნდა მივიდეს და კიდევაც მიდის იმ გაგებამდე, რომ ყველა ეს ფორმები ისტორიულად შემოფარგლული და შემოსაზღვრულია; ამასთანავე, ობიექტიურ ეკონომიურ განვითარებასთან ერთად, რომელიც ბადებს და ამახვი-

[1]) Ленин, т. XIV გვ. 361.

ლებს ყოველ წინააღმდეგობას, მასსა უახლოვდება სოციალიზმს, როგორც ობიექტიურ სინამდვილეს.

III. ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲒᲚᲘᲡᲬᲔᲠᲐ

მაგრამ რა არის ობიექტიური ჭეშმარიტება? და როგორი მიმართებაა აბსოლიუტურ და რელატივ ჭეშმარიტებათა შორის.

ლენინის პასუხი ამ კითხვებზე ჩვენთვის უკვე ნაწილობრივ ცნობილია. მაგრამ ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ. განსაკუთრებით იმ გაუგებრობის გამო, რომელიც თანამედროვე მარქსისტ ლიტერატორთა შორისაც არის შექმნილი.

ა. ბოგდანოვი, როგორც ცნობილია, ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ იდეოლოგიური ფორმა არისო. ლენინი ამ შეხედულების წინააღმდეგ ილაშქრებს და ამბობს, რომ ვინაიდან ადამიანის იდეოლოგიის გარეშე, სხვა იდეოლოგია არ არსებობს, მაშინ ამ თვალსაზრისით სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ობიექტიური ჭეშმარიტებაც არ შეიძლება არსებობდეს. ცხადია, რომ ეს თვალსაზრისი უმართებულოა, უპირველეს ყოვლისა ის სრულიად თვალსაჩინო ფაქტებით ირღვევა. ბუნების მეტყველება,—ამბობს ლენინი, უფლებას არ გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მისი მტკიცება; კაცობრიობამდე დედამიწის არსებობაზე არის ჭეშმარიტება. მატერიალისტური თვალსაზრისით ეს სრულიად მართალია: გარე მყარის დამოუკიდებლობა შეგნებისაგან — ეს მატერიალიზმის ძირითადი დებულებაა.

ბუნების მეტყველების მტკიცება, რომ დედამიწა კაცობრიობამდე არსებობდა, ობიექტიური ჭეშმარიტებაა[1]). მაგრამ თუ ჭეშმარიტება ცდის საორგანიზაციო ფორმაა, ანუ მხოლოდ იდეოლოგიური ფორმა, როგორც ამას მახის მიმდევრები და სხვა ამტკიცებს, მაშინ „არ შეიძლება ჭეშმარიტი მტკიცება დედამიწის არსებობაზე, ადამიანის ყოველგვარ ცდის გარეშე". ბუნებისმეტყველება შეთავსებულია მახის მოძღვრებასთან, როგორც პოზიტივიზმთან, ემპირიოკრიტიციზმთან და სხვა ამგვართან მეორე მხრივ, თუ ჭეშმარიტება ადამიანის ცდის საორგანიზაციო ფორმაა, მაშინ არავითარი კრიტერიუმი არ არის იმისთვის, რომ ამ ცდის ობიექტიურობის და სუბიექტიურობის პრობლემა გადავწყვიტოთ. თუ საკითხს ამ თვალსაზრისით მიუდგებით, მაშინ კათოლიციზმიც ჭეშმარიტებაა;—ამბობს ლენინი. „ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ კათოლიციზმი ადამიანის ცდის საორგანიზაციო ფორმაა".

ამ დებულებიდან თავის დაღწევას იმით ფიქრობენ, რომ ობიექტიურობის სახით გაიგონ ზოგად-მნიშვნელოვანი, სოციალურ-ორგანიზაციული ცდა. მაგრამ რელიგიას განა ზოგადი მნიშვნელობა არა აქვს?

„რელიგიის სწავლა, ამბობს ლენინი —მეტად „ზოგად მნიშვნელობისაა" ვიდრე მეცნიერული მოძღვრება: კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ რელიგიის გავლენის ქვეშ იმყოფება. კათოლიციზმი ასეულ წლებით განვითარე-

[1]) Ленин, т X. გვ. 98.

ბაში „სოციალურად მოწესრიგებული, ჰარმონიული, შეთანხმებული“; კათოლიციზმი უცილობლად „ლაგდება“—„მიზეზობრიობის კავშირში“, რადგან საერთოდ რელიგიის წარმოშობა უმიზეზო არ არის, მას სრულიადაც შემთხვევით თანამედროვე პირობებშიაც, ხალხის ფართო მასაში ფესვები აქვს გადგმული, მას სრულიად „კანონშეწონილად“ ეტრფიალება არა ერთი ფილოსოფიის პროფესორი, და თუ ეს უეჭველად ზოგადმნიშვნელოვანი და უთუოდ უმაღლესად—ორგანიზაციული სოციალურ-რელიგიურ ცდა „შეთანხმებული არაა“ მეცნიერულ „ცდასთან“, ეს იმას ნიშნავს, მათ შორის პრინციპიალური, ძირითადი განსხვავებაა“. როდესაც ობიექტიურ ჭეშმარიტებას უარყოფენ, იშლება ეს ძირითადი პრინციპიალური განსხვავება, ამით ისპობა მეცნიერებისა და ფიდეიზმს შორის ან ცოდნის და რწმენის შორის არსებული განსხვავებაც. მაშინ მეცნიერული ცოდნა და რელიგია ერთნაირ გნოსეოლოგიურ საფუძვლებს დაემყარება. და ასე დეე მარქსისტებმა შეუგნებლად მეცნიერულ ფილოსოფიური ბაზისი ფიდეიზმს და მღვდელ-მსახურებს დაუქვემდებარონო ამბობს ლენინი. ობიექტიური ჭეშმარიტების ცნება, მატერიალისტური თვალსაზრისით, რელიგიურ და მეცნიერული ცდის მკაფიო გამიჯვნას ახდენს. ის არ სპობს მათ შორის არსებულ საზღვარს, არამედ პირიქით მათ შორის ძირითად პრინციპიალურ განსხვავებას. ამყარებს. „თუ არსებობს ობიექტიური ჭეშმარიტება (როგორც ფიქრობენ მატერიალისტები), თუ ბუნების მეტყველება გარემყარს ადამიანის ცდაში ასახიერებს, მხოლოდ მას ერთს აქვს უნარი ობიექტური ჭეშმარიტება მოგვცეს და აქ ყოველგვარი ფიდეიზმი აუცილებლად უარყოფილია. თუ კი ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს და თუ ჭეშმარიტება (აგრეთვე მეცნიერული) მხოლოდ ადამიანის ცდის საორგანიზაციო ფორმაა, ამით ღვდელ-მსახურების ძირითადი აზრია აღიარებული, ამით გზა ეხსნება მას და ადგილი ეთმობა რელიგიური ცდის „საორგანიზაციო ფორმებს“*).

მებრძოლი მატერიალისტი ლენინი, რა თქმა უნდა, არავითარ დათმობაზე არ მიდის ყოველგვარ ჯურის აგნოსტიკებთან, რა ჭურჭშიც არ უნდა იყვნენ გაბვეულნი. მან კარგათ იცის, რომ ყოველგვარი ignorabum (არცოდნა) ან ignorabimus (არ შემიძლია ვიცოდე) ეს ფიდეიზმის თავისებური ფორმა, ღვდელმსახურების დაწმენდილი სახეა—დადებით მეცნიერებათა და ტეხნიკის არაჩვეულებრივ აღორძინების და გამახვილებულ კლასიურ ბრძოლის ხანაში. ლენინი ignorabimus-ს (არ შემიძლია ვიცოდე) კლასიურ ხასიათს და ბუნებას ააშკარავებს. ეს მუშათა კლასის რევოლიუციური გენია, კაცობრიობის ახალი სასახლის დიდებული ოსტატი, ცხოვრების ახალ ფორმათა ნახატვარი შეუპოვრად ებრძვის და შორს ისვრის, როგორც უვარგის გახრწნილ სიძველეს ყოველგვარ სიფრიფანა იდეალისტურ აღნაგობათ, რომელნიც ასაგებ სასახლის საძირკველს, ძირს უთხრიან. მატერიალიზმიდან ცოტაოდენი გადახრა ლენინისთვის მიუღებელია, ეს მისთვის ფიდეიზმის ხელის გამართვაა და კლასიურ მტერთან მიუტოვებელი დათმობა.

*) Ленин, თხზ. კრ. ტ. X გვ. 100.

ობიექტიური ჭეშმარიტების უარყოფა აზროვნების და ფილოსოფიის სფეროში დაუშვებელ „მოთმინებამდე, ოპორტიუნიზმამდე მიგვიყვანს“.

ფილოსოფიური ოპორტიუნიზმის აუცილებელი შედეგია ეკონომიური, პოლიტიკური ოპორტიუნიზმი, მუშათა ღალატი და მარქსიზმის დამახინჯება. „მეშჩანური, ფილისტერული, მშიშარა მოთმინება. ალების, კუდიანების, სხვა ამგვარების და კათოლიკურ წმინდანების მოძღვრებაზე“, ობიექტიური ჭეშმარიტების უარყოფის აუცილებელი შედეგია. მაგრამ ეს იმას კი არ მოასწავებს, რომ თითქოს ლენინი „კლასიურ სუბიექტივიზმის“ ნიადაგზე იდგეს, რომ თითქოს მისთვის ის, რაც მუშათა კლასისათვის სასარგებლო და გამოსადეგია, მხოლოდ ის იყვეს ობიექტიური ჭეშმარიტება.

ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რომ ლენინისათვის შემეცნება სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როცა ის ობიექტიურ ჭეშმარიტებას ასახიერებს. მატერიალიზმი თუ მარქსიზმი ჭეშმარიტი იმიტომ კი არ არის, რომ ის სასარგებლო, ზოგადი მნიშვნელობის და თან პროლეტარიატის სოციალურად—მოწესრიგებულ ცდას გამოხატავს, პირიქით, ის სასარგებლო, „ზოგად-მნიშვნელობისაა“ და სხვ. იმიტომ, რომ ობიექტიური ჭეშმარიტების გამომხატველია. თანამედროვე პირობებში მატერიალისტურ ობიექტივიზმის ნიადაგზე, მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია დადგეს.

კლასიური სუბიექტივიზმი რეაქციულ კლასთა დამახასიათებელი თვისებაა, ამიტომ ფიდეიზმი და ყოველი ჯურის იდეალიზმი სახელდობრ ამ კლასთა იდეოლოგიას გამოხატავს. და სწორედ მათი მოძღვრებაა ბუნების მეტყველების წინააღმდეგი!

რაც შეეხება კერძოდ მახის მიმდევართ ისინი სუბიექტივისტები და აგნოსტიკები არიან. „ისინი არ სცნობენ ადამიანისაგან დამოუკიდებელ ობიექტიურ რეალობას, როგორც ჩვენ შეგრძნებათა წყაროს“. მათთვის შეგრძნება ობიექტიური რეალობის სწორი სურათი არ არის, რითაც ისინი აშკარად ეწინააღმდეგებიან ბუნების მეტყველებას და ამით ფიდეიზმს გზას უხსნიან და გასაქანს აძლევენ.

წინააღმდეგ, მატერიალისტისათვის მსოფლიო უფრო მრავალფეროვანი და სიცოცხლით აღსავსეა, ვინემ ეს ჩვენ გვეჩვენება. თვითეული ნაბიჯი მეცნიერების განვითარებაში მის სულ ახალ და ახალ სახეებს გვაძლევს. მატერიალისტისათვის ჩვენი შეგრძნობა ერთად ერთი ობიექტიური რეალობის სახეა,—ერთად ერთი არა იმ აზრით, რომ თითქოს საბოლოოდ შეცნობილი იყვეს იგი, არამედ იმიტომ რომ, მის გარდა არ არის და არც შეიძლება იყვეს სხვა[1]).

ობიექტიური სინამდვილე არასოდეს არ შეიძლება „საბოლოოდ“ შეცნობილ იქმნას. ამ მხრივ კი შეუძლებელია აბსოლიუტურ ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი. „ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული, ბუნების და ისტორიის შემეცნების ყოვლადი სისტემა, დიალექტიურ აზროვნების ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება. თუმცა ის სრულებითაც არ უარყოფს, პირიქით გულისხმობს, რომ

[1]) Ibidi გვ. 102—103.

გარემყარის სისტემატიური შემეცნება გიგანტურ ნაბიჯებით ,,ცვლება ერთი თაობიდან მეორე თაობამდე". (ენგელსი) შემეცნების პროცესზე ასეთი დიალექტიური შეხედულება უცხოა მეტაფიზიკოს აბსოლიუტისტებისათვის — როგორც მეტაფიზიკოს რელატივისტებისათვის. ისინი აბსოლიუტურ ჭეშმარიტებას მოითხოვენ ე. ი. საბოლოოდ შეცნობილ ჭეშმარიტებას, ნაკლებით არ კმაყოფილდებიან. ზოგი სრულიად უარყოფს ობიექტიურ ჭეშმარიტებას იმ საფუძვლით, რომ ჭეშმარიტება, ჩვენი შემეცნება განვითარების პროცესში იმყოფება, რომ გარემყარის შემეცნება საბოლოოდ არ არის ამოწურული და ამავე დროს „მეცნიერების განვითარება, როგორც ლენინი ამბობს, მასში ახალს სახეებს ააშკარავებს" ეს უეჭვო ფაქტია. ამ გარემოებიდან მათ ისეთი უმართებულო დასკვნა გამოყავთ, თითქოს თვით გარემყარიც არ არსებობდეს. ეს უკვე ნამდვილი Salto mortale-ა და არა Salto vitale. მეტაფიზიკურ აბსოლიუტიზმის სამეფოში, სამყარო წარმოდგენილია დამთავრებულ, მზა, ერთხელ და სამუდამოთ მოცემულ მკედარ და გაყინულ სახით; მისი კათეგორიები მარადიული და უცვლელი ბუნებისაა. განა შესაძლოა მარქსისტი ასეთ თვალსაზრისს შეურიგდეს? განა შესაძლოა ლენინი—ეს მარადი წინმსვლელი ცხოვრების რევოლიუციონერი, თავის ბუნებით შეურიგდეს დამყაყებულ და ერთ წერტილზე გაყინულ ქვეყანას? საჭირო იყო ხომ, რომ ეს ქვეყანა რევოლიუციის ცეცხლში გადაედნო მას, რომ ახალი უკეთესი ქვეყანა შეექმნა? „მსოფლიო უფრო მრავალფეროვანი, სიცოცხლით აღსავსეა, ვინემ ეს ჩვენ გვეჩვენება; მეცნიერების განვითარების თვითეული ნაბიჯი მის ახალ და ახალ სახეს ააშკარავებს, ახალ შესაძლებლობათ, ახალ ჰორიზონტებს და ახალ ფართო პერსპექტივებს შლის ჩვენს წინაშე. მსოფლიო რომ ერთგვარ ცვლილებას არ განიცდიდეს, რომელიც მის შინაგან კანონებით აიხსნება, მაშინ, რასაკვირველია, არავითარ გარეშე ძალას მის მოძრაობაში მოყვანა არ შეეძლო. ჩვენ ვეყრდნობით მსოფლიოს ცვლილების და განვითარების კანონს, ვემორჩილებით მას, ვმოქმედებთ იმავე მიმართულებით, როგორადაც მსოფლიო თავისთავად ვითარდება; ჩვენ შეგვიძლია ხელი შეუწყოთ, დავაჩქაროთ მისი განვითარების ტემპი. ამით ჩვენ ზოგად კოსმიურ ცხოვრების მონაწილენი ვხდებით, ვინაიდან ადამიანთა საზოგადოება კოსმოსის ნაწილია, მის განვითარების პროცესში.

მეტაფიზიკას აბსოლიუტისტების ან ობიექტივისტების წინააღმდეგ, სუბიექტური რელატივისტები ამტკიცებენ ჩვენ შეგრძნებათა ცვალებადობას და ამავე დროს ისინი გარემყარის, ობიექტიურ რეალობას უარყოფენ. მაგრამ არ შეიძლება მსოფლიოს ცვლილების მიღება ჩვენს შეგრძნებათა ნაკადიდან. სუბიექტივიზმი იმგვარათვე შეუთავსებელია მარქსიზმთან, ისე როგორც ის ბუნების მეტყველებასთან არის შეუთავსებელი. თუ რელატივიზმი მივიღეთ როგორც შემეცნების თეორიის საფუძველი, მაშინ აუცილებლად აბსოლიუტურ სკეპტიციზმის, აგნოსტიციზმის, სოფისტიკის ან სუბიექტივიზმის რაკლში მოვექცევით. რელატივიზმი როგორც შემეცნების თეორიის საფუძველი, ეს არა მარტო ჩვენი ცოდნის რელატივობის ცნობაა, არამედ აგრეთვე ყოველგვარ ობიექტიურ, ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებულ საზომის ან მოდელის უარყოფა, რომელსაც

ჩვენი შემეცნება უახლოვდება. შიშველი რელატივიზმის თვალსაზრისით ყოველგვარ სოფისტიკის გამართლებაა შესაძლო. შესაძლოა „[illegible] ჩავთვალოთ ნაპოლეონი 1821 წელს 5 მაისს გარდაიცვალა თუ არა? [illegible] ან კაცობრიობის უბრალო „მოხერხების" თვალსაზრისით მეცნიერული იდეოლოგიის („მოსახერხებელია" ერთის მხრივ) გვერდით დაუშვას რელიგიური იდეოლოგია (მეტად „მოხერხებულია" მეორე მხრივ) და ა. შ. [1])

როგორც ჩვენი ცოდნის რელატივობის, ისე აბსოლიუტურ ობიექტივიზმის მტკიცება ნაწილობრივ ჭეშმარიტებას შეიცავს.

თვითეული ასეთი სისტემა თავის თავად ცალკე აღებული, სიყალბეა. აი ამ კერძო ცალმხრივ მტკიცების მეოხებით მთლიანი ცოდნის თეორიის შექმნა ან მსოფლმხედველობის გამომუშავება აუცილებლად მეტაფიზიკამდე მიგვიყვანს. ნაწილი მთელს არ უდრის, თუმცა მთელი ნაწილებისგან შესდგება. მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი გვაძლევს, აბსოლიუტურ და რელატივ ჭეშმარიტებათა ურთიერთობის საკითხის მეცნიერულ გადაჭრას, აბსოლიუტურ ან ობიექტიურ და რელატიურს შორის ხსენებული წინააღმდეგობა არ არის მეტაფიზიკური წინააღმდეგობა, არამედ დიალექტიური და რელატიურია.

„დიალექტიურ მატერიალიზმისათვის რელატიურ და აბსოლიუტურ ჭეშმარიტებათა შორის გარდაუალი ზღვარი არ არსებობს".

„თანამედროვე მატერიალიზმის, ე. ი. მარქსიზმის თვალსაზრისით, —ამბობს ლენინი, ობიექტიურ, აბსოლიუტურ ჭეშმარიტებასთან ჩვენი ცოდნის მიახლოებას ისტორიულად პირობითი ზღვრები აქვს. მაგრამ ამასთანავე ამ ჭეშმარიტების არსებობაც უეჭვოა. უეჭველია ისიც, რომ ჩვენ უახლოვდებით ამ ჭეშმარიტებას.

ისტორიულად პირობითია სურათის კონტურები, მაგრამ უცილობელია ის, რომ ეს სურათი ობიექტიურად არსებულ მოდელის გამომხატველია. ისტორიულად პირობითია ის, თუ როდის, სად და რა პირობებში ჩვენ თანდათან შეიცნობთ ნივთთა შინაარსს—ქვანახშირში ალიზარინის და ატომში ელექტრონის აღმოჩენამდე, მაგრამ აუცილებელია ის, რომ თვითეული ასეთი აღმოჩენა არის ნაბიჯი წინ „ნამდვილ ობიექტიურ შემეცნებისაკენ".

ერთი სიტყვით ისტორიულად პირობითია ყოველგვარი იდეოლოგია, მაგრამ უცილობელია ის, რომ ყოველ მეცნიერულ იდეოლოგიას (მაგალ. რელიგიურიდან განსხვავებით) ობიექტიური ჭეშმარიტება, აბსოლიუტური ბუნება შეესაბამება. თქვენ იტყვით: აბსოლიუტურ და რელატივ ჭეშმარიტებას შორის განსხვავება გაურკვეველია. მე თქვენ გიპასუხებთ: ეს განსხვავება იმდენად „გაურკვეველია", რომ მეცნიერების გაყინულ, მკვდარ დოგმათ გადაქცევას ხელი შეუშალოს და სწორედ იმდენად „გარკვეულია", რომ გადაწყვეტით, დაუბრუნებლად—ფიდეიზმსა და აგნოსტიციზმს, ფილოსოფიურ იდეალიზმსა და იუმეს და კანტის მიმდევართა სოფისტიკას გაემიჯნოს. აქ არის მიჯნა, რომელიც თქვენ

[1]) Ленин, ibidi გვ. 109—110.

ვერ შეამჩნიეთ, რითაც რეაქციულ ფილოსოფიის ჭაობში ჩაეფლეთ. ეს არის მიჯნა დიალექტიურ მატერიალიზმსა და რელატივიზმს შორის". [1]

VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ბუნებისმეტყველება გასაოცრად ვითარდება და იტვირთება მრავალი აღმოჩენებით, როდესაც თვითეული ასეთი აღმოჩენა დიალექტიურ მატერიალიზმის სისწორეს ამტკიცებს, **დიალექტიურ მატერიალიზმის თვალსაზრისზე შეგნებულად სდგებიან, როდესაც უდიდესი ფიზიკოსები,** რომელთაც სავსებით არა აქვთ გაგებული ის პროზა, რომლითაც ისინი საუბრობენ,—სწორედ ამ დროს მარქსისტთა შორის ჩვენ ვამჩნევთ ერთგვარ მოძრაობას, რომელიც ჰეგელიანიზმის სახით ბუნებაში დიალექტიკას უარყოფს. (ჩვენ უპირველეს ყოვლისა სახეში გვყავს გ. ლუკაჩი) [2]. ენგელსი სრულიად სამართლიანათ მიგვითითებდა, რომ: „ბუნება დიალექტიკის სანიმუშო საგანია, ჩვენ ბუნებისმეტყველებას უნდა უმადლოდეთ, რომ ის დღითი-დღე დიალექტის საცდელად უამრავ მასალას გვაწვდის და ამით ამტკიცებს, რომ ბუნებაში ყველაფერი დიალექტიურად და არა მეტაფიზიკურად სწარმოებს". [3])

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენგელსის ამ შესანიშნავს აზრს ჩვენი ეპოქისათვის, როდესაც ბუნების მეტყველების სფეროში მთელი რევოლიუცია ხდება, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რა? განა ზემოხსენებული ნოვატორები სცდილობენ იმას, რომ თავიანთ შეხედულების სასარგებლოდ ან ენგელსის შეხედულების უარსაყოფად, რომელიც საერთოდ ძისადებია, როგორც ორტოდოქსალ მარქსისტთათვის აგრეთვე დიალექტიურ მატერიალისტებისათვის, რაიმე საბუთები მოიყვანონ? არა, ეს ჩვენ არ გვინახავს. ენგელსი სრულიად სამართლიანად კიდევ აღნიშნავს, რომ ჰეგელი ნატურ ფილოსოფიის და ბუნებისმეტყველების სფეროში „საგრძნობლად ჩამორჩა კანტს". ჰეგელის აზრით განვითარება მხოლოდ „სულის" სფეროში ხდება, ბუნება კი უბრალო „არსებობის" ფაქტს უტოვებს. დასაშვებია განა ჩვენთვის ჰეგელისკენ ისეთი დაბრუნება, რომ მის ყველა შეცდომებს და თან იდეალიზმსაც აღვადგენთ? ამავე დროს ის პროცესი, რომელიც თანამედროვე ფიზიკაში ხდება, შეიძლება ლენინის სიტყვებით ჩამოვაყალიბოთ! „თანამედროვე ფიზიკა საშობიარო **პროცესში იმყოფება. ის დიალექტიურ მატერიალიზმს შობს**".

სტიქიური მატერიალიზმი ბუნებისმეტყველებაში, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობს, დინჯათ და თანდათანობით შეგნებულ მატერიალიზმში გადადის. დიალექტიკაც ამგვარ პირობებში იმყოფება. მაგრამ იმ გარდატეხის და კრიზისის დროს, რომელსაც თანამედროვე ფიზიკა განიცდის, არ არის გასაკვირველი, თუ ჩვენ მეტად „ახირებულ" განცხადებათა მოწამენი ვართ. იდეალისტები ფიზიკის ახალ აღმოჩენებით სარგებლობენ მატერიის, ე. ი. მატერიალიზმის უარსაყოფად.

---

[1]) ibidi გვ. 109.

[2]) იხილეთ მისი წიგნი „Geschichte und Klassenbevusstsein" Berlin.

[3]) Энгельс, Анти-Дюринг, 1918 წ. გვ. 21.

ლენინმა, ფილოსოფიური და ფიზიკური ცნებები ტუტად ეფეროდ შემოფარგლა მატერიალიზმის სასარგებლოდ. უსარგებლო არ იქნება ამასთან დაკავშირებით მოვიხსენიოთ ერთი გარემოება, სახელდობრ ამ ეპოქის ეპიგონ-ეპიგონ-ეპიგონ ფილოსოფიის „დამმსხვრევთა“ გამოსვლები და „ფილოსოფიის საოგებლიანობის“ შესახებ ამტყდარი პოლემიკა, რომელიც დღემდე გრძელდება. ეს „ნოვატორი“ ამხანაგები ფიქრობენ, რომ დღეს უკვე შეიძლება ფილოსოფიის ზღრუბლს იქით გადასროლა და მხოლოდ პოზიტივ მეცნიერებით დაკმაყოფილება. „ნოვატორთა“ შორის „ნოვატორ“ ე. ენჩმენს ისიც შესაძლებლად მიაჩნია, რომ ყოველივე თავის ცნობის „ბიოლოგიის ახალ თეორიაში“ — „ჩაყუროს,“ მატერიალიზმს კი „ექსპლოატატორულ მოტყვილებათ“ სთვლის“[1])

ლენინი ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სულ სხვა თვალსაზრისზე სდგას. მას ჩინებულად ესმის სპეციალ მეცნიერებათა და ფილოსოფიის შორის არსებული განსხვავება. „არც ერთ ამ პოფესორთაგანს, ამბობს ის, რომელთაც ფიზიკის, ისტორიის, ქიმიის და საერთოდ სპეციალ მეცნიერებათა სფეროში მართლაც და დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვით, არც ერთი სიცყვა არ უნდა დაუჯეროთ თუ საქმე ფილოსოფიას შეეხება“[2]).

„მარქსისტების ამოცანაა.... იმ მეცნიერულ მონაპოვართა შეთვისება და გადამუშავება, რომელიც შექმნილია ამ „ნოქრების“ მიერ (ე. ი. ბურჟუაზიულ მეცნიერთა მიერ ა. დ.)... მათ უნდა შეძლონ მისგან რეაქციულ ტენდენციათა მოკვეთა, მოწინააღმდეგე კლასთა შეხედულებასთან ბრძოლა, თავის გზის გატარება. მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ ჩვენ მეცნიერების მონაპოვარი გადავამუშავოთ და ჩვენი ხაზი გავატაროთ, აუცილებელია საკუთარი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა გვქონდეს, რომელიც ამ ამოცანის შესრულებას შესაძლოდ გახდის და „ფიზიკურ“ ან „ფიზიოლოგიურ“ იდეალიზმის გავლენას მოგვაცილებს. ფილოსოფიურ კათეგორიათა, ფიზიკურ და სხვა კათეგორიებისაგან განსხვავება უნდა შევსძლოთ. და როგორ გვიბრძანებთ შევასრულოთ ეს საქმე „ფილოსოფიურ კათეგორიის“ ცოდნის გარეშე?

მატერიის აღნაგობის საკითხს, მატერიის გნოსეოლოგიურ კათეგორიას და ობიექტიურ ჭეშმარიტების არსებობის საკითხს ერთი მეორეში ურევენ, ამბობს ლენინი. თუ არსებობს ობიექტიური ჭეშმარიტება, მაშ საჭიროა ფილოსოფიური ცნება. ეს ფილოსოფიური ცნება მატერიაა. ლენინის სიტყვით „მატერია — ობიექტიური რეალობის აღსანიშნავად ფილოსოფიური კათეგორიაა, ის შეგრძნებებში სახიერდება. მატერია შეგრძნების დამოუკიდებლად არსებობს; შეგრძნება კი მატერიის ასლი და ფოტოგრაფიული სურათია. ამიტომ ამ ცნების „მოძველებაზე“ საუბარი ეს ბავშვური ტიტინია, რეაქციულ ფილოსოფიის უაზრო დებულებათა განმეორებაა“[3]).

დიალექტიური მატერიალიზმი, მეტაფიზიკურიდან განსხვავებით ყოველ ფიზიკურ მოძღვრებას მატერიის აღნაგობის შესახებ განიხილავს როგორც რე-

[1]) იხილეთ ბუხარინის შესანიშნავი ბროშიურა „Енчениада“.

[2]) Ленин т. X გვ. 290.

[3]) ibidi გვ. 218—219

ლატივ მიახლოვებას ობიექტიურ ჭეშმარიტებისადმი, რომელიც არასოდეს არ შეიძლება საბოლოოთ ამოწურული იყოს. მატერიის ფილოსოფიური განმარტება არ ეთანხმება და არც შეიძლება ფიზიკალურ განმარტებას შეეთანხმდეს, რომელიც მეცნიერების განვითარების თვითეულ საფეხურზე, ობიექტიურ რეალობის არსებულ ზღვარს ასახავს. მატერიის ფილოსოფიური განმარტება,—ეს რაღაც „აბსოლიუტია". მაგრამ რას ნიშნავს ეს „აბსოლიუტი"? ფილოსოფიური ცნება მატერიისა, სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა ადამიანის შეგნებისგან დამოუკიდებლად არსებულ ობიექტიურ რეალობის ანარეკლს. ობიექტიურ რეალობის ფაქტად აღიარება ეს სხვას არაფერს ნიშნავს გარდა **„ასე თუ ისე"** (რასაც ხაზს უსვამს ლენინი) ობიექტიურ ჭეშმარიტების აღიარებასა. დიალექტიკოსისათვის აბსოლუტური ჭეშმარიტება რელატივი ჭეშმარიტებათა ჯამია. ენგელსი თავის ანტი-დიურინგში აღნიშნავს იმას, თუ როგორ უნდა იქმნეს გარკვეული დიალექტიურად დაუბოლავებლობის პრობლემა. ეს, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობაა.

მაგრამ წინააღმდეგობის გარეშე უბოლოვალობის გააზრება შეუძლებელია „სახელდობრ იმიტომო, — ამბობს ენგელსი,— რომ უბოლოვადობა — ანტინომია არის, ის უსასრულო, დროსა და სივრცეში განუწყვეტელ გაშლილ პროცესს წარმოადგენს. ამ წინააღმდეგობის მოსპობა უბოლოვადობის დაბოლოება იქნებოდა".

როგორც ცნობილია, ჰეგელის თვალსაზრისიც ისეთივეა.

ლენინი, თანახმად ენგელსისა და ჰეგელისა, ამბობს, რომ დიალექტიკა მთელი ჩვენი ცოდნის რელატივობას აღიარებსო. ამას არა ობიექტიური ჭეშმარიტების უარყოფის აზრით ამბობს, არამედ იმ აზრით, რომ ჩვენს ცოდნას ჭეშმარიტებასთან ისტორიულად პირობითი ზღვარული მიახლოება აქვს.

მსგავსად იმისა, როგორც უბოლოვადობა დაბოლოებულ ოდენობათაგან შესდგება, ისე აბსოლიუტური ჭეშმარიტება რელატივ ჭეშმარიტებათა ჯამია. „ამრიგად, ადამიანის აზროვნების ბუნებას უნარი აქვს აბსოლიუტური ჭეშმარიტება მოგვცეს, რომელიც რელატივ ჭეშმარიტებათა მთლიანობას წარმოადგენს. მეცნიერების განვითარების თვითეული საფეხური ახალ მარცვლებს უმატებს აბსოლიუტურ ჭეშმარიტების სალარონში, მაგრამ თვითეული მეცნიერული დებულების ჭეშმარიტების ზღვარი რელატიურია, ვინაიდან ცოდნის ზრდასთან ერთად ის ფართოვდება, ან და იკუმშება. დიალექტიკა უარყოფის სკეპტიციზმის და რელატივობის მომენტს იტევს თავის თავში; მაგრამ მიუხედავად ამისა, ის რელატივიზმამდე არ შეიძლება დაყვანილ იქმნეს, რასაც ლენინი ხაზს უსვამს". ლენინის ეს დებულება ჩვენ მიერ განსაკუთრებით ხაზგასმული უნდა იყვეს, ვინაიდან ზოგიერთ მარქსისტებს არა აქვთ იმის გაგება, რომ „უარყოფის" მომენტის, რელატივობის და ობიექტიურ რეალობის ურთიერთობის პრობლემას, დიალექტიური ხასიათი აქვს. მათთვის გაუგებარია ის გარემოება, რომ ობიექტიური რეალობა, ეს რაღაც უბოლოვადია, რომლის სრულიად ამოწურვა შეუძლებელი საქმეა, მაგრამ ამავე დროს ის ჩვენთვის დაბოლოვებულ რელატივ ზღვრებიდან შედგენილია. ამიტომ ზოგიერთი მხოლოდ დროულ, განსაზღვრულ

პირობით და რელატივ ხლვრის აღიარებამდე ბიდის, რომელიც თითქოს არ არის ობიექტიური რეალობის გამომხატველი. ასეთ თვალსაზრისს სუბიექტივიზმამდე, და სპეკტიციზმამდე, ობიექტიურ რეალობის [illegible] ცოდნის დადებით მნიშვნელობის უარყოფამდე მივყევართ. სხვები მეორე უკიდურესობაში ვარდება: მათ მეცნიერების განვითარების თვითეული საფეხური მიაჩნიათ როგორც ობიექტიური რეალობის სრული და აბსოლიუტური გამოსახულება. ამას კი სინამდვილის და ადამიანის შემეცნების მეტაფიზიკურ გაგებამდე მივყევართ. ლენინის აზრით ახალი ფიზიკა იდეალიზმის გავლენის ქვეშ მოექცა იმიტომ, რომ ფიზიკოსებმა დიალექტიკა არ იცოდნ. „ცნობილ ელემენტთა და მატერიის თვისებათა უცვლელობის უარყოფით, ისინი მატერიის ე. ი. ფიზიკალურ ქვეყნის ობიექტიურ რეალობის უარყოფამდე მივიდენ. ბუნების უმნიშვნელოვანეს და ძირითად კანონთა აბსოლიუტურ ხასიათის უარყოფით, ისინი ბუნებაში ყოველგვარ ობიექტიურ კანონმდებლობის უარყოფამდე მივიდნენ, ბუნების კანონთა უბრალო პირობითობა „მოლოდინის განსაზღვრით", „ლოგიკური აუცილებლობით" და სხ. აღიარეს. ცოდნის დაახლოებითი, რელატიურ ხასიათის აღიარებით, ისინი, შემეცნებისგან დამოუკიდებელი ობიექტის უარყოფამდე მივიდენ, რომლის დაახლოებით სწორ რელატივ ანარეკლს **თვით ეს შემეცნება გვაძლევს"**[1]).

მატაფიზიკოსთა რწმუნებით ელემენტები ან მატერიის თვისებანი უცვლელია, ბუნების და საზოგადოების კანონები აბსოლიუტურ ხასიათის კანონებია. რელატივისტები მოწინააღმდეგე თვალსაზრისზე დგანან. ისინი ამბობენ: ჩვენს ცოდნას რელატიური ხასიათი აქვს, მატერიის ელემენტთა ცვლილება ფაქტია და სხვ. აქედან ისეთი დასკვნა გამოჰყავთ, რომ თითქოს ობიექტიური რეალობა და კანონშეწონილება სრულიად არ არსებობდეს და ყოველი კანონი წმინდა სუბიექტიური და პირობითი ხასიათის იყოს. საკითხის როგორც ერთი, ისე მეორე გაგებაც ერთნაირად ყალბი და შემცდარია.

ლენინი, როგორც დიალექტიური მატერიალისტი თვითეულ შეხედულების სიყალბეს ასაბუთებს. ის რაც განვითარების ერთ საფეხურზე გვეჩვენება როგორც უცვლელი და აბსოლიუტური, სხვა საფეხურზე რელატივ სახეს ლებულობს. ასე, მაგალითად, უახლოეს დრომდე ფიქრობდენ, რომ შეუვალობა, ინერცია და მასსა მატერიის აბსოლიუტური თვისებებია, მაგრამ ეხლა ჩვენ ვიცით რომ ეს ასე არ არის. ყოველ შემთხვევაში აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დიალექტიური მატერიალიზმი არსებითად სხვავდება მეტაფიზიკურათ მექანიკურ მატერიალიზმიდან, რომელთანაც უთუოდ დაკავშირებულია განსაზღვრული ფიზიკალური მოძღვრება მატერიის და მის თვისებათა შესახებ.

მაგრამ დიალექტიური მატერიალიზმი როგორც ფილოსოფიური მსოფლმხვედველობა მნიშვნელოვნად აღრმავებს ყველა ამ საკითხებს. მან ერთის მხრივ ფიზიკალურ გამოკვლევათ და მოძღვრებათ ფართო ასპარეზი დაუთმო და მატერიის აღნაგობის შესახებ ყოველგვარ კონკრეტ ფიზიკალურ მოძღვრებასთან კავშირი გასწყვიტა.

[1]) Ленин ibidi 219 გვ.

ამით მატერიის ცნების ფილოსოფიური განმარტება, რა თქმა უნდა, ვიწრო რკალში თავსდება, მაგრამ ერთდროულად იგი ღრმავდება, კონკრეტ ფორმათა და მატერიის თვისებათა უბოლოვად რაოდენობის დაშვებით. როგორც არ უნდა იყვეს ფიზიკალურ მეცნიერებათა წარმატება, ის მატერიის ფილოსოფიურ სწავლას არ ეხება. და იმ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიური მატერიალიზმი ლენინისათვის ყოველგვარ „ფიზიკურ", „ფიზიოლოგიურ" და სხვა გვარ იდეალიზმიდან საფარველი იყო. მართალია, რასაკვირველია, მატერიალიზმმა, „თვითეულ აღმოჩენით, რომელიც ეპოქას ქმნის თუ გინდ საბუნებისმეტყველო—ისტორიულ სფეროში („უკვე თუ კაცობრიობის ისტორიაზე არაფერს ვიტყვით" როგორც ენგელსი ლაპარაკობს), თავის ფორმა უნდა შეიცვალოსო, ამბობს ლენინი. მაგრამ ფორმის და შინაარსის შერევა, მატერიალიზმის საფუძვლების შეცვლა ფორმის კრიტიკის სახით, დაუშვებელია, რაც ბახის მიმდევართა მიერ დაშვებულია. ეხლა ჩვენთვის უკვე ნათელია, თუ რას გულისხმობს ლენინი მატერიალიზმის ფორმად. ეს გარკვეული კონკრეტი სახეა იმის, რასაც გვაძლევს ისტორიულად რელატიური შინაარსი, ე. ი. მატერიის აღნაგობის და თვისებათა კონკრეტი მოძღვრება ანუ სოციალური ორგანიზმის ისტორიულად—გაზღვრული კანონები მისი განვითარების ერთ-ერთ ისტორიულ საფეხურზე. „მაშასადამე, — ამბობს ლენინი, — ენგელსის მატერიალიზმის „ფორმის" რევიზია, მისი ნატურფილოსოფიურ დებულებათა რევიზია, არა თუ არ შეიცავს, არაფერს „რევიზიონისტულს" ამ სიტყვის ცნობილ მნიშვნელობით არამედ მარქსიზმის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს. მატერიის ფილოსოფიური განმარტება მჭიდროდ დაკავშირებულია მხოლოდ მის ერთ თვისებასთან, რომელიც მატერიის ობიექტიურ ყოფას, ჩვენ შეგნების გარეშე მის არსებობას ამტკიცებს.

აქედან გამომდინარეობს მეორე თვისება; მისი მოქმედება ჩვენს გრძნობებზე და ჩვენს შეგრძნებებში განსახიერება.

ამით ლენინი ხაზს უსვამს ორ მომენტს: არსებობის მომენტს, ობიექტიურ ყოფას და თეორეტიულ შემეცნებით მომენტს—ჩვენს შეგრძნებებში განსახიერებას. ლენინი ამბობს: „ენგელსის აზრით უცვლელია მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ: ადამიანის შეგნებაში (როდესაც ადამიანის შეგნება არსებობს) იმ გარემოყარის განსახება, რომელიც მისგან დამოუკიდებლივ არსებობს და ვითარდება. არავითარი სხვა „უცვლელი" რამ, არავითარი „არსი", არავითარი აბსოლიუტური სუბსტანცია, მარქსსა და ენგელსისათვის იმ გაგებით არ არსებობს, როგორც ამ ცნებებს უქმი პროფესორული ფილოსოფია ასურათებს. „ნივთია არსი" ანუ „სუბსტანცია" რელატიურია; ეს ობიექტთა შემეცნების გაღრმავებას გამოხატავს, და თუ ეს გაღრმავება გუშინ ატომს იქით არ წასულა, დღეს ელექტრონსა და ეთერს გასცილდა. აქ დიალექტიური მატერიალიზმი ამყარებს ბუნების შემეცნების ყველა ნიშნებს, რომელნიც მეცნიერებით აწინაურებს ადამიანს, დროულ, რელატივ და მიახლობით ხასიათს. ელექტრონი იმგვარათვე ამოუწურავია, როგორც ატომი, ბუნება უსასრულოა, მაგრამ მისი არსებობაც უსასრულოა და სწორედ ეს, ადამიანის შეგნების და შეგრძნების გარეშე მისი

არსებობის ერთად ერთი უცილობელი კათეგორიული აღიარებაა. ეს უკანასკნელი ასხვავებს დიალექტიურ მატერიალიზმს.—იდეალიზმსა და რელატიურ აგნოსტიციზმისაგან" [1]).

„ატომის დაშლა, მისი ამოწურვის შეუძლებლობა, მატერიის ფორმათა და მოძრაობის ცვლილება ყოველთვის დიალექტიური მატერიალიზმის დასაყრდნობი იყო. ბუნების ყოველი ზღვარი პირობითი, რელატიური და მოძრავია, რომელიც ჩვენი გონების მატერიის შეცნობამდე მიახლოვებას გამოსახავს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ თითქოს ბუნება ე. ი. მატერია—სიმბოლო, პირობითი ნიშანი ე. ი. ჩვენი გონების წარმოებული იყოს".[2])

მატერიალიზმის ასეთი ფართო ჭეშმარიტად—დიალექტიური გაგებით, იმ თავითვე მოხსნილია ყოველი ჯურის „კრიტიკოსთა" ჩვეულებრივი შეცილება. მეტაფიზიკური მატერიალიზმი აბსოლიუტურ, უცვლელ ელემენტების ანუ „არსთა" არსებობას აღიარებს.

მექანიკური მატერიალიზმი, მექანიკას და მის კანონებს ემყარება. ხოლო დიალექტიური მატერიალიზმი არც ერთ ამ ცოდვებში დამნაშავე არ არის. ამიტომ უახლოესი გამოკვლევანი ფიზიკის სფეროში არა თუ უარსყოფენ მატერიალიზმს, პირიქით, ისინი დიალექტიურ მატერიალიზმის სისწორეს ამტკიცებს. ბუნებაზე მეტაფიზიკური შეხედულება მართლაც სრულ და საბოლოო კრახს განიცდის. მოწინააღმდეგეებზე რომ არაფერი ვსთქვათ, ეს კიდევ ბევრ მარქსისტს არა აქვს გათვალისწინებული. მაგრამ დიალექტიურ მატერიალისტებმა, მათ რიცხვში, რასაკვირველია, ლენინმაც, დიდი ხანია ჩინებულად გაიგო ამ მოძრაობის ბუნება. მარქსის და ენგელსის მსოფლმხედველობა თანამედროვე ბუნების მეტყველების მეოხებით კიდევ უფრო ყალიბდება. ლენინი როგორც დიალექტიური მატერიალიზმის ერთი ბუმბერაზი წარმომადგენელი, ბუნებას „დიალექტიკის სახიმუშო საგნად" სთვლის. რაც შეეხება მსოფლიოს მექანიკურ სურათს ის, როგორც წინ ვამბობდით, მატერიალისტისათვის საკალდებულო არ არის. ახალი ფიზიკის წიაღიდან მატერიის ელექტრონული თეორია წარმოიშვა, რომელიც მატერიის ადგილს ელექტრობას უთმობს. თუ აქამდე ფიზიკურ სამყაროს მთელს შინაარსს, ბუნებისმეტყველება სამ ცნებამდე დაიყვანდა, სახელდობრ: მატერია, ელექტრობა და ეთერამდე, ეხლა თვით მატერია როგორც სჩანს შესაძლოა ელექტრობამდე დავიყვანოთ. მექანიკის კანონები არა თუ უბრალოდ უარსაყოფია, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, არამედ მათი „მოქმედების სფერო". ასე ვსთქვათ, შემოსაზღვრულია. მექანიკის კანონები ეხლა უკვე განიხილება როგორც ელექტრო მაგნეტიზმის ანუ მსოფლიოს ელექტრო-დინამიურ სურათის კერძო შემთხვევა. მსოფლიო-მოძრავი მატერიაა. მექანიკა, ამ ახალ მოძღვრებათა საბოლოო გაანალიზების დროს, ნელ რეალ მოძრაობათა სურათი იქნებაო,—ამბობს ლენინი,—ხოლო ელექტრომაგნეტური თეორია კი, გიგანტური სიჩქარის გამომბაატველი.

---

[1]) ibidi გვ. 220.

[2]) Ленин. ibidi გვ. 236.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასის მუდმივობა და ინერციის პრინციპი ძალაში დარჩება, მხოლოდ სხეულთა საშუალო სიჩქარისათვის. ამგვარად ძველი მექანიკა არ არის უარყოფილი სრულიად, არამედ ის უფრო ვიწრო ფარგლებში ძალაუფლდა ყოველ შემთხვევაში როგორც მექანიკის. ავრეთვე ახალი ფიზიკის სფეროში ჩვენ რეალ მოძრაობასთან და ობიექტიური რეალობის ე. ი. მატერიის მოძრაობა, ცვლილებასა და გარდაქმნასთან გვაქვს საქმე. „მატერიალურ გარდაქმნათა დიალექტიკა, რომელიც ლაბორატორიებში და ქარხნებში სწარმოებს, იდეალისტის თვალში,—ხაზს უსვამს ლენინი, არ მატერიალისტურ დიალექტიკის დამტკიცებაა, არამედ მატერიალიზმის საწინააღმდეგო დებულება“.

მართლაც, შეუსაბამია ახალ ფიზიკიდან იდეალისტური დასკვნები გამოვიყვანოთ. ჩვენ ლაბორატორიებში, ელექტრობასთან, ატომებთან და ელექტონთან გვაქვს საქმე. ჩვენ აქ მატერიალურ გარდაქმნათა დიალექტიკის არა მარტო „დაკვირებას“, არამედ „ცდასაც“ ვახდენთ... ცხადია, რომ ასეთი პროცესები რეალური, ობიექტური და მატერიალური რომ არ ყოფილიყო, ისინი არსებობას სრულიად მოკლებული იქნებოდენ და მათ შესახებ ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა. მართალია ის, რაც ეხლა ვიცით და რასაც ვუკვირდებით, ბევრად უფრო ბრძნულია ძველ მექანიკაზე. მაგრამ ყოველივე ეს მატერიის დროსა და სივრცეში მოძრაობაა. ადამიანის გონებამ, ბუნებაში ბევრი საკვირველი რამ აღმოაჩინა და კიდევ მეტს აღმოაჩენს, რითაც უფრო დაიმორჩილებს ბუნებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნება ჩვენი გონების მიერ ან განყენებული გონების ე. ი. ბაგდანოვისებური „დადგმის“ ტიტლიკანა ღმერთის მიერ იყოს შექმნილი.

მეტაფიზიკურ მატერიალიზმის წინააღმდეგ მარქსიზმის დამფუძნებლებმა გაილაშქრეს. მის მექანიკურ მიმართებაში ისინი ძირითად შეცდომას ხედავდენ. ამ შემთხვევაში მართლაც განცვიფრებაში მოვყავართ იმ „მოხუცთა“ შორს მჭვრეტელობას.—თანამედროვე ფიზიკის სიმაღლიდან მათი შეხედულება უფრო ღრმა ფილოსოფიურ მნიშვნელობას ჰპოულობს.

მარქსი და ენგელსი, მიმდევნად დიალექტიკოსები და მატერიალისტები იყვენ და ამიტომ ისინი სხვაზე უფრო ღრმად და შორს მხედველნი იყვნენ. როგორც დიალექტიკოსები, მათთვის ცხადი იყო, რომ შემეცნება გზა, დაბოლოებულ სახით მოცემული არ არის, რომ რელატივ ცოდნას — ობიექტურ ცოდნამდე და არა სრულ ცოდნას სრულ და სწორ ცოდნამდე მივყევართ. მათ კვალს გაყვა ლენინიც ულრმეს რეალიზმის, ამოუწურავ რევოლიუციურ ენტუზიაზმის და პრაქტიკულ იდეალიზმის დამტევი. განვითარების თვითეულ მომენტს ან „რგოლს“ ის ღებულობდა როგორც მთელის დაახლოებით რეალ გამოხატულებას. ის არ ჩერდება, არ იყინება ცალკე სტადიებზე, არამედ შეუჩერებლივ ისწრაფვის წინ. როგორც უნიადაგო უტოპიზმი აგრეთვე მცოცავი ემპირიზმიც მისთვის უცხო იყო.

„ჩვენ დოქტრინორები არა ვართ, ამბობდა ლენინი. ჩვენი მოძღვრება მარქსიზმის შესახებ ეს დოგმა არ არის, არამედ სამოღვაწეო სახელმძღვანელოა. ჩვენ იმაზე პრეტენზიებს არ ვაცხადებთ, რომ თითქოს მარქსმა ან მარქსისტებმა

სოციალიზმისაკენ მიმავალი კონკრეტი გზები იცოდენ. ეს მიქარვა. ჩვენ ვიცით ამ გზის მიმართულება, ჩვენ ვიცით თუ რა კლასიური ძალები მიგვიყვანს სოციალიზმამდე, მხოლოდ კონკრეტულად, პრაქტიკის სფეროში ჩვენ ჯერ-ჯერობით ცდა გვიჩვენებს, როდესაც ამ საქმის განხორციელებას შეუდგებიან"*) მას ერთი წუთითაც არ დავიწყებია საბოლოო მიზანი, რომლისკენ, თანამედროვე საზოგადოების ობიექტურ განვითარებაზე დაყრდნობით მიილტოდა. მაგრამ ამასთანავე ერთად მას შეგნებული ქონდა, რომ ის გზა, რომელსაც საბოლოო მიზნამდე მივყევართ განაწამები და გამოტანჯულია, რომ კონკრეტ საფეხურთა და დაბრკოლებათა მთელი რიგი გადალახულ უნდა იქმნეს, ვინაიდან ამის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი პრაქტიკული წინსვლა.

და თუ მთელი რელატივ ცალკე მომენტთაგან შედგენილია, მაშინ საჭიროა თვითეულ ცალკე მომენტის სული და შინაარსი, მთელის განსახება მოსძებნოთ. ამაში მდგომარეობს მსოფლიოზე დიალექტიურად მზერის უნარი, ქვეყნის დაფლობის ხელოვნება. ასეთია მარქსისტული მეთოდის უძლეველი ძალა, რომელსაც სრულიად ფლობდა ლენინი.

ის თავის ძლიერი ტემპერამენტით ებრძოდა ყველა მათ, რომელთაც ასე ვსთქვათ, ნახევრად შეუთვისებიათ მარქსის ისტორიული და ეკონომიური მოძღვრება და ამავე დროს სრულიად არ ჰქონდათ გარკვეული მისი ფილოსოფიური საფუძველი დიალექტიკური მატერიალიზმი. არ შეიძლება ზევით მატერიალისტი ვიყვეთ (ე. ი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში ისტორიული მატერიალიზმის მომხრე) და ამავე დროს ქვევით (ე. ი. ბუნების მიმართ) იდეალისტი, ისე როგორც არ შეიძლება ვიყვეთ ქვევით მატერიალისტი და ზევით იდეალისტი. დიალექტიური მატერიალიზმი მთლიანი მსოფლმხედველობაა, რომელიც იტევს როგორც ბუნებას, ისე საზოგადოებასაც.

ლენინი ამ მსოფლმხედველობის ძლიერი წარმომადგენელია. მისი პრაქტიკული საქმიანობის თვითეული ნაბიჯი უწყვეტად დაკავშირებულია ამ საკუთარ მსოფლმხედველობასთან, და თან მარქსიზმით გაშუქებულია.

(დასასრული იქნება).

*) Ленин, XIV ტ. II ნაწ. გვ. 83—84. ამ სიტყვებში საუცხოოდ გამოხატულია ლენინის, როგორც „თეორეტიული", აგრეთვე „პრაქტიკული" ფილოსოფიის მთელი „შინაარსი".

სეით დევდარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს პასუხი არ არის*)

I

ნ. ჟორდანიასაგან მართალი ვსთქვა, არ მოველოდი ასე დაწვრილმანებას და ბუზის დანახვას იქ, სადაც სპილოა დასანახავი. ეს ეპატიებათ ჩვენი დროის ლიაპკინ-ტიაპკინებს, პოლიტიკურ მცირე წლოვანებს, ამათ არ შეეძლოთ მეტი და შეუდგენ „ბუზების თვლას"—რამდენათ შეაშინა ჩეკამ ეს კაცი, იტყოდა თუ არა, რასაც ახლა ამბობს, ჩეკაში, რომ არ ჩავარდნილიყო და სხ.

ვიმეორებ, ამათ ეს ეპატიებათ. ფრანგული ანდაზაა,—საუკეთესო ქალწული ვერ მოგცემს იმაზედ მეტს, რაც აქვს. მაგრამ ნოე ჟორდანიას მეტი მართებს და მეტი მოეთხოვება. ის არ უნდა გამხდარიყო ასე ნემსის კუნწში გასაძრომად და არ უნდა დაეწყო თავის პასუხი ჩემ წერილზე იმით, რომ „ეს ახალი რევიზიონიზმი ჩეკამ ხომ არ მოახვია თავზეო".

მოვუყვები ნ. ჟორდანიას, რაში და როდის დაიწყო ჩემი „რევიზიონიზმი". რუსეთის სოც.-დემოკრატიაში მე ვიდექი საშუალო ხაზზე, ვეკუთვნოდი ე. წ. ცენტრს, ვამბობდი და ვწერდი ხოლმე, რომ მუშათა კლასის დემოკრატია უნდა იყოს მებრძოლი ორივე ფრონტზე—როგორც ბოლშევიკების, ისე დენიკინ-კოლჩაკის წინააღმდეგთქო. **ვის ავირჩევდი მე, თუ არსაიდან არ გამოჩნდებოდა ეს საშუალო ძალა, ეს ორივე მხრივ მებრძოლი დემოკრატია?** არასოდეს არ მიფიქრია ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე ძალების არჩევა, გულშიაც არ გამივლია მარჯვენა ბოლშევიზმისაკენ გადაქანება. საქართველოს დემოკრატია მე მიმაჩნდა სწორეთ ამისთანა საშუალო ძალათ. 1920 წლის განმავლობაში ხშირად მითქვამს ხოლმე ხან სიტყვით ხან კალმით, საქართველოს დემოკრატიამ თუ

*) რედაქცია ფიქრობს, რომ ამბ. დევდარიანის წერილი მიუხედავად მისი ცოტათი დაგვიანებით გამოქვეყნებისა, მაინც არ არის მოკლებული ზოგიერთ ინტერესს. ამიტომ იგი საშუალებას აძლევს ავტორს გამოიქვეყნოს ეს წერილი „მნათობის" ფურცლებზე შეუცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ, ცხადია არ იზიარებს დასახელებულ წერილში გამოთქმულ ბევრ აზრებს.

რედაქცია.

გაიმარჯვა, ეს იქნება საერთაშორისო დემოკრატიის გამარჯვებათა. ასე გვითხრა სხვათაშორის მეორე ინტერნაციონალის ერთმა წარმომადგენელმაც აქ სტუმრობის დროს... თქვენ დამარცხდებით, ჩვენი დამარცხება, თქვენ გაიმარჯვებთ ჩვენი გამარჯვება იქნებაო. საქართველოს დემოკრატია ჩაიჭრა ისტორიულ გამოცდაზე. **ის დამარცხდა 1921 წ. თებერვლის—მარტის დღეებში არა მარტო იმით, რომ რუსეთი მოერია, ის დამარცხდა პოლიტიკურადაც. ყველასათვის ადვილი დასანახავი გახდა, რომ საქართველო ვერ შეიკავებს თავს საშუალო ხაზზე, უნდა მიემხროს რომელიმე ძალას.** რომელს? ეს კითხვა მე დავაყენე ქუთაისში გამოსულ გაზ. „ერთობის" უკანასკნელ ნომერში, იმ დღეს როცა ბათუმისაკენ მივეჩქარებოდით. ვსთქვი, რომ საქართველო უნდა იყოს ანტანტის მოწინააღმდეგე კავშირში.

ბათომში მე წავიკითხე ნ. ჟორდანიას მოწოდება, ეუბნებოდა ქართველებს არც ერთი განკარგულება ძალით მოსული მთავრობის არ უნდა სრულდებოდეს, ერთად ერთი კანონიერი მთავრობაა, ის, რომელიც ახლა მიდის საზღვარ-გარეთ და სადაც უნდა იქნეს, თვალ-ყური იმისკენ უნდა გეჭიროსთო.

ნ. ჟორდანია ამ მოწოდებაში დასაყრდნობ წერტილად იხდიდა საქართველოს იურიდიულ ცნობას. ის ეკედლებოდა ევროპის სახელმწიფოებს ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ. ეს იყო მე ვამტკიცებ, რევიზიონიზმი ნ. ჟორდანიას პოლიტიკურ აზროვნებაში. კარგათ მახსოვს რაც უთქვამს ხოლმე 1920 წ. ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე, რასაც ამბობდა პარტიულ ყრილობაზე იმავე წელს, ან ამა თუ იმ მოხსენებებში პარტიის გარეშე, მაგალითად, სახ. გვარდიის ყრილობაზე, მახსოვს მისი დეპეშა, რომელიც გაუგზავნა მოსკოვს გრ. ურატაძის სახელზე მოსკოვთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულების გამო, მახსოვს მისი თეზისები, რომელსაც ის ატანდა ჩვენს მუშათა დელეგაციას საბჭოთა რუსეთში. ყველაფრიდან და ყოველთვის გამოდიოდა ისე, რომ გადამწყვეტ წუთში ნ. ჟორდანია არ აირჩევდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს რუსეთის წინააღმდეგ, პირიქით ამ უკანასკნელს აირჩევდა პირველის წინააღმდეგ.

ბათომში ზღვის პირზე გემში ჩაჯდომის წინა დღით ნ. ჟორდანიას პოლიტიკას ჯოხი გადაელუნა იქითა მხარეზე. ეს იყო რევიზიონიზმი—ბოლშევიზმის შიშით გამოწვეული.

მე ძალიან შემაშინა ამ რევიზონიზმმა. „ერთობის" რედაქციაში—ბათომში გვქონდა მაშინ ეს გაზეთი—ვეუბნებოდი ნ. რამიშვილს, რომ ჩვენ უნდა ჩამოვაგდოთ ბოლშევიკებთან ზავი, თქვენ თუ მიდიხართ საზღვარგარეთ იმ იმედით, რომ ევროპის სახელმწიფოები დაგეხმარებიან, ჩვენ დაგვეღუპება პარტია და დაღუპვის გზაზე იქნება დამდგარი ქართველი ერიცთქო. ამ ლაპარაკზე იქ იყვნენ კ. ჩხეიძე და ალ. ლომთათიძე, ნ. რამიშვილმა მითხრა — მოვილაპარაკოთ მაგაზე ხვალ ცენტრალურ კომიტეტშიო. „ხვალ" ამისთვის აღარ გვეცალა და აღარ შეეხვედრივართ ერთმანეთს.

ამნაირათ ჩემი რევიზიონიზმი, თუ ეს რევიზიონიზმია, დაიწყო ჩეკაში ჩავარდნამდის. ერთში მართალია ნ. ჟორდანია: უნდა მიმეწერა წერილი იმისთვის, როცა საშუალება მქონდა „პირდაპირი კავშირის და მიწერმოწერის". ვე-

რიდებოდი ამას მარტო იმ მოსაზრებისა, რომ იქნება ჩემ წერილსაც დამართოდა გზაში ის, რაც ხშირად ემართებოდა წერილებს აქედან და იქიდან. ბოლშევიკები მშვენივრათ გამოიყენებდენ ჩავარდნილ წერილს [illegible] პარტიას მეტი ზიანი მოუვიდოდა. სარგებლობა კი არაფერი იქნებოდა, [illegible] რომ მისულოდა ნ. ჟორდანიას ჩემი წერილი. არსებითად ის მომცემდა ისეთ პასუხს, როგორიც ახლა მომცა.

მაგრამ საზღვარ გარეთ, მე მგონია ყოველთვის მიდის აქაური გაზეთები. ნ. ჟორდანია ალბათ „წააწყდებოდა" „კომუნისტის" ნომერს, რომელშიაც დაბეჭდილი იყო ჩემი ღია წერილი ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროსადმი. „წააწყდებოდა" ამ ბიუროს ორგანოს „მოამბის" ნომრებსაც, რომელშიაც იყო ერთი რიგი ჩემი წერილების. იქ მე ვსწერდი საერთო ენის შესახებ — ვეუბნებოდი სხვათა შორის საინიციატივო ბიუროს, დამანახვეთ რა საბუთებით მტკიცდება რომ პარტიას კავშირი აქვს ბანდებთან და ერთი წუთსაც ალარ დავრჩები პარტიაში თქო. მაშინ მე არ ვყოფილვარ ჩეკაში და ჩეკას არაფერი „მოუხვევია" ჩემთვის თავზე. **ჩეკამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე იმით, რომ მანახვა მის ხელში ჩაცვენილი საბუთები**. ნ. ჟორდანია იმედი მაქვს, გაეცნობა ამ საბუთებს და ვნახოთ აიღებს თუ არა თავის თავზე სრულ პასუხისმგებლობას. თითონ დაინახავს მაშინ რამდენათ საფუძვლიანია მისი პასუხის ერთი სტრიქონი: —„მაზე (ე. ი. ჩემზე ს. დ.) ხომ არ გამართლდა ცნობილი თქმულება „შიში შეიქმნს სიყვარულსო".

რაც შეეხება „შიშს"... ნ. ჟორდანიას ვეტყვი, რომ თქმაც არ მეადვილება პრესის ფურცლებზე. აქ ამას წინეთ ბაყაყები მეყიყინებოდენ შეკითხვებში და წერილებში,—დახვრეტის ხომ არ შეგეშინდაო. ჩეკას ამ საბუთების მიხედვით შეეძლო დაეხვრიტა არა ერთი და ორი, იქნება ათეულიც და ასეულიც. მე ვიცოდი, რომ არ მოვხვდებოდი არც ათასეულის რიცხვში, არც ნ. ხომერიკი მოჰყვებოდა. მაგრამ ჩემთვის გაცილებით უარესი სასჯელი იქნებოდა, რომ ვინმე დახვრეტილიყო და თვითონ „გადავრჩენილიყავი". დავარწმუნებ ნ. ჟორდანიას, რომ ეს შიში ახლაც მიდგას წინ, და მე საშინლათ მიკვირს აი რა: გუშინწინ ხელში ჩამივარდა ბერლინის „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ი, აქ ამოვიკითხე: საფრანგეთის სოციალისტურმა კონგრესმა შუამდგომლობა აღძრა ამნისტიის შესახებ, ხომერიკისთვისო. ეს იქნებოდა ალბათ საზღვარ გარეთის ბიუროს წინადადებით. საზღვარ გარეთის ბიუროს მიუდის აქედან წერილები და არ შეიძლება არ იცოდეს, რომ დამწყვდეულია არა მარტო ხომერიკი, და ხომერიკზე უფრო სჭირდებათ ამნისტია სხვებს. არიან ისინი ვისაც ბრალდება კავშირი ჩოლოყაშვილთან. **საზღვარ გარეთიდან მოსული წერილებიდან, აქაური საბუთებიდანაც სჩანს, რომ საქართველოს სოც.-დემ. პარტია ხელს ვერ დაიბანს, ვერ იტყვის ჩოლოყაშვილის არავიცირაო. მე არ მინდა ერთი მსხვერპლიც შეიწიროს იმ ბრძოლის „ხაზზე", რომელზედაც დამახინჯებულია და გადაგვარებულია სოციალისტური პრინციპები.** ამ პატარა ფაქტში, რომელზედაც ახლა ვუთითებ—სარკესავით იხედება მთელი ახლანდელი არსება საქ. ს. დემ. პარტიისა. **ის ხალხს აბამს ხალხისათვის გამანადგურებელ ბრძოლაში, ხალხს**

კი ბოლომდის გვერდში არ უდგას და მარტო „თავისიანის" გადარჩენაზე ფიქრობს.

მე არ ვფიქრობ ასე; „თავისიანობა" მე არ მწამს. პარტიისადმი იერნება არ არის ეს ხელსაყრელი, მაგრამ ხალხის ყოფნა არ ყოფნის [illegible] გამოინახოს სხვა გზა საქართველოს საკითხში.

II

ეს მიეწერე მე ნ. ჟორდანიას და ამ პატარა წერილში არ გადამიტანია საკითხი საერთოდ ბოლშევიზმ-მენშევიზმზე. ვამბობდი ხაზ გასმით, რომ პარტიის მოქმედება **საქართველოს საკითხში** დატრიალდა რაღაც საეჭვო და ხელმოუკიდებელი იმედების წერაზე. ვგულისხმობდი საგარეო ინტერვენციას.

ნ. ჟორდანია მართალს ამბობს,—მენშევიზმის ტაქტიკური და პრინციპიალური საფუძველი არ შეიძლება იყოს დამყარებული რაღაც იმედებზე და ილიუზიებზეო".

მეც მეგონა აქამდის, რომ არ შეიძლება იყოს.

მაგრამ ნ. ჟორდანია მართალს არ ამბობს; — საზღვარ-გარეთის იმედები, საგარეო ინტერვენცია არ ყოფილა „ჩვენი პარტიის მოქმედების ღერძათო".

არ ყოფილა კი არა, იყო და არის. საქართველოს სოციალ-დემოკრატია თითონაც საზრდოობდა, ხალხსაც ასაზრდოებდა „იქაური" იმედებით.—ვილაცა მოვა და გაგანთავისუფლებსო,—ასე იმედობდენ აქ ამ სამ წელიწადში, ახლაც ასე იმედობენ ზოგიერთები: სხვა ღერძი არ ქონებია და არც აქვს პარტიის მოქმედებას.

თუ ნ. ჟორდანიას ეს ასე არ გონია ალბათ არ ახსოვს, რასაც თითონ სწერდა სხვათა შორის „ბრძოლის საკითხებში": ქართველი ერი უნდა შევიდეს საბოლოოთ ევროპის ოჯახში; ეს კი შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკების ბატონობის დაცემით და თავისუფლების აღდგენით. ამის ნიადაგი უკვე მომზადებულია ჩვენში და ევროპაში. დასავლეთის მთელი დემოკრატია დიდათ დაინტერესებულია ქართველი ხალხით. დიდ თანაგრძნობით მას ეპყრობა და მფარველობას უწევს. მას ის უკვე მიაჩნია თავის ნაჭრათ, თავის ხორცათ და სისხლათ. მეორე მხრივ მთელი ქართველი ხალხი არ ურიგდება მოსკოვის ოკუპაციას, იბრძვის თავისუფლებისათვის და იხედება დასავლეთისკენ. ის იმედიანათ არის. და ეს იმედი მას არ გაუცრუვდება (ნ. ჟორდანია: ბრძოლის საკითხები).

განა ეს სტრიქონები რაღაც იმედებზე და ილიუზიებზე არ არი დამყარებული? განა აქ საეჭვო და ხელმოუკიდებელი იმედებით არ უმასპინძლდება ნ. ჟორდანია თავის მკითხველებს?

ის კარგათ უნდა იცნობდეს სხვა მასალებსაც —საზღვარ-გარეთიდან მოსულ და ახლა ჩეკაში ჩაცვენილ წერილებს. თუ იცნობს, საბუთი აღარ ექნება თქვას, რომ საზღვარ-გარეთის იმედები, საგარეო ინტერვენცია არ ყოფილა „ჩვენი პარტიის მოქმედების ღერძათო".

ის კარგათ უნდა იცნობდეს სხვა მასალებსაც — საზღვარ გარეთიდან მოსულ და ახლა ჩეკაში ჩაცვენილ წერილებს. თუ იცნობს საბუთი აღარ ექნება თქვას, რომ საზღვარ გარეთის იმედები, საგარეო ინტერვენციაზე არ ყოფილა „ჩვენი პარტიის მოქმედების ღერძათო“.

6. რამიშვილს ერთა ლიგაში შეუტანია ძველი მთავრობის სახელით განცხადება რუსეთის იურიდიულათ ცნობის დროს, რუსეთს უნდა მოეთხოვოს ჯარის გაყვანა საქართველოდანო*) ნ. რამიშვილი ისე გულუბრიყვლო არ არის, რომ საკამათოდ მიაჩნდეს ცარიელი მოთხოვა ერთა ლიგის მხრივ. თუ რუსეთი არ დაეთანხმა? უნდა დათანხმონ... ერთა ლიგამ უთუოდ უნდა მიიღოს სხვა ზომებიც. მე მგონია ამას არაფერი არ დაერქმევა საგარეო ინტერვენციის მეტი და ამაში არაფერი არ არის „საეჭვო და ხელმოუკიდებელი“ იმედების გარდა.

ბოლშევიზმის ბატონობა საქართველოში ნიშნავს რუსეთის ბატონობას საქართველოზეო— ხშირათ ამბობს ნ. ჟორდანია. ბოლშევიზმის მოცილება ნიშნავს მაშასადამე, რუსეთის მოცილებას.

მერე ეს შეუძლია ქართველ ხალხს თავისით, განა ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, „ხალხის განთავისუფლება თითონ ხალხის საქმეაო?“

— არა მე ეს არ შემიძლია, ეს არ არის „თვით ჩემი საქმეო“—უთუოდ იტყვის ქართველი ხალხი.

6. ჟორდანია ხედავს პარტიის მოქმედების საფუძველს იმაში, რომ „ხალხი არ ურიგდება ბოლშევიკურ რეჟიმსო“.

ეს არის წმინდა წყლის სუბიექტივიზმი. მარქსისტული არაფერია ამაში. მარქსისტულ პარტიას არ შეუძლია მარტო სურვილებზე და სულიერ განწყობილებაზე ააგოს თავისი ტაქტიკა.—შენ გინდა, გსურს, მაგრამ ეს არ კმარა, ხელს უნდა გიწყობდეს კიდევ ობიექტიური პირობებიო, —აი რას ეუბნება ხალხს ნამდვილი მარქსისტული პარტია.

მერე ეს შეუძლია ქართველ ხალხს თავისით? განა ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას,—ხალხის განთავისუფლება თვითონ ხალხის საქმეაო?

— არა, მე ეს არ შემიძლია, ეს არ არის „თვით ჩემი საქმეო“, — უი-უი იტყვის ქართველი ხალხი.

მე მიხარია. რომ ნ. ჟორდანია თავის უკანასკნელ. როგორც ეტყობა, ნაჩქარებ წერილში („ჩემი პასუხი“) უკვე აღარ იძლევა საგარეო იმედებს. მაგრამ დავუგდოთ ყური, რა უნდა იყოს, მისი აზრით საქ. ს.-დ. პარტიული ტაქტიკის საფუძველი.

— „თუ ხალხს უნდა თავისუფლება, ამას იგი ადრე თუ გვიან მიაღწევსო. —საქართველომ ხომ საქვეყნოთ აღიარა თავის სურვილი იყოს სუვერენული და დამოუკიდებელი. მაშასადამე მას არაფერს ახალს თავზე არ ვახვევთ, მხოლოდ ვეუბნებით, ჩააფრინდით მაგრათ ამ თქვენ თვით გამორკვევას, თქვენ და მიგიყვანთ სამშვიდობოზე. ეს არის გზა ისტორიულათ ჩვენი განვითარების და ბრძოლისო“.

*) „პოსლედნია ნოვოსტი“ 16 მარტი 1924 წ.

თითქო ხალხის სურვილზეა დამოკიდებული ხალხის განკითარების გზა, თითქო მეტი არაფერია საჭირო, ოღონდ უნდოდეს, ოღონდ ბაფერინდეს მაგრათ თავის სურვილს.

ნ. ჟორდანია ხედავს პარტიის მოქმედების საფუძველ[illegible] ხალხი არ ურიგდება ბოლშევიკურ რეჟიმსო.

ეს არის წმინდა წყლის სუბიექტივიზმი. მარქსისტული არაფერია ამაში. მარქსისტულ პარტიას არ შეუძლია მარტო სურვილებზე და სულიერ განწყობილებაზე აგოს თვისი ტაქტიკა. — შენ გინდა, გსურს, მაგრამ ეს არ კმარა, ხელს უნდა გიწყობდეს კიდევ ობიექტიური პირობებიო, — აი რას ეუბნება ხალხს ნამდვილი მარქსისტული პარტია.

ნ. ჟორდანია მთავარი ძარღვია საქართველოს სოციალ-დემოკრატიის და ვერაფერს ვერ ამბობს ობიექტიური პირობების შესახებ.

ხალხის შეურიგებლობა კი იმაში იხატება, რომ ის **ელის** დღიდან დღეზე, ის დღეს-ხვალ, ელის ნ. ჟორდანიასაგან, პუანკარესაგან, კერზონისაგან, მაკდონალდისაგან. ხალხის თავში აირია ყველაფერი. უთხარით ხალხს, — შეიძლება „განვლოს წლებმა“-თქო და მაშინ გაუზომეთ შეურიგებლობის სიცხე, აუწევს მაღლა, თუ ჩამოუარდება ძირს.

ნ. ჟორდანიასათვის საქართველოს საკითხში მეორე ხარისხოვანია დრო, ხოლო იმ „ბრძოლაში“, რომელსაც აწარმოებენ აქ ს.-დ. ცენტრალური კომიტეტი და პარიტეტული კომიტეტი, დრო პირველ ხარისხოვან საკითხათ დგას. ეს „ბრძოლა“ მიზომილია დღეებზე, დიდი, დიდი თვეებზე*) და ამნაირი ბრძოლის „ხაზს“ აქამდის ხელს უწყობდა ევროპის ფოსტა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას რომ შესმენილი ქონებოდა, — „შეიძლება განვლოს წლეებმაო“, მაშინ ბრძოლა დარჩებოდა იდეურ პოლიტიკურ ხაზზე, ადგილი აღარ ექნებოდა ავანტიურას, გახრწნას. პარტიამ დაჰკარგა მარქსისტული **გზა და პრინციპი**, აჰყვა სტიქიას, სურვილებს, სხვა ვერაფერი ნახა ხელმოსაკიდებელი და **ჩავარდა** უფსკრულში.

III

გზას და პრინციპს ნ. ჟორდანია არ იძლევა თავის წერილში. ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, ვილაცა მოვა და გაგანთავისუფლებსო, შენ თითონ გაინთავისუფლებ თავს, თუ გინდაო, — ეუბნება ის ქართველ ხალხსო.

*) საქ. სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ ფურცელში ეკითხულობთ:

— ქართველმა ხალხმა კარგათ იცის, რომ რუსეთის საკითხთან ერთად ევროპის დღიურ წესრიგში დგას საქართველოს საკითხიც, და ამ გარემოებას ვერსად გაექცევიან რუსეთის წითელი დეკეტიმორდები, რაც უნდა ყალბი ცნობები თხზნან თავიანთ აგენტურის საშუალებით... მალე ლონდონში გაიხსნება კონფერენცია და ინგლისის დემოკრატიის წინაშე წარსდგება მოსკოვის ტირანიული ხელისუფლება, რომელმაც ხელები საქართველოს ხალხის სისხლით შეიღება. უეჭველია, რომ ინგლისის მუშათა მთავრობა მოსთხოვს თავის ძველ ვალებს, და იმ ხელშეკრულებათა ასრულებას, რომელთაც საერთაშორისო ხასიათი აქვს. აი სწორეთ ასეთი ხასიათის და თვისებისაა. საქართველო უკვე ცნობილია ევროპის მიერ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, და ამ გარემოებას ვერავინ უარჰყოფს დღეს გარდა აშკარა მოძალადეებისა... საქართველოს განთავისუფლების დღე მ ო ა ხ ლ ო ვ დ ა... საქართველო უნდა განთავისუფლდეს და განთავისუფლდება კიდევაც.

ნ. ჟორდანიას ტაქტიკაც დამყარებულია უძვლო და უძვლო/უხერხემლო იმედზე. ნ. ჟორდანია რაღაცას ელის **აქედან** „როგორც [illegible] ელიან **იქიდან.**“ ეს რაღაცაა საქართველოს სოც.-დემოკრატიული [illegible] „საოქმედო“ ლერძი.

ყოფილ მენშევიკთა საპასუხოთ ნ. ჟორდანია გაკვრით ამბობს,—ბოლშევიზმის გზა მიდის უფსკრულისკენ, და ჩვენი გზა მიდის აღორძინებისაკენო.

ეს ზეპირი თქმაა, საიდან გამოიყვანება დღევანდელ ობიექტიურ პირობებში ეს „ჩვენი გზა“, საიდან და როგორ გავედით ჩვენ აღორძინებისაკენ?—ბოლშევიკური ხელისუფლება, უეჭველია, დაიჭკვიანა,—სწერს ნ. ჟორდანია, რა იქნება შემდეგ? ამაზე ის გვეუბნება „ბრძოლის საკითხებში“,—ბოლშევიზმს სახეირო მემკვიდრე არ ეყოლება, ბოლშევიზმის ხიდან დემოკრატიზმი არ ჩამოვარდებაო“. როგორღა ვიპოვნით, თუ ასეა, იმ „ჩვენ გზას“, რომელიც მიდის აღორძინებისაკენ? ასე უნდა დადგეს საკითხი. ნ. ჟორდანიას არ აქვს ამ საკითხზე არავითარი პასუხი.

პასუხი არ არის მარტო იმის თქმა, რომ—საბჭოთა ძალა-ფლების დამარცხება საქართველოში ნიშნავს ხალხის სუვერენიტეტის აღდგენას, დემოკრატიის გაბატონებას, თავისუფლების დამყარებას და ბრძოლის საშუალებების გაფართოებას“.

ასე ადვილათ ჩვენ ვერ დავაიმედებთ ხალხს, ვერ შევპირდებით, რომ საბჭოთა ძალა-ფლების ჩამოგდება უთუოდ დემოკრატიას გააბატონებს საქართველოში. ისტორია არ შეასრულებს ამისთანა დაპირებას. ვითომ მოხერხდება ისე, რომ რუსეთში დარჩეს ბოლშევიზმი და საქართველოში დამარცხდეს? ან თავს დაანებებს რუსეთი საქართველოს, რომ აღარც იქ იქნეს ბოლშევიზმი?

აი ამ კითხვებში ნ. ჟორდანიას „წყალზე ფეხით გაჩერება“ მოუნდომებია. რუსეთი თავისთვის და საქართველო თავისთვისო,— ამბობს. ეს არის ტყუილი იმედი, უტოპია და, როგორც სჩანს, ნ. ჟორდანია „ამ უტოპიის მსხვერპლი გამხდარა“.

საქართველოს არ მოეხსნება არც ბოლშევიკური, არც კადეტური, არც ესერული რუსეთი. არც სოც.-დემოკრატიული რუსეთი მოეხსნება, რომ მოხდეს კიდეც სასწაული და გაჩნდეს ამისთანა.

ბერლინის ჟურნალში, „Социалистический Вестник“-ში (რუსი მენშევიკების ორგანოა) ამ სამი წლის წინეთ ეწერა:—თუ ეკონომიური წინმსვლელობისათვის საჭირო იქნა რუსეთთან ერთად ყოფნა, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ დარწმუნების ძალით (силой убеждения) პატარა ერებზე, რომ რუსეთთან იყონო. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს საბოლოოთ силой убеждения. სადაც სიტყვა არ იკმარებს, იქ იარაღი შეეა ხმარებაში.

თუ საქართველო რუსეთს ვერ გამოეცლება, ცხადია, რუსეთისაგან დამოუკიდებლათ საქართველოში ვერაფერი დამყარდება. ნ. ჟორდანიას არ ეყოფა გაკვრით ლაპარაკი ამ საგანზე. ის მოვალეა გამოარკვიოს უფრო საფუძვლიანათ, რა ობიექტიური პირობებია იმის თავდები, რომ საქართველოს ექნება მეტი დამოუკიდებლობა ბოლშევიკურ ძალაუფლების შემდეგ.

საქმე იმაშია, ვინ იქნება ჩამომგდები ამ ძალაუფლების. ყველა ხალხს „დამხმარე“ უნდა ეყოლოს. თუ დაეხმარა ვინმე, ისე არ დაეხმარება, რომ წინ არ წაიგდოს, მთავარი სასიცოცხლო ძალები არ შეალეგლოს, და მერე თავზე არ დააჯდეს. პოლიტიკაში მუშაობს ძალა, ინტერესი, ჭეშმარიტ-ქრისტიანობა კი არა. ნუ თუ ეს მარქსისტული ანბანი დავიწყებულია დღეს?

მაგრამ, ვთქვათ, მოეწყო როდისმე ობიექტიური პირობები ისე, რომ საქართველოს მოუხერხდა გამოყოფა. — „ინტერვენცია დამოკიდებულია არა ჩვენ სურვილებზე, არამედ სახელმწიფოთა ერთი მეორის ქიშპობაზე და ინტერესთა კომბინაციებზე... რასაკვირველია, შექმნილ ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებით ჩვენი ხალხიც ისარგებლებსო,—სწერს ნოე.

ერთი მეორის ქიშპობა და ბრძოლა თუ იქნა რუსეთის გარშემო, რუსეთი ჩაებმება ახალ მსოფლიო ომში. ომის შედეგი იქნება, ვთქვათ, რუსეთის დანაწილება, განაპირა ერების დაცალკევება. ალბათ, ამისთანა „ხელსაყრელ“ საერთაშორისო პირობებზე ფიქრობს ნ. ჯორდანია.

ისარგებლებს თუ ვერა საქართველო, „ხელსაყრელი“ იქნება თუ არა ეს საქართველოსთვის? როცა სახელმწიფოთა ერთი მეორის ქიშპობაა და ინტერესთა კომბინაციებია“, მაშინ ძლიერი იმარჯვებს და სუსტი მარცხდება, ცალკე საქართველოს არ იქნება იმდენი ძალა, რომ „ქიშპობას და კომბინაციებს“ გაუძლოს. არც ისეთი ჭირისუფალი მოევლინება, რომ მისი „მფარველობით“ წაიდეს ალორძინებისაკენ. არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო არ ჩაისვამს ასე კალთაში საქართველოს და არ გაუწევს ამნაირ ჭირისუფლობას.

პირიქით, საქართველოს მაშინ დაბალ ღობეთ შეხედავენ. ის შეიქმნება ყველას ადვილი ხელწამოსაკრავი და ფეხდასადგმელი, ყველა მოქიშპე ნისკარტების ჩასაკორტნავათ გახდება. როგორ გონია ნ. ჯორდანიას, ინგლისი ან საფრანგეთი გაგვიწევს მაშინ, მაგალითათ მფარველობას და ფართოთ გაგვიშლის ეკონომიური და კულტურული წინსვლის გზას? მე ეს არ მგონია, **მე მგონია ამისთანა „მფარველი“ ისე ჩაგვიხუტებს გულში, რომ სუნთქვა გაგვიჩერდება**. დაგვისახელოს ნ. ჯორდანიამ ისეთი პატარა სახელმწიფო მსოფლიო ომის შემდეგ გაჩენილი, რომელიც სხვისი სანავარდო არ არის, რომელსაც სისხლი არ ეწოვება იპერიალისტური წურბლებისგან. ვერ დაგვისახელებს.

არა, არ იქნება საქართველოსთვის ხელსაყრელი, რომ ახალი მსოფლიო ომი ატყდეს, ამან რუსეთის დანაწილება გამოიწვიოს, და საქართველო ცალკე სახელმწიფოთ გამოიყოს. მაშინ ის იქნება Mädchen für alles, და უფრო გაუჭირდება ბრძოლა დამოუკიდებელი არსებობისათვის.

საქართველოს საკითხის გადასაჭრელათ არ კმარა სოლომონ ზურგიელიძესავით იმის მტკიცება, რომ დემოკრატიზმი სჯობია ბოლშევიზმს. უნდა გამოირკვეს, რა ეკონომიურ საძირკველზე იქნება ეს დემოკრატიზმი. კაპიტალისტურ სახელმწიფოებს აქვთ ფორმალური დემოკრატია. მაგრამ ეს არ არის ის დემოკრატიზმი, რომელსაც ეყრდნობა საერთაშორისო სოციალიზმი. კაპიტალისტური სახელმწიფოების „დემოკრატიაზე“ ვერ გაიხარებს სოციალიზმის ძირითადი პრინციპი—ერთა თვით გამორკვევა. ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა ფორმა-

ლურათ დემოკრატიული სახელმწიფოებია, და საქართველოში, რომ მათი კაპიტალი შემოვიდეს, ის არ მოინდომებს ქართველი ხალხის სუვერენიტეტის აღდგენას. ის აქ თავის საბატონო ტახტს დაიდგამს მხოლოდ [illegible]

ნ. ჟორდანიამ ან უნდა შეაგნებინოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიას ეს უდავო აზრი, ან დაამტკიცოს, რომ მე შემცდარი ვარ ამაში.

IV.

ნ. ჟორდანიას დაუწყია განყენებულათ აზროვნობა. იღებს, მაგალითად დასავლეთ ევროპას, რუსეთს და ამბობს—„კაპიტალისტური ექსპლოატაცია იძლევა პოლიტიკურ საშუალებებს ბრძოლის და თავდაცვისას, საბჭოთა სისტემა ამ საშუალებებსაც არ იძლევა, მის ფარგლებში მთელი ხალხი გადაქცეულია იდიოტებათ, მოკლებულია ყოველგვარ უფლებებსო".

შეიძლება თუ არა აქედან ის დასკვნა, რომ საბჭოთა სისტემა უნდა ჩამოვარდეს რუსეთში და მის მაგივრათ გადმოინერგოს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სისტემა?

ნ. ჟორდანიას იმაზე კი არ უნდა შეეჩერებინა თავის ყურადღება, რომ დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური სისტემა იძლევა ბრძოლის და თავდაცვის პოლიტიკურ საშუალებებს: უნდა დაესვა კითხვა, რა სახეს მიიღებს ეს კაპიტალისტური სისტემა რუსეთის სინამდვილეში საბჭოთა ძალაუფლების ჩამოგდების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში „დემოკრატიის ძირითად დებულებას, ცხოვრების ღრმა მიმდინარეობას, ხალხის თავისუფლებას", არ მიეცემა არავითარი ადგილი.

სოციალისტური პარტია უნდა იბრძოდეს უკეთეს რამისთვის, ეს ჩამოვაგდოთ, ამაზე უარესი ხომ მაინც არ იქნება რაო,— ასე იტყვის უბრალო, პოლიტიკურათ ბრიყვი მოსახლე. ასე ვერ იტყვის პარტია და პარტიის ხელმძღვანელი.

ცალმხრივია და შემცდარი ნ. ჟორდანია, როცა ამბობს,— საბჭოთა სისტემა არის ახალი ფორმა პროლეტარიატის და მთელი ხალხის საშინელი ექსპლოატაციის, რუსეთში აშენებულია ყველაზე უარესი ფორმა კაპიტალისტური მტაცებლობის „ნეპის" სახით.

ეს მხოლოდ ცალი მხარეა სინამდვილის, არის მეორე მხარეც.

საბჭოთა ძალაუფლებამ შემოუშვა ახალი ეკონომიური პოლიტიკა „ნეპი", ახალი ბურჟუაზია თარეშობს ფრთებს ისხამს. მაგრამ საბჭოთა ძალაუფლება იმავე დროს ებრძვის ნეპს, ცდილობს შეაციწროოს მისი სათარეშო ასპარეზი, ცდილობს არ გააშლეინოს ფრთები. ნეპის შემოშვება და ნეპის წინააღმდეგ ბრძოლაც—ეს არის ორი მხარე იმ პროცესის, რომელიც გვაქვს დღეს რუსეთის სინამდვილეში.

ნეპი არ მოისპობა ბოლშევიკების ჩამოგდებით. ახალი ბურჟუაზია დარჩება ისევ თავის ადგილზე და არ გაუკეთესდება იმითი, რომ ბოლშევიკები აღარ იქნებიან სახელმწიფოს სათავეში.

ჩამოგდება საბჭოთა სისტემის თუ იმის ნიადაგზე მუშაობა და მისი გაუმჯობესების ცდა? ასე სდგას საკითხი ჩემთვის. ძალიან ადვილია იმის დამტკი-

ცება, რომ საბჭოთა სისტემას ხეირიანი მემკვიდრე არ ეყოლება. ამას ნ. ჟორდანიაც ამტკიცებს. ძალიან ძნელია იმის დამტკიცება, რომ საბჭოთა წესწყობილებაში შეუძლებელია გაუმჯობესება.

ნ. ჟორდანია უნდა დაუკვირდეს საქართველოს არა მარტო აქედან მიღებული ცნობებით. და მაშინ ის უთუოდ დაინახავს, რომ **კულტურულ ეკონომიურ ასპარეზზე აქ ბევრი რამ არის გაკეთებული და დაწყებული. გაცილებით უფროა, ვიდრე ჩვენ დროს იყო.** მაგრამ უფროც რომ არ იყოს, მაინც არ უნდა ითქვას,—დანგრევა და ხელახლა დაწყება სჯობია ყველაფრისო. არ გექნება უკეთესი პირობები, უკეთ დაიწყო და უკეთ გააკეთო.

ამიტომ მივსწერე მე ჟორდანიას, დაბრუნდით, არსებულ წესწყობილების ნიადაგზე იმუშავეთ თქო. ის ამაზე მიპასუხებს, რომ ბოლშევიკებთან შეთანხმება არ მოხერხებულა და არც მოხერხდება. ბოლშევიზმი და მენშევიზმი, ეს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიმდინარეობა დამყარებულია ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე თეორიულ და ტაქტიკურ დებულებებზე... და ვინც ფიქრობს ამ ორი ბანაკის შერიგებას, ერთი ულელში შებმას, ის მართლა შეპყრობილია ილიუზიებით და უტოპიითო". ნ. ჟორდანიას მოჰყავს არა ერთი და ორი მაგალითი იმის დასამტკიცებლათ, რომ ბოლშევიკები არავის არ ინდობენ და არ ითანხმებენ.

აქაც, მე მგონია, ნ. ჟორდანია საკითხს აყენებს ზერელე.

არის ბოლშევიზმი და მენშევიზმი ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასი, თუ ორი მიმდინარეობა ერთი და იმავე კლასის? ასე უნდა დაეყენებია საკითხი, თუ ეს ორი მოპირდაპირე კლასია, მაშინ მათი „შებმა ერთ ულელში" მართლა უნიადაგო ოცნებაა, უნიადაგოც და მავნებელიც. თუ ეს ერთი და იმავე კლასის ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობაა, მაშინ შესაძლებელიც არის ერთ ულელში შებმა და სასარგებლოც.

ყოველ შემთხვევაში თითონ ნ. ჟორდანია ეწეოდა ხოლმე მომრიგებელ შუამავლობას, როცა რუსეთის ბოლშევიზმი და მენშევიზმი ჯერ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას არ ეტანებოდენ. არც მერე იყო ხოლმე ის შეთანხმების წინააღმდეგ. ნ. ჟორდანია 1924 წ. მეტადრე ამ „ჩემი პასუხის" დამწერი არ გავს ნ. ჟორდანიას 1920 წლისას და არც 1921 წლის დასაწყისისას.

ბოლშევიკებს არ უნდათ შეთანხმება და ამიტომ შეუძლებელია ესო. **რა საკვირველია არ ენდომებათ, როცა ამტკიცებ,—კაპიტალისტური სისტემა ჯობია საბჭოთა სისტემას, როცა ბოლშევიკებთან ბრძოლაში უახლოვდები ბურჟაზიულ ევროპას, როცა ბოლშევიზმის ჩამოგდებით ეძებ დემოკრატიას.**

„საბოლოო სიტყვა"-ში ვსწერდით, რომ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ქართული მენშევიზმი დაშორდა მუშათა კლასს და ბურჟუაზიის ფრონტს მიეკედლა. თავის თავად ცხადია, ამ ფროხტიდან თანაშრომლობაზე ლაპარაკი იქნებოდა. „ოჰ, წმინდაო გულუბრყვილობავ".

ნ. ჟორდანია, როგორც ზემოთ ვთქვით, სუბიექტივისტია. — ხალხს არ უნდა შერიგება, შეთანხმება, და ეს არის ჩვენი ტაქტიკის საფუძველი, ამას ვემყარებით ჩვენო.

როგორც მარქსისტი კი უნდა არკვევდე, შეეფერება თუ არა ობიექტიურათ ხალხის ინტერესებს საბჭოთა სისტემასთან შეურიგებლობა. თუ გამოარკვევ, რომ არ შეეფერება, პირიქით გამანადგურებელი იქნება ხალხისთვის, მაშინ იდეიური გავლენა უნდა იქონიო ხალხზე, ებრძოლო იმის შეურიგებლობას.

ობიექტიური გამორკვევა არ უხერხდება ნ. ჟორდანიას. ამ მხრივ სუსტათ გრძნობს თავს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მამამთავარი თავის უკანასკნელ წერილებში. ის არ იძლევა პერსპექტივებს, ან ვერ იძლევა. ვერ ასაბუთებს იმ აზრს, რომ საბჭოთა ძალაუფლების დაწყარება საქართველოში დემოკრატიას გააბატონებს.

— ძნელია, შეუძლებელია, არაფერი არ გამოვა და ამიტომ თავი უნდა დავანებოთ თანამშრომლობაზე ლაპარაკსო.

რა გამოვა თავი რომ დავანებოთ?

უნდა იყურებოდე ისევ საზღვარგარეთისკენ, უნდა ელოდე „ხელსაყრელ“ საერთაშორისო პირობებს, უნდა იძახოდე ყოველგაფაჩუნებაზე, — მოახლოებულია საქართველოს განთავისუფლების დღეო.

რა გამოვა აქედან? რითია ეს უფრო ადვილი და უფრო შესაძლებელი?

რა უფრო ადვილია და რა უფრო ძნელი კი არა, რა სწორია, რა უფრო ხელსაყრელია ეროვნული აღორძინებისათვის და სოციალიზმისათვის, — ასე უნდა იდგეს საკითხი.

მარქსისტი თავს ვერ დაანებებს ამა თუ იმ საქმეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელია ეს საქმე. მარქსისტი ეკიდება ამა თუ იმ საქმეს არა მარტო ბაშინ, როცა წინდაწინ დარწმუნებულია, რომ გამოვა რამე.

ნ. ჟორდანია უადა დამემოწმოს ერთში. თვითონვე ამბობს „ბრძოლის საკითხებში:—ვინ იქნება მისი (ბოლშევიზმის) მემკვიდრე რუსეთში — ეს არავინ იცის, სახარბიელო მემკვიდრე, რომ არ იქნება უეჭველიაო“. ამაში მე ვეთანხმები ნ. ჟორდანიას. ისიც დამეთანხმება, თუ თანახმაა თავის თავის, და მაშინ ჩემ გზას იქით გზა არ ექნება.

თანამშრომლობა უნდა გახადო ობიექტიურათ შესაძლებელი. თუ ვერ გაიგე, რომ ბურჟუაზიის სიახლოვეს დგომა საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ დაძლეველი იქნება საქართველოს მშრომელი ხალხისთვის, ქართველი ერისთვის, ბაშინ არ გექნება ობიექტიური შესაძლებლობა თანამშრომლობის და მართლა „ჩეკის ნიადაგზე“ მოგიხდება დადგომა.

ის თანამშრომლობა, რომელზედაც მე ვლაპარაკობ შესაძლებელია ბურჟუაზიისგან ჩამოშორებით, საზღვარგარეთ დიპლომატიური მუშაობის შეწყვეტით და მუშათა კლასთან დაბრუნებით.

VI

მუშათა კლასთან ის არის ვინც ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ფრონტზე დგასო,—მეუბნება ნ. ჟორდანია. მეორე ინტერნაციონალმა უარი სთქვა ბოლშევიკებთან თანამშრომლობაზე და შექმნა მის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტიო.

მეორე ინტერნაციონალის ტრაგედია, მე ვფიქრობ, იმაშია, რომ ორი მსოფლიო ძალის ჭიდილში ის ეკედლება ბურჟუაზიას [illegible] ბოლშევიზმს. ემიჯნება და ებრძვის, როგორც მიმართულებას მუშათა [illegible] და როგორც რუსეთის მმართველ პარტიას. მეორე ინტერნაციონალი არ ფიქრობს, რომ საბჭოთა სისტემა ეწინააღმდეგება სოციალიზმის ძირითად პრინციპს, არ არის იმის მომხრე, რომ საბჭოთა სისტემის ჩამოგდებით დამყარდეს დემოკრატია რუსეთში და საქართველოში, დღევანდელი დღის ქართული მენშევიზმი არ დგას ამ მხრივ მეორე ინტერნაციონალის ფარგლებში, ის უფრო მარჯვნითაა.

მაგრამ მეორე ინტერნაციონალს გაშვებული აქვს ხელიდან მარქსისტული სოციალისტური მემკვიდრეობა მის ხელში ველარ ვხედავთ დროშას მუშათა კლასის დიქტატურისას, კლასთა ბრძოლა თითქო აღარ არსებობს მისთვის, თითქო ის გზას ველარ იგნებს სოციალიზმისკენ.

აგერ წინ მიდევს მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლიუცია საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ. საინტერესოა შემდეგი სტრიქონები ამ რეზოლიუციაში:

— ჩვენ გარდაუვალათ და აუცილებლათ მიგვაჩნია, რომ შეიცვალოს ჩვენი ძველი გზები და შეგოვილოთ პოლიტიკა გულწრფელობის, ერთიმეორის ნდობის, ეს იყო ყოველთვის მუშათა პარტიების პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობაში. უამისოთ არავინ არ იქნება უშიშარ მდგომარეობაში. ერთა ლიგას რომ ცოტა მაინც ფართო დემოკრატიულ დაწესებულებათ გადავაქცევდეთ, უშიშროების გრძნობა ყველგან ფესვს გაიდგამდა, შერე თანდათან მოვახერხებდით შეიარაღების შემცირებას და სულ განიარაღებასაც*)". აქ არის რაღაც ქადაგება რევოლიუციონური და მარქსისტული ტაქტიკის მაგივრათ. ამისთანა მქადაგებლები მუშათა კლასს ვერ წაუძღვებიან, ვერ გაატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას, ვერ შექმნიან თავის ფრონტს ვერც მარცხნივ, ვერც მარჯვნივ. მარქსი ამ ინტერნაციონალში ველარ დაინახავდა იმ კლდეს, რომელზედაც უნდა აშენდეს სოციალიზმის ეკლესია.

ნურც ჟორდანია დაეყრდნობა მეორე ინტერნაციონალის ფხვიერ პოლიტიკას, კერძოთ, საქართველოს საკითხში. მისი შემჩერე ქართველი მუშა და გლეხი დარჩა მოტყუებული, იმედგაცრუებული. მეორე ინტერნაციონალმა ის უბრალო რამეც ვერ მოახერხა, რომ სულ ცოტაოდნათ ხელმოსაკიდებელი თანაგრძნობა მაინც გაეწია მისი მიმდევრებისთვის საქართველოში. ის უძლური და უმწეო გამოდგა სოციალურ-პოლიტიკურ დახმარებაშიაც.

მეორე ინტერნაციონალი დამარცხდა საქართველოს საკითხში. ეს ნიშნავს მის დამარცხებას საერთაშორისო პოლიტიკაში და სოციალიზმის გზაზე. სადაც კლასთა ბრძოლის და მარქსისტული კრიტიკის იარაღია საჭირო, იქ ის აყენებს ქრისტიანულ, ქველმოქმედურ „პრინციპებს"—ნდობას და გულწრფელობას. ამისთანა საგზლით ბრძოლის ველზე შორს ვერ წახვალ, და მეორე ინტერ-

---

„Социалистический Вестник" 25 თებერვალი, 1924 წ.... აი ეს არის მართლა—„რა უთქვამს, რა მოუჩმახავს"...

ნაციონალიც ადგილიდან ვერ იძვრება. ის არ სჩანს, ვერ სჩანს, როგორც მესამე მებრძოლი ძალა, როცა ერთმანეთს ებრძვის კაპიტალისტური სისტემა და საბჭოთა სისტემა. **მეორე ინტერნაციონალის „ძალას" ვერ დეეურდნობა ვერც მუშათა კლასი სოციალიზმისაკენ სვლაში და იმის იმედით ვერ ისაზრდოებს ვერც პატარა ერი ეროვნული** აღორძინებისაკენ მისწრაფებაში. მეორე ინტერნაციონალში დარჩენა იმას გავს, რომ „ბრძოლაში მოხუცებული" ბრძოლის მიტოვებაზე და დასვენებაზე ფიქრობდე.

ნ. ჟორდანიასთან მე ყოველთვის მქონდა გრძნობა უფრო დიდი და იშვიათი, ვიდრე მარტო პატივისცემა. ეს გრძნობა არ მაჩუმებს და ვეუბნები, რომ ბრძოლაში მოხუცებულს, მაგრამ ბრძოლის სულით ახალგაზრდას არ შეშვენის **გარეთ** ყოფნა, მით უფრო, როცა თითონვე ხელს იღებს **გარეთის** იმედებზე... როცა ხალხს ეუბნები,—არავინ არ მოგივა, არ გაგანთავისუფლებს, შენი განთავისუფლება შენივე საქმეაო, მაშინ უნდა იყო ხალხთან, უნდა იცოდე, რომ ისტორია არ გაპატიებს, წაგიშლის, რაც გიკეთებია ბრძოლაში მოხუცებამდი ის, თუ რაღაც „საეჭვო კომბინაციების" „ხელსაყრელ" საერთაშორისო პირობების მოლოდინში ხალხი უფსკრულისკენ გადაეშვა.

ამ გრძნობით მივმართე მე ნოეს,—დაბრუნდი, იმუშავე არსებული წესწყობილების ნიადაგზე თქო და ის მიპასუხებს შოთა რუსთაველის სიტყვებით:

— „უმზგავსი საქმე ყოველი მოკლეა მით ოხერია,
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია".

ეს სთქვა რუსთაველის ავთანდილმა, როცა წაიკითხა ფატმანის წერილი. მაგრამ მაშინვე ჩაფიქრდა და...

— „მერმე იტყვის, შენგან კიდე ჩემი შემწე არავინაა;
რასათვისცა გამოვჭრილვარ, მისი ძებნა რადგან მინა
რათაცა ვით ვპოვებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა".

... — მივჰყევ მიამბობს ყველასაო, — გაივლო გულში და გაუგზავნა პასუხათ:

— „მოგეწერა წაიკითხე შენი წიგნი ჩემი ქება,
შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება
შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვეტლათ შენი ხლება,
შეყრა არის პირიანი, ორთავეა რადგან ნება".

ავთანდილმა მოისმინა „ამბის გმობა ფატმანისგან", წავიდა იმ გზით და... იპოვნა, რასაც ეძებდა.

მე ვისურვებ, რომ ჩემ „უმზგავსო" და „მოჩმახულ" წერილებს ჩაეფიქრებინოს ნ. ჟორდანია... იქნება უფრო დაკვირვებით ჩაიხედოს თანამედროვე საერთაშორისო პირობებში, საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში და იპოვნოს უტყუარი გზა იმ „საქაჯეთისკენ", სადაც იმყოფება მშვენიერი ნესტან დარეჯანი, ეს უკვდავი სიმბოლო საქართველოს აღორძინების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევოლიუციის პოეტები

სახელმწიფო გამომცემლობა 1921 წ. ტფილისი. 116 გვ.

საქართველოში რევოლიუციონური მხატვრული ლიტერატურა ღარიბია. წარსულში ამის მიზეზი გასაგებია. ამ მხრით არც რუსეთი იყო მაინც და მაინც მდიდარი.

მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ—რუსეთის წინ გაიშალა ფართე ასპარეზი მტკიცე რევოლიუციონურ შემოქმედების და იქ დიდი მუშაობა სწარმოებს ამ მიმართულებით. განსაკუთრებით მეტი ნაყოფიერი იყო უკანასკნელი წლები. გარდა პოლიტიკური გაზეთებისა და ჟურნალის, იქ იბეჭდება აუარებელი სამხატვრო ჟურნალები და კრებულები, რომლებშიაც შემოკრებილია თანამედროვე რუსეთის ლიტერატურის ყველა ცნობილი ძალები: პოეტები, ბელლეტრისტები და მხატვრები.

თუმცა ვეებერთელა რუსეთისთვის ეს არ კმარა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ცხოვრების პირობებს, მაშინ აშკარად დავინახავთ თუ რა დიდი ენერგიაა საჭირო — თუ გინდ ამ საქმის გასაკეთებლადაც. რევოლიუციონური მთავრობა მომავალში შესძლებს ამოაცალოს ეს ცარიელი ხრამი, რომელიც წარსულში შედეგი იყო პირწავარდნილ მონარქიზმის.

ქართულ ენაზე „რევოლიუციის პოეტები" ახალი წიგნია. უთუოდ მოსალოდნელი იყო, რომ ეს წიგნი გაამართლებდა მასზე დამყარებულ იმედს — მაგრამ, საუბედურეოთ, მოლოდინი არ გამართლდა. ჯერ ერთი: შინაარსის მხრით საჭირო იყო მასალების მეტი დაკვირვებით შერჩევა. წიგნში ძალიან ცოტაა ლექსი რევოლიუციის პათოსით. სრულებით არ იყო საჭირო ამ წიგნში მოთავსება ბევრი სუსტი ლექსის: როგორც, მაგალითად, ეკენ პოტიეს: „ინტერნაციონალი"-ს თარგმანი ი. ევდოშვილის. „ადამიანი" მამია გურიელის ლექსი კარგია, მაგრამ რევოლიუციონური აქ არაფერია, დობროლიუბოვის ლექსი კ. ლორთქიფანიძის თარგმანი, ვიქტორ ჰიუგოს ლექსი — თარგმანი იასამანის, ყველა თარგმანი ფოლტ უიტმანის ლექსების ვახტ. კოტეტიშვილის, „მომავლის იმედს" იასამანის და სხვა აუარებელი ბალასტია. ორგინალურ ლექსებიდან აღსანიშნავია ვალ. გაფრინდაშვილის „კომმუნარებს"; თარგმანებიდან — „ბოგემა" ბორის როლინას სონეტი და ვალერი ბრიუსოვის „ბანჯალი".

წიგნი შეიცავს 116 გვერდს, საესეა კორექტურული შეცდომებით და ცუდათ არის შეკვანძული წიგნის ყდა ეკუთვნის ცნობილ მხატვარს შარლემანს.

ცოტნე დადიანი.

ანრი ბარბიუს. ცეცხლი

რომანი. ფრანგულით თარგმნილი სახოკიას მიერ. სახელ მწიფო გამომცემლობა. ტფილისი. 1923 წ.

ანრი ბარბიუსი, ერთი იმ პირველ მწერალთაგანი არის, რომელმაც კაპიტალისტურ წყობილებას უპასუხა თამამი „არა". ეს მწერალი დიდი მეგობარი არის რუსეთისა და კომუნისტურ მოღვაწეობას ეწევა საფრანგეთში. ხსენებულ რომანს გარდა მას აქვა სხვა ნაწერებიც და რომანი „მნათობი", რომელიც რუსულად იქმნა თარგმნილი, მაგრამ ყველაზე ძლიერი ნაწარმოები არის რომანი „ცეცხლი". საზოგადოდ ჩვენ ძლიერ ნაკლებადა გვაქვს თარგმნილი ლიტერატურა და ყველა თაკილობს მის შესრულებას. ჟურნალ-გაზეთები ალმაცერად უცქერიან

თარგმანებს და თვით მწერლებსაც ეთაკილებათ მისი შესრულება. ყველა დიდი მწერლები თარგმნიდნენ, სწავლობდნენ ამით და მკითხველთაც დიდ სამსახურს უწევდნენ. არც ერთმა რუსულის უცოდინარმა ქართველმა მკითხველმა არ იცის რა ხდება უცხოეთის ლიტერატურაში. ყველა კუდ შეკვეცილ ჟურნალებით სარგებლობს, იყო ყვირილი სიმბოლიზმზე, ექსპრესიონიზმზე, ფუტურიზმზე და არცერთი მათი ნაწარმოები არ არის თარგმნილი ქართულად, რომ ქართველ მკითხველს მიეცეს საშუალება თვითონაც წაიკითხოს იგი და თავისი აზრი იქონიოს. უამიოდ კი იგი იძულებულია დაუჯეროს ბევრ საეჭვო კრიტიკულ დებულებებს. ყველა ჭყვირიოდა პიერ ბენუაზე, სინკლერზე, ბარბიუსზე, რენე მარანზე, მეირინკზე, ბორის პილნიაკზე და მკითხველი საზოგადოება კი არ იცნობდა მათ უშუალოდ. დროა ამ ნაკლს ბოლო მოეღოს ამ მხრივ ერთი აგური უკვე დადებულია გადაითარგმნა ჯონ რიდის „10 დღე. რამაც შესძრა ქვეყანა“ და ბარბიუსის „ცეცხლი“. ამ რომანმა შეანგრია ბურჟუაზიულ ევროპის მიერ შარავანდედით შემოსილ ომის ჯავშანი. იყო ლიზუნგები: ძირს ბორბაროსები, ომი ომისა და მამელისათვის და სხვ. მოვიდა ბარბიუსი და გვაჩვენა მთელი სიკოტრე ამ ომისა, რომელსაც თითქოს უნდა დაებნა ევროპის ცივილიზაცია. ბარბიუსის ენერგიელია, გაბედული და შეუბრალებელი. იგი სწერს კონკრეტიულად ნამდვილად და არასოდეს არ ჰგრძნობთ ეგრეთწოდებულ ლიტერატურულობას. აქ მსოფლიო ომი გადაშლილია მთელი თავისი სიბინძურით, სიასტიკით და მბეცობით.

რომანის პირველ ფურცლებიდანვე იწყება კონრადა და მიდის ბოლომდის. ზარბაზნების გრიალი არის ამ [illegible] ფონი და იგი თქვენ [illegible] ბოლამდე, იმიტომ, რომ აქ არის ნამდვილი ფაქტები და ფაქტები კი ბუდამ მოუბეზრებელნი არიან.

გასაოცარი სიძლიერით არის მოცემული თავი, სადაც ჯარის კაცები თავს ამოჰყოფენ პარიზში. მათ დაავიწყდათ ყოველივე ეს. არ ახსოვთ, რომ იქ ხეირგში იყო სითბო და ცხოვრება ადამიანური და ახლა, როდესაც ეს იბილეს მათში გაიღვიძა ადამიანმა. ჯოჯოხეთიდან გამოსული ხალხი დაეიოდა პარიზის ქუჩებზე და ყველაში მოწიწებას აღძრავდა. ამ რომანში გადაშლილია მთელი გაჭირვება ჯარის კაცის, რომელიც იბრძვის ერთი უუჭა ხალხის საკეთილდღეოთ.

რომანი ყერ არის თარგმნილი ცოცხლად. აუარებელი არქაიზმებით არის სავსე. ასე მხოლოდ „ივერიაში“ და „მოამბეში“ ითარგმნებოდა, მის მერე ჩვენ ბეყერი განვვლეთ. რა არის მაგალითად. „კიდენ“, ან „ომს ყველანი მოელოდენ“, „გვაბანაკი“, „გვიანრელენ“, „კნინ-ლა წაეწია წინ“ და სხვა. საზოგადოდ თარგმანი კარგია, რომ ზემოხსენებული ნაკლი არ ახლდეს, მაგრამ ალბათ ესეც მალე გამოსწორდება და მით ჩვენი ლიტერატურის დიდი ნაკლი ძლეულ იქნება. წიგნი სუფთადაა გამოცემული და კორექტურული შეცდომებიც ცოტაა. სულ შეიცავს 450 გვერდს მხოლოდ ყდა ვერ არის კარგი და უფრო სამხარეულო წიგნის ყდასა ჰგავს.

დონი.

რაუდენ გვეტაძე „ვირების მეკია“.

ტფილისი, 1924 წელი.

რაუდენ გვეტაძეს ახალი თემისათვის მიუგნია. „დაბინდული ქარვების“ ავტორი—ვირების აპოლოგეტის როლში გამოდის და მაღალი პათოსით და ტემპერამენტით გაიძახის:

„მაგრამ ვირების სხვებზე ადრე გავხდი მგოსანი
და მე ვიქნები ღსათუოდ მათი მესიაც
ამიტომ იგი თხოვნით მიმართავს ღმერთს:
„გამხადე ღირსი ამ სურვილის, ღმერთო მაღალო
ჯერ არაფერი ასე გულით არ მინატრია.
მეყო რაც ბედმა უსავანო უგზოთ მათრია“.

რაუდენ გვეტაძის „ვირები“ — არის პირდაპირ დღედალეული ადამიანის უკანასკნელი ბოდვა. მიუხედავათ იმისა, რომ ლექსები „ვირებზე“ შედარებით კარგი სტილით, ტექნიკით, რითმით და რიტმით არის შესრულებული.

რაუდენ გვეტაძეს სურს თავის ვირებით

ბრძოლა გამოუცხადოს ქედ მაღალ მტარვალებს. ამიტომ ვირების რაზმის შექმნაში და მათზე მანიფესტების წერის გარდა, ავტორს ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო

		გვერდი
1.	**გალაკტიონ ტაბიძე** — ჯონ რიდი	1
2.	**პოლიკარპ კაკაბაძე** — ძველი დაფები—მისტერია სამ მოქმედ.	22
3.	**მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი** — ევროპის ედემში	49
4.	**ივ. იოსელიანი** — ბოროტი სული. — მოთხრობა.	95

რუსეთი

5.	**ნ. კლუევი** — ლენინ. ლექსი. თარგმანი კოლაუ ნადირაძის.	105
6.	**ნ. ბუხარინი** — ლიბედინსკის მოთხრობის „შვიდი დღის“ შესახებ.	107
7.	**იური ლიბედინსკი** — შვიდი დღე. თარგმ. ვასო გორგაძის	109

დასავლეთი

8.	**ერნსტ ტოლლერ** — ბურჟუაზიის ტუსაღები. თარგ. კონ. ჭიჭინაძის	137
9.	**ბაირონი** — კაენი (მისტერია). თარგმ. კონ. ჭიჭინაძის.	139

კრიტიკა და მხატვრობა

10.	**ევგენი ლუნდბერგ** — ლენინი და ლეგენდა	167
11.	**გრ. კალანდარიშვილი** — პოეზია ლენინზე.	192
12.	**გიორგი გორბაჩევი** — ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის უკანასკნელი რომანტიკოსი	201
13.	**სიმონ ჩიქოვანი** — სასწრაფო განმარტება ჟურნალ H2S04	212
14.	**კირილ ზდანევიჩი** — მემარცხენე მხატვრობა რუსეთში	222

15. **შალვა მამალაძე** — გრიგოლ პავლესძე ტატიშვილი (გრავიორი — ქსილოგრაფი). 235
16. **გიორგი ლეონიძე** — ივანე მაჩაბელი 239

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და პუბლიცისტიკა

17. **ა. დებორინი** — ლენინი — მებრძოლი მატერიალისტი 263
18. **სეით დევდარიანი** — ეს პასუხი არ არის 284

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

რეპროდუქციები:

1. **იაკობ ნიკოლაძე** — ,ამოს ძეგლი (დაუმთავრებელი).
2. [illegible] **ვოხჩაროვ** [illegible]ბი.

ყ დ ა: **წილოსანი**
მარკა: **მ. ჩხიკვაძე**